



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ზურაბ გოგშელიძე

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის
ლეგალიზაციისათვის**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი **მერაბ ტურავა**

თბილისი

2023

აბსტრაქტი

დისერტაციაში უპირატესი ყურადღება აქვს დათმობილი საკითხის სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, რაც განაპირობებს მის აქტუალობას. კერძოდ: დანაშაულის სუბიექტების საკითხი; დაუსაბუთებელი ქონების არსი; ფულის გათეთრება და მისი მიმართება წინარე უკანონო ქმედებით მოპოვებული ქონების პირადი მიზნით ხარჯვასთან; ფულის გათეთრების (სსკ 194-ე მ.) ობიექტური შემადგენლობის პირველი (გამიზნითი დელიქტი) და მეორე ჯგუფის არსის განსაზღვრა; არაერთგზისობისა და დანაშაულის რეციდივის საკითხი ფულის გათეთრებისას; ფულის გათეთრებისა და პრედიკატული დანაშაულის ხანდაზმულობის საკითხი; სასამართლო პრაქტიკაში არსებული სამართლებრივი გამოწვევები და სხვა.

კვლევის მიზანია - დასაბუთდეს, რომ მართალია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დაკავშირებულია წინარე (პრედიკატული) ქმედებით მოპოვებული ქონების, ან საექვო ქონების არსებობასთან, მაგრამ საქართველოში მას მაინც აქვს საკუთარი ავტონომია;

- დასაბუთდეს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მესამე პირი, არამედ წინარე ქმედების ამსრულებელი ან თანამონაწილე;

- დამტკიცდეს, რომ მიზანშეწონილია დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინება ამ დანაშაულის საგნად იმ პირობით, თუ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთება არ იქნება დაკავშირებული მხოლოდ დოკუმენტურ მტკიცებულებებთან;

იმის დასაბუთება, რომ წინარე დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების პირადი მოთხოვნილების შესაბამისი ხარჯვა არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. კერძოდ, მართალია, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობის მეორე ჯგუფისათვის გადამწყვეტი არაა მიზანი, მაგრამ სადავო არაა, პირს იმიტომ სურს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომ თავისუფლად შეძლოს ამ ქონების განთავსება ქვეყნის ეკონომიკაში. თუკი პირს ეს მიზანი არ ამოძრავებს, მაშინ ქმედებას სხვა შეფასება მიეცემა (ვთქვათ, შესაბამისი

სუბიექტის არსებობისას, ეს შეიძლება იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა ან გასაღება - სსკ 186-ე მ.) და სხვა;

- ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობის პირველი (გამიზნითი დელიქტი) და მეორე ჯგუფი;
- დეტალურად აღიწეროს სსკ 194-ე მუხლის რთული შემადგენლობის ნიშნები;
- დასაბუთდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების გატარების აუცილებლობა.

ნაშრომში შემოთავაზებულია საკანონმდებლო წინადადებები სსკ 194-ე მუხლის შემდგომი სრულყოფის მიზნით. მაგალითად, შეიცვალოს სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი, სადაც განმარტებულია დაუსაბუთებელი ქონების არსი. ასევე, ამ შენიშვნას დაემატოს ახალი მე-5 ნაწილი, სადაც გადაწყვეტილი იქნება ხანდაზმულობის საკითხი და სხვა.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისა და შესაბამისი პარაგრაფებისაგან.

პირველი თავი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს საერთაშორისო აქტების მიხედვით.

მეორე თავში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი, ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები.

მესამე თავი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) სისხლისსამართლებრივ ანალიზს.

მეოთხე თავი ეთმობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში (შედარებით-სამართლებრივ ანალიზს).

მეხუთე თავში განხილულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საკვლევ საკითხზე.

საკვლევ თემაზე მუშაობისას გამოყენებული იყო ფორმალურ-ლოგიკური, ისტორიული, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი.

თემის ტრანსნაციონალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან კვლევა ჩატარდა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების განხილვის ჭრილში, იგი ორიენტირებულია სადავო

საკითხის არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბით მოწესრიგების სრულყოფისაკენ. მაგალითად, სწორედ ამას ემსახურება დანაშაულის სუბიექტის, წინარე დანაშაულისა და ფულის გათეთრების ხანდაზმულობის საკითხის გადაჭრა.

Abstract

In the dissertation, the main attention is paid to the criminal aspects of the issue, which determines its actuality. Namely: the issue of subjects of crime; The essence of undocumented property; money laundering and its relation to personal use of property obtained by previous illegal actions; Determination of the essence of the first (targeted delict) and the second group of the objective composition of money laundering (Article 194 of the Criminal Code); the issue of repeating crime and recidivism in money laundering; the question of statute of limitations for money laundering and predicate offences; legal challenges in court practice and others.

The goal of the research is to substantiate that, although the legalization of illegal income is related to the existence of property obtained by a previous (predicate) action, or suspicious property, it still has its own autonomy in Georgia;

- To justify that the subject of legalization of illegal income can be not only a third person, but also the executor or accomplice of the previous action;
- To particularly describe the signs of complex composition of Article 194 of the Criminal Code;
- To prove the necessity of carrying out the relevant legislative change.

There are legislative proposals in the dissertation for the further improvement of Article 194 of the Criminal Code. For example, part 2 of the note to Article 194 of the Criminal Code, where the essence of undocumented property is explained, should be changed. Also, a new section 5 should be added to this note, where the issue of limitation and others will be decided. The dissertation consists of five chapters and corresponding paragraphs.

The first chapter deals with the issue of criminal responsibility for the legalization of illegal income according to international acts.

The second chapter discusses the genesis of legalization of illegal income, contributing factors and conditions.

The third chapter deals with the criminal analysis of the legalization of illegal income (Article 194 of the Criminal Code).

The fourth chapter is devoted to criminal liability for legalization of illegal income by the legislation of foreign countries (comparative legal analysis).

The fifth chapter discusses the judicial practice of Georgia about the research issue.

While working on the research topic, formal-logical, historical, dogmatic, comparative-legal methods were used.

Due to the transnational importance of the topic, since the research was conducted in the context of reviewing the legislation and international agreements of both Georgia and other countries, it is oriented towards the perfect settlement of the disputed issues not only within the country, but internationally. For example, solving the issues connected to statute of limitation, subject of the crime and prior (predicate) crime serves this purpose.

სარჩევი

აბრევიატურა	XII
შესავალი	1
I თავი	8
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო აქტების მიხედვით	8
1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად.....	8
1.1. AML/CFT პოლიტიკა და კოორდინაცია	9
რისკების შეფასება და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება	9
1.1.1. კონფისკაციისა და ამოღების ზომები	9
1.2. ტერორიზმის დაფინანსება.....	10
1.3. კლიენტების სამართლებრივი შემოწმება.....	10
1.4. მონაცემების აღრიცხვა, შენახვა	11
1.5. პოლიტიკურად აქტიური პირები.....	11
1.6. ახალი ტექნოლოგიები	14
1.7. საექვო ტრანზაქციების რეპორტიინგი-შეტყობინება.....	14
საექვო ოპერაციების შესახებ შეტყობინება.....	14
1.8. კონფიდენციალურობა და გაფრთხილება (Tipping-off)	15
1.9. DNFBP-ების რეგულირება და ზედამხედველობა.....	15
1.10. ორმხრივი სამართლებრივი დახმარება	16
1.11. ექსტრადიცია.....	17
1.12. რეკომენდაციის ინტერპრეტაციული შენიშვნა 3.....	18
(ფულის გათეთრების დანაშაული).....	18
1.13. განსაზღვრული პირებისა და ორგანიზაციების ფონდების ან სხვა აქტივების გაყინვა ან მასში ჩარევის უფლების აკრძალვა	19
1.14. ინტერპრეტაციული შენიშვნა მე-8 რეკომენდაციაზე	20
(არაკომერციული ორგანიზაციები)	20
1.15. დისემინაცია, გავრცელება.....	20
1.16. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სხვა წყაროებიდან, ინფორმაციული უსაფრთხოება და კონფიდენციალობა	21
1.17. სამართალდამცავი და საგამომიებო ორგანოების პასუხისმგებლობა - ინტერპრეტაციული შენიშვნა 30-ე რეკომენდაციის მიმართ	21
1.18. ნაღდი ფულის კურიერები-ინტერპრეტაციული შენიშვნა 32-ე რეკომენდაციაზე. სისტემების ტიპები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ფულადი კურიერების საკითხის მოსაგვარებლად.....	22
1.19. ურთიერთსამართლებრივი დახმარება: გაყინვა და კონფისკაცია-ინტერპრეტაციული შენიშვნა 38-ე და მე-40 რეკომენდაციაზე	23
1.22. სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლა.....	24
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის შესაბამისად	25
2.1. ქონების ჩამორთმევა	26

2.2. შერეული ქონება.....	27
2.3. სამართლებრივი ურთიერთდახმარება.....	27
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად (2005 წელი, ვარშავა)	30
3.1. მუხლი 5.....	32
3.2. მუხლი 9.....	33
3.3. საზღვარგარეთ ჩადენილი პრედიკატული დანაშაულის შემთხვევა.....	39
3.4. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა	40
3.5. საერთაშორისო თანამშრომლობა და დახმარება	40
II თავი.....	42
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი, ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები....	42
1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი	42
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები	43
3. ფულის გათეთრების თანამედროვე ხელშემწყობი პირობების ანალიზი	47
4. ტიპოლოგიები და შემთხვევის (ქეისის) შესწავლა.....	48
5. რა არის ფულის გათეთრება?	49
6. ფულის გათეთრების პროცესი.....	50
6.1. ძირითადი დანაშაულები	51
6.2. ფულის გათეთრების პროცესი.....	52
6.2.1. განთავსების ფაზა.....	52
6.2.2. დანაწევრების (Layering) ფაზა.....	53
6.2.3. ინტეგრაციის ფაზა.....	55
6.2.4. ინტეგრაციის ყველაზე მისაღები მეთოდები, რომელსაც იყენებენ ფულის გამთეთრებლები	56
6.3. მომხმარებლის კომპლექსური სამართლებრივი შეფასება (Due Diligence) და აღრიცხვა (Record-keeping).....	58
6.4. არაფინანსური ბიზნესი და პროფესიები (კაზინოები და სხვ.), როგორც ხელშემწყობი ფაქტორები.....	59
6.5. ფულადი კურიერები (ხელშემწყობნი ფულის გათეთრებაში).....	60
6.6. FATF მაღალი რისკის შემცველი ქვეყნები	60
6.7. კაზინოებთან დაკავშირებული პრობლემები	61
6.8. საკრედიტო ბარათები.....	66
6.9. ელექტრონული ფული	66
6.10. ფასეულობების (სიმდიდრის) მენეჯმენტი	67
6.11. სავაჭრო ფინანსები	69
6.12. ვოლფსბერგის სახელმძღვანელო მითითებები მობილური და ინტერნეტ გადახდის სერვისების შესახებ (MIPS).....	71
6.13. ბიზნეს-რისკები	72
7. რა არის საექვო (უჩვეულო) ტრანზაქცია?	73
8. დიპლომატიური პასპორტების გამოყენება	75

9. ბანკი, როგორც ფულის გათეთრების ყველაზე თანამდეროვე საშუალება	76
10. რატომ უნდა აწარმოონ კომპანიებმა KYC მოთხოვნები?	77
11. საცალო ვაჭრობით დაკავებულ მომხმარებლთა, კლიენტთა იდენტიფიკაცია	78
12. საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები	79
13. პოლიტიკურად აქტიური პირები (PEP)	80
14. NPM ანგარიშების არაპირდაპირი ხასიათის გამოყენება	84
15. FATF სახელმძღვანელო	87
15.1. „მოჩვენებითი თანამშრომლების“ გამოყენება წინასწარ გადახდილი ბარათების მეშვეობით უკანონო თანხების გასათეთრებლად	87
15.2. თაღლითობა საკრედიტო ბარათების გამოყენებით და ფულის გათეთრება	88
15.3. უკანონო შემოსავლების გათეთრება ციფრული ვალუტის პროვაიდერის მეშვეობით	88
15.4. Tipping off	89
16. უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა	92
III თავი	95
სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი	95
1. სსკ 194-ე მუხლის წინარე ისტორია	95
2. დანაშაულისაგან სს დაცვის ობიექტი	99
3. დანაშაულის ამსრულებელი	105
4. დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა	112
4.1. დანაშაულის საგანი	112
4.2. ქმედება	134
4.2.1. განვიხილოთ პირველი ჯგუფის ქმედებები	137
(გამიზნითი დელიქტები)	137
4.2.2. მოტყუება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თანმხლები საშუალება	151
4.2.3. მეორე ჯგუფის ქმედებები	159
4.3. დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა (მიზანი და მოტივი)	174
5. ბრალის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას	183
5.1. არაპირდაპირი განზრახვის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას	183
5.2. სასამართლო პრაქტიკა:	192
6. სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები:	195
6.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად	195
6.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ	198
6.3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის	202
6.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება	211
6.5. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება	218
7. სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები	219
7.1. იგივე ქმედება: ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ („ა“ ქვ.):	220

7.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით („ბ“ ქვ.)	229
7.3. რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება („გ“ ქვ.).....	233
8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა სხვა ეკონომიკური დანაშაულისა და მექრთამეობისაგან.....	234
8.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) გამიჯვნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობის, ქონების შეძენის, ფლობისა და გასაღებისაგან (სსკ 194 ¹ მ.).....	234
8.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენის და გასაღებისაგან (სსკ 186-ე მ.).....	237
8.3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მ) და ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით (სსკ 205 ¹ მ.).....	242
8.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით (სსკ 218-ე მ. მე-3 ნაწ.)	244
8.5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა არაპირდაპირ ჩადენილი მექრთამეობისაგან.....	246
8.6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) კავშირი სისხლის სამართლის კოდექსის 202 ¹ მუხლთან	250
9. თანამონაწილეობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას	252
10. დანაშაულის სტადიები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას	259
11. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას	262
IV თავი	266
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში	266
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)	266
1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით.....	266
1.1. საკანონმდებლო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი	266
1.2. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი	285
1.3. სასამართლო პრაქტიკა.....	287
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით.....	288
2.1. საკანონმდებლო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი	288
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით.....	295
3.1. კანონმდებლობის ანალიზი	295
3.2. ავსტრიის სსკ 165 ^ა პარაგრაფი	301
3.3. სანქციების ეფექტურობა, პროპორციულობა და დამაბრკოლებელი ძალა	306
4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით	307
4.1. კანონმდებლობის ანალიზი	307
4.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ხელშეწყობა გაუფრთხილებლობით	312

5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით	314
5.1. კანონმდებლობის ანალიზი	314
5.2. სასამართლო პრაქტიკა.....	321
6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩინეთის კანონმდებლობის მიხედვით.....	322
6.1. კანონმდებლობის ისტორია და ანალიზი.....	322
6.3. სასამართლო პრაქტიკა.....	330
7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით	331
7.1. საკანონმდებლო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი.....	331
7.2. მომხმარებელთა იდენტიფიკაციის პროგრამა:	340
V თავი.....	344
საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე..	344
1. მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან	344
2. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.....	353
3. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.....	372
4. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.....	381
5. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან (იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას).....	387
6. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.....	400
7. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.....	405
დასკვნა	411
ბიბლიოგრაფია.....	431
ქართულენოვანი ლიტერატურა.....	431
უცხოენოვანი ლიტერატურა.....	434
ინტერნეტრესურსი	436
სასამართლო პრაქტიკა	439

აბრევიატურა

AML/CFT - ფულის გათეთრების წინააღმდეგ/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

CDD - კლიენტის კომპლექსური სამართლებრივი შემოწმება, შესწავლა

DNFBPs - დანიშნული არაფინანსური ბიზნესი ან პროფესიები

FIU - ფინანსური დაზვერვის განყოფილება

ML - ფულის გათეთრება

PEP - პოლიტიკურად აქტიური პირები

STR - საექვო ტრანზაქციის შესახებ ანგარიში-რეპორტი

TF - ტერორისტების დაფინანსება

UNCAC - გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ¹

MIPS - მობილური და ინტერნეტ გადახდის სერვისების შესახებ

NBSP - არასაბანკო მომსახურების მომწოდებლები

KYC - „იცნობდე შენს კლიენტს“ რეგულაცია

AML - ფულის გათეთრების სააწინააღმდეგო დირექტივა

NPM – New Payment Methods, გადახდის ახალი მეთოდები

AUSTRAC – ავსტრალიის ტრანზაქციის რეპორტებისა/ანგარიშებისა და ანალიზის ცენტრი

MLRO – Money Laundering Reporting Officer, ფულის გათეთრების შესახებ ანგარიშის, რეპორტის განმახორციელებელი ოფიცერი

POCA – დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების 2002 წლის აქტი

BKA – ფედერალური კრიმინალური პოლიციის ოფისი (Bundeskriminalamt)

ML/FT - ფულის გათეთრება/ტერორიზმის დაფინანსება

SAR - საექვო აქტივობის შესახებ ანგარიში - რეპორტი

FinCEN - ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის სააგენტო

BOC - ჩინეთის ბანკი

BSA - საბანკო საიდუმლოების კანონი

WB - მსოფლიო ბანკი

IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

¹ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 2.

NCA - National Crime Agency, დანაშაულის ეროვნული სააგენტო

Tipping off - ნებით თუ უნებლიედ პიროვნების (მაგ. კლიენტს) ინფორმირება, რომ მისი საექვო მოქმედების შესახებ ინფორმაცია MLRO-ს ან NCA-ს ეცნობება.

შელ ბანკი - კომერციული ბანკი ან სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ფიზიკურად არ არის წარმოდგენილი იმ იურისდიქციაში, რომელშიც არის რეგისტრირებული ან ლიცენზირებული

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

ე.ი. - ესე იგი

შესავალი

კვლევის აქტუალობა და საგანი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი თანდათან მეტ აქტუალობას იძენს სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში. საქმე ისაა, რომ ეს დანაშაული დიდი ხანია გაცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. გაიზარდა წინარე (პრედიკატულ) დანაშაულთა სახეები. გაფართოვდა და დაიხვეწა ლეგალიზაციის ხერხები. ამ პროცესში ჩაერთო პირთა სულ უფრო მეტი წრე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იყენებენ სამსახურებრივ (მათ შორის, სახელმწიფო სამსახურებრივ) მდგომარეობას. იგი დაუკავშირდა ორგანიზებულ დანაშაულს არა მხოლოდ წინარე (ძირითადი) დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არამედ უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დროსაც. ესაა მოვლენა, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. ამის პარალელურად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამ „კარგი გამოსავლის“ ფუნქცია შეიძინა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების „სიცოცხლისუნარიანობის“ თვალსაზრისით, რომლებიც მას შეგნებულად არ უშლიან ხელს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე.

აქედან გამომდინარე. ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭირო გახდა კომპლექსური ბრძოლა, რაც მოითხოვს ამ მიმართებით კანონმდებლობის დახვეწას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება არაერთი საერთაშორისო ნორმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან საბრძოლველად.

შესაბამისად, საკითხის შესწავლისას, დაუშვებელია, აქცენტის გაკეთება მხოლოდ იმაზე, როგორ შევუშალოთ ხელი ფულის გათეთრებისკენ მიმართულ ქმედებებს, როგორ გამოვავლინოთ ეს ქმედებები. არანაკლებ საჭიროა ამ მოვლენის ანალიზი სისხლისსამართლებრივი კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი საკითხი არ განიცდის ლიტერატურის სიმწირეს (არა მხოლოდ უცხო, არამედ ქართულენოვან წყაროში), როგორც კვლევამ გვიჩვენა, მასში ძირითადი აქცენტი არაა გადატანილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმების ანალიზზე. უფრო მეტად აქცენტი კეთდება უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციის პრევენციასა და მისი გამოვლენისკენ მიმართულ ქმედებაზე. გამოდის, რომ ამ პრობლემის სისხლისსამართლებრივი საკითხები იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო ყურადღების გარეშეა დატოვებული. კერძოდ, სათანადოდ არაა დამუშავებული შემდეგი საკითხები:

ვინ არიან ამ დანაშაულის სუბიექტები? რა სახის სამართალდარღვევა ვიგულისხმობთ წინარე უკანონო ქმედებაში? როგორ გავიგოთ დაუსაბუთებელი ქონების არსი? რით გავნიჯნობთ ფულის გათეთრება წინარე უკანონო ქმედებით მოპოვებული ქონების პირადი მიზნით ხარჯვისაგან? რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ფულის გათეთრების (სსკ 194-ე მ.) ობიექტური შემადგენლობის პირველი (გამიზვნითი დელიქტი) და მეორე ჯგუფი? როგორ გავიგოთ ფულის გათეთრების სამ ეტაპიანი ფაზა? როგორ გავიგოთ არაერთგზისობისა და დანაშაულის რეციდივის საკითხი ფულის გათეთრებისას? რამდენადაა დაკავშირებული ფულის გათეთრების სს-ვი ხანდაზმულობის საკითხი პრედიკატული (ძირითადი) დანაშაულის ხანდაზმულობასთან? როცა დანაშაულის საგნად მიჩნეულია წინარე დანაშაულის გზით მოპოვებული ქონება, თუ არის აუცილებელი, პირი მსჯავრდებული იყოს ამ წინარე დანაშაულისათვის? როცა ფულის გამთეთრებელი იყენებს მოტყუებს ხერხს, რა შემთხვევაში დაკვალიფიცირდება ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით და რა შემთხვევაში - არა? სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი ფულის გათეთრება თუ საჭიროებს ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით მაშინ, როცა გამოყენებულია ფიქტიური დოკუმენტები? როგორ ესმის სასამართლო პრაქტიკას ეს სადავო საკითხები? რა სახის საკანონმდებლო ცვლილება უნდა გატარდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დასმული პრობლემის უკეთ მოწესრიგებისათვის და სხვა.

სწორედ ამის გამო ავირჩიე საკვლევ თემად „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის“. როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომში მთავარი აქცენტი საკითხის სისხლისსამართლებრივ ასპექტზეა გადატანილი.

ნაშრომზე მუშაობისას დამუშავებულ იქნა შესაბამისი ნორმატიული მასალა და ლიტერატურა როგორ უცხო, ისე ქართულ ენაზე, ასევე განხილულია სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომი შედგება შესავლის, გამოყენებული აბრევიატურის, ხუთი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

ნაშრომის პირველ თავი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს საერთაშორისო აქტების მიხედვით.

მასში გადმოცემულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი FATF-ის რეკომენდაციების, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციისა და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად. განხილულია ტერორიზმის დაფინანსების, კლიენტთა სამართლებრივი შემოწმების, პოლიტიკურად აქტიურ პირთან, ორმხრივ სამართლებრივ დახმარებასთან, ინფორმაციის კონფიდენციალობასთან, ქონების ჩამორთმევასთან, იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები ამ კონვენციების მიხედვით.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი, ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები.

მასში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორიულად გამოყენებულ პრაქტიკულ მეთოდებზე; რისკ-ჯგუფში შემავალ ორგანიზაციებზე (მაგ., ბანკი და კაზინო), საექვო ტრანზაქციებზე; საექვო ქვეყნებსა და რისკ-ჯგუფში შემავალ პირებზე (მაგ., პოლიტიკურად აქტიურ პირებზე - PEP, ან არაპირისპირ მყოფ მომხმარებლებზე); განხილულია უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომის მესამე თავი ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) სისხლისსამართლებრივ ანალიზს.

მასში განხილულია საკითხის ისტორია, კერძოდ, თუ რა ცვლილება განიცადა სსკ 194-ე მუხლმა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მისი შემოღებიდან დღემდე; განხილულია ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტის საკითხი. დასაბუთებულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოს კანონმდებელმა

არჩევანი შეაჩერა ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის ინტერესის დაცვაზე.

დანაშაულის ამსრულებლის საკითხზე მსჯელობისას დასაბუთებულია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობით წინარე დანაშაულის ჩამდენიც ამ დანაშაულის სუბიექტად; დეტალურადაა განხილული დანაშაულის საგანი და გადმოცემულია შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება მისი სრულყოფის მიზნით. განხილულია დანაშაულის საგანთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

დანაშაულის შემადგენლობა დაყოფილია ორ ჯგუფად, გადმოცემულია მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები, დეტალურადაა განხილული თითოეული ქმედება. ამასთან, პასუხი გაცემულია კითხვაზე: რით აიხსნება ის, რომ ობიექტური შემადგენლობის პირველი ჯგუფი გამიზნითი დელიქტია, ხოლო მეორე ჯგუფი არაა გამიზნითი დელიქტი; რამდენიმე ვარიანტშია განხილული შემთხვევა, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას გამოყენებულია მოტყუების ხერხი; განხილულია დანაშაულის მოტივი და მიზანი; ბრალის საკითხი. დასაბუთებულია, რომ შეუძლებელია არაპირდაპირი განზრახვით ფულის გათეთრების ჩადენა და მოყვანილია მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

განხილულია 194-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებები, რა დროსაც აქცენტი გაკეთებულია სადავო საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად: თუ შეიძლება ფულის გათეთრება ჩადენილი იყოს წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ? თუ შეიძლება ფულის გათეთრებაში თანამონაწილეს (მაგ., დამხმარეს) შეერაცხოს ამ დანაშაულის ჩადენა არაერთგზის? რა წესით დაინიშნება სასჯელი, როცა სახეზეა **რამდენიმე სახის** რეციდივი და მათგან ერთი წარმოადგენს ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას (ქმნის არაერთგზისობას), ხოლო მეორე არ მოქმედებს ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგრამ წარმოადგენს რეციდივს? რა განსაზღვრავს მიღებული შემოსავლის ოდენობას - წინარე (პრედიკატული) უკანონო ქმედებით მიღებული შემოსავლის ოდენობა, თუ ის შემოსავალი, რაც **თან ახლდა** ამ ქონების ლეგალიზაციას? როგორ გავიგოთ „რასაც თან ახლდა დიდი, ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“ - მასში იგულისხმება ლეგალიზაციის შედეგად მიღებული ქონების **საერთო ღირებულება, თუ ის წმინდა შემოსავალი**, რაც ლეგალიზაციის შემდეგ დაემატა წინარე უკანონო გზით მოპოვებული ქონების ღირებულებას? განხილულია შესაბამისი მაგალითი

სასამართლო პრაქტიკიდან; ორგანიზებულ ჯგუფთან დაკავშირებით ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სტრუქტურული ფორმის საკითხს და კრიტიკულადაა განხილული შესაბამისი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან; დეტალურადაა განხილული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ფულის გათეთრების საკითხი და დასაბუთებულია, რომ იგი დამძიმებულია პერსონალური ნიშნით.

ამ თავის ერთ-ერთ პარაგრაფად განხილულია თანამონაწილეობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას.

ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეთმობა დანაშაულის სტადიებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას. განხილულია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობა ამ დანაშაულთან მიმართებაში.

ცალკე პარაგრაფადაა განხილული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნის საკითხი სხვა სახის ეკონომიკური დანაშაულისა და არაპირდაპირ ჩადენილი მექრთამეობისაგან.

ასევე ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი იურიდიულ ლიტერატურაში დაუმუშავებელ საკითხს - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას.

ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში (შედარებით-სამართლებრივ ანალიზს).

კერძოდ, განხილულია გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, შვეიცარიის, რუსეთის, ჩინეთისა და აშშ სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე და იგი შედარებულია საქართველოს კანონმდებლობასთან.

ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საკვლევ საკითხზე. მასში კრიტიკულადაა შეფასებული ისეთი პრაქტიკა, როცა პირის ქმედებაში სახეზეა მხოლოდ ძირითადი დანაშაული (მაგ., თაღლითობა), ხოლო ქმედება ამ დანაშაულთან ერთად დაკვალიფიცირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთობლიობით; სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ისეთი შემთხვევაც გამოვლინდა, როცა პირის ქმედებაში სახეზეა სხვა დანაშაულის (მაგ., მითვისების) ნიშნები, მაგრამ ქმედება შეცდომითაა დაკვალიფიცირებული სსკ 194-ე

მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია); ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ასეთი ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეფასდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, თუ ეს ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს ქონების დაქსაქსვა მცირე ნაწილებად, რათა შემდგომში მისი კვლავ გაერთიანებით „წაიშალოს კვალი“ და განხორციელდეს მისი დაუბრკოლებრივი ინტეგრაცია სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში; იურიდიული პირის სს-ვი პასუხისმგებლობის საკითხზე კრიტიკულადაა განხილული როგორც სასამართლო პრაქტიკა, ისე მოქმედი კანონმდებლობა და შემოთავაზებულია შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება.

კვლევის მიზანია:

- დასაბუთდეს: მართალია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დაკავშირებულია წინარე (პრედიკატული) ქმედებით მოპოვებული ქონების, ან საეჭვო ქონების არსებობასთან, მაგრამ საქართველოში მას მაინც აქვს საკუთარი ავტონომია;
- დასაბუთდეს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მესამე პირი, არამედ წინარე ქმედების ამსრულებელი ან თანამონაწილე;
- დამტკიცდეს, რომ მიზანშეწონილია დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინება ამ დანაშაულის საგნად იმ პირობით, თუ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთება არ იქნება დაკავშირებული მხოლოდ დოკუმენტურ მტკიცებულებებთან;
- იმის დასაბუთება, რომ წინარე დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების პირადი მოთხოვნების შესაბამისი ხარჯცა არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას;
- ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობის პირველი (გამიზვნითი დელიქტი) და მეორე ჯგუფი;
- დასაბუთდეს, თუ რატომაა პირველი ჯგუფი გამიზვნითი დელიქტის სახით წარმოდგენილი, ხოლო მეორე - არა;
- დადგინდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და მომიჯნავე დანაშაულებს შორის განსხვავება;

- თანამონაწილეობის საკითხის ანალიზი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას;
- დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას;
- საერთაშორისო ნორმატიული აქტების ანალიზი, რათა გაირკვეს, რამდენად ჰპოვა მისმა ძირითადმა დებულებებმა ასახვა ჩვენს კანონმდებლობაში;
- უცხო ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე გაირკვეს საქართველოს კანონმდებლობასთან მათი განსხვავების საკითხი ჩვენი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რათა შემუშავდეს სათანადო რეკომენდაცია მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. საკვლევ თემაზე მუშაობისას გამოყენებული იყო ფორმალურ-ლოგიკური, ისტორიული, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი.

I თავი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო აქტების მიხედვით

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად

FATF-ის რეკომენდაციები (საერთაშორისო სტანდარტები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსებისა და გავრცელების შესახებ), ყველაზე მასშტაბურ რეკომენდაციას იძლევა (სულ 40 რეკომენდაცია და 9 სპეციალური რეკომენდაცია) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ამ საკითხით დაინტერესებული სახელმწიფოსთვის.²

1989 წელს პარიზის სამიტზე შვიდი დიდი სახელმწიფოს,³ ე.წ. დიდი შვიდეულის (G-7) მიერ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF), რომლის შექმნის თავდაპირველი მიზანი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა. შემდგომში მისი სამოქმედო არეალი გაფართოვდა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობაც FATF-ის ამ რეკომენდაციებს ეფუძნება.

ეს არის ის ორგანო, რომელიც ადგენს და აკონტროლებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებს. FATF-მა „ფულის გათეთრება“ განმარტა, როგორც დანაშაულებრივი შემოსავლის დამუშავება მათი უკანონო წარმოშობის შენიღბვის მიზნით, დანაშაულის უკანონოდ მიღებული სარგებლის ლეგიტიმაციის მიზნით.⁴

² მართალია, ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში პირველ საერთაშორისო აქტს წარმოადგენს 1998 წლის ვენის საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მაგრამ FATF-ს რეკომენდაციას პირველ რიგში განვიხილავთ მისი უპირატესი მნიშვნელობის გამო ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში.

³ შემდგომში ამ ორგანიზაციის შემადგენლობა გაფართოვდა და დღეისთვის სამ ათეულზე მეტ ქვეყანას მოიცავს.

⁴ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 11.

1.1. AML/CFT პოლიტიკა და კოორდინაცია

რისკების შეფასება და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება

თუკი ქვეყნები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის უფრო მაღალი რისკის მატარებლები არიან,⁵ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი AML/CFT (ფულის გათეთრების წინააღმდეგ/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა) რეჟიმი ადეკვატურად პასუხობდეს ასეთ რისკს. იქ, სადაც ქვეყნები უფრო მცირე რისკებს ადგენენ, მათ შეიძლება გადაწყვიტონ, რომ FATF-ის ზოგიერთი რეკომენდაციის შესასრულებლად გამარტივებული ზომები მიიღონ.⁶

1.1.1. კონფისკაციისა და ამოღების ზომები

ქვეყნებმა უნდა მიიღონ ვენის კონვენციის, პალერმოს კონვენციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლოს კონვენციის მსგავსი ზომები, მათ შორის საკანონმდებლო ღონისძიებები, რათა მათ კომპეტენტურ ორგანოებს საშუალება მიეცეთ, გაყინონ ან წაართვან და ჩამოართვან: (ა) გარეცხილი ქონება, (ბ) შემოსავალი ან ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ან განკუთვნილია ფულის გათეთრებისთვის ან ძირითადი დანაშაულების ჩასადენად; ტერორისტის, ტერორისტული აქტების ან ტერორისტული ორგანიზაციების დასაფინანსებლად, ან (დ) შესაბამისი ღირებულების ქონება.⁷

საინტერესოა, FATF-ის რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც ეხება დაუსაბუთებელი ქონების საკითხს. კერძოდ, ქვეყნებმა უნდა განიხილონ ისეთი ზომების მიღების საკითხი, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, მოითხოვოს პირისგან, აჩვენოს ქონების კანონიერი წარმომავლობა, როცა ასეთი მოთხოვნა შეესაბამება მათ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპებს.⁸

⁵ რისკებზე დაფუძნებული მიდგომა (RBA)

⁶ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 10.

⁷ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 12.

⁸ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 12.

როგორც ვხედავთ, დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინება უკანონო შემოსავლის საგნად პრინციპში მისაღებია, მაგრამ იმის მხედველობაში მიღებით, რომ იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის შიდა სამართლებრივ პრინციპებთან.

ამდენად, ეს რეკომენდაციაც ხაზგასმას აკეთებს დაუსაბუთებელი ქონების არაორდინალურობაზე, რადგან ადგენს გარკვეულ სტანდარტს დანაშაულის საგნად მისი გათვალისწინებისას.

1.2. ტერორიზმის დაფინანსება

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის საფუძველზე ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაცია და უნდა დაისაჯოს არა მხოლოდ ტერორისტული აქტების დაფინანსება, არამედ ტერორისტული ორგანიზაციებისა და ცალკეული ტერორისტების დაფინანსება მაშინაც კი, როცა არ არსებობს კავშირი კონკრეტულ ტერორისტულ აქტთან ან ქმედებებთან. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი დანაშაულები დასახელდეს ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულად.⁹

ამ მიმართებით, ჩვენი კანონმდებლობა სრულად შეესაბამება FATF-ის ამ რეკომენდაციას. საქართველოს სსკ 331¹ მუხლით დასჯადია როგორც ცალკეული ტერორისტის, ისე ტერორისტული ორგანიზაციისა თუ ტერორისტული საქმიანობის დაფინანსება. უფრო მეტიც, დასჯადია ასევე ამ მუხლში ჩამოთვლილი ცალკეული დანაშაულის (მაგ., მძევლად ხელში ჩაგდების) დაფინანსება.¹⁰

1.3. კლიენტების სამართლებრივი შემოწმება

რეკომენდაციის მიხედვით, ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა აუკრძალონ ანონიმური ანგარიშების ან ანგარიშების აშკარად გამოგონილი სახელებით შენახვა.

⁹ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 13.

¹⁰ ამ მუხლის შესახებ იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 354.

ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა მოეთხოვოთ, რომ განახორციელონ მომხმარებელთა სათანადო შემოწმების (CDD) ზომები, როდესაც:

1. ამყარებენ ბიზნეს ურთიერთობას;
2. პერიოდული ტრანზაქციის განხორციელება: მოქმედი განსაზღვრული ბარიერის ზემოთ (აშშ დოლარი/15,000 ევრო);
3. არსებობს ეჭვი ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების შესახებ; ან
4. ფინანსურ ინსტიტუტს აქვს ეჭვი ადრე მიღებული მომხმარებლების საიდენტიფიკაციო მონაცემების სისწორეში ან ადეკვატურობაში.¹¹

1.4. მონაცემების აღრიცხვა, შენახვა

ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვებათ მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ ყველა საჭირო ჩანაწერი როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტრანზაქციაზე, რათა მათ შეეძლოთ სწრაფად შეასრულონ კომპეტენტური ორგანოების ინფორმაციის მოთხოვნა.

CDD ინფორმაცია და გარიგების ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შიდა კომპეტენტური ორგანოებისათვის შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე.¹²

1.5. პოლიტიკურად აქტიური პირები¹³

პოლიტიკურად აქტიურ პირს (PEP) ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფის (FATF) განსაზღვრავს, როგორც ინდივიდს, რომელსაც აქვს ან დაევალა გამორჩეული საჯარო ფუნქცია. მათი პოზიციიდან და გავლენიდან გამომდინარე, აღიარებულია, რომ ბევრი PEP არის ისეთ პოზიციებზე, რომელიც პოტენციურად შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული ფულის გათეთრების (ML) დანაშაულების ჩადენის მიზნით, მათ შორის კორუფციისა და ტერორისტებთან დაკავშირებული აქტივობების

¹¹ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 14.

¹² International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 15.

¹³ პოლიტიკურად აქტიურ პირებზე უფრო დაწვრილებით საუბარია ნაშრომის მე-2 თავში.

დაფინანსებისათვის.¹⁴ ეს მოთხოვნები პრევენციული (არა კრიმინალური) ხასიათისაა და არ უნდა იქნას განმარტებული სტიგმატიზირებულად. ამ პირთათვის საქმიან ურთიერთობაზე უარის თქმა უბრალოდ იმის საფუძველზე, რომ კლიენტი არის PEP, ეწინააღმდეგება 12 რეკომენდაციის სულისკვეთებას.¹⁵

საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, შემდეგნაირად განმარტავს პოლიტიკურად აქტიური პირის ცნებას: ამ კანონის მიზნებისთვის პოლიტიკურად აქტიური პირი არის მნიშვნელოვანი საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირი (გარდა საშუალო და დაბალი რანგების თანამდებობის პირებისა).¹⁶

როგორც ვხედავთ, ხაზგასმა გაკეთებულია არა მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციის შემსრულებელ პირებზე, არამედ ასევე მნიშვნელოვანი საჯარო საჯარო ფუნქციის შემსრულებელ პირებზე. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ამ პირთა ჩამონათვალში ვხვდებით სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. როგორც არიან: უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი ინსტანციის სხვა სასამართლო ორგანოს წევრი, რომლის გადაწყვეტილებები გამონაკლის შემთხვევაში საჩივრდება.¹⁷

უცხოელ PEP ჯგუფში შედიან: პირები, რომლებსაც უცხო ქვეყნის მიერ მინდობილი ან დავალებული აქვთ განსაკუთრებული საჯარო ფუნქცია.¹⁸

ქვეყნის შიდა PEP ჯგუფში შედიან: პირები, რომლებსაც ეკისრებათ ან მინდობილი აქვთ ქვეყნის შიგნით გამორჩეული საჯარო ფუნქციები, მაგალითად, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები, მაღალი რანგის პოლიტიკოსები, ხელისუფლების მაღალი რანგის, სასამართლო ან სამხედრო თანამდებობის პირები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კორპორაციების მაღალი რანგის აღმასრულებლები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები;

¹⁴ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 3.

¹⁵ შეად. იქვე, გვ. 3.

¹⁶ იხ. 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, მუხ. 21-ე. ნაწ. პირვ.

¹⁷ იხ. 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 21-ე მუხბ. პირვ. ნაწ. „დ“ ქვ.

¹⁸ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 4.

საერთაშორისო ორგანიზაციის PEP ჯგუფში შედიან: პირები, რომლებსაც აქვთ ან მიენიჭათ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამორჩეული ფუნქცია.

ოჯახის წევრები არიან პირები, რომლებიც დაკავშირებულია PEP ჯგუფთან ან უშუალოდ (ნათესავი) ან ქორწინების ან პარტნიორობის მსგავსი (სამოქალაქო) ფორმებით.

ახლო თანამოაზრეები არიან პირები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული PEP ჯგუფთან, სოციალურად თუ პროფესიულად.¹⁹

ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული იქნებიან, უცხოელ პოლიტიკურად აქტიური პირების (PEP) მიმართ, გარდა კლიენტის სამართლებრივი შემოწმების ზომების განხორციელებისა, ასევე განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

(ა) ჰქონდეს რისკის მართვის შესაბამისი სისტემა, რათა დადგინდეს, არის თუ არა მომხმარებელი ან ბენეფიციარი მფლობელი პოლიტიკურად აქტიური პირი;

(ბ) მიიღოს უფროსი მენეჯმენტის ნებართვა ამგვარი საქმიანი ურთიერთობების დამყარებისათვის (ან გაგრძელებისთვის არსებულ მომხმარებელთან);

(გ) მიიღოს გონივრული ზომები ქონების წყაროს და სახსრების წყაროს დასადგენად; და

(დ) განახორციელოს საქმიანი ურთიერთობების გამლიერებული მიმდინარე მონიტორინგი.

ყველა ტიპის PEP-ის მიმართ არსებული მოთხოვნები ასევე უნდა ვრცელდებოდეს ოჯახის წევრებზე ან ამ PEP-ებთან დაკავშირებულ პირებზე.²⁰

ფინანსურმა ინსტიტუტებმა და DNFBP-ებმა უნდა ჩაატარონ მუდმივი სამართლებრივი შემოწმება თავიანთ საქმიან ურთიერთობებზე, რათა უზრუნველყონ კლიენტებთან ურთიერთობის რისკის ნებისმიერი ცვლილების იდენტიფიცირება. თუ

¹⁹ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 4-5.

²⁰ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 16; FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 3-4; FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. P. 7-8.

რისკი იცვლება და მაღალი ხდება, საჭიროა რეკომენდაციით გათვალისწინებული საჭირო ზომების გამოყენება.²¹

საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია მთავრობის შიგნით კონკრეტული თანამდებობების საბაზისო სიის დაზუსტება, რომლებიც ხელს შეუწყობს PEP-ად კვალიფიკაციას (მაგ. პრეზიდენტი, მინისტრი, მინისტრის მოადგილე და ა.შ.) და სიის საჯაროდ ხელმისაწვდომობა (მაგალითად ინტერნეტში).²²

1.6. ახალი ტექნოლოგიები

FATF-ის რეკომენდაციები გარკვეულ ადგილს უთმობს ე.წ. ვირტუალურ აქტივობებს, როგორც მაღალი რისკის მატარებელ საშუალებებს ფულის გათეთრებისათვის. კერძოდ, ვირტუალური აქტივებიდან წარმოქმნილი რისკების მართვისა და შემსუბუქების მიზნით, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ვირტუალური აქტივების პროვაიდერები დარეგულირებული იყოს AML/CFT მიზნებისთვის და იყოს ლიცენზირებული ან რეგისტრირებული. ასევე დაექვემდებაროს ეფექტურ სისტემებს მონიტორინგისა და შესაბამისი ღონისძიებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.²³

1.7. საექვო ტრანზაქციების რეპორტირება-შეტყობინება

საექვო ოპერაციების შესახებ შეტყობინება

თუ საფინანსო ინსტიტუტი ექვობს ან აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თანხები არის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, ან დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან, კანონით უნდა მოითხოვოს, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ექვები ფინანსური დაზვერვის განყოფილებას (FIU).²⁴

²¹ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. P. 9.

²² FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. P. 11.

²³ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 17.

²⁴ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 19.

1.8. კონფიდენციალურობა და გაფრთხილება (Tipping-off)

ფინანსური ინსტიტუტები, მათი დირექტორები, მოხელეები და თანამშრომლები უნდა იყვნენ:

კანონით დაცული სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ან ნებისმიერი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დებულებით, ინფორმაციის გამჟღავნების ნებისმიერი შეზღუდვის დარღვევისათვის, თუ ისინი თავიანთ ეჭვებს კეთილსინდისიერად აცნობებენ FIU-ს, თუნდაც ზუსტად არ იცოდნენ, რა ძირითადი კრიმინალური საქმიანობა იყო ჩადენილი და იმისდა მიუხედავად, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი უკანონო საქმიანობას.²⁵

1.9. DNFBP-ების რეგულირება და ზედამხედველობა

FATF-ის რეკომენდაციებში შესაბამისი ადგილი უჭირავს კაზინოების საკითხს,²⁶ რომლებიც უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ მარეგულირებელ და საზედამხედველო ზომებს.²⁷

სამართალდამცავი და საგამომიებო ორგანოების უფლებამოსილებები

ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოძიების განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანოები შეძლებენ გამოიყენონ საგამომიებო ტექნიკის ფართო სპექტრი, რომელიც შესაფერისია ფულის გათეთრების, მასთან დაკავშირებული ძირითადი დანაშაულებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოძიებისთვის. ეს საგამომიებო ტექნიკა მოიცავს: ფარულ ოპერაციებს, კომუნიკაციის გათიშვას, კომპიუტერულ სისტემებზე წვდომას და კონტროლირებად მიწოდებას. გარდა ამისა, ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური მექანიზმები, რათა დროულად დადგინდეს, აქვთ თუ არა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ანგარიშები ან აკონტროლებენ მას. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა განახორციელონ აქტივების იდენტიფიცირება მესაკუთრისათვის

²⁵ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 19.

²⁶ კაზინოს, როგორც ფულის გათეთრების საფრთხის შემცველი დაწესებულების შესახებ, საუბარია ნაშრომის მე-2 თავში.

²⁷ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 23-24.

წინასწარი შეტყობინების გარეშე. ფულის გათეთრების, მასთან დაკავშირებული ძირითადი დანაშაულებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოძიების ჩატარებისას, კომპეტენტურ ორგანოებს უნდა შეეძლოთ, მოითხოვონ FIU–ს (ფინანსური დაზვერვის განყოფილება) ყველა შესაბამისი ინფორმაცია.²⁸

1.10. ორმხრივი სამართლებრივი დახმარება

ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

(ა) არ უნდა თქვან უარი ორმხრივი სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის შესრულებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ დანაშაული ასევე განიხილება ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებით;

(ბ) არ თქვან უარი ორმხრივი იურიდიული დახმარების მოთხოვნის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ კანონები ფინანსურ ინსტიტუტებს ან DNFBP–ს სთხოვს საიდუმლოების ან კონფიდენციალურობის დაცვას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც იძებნება, დაცულია, როგორც პროფესიული საიდუმლოება);

(გ) დაიცვან იურიდიული დახმარების მოთხოვნის კონფიდენციალურობა, რომელსაც ისინი იღებენ და მათში არსებული ინფორმაცია, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დაცვით, გამოძიების ან გამოძიების მთლიანობის დაცვის მიზნით. თუ მოთხოვნილი ქვეყანა ვერ შეასრულებს კონფიდენციალურობის მოთხოვნას, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მომთხოვნი ქვეყანას.²⁹

როდესაც ორმაგი დანაშაული მოითხოვს ორმხრივ სამართლებრივ დახმარებას, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს იმისდა მიუხედავად, ორივე ქვეყანა დანაშაულს ერთი კატეგორიის დანაშაულად მიიჩნევს, თუ დანაშაულს ერთსა და იმავე სახელს არქმევს, იმ პირობით, რომ ორივე ქვეყანას დანაშაულად უნდა ჰქონდეს გამოცხადებული ეს ქმედება.³⁰

²⁸ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 23-25.

²⁹ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 27.

³⁰ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 28.

FATF-ის რეკომენდაცია ითვალისწინებს სს-ვი დევნის ადგილის განსაზღვრის საკითხს იმ შემთხვევისთვის, როცა ქმედება ჩადენილია რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კერძოდ, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე იმ საქმეებზე, რომლებიც ექვემდებარება დევნას ერთზე მეტ ქვეყანაში, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შემუშავებული და გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი მექანიზმები, რათა დადგინდეს ბრალდებულთა დევნისათვის საუკეთესო ადგილი.³¹ ასეთი საუკეთესო ადგილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, არა მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორია, სადაც პირველად დაიწყო გამოძიება რომელიმე ფაქტზე, არამედ იმ ქვეყნის ტერიტორია, სადაც უფრო ადვილია საქმის ბოლომდე გამოძიება და სამართალწარმოების დასრულება ბრალდებულთა საცხოვრებელი ადგილის, მტკიცებულებათა ადვილად მოპოვებისა, თუ სხვა გარემოების (მაგ., ამა თუ იმ ქვეყნისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის) მხედველობაში მიღებით. მაგალითად, საქართველოში მცხოვრებმა პირთა ჯგუფმა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბანკის მეშვეობით, მოტყუებით შეძლო უცხო ქვეყანაში მცხოვრებთა ქონების დაუფლება. შემდეგ კი შეუდგენენ მოტყუებით მიღებული ფულის გათეთრებას. მიუხედავად იმისა, რომ მათი თავდაპირველი ქმედება (თაღლითობა) გამომჟღავნდა უცხოეთის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეებიც დაზარალდნენ ამ თაღლითური ქმედებით, საქმისწარმოება მაინც მიმდინარეობს და მთავრდება საქართველოში.³²

1.11. ექსტრადიცია

ქვეყნებმა კონსტრუქციულად და ეფექტურად უნდა შეასრულონ ექსტრადიციის მოთხოვნები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე.

კერძოდ, ქვეყნებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება ექსტრადირებადი დანაშაულია;

³¹ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 28.

³² შესაბამისი მაგალითები მოყვანილი იქნება ცალკე თავში, სადაც განხილულია სასამართლო პრაქტიკა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე.

(ბ) უზრუნველყონ, რომ მათ ჰქონდეთ მკაფიო და ეფექტური პროცესები საექსტრადიციო მოთხოვნების დროული შესრულებისთვის, საჭიროების შემთხვევაში. მოთხოვნების მიმდინარეობის მონიტორინგისთვის, უნდა შენარჩუნდეს საქმისწარმოების სისტემა;

(გ) არ დააყენონ დაუსაბუთებელი ან ზედმეტად შემზღვეველი პირობები მოთხოვნების შესრულებაზე; და

(დ) უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო ექსტრადიციისათვის.

ამასთან, ქვეყანა არაა ვალდებული, მოახდინოს თავისი მოქალაქეების ექსტრადიცია. ასეთ შემთხვევაში, ექსტრადიციის მიმღები ქვეყნის მოთხოვნით, საქმე უნდა გადაეგზავნოს მის კომპეტენტურ ორგანოებს განსაზღვრული დანაშაულებების დევნის მიზნით. ამ ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა უნდა ჩაატარონ საქმისწარმოება იმავე წესით, როგორც ეს ხდება ამ ქვეყნის საშინაო კანონმდებლობით სერიოზული ხასიათის ნებისმიერი სხვა დანაშაულის შემთხვევაში. დაინტერესებულმა ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, განსაკუთრებით პროცედურულ და მტკიცებულებათა ასპექტებში, რათა უზრუნველყონ ასეთი დევნის ეფექტიანობა.³³

1.12. რეკომენდაციის ინტერპრეტაციული შენიშვნა 3

(ფულის გათეთრების დანაშაული)

FATF-ის რეკომენდაციებში ყურადღება აქვს დათმობილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნის ღირებულებისა და წინარე დანაშაულისათვის ნასამართლობის საკითხს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ფულის გათეთრების დანაშაული უნდა გავრცელდეს ნებისმიერ ქონებაზე, მიუხედავად მისი ღირებულებისა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოადგენს დანაშაულებრივ შემოსავალს. როდესაც მტკიცდება, რომ ქონება არის დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავალი. ამასთან, არ უნდა იყოს აუცილებელი, პირი იყოს ნასამართლავი დანაშაულისთვის.³⁴

³³ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 29.

³⁴ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 38.

როგორც ვხედავთ, არაა აუცილებელი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას წინ უძღოდეს ნასამართლობა წინარე (პრედიკატული) დანაშაულისათვის. მთავარია, საქმეში არსებობდეს მტკიცებულებები, რომ ქონება დანაშაულის შედეგადაა მიღებული.

ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ქვეყნებში, სადაც ამ დანაშაულის საგნად აღიარებულია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავალი. რაც შეეხება საქართველოს, აქ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად ასევე აღიარებულია დაუსაბუთებელი ქონება, რის გამოც წინარე დანაშაულის ჩადენის მტკიცების საკითხი ნაკლებ მნიშვნელობას იძენს.

FATF-ის რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ფულის გათეთრების დანაშაული არ ვრცელდება პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ძირითადი დანაშაული, თუ ამას მოითხოვს მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფუნდამენტური პრინციპები.³⁵

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანას, რომელმაც არ ისარგებლა ამ უფლებით. შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი არის არა მხოლოდ მესამე პირი, არამედ წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენიც.

1.13. განსაზღვრული პირებისა და ორგანიზაციების ფონდების ან სხვა აქტივების გაყინვა ან მასში ჩარევის უფლების აკრძალვა

ქვეყნებმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე შესაძლოა გაყინონ ქვეყნის შიგნით არსებული ყველა დანიშნული პირებისა და პირების სახსრები ან სხვა აქტივები.³⁶

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსკ 194¹ მუხლით აკრძალულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება.

³⁵ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 39.

³⁶ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 47.

1.14. ინტერპრეტიული შენიშვნა მე-8 რეკომენდაციაზე

(არაკომერციული ორგანიზაციები)

FATF-ის რეკომენდაციებში განსაზღვრული ადგილი უჭირავს არასამთავრობო ორგანიზაციათა საკითხს.

ტერორისტული დაფინანსების წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო კამპანიამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ტერორისტები და ტერორისტული ორგანიზაციები იყენებენ სექტორის ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას სახსრების მოსაზიდად და გადასატანად, ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ტერორისტების რეკრუტირების წახალისებისთვის ან სხვაგვარად მხარდასაჭერად ტერორისტულ ორგანიზაციებსა და ოპერაციებში. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ტერორისტები ქმნიან მოჩვენებით საქველმოქმედო ორგანიზაციებს ან მონაწილეობენ თაღლითური თანხების მოძიებაში ამ მიზნებისთვის. ეს კი, არა მხოლოდ ხელს უწყობს ტერორისტულ საქმიანობას, არამედ ძირს უთხრის დონორთა ნდობას და საფრთხეს უქმნის არასამთავრობო ორგანიზაციების მთლიანობას.³⁷

1.15. დისემინაცია, გავრცელება

FIU-ს უნდა შეეძლოს სპონტანურად და მოთხოვნის საფუძველზე გაავრცელოს ინფორმაცია და მისი ანალიზის შედეგები შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში. გავრცელებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო და დაცული არხები.

სპონტანური გავრცელება: FIU-ს უნდა შეეძლოს ინფორმაციისა და მისი ანალიზის შედეგების გავრცელება კომპეტენტურ ორგანოებში, როდესაც არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორისტული დაფინანსების შესახებ ეჭვის შეტანის საფუძველი.³⁸

³⁷ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 58.

³⁸ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 102.

1.16. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სხვა წყაროებიდან, ინფორმაციული უსაფრთხოება და კონფიდენციალობა

FIU-ს მიერ მიღებული, დამუშავებული, შენახული ან გავრცელებული ინფორმაცია უსაფრთხოდ უნდა იყოს დაცული, გაცვლილი და გამოყენებული მხოლოდ შეთანხმებული პროცედურების, პოლიტიკისა და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. მაშასადამე, FIU-ს უნდა ჰქონდეს წესები, რომლებიც არეგულირებს ასეთი ინფორმაციის უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას, მათ შორის დამუშავების, შენახვის, გავრცელებისა და დაცვის პროცედურებს. ისევე როგორც ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. FIU-მ უნდა უზრუნველყოს, რომ მის თანამშრომლებს ჰქონდეთ უსაფრთხოების საჭირო დონე და გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა ფაქიზი (სენსიტიური) და კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებაში.³⁹

1.17. სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების პასუხისმგებლობა - ინტერპრეტიული შენიშვნა 30-ე რეკომენდაციის მიმართ

FATF-ის რეკომენდაციების მიხედვით, „ფინანსური გამოძიება“ ნიშნავს კრიმინალურ აქტივობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხების გამოძიებას, რათა მოხდეს:

- კრიმინალური ქსელების მასშტაბის და/ან კრიმინალის მასშტაბის იდენტიფიცირება;
- დანაშაულის, ტერორისტული ფონდების ან სხვა აქტივების იდენტიფიცირება და მიკვლევა, რომელიც ექვემდებარება ან შეიძლება გახდეს კონფისკაცია; და
- მტკიცებულებების შემუშავება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის პროცესში.⁴⁰

FATF-ის რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს ე.წ. „პარალელურ ფინანსური გამოძიება“-ზე, რაც გულისხმობს ფინანსური გამოძიების ჩატარებას ფულის

³⁹ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 102.

⁴⁰ International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 104.

გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და/ან ძირითადი დანაშაულის (ტრადიციული) სისხლის სამართლის გამოძიების პარალელურად. წინარე დანაშაულების გამომძიებლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, განაგრძონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ნებისმიერი დანაშაულის გამოძიება პარალელური გამოძიების დროს, ან უნდა შეეძლოთ, გადასცენ საქმე სხვა უწყებას, რათა შემდგომში გაგრძელდეს ასეთი გამოძიება.⁴¹

**1.18. ნაღდი ფულის კურიერები-ინტერპრეტიული შენიშვნა 32-ე რეკომენდაციაზე.
სისტემების ტიპები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ფულადი კურიერების
საკითხის მოსაგვარებლად**

ქვეყნებმა შეიძლება შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები 32-ე რეკომენდაციითა და წინამდებარე ინტერპრეტიული შენიშვნით, ერთ-ერთი შემდეგი ტიპის სისტემის დანერგვით:

1. **დეკლარირების სისტემა** (იგი შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი).⁴² ზეპირი დეკლარირების დროს მოგზაურებს სთხოვენ, აირჩიონ „წითელი არხი“ (საქონელი დეკლარირებული) და „მწვანე არხი“ (დეკლარირებული არაფერია). ამ დროს წერილობითი მოხსენების გაკეთება მოეთხოვება საბაჟო თანამდებობის პირს;⁴³
2. **გამჟღავნების სისტემა** - ქვეყნებს შეუძლიათ აირჩიონ სისტემა, რომლის მიხედვითაც მოგზაურებს მოეთხოვებათ ხელისუფლებას მოთხოვნისთანავე მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ სისტემებში მოგზაურებს არ მოეთხოვებათ, გააკეთონ წინასწარი წერილობითი ან ზეპირი დეკლარაცია.

⁴¹ იხ. იქვე, გვ. 104.

⁴² მათი არსის შესახებ იხ. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 106.

⁴³ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 106-107.

პრაქტიკაში, მოგზაურებს მოეთხოვებათ კომპეტენტური ორგანოებისთვის ჭეშმარიტი პასუხის გაცემა მოთხოვნისთანავე.⁴⁴

სანქციები

ის პირები, რომლებიც აკეთებენ ცრუ ან ყალბ განცხადებას/გამჟღავნებას,⁴⁵ უნდა დაექვემდებარონ ეფექტურ, პროპორციულ და დამაბრკოლებელ სანქციებს, იქნება ეს სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული. კერძოდ, FATF-ის მე-4 რეკომენდაციის შესაბამის ისეთ ზომებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის ასეთი ვალუტის ან BNI-ების კონფისკაციას.⁴⁶

1.19. ურთიერთსამართლებრივი დახმარება: გაყინვა და კონფისკაცია- ინტერპრეტული შენიშვნა 38-ე და მე-40 რეკომენდაციაზე

ქვეყნებმა უნდა განიხილონ ჩამორთმეული აქტივების ფონდის შექმნა, რომელშიც კონფისკირებული მთელი ქონება ან მისი ნაწილი განთავსდება.⁴⁷

ზედმეტად შემზღუდავი ზომები - ქვეყნებმა არ უნდა აკრძალონ ან დააწესონ არაგონივრული ან ზედმეტად შემზღუდაველი პირობები ინფორმაციის გაცვლის ან დახმარების გაწევაზე. კერძოდ, კომპეტენტურმა ორგანოებმა არ უნდა თქვან უარი დახმარების თხოვნაზე იმ მოტივით, რომ:

ა) მოთხოვნა ასევე განიხილება ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებით; და/ან

ბ) კანონები ფინანსურ ინსტიტუტებს ან DNFBP-ებს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოძიებული შესაბამისი ინფორმაციის მიმართ მოქმედებს სამართლებრივი პრივილეგია ან იურიდიული პროფესიული საიდუმლოება) მოითხოვს, დაიცვან საიდუმლოება ან კონფიდენციალობა; და/ან

⁴⁴ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 107.

⁴⁵ მათი არსის შესახებ, იხ. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 108.

⁴⁶ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 108.

⁴⁷ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 109-110.

გ) მოთხოვნის მიმღებ ქვეყანაში მიმდინარეობს გამოძიება, ან საქმისწარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დახმარება ხელს შეუშლის ამ გამოძიებას, გამოძიებას ან წარმოებას; და/ან

დ) მომთხოვნი კოლეგა ორგანოს ბუნება ან სტატუსი (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სამართალდამცავი და ა.შ.) განსხვავებულია მისი უცხოელი კოლეგისგან.⁴⁸

1.22. სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლა

სამართალდამცავ ორგანოებს უნდა შეეძლოთ, გაცვალონ შიდა ხელმისაწვდომი ინფორმაცია უცხოელ კოლეგებთან სადაზვერვო ან საგამომიებო მიზნებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, მათ შორის დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და ხელსაწყოების იდენტიფიკაციასთან.

სამართალდამცავ ორგანოებს უნდა შეეძლოთ, შექმნან ერთობლივი საგამომიებო ჯგუფები ერთობლივი გამოძიების ჩასატარებლად და, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნებმა უნდა დასახონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ ასეთი ერთობლივი გამოძიებები. ასევე უნდა შეეძლოთ, მოუწოდონ ქვეყნებს, შეუერთდნენ და მხარი დაუჭირონ AML/CFT სამართალდამცავ ქსელებს და განავითარონ ორმხრივი კონტაქტები უცხოელ სამართალდამცავ ორგანოებთან, მათ შორის მეკავშირე ოფიცრების საზღვარგარეთ განთავსებით, რათა ხელი შეუწყონ დროულ და ეფექტურ თანამშრომლობას.⁴⁹

⁴⁸ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 110.

⁴⁹ შეად. International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation **The FATF Recommendations**, Adopted by the FATF plenary in February, 2012, Updated October 2020, p. 113-114.

**2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობის საკითხი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული
ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის შესაბამისად**

ეს კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო აქტს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. FATF-ის ჩამოყალიბების მიზანი იყო, შეემუშავებინა დამატებითი ღონისძიებები, 1998 წლის ამ კონვენციის ვალდებულებათა შესასრულებლად.⁵⁰

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გაეროს ეს კონვენცია მრავალ საინტერესო რეგულაციას მოიცავს. იგი ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, დანაშაულად გამოცხადდეს არა მხოლოდ ნარკოტიკის ბრუნვასთან უშუალოდ დაკავშირებული ქმედებები, არამედ მისგან გამომდინარე შემდგომი ქმედებებიც, რომელიც ჩადენილია განზრახ. კერძოდ:

საკუთრების გადაცემა ან კონვერსია, თუკი ცნობილია, რომ ამგვარი საკუთრება მიღებულია ამა თუ იმ სამართალდარღვევის შედეგად, ან ამგვარ სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად, საკუთრების უკანონო წარმომავლობის დაფარვის ან შენიღბვის მიზნით, ან ამგვარი სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების ჩადენაში მონაწილე პირისთვის საკუთარ ქმედებათა სამართლებრივი შედეგების თავიდან აცილებაში ხელის შეწყობის მიზნით;

საკუთრების ჭეშმარიტი ხასიათის, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის გზის, გადაადგილების, მასზე უფლებების ან მისი მფლობელობის დაფარვა ან შენიღბვა, თუკი ცნობილია, რომ ამგვარი საკუთრება მიღებულია სამართალდარღვევის შედეგად, ან ამგვარ სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად;

ქვეყნის კონსტიტუციური პრინციპებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი კონცეფციების გათვალისწინებით:

⁵⁰ შეად. მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები საქართველოში, პროექტის ხელმძღვანელი ნაჭყებია გ., გვ. 743.

საკუთრების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, თუკი ცნობილია, რომ, მიღების დროისათვის, ამგვარი საკუთრება მოპოვებული იყო სამართალდარღვევის შედეგად ან ამგვარ სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად.⁵¹

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილია ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ქონების ლეგალიზაციას და მიმართულია კიდევ აქეთკენ. ეს ქმედებები ემთხვევა საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

უფრო მეტიც, აღნიშნული კონვენციით ასევე იკრძალება სპეციალურ (i და ii) ცხრილში ჩამოთვლილი მოწყობილობის, მასალების ან ნივთიერებების ფლობა, თუკი ცნობილია, რომ ისინი გამოიყენება, ან გამოყენებული უნდა იქნეს ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო კულტივირების, წარმოების ან დამზადებისათვის.⁵²

ეს უკანასკნელი რეგულაცია ხელმომწერ სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს, ამ მოწყობილობისა თუ ნივთიერებების ფლობა დააკვალიფიციროს არა მხოლოდ როგორც ნარკოტიკული დანაშაული, არამედ როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინება.

2.1. ქონების ჩამორთმევა

კონვენციაში სპეციალურადაა გათვალისწინებული ნორმა, რომელიც ეხება ქონების ჩამორთმევის საკითხს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციისას. კერძოდ:

კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს იმგვარი ზომები, როგორიც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რათა მისი კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებელი გახდეს ნარკოტიკული დანაშაულით მიღებული შემოსავლის, საკუთრების, საშუალებების ან ნებისმიერი სხვა საგნების გამოვლენა, კვალის მიგნება და გაყინვა ან დაყადაღება მათი შემდგომი კონფისკაციის მიზნით;

⁵¹ შეად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-3.

⁵² შეად. იქვე, მუხ. მე-3.

თითოეული მხარე თავის სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს აღჭურავს უფლებამოსილებით, გასცენ განკარგულება საბანკო, ფინანსური ან კომერციული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ან დაყადაღების თაობაზე. მხარემ უარი არ უნდა თქვას ამ პუნქტის დებულებათა თანახმად მოქმედებაზე საბანკო საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის მიზეზით.⁵³

2.2. შერეული ქონება

ისევე როგორც ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია, გაეროს განსახილველი კონვენციაც ანალოგიურად წყვეტს კონვერტირებული, გარდაქმნილი და შერეული ქონების საკითხს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას.⁵⁴

კონვენცია (ისევე, როგორც სხვა კონვენციები) ადგენს მტკიცების ტვირთის გადატანის შესაძლებლობას ბრალდების მხრიდან ბრალდებული მხარის მიმართ. კერძოდ: თითოეულ მხარეს შეუძლია განიხილოს შესაძლებლობა, უზრუნველყოს მტკიცების ტვირთის გადატანა იმ სავარაუდო შემოსავლის ან სხვა საკუთრების კანონიერ წარმომავლობასთან მიმართებაში, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება, იმდენად, რამდენადაც ამგვარი ქმედება შეესაბამება მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლო და სხვა პროცედურების ხასიათს.⁵⁵

როგორც ეს უკვე აღინიშნა, საკითხი ეხება დაუსაბუთებელი ქონებას, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანს.

2.3. სამართლებრივი ურთიერთდახმარება

კონვენცია ადგენს, რომ სამართლებრივი ურთიერთდახმარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რომელიმე ქვემოჩამოთვლილი მიზნით, როგორცაა:

a) პირისთვის ჩვენების ჩამორთმევა;

⁵³ შეად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-5, მე-2 და მე-3 ნაწ.

⁵⁴ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-5, მე-6 ნაწ.

⁵⁵ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-5, მე-7 ნაწ.

- b) დოკუმენტის გადაცემა;
- გ) ჩხრეკისა და დაყადაღების წარმოება;
- d) საგნისა და ადგილის დათვალიერება;
- e) ინფორმაციისა და მტკიცებულებითი ერთეულების გადაცემა;
- ვ) შესაბამისი დოკუმენტებისა და ჩანაწერების, საბანკო, ფინანსური, კორპორაციული ან საქმიანი დოკუმენტების ჩათვლით, დედნების ან დამოწმებული ასლების გადაცემა;
- ზ) შემოსავლის, საკუთრების, საშუალებების ან სხვა საგნების გამოვლენა ან კვალის მიგნება მტკიცებულებითი მიზნებისათვის.

მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს აღმოუჩინონ ნებისმიერი სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთდახმარება, რომელიც ნებადართულია მოთხოვნის მიმღები მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

მოთხოვნის საფუძველზე, მხარეები შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა და მიღებული პრაქტიკის შესაბამისობის მხედველობაში მიღებით, შესაძლებლად მიიჩნევენ პირების დასწრებას, პატიმრობაში მყოფ პირთა ჩათვლით, რომლებიც დათანხმდებიან გამოძიებისთვის დახმარების გაწევაზე ან სასამართლო განხილვებში მონაწილეობაზე.

მხარემ უარი არ უნდა თქვას ამ მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე საბანკო საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის მიზეზით.⁵⁶

კონვენციით ასევე დადგენილია სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარის თქმის საფუძველები (თუ მოთხოვნის მიმღები მხარე თვლის, რომ მოთხოვნის შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს; თუ მოთხოვნა არაა გაკეთებული ამ მუხლის დებულებათა თანახმად; თუ მოთხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება მოთხოვნის მიმღები მხარის სამართლებრივი სისტემის პრინციპებს და სხვ). ამასთან, უნდა დასახელდეს სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე ნებისმიერი უარის მიზეზები.⁵⁷

⁵⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-7, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწ.

⁵⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-7, მე-15 და მე-16 ნაწ.

კონვენცია ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობასა და დახმარებას სატრანზიტო სახელმწიფოებისთვის.⁵⁸

აღნიშნული კონვენცია განსაკუთრებულად აღნიშნავს **გარდაქმნილი, კონვერტირებული და შერეული შემოსავლის** საკითხს. კერძოდ:

ა) თუ შემოსავალი გარდაიქმნა ან კონვერტირდა სხვაგვარ საკუთრებად, მაშინ შესაბამისი ზომები გამოიყენება ამგვარი საკუთრების, და არა შემოსავლის მიმართ;

ბ) თუ შემოსავალი შეერია კანონიერი გზით შეძენილ საკუთრებას, ამგვარი საკუთრება, დაყადაღებასთან ან გაყინვასთან⁵⁹ დაკავშირებული ამა თუ იმ უფლებამოსილების გათვალისწინებით, კონფისკაციას ექვემდებარება იმ მოცულობით, რომელიც ამ შერეული შემოსავლის ღირებულების ტოლია.⁶⁰

ამდენად, „ა“ ქვეპუნქტში დადგენილი წესის მიხედვით, შემოსავლის (მაგალითად, ფულის) სხვაგვარ საკუთრებად (ვთქვათ, უძრავ ქონებად) გარდაქმნის ან მისი კონვერტირების (მაგალითად, დოლარის ლარში კონვერტირების) შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი ზომები გამოიყენება იმ საკუთრების მიმართ (ამ შემთხვევაში, უძრავი ქონების ან კონვერტირების დროს ლარის მიმართ), რითაც გარდაიქმნა ან კონვერტირდა შემოსავალი.

ხოლო „ბ“ ქვეპუნქტში დადგენილი წესის მიხედვით, როცა უკანონო ქონების ლეგალიზაციის მიზნით იგი შეერევა კანონიერ ქონებას, ამ დროს მთლიანი ქონება არ გადაიქცევა უკანონო შემოსავლად. შესაბამისად, კონფისკაციას ექვემდებარება არა მთლიანი ქონება, არამედ მისი მხოლოდ უკანონო ნაწილი, ანუ მხოლოდ უკანონო ქონების ღირებულების ტოლი შემოსავალი. მაგალითად, თუკი პირმა 200 ათასი აშშ დოლარის უკანონო შემოსავალი მისი ლეგალიზაციის მიზნით შეურია 1 000 000 აშშ

⁵⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-5.

⁵⁹ „გაყინვა“ ან „დაყადაღება“ ნიშნავს საკუთრების გადაცემის, კონვერსიის, განკარგვის ან გადატანის დროებით აკრძალვას, ანდა მის დროებით შესანახად მიღებას ან კონტროლის ქვეშ აყვანას სასამართლოს ან კომპეტენტური ორგანოს დადგენილების საფუძველზე. იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. პირვ.

⁶⁰ შეად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მე-5 მუხ.

დოლარს, რაც კანონიერად იყო მოპოვებული, კონფისკაციას დაექვემდებარება მხოლოდ 200 ათასი დოლარის ღირებულების ქონება.

გაეროს ეს კონვენცია შესაბამის ადგილს უთმობს **სამართლებრივი ურთიერთდახმარების საკითხს**. კერძოდ, მხარეები, ამ მუხლის მიხედვით, ერთმანეთს აღმოუჩენენ მაქსიმალურად ფართო სამართლებრივ ურთიერთდახმარებას გამოძიებათა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვათა ჩატარებაში.⁶¹

საგულისხმოა კონვენციით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთდახმარების ის ნაწილი, რაც მიმართულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ: მხარემ უარი არ უნდა თქვას ამ მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე საბანკო საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის მიზეზით.⁶²

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად (2005 წელი, ვარშავა)

ეს კონვენცია პირდაპირ კავშირშია საკვლევ თემასთან. სხვა საკითხებთან ერთად, კონვენცია მოიცავს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებას. ასე მაგალითად, „შემოსავალი“ ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილ ან მიღებულ ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს.

რაც შეეხება ქონებას, იგი მოიცავს ნებისმიერი სახის ქონებას, ქონებრივს ან არაქონებრივს, მოძრავს ან უძრავს, ან იურიდიულ აქტებს ან დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ ქონებაზე უფლებას ან წილს.⁶³

⁶¹ იხ. გაეროს 1988 წლის კონვენციის მე-7 მუხ.

⁶² გაეროს 1988 წლის კონვენციის მე-7 მუხლის მე-5 ნაწ.

⁶³ ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, მუხლი პირველი.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა კონვენციით აღიარებულ ამ განმარტებას?

ა) როგორც ვნახეთ, კონვენციის მიხედვით შემოსავალი მიღებული უნდა იყოს დანაშაულიდან, ანუ სახეზე უნდა იყოს წინარე (პრედიკატული) დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის მიხედვით დანაშაულის საგნად მიჩნეულია არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის გზით, არამედ ნებისმიერი უკანონო ქმედების გზით მიღებული შემოსავალი. უფრო მეტიც, დანაშაულის საგნად დაუსაბუთებელი ქონებაც გვევლინება.⁶⁴

ამდენად, საქართველოს კანონმდებელმა გააფართოვა უკანონო ქონების არსი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ზოგადად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნას, რადგან მთავარია, კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფომ დანაშაულთან ბრძოლისათვის არ დაადგინოს კონვენციის მიერ დაწესებულ სტანდარტთან შედარებით ნაკლები სტანდარტი;

ბ) კონვენციის მიხედვით, შემოსავალი უნდა მოიცავდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილ ან მიღებულ ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს, ხოლო „ქონება“ მოიცავს ნებისმიერი სახის ქონებას, ქონებრივს ან არაქონებრივს, მოძრავს ან უძრავს, ან იურიდიულ აქტებს ან დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ ქონებაზე უფლებას ან წილს.

ამ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება კონვენციით დადგენილ სტანდარტს. კერძოდ, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის მიხედვით, უკანონო ქონებად ითვლება არა მხოლოდ ქონება, არამედ აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი).

განსახილველი კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე ავალდებულებს, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაძლებელია აუცილებელი გახდეს, იმისათვის, რომ მას მიეცეს შესაძლებლობა, კონფისკაცია გაუკეთოს იმ საშუალებებს, შემოსავალს ან ქონებას, რომელთა ღირებულებაც შეესაბამება ამ შემოსავალს და გათეთრებულ ქონებას.⁶⁵

⁶⁴ რამდენად სამართლიანია დაუსაბუთებელი ქონების შემოღება დანაშაულის საგნად, ამ საკითხზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც მოცემულია სსკ 194-ე მუხლის ანალიზი.

⁶⁵ იხ. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, მე-3 თავის მე-3 მუხლის პირვ. ნაწ.

როგორც ვხედავთ, კონვენციის მიხედვით, ჩამორთმევას ექვემდებარება ის შემოსავალი, თუ ქონება, რომლის ღირებულება შეესაბამება წინარე უკანონო ქმედებით მიღებულ შემოსავალს ან გათეთრებულ ქონებას და არ უნდა აღემატებოდეს მას, რაც საკითხის სამართლიანი გადაწყვეტაა.

კერძოდ, იმ შემოსავლის თუ ქონების ჩამორთმევა, რომლის ღირებულება შეესაბამება წინარე უკანონო ქმედებით მიღებულ შემოსავალს, მაშინ უნდა მოხდეს, როცა დადასტურებულია წინარე (პრედიკატული) დანაშაული და ამ გზით მოპოვებული ქონების არსებობა. ხოლო როცა სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თუმცა იგი მოპოვებულია არა წინარე დანაშაულის ჩადენის გზით, არამედ სხვა სახის უკანონო ქმედებით, ანდა სახეზეა დაუსაბუთებელი ქონება, მაშინ ჩამორთმეული ქონების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს გათეთრებული ქონების ღირებულებას.

3.1. მუხლი 5

კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაყადაღება და ქონების ამოღება (ასევე კონფისკაცია, რაც საქართველოში არაა სასჯელის სახე) უზრუნველყოფილ იქნეს ე.წ. **შერეული ქონების** შემთხვევაშიც. კერძოდ, თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაძლებელია აუცილებელი გახდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაყადაღების, ამოღების და კონფისკაციის ზომები ასევე მოიცავდეს:

- a) ქონებას, რომლადაც გარდაიქმნა ან გადაიქცა ამგვარი შემოსავალი;
- b) კანონიერი წყაროებით შეძენილ ქონებას, თუ შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ შეერია უკანონო ქონებას, შერეული შემოსავლის შეფასებული ღირებულების ფარგლებში;
- გ) დანაშაულებრივი შემოსავლისგან მიღებულ მოგებას ან სხვა სარგებელს, ქონებას, რომლიდანაც გარდაიქმნა ან გადაიქცა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი ან ქონებას, რომელსაც შეერია შერეული შემოსავლის შეფასებული ღირებულების ფარგლებში, იმავე გზით და იმავე ზომით, როგორც შემოსავალი.⁶⁶

⁶⁶ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მუხლი მე-5.

როგორც ვხედავთ, კანონიერად მოპოვებულ ქონებასთან უკანონო ქონების შერევის შემთხვევაში, ამოღებას ექვემდებარება არა მთლიანი ქონება, არამედ ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რაც უკანონო გზითაა მოპოვებული. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს. მართალია, პირი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის იყენებს კანონიერი გზით მოპოვებულ ქონებას (რომელშიც ურევს უკანონო შემოსავალს), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქონება, რომელშიც გაურიეს უკანონო შემოსავალი, კანონიერი გზითაა მოპოვებული. შესაბამისად, იგი არ უნდა დაექვემდებაროს ჩამორთმევას.

3.2. მუხლი 9

შემოსავლების გათეთრების დანაშაულებები

ევროპის საბჭოს ეს განსახილველი კონვენცია თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულებად იქნეს აღიარებული განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

a) ქონების კონვერსია ან გადაცემა, იმის შეგნებით, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს დანაშაულებრივ შემოსავალს, იმ მიზნით, რომ დაფაროს ან შენიღბოს ამ ქონების უკანონო წარმოშობა ან ნებისმიერი პრედიკატული დანაშაულის ჩამდენ პირს აღმოუჩინოს დახმარება, რათა თავი აარიდოს მისი მოქმედებების სამართლებრივ შედეგს;

b) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, ქონების კუთვნილების ან მის ფლობასთან დაკავშირებული უფლებების დაფარვა ან შენიღბვა იმის შეცნობით, რომ ამგვარი ქონება წარმოადგენს დანაშაულებრივ შემოსავალს;

გ) ქონების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, იმის შეცნობით, რომ ქონების მიღების დროს, ასეთი ქონება წარმოადგენდა დანაშაულებრივ შემოსავალს;

დ) ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, გაერთიანება ან შეთქმულება დანაშაულის ჩასადენად, ჩადენის მცდელობა და დახმარების აღმოჩენა, წაქეზება, ხელშეწყობა და რჩევის მიცემა;⁶⁷

როგორც ვხედავთ, განსახილველ კონვენციას სრულად შეესაბამება საქართველოს სს კანონმდებლობა (სსკ 194-ე მ.) არა მხოლოდ ობიექტური მხრივ, არამედ ქმედების ალტერნატიულ მიზანშიც, რითაც გაკეთებულია მინიშნება იმაზე, რომ შესაძლებელია, ამ დანაშაულის სუბიექტად ვალიაროთ წინარე დანაშაულის ჩამდენიც.⁶⁸

ამასთან ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ უნდა დაისაჯოს ისიც, ვინც გაერთიანდება სხვა პირთან ამ დანაშაულის ჩასადენად (ანუ მომზადების სტადია), მისი მცდელობა ან მასში ნებისმიერი თანამონაწილეობა (თუნდაც რჩევის მიცემა ფულის გათეთრებისთვის).

ყურადღებას იპყრობს განსახილველი კონვენციის ის ნაწილი, რითაც განსაზღვრულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტის საკითხი და მისი კავშირი წინარე (პრედიკატულ) დანაშაულთან. კერძოდ, მასში ნათქვამია:

ამ მუხლის 1-ლი პუნქტის განხორციელების ან გამოყენების მიზნებისათვის:

ა) მნიშვნელობა არ აქვს იმას, ექვემდებარებოდა თუ არა პრედიკატული დანაშაულის მონაწილე სისხლის სამართლის იურისდიქციას;

ბ) შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ 1-ლ პუნქტში განსაზღვრული დანაშაულებები არ ეხება იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს პრედიკატული დანაშაული;⁶⁹

როგორც ვხედავთ, ამ დანაწესით ორი საკითხია წამოწეული: ა) პირველი ეხება ფულის გათეთრების სამართლებრივ კავშირს წინარე დანაშაულთან და ბ) ხოლო მეორე ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტს.

ა) პრედიკატულ დანაშაულთან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კავშირი მრავალმხრივ საინტერესო საკითხია, რომელსაც წმინდა დოგმატურთან ერთად დიდი

⁶⁷ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მუხლი მე-9.

⁶⁸ სსკ 194-ე მუხლის სუბიექტზე და ალტერნატიულ მიზანზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის შემდეგ თავში, რომელიც შეეხება ამ მუხლის სს-ივ ანალიზს.

⁶⁹ ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მე-9 მუხლის მე-2 ნაწ.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ისმის კითხვა: ფულის გათეთრებისთვის სს-ვი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად რამდენად აუცილებელია, წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენიც (როცა საქმეში დადგენილია ასეთი პირი) დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ფაქტი, რომ წინარე დანაშაული ძირითადია, ხოლო ფულის გათეთრება - მასზე დამოკიდებული (არაძირითადი), ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი დანაშაულისათვის სს-ვი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებამ ასევე უნდა გამოიწვიოს არაძირითადი (დამოკიდებული) დანაშაულისათვის სს-ვი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება? დასმული კითხვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა სახეზეა საქართველოს სსკ 71-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.⁷⁰

საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენისთვის მოვიყვანოთ მაგალითი:

ირაკლიმ და სანდრომ 2010 წლის 12 თებერვალს, წინასწარ შეთანხმებით, თაღლითობის გზით დიდი ოდენობით ფულის (რამდენიმე ასეული ათასი ლარის) დაუფლება მოახერხეს. ამ ქმედების ჩადენიდან 10 წლის შემდეგ (2020 წლის 20 მაისს), როცა იფიქრეს, რომ ეს ფაქტი უკვე დავიწყებას იყო მიცემული, გადაწყვიტეს ამ თანხის გათეთრება და შეუდგნენ შესაბამის ქმედებას. კერძოდ, ჯერ დააქუცმაცეს იგი და სხვადასხვა ქვეყანაში ცრუმაგიერი პირის სახელით შეიძინეს უძრავი ქონება. შემდეგ ეს ქონება ამავე ცრუმაგიერი პირის სახელით გაიყიდა, ხოლო მიღებული თანხა 2021 წლის 11 ივნისს გადაირიცხა ირაკლისა და სანდროს მიერ დაფუძნებული შპს-ს ანგარიშზე, როგორც თითქოს გაწეული მომსახურების საფასური, რა დროსაც ისინი მხილებულ იქნენ. ამდენად, 2020 წლიდან განხორციელებულ ფულის გათეთრებისკენ მიმართულ ამ ქმედებებს ერთ წელზე მეტი დრო დასჭირდა.

როგორც ვხედავთ, 2010 წელს ჩადენილი ჯგუფური და დიდი ოდენობით თაღლითობის დამთავრების შემდეგ, სანამ დაიწყებოდა ამ დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაცია, გავიდა 10 წელზე მეტი დრო. სსკ 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით (თაღლითობა დიდი ოდენობით) გათვალისწინებული

⁷⁰ ხანდაზმულობის ვადის სისხლისსამართლებრივი ბუნების შესახებ, იხ. ბიქია შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2010, გვ. 14-124; ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 672-674.

დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელია თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. შესაბამისად, იგი არის მძიმე კატეგორიის დანაშაული.⁷¹

სსკ 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვ-ის მიხედვით, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 10 წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ირაკლი და სანდრო შეუდგნენ მათ მიერ ჩადენილი წინარე დანაშაულის გზით მოპოვებული ფულის გათეთრებას, წინარე დანაშაულისთვის სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო. შესაბამისად, მათ უკვე არ დაეკისრებათ სს-ვი პასუხისმგებლობა ჩადენილი თაღლითობისათვის (თუ თავად არ მოითხოვენ საქმის წარმოების გაგრძელებას).

სწორედ აქ ისმის კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თაღლითობის ჩამდენთ ასევე არ უნდა დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, როგორც არამირითადი (დამოკიდებული) დანაშაულისათვის? თუკი ძირითადად (პრედიკატულმა) დანაშაულმა უკვე დაკარგა დანაშაულებრივი მნიშვნელობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რატომ არ უნდა დაკარგოს ასეთივე მნიშვნელობა მასზე დამოკიდებულმა დანაშაულმაც?

მართლაც, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის დანაშაული, რომელზეც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ იგი აქცესორული ბუნებისაა - რომ არ არსებობდეს წინარე უკანონო ქმედება (რის საშუალებითაც მოპოვებულია ქონება), არც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია იარსებებდა.

მართალია, ეს კითხვა ლოგიკურად ჩნდება, მაგრამ მასზე მაინც უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს არაერთი საფუძვლით:

1. განსხვავებულია ფულის გათეთრებისა და პრედიკატული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის სახეობითი ობიექტები.⁷² თუ ზემოთხსენებულ მაგალითში წინარე

⁷¹ დანაშაულის კატეგორიის შესახებ, იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 211-214; ლეკვიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 127-130; ტყემელიაძე გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბ. 2007, გვ. 58-59; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 74-76.

⁷² სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 125-126; ხუროშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბ. 2007, გვ. 110-114.

- დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი იყო საკუთრების უფლება, ფულის გათეთრებისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი არის ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა. რიგ შემთხვევაში გვარეობითი ობიექტიც განსხვავდება ერთმანეთისაგან (მაგალითად, როცა სახეზეა კორუფციული პრედიკატული დანაშაული);
2. განსხვავებულია არა მხოლოდ სს-ვი დაცვის ობიექტი, არამედ ჩადენილი ქმედებებიც - ჯერ ჩადენილი უნდა იყოს წინარე (პრედიკატული) ქმედება, რომლის შედეგადაც მოპოვებულია უკანონო შემოსავალი, ხოლო შემდეგ ადგილი აქვს სულ სხვა ქმედებას, რაც უკვე მიმართულია ამ ქონების გათეთრებისკენ;
 3. როგორც წესი, ამ ქმედებათა სუბიექტებიც არ არიან ერთი დაიგივე პირები;
 4. შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არაა ის დანაშაული, რაც აუცილებლად დანაშაულის დაფარვის კერძო შემთხვევად უნდა განვიხილოთ. სწორედ ამიტომაც სსკ 194-ე მუხლში (ისევე როგორც განსახილველ კონვენციაში) ნათლადაა წარმოჩენილი ამ დანაშაულის რამდენიმე მიზანი, საიდანაც ერთ-ერთი არის არა მხოლოდ სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარება, არამედ ასევე ამ ქონების უკანონო ან დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვა;
 5. საბოლოოდ, უნდა ითქვას შემდეგი: ის ფაქტი, რომ პრედიკატული დანაშაულის ჩადენიდან გავიდა სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა, არ ნიშნავს იმას, რომ უკანონო ქონებამაც დაკარგა ასეთი შინაარსი და იგი კანონიერ ქონებად იქცა - იგი კვლავ რჩება უკანონო ქონებად და ამდენად, მისი შემდგომი თავისუფლად განკარგვისათვის „ძველი ჭუჭყის“ ჩამორეცხვაა საჭირო;
 6. შესაბამისად, ასეთი „ჭუჭყიანი“ კაპიტალის დაბანდება ეკონომიკაში კვლავ ინარჩუნებს საფრთხის მნიშვნელობას ქვეყანაში სამეწარმეო თუ სხვა ეკონომიკური საქმიანობის მიმართ;
 7. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ფულის გათეთრების საგანი აუცილებლად არაა პრედიკატული დანაშაულის გზით მოპოვებული ქონება. იგი ასევე არის დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც არაა სავალდებულო,

სამართალდარღვევის გზით იყოს მოპოვებული (ამ ქონების არსზე უფრო დეტალურად საუბარი იქნება შემდეგ თავში, სსკ 194-ე მუხლის ანალიზისას);

8. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, როგორც წესი, წინ უძღვის პრედიკატული დანაშაული, იგი მაინც წარმოადგენს გენერალურ დელიქტს (DELIQTYM SIU GENERIS), რომელსაც დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ მოსაზრებას არაპირდაპირ ადასტურებს ამ კონვენციის ერთ-ერთი დებულება, რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პრედიკატული დანაშაულისათვის ნასამართლობა ან ერთდროული მსჯავრდება პრედიკატული დანაშაულებისათვის, არ არის ფულის გათეთრებისათვის მსჯავრდების წინაპირობა. ამასთანავე, აუცილებელი არაა, დადგინდეს, ზუსტად რომელი დანაშაულისაგანაა ეს ფული წარმოშობილი.⁷³

როგორც ვხედავთ, კონვენციაც აღიარებს იმას, რომ ფულის გათეთრებისათვის მსჯავრდება სრულებითაც არაა მიზმი პრედიკატული დანაშაულისათვის მსჯავრდების ფაქტთან.

ბ) რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტითან დაკავშირებულ საკითხს, „ბ“ ქვეპუნქტის ამ დანაწესიდან ირკვევა, კონვენცია უფლებას აძლევს (თუმცა არ ავალდებულებს) ხელმომწერ სახელმწიფოს, პრედიკატული დანაშაულის ჩამდენი პირი არ ჩათვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტად.

ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც წესი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი არის მეამე პირი, რომელსაც შეხება არ ჰქონია პრედიკატულ დანაშაულთან. შესაბამისად, ფულის გათეთრების სუბიექტად მივიჩნევთ მხოლოდ მესამე პირს, თუ ასევე იმას, ვინც ამსრულებლობით, თუ თანამონაწილეობით იყო დაკავშირებული პრედიკატულ დანაშაულთან, ეს საკითხი ცალკეულ სახელმწიფოთა გადასაწყვეტია. იგი უნდა გადაწყდეს კონკრეტული სახელმწიფოს საკანონმდებლო რეალობის გათვალისწინებით.

⁷³ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწ.

თუ როგორც წყდება ეს საკითხი საქართველოში, მასზე საუბარი იქნება ნაშრომის შემდგომ თავში, სადაც გადმოცემულია სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი.

3.3. საზღვარგარეთ ჩადენილი პრედიკატული დანაშაულის შემთხვევა

კონვენციის მიხედვით, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ ფულის გათეთრების პრედიკატული დანაშაულები ვრცელდება იმ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია სხვა სახელმწიფოში, რომელშიც იგი წარმოადგენს დანაშაულს, ამასთან იგი პრედიკატული დანაშაული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ჩადენილ იქნებოდა ქვეყნის შიგნით. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს ასევე ერთადერთ წინაპირობად შეუძლია დაადგინოს, რომ ქმედება ჩაითვლებოდა ძირითად დანაშაულად იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილ იქნებოდა ქვეყნის შიგნით.⁷⁴

როგორც ვხედავთ, კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს აძლევს ორ არჩევანს: ა) პრედიკატულ დანაშაულად ჩათვალონ ის ქმედებაც, რაც განხორციელდა საზღვარგარეთ, როცა ის იმ ქვეყანაშიც დასჯადია ან ბ) პრედიკატულ დანაშაულად ჩათვალონ მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში ჩადენილი დანაშაული.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სპეციალური რეგულაცია, ეს იმას ნიშნავს, რომ სსკ მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, პრედიკატულ დანაშაულად ითვლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედება.⁷⁵

⁷⁴ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მე-9 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწ.

⁷⁵ სსკ მე-4 და მე-5 მუხლების არსთან დაკავშირებით, იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 147-156; ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 41-48; ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 99-107.

3.4. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა

ამ საკითხს საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი კონვენციის ამ თავში. განსაზღვრულია იურიდიული პირისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის წინაპირობები, რაც ემთხვევა საქართველოს სს კანონმდებლობით განსაზღვრულ წინაპირობებს (იურიდიული პირის სასარგებლოდ განხორციელებული ქმედება, შესაბამისი სუბიექტები, მიზანი, პასუხისმგებელი პირის მიერ სათანადო კონტროლის არარსებობის გამო ქმედების განხორციელების შესაძლებლობა და მძიმე შედეგის გამოწვევა, პროპორციული სასჯელების დაწესება ჯარიმის ჩათვლით და ა.შ.).⁷⁶

3.5. საერთაშორისო თანამშრომლობა და დახმარება

კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან გამოძიებისა და სასამართლო განხილვის, ასევე ქონებაზე ყადაღის დადებისა და ამოღების აღსრულების ეტაპზე. ეს უკანასკნელი ამ მოთხოვნებს იმ მოცულობით უნდა დაემორჩილოს, რომ მოთხოვნილი ზომა არ ეწინააღმდეგება მისი სამართლის ძირითად პრინციპებს.⁷⁷

თანამშრომლობაზე უარის საფუძვლები:

კონვენცია ადგენს ურთიერთთანამშრომლობაზე უარის თქმის საფუძვლებსაც. ასეთად მიჩნეულია, მაგალითად, შემთხვევა, როცა: მოთხოვნილი ქმედება ეწინააღმდეგება მოთხოვნის მიმღები მონაწილის სამართლებრივი სისტემის ძირითად პრინციპებს; მოთხოვნის შესრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოთხოვნის მიმღები მონაწილის სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა სასიცოცხლო ინტერესებს; დანაშაული, რომელსაც ეხება მოთხოვნა, არის ფისკალური ხასიათის, გარდა ტერორიზმის დაფინანსების; დანაშაული, რომელსაც ეხება მოთხოვნა, არის პოლიტიკური ხასიათის, გარდა ტერორიზმის დაფინანსებისა; მოთხოვნის მიმღები მონაწილე მიიჩნევს, რომ მოთხოვნის

⁷⁶ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-3, მე-10 მუხლი.

⁷⁷ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-4, ნაწ. პირვ. მე-15 მუხლი.

შესაბამისად ზომების მიღება წინააღმდეგობაში მოვა ne bis in idem პრინციპთან;⁷⁸ დანაშაული, რომელსაც ეხება მოთხოვნა, არ ჩაითვლება დანაშაულად მოთხოვნის მიმღები მონაწილის სამართლის მიხედვით, ჩადენილი რომ ყოფილიყო მისი იურისდიქციის ფარგლებში და სხვ.⁷⁹

⁷⁸ ამ პრინციპის შესახებ, იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვ. თბ. 2019, გვ. 65-67; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 50-53.

⁷⁹ შეად. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, თავი მე-4, ნაწ. პირვ. მე-28 მუხლი.

II თავი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი, ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, 1986 წლამდე არ არსებობდა. ფულის გათეთრება პირველად განისაზღვრა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ 1986 წლის აქტით, რომელიც კოდიფიცირებულია აშშ-ს კოდექსის მე-17 ნაწილის 1956 და 1957 სექციებში.⁸⁰

ამასთან, ცალკეული ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ფულის გარეცხვის ისტორია იწყება მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან, როცა ამერიკის შეერთებული შტატებში ე.წ. „მშრალი კანონის“ ამოქმედების გამო მკვეთრად გაიზარდა ორგანიზებული დამნაშავეობა. კერძოდ, რადგან ე.წ. „მშრალი კანონი“ კრძალავდა ალკოჰოლის თავისუფალ ბრუნვას, ამან სათავე დაუდო ალკოჰოლის მასობრივ კონტრაბანდას (ე.წ. ბუტლეგერობას). ამგვარი უკანონო საქმიანობით მოპოვებული ფული მთელი ქვეყნის მასშტაბით იღებოდა სამრეცხაოების ქსელში, რომელთა ანგარიშებიდან მიღებული შემოსავალი უკვე ლეგალურად გამოიყურებოდა.⁸¹

რაც შეეხება ინგლისს, ფულის გათეთრების დანაშაულები საკანონმდებლო დონეზე პირველად შემოღებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის სისხლის სამართლის კანონისა და ნარკომანიის შესახებ დანაშაულთან დაკავშირებული კანონით 1986 წელს.⁸²

თავად ტერმინი „ფულის გათეთრება“ პრესაში პირველად გამოჩნდა უფრო ადრე - 1973 წელს აშშ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული უოტერგეიტის სკანდალის გამო. გამოვლინდა, რომ საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია ფინანსდებოდა ანონიმური შემოწირულობებით, რომლებიც (როგორც

⁸⁰ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995, s. 3

⁸¹ შეად. მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დამნაშავეობის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2012, გვ. 719.

⁸² Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 10.

შემდგომში გაირკვა) ცრუმაგიერი (ანუ არარსებული) კომპანიებიდან შემოსული ფული იყო.⁸³ ამ საქმესთან დაკავშირებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის საკითხი არ დასმულა, რადგან მაშინ ეს ქმედება არ იყო კრიმინალიზებული.

ფულის გათეთრებიდან გამომდინარე მწვავე პრობლემის გამო, ფინანსური სამოქმედო ჯგუფი ფულის გათეთრების საკითხზე (FATF) შეიქმნა G-7 სამიტის მიერ, რომელიც ჩატარდა 1989 წელს პარიზში. საბანკო სისტემისა და ფინანსური ინსტიტუტებისთვის ფულის გათეთრების საფრთხის აღიარებიდან გამომდინარე, G-7 ქვეყნების ან მთავრობების მეთაურებმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა მოიწვიეს სამუშაო ჯგუფი G-7 წევრი ქვეყნების, ევროკომისიისა და კიდევ რვა ქვეყნისგან. ამ ჯგუფმა სხვა საკითხებთან ერთად მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება მომხმარებლის სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით.

იურიდიულ ლიტერატურაში ფულის გათეთრებად მიიჩნევენ არალეგალურად (ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა, გადასახადების დამალვა და სხვ.) მოპოვებული ქონების გადასვლას ლეგალურ საფინანსო-ეკონომიკურ მიმოქცევაში. „ფულის გათეთრებით“ ხდება ქონების არალეგალური წარმოშობის დამალვა სისხლისსამართლებრივი დევნიდან მაქსიმალურად დაფარული ბიზნეს-ტრანზაქციებით, როგორცაა, მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რითაც იგი გადატანილი იქნება ლეგალურ ეკონომიკურ (სამეურნეო) მიმოქცევაში.⁸⁴

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები

ფულის გათეთრების ხელშემწყობი ფაქტორების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის საჭიროა გავარკვიოთ, თუ რაში გამოიხატება ფულის გათეთრების მეთოდები. იურიდიულ ლიტერატურაში ამ მეთოდების გაგების მნიშვნელობას რამდენიმე კუთხით აფასებენ. **უპირველეს ყოვლისა**, იგი სასარგებლოა პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ფულის გათეთრების ოპერაციული მახასიათებლების გაგებაში

⁸³ შეად. მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დამნაშავეობის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2012, გვ. 720-721.

⁸⁴ Strafrecht – Besonderer Teil II, Straftaten gegen das Vermögen von Prof. Dr. jur. Rolf Schmidt, Hochschule für Angewandete Wissenschaften Hamburg, 19. Auflage 2018, s. 372.

დასახმარებლად; **მეორეც**, ხელს უწყობს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას კრიმინალური დაზვერვის გენერირებისა და ანტიკრიმინალური სტრატეგიის გაძლიერების მიზნით; **მესამე**, ხელს უწყობს ოპერატიული პერსონალის ცოდნისა და უნარის გაზრდას, რათა გამოავლინონ ფულის გათეთრება ან სულ მცირე, გამოავლინონ საექვო ტრანზაქცია მათი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით; **მეოთხე**, ხელს უწყობს ფულის გათეთრების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ძნელია ეფექტურად ებრძოლო ფულის გათეთრებას, თუ არ იცი, ძირითადად როგორ ხდება ეს.⁸⁵

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობ პირობებს შორის იურიდიულ ლიტერატურაში სახელდება რამდენიმე ტიპური პირობა:

აზარტული თამაშების თანამედროვე ქსელები

აღიარებულია, რომ ფულის გამთეთრებლისთვის არსებობს შესაძლებლობა, პროცესის ყველა ეტაპზე გამოყენებულ იყოს აზარტული თამაშები. სათამაშო ინდუსტრია განსაკუთრებით მოწყვლადია ფულის განთავსების ეტაპზე, რადგან ასეთი ფულის წარმოშობის დადგენა ყოველთვის არაა ადვილი. ვინაიდან დისტანციური სათამაშო ინდუსტრიისათვის ელექტრონული გადარიცხვებია საჭირო, ამან შეიძლება ფულის გამწმენდის პიროვნება გამოავლინოს. აქედან ეს ფაქტი კი სტიმულს აძლევს გამთეთრებელს, სანამ გადარიცხავდეს ფულს, ჩაიდინოს სხვა დანაშაული. კერძოდ, პირადობის დოკუმენტის ქურდობამ ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაყალბებამ შეიძლება ფულის გამწმენდს მისცეს საშუალება, ანონიმურად გადაადგილოს დანაშაულებრივი შემოსავალი.⁸⁶

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრება ხშირად დაკავშირებულია დოკუმენტების მისაკუთრებასთან ან მის გაყალბებასთან.

ევროკავშირის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო დირექტივა (ევროკავშირის დირექტივა) ადგენს ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპული ფინანსური სისტემის დაცვას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკისგან და ძირითადად ეფუძნება FATF-ის მიერ მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

⁸⁵ Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, s. 136.

⁸⁶ შეად. Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 8.

ეს სტანდარტი მოითხოვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან, აკრძალოს ფულის გათეთრება და დაავალდებულონ ფინანსური სექტორი, რომელშიც შედიან საკრედიტო ინსტიტუტები, ფინანსური ინსტიტუტები და არაფინანსური ბიზნესის და პროფესიების ფართო სპექტრი (მათ შორის სათამაშო მომსახურება და განსაკუთრებით კაზინოები), შეისწავლონ მათი მომხმარებლები, შეიქმნან შიდა პროცედურები პერსონალის მოსამზადებლად და ფულის გათეთრებისგან თავის დასაცავად.⁸⁷

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის დირექტივაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კაზინოების საკითხზე, რომელთაც ეძლევათ შესაბამისი დირექტივა. კერძოდ, კაზინოს ოპერატორმა უნდა შეაფასოს მისი რისკები ფულის გათეთრებაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში. რისკის შეფასება ემყარება მრავალ კითხვას, მათ შორის:

- ა) რა საფრთხეს ქმნის ბიზნესის პროფილი და მომხმარებელი კაზინოს გამოყენებით?
- ბ) ხომ არ სარგებლობს უცხოეთში მყოფი მომხმარებლების დიდი ნაწილი უცხოური ვალუტით ან საზღვარგარეთ არსებული საბანკო ჩეკით ან სადებეტო ბარათებით?
- გ) კაზინოს მომხმარებლები ხომ არ იყენებენ ის პირები, რომლებიც იკავებენ საჯარო თანამდებობებს სხვა ქვეყნებში, ანუ PEP-ები?

- დ) ხომ არა აქვს მომხმარებელს თანხის მრავალჯერადი ან მუდმივად ცვალებადი წყარო (მაგალითად, მრავალჯერადი საბანკო ანგარიში და ფულადი სახსრები, განსაკუთრებით იქ, სადაც ეს არის სხვადასხვა ვალუტაში ან უჩვეულო ბანკნოტები)?
- ე) დისტანციურ თამაშებთან დაკავშირებით, მომხმარებელი ხომ არ იყენებს გაზიარებულ ინტერნეტ – პროტოკოლის მისამართებს, მიძინებულ ანგარიშებს ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) კავშირებს?⁸⁸

აღიარებულია, რომ ფულის გათეთრების (ასევე ტერორიზმის დაფინანსების) რისკები შეიძლება შეფასდეს მრავალი ფაქტორით. სტანდარტული რისკის კატეგორიები, რომელსაც FATF იყენებს კაზინოებისათვის, ასეთია:

- ქვეყნის ან გეოგრაფიული რისკი
- მომხმარებლის რისკი

⁸⁷ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 9-10.

⁸⁸ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 16-17.

- ტრანზაქციის რისკი.⁸⁹

კაზინოს განსაკუთრებული როლი ფულის გათეთრებაში რამდენიმე ფაქტორითაა ახსნილი: ჯერ-ერთი, რომ კაზინოს გარემოში ბიზნესი ხშირად მიმდინარეობს ჩვეულებრივი სამუშაო საათების შემდეგ; გარდა ამისა, კაზინოში სათამაშო გარიგებები შეიძლება ზოგჯერ უფრო "დაუყოვნებელი" იყოს, ვიდრე, მაგალითად, თანხის შეტანა საბანკო ანგარიშზე, სადაც თანხები შეიძლება მოგვიანებით იქნას გამოტანილი.⁹⁰

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრების საკითხში კაზინოს „უპირატესობა“ ბანკებთან შედარებით, აიხსნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის საჭირო დროის სიმცირით - ფულის გათეთრება შესაძლებელია, განხორციელდეს სწრაფად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისწრაფეს ამ საქმით დაკავებული პირები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ორგანიზებული დანაშაულობებიდან მიღებული შემოსავლები (ნარკოტიკები, აზარტული თამაშები, რეკეტი და პროსტიტუცია) უმეტესად წარმოდგენილია ნაღდი ფულის სახით და ასევე უმეტესად წვრილი კუპიურებით, რომელიც, როგორღაც უნდა შეაპარონ საბანკო სისტემაში, ან ვაჭრობის რეგულარულ დინებაში მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება მისი უსაფრთხოდ დახარჯვა ამ ქვეყანაში, ან სანამ ის გადაეგზავნებათ კრიმინალური იერარქის მიხედვით იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ შემოსავლებიდან მიღებულ წილს, ან მიღებულ შემოსავლებს.⁹¹

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ხელის შეშლის მიზნით, ქვეყნებმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის საფუძველზე, უნდა მოახდინონ ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაცია და დანაშაულად უნდა გამოაცხადონ არა მხოლოდ ტერორისტული აქტების დაფინანსება, არამედ ტერორისტული ორგანიზაციების და ცალკეული ტერორისტების დაფინანსებაც, თუნდაც რაიმე კონკრეტული კავშირი ტერორისტულ აქტთან არ არსებობდეს.

⁸⁹ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 18.

⁹⁰ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 62.

⁹¹ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995, s. 4.

ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი დანაშაულები დასახელდეს, როგორც ფულის გათეთრების ძირითადი დანაშაულები.⁹²

საქართველოს სსკ 331¹ მუხლი სრულად პასუხობს ამ მოთხოვნის იმ ნაწილს, რომლის ძალითაც დანაშაულადაა გამოცხადებული არა მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციის, არამედ ტერორისტისა და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსება მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა სსკ 331¹ მუხლში მითითებული რომელიმე დანაშაული.⁹³

ცნობილია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პირობებს ქმნის ისეთი საკანონმდებლო დანაწესი, რომლითაც არაა დადგენილი ფულადი ბარიერი ერთჯერადი ტრანზაქციისას. გამომდინარე აქედან, ფულის გათეთრების წინააღმდეგ 2013 წლის თებერვალში მიღებული დირექტივის მიხედვით (AMLD), რომლის გამოყენება დიდ ბრიტანეთში 2015/16 წლიდან დაიწყო, დაწესდა ახალი ბარიერი მაღალი ღირებულების საქონლის მოვაჭრეებისთვის, რომლებიც ფულადი გადასახადებით არიან დაკავებული და მოვაჭრეებისათვის, რომლებიც პერიოდულ ოპერაციებს ახორციელებენ. კეძოდ, 7,500 ევროზე მეტი ტრანზაქციების ბარიერის თანხა 15,000 ევროდან შემცირდა 7,500 ევრომდე. ამდენად, დაწესებული ბარიერის განახევრებით, კრიმინალების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდება.⁹⁴

3. ფულის გათეთრების თანამედროვე ხელშემწყობი პირობების ანალიზი

არაფინანსური ბიზნესის ან პროფესიების (DNFBP-ის) მიერ დადგენილი რეგულაციის მიხედვით, კაზინოები უნდა იყვნენ ლიცენზირებული. ამასთან, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ საჭირო იურიდიული და მარეგულირებელი ზომები, რათა თავიდან აიცილონ კრიმინალებისა ან მათთან ასოცირებული პირების მიერ კაზინოში მნიშვნელოვანი ან მაკონტროლებელი ფუნქციის ფლობა, ან იყვნენ ბენეფიციარი მფლობელი, მართონ მენეჯმენტის ფუნქცია ან იყვნენ კაზინოს ოპერატორი.⁹⁵

⁹² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s. 26.

⁹³ იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ 350-354.

⁹⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s. 76.

⁹⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s. 46.

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ის, რომ კრიმინალური ბიზნესით დაკავებული პირები წინასწარვე ქმნიან პირობებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციისათვის, რაც მათ აძლევს დამატებით სტიმულს, თამამად გააგრძელონ და გააფართოვონ კრიმინალური საქმიანობა ახალ-ახალი შემოსავლის მისაღებად. ამიტომ ხშირად ხდება ისე, რომ ისინი თავად ათეთრებენ მათ მიერვე უკანონოდ მოპოვებულ ფულს. ამითაა განპირობებული კომპეტენტურ ორგანოებზე წაყენებული ზემოთ მითითებული მოთხოვნა შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს „მარჯვენა ხელით“ წინარე დანაშაულის ჩადენას, „მარცხენა ხელით“ - მოპოვებული ქონების გათეთრებას მის მიერვე დაარსებული ორგანიზაციის გამოყენებით. ასეთ ორგანიზაციას, როგორც წესი, წარმოადგენს კაზინო, რადგან იგი არის ფულის სწრაფად გათეთრების „საუკეთესო საშუალება“.

POCA აკისრებს იურიდიულ ვალდებულებას სათამაშო ოპერატორებს, იყვნენ ფრთხილად მომხმარებლების მიერ უკანონოდ შეძენილი ფულის მეშვეობით კაზინოში თამაშის მცდელობებზე, რათა სანაცვლოდ მიიღონ ლეგიტიმური ან „სუფთა“ ფული (რითაც ცდილობენ ფულის კრიმინალური წყაროს შენიღბვას), ან უბრალოდ კრიმინალური შემოსავლების გამოყენებისას აზარტული თამაშების დაფინანსებისთვის. ოპერაციის ორივე რეჟიმი აღწერილია, როგორც ფულის გათეთრება.⁹⁶

როგორც ვხედავთ, კაზინო რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება იქცეს ფულის გათეთრების ხელშემწყობ ინსტრუმენტად: ა) როცა უკანონოდ მოპოვებული ფულით ადგილი აქვს თამაშებს, რათა შედეგად მიიღონ „სუფთა“ ფული; ბ) როცა პირი უკანონო შემოსავლით აფინანსებს კაზინოს და ამ გზით ნიღბავს მის უკანონო წარმომავლობას.

4. ტიპოლოგიები და შემთხვევის (ქეისის) შესწავლა

შემთხვევის შესწავლა ასახავს შემდეგ ტიპოლოგიებს: 1) მესამე მხარის დაფინანსება (მათ შორის, ნომინანტებიც); 2) მრავალი NPM ანგარიშის არაპირდაპირი ხასიათის გამოყენება; 3) თანამონაწილე NPM პროვაიდერები ან მათი თანამშრომლები.⁹⁷

⁹⁶ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July, 2016, P. 13.

⁹⁷ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010. P. 36.

ამ ტიპოლოგიების მიხედვით ფულის გათეთრების შემთხვევები პრაქტიკაში გამოვლენილია.⁹⁸

5. რა არის ფულის გათეთრება?

ფულის გათეთრების იდეა პრინციპში მარტივია. პირი, რომელმაც მიიღო უკანონო შემოსავალი, ცდილობს, გადაფაროს მიღებული თანხა ისე, რომ დაფარული იყოს შემოსავლის საწყისი წყარო, რის შედეგადაც იქმნება შთაბეჭდილება, თანხები ლეგიტიმურია. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად შენიღბვას საჭიროებს ფულადი სახსრები, კრიმინალი ეძებს ფულადი სახსრების საფუძველზე ლეგიტიმურ ბიზნესს, რათა მათ შეძლონ შენიღბონ ფულის უკანონოდ მოპოვების წყარო.⁹⁹

ფულის გათეთრების საკითხის განხილვისას, ორი განსხვავებული ხერხია გასათვალისწინებელი. ფულის გათეთრების **პირველი ხერხი** გულისხმობს ბიზნესის გამოყენებას ლეგალური და უკანონო თანხების შერწყმის მიზნით. ხოლო მეორე ხერხი თანხების თავდაპირველი შემოსავლის შენიღბვის ზოგად პროცესს გულისხმობს, რაც უფრო ჩვეულებრივ ხერხად მოიხსენიება.¹⁰⁰

პირველი ხერხის, ანუ ლეგიტიმური და არალეგიტიმური თანხების შერევით, მთელმა თანხამ შეიძლება ლეგიტიმური სახე მიიღოს. ისე გამოჩნდეს, თითქოს თანხები ლეგიტიმური ბიზნესიდან მოდის.¹⁰¹

თუ ბიზნესი ჩვეულებრივ იღებს ნაღდ ფულს, ვთქვათ, კვირაში 20,000 ფუნტ სტერლინგს, ვინმე შეამჩნევს და მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ იგი გაიზარდა 25,000 ფუნტ სტერლინგამდე? ორიგინალი 20,000 გირვანქა სტერლინგი აშკარად ლეგიტიმური ბიზნესია, რომელსაც კანონიერად ახორციელებენ, ხოლო შემდეგი 5,000 გირვანქა სტერლინგი შეიძლება წარმოადგენდეს თანხებს შეუსაბამო წყაროდან, რომელიც ირეცხება ლეგიტიმური ბიზნესის საშუალებით. ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტისთვის ძნელია იმის დადგენა, რომ ფირმას მხოლოდ 20,000 ფუნტი უნდა

⁹⁸ ob. Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010. P. 36, 37.

⁹⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 6.

¹⁰⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 6.

¹⁰¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 6.

ჰქონდეს გამომუშავებული, სინამდვილეში კი 25,000 ფუნტი სტერლინგი აქვს. ასე რომ, ამ ტიპის ფულის გათეთრების ამოცნობა ძალზე რთულია.¹⁰²

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად ფულადი სახსრებით დაფუძნებული ბიზნესი იყო ერთ – ერთი მთავარი მიმართულება, რომელზეც ფულის გამრეცხველები კონცენტრირებულნი იყვნენ თავიანთი სახსრების გათეთრებისთვის. სამრეცხაოს საქმიანობას რომ დავუბრუნდეთ, ეს ფულის გათეთრებისთვის შესაფერისი მანქანის აშკარა მაგალითია. ამდენად, სამრეცხაო ბიზნესის გამოყენება საშუალებას აძლევს კრიმინალს, შენიღბოს საკუთარი სახსრების წყარო ისე, რომ ისინი ფორმალურად ლეგიტიმურ წყაროებად იქცნენ და მათი შემდგომი გამოყენება თავისუფლად გახდეს შესაძლებელი.¹⁰³

ქვემოთ მოცემულია ბიზნესის რამდენიმე სახეობა, რომლებიც გახლავთ დაექვემდებარებული ბიზნესი ფულის გამთეთრებლებისათვის:

- სამრეცხაოები
- გაზეთების გაყიდვები
- ტაქსი
- ბარები და სწრაფი კვების ობიექტები
- კაზინოები
- დაზღვევა
- აქტივების მართვა
- ანტიკვარიატი
- ქონება, საკუთრება, უძრავი ქონება.¹⁰⁴

6. ფულის გათეთრების პროცესი

ფულის გათეთრება, ძირითადად, სამეტაპიანი პროცესია. იგი იწყება დანაშაულებრივი ქმედებით, რომელიც დაკავშირებულია უკანონო სახსრების მოპოვებასთან - დაწყებული ნარკოტიკული დანაშაულებიდან, დამთავრებული გადასახადებისგან თავის არიდებით და კორუფციით. თანხები ჯერ უნდა იქნას მიღებული, შემდეგ კი სისტემაში დანერგილი. ხშირად, სწორედ პირველ ეტაპზე (ანუ

¹⁰² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 6.

¹⁰³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 7.

¹⁰⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 7.

წინარე, ძირითადი ქმედების დროს) აქვთ სათანადო ორგანოებს საუკეთესო შანსი, დაადგინონ სახსრების უკანონობა, რაც გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას. შემდეგ ამ ეტაპს მოსდევს დანაწევრებისა (Layering) და ინტეგრაციის (Integration) ფაზები.¹⁰⁵

6.1. ძირითადი დანაშაულები

თავდაპირველად, ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მიზანი იყო ორგანიზებული კრიმინალებისა და ბანდების საქმიანობის შეზღუდვა და მათი იდენტიფიცირება.¹⁰⁶

სამი ძირითადი მიმართულება, სადაც ფულის გათეთრებისა და აღკვეთის შესახებ კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა ყოფილიყო ეფექტური, იყო:

- ორგანიზებული დანაშაული
- ნარკოტიკებით ვაჭრობა
- ტერორიზმის დაფინანსება.¹⁰⁷

ბოლო პერიოდში ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ წესებისა და რეგულაციების მოქმედების სფერო, რითაც, ფაქტობრივად, გახდა „ყველა დანაშაულის“ კანონმდებლობა, რაც იწვევს დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროების გაფართოებას:

- ძარცვა ან ქურდობა
- შანტაჟი ან გამოძალვა
- მოსყიდვა და კორუფცია
- სხვადასხვა სახის გამომძალველობითი ქმედება
- უკანონო პორნოგრაფია ან სექსუალურ/პორნოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები
- ადამიანით ვაჭრობა
- გადასახადებისგან თავის არიდება.¹⁰⁸

¹⁰⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 7-8; Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 3-4.


¹⁰⁶ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 8.

¹⁰⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 8.

¹⁰⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 8-9.

6.2. ფულის გათეთრების პროცესი

ფულის გათეთრება ზოგადად განიხილება, როგორც სამსაფეხურიანი პროცესი, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 1.1.



სურათი 1.1 ფულის გათეთრების სამეტაპიანი პროცესი

საბანკო სისტემის გამოყენება - იდეა ისაა, რომ საწყისი თანხა საბანკო სისტემაში შედის (განლაგების ეტაპი) და შემდეგ თანხები გადაადგილდება ისე, რომ თანხების საწყისი წყარო შენიღბულია (ფენის ფენა). თანხები საბოლოოდ ინტეგრირებულ იქნება ძირითად საბანკო სისტემაში სუფთა სახსრების სახით (ინტეგრაციის ეტაპი). ეს სამი ეტაპი ცალკე-ცალკე უნდა იქნას განხილული.¹⁰⁹

6.2.1. განთავსების ფაზა

განთავსება არის პროცესის საწყისი ეტაპი. თანხები თავდაპირველად უნდა განთავსდეს საბანკო საქმეში ფულის გათეთრების პროცესის დასაწყებად.

ამ ეტაპის მიზანია დანაშაულებრივი შემოსავლების, ძირითადად ნაღდი ფულის საბანკო ანგარიშზე შეტანა საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ. ამ მიზნის მისაღწევად, ნაღდი ფული შეიძლება გადავიდეს სხვა ფასეულობებში, როგორცაა სავაჭრო საქონელი, ბრილიანტი, ოქროს ზოდები ან ჩეკები. ის ასევე შეიძლება შეიცვალოს სხვა ვალუტაში, უფრო დიდ ნომინალში და/ან გაიყოს მცირე თანხებად, რაც საშუალებას იძლევა ნაღდი კუპიურებით მისი ადვილად ტრანსპორტირებისთვის. ყველა ამ ქმედებისთვის კრიმინალებს შეუძლიათ გამოიყენონ მესამე მხარეები, ფიზიკური პირები ან კორპორაციები.¹¹⁰;

ამდენად, განთავსება ყოველთვის არაა მხოლოდ ფულის გადატანა საბანკო ანგარიშზე, მიუხედავად იმისა, რომ ესაა პროცესი, რომელიც ყველაზე ხშირად განიხილება.

¹⁰⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 15.

¹¹⁰ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 13.

საწყისი განთავსება ნიშნავს მხოლოდ თანხის გადაადგილებას მათი თავდაპირველი ფულადი წყაროდან სხვა ფორმით, რაც საშუალებას მისცემს ფულის გამრეცხავას შემდგომი ფენის (ეტაპის) დაწყებასა და ამ თანხების შენიღბვას.¹¹¹

მაგალითად, ნაღდი ფულის საფუძველზე აუქციონზე ნახატის გაყიდვა ან შეძენა წარმოადგენს ფულის გათეთრებას. ასე რომ, ეს პირველი ფაზა არ არის მხოლოდ ფულადი სახსრების განთავსება საბანკო ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ფენის პირველ ეტაპს, არამედ იგი ასევე არის საექვო აქტივის საწყისი ფორმის სხვა ფორმაში გადატანა.¹¹²

როგორც წესი, ფულის გათეთრება ფოკუსირდება ფინანსური სისტემის სფეროებზე, სადაც, როგორც ჩანს, ყველაზე ნაკლებია აშკარა კონტროლი. ეს იმიტომ ხდება, რომ ინდივიდუალური ან კომპანიის საჭიროება ისეთია, რომ მისი გულმოდგინეობის დონე¹¹³ შეიძლება შემცირდეს, რაც საშუალებას მისცემს ფულის გამთეთრებელს მოგებისთვის.¹¹⁴

როგორც ვხედავთ, ფულის გამთეთრებლები კარგად იყენებენ ე.წ. სპონსორისა თუ ინვენსტორის ინსტიტუტს.

თუ არსებობს ბანკის ფილიალი, რომელზეც, ცნობილია, რომ ზეწოლა ხორციელდება დეპოზიტის გაზრდის მიზნით, მაშინ ფულის გამრეცხველები აქტიურად ეძებენ ასეთ ფილიალს.¹¹⁵

6.2.2. დანაწევრების (Layering) ფაზა

თანხების თავდაპირველი განთავსების შემდეგ, ფულის გათეთრების შემდეგი ეტაპია დანაწევრება - ფენებად დაყოფა. ამ ეტაპის განხორციელების მიზანია შემოსავლის დანაშაულებრივი წარმოშობის დამალვა. აქედან გამომდინარე, ხშირად შესაძლებელია ფულის გადარიცხვა და დაყოფა საბანკო ანგარიშებს, ქვეყნებს, ფიზიკურ პირებს და/ან კორპორაციებს შორის.¹¹⁶ ამდენად, ფენებად დაყოფის მიზანია დანაშაულის შედეგად

¹¹¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 15

¹¹² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 15-16.

¹¹³ იგულისხმება ფინანსების კანონიერი წარმომავლობის დასადგენად გამოჩენილი გულმოდგინეობის დონე.

¹¹⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 16.

¹¹⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 16.

¹¹⁶ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 13.

მიღებული შემოსავლის ისე შენიღბვა, რომ თანხების თავდაპირველი წყარო და ამჟამინდელი მდგომარეობა გაურკვეველი იყოს, იგი „სუფთა“ ქონებად წარმოჩინდეს.¹¹⁷

ფულის გამთეთრებლებმა შესაძლოა, გამოიყენონ კანონიერი ბიზნესი, როგორც ფარი-ფრონტი, ან შესაძლოა, გამოიყენონ „ცრუ მაგიერი კომპანიები - ე.წ. Shell companies“ (კორპორაციები, რომლებიც არსებობენ მხოლოდ ფურცელზე), რომლებიც ხშირ შემთხვევაში დარეგისტრირებული არიან სხვა ქვეყნებში. როდესაც ხდება ლეგალური ბიზნესის არჩევა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმახორციელებლები, უმეტესად ეძებენ ისეთი ბიზნესს, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი ფულადი (cash sales) გაყიდვები და ფულის მაღალი ბრუნვა. მას შემდეგ, რაც არალეგალური შემოსავლები შეერევა სხვა ფულის ნაკადებს, მათი მოძიება ძალზე ძნელია.¹¹⁸

უფრო რთულ სქემებში, ფულის გამრეცხავი პირი რიგი ანგარიშების საშუალებით და სხვადასხვა კომპანიების მეშვეობით თანხებს გადაიტანს სხვა ქვეყნის იურისდიქციაში, რათა უზრუნველყოს „ბილიკის“ მაქსიმალურად გართულება. იგი არსებითად ართულებს (აძნელებს) აუდიტს და ბილიკი წყვეტს კავშირს თავდაპირველ დანაშაულებრივ შემოსავლებთან. ფულის გათეთრების ყველაზე პროფესიონალურ შემთხვევებში, რეალურად შეიძლება განხორციელდეს თანხების ათჯერ ტრიალი საბანკო სისტემაში მის საბოლოო ინტეგრაციამდე.¹¹⁹

ფულის გამთეთრებლები დანაწევრების ფაზის განმავლობაში სხვადასხვა დონის სირთულეს ეჩეხებიან. მაგალითად, ანტიკვარიატი, ნახატები და შტამპები შეიძლება ლეგიტიმურად შეიძინონ კერძო პირებმა. ამრიგად, ამ დროს სახეზეა ფულის გათეთრებისთვის რისკის დაბალი დონე. მათი შემენა შესაძლებელია ანტიკვარულ ბაზრებზე, მაღაზიებში, აუქციონებზე, „ქუჩის ბაზარზე“, ან თუნდაც შეიძლება მიღებული იყოს მემკვიდრეობით, ნაპოვნის ან ნაჩუქარი. ზოგიერთ ამ მარშრუტს თან ახლავს ოფიციალური ჩანაწერები ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, ზოგს კი - არა.

ამდენად, ამ ლეგიტიმურ საქმიანობას შეიძლება არ ახლდეს ჩანაწერები. ეს კი ფულის გათეთრების კარგად დაფარვის გზას წარმოადგენს, რადგან არ დგება დოკუმენტი,

¹¹⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 17.

¹¹⁸ შეად. Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 9.

¹¹⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 17.

რომელიც გამოყენებულ იქნება თუნდაც მცირე მტკიცებულებად იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა ეს აქტივი პირის მფლობელობაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იგი მას მემკვიდრეობით გადაეცა ფაქტობრივი ფლობის საფუძველზე, როდესაც, ფაქტობრივად, იყიდა „ქუჩის ბაზრიდან“ (ე.წ. „რწყილების ბაზარი“).¹²⁰ როგორც ვხედავთ, ამ დროს ქონების წარმოშობაზე დაეჭვებისა და მასზე შედავების ფორმალური საფუძველი არ არსებობს.

6.2.3. ინტეგრაციის ფაზა

ინტეგრაცია ფულის გათეთრების პროცესის ბოლო ეტაპია. ეს არის ეტაპი, სადაც მიღებული შემოსავალი ხელახლა ინტეგრირდება ლეგიტიმურ ფინანსურ სისტემაში, რათა შეერწყას ამ სისტემის სხვა აქტივებს. ფულის გათეთრების მთავარი მიზანი არის სახსრების წარმატებით ინტეგრირება, რათა გაჭირდეს ლეგიტიმური და არალეგიტიმური (დანაშაულებრივი შემოსავლის) სახსრების გარჩევა და შემდეგ ისინი შეძლებენ, გამოიყენონ ისინი ნებისმიერი საჭიროებისათვის.¹²¹

შესაბამისად, ამ ეტაპის მიზანია დანაშაულებრივი შემოსავლისთვის აშკარა სამართლებრივი წარმოშობის ხელოვნურად შექმნა. ეს შეიძლება გაკეთდეს:

- საკუთარ თავთან ბიზნესის კეთება (შემოსავლის წყაროების, კაპიტალის მოგების და/ან სესხების გაყალბება);
- აქტივების საკუთრების შენიღბვა და
- დანაშაულებრივი შემოსავლის გამოყენება მესამე პირებთან გარიგებებში.

ფულის გამთეთრებელი ქმნის ფულის აშკარა ლეგალურ წარმოშობას გაყალბებული ტრანზაქციებით (ინვოისები, ბუღალტრული აღრიცხვა და ხელშეკრულებები), ყალბი და შეთითხნილი დოკუმენტების გამოყენებით, როგორცაა ინვოისები, ანგარიშები, კონტრაქტები, შეთანხმებები, აქტები, აგრეთვე წერილობითი განცხადებები და სხვ.¹²² ქონების დასაბუთების გავრცელებული მეთოდებია:

- სესხის ფაბრიკაცია: სესხი (მისი გაცემა/მიღება);

¹²⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 17.

¹²¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 18.

¹²² Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 13-14.

- საწარმოს კაპიტალის (net worth) ზრდის ფაბრიკაცია: უძრავი ქონების და სხვა ნივთების ყიდვა-გაყიდვის, კაზინოში მოგების, ლატარიის პრიზების, მემკვიდრეობის მიღებისა და სხვა ქმედების ფაბრიკაცია.
- აქტივების და ინტერესების შენიღბვა ბიზნესში (მშენებლობები უცხოურ იურიდიულ პირებთან, მაგ. ოფშორულ კომპანიებთან ან ნათესავებთან, რომლებიც კანონიერად მფლობენ ბიზნესს);
- ფასის მანიპულირება (ზედმეტი და ნაკლები ინვოისირება);
- ბრუნვის/გაყიდვების მანიპულირება შემოსავლის უკანონო და ლეგალური წყაროების შერევით.¹²³

როგორც ვხედავთ, ამით ცალსახადაა ნათქვამი, რომ ფულის გათეთრება გამოიხატება არა მის ხარჯვაში (მოგზაურობა, ქეიფი, დროს ტარებისთვის მისი გამოყენება, პირადი ვალის გადახდა, სხვადასხვა საგნების შეძენა პირადი მიზნით გამოყენებისათვის და ა.შ.), არამედ ლეგალურ ეკონომიკაში მის ინტეგრირებაში, რათა წაიშალოს კვალი და პირმა მომავალში დაუბრკოლებლივ შეძლოს მისი გამოყენება სურვილისამებრ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჭუჭყიანი“ ქონება ჯერ უნდა „გათეთრდეს“, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფალად გამოყენება.

ამასთან, სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ხშირად ისიც ხდება, როცა ფულის გათეთრებელი თავისი გაუმადლობით ბოროტად იყენებს ფულის გათეთრების წარმატებულ სქემებს, რის გამოც ქმედება ფინანსური ინსტიტუტისთვის საეჭვო ხდება და ადგილი აქვს კრიმინალის იდენტიფიცირებას. მაგალითად, მოპოვებული სიმდიდრის თვალსაჩინო ჩვენებამ შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი ან შური.¹²⁴

6.2.4. ინტეგრაციის ყველაზე მისაღები მეთოდები, რომელსაც იყენებენ ფულის გათეთრებლები

აღნიშნული საკითხი მოიცავს შემდეგს:

- თანხების ინტეგრირების ერთ-ერთი მარტივი მეთოდი იყო ფულის გადატანა ლეგიტიმურ ბანკში, სამრეცხაოების მფლობელობაში მყოფი “Shell bank” -დან.

¹²³ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 14.

¹²⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 18.

“Shell bank” - შელ ბანკი ნიშნავს ბანკს, რომელსაც არ აქვს ფიზიკური არსებობა იმ ქვეყანაში, სადაც არის გაერთიანებული და ლიცენზირებული, და რომელიც არ არის დაკავშირებული რეგულირებულ ფინანსურ ჯგუფთან, რომელიც ექვემდებარება ეფექტურ კონსოლიდირებულ ზედამხედველობას.¹²⁵

- ფულის გამთეთრებლებს შეუძლიათ ანონიმური კომპანიების დაფუძნება იმ ქვეყნებში, სადაც საიდუმლოების უფლება გარანტირებულია. ამის შემდეგ მათ საშუალება აქვთ, გაიღონ საკუთარი სესხები გათეთრებული ფულიდან. ფულის გამთეთრებელს შეუძლია გამოიყენოს სადაზღვევო პოლისიც. კერძოდ, ამ ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმებით, გააუქმოს სადაზღვევო პოლისი „პრემიის გადახდის“ შემდეგ. სადაზღვევო კომპანიის მიერ დაბრუნებული პრემია, რა თქმა უნდა, სახსრების გათეთრებაა.

ეს არის მხოლოდ რამდენიმე გზა, რომლითაც აქტივები შეიძლება ინტეგრირდნენ ნორმალურ ეკონომიკაში. ამის მიღწევის შემდეგ, ჩვეულებრივ, გათეთრების ციკლი დასრულებულია და დამნაშავე თავისუფლად იყენებს სახსრებს ნებისმიერი მიზნისთვის.¹²⁶

ამდენად, კიდევ ერთხელ ხაზგასმას გაკეთებული იმაზე, რომ **თავდაპირველად ადგილი უნდა ჰქონდეს** უკანონო ქონების ლეგალიზაციას იმ მიზნით, **რათა შემდგომში** თავისუფლად იქნეს იგი გამოყენებული. ამიტომაც უკანონო ქონებით პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (საცხოვრებელი სახლის, ავტომანქანის შეძენა, ვალის გადახდა, დროსტარება და სხვ.) არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

როცა ვიხილავთ ფულის გათეთრების ფაზებს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მსგავსება ტერორიზმის დაფინანსების ეტაპებთან.

კითხვაზე: რამდენად იდენტურია ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების ეტაპები, ასეთი პასუხია გაცემული:

ზოგადად, დიახ, ისინი იდენტურია, თუმცა განლაგების ფაზაში ტერორიზმის დაფინანსების თანხების მოპოვება შესაძლებელია როგორც ლეგიტიმური, ასევე

¹²⁵

<https://www.fatfgafi.org/glossary/st/#:~:text=Shell%20bank%20means%20a%20bank,management%20located%20within%20a%20country> (31.10.2020 მდგომარეობით)

¹²⁶ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 18-19.

უკანონო საქმიანობიდან. სახსრების წყაროს შენიღბვის მიზნით ფენების დაფარვის მეთოდები იგივეა ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების შემთხვევაში. ინტეგრაციის ფაზაში სახსრები, ტერორისტზე ან ტერორისტულ ორგანიზაციაზე, როგორც წესი, ნაწილდება პირდაპირ ან ირიბად მესამე მხარის მეშვეობით, რათა დაფაროს ბენეფიციარის და ტერორისტული აქტის მხარდაჭერის საბოლოო მიზანი.¹²⁷

6.3. მომხმარებლის კომპლექსური სამართლებრივი შეფასება (Due Diligence) და აღრიცხვა (Record-keeping)

მომხმარებლის კომპლექსური სამართლებრივი შეფასება:

- ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა აუკრძალოს ანონიმური ანგარიშების ან აშკარად გამოგონილი სახელების ანგარიშების შენახვა.
- საფინანსო ინსტიტუტებს უნდა მოთხოვონ მომხმარებელთა სათანადო ყურადღებით შემოწმების (CDD) ზომების მიღება, როდესაც:
 - ა) მყარდება საქმიანი ურთიერთობა;
 - ბ) ხორციელდება პერიოდული გარიგება:
 - (I) მოქმედი დადგენილი ბარიერის ზემოთ (აშშ დოლარი / 15,000 ევრო); ან
 - (II) ეს არის გადარიცხვები ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ გარემოებებში;
 - გ) არსებობს ეჭვი ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების შესახებ; ან
 - დ) საფინანსო ინსტიტუტს ეჭვი ეპარება ადრე მიღებული მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობაში ან ადეკვატურობაში.
- პრინციპი, რომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა ჩაატარონ კლიენტის კომპლექსური სამართლებრივი შემოწმება/შესწავლა (CDD),¹²⁸ უნდა განისაზღვროს კანონში. თითოეულ ქვეყანას შეუძლია განსაზღვროს, თუ

¹²⁷ Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, Protiviti, 2014. p. 13.

¹²⁸ FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 2.

როგორ აკისრებს იგი CDD-ს სპეციფიკურ ვალდებულებებს, როგორც კანონის, ასევე სხვა სახის აღმასრულებელი საშუალებებით.¹²⁹

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ე.წ. shell ბანკები. როგორც აღინიშნა, Shell bank - ესაა ბანკი, რომელიც ფიზიკურად არსად არსებობს, ანუ იგი ვირტუალური ბანკია. შესაბამისად, ურთიერთობის აკრძალვა ასეთ ბანკთან, არსებითად ახალი მოთხოვნაა 2012 წლის რეკომენდაციებისთვის, თუმცა ამგვარი წესები უკვე ოყო იმპლემენტირებული მრავალი იურისდიქციის მიერ.¹³⁰

6.4. არაფინანსური ბიზნესი და პროფესიები (კაზინოები და სხვ.), როგორც ხელშემწყობი ფაქტორები

მომხმარებლის წინასწარი შესწავლა (რეკომენდაცია 12)

- მომხმარებლის წინასწარი შესწავლა და აღრიცხვის მოთხოვნები ვრცელდება აღნიშნულ არაფინანსურ ბიზნესსა და პროფესიებზე (DNFBP) შემდეგ სიტუაციებში:
 - ა) კაზინოები - როდესაც მომხმარებლები ეწევიან ფინანსურ ოპერაციებს, რომლებიც მოქმედებს დადგენილი ბარიერის ტოლი ან მეტი ოდენობით.
 - ბ) უძრავი ქონების აგენტები - როდესაც ისინი მონაწილეობენ თავიანთი კლიენტისთვის გარიგებაში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით.
 - გ) ძვირფასი ლითონების დილერები და ძვირფასი ქვებით მოვაჭრეები - როდესაც ისინი მომხმარებლებთან ახორციელებენ ფულად გარიგებას, რომელიც მოქმედებს დადგენილი ბარიერის ტოლი ან მეტი ოდენობით.
 - დ) იურისტები, ნოტარიუსები, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიონალები და ბუღალტრები - როდესაც ისინი ემზადებიან ან ახორციელებენ გარიგებებს თავიანთი კლიენტებისათვის სხვადასხვა საქმიანობებთან დაკავშირებით.¹³¹

¹²⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 31.

¹³⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 37.

¹³¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 42.

ბევრმა ქვეყანამ რეალურად მიიღო ეს დებულებები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამ დებულებებს ექვემდებარება ბუღალტრული და აუდიტორული ფირმები. მარეგულირებელ ორგანოებს აქვთ საკუთარი წესები, რომლებიც გაცილებით დეტალურადაა მოცემული, ვიდრე მოცემულია ამ რეკომენდაციით, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის FATF წესების ქვესიმრავლე.¹³² შესაბამისად, რა თქმა უნდა, FATF-ის ეს რეკომენდაციები მიღებული და გათვალისწინებულია საქართველოში.

6.5. ფულადი კურიერები (ხელშემწყობნი ფულის გათეთრებაში)

ქვეყანას მიღებული უნდა ჰქონდეს ზომები ფულის მატარებლის გამოსავლენად. დიდი რაოდენობით ვალუტა აუცილებლად დაიკავებს ადგილს ჩემოდანში და შესაძლებელი იქნება მისი პოვნა, თუმცა პოტენციურად მაინც რთულია. სამახსოვრო ინსტრუმენტები კი, შეიძლება იყოს ერთი ცალი ქაღალდი, რომლის დამალვაც ადვილი იქნება ჩემოდანში ან დიდ ფაილში. თუ, მაგალითად, კორპორატიული ტრენერი სხვა ქვეყანაში პრეზენტაციას ატარებს და უწევს დასარიგებელი დოკუმენტების თან წაღება, რომელიც შეადგენს 600 პოვერ პოინტის სლაიდს 20 დელეგატისათვის, ამან მარტივად შეიძლება შეადგინოს 3000 ცალი ქაღალდის ფურცელი. სრულიად არაპრაქტიკული იქნება, რომ საბაჟო წარმომადგენელმა შეამოწმოს ყველა გვერდის თითოეული მხარე, რათა დარწმუნდეს, რომ არცერთ პაკეტში არ არის დამალული რაიმე ფარულად გადასატანი ინსტრუმენტი.¹³³

6.6. FATF მაღალი რისკის შემცველი ქვეყნები

ქვემოთ ჩამოთვლილ ჩამონათვალში მოცემულია იურისდიქციები, რომლებიც FATF-ს მიაჩნია მაღალ რისკად, AML (ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის) პროცედურებთან შესაბამისობის დონის თვალსაზრისით. სიები შედგენილი და სწორი იყო 2014 წლის მაისის მდგომარეობით. ესენია:

- ირანი
- კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (DPRK).

¹³² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 43.

¹³³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 48-49.

არსებობს ქვეყნები, რომელთა სამართალდამცავი ორგანოებმა ვერ მიაღწიეს საკმარის პროგრესს ხარვეზების აღმოფხვრაში ან არ მიუღიათ FATF-ის შემუშავებული სამოქმედო გეგმა ხარვეზების გამოსასწორებლად. FATF მოუწოდებს თავის წევრ ქვეყნებს, გაითვალისწინონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა თითოეულ ქვეყნით მითითებულ იურისდიქციასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო.

- ალჟირი
- ეკვადორი
- ეთიოპია
- ინდონეზია
- კენია
- მიანმარის
- პაკისტანი
- სირია
- ტანზანია
- თურქეთი
- იემენი¹³⁴

6.7. კაზინოებთან დაკავშირებული პრობლემები

ეს სექცია კი საკმაოდ განსხვავებულია. არსებობს მოთხოვნა, რომ კაზინოს ყველა მომხმარებელი უნდა განისაზღვროს და მათი ვინაობა გადამოწმდეს, თუ ისინი ყიდულობენ ან გაცვლიან სათამაშო ჩიპებს, რომელთა ღირებულებაა 2000 ევრო ან მეტი.

რა თქმა უნდა, კაზინოები შესანიშნავია ფულის გათეთრებისთვის. თქვენ მიგაქვთ ფული კაზინოში და არ არსებობს მიზეზი იმისათვის, რომ ასაბუთოთ, თუ საიდან გაქვთ ის.¹³⁵

¹³⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 54-55.

¹³⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 70-71.

კაზინოებისა და ტრანზაქციის რისკი

კაზინოებმა უნდა გაითვალისწინონ ოპერაციული ასპექტები (პროდუქტები, მომსახურება, თამაშები, ანგარიშები და ანგარიშის საქმიანობა), რომელთა გამოყენება შესაძლებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გასაადვილებლად. გარდა ამისა, სახმელეთო და დისტანციურ კაზინოებს აქვთ შემდეგი პოტენციური გარიგების რისკები:

- **დანაშაულის შედეგად მიღებული თანხა** - არსებობს რისკი, რომ მომხმარებლის მიერ გამოყენებული ფული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად იქნა მოპოვებული, ამიტომ მაღალი მომხმარებლების მიმართ მეტი მონიტორინგის დაწესება ხელს შეუწყობს რისკის შემცირებას;
- **გადარიცხვები მომხმარებელს შორის** - მომხმარებელს შეუძლია გადარიცხოს თანხა ან შეიძლება ისეხოს ფული არატრადიციული წყაროებიდან, სხვა მომხმარებლების ჩათვლით, რაც კრიმინალებს საშუალებას აძლევს, გაათეთრონ ფული კანონიერი ფინანსური სისტემის - კაზინოს მეშვეობით;
- **კაზინოს სადეპოზიტო ანგარიშების გამოყენება** - კრიმინალებს შეუძლიათ გამოიყენონ ანგარიშები დანაშაულებრივი შემოსავლის ჩარიცხვისთვის და შემდეგ თანხები გაიტანონ მცირე ოდენობით ან საერთოდ არ ითამაშონ;
- **განსაკუთრებით დისტანციურ კაზინოებში:**
 - მრავალჯერადი სათამაშო ანგარიში ან საფულე - მომხმარებელს ოპერატორთან შეუძლია გახსნას მრავალი ანგარიში ან საფულე, მათი ოდენობის დაფარვის ან კლიენტის კომპლექსური სამართლებრივი შემოწმების (CDD) ბარიერის თავიდან ასაცილებლად;
 - საბანკო ანგარიშების ცვლილებები - მომხმარებელს შეიძლება ჰქონდეს არაერთი საბანკო ანგარიში და რეგულარულად შეცვალოს ის ანგარიში, რომელსაც ის იყენებს დისტანციური კაზინოს ოპერატორისთვის;
 - ვინაობის გაყალბება - საბანკო ანგარიშების დეტალები შეიძლება მოიპაროს და გამოიყენოს დისტანციურ სათამაშო ვებგვერდზე, ან

მოპარული პირადობა შეიძლება გამოყენებულ იქნას საბანკო ანგარიშების ან დისტანციური სათამაშო ანგარიშების გასახსნელად;

- წინასწარ გადახდილი ბარათები - ეს ბარათები საფრთხეს უქმნის იგივე ფულს, რადგან დისტანციური კაზინოს ოპერატორები ჩვეულებრივ ვერ ასრულებენ ბარათების იმავე დონის შემოწმებებს, როგორც ამას აკეთებენ საბანკო ანგარიშებზე;
- ელექტრონული საფულე - ზოგიერთ ელექტრონულ საფულეში მიიღება ნაღდი ფული დეპოზიტზე ან კრიპტოვალუტა, რაც უფრო მეტ რისკს წარმოადგენს და ზოგიერთ მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული საფულე სათამაშოების შენიღბვის მიზნით;
- თამაშები, რომელშიც ჩართულია მრავალი ოპერატორი - მაგალითად, პოკერის თამაშები ხშირად ტარდება პლატფორმებზე, რომლებსაც რამდენიმე დისტანციური სათამაშო ოპერატორი იზიარებს, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლების მიერ ფულის გათეთრებას.¹³⁶

პროდუქციის რისკი კაზინოებში

არა დისტანციურ კაზინოებში არის უამრავი სათამაშო შესაძლებლობა, რაც ფულის მრეცხველს საშუალებას აძლევს, განათავსოს თანხები და გამოიმუშაოს მოგების ჩეკი მინიმალური თამაშით. ეს მოიცავს ნაღდი ფულისა და კაზინოს ანაზრის ანგარიშების გამოყენებას და ჩიპების გამოსყიდვას. ასევე, მთელი რიგი სათამაშო საქმიანობა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში (და არამარტო კაზინოებში), სადაც მომხმარებლები ეფექტურად თამაშობენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს ფულის გამწმენდს აძლევს შესაძლებლობას, განზრახ წააგოს იმ პირთან, ვისზეც სურთ თანხის გადარიცხვა.¹³⁷

¹³⁶ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, P. 19.

¹³⁷ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, P. 20.

რა შეიძლება იყოს ექვის საფუძველი?

ექვების წამოჭრის რამდენიმე მაგალითი ქვემოთ ჩამოთვლილია, თუმცა ეს არ არის ამომწურავი სია:

- ნარკოტიკებით ვაჭრობაში ნასამართლეს ადამიანი გაათავისუფლეს ციხიდან და დაუყოვნებლივ იწყებს დიდი რაოდენობის ფულით თამაშს. როგორც ცნობილია, იგი არ მუშაობს, ამასთან სხვა მომხმარებლები ინფორმაციას აწვდიან თანამშრომლებს, რომ იგი კვლავ აწვდის მათ ნარკოტიკებს. ეს წარმოშობს ექვს, რომ ის ხარჯავს დანაშაულებრივი საქმიანობით მოპოვებულ თანხას;
- მომხმარებლის მიერ დადებული ფსონები უჩვეულოდ მაღალია. ამ დროს შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, რაც იწვევს ექვს, რომ ის უკანონოდ მოპოვებულ ფულს იყენებს. შესაძლოა, მომხმარებელი ცხოვრობს დაბალფასიან საცხოვრებელში, შემოსავლის ცნობილი წყარო არ არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფულს ხარჯავს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე მისი აშკარა შესაძლებლობებია;
- მომხმარებელი აჩვენებს თამაშების უჩვეულო ფორმებს, თითქმის გარანტირებული მოგებით ან ძალიან მცირე ფინანსური რისკით (ზოგჯერ მრავალი ოპერატორის მეშვეობით).
- მომხმარებელი რეგულარულად თამაშობს დიდ თანხებს და ჩანს, რომ ზარალის დონე მისაღებია. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი შეიძლება ხარჯავდეს დანაშაულის შედეგად მიღებულ თანხას და დანაკარგს ხედავს, როგორც მიღებული თანხის გათეთრების პროცესის მისაღებ შედეგს;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში იზრდება მომხმარებლის ხარჯები, რაც ნიღბავს მაღალ ხარჯვასა და პოტენციურ ფულის გათეთრებას;
- მომხმარებელი ხარჯავს ცოტას, მაგრამ ხშირად. ამასთან, მისი წლიური ჯამური ხარჯები მაღალია. ეს შეიძლება მიუთითებდეს ფულის პოტენციურ გათეთრებაზე;
- მომხმარებელი აჩვენებს ისეთ სათამაშო ფორმებს, სადაც ფულის ხარჯვა დიდი, მაგრამ რისკი დაბალია. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია ფულის გათეთრება ისე, რომ გარანტირებული იყოს მინიმალური ზარალი;

- მომხმარებელი თამაშობს მნიშვნელოვან თანხებს ვალუტაში, ამ ვალუტის წყაროს გონივრული ახსნის გარეშე.¹³⁸

ჩამოთვლილ ხერხთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ხერხი, როცა კაზინოს მომხმარებელი თამაშში ხარჯავს ძალიან დიდი ოდენობის თანხას და წაგებით გამოწვეულ დანაკარგს არაფრად თვლის - მას მიიჩნევს როგორც ფულის გათეთრების პროცესის მისაღებ შედეგს. სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არაა ახსნილი, თუ რატომ ირჩევენ ხოლმე ფულის გათეთრებლები ასეთ გზას, სადაც ძალზე დიდია დანაკარგის რისკი, რადგან დიდი ალბათობით, შეიძლება უმცირესი რაოდენობის ფული დაუბრუნდეს უკან წინარე ქმედების ჩამდენს. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, მან საერთოდ ვერ მოიგოს ვერაფერი კაზინოში თამაშით და მთელი ქონება (რომლის გათეთრებაც სურდა) წააგოს.

როცა კაზინოს იყენებენ ფულის გათეთრებისათვის და დაუსრულებლად თამაშობენ იმის მიუხედავად, რამდენად უმართლებს მოთამაშეს, ამ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე და შესაბამისმა ორგანოებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ ეს საკითხი. კერძოდ: სავარაუდოა, მოთამაშე და კაზინოს მესაკუთრე ერთიდაიგივე პირია - მოთამაშე თამაშობს ფიქტიური სახელითა და გვარით (ცრუმაგიერი პირი). ანდა მოთამაშე და კაზინოს მესაკუთრე ერთმანათთან დაკავშირებული პირები არიან, არიან ახლო ნათესავები (მაგ., ოჯახის წევრები). შესაბამისად, მათი ქონება „განუყოფელია“. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ჩნდება კითხვა:** რა უდგას წინ იმას, რომ პირმა სხვა გზა აირჩიოს ფულის გასათეთრებლად, სადაც უკან დაბრუნებული გათეთრებული ქონების წილი (ანუ ის, თუ უკანონო შემოსავლის რამდენი პროცენტი დაუბრუნდება მას გათეთრებული სახით) მისთვის წინასწარვე იქნება ცნობილი და ეს არ იქნება დამოკიდებული ისეთ შემთხვევით პროცესზე, როგორცაა კაზინოში მოგების შანსი.

ზედამხედველობის გაფართოება, გაღრმავება მესამე დირექტივაში

მესამე დირექტივის მოთხოვნაა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, ფულის გადაცემის ან ფულადი გზავნილების ოფისები, ნდობისა და კომპანიის მომსახურების

¹³⁸ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, P. 58.

მიმწოდებლები და კაზინოები უნდა იყვნენ ლიცენზირებული და რეგისტრირებული თავიანთი ბიზნესის ლეგალურად საქმიანობისთვის.¹³⁹

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სათამაშო სექტორზე (განსაკუთრებით კაზინოზე) ზედამხედველობის საკითხს.

6.8. საკრედიტო ბარათები

საკრედიტო ბარათები არის არაუზრუნველყოფილი სესხის აღების გზა.

ფულის გათეთრების რისკი მეტწილად უკავშირდება იმ წყაროს და საშუალებებს, რომლითაც ხდება ბარათზე სესხის დაფარვა. გადახდები შეიძლება ასევე განხორციელდეს მესამე პირების მიერ. მესამე მხარის ასეთი გადახდები, განსაკუთრებით, თუ ისინი ნაღდი ფულით ან სადებეტო ბარათებით არიან სხვადასხვა ადგილებიდან ან ანგარიშებიდან, წარმოადგენს ფულის გათეთრების რისკის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ბარათის მფლობელის საბანკო ანგარიშიდან შემოტანა ჩეკის ან პირდაპირი დებეტის საშუალებით.¹⁴⁰

6.9. ელექტრონული ფული

ელექტრონული ფული, ისევე როგორც საცალო გადახდის სხვა პროდუქტები, მგრძობიარეა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე. გარდა ამისა, იქ, სადაც ელექტრონული ფული შემოიფარგლება მცირე ღირებულების გადასახადებით, მისი გამოყენება ნაკლებად მიმზიდველია სავარაუდო მრეცხავებისთვის.¹⁴¹ ამიტომ საფიქრებელია, რომ მის გამოყენებას ნაკლებად მიმართავენ.

ელექტრონული ფულის პროდუქტი, რომელიც კომერციულ სარგებლობაშია, დღეს არ იძლევა ფულის კონფიდენციალურობის ან ანონიმურობის რაიმე გარანტიას. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. მაგალითად, პროდუქტები შეიძლება დაფინანსდეს საბანკო ანგარიშიდან ან საკრედიტო ბარათებით გადახდის გზით.

¹³⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 74-75.

¹⁴⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 97.

¹⁴¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 99.

შესაბამისად, მომხმარებლის ვინაობა თავიდანვე გამოვლენილია. ელექტრონული ფულის პროდუქტის გამოყენებას, უმეტეს შემთხვევაში ელექტრონული ბილიკის დატოვების ტენდენცია აქვს.¹⁴²

რადგან ელექტრონული ფულის გამცემები, როგორც წესი, გადახდის პროცესში იკავებენ შუამავლების პოზიციას, რომელიც მდებარეობს ორ საფინანსო ან საკრედიტო ინსტიტუტს შორის, მათ შეუძლიათ სამართალდამცავებს მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ტრანზაქციის შესახებ, რომელიც ავსებს სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოწოდებულ პირადობის მონაცემებს.¹⁴³

ამასთან, არსებობს ფაქტორები, რომელიც გაზრდის ელექტრონული ფულის გამოყენების რისკს ფულის გათეთრებისთვის ან ტერორიზმის დაფინანსებისთვის:

- მაღალი ტრანზაქციის ან „საფულის“ ლიმიტები - რაც უფრო მაღალია გარიგების ღირებულება და სიხშირე, და რაც უფრო მაღალია „საფულის ლიმიტი“, მით უფრო დიდია რისკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომხმარებელს უფლება აქვს, გამოიყენოს „მრავალი საფულე“;
- ხშირმა ტრანსსასაზღვრო გარიგებებმა, თუ იგი არ ხორციელდება ერთი სქემით (ანუ თუ ხორციელდება სხვადასხვა სქემით), შეიძლება წარმოშვას ინფორმაციის გაზიარების სირთულე;
- გადაუმოწმებელი მხარეების მიერ „საფულეების“ დაფინანსება წარმოადგენს ფულის გათეთრების უფრო მეტ რისკს, იქნება ეს მომხმარებელი, რომელიც არ არის გადამოწმებული, თუ მესამე მხარე;
- მრავალი არაპირდაპირი სახის ბუნების მქონე პროდუქტი ზრდის რისკებს.¹⁴⁴

დანერგილი სისტემები და კონტროლი უნდა შეესაბამებოდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკს.

6.10. ფასეულობების (სიმდიდრის) მენეჯმენტი

სიმდიდრის მენეჯმენტი არის საბანკო და საინვესტიციო მომსახურების გაწევა მაღალი რანგის კლიენტებთან მჭიდრო ურთიერთობაში. მათ შორის:

- მიმდინარე ანგარიშის საბანკო მომსახურება;

¹⁴² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 99.

¹⁴³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 99-100.

¹⁴⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 100.

- მაღალი ღირებულების ტრანზაქციები;
- დახვეწილი პროდუქტების გამოყენება;
- არასტანდარტული საინვესტიციო გადაწყვეტილებები;
- სხვადასხვა იურისდიქციაში წარმოებული ბიზნესი;
- საზღვაო და საზღვარგარეთის კომპანიები, პირადი ინვესტიციის საშუალებები.¹⁴⁵

რიგი ფაქტორებისა, ხელს უწყობენ ფასეულობების მენეჯმენტის გაზრდილ დაუცველობას:

- მდიდარი და ძლიერი კლიენტები: ასეთმა კლიენტებმა შეიძლება თავი აარიდონ ან არ სურდეთ ადეკვატური დოკუმენტების, დეტალებისა და განმარტებების მიწოდება. ვითარება კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც კლიენტი სარგებლობს ან ფლობს მაღალი საზოგადოებრივი პროფილით, ანდა ფლობს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ძალასა თუ გავლენას;
- მრავალჯერადი და რთული ანგარიშები: კლიენტებს ხშირად აქვთ მრავალი ანგარიში ერთზე მეტ იურისდიქციაში (ანუ სახელმწიფოში), რაც ართულებს ფირმის შესაძლებლობას, ამოიციოს ნამდვილი მიზანი;
- კონფიდენციალურობის კულტურა: სიმდიდრის მართვის კლიენტები ხშირად ცდილობენ დარწმუნდნენ, რომ მათი კონფიდენციალური ბიზნესი ფრთხილად განხორციელდება;
- ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო საბანკო საიდუმლოება და ქვეყნები, სადაც კორუფცია მიღებულია ან აღიქმება, როგორც სიმდიდრის წყარო;
- თანხების გადაადგილება: კერძო კლიენტების მიერ სახსრებისა და სხვა აქტივების გადაცემა ხშირად გულისხმობს მაღალი ღირებულების გარიგებებს, რაც მოითხოვს სწრაფი გადარიცხვების განხორციელებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის ანგარიშებზე;
- კრედიტი: კლიენტების კრედიტის გახანგრძლივება, რომლებიც თავიანთ აქტივებს გირაოდ იყენებენ, ასევე წარმოადგენს ფულის გათეთრების რისკს, თუ

¹⁴⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 101.

გამსესხებელი არ დარწმუნდება, რომ ძირითადი აქტივის წარმოშობა და წყარო ლეგიტიმურია.¹⁴⁶

სიმდიდრის მენეჯმენტში ურთიერთობების მენეჯერები ზოგადად უნდა ეწვიონ თავიანთ კლიენტებს მათ ბიზნესის ადგილას, რათა დაადგინონ მათი ბიზნესის საქმიანობისა და შემოსავლის სახე და მოცულობა. ან ეწვიონ მათ სახლში. ვიზიტის შემდეგ ურთიერთობების მენეჯერმა უნდა განაახლოს კლიენტის პროფილი, სადაც ეს საჭირო, ან აუცილებელია.¹⁴⁷

6.11. სავაჭრო ფინანსები

სავაჭრო ბიზნეს გარემოში მთავარი რისკია ის, რომ ერთი შეხედვით ლეგიტიმური ტრანზაქციები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მხარეთა შორის სახსრების გადაადგილების გასამართლებლად, ან არარსებული ან თაღლითური საქონლისთვის ნაჩვენები იყოს „ქაღალდის ბილიკი“ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციის მიზნით.

FATF-ის კვლევები მიუთითებს, რომ კრიმინალური ორგანიზაციები და ტერორისტული ჯგუფები იყენებენ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში არსებულ სისუსტეებს, რათა ქონება გადაადგილონ უკანონო მიზნებისთვის. გამოვლენილ შემთხვევებში შედის: ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ტრეფიკინგი; მოპარული ან სხვა საქონლით უკანონო ვაჭრობა; კორუფცია და მოსყიდვა; თაღლითობა; პროდუქციის ფალსიფიკაცია.¹⁴⁸

FATF-ის 2006 წლის ივნისის კვლევაში აღნიშნულია, რომ პრედიკატული ქმედებით მოპოვებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, ვაჭრობაზე დაფუძნებული ძირითადი ტექნიკა მოიცავს:

- **ინვოისში თანხის გადაჭარბებით მითითება:** ინვოისში და სხვა დოკუმენტაციაში საქონლის ფასის არასწორი წარმოდგენით (ნამდვილი ღირებულების ზემოთ მითითებით) გამყიდველი გადახდის შედეგად მიიღებს ზედმეტ ღირებულებას;

¹⁴⁶ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 101-102.

¹⁴⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 101-102.

¹⁴⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 105.

- **ინვოისში ნაკლები თანხის მითითება:** ინვოისში და სხვა დოკუმენტაციაში საქონლის ფასის არასწორად წარმოდგენით (ნამდვილი ღირებულების ქვემოთ მითითებით) მყიდველი გადახდის შედეგად იღებს ზედმეტ ღირებულებას;
- **მრავალჯერადი ინვოისის შედგენა:** იმავე საქონელზე ერთზე მეტი ინვოისის გაცემით, გამყიდველს შეუძლია გაამართლოს მრავალჯერადი გადახდების მიღება. ამ დროს ძნელი იქნება იმის დადგენა, რომ მოლაპარაკე მხარეები იყენებენ ერთზე მეტ საფინანსო ინსტიტუტს გადახდების/ოპერაციების გასამარტივებლად;
- **ნაკლები გადაზიდვა:** გამყიდველი აგზავნის ინვოისირებულ საქონელზე ნაკლებ საქონელს, ამით არასწორად ასახავს საქონლის ნამდვილ ღირებულებას. ეფექტი მსგავსია იმისა, როგორც ეს ხდება ინვოისში თანხის გადაჭარბებით მითითებისას;
- **ზედმეტი გადაზიდვა:** გამყიდველი აგზავნის მეტს, ვიდრე ინვოისირებული საქონელია, ამით არასწორად ასახავს საქონლის ნამდვილ ღირებულებას. ეფექტი მსგავსია იმისა, როგორც ეს ხდება ინვოისში ნაკლები თანხის მითითებისას;
- **საქონლის ტიპის მიზანმიმართული არევა:** მხარეებმა შეიძლება გარიგება მოახდინონ ისე, რომ თავიდან აიცილონ ფინანსური ინსტიტუტების ან სხვა მესამე პირების მხრიდან რაიმე ეჭვის გაჩენა. ეს შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის შესაბამისი დოკუმენტაციის გამოტოვებას ან განზრახ შენიღბვას ან გაყალბებას. ამ საქმიანობამ შეიძლება გარკვეულწილად მოიცვას შეთქმულების მონაწილე მხარეები და ემსახურებოდეს სხვადასხვა მიზეზს ან მიზანს.
- **მოჩვენებითი გადაზიდვა:** საქონელი არ იგზავნება და ყველა დოკუმენტაცია მთლიანად ყალბია.¹⁴⁹

საერთოდ, მოჩვენებითი გადაზიდვის ტექნიკა მოიცავს თაღლითობას ერთი მხარის მიერ მეორის წინააღმდეგ, მაგრამ შეიძლება ასევე დაფუძნებული იყოს გამყიდველისა და მყიდველის შეთანხმებაზე, რა დროსაც ვაჭრობის მიზანს წარმოადგენს იმ ღირებულების მიღება, რაც მოსალოდნელი იყო გარიგებისგან

¹⁴⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 105-106.

(გადაიტანეთ თანხები A წერტილიდან B წერტილამდე ხელისუფლების მიერ გამოვლენისა და აღრიცხვის გარეშე). შეთანხმება შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, იმიტომ, რომ მხარეებს აკონტროლებენ ერთი და იგივე პირები, ან იმის გამო, რომ მხარეები ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადებს.¹⁵⁰ რა თქმა უნდა, ასევე იმის გამო, რომ მხარეები ცდილობენ, გაათეთრონ ფული ოფშორულ იურისდიქციებში, სადაც პირის საკუთრება და როლი არ არის ნათელი და გადახდის მიზანი არ არის გამჭვირვალე.¹⁵¹

6.12. ვოლფსბერგის სახელმძღვანელო მითითებები მობილური და ინტერნეტ გადახდის სერვისების შესახებ (MIPS)

ექსტერიტორიული შეთანხმებები ბანკებს შორის - აღიარებულია, რომ ექსტერიტორიული შეთანხმებები წარმოადგენს ფულის გათეთრების ერთ-ერთ პირობას. ამის დასტურია ის, რომ აშშ პატრიოტ აქტის კანონი უკრძალავს აშშ-ს ბანკებს კორესპონდენტური ანგარიშების შენახვას უცხოურ ბანკებში, რაც ფინანსური მოქმედების ჯგუფის (FATF) ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომელიც ასევე ვოლფსბერგის პრინციპებში გვხვდება.

კორესპონდენტი მომხმარებლები - ისინი პოტენციურად უფრო მაღალ რისკებს წარმოადგენენ, რადგან ბანკს, როგორც წესი, არ აქვს პირდაპირი კავშირი კორესპონდენტი ბანკის მომხმარებლებთან. იმიტომ ბანკს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გადაამოწმოს ამ ფუძემდებლური კლიენტების ვინაობა ან გააცნობიეროს ბიზნესის და გარიგების ხასიათი (მაგ. გადარიცხვები, საწმენდი ჩეკები), რომელსაც ისინი მათი სახელით ამუშავებს.¹⁵²

იმ შემთხვევებში, როდესაც აშშ ბანკის შვილობილი კომპანიაა, ან უცხოური ბანკი, რომელსაც აქვს ფილიალი აშშ-ში, MLRO-მ უნდა იცოდეს ამ ექსტერიტორიული დებულებების შესახებ და მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.¹⁵³

¹⁵⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 106.

¹⁵¹ მოჩვენებითი გადაზიდვების საკითხი დეტალურადაა განხილული ნაშრომის მე-3 თავში.

¹⁵² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 124.

¹⁵³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 130.

6.13. ბიზნეს-რისკები

ბიზნესის გარკვეული ტიპები, შეიძლება ჩაითვალოს მაღალ რისკად. მაღალი რისკის მქონე ბიზნესის მაგალითებად მიჩნეულია ის, ვინც რეგულარულად იღებს სახსრებს ფიზიკური პირებისგან, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მაღალი რისკის პირებად, რადგანაც იღებენ მნიშვნელოვან ოდენობის ფულს და ამასთან, მათ მომხმარებლებთან აქვთ არა პირდაპირი, არამედ დისტანციური ურთიერთობა.¹⁵⁴

თანხების გადარიცხვა ბანკებს შორის ელექტრონული ფოსტებით - „საკაბელო გადარიცხვები“ (ე.წ. wire transfer) - გახლავთ ერთ-ერთი გზა უკანონო შემოსავლის სწრაფი გადაადგილებისათვის ისე, რომ იგი არ იყოს მარტივი შესამჩნევი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამავდროულად იწყება თანხების გათეთრება, რადგან ხდება კონტროლის, ზედამხედველობის განხორციელების კვალის არევა.

სენატის მუდმივმოქმედმა საგამომიებო ქვეკომიტეტმა, 1994 წლის იანვარში, მიმართა OTA-ს შეაფასოს ხელოვნური ინტელექტის (AI) საფუძველზე მიღებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების მიზანშეწონილობა, რომ მოხდეს იმ ჩანაწერების გაკონტროლება, რომელიც შექმნილია, გაკეთებულია საერთაშორისო საკაბელო გადარიცხვებისთვის და, ამრიგად, გამოავლინოს ფულის გათეთრება.¹⁵⁵

არალეგალური სახსრების, თანხების ტრანსფერები ადვილად იმალება ელექტრონული თანხების გადაცემის სისტემების მიერ გადაცემულ საკაბელო გადარიცხვებში - მავთულხლართებს შორის. ყოველ დღე, 465,000 – ზე მეტი საკაბელო გადარიცხვა, რომლის ღირებულება ორ ტრილიონ დოლარზე მეტია, გადაადგილებულია Fedwire–სა და CHIPS–ით.¹⁵⁶

როგორც ამ გამოუვალი მდგომარეობიდან შესაძლო გამოსავალი, შემოთავაზებულია, რომ განვითარდეს კომპიუტერული სისტემა, რომელიც მოახდენს საკაბელო გადარიცხვების დაკვირვებას განმეორებით რეჟიმში. ასეთი სისტემა იმგვარად იქნება მოწყობილი, რომ გამოიყენებს მოწინავე ტექნიკას, რომელიც წარმოშობილი იქნება ხელოვნური ინტელექტის კვლევების საფუძველზე და უნარი ექნება, აღმოაჩინოს,

¹⁵⁴ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 149.

¹⁵⁵ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 1.

¹⁵⁶ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 1.

ამოიციოს და მონიშნოს უჩვეულო მოვლენები, ან ხშირი, განმეორებადი საეჭვო მოვლენები.¹⁵⁷

ბანკების მიმართ დადგენილი რეგულაცია - წინასწარი სამართლებრივი შეფასება, შემოწმება, რომელიც ხორციელდება ახალ კლიენტებზე, შედგება ორი სხვადასხვა ნაწილისაგან. ასეთი შემოწმებები - იცნობდე შენს კლიენტს (KYC) მიზნად ისახავს:

1. შევიტყოთ მომხმარებლის გარემოებები და ბიზნესი - საჭიროების შემთხვევაში, თანხის წყარო, ზოგიერთ შემთხვევაში კი სიმდიდრის, ქონების წყარო.
2. შევიტყოთ კონკრეტული ტრანზაქციების მიზანი.
3. გესმოდეს, ვიცოდეთ გარიგების, ტრანზაქციის მოსალოდნელი ხასიათი და დონე; და მოხდეს ასეთი, აქტუალური და მოქმედი ინფორმაციის შენახვა.”¹⁵⁸

7. რა არის საეჭვო (უჩვეულო) ტრანზაქცია?

ტრანზაქცია შეიძლება არანორმალური, უჩვეულო აღმოჩნდეს თავისი ხასიათიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს არანორმალური ზომის, მაგალითად უფრო მეტი ვიდრე გარიგებები, რომლებიც ჩვეულებრივ ხორციელდება ამ კონკრეტული კლიენტის ან ზოგადად ბაზრის მიერ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს გარიგება, რომელიც არაჩვეულებრივია თავისი ხასიათიდან გამომდინარე - ამ ტიპის ოპერაციები ჩვეულებრივ არ ხორციელდება ამ ფირმის მიერ, ან ჩვეულებრივ არ ხორციელდება ამ ტიპის ბიზნესის მიერ.

ასევე შეიძლება იყოს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც არაჩვეულებრივია მათი სიხშირის გამო. მაგალითად, ჩვეულებრივ, ფირმას შეუძლია თვეში ხუთი საერთაშორისო გადახდა განახორციელოს. თუ ეს მოულოდნელად გაიზარდა თვეში 50 ტრანზაქციამდე, ამან შეიძლება გამოიწვიოს დაეჭვება, რომელიც დამატებით გამოძიებას მოითხოვს.

მთელი რიგი ტრანზაქციების ხასიათი, ბუნება: იგი მოიცავს კომპანიებს, რომლებიც, გასცემენ დიდი რაოდენობით საკრედიტო ბარათებს ან რეგულარულად აკეთებენ ინვოისების კორექტირებას.

¹⁵⁷ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 1-2.

¹⁵⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 153.

გეოგრაფიული არეალი: გადასახადების დანიშნულების ადგილი ან წარმოშობა შეიძლება მოიცავდეს მაღალი რისკის მქონე ქვეყანას, მაგალითად, ისეთს, რომელიც საერთაშორისო გამჭვირვალობის თვალსაზრისით არ იმსახურებს სანდოობას.

პროდუქტის რისკი: ზოგიერთი პროდუქტი შეიძლება საჭიროებდეს გაძლიერებულ მონიტორინგს. ასეთი პროდუქტების გაწერილი ჩამონათვალი არ არსებობს, მაგრამ, მაგალითად, ფულადი სახსრების შეგროვების ანგარიშები და რთულად შესანახი პროდუქტები შეიძლება ამ კატეგორიაში მოხვდეს.¹⁵⁹

ქვემოთ მოცემულია პოტენციურად საეჭვო ქმედებების ზოგიერთი მაგალითი, რამაც შეიძლება დაეჭვება გამოიწვიოს. მომხმარებელი ხსნის სხვადასხვა ანგარიშის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე მოსალოდნელი იყო ბიზნესის ტიპისთვის, რომელსაც იგი სავარაუდოდ აწარმოებს და / ან ხშირად გადარიცხავს თანხებს ამ ანგარიშებს შორის;

- როდესაც ბანკი ელოდება მომხმარებელისაგან ფულადი სახსრების მიღების შესახებ განაცხადს მათი საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით და მომხმარებელი არ აყენებს ასეთ მოთხოვნას. მაგალითად, როგორც საცალო ბიზნესის მფლობელი, ასევე ჩეკი-განაღების სერვისის მფლობელი, რომელიც არ ითხოვს ფულს ჩეკის ჩარიცხვისას, მიუთითებს ფულის სხვა წყაროს არსებობაზე, რაც, რა თქმა უნდა, არალეგიტიმური იქნება;
- ბანკს ყოველთვის უნდა აინტერესებდეს, რატომ გახსნეს ანგარიში მასთან. შესაბამისად, თუ მომხმარებლის საქმიანობა ან საცხოვრებელი ადგილი ფინანსური ინსტიტუტის ნორმალური მომსახურების ზონის მიღმაა, ეს, სავარაუდოდ, საჭიროებს გაძლიერებულ სათანადო სამართლებრივი შემოწმების განხორციელებას;
- თუ ნაღდი ფულის დეპოზიტების თანხა და სიხშირე არ შეესაბამება მომხმარებლის ბიზნესის ადგილზე დაფიქსირებულ დეპოზიტებს, ამან შეიძლება გააჩინოს შემოწმების საფუძველი;
- თუ ბიზნესი, რომელიც ჩვეულებრივ არ ქმნის უცხოურ ვალუტას, მოულოდნელად დაიწყებს მრავალრიცხოვან სავალუტო გარიგებას, მაშინ ეს უნდა დადგინდეს;

¹⁵⁹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 256.

- თუ ბიზნესის მფლობელი, რომელსაც მაგალითად, მხოლოდ ერთი მაღაზია აქვს, გააკეთებს რამდენიმე დეპოზიტს ერთსა და იმავე დღეს ბანკის სხვადასხვა ფილიალის გამოყენებით, მაშინ ეს ძალიან უჩვეულო იქნება.¹⁶⁰

ზემოთხსენებულ შემთხვევებში საჭიროა კლიენტის **გამლიერებული სამართლებრივი შემოწმება**

8. დიპლომატიური პასპორტების გამოყენება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია დიპლომატიური პასპორტების გამოყენება. ამიტომაც, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო წინდახედულება. შეიძლება ფირმამ ასეთი პასპორტი მიიჩნიოს შედარებით გაურკვეველ ქვეყნებში მიღებულად, ან იმ ქვეყნებში, სადაც ფირმისთვის ძნელი იქნება პასპორტის ლეგიტიმურობის შემოწმება. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც პასპორტის მარტივად მიღება შესაძლებელია თანხის გადახდის შემდეგ, წარმოადგენს უფრო მაღალ რისკს. ასეთი პასპორტები შეიძლება იყოს ნამდვილი (ე.ი. ნამდვილად ოფიციალური ორგანოსგან გაცემული), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მფლობელი არის ნამდვილი ან პასპორტზე ნაჩვენები სახელი არის ნამდვილი. ფირმამ უნდა სცადოს და შეაფასოს, შეესაბამება თუ არა სხვა დეტალები, პიროვნების გარეგნობასა და დამოკიდებულებას, რომელ დიპლომატიურ თანამდებობასაც მისი მტკიცებით იგი იკავებს.¹⁶¹

უცხოელთა მიერ ბიზნესის გახსნა, როგორც ფულის სწრაფად გათეთრების ხელშემწყობი ფაქტორი (სწრაფი მომხმარებელი)

საექვოა და განსაკუთრებულ შემოწმებას საჭიროებს, თუ ანგარიშების ჯგუფს ან ურთიერთობებს უცხოელები ხსნიან. კერძოდ, ის მოქალაქეები, რომლებიც ორგანიზაციას სტუმრობენ ბიზნეს - ურთიერთობის გახსნის დღეს. ბევრად უფრო რთულია სიტუაციის დადგენა, როდესაც მრავალ ანგარიშს ან ურთიერთობას იმავე დღეს ხსნის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფი ამ ურთიერთობის გახსნის ქალაქის სხვადასხვა ბანკში/კომპანიაში.

¹⁶⁰ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 226-227.

¹⁶¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 154.

ექვი ასევე უნდა გაჩნდეს, თუ მრავალი ბიზნეს საქმიანობა რეგისტრირდება ფიზიკური პირის მიერ ერთიდაიგივე მისამართის გამოყენებით, ან სხვადასხვა პიროვნების მიერ ერთიდაიმავე მისამართის გამოყენებით. ასევე მაშინ, როცა მრავალი ანგარიში ან ურთიერთობა დამყარდა ამავე სახელწოდების ვარიაციების გამოყენებით.¹⁶² მაგალითად, Risky Reward Limited, Reward Risk Limited და Risk Award Limited. ასეთი სახელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, რათა თავი გაასაღო, როგორც რეპუტაციის მქონე რისკის მენეჯმენტის, რეკრუტირებისა და ტრენინგის ფირმა Risk Reward Limited.¹⁶³

9. ბანკი, როგორც ფულის გათეთრების ყველაზე თანამდეროვე საშუალება

იცნობდე შენს კლიენტს (KYC) - რა არის იცნობდე შენს კლიენტს რეგულაცია?

მთელ მსოფლიოში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობისა და რეგულაციების ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის მომხმარებელთა სათანადო და ადეკვატური სამართლებრივი შემოწმების გატარება, როგორც ურთიერთობის დაწყებისას, ასევე შემდგომი ურთიერთობის განმავლობაში. ამგვარი სამართლებრივი შემოწმება საშუალებას მისცემს ბანკს, გააცნობიეროს მომხმარებელი და რისკები, რომლებიც მათ საფრთხეს უქმნის როგორც ფირმას, ისე საზოგადოებას.¹⁶⁴

დეტალური გამოკვლევების ჩატარების შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს მომხმარებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები და ინფორმაცია, თანხის წყაროების შესახებ პრეტენზიების დასაბუთება. ასევე ეს დოკუმენტები წლების განმავლობაში უნდა იყოს შენახული.¹⁶⁵

თუ არსებობს ეჭვები მომხმარებლის თაობაზე, ზოგადად, მომხმარებელთან ურთიერთობა არ უნდა დამყარდეს. ამასთან, მომხმარებელს არ უნდა ეცნობოს, რომ ურთიერთობა არ გაგრძელებულა ფულის გათეთრების ეჭვის გამო.¹⁶⁶

¹⁶² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 155.

¹⁶³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 175.

¹⁶⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 169.

¹⁶⁵ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 169, 171.

¹⁶⁶ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 170.

10. რატომ უნდა აწარმოონ კომპანიებმა KYC მოთხოვნები?

საერთოდ, ფირმის მიერ ახალი მომხმარებლებისადმი სამართლებრივი შემოწმება ორ განსხვავებულ ნაწილს წარმოადგენს. KYC შემოწმებები მიზნად ისახავს:

1. გავიგოთ მომხმარებლის გარემოებები და ბიზნესი, საჭიროების შემთხვევაში, თანხის წყარო, ზოგიერთ შემთხვევაში კი სიმდიდრის წყარო.
2. გავიგოთ კონკრეტული ოპერაციების მიზანი.
3. გავიგოთ გარიგების მოსალოდნელი ხასიათისა და დონის შესახებ და დავრწმუნდეთ, რომ შენახული ინფორმაცია არის როგორც მიმდინარე, ასევე ვალიდური.¹⁶⁷

საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასთან და დიპლომატებთან დაკავშირებული რისკები ფირმებმა უნდა გაითვალისწინონ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული რისკები.

შენიღვის პასპორტებს ზოგადად გაცემენ იმ ქვეყნის სახელით, რომელიც აღარ არსებობს ან სახელი აქვს შეცვლილი. მაგალითად ბირმა ან ცეილონი. სხვები იყენებენ იმ ადგილების სახელებს, რომლებიც არსებობს, მაგრამ ვერ გაცემენ პასპორტებს საკუთარი სახელით. მაგალითად, ციურიხი ან ნიუ იორკი. ისინი ასევე შეიძლება გაიცეს გამოგონილი ქვეყნების სახელებზე. მაგალითად, კორისტანი (რომელიც თურქეთის ადგილია, მაგრამ არაა ქვეყანა) ან სიმონის კუნძულები (კარიბის ზღვისპირეთში არის წმინდა სიმონის კუნძული, რომელიც არაა ქვეყანა).¹⁶⁸

გახმაურებული მაგალითი 2012 წელს დაფქსირდა ინდოეთში, როდესაც პასპორტი მიღებულ იქნა ყალბი დაბადების მოწმობის გამოყენებით და გამოიყენეს 25 ქვეყანაში, მათ შორის ცნობილ საგადასახადო თავშესაფრებში.¹⁶⁹

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეებს უფლება აქვთ, ერთდროულად ჰქონდეთ ერთზე მეტი მოქმედი პასპორტი. ეს განსაკუთრებით ხშირია იმ ბიზნესმენებისთვის, რომელთაც შეიძლება სჭირდებოთ ერთი პასპორტი, რომელსაც საელჩო უნდა ფლობდეს ვიზის მისაღებად, ხოლო სხვა პასპორტით ისინი

¹⁶⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 170.

¹⁶⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 172.

¹⁶⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 173.

მოგზაურობენ. ნებისმიერი ფირმა, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, მარტივი კითხვარით მიიღებს საჭირო ინფორმაციას.¹⁷⁰

სხვა პრობლემაა დიპლომატები, განსაკუთრებით დიპლომატიური პასპორტები შედარებით პატარა ან ახალი ქვეყნებიდან. ასეთი პასპორტები შეიძლება იყოს ნამდვილი (ე.ი. ნამდვილად გაცემულია გადახდის შემდეგ), თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მფლობელი არის ნამდვილი ან პასპორტზე ნაჩვენები სახელი არის ნამდვილი. ფირმას შეიძლება არც კი ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყურება ამ ქვეყნის პასპორტი ან რით განსხვავდება დიპლომატიური პასპორტი ამ ქვეყნის სტანდარტული პასპორტისგან.¹⁷¹

რა თქმა უნდა, დიპლომატებს შეუძლიათ ჩაიდინონ ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება და ასეთი შემთხვევაც ცნობილია. ყოფილი რუსი დიპლომატი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესყიდვების ოფიცერი იყო, დამნაშავედ იქნა ცნობილი უცხოური კომპანიების საიდუმლო ფინანსების - 300,000 აშშ დოლარზე მეტის გათეთრების გამო. მან აღიარა, რომ 1 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო სქემაში. მიესაჯა ოთხი წლითა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა 73 671 აშშ დოლარის გადახდა.¹⁷²

11. საცალო ვაჭრობით დაკავებულ მომხმარებლთა, კლიენტთა იდენტიფიკაცია

მომხმარებლის იდენტიფიკაციის პროცედურები, რომლებიც შესაფერისია პერსონალური მომხმარებლისთვის, აუცილებლად განსხვავდება იმ პროცედურისგან, რომელიც გამოიყენება კორპორაციულ მომხმარებელზე.¹⁷³

კორპორაციული კლიენტები

არსებობს კორპორატიული მომხმარებლის მრავალი სხვადასხვა ფორმა, დაწყებული კომპანიებიდან, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებით, პარტნიორობით, დამთავრებული საქველმოქმედო ორგანიზაციებით. კორპორატიული მომხმარებლები, როგორც საზოგადოებრივი კომპანიების ექვემდებარებიან ბაზრის რეგულირებას და ამ საზოგადოების საქმიანობის

¹⁷⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 173.

¹⁷¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 173.

¹⁷² შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 174.

¹⁷³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 189.

გამქდავანების უფრო მაღალ დონეს, მათი მენეჯმენტის, საკუთრების და ბიზნესის საქმიანობის თვალსაზრისით. მათი ანგარიშები ექვემდებარება გარე აუდიტს დამოუკიდებელი ფირმის მიერ. ამდენად, ასეთი კორპორატიული მომხმარებლები შეიძლება ჩაითვალოს ფულის გათეთრებისთვის პოტენციურად უფრო მცირე რისკის მატარებლად მათი საქმიანობის გამოკვლევის მაღალი დონის გამო, თუმცა, ასეთი ფირმები შესაძლოა, შეუსაბამო საქმიანობაში იყვნენ ჩართულები.¹⁷⁴

12. საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები

ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გაზრდილი რისკის მქონე სფეროებს და, შესაბამისად, დამატებითი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო.¹⁷⁵ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საქველმოქმედო კომისია გვთავაზობს "შესაბამისობის ინსტრუმენტარიუმს", რომელიც ბოლოს განახლდა 2012 წლის დეკემბერში. ეს რჩევა და მითითებები ეხება ნებისმიერ ფირმას¹⁷⁶

გამომდინარე მომეტებული რისკიდან, დადგენილია, რომ ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციამ მინიმუმ უნდა განახორციელოს რამდენიმე აქტივობა, საიდანაც საყურადღებოა შემდეგი:

- იქონიოს შესაბამისი შიდა ფინანსური კონტროლის გარკვეული ფორმა, რათა უზრუნველყოს საქველმოქმედო ფონდის სრულად აღრიცხვა და მათი დახარჯვა ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს საქველმოქმედო მიზანს;
- ჰქონდეს სათანადო და ადეკვატური ფინანსური ჩანაწერები, როგორც ყველა თანხის მიღებისა თუ გამოყენებისათვის, ასევე მიღებული გადაწყვეტილებების და დახარჯული თანხების აუდიტის კვალდაკვალ. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტრანზაქციების ჩანაწერები უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა გადაამოწმონ, რომ თანხები სწორად და მიზნობრივად დაიხარჯა;

¹⁷⁴ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 199.

¹⁷⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 204.

¹⁷⁶ http://www.charity-commission.gov.uk/About_us/pogs/g410a001.aspx (20.11.2021 მდგომარეობით)

- უზრუნველყონ ისეთი ზომების მიღება, რათა გადაიდგას გონივრული ნაბიჯები საქველმოქმედო ფონდების დასაცავად¹⁷⁷ და სამართლებრივი მოვალეობების შესასრულებლად;
- პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ინციდენტებს, როდესაც ეს წარმოიშვება, მათ შორის დაუყოვნებლივ მოახსენონ კომისიასა და სხვა შესაბამის ორგანოებს.¹⁷⁸

ნიკარაგუაში გამოვლენილმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ამ საკითხის აქტუალობას. მექსიკელების 18 კაციანი ჯგუფი, რომელიც ამტკიცებდა და იმიტაციას ახდენდა, რომ ვითომ იყვნენ სატელევიზიო ჯგუფის წარმომადგენლები, სინამდვილეში ცდილობდნენ 9,2 მილიონი აშშ დოლარის უკანონო თანხების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას. ფული დამალული იყო ექვს ფურგონში, რომელზეც ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიის ლოგოები იყო გამოსახული.¹⁷⁹

13. პოლიტიკურად აქტიური პირები (PEP)

რას გულისხმობს პოლიტიკურად აქტიური პირი?¹⁸⁰

პოლიტიკურად აქტიური პირები (PEP) არიან მაღალი რისკის მქონე პირთა კატეგორია, რომელთა მიმართაც საერთაშორისო დონეზე დადგენილია, რომ საჭიროა გამლიერებული სამართლებრივი შემოწმების ჩატარება. პრობლემა იმაში გახლავთ, რომ მაღალი დონის პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათთან დაკავშირებული ან მათთან ასოცირებული პირები უფრო მეტად წარმოადგენენ ფულის გათეთრების რისკს ფირმებისთვის, კომპანიებისათვის, რადგან მათი პოზიცია ამ პირებს საეჭვოს ხდის კორუფციასთან მიმართებაში.¹⁸¹

”პოლიტიკურად აქტიური პირები” (PEP) განისაზღვრება, როგორც ის, ვისაც ან აქვს მინდობილი გამოჩენილი/განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფუნქციები და მათი

¹⁷⁷ იგულისმება ფონდის საქმიანი რეპუტაციის, მისი მთლიანობის დაცვა მითვისება/გაფლანგვის, უკანონო ქონების შემოდინებისაგან.

¹⁷⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 205.

¹⁷⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 205.

¹⁸⁰ პოლიტიკურად აქტიური პირების შესახებ ასევე საუბარია ნაშრომის პირველ თავში, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების განხილვასთან დაკავშირებით FATF-ის რეკონდაციის ჭრილში.

¹⁸¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 207.

ოჯახის უახლოესი წევრები, ისევე როგორც პირები, რომლებიც ცნობილია როგორც მათი ახლო თანამშრომლები.¹⁸²

ტრანზაქციებთან ან იმ პოლიტიკურად აქტიურ პირებთან ბიზნეს ურთიერთობისას, რომელიც ცხოვრობს სხვა წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში, კომპანიების/ფირმების მიმართ წაყენებული მოთხოვნაა:

1. ქონდეთ შესაბამისი რისკებზე დაფუძნებული პროცედურები, რათა დადგინდეს არის თუ არა მომხმარებელი პოლიტიკურად აქტიური ადამიანი.
2. ქონდეთ უფროსი მენეჯმენტის ნებართვა ასეთ მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესახებ.
3. ადეკვატური ზომების მიღება იმ ფინანსების, ქონების წყაროს და სახსრების წყაროს დასადგენად, რომელიც მონაწილეობს ბიზნეს ურთიერთობაში ან ტრანსაქციებში.

საჭიროა, მათ საქმიან ურთიერთობებზე გაძლიერებული მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება.¹⁸³

PEP მიჩნეულია შემდეგი პირები:

- სახელმწიფოთა მეთაურები, მთავრობების მეთაურები, მინისტრები და მინისტრის მოადგილეები ან თანაშემწეები
- პარლამენტის წევრები
- უმაღლესი სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოების ან სხვა მაღალი დონის სასამართლო ორგანოების წევრები, რომელთა გადაწყვეტილებები ჩვეულებრივ არ ექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა
- აუდიტორული სასამართლოების ან ცენტრალური ბანკების საბჭოების წევრები
- ელჩები, საქმეთა დროებითი რწმუნებულები და მაღალი რანგის ოფიცრები შეიარაღებულ ძალებში
- სახელმწიფო საწარმოების ადმინისტრაციული, მართვის ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრები.

¹⁸² FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013. p. 3.

¹⁸³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 70.

ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი პირები ასევე განიხილებიან PEP-ებად, მათი ურთიერთობის ან ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან კავშირის საფუძველზე:

- ზემოთ ჩამოთვლილი პირების ოჯახის უშუალო წევრები, მათ შორის მეუღლე, პარტნიორი, შვილები და მათი მეუღლეები ან პარტნიორები და მშობლები
- ზემოთ ჩამოთვლილი პირების ცნობილი ახლო ასოცირებული პირები, მათ შორის პირები, რომლებთანაც იურიდიული პირის ან სამართლებრივი შეთანხმების ერთობლივი მფლობელობა აქვთ, რომელთანაც მჭიდრო საქმიანი ურთიერთობაა, ან არის იურიდიული პირის ან იურიდიული პირის ერთადერთი ნამდვილი მესაკუთრე.¹⁸⁴

ვინმე შეიძლება მოულოდნელად გახდეს პოლიტიკურად აქტიური ადამიანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო ფირმის კლიენტი, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის მიღების შემდეგ გაიმარჯვა. ეს ნიშნავს, რომ ფირმამ მუდმივად უნდა გადახედოს არსებულ ურთიერთობებს იმისთვის, რომ ვინმე გახდეს PEP და ამიტომ მოითხოვს უფრო მაღალ დონეზე მიმდინარე მონიტორინგს.¹⁸⁵

შესაბამისად, რეგულირებულ ფირმებს უნდა ჰქონდეთ როგორც მკაფიო განმარტება, თუ ვინ არის PEP და ასევე მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ დოკუმენტირებული დამატებითი პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს PEP-ის მიმართ გარიგებისა და ურთიერთობის დროს.¹⁸⁶

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ PEP ჯგუფიდან არ უნდა ამოირიცხოს პირი, რომელიც თანამდებობას იკავებს, მაგრამ არჩევნებში წააგებს და ამდენად, შეუწყდება შესაბამისი უფლებამოსილება. საჭიროა გამოვიყენოთ კიდევ უფრო ფართო განმარტება. კერძოდ, მთავარია იმის გარკვევა, თუ ვის შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას შესაბამის ორგანოზე თუ პირზე, იმისდა მიუხედავად, ამჟამად აქვთ თუ არა მათ მინდობილი საჯარო ფუნქცია.¹⁸⁷

¹⁸⁴ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, P. 45.

¹⁸⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 207.

¹⁸⁶ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 208.

¹⁸⁷ შუად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 208.

გამომდინარე აქედან, ამ მოსაზრების მიხედვით, არაა მხარდაჭერილი ზოგიერთი ქვეყნის (და ამის მაგალითად მოყვანილია ბრიტანეთი) მიერ ამ საკითხზე არსებული მიდგომა, რომ ადამიანი წყვეტს პოლიტიკურად აქტიური პირად (PEP პირად) ყოფნას მას შემდეგ, რაც მის მიერ თანამდებობის დატოვებიდან გაივლის ერთი წელი. არსებობს დასაბუთებული არგუმენტი, რომ ასეთი ვადა ძალიან მოკლეა, რადგან ადამიანი აშკარად რჩება მაღალი რისკის პირად მაშინაც კი, როცა იგი უკვე აღარ არის საჯარო მოხელე.¹⁸⁸

ვფიქრობთ, რომ ყოფილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და სახელმწიფო მოხელეები მართლაც შეიძლება განხილულ იქნენ მაღალი რისკის პირებად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხში და საამისოდ მრავალი არგუმენტის მოხმობაა შესაძლებელი:

ა) მათ მიერ ძველი გავლენების გამოყენება; თანამდებობაზე ყოფნის დროს მათ მიერ მაღალ პოზიციებზე დანიშნულ პირთა („მათი კადრების“) გამოყენება პირადი მიზნისათვის, რომლებიც „დავალეზულად“ გრძნობენ თავს; ბ) იმ მოხელეთა გამოყენება, რომლებიც თავის დროზე მის მიერ მხილებული იყო სხვადასხვა დარღვევაში, მაგრამ შესაბამის სასჯელს გადაურჩა სწორედაც რომ ამჯერად თანამდებობაზე არმყოფი პირის „წყალობით“; გ) დღის წესრიგში დგას იმ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი, რაც ყოფილმა და ამჟამინდელმა სახელმწიფო მოხელემ ერთობლივი „ძალისხმევით“ მოიპოვეს და ა.შ.

საბოლოოდ, ყველაფერი ეს შეიძლება შეფასდეს მოკლედ: ყოფილი სახელმწიფო მოხელე იყენებს „თავის ძველ საცეცებს“ უკანონო შემოსავლის ლაგელიზაციისათვის. ყოველივე ეს ადვილად წარმოსადგენია, თუ გავითვალისწინებთ, რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის სახელმწიფო აპარატზე ყოფილ პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს (თუნდაც ისინი ამჟამად ოპოზიციაში იყვნენ). ამასთან ეს ზეგავლენა არაა ხანმოკლე. შესაბამისად, ერთ წლიანი ფორმალური დროის დაწესება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

უფრო მეტიც, ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ადამიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განქორწინებულია მაღალი რანგის თანამდებობის პირთან, რჩება

¹⁸⁸ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 208.

გავლენის პოზიციაში და აშკარად მოითხოვს გაძლიერებულ სამართლებრივ შემოწმებას.¹⁸⁹

ამასთან, ვერცერთი ქვეყანა იქნება დარწმუნებული იმაში, რომ მას არ ეყოლება არაკეთილსინდისიერი PEP. ლიტერატურაში მოყვანილია ჩინეთის შემდეგი ბოლო შემთხვევა:

2012 წლის სექტემბერში, პეკინის სამეფოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა 38 მილიონი იუანი (6.03 მილიონი დოლარი) მიითვისა სამშენებლო საკომპენსაციო ფონდიდან, რომელიც შეიქმნა ორი საავტომობილო გზის მშენებლობისთვის. მან 178 მილიონ იუანზე მეტი საბიუჯეტო ფული ასესხა ქონების რამდენიმე დეველოპერს და ბოროტად გამოიყენა თავისი პოლიტიკური ძალა, რითაც დაეხმარა ორ კომპანიას საქმიანი კონტრაქტებისა და მიწის მიღებაში.¹⁹⁰

აღიარებულია, რომ უფრო დაბალ დონეზე შესრულებული საჯარო ფუნქციები, ჩვეულებრივ არ უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურად აქტიურ რისკ-ჯგუფებში შემავალ ფუნქციად. ამასთან, შეიძლება არსებობდეს შემთხვევა, როდესაც ასეთ თანამდებობებს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი პირები, რომელიც შედარებულია ეროვნულ დონეზე მსგავსი თანამდებობის მქონე პირებთან. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი დიდი ქალაქის მერი, როგორცაა ლონდონი ან პარიზი.¹⁹¹

ამ მოსაზრებას თუ გადმოვიტანთ საქართველოს შემთხვევაზე, შეიძლება ვაღიაროთ, რომ საქართველოს მასშტაბით (და არა საერთაშორისო მასშტაბით) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კუთხით პოლიტიკურად რისკ-ჯგუფში შეიძლება შევიდეს ქ. თბილისის მერი, რომელსაც სხვა უფრო მაღალი რანგის მოხელეებზე არანაკლები ზეგავლენის მოხდენა შეუძლია შესაბამის სტრუქტურებზე, როცა საქმე შეეხება ფულის გათეთრებას.

14. NPM ანგარიშების არაპირდაპირი ხასიათის გამოყენება

ბევრი არაპირპირ მყოფ პირთა მონაცემის გამოყენება (NPM) ეყრდნობა ბიზნეს მოდელს, სადაც კლიენტებთან პირისპირ კონტაქტი მინიმალურია ან არ არსებობს.

¹⁸⁹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 209.

¹⁹⁰ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 216.

¹⁹¹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 209.

ამან შეიძლება ხელი შეუწყოს კრიმინალების მიერ ფულის გათეთრების მიზნით ბოროტად გამოყენებას.

ე.წ. ფიშინგი განმარტებულია, როგორც ინტერნეტ მომხმარებლების მოტყუების პრაქტიკა (როგორცაა შეცდომაში შემყვანი ელ. ფოსტის შეტყობინებების ან ვებგვერდების გამოყენებით) პირადი ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, რომელიც შემდგომ შეიძლება უკანონოდ იქნას გამოყენებული.¹⁹²

ვინაიდან საბანკო ანგარიშები ან საკრედიტო და სადებეტო ბარათები ინახებოდა ლეგიტიმური მომხმარებლების სახელზე, კრიმინალებს შეეძლოთ მათი გამოყენება. ასეთ შემთხვევებში, NPM პროვაიდერებს არ შეუძლიათ აღმოაჩინონ, რომ ტრანზაქციები რეალურად არ იყო მათი ლეგიტიმური მომხმარებლის მიერ ინიცირებული, ასევე არ შეუძლიათ რაიმე სხვა საეჭვო აქტივობის აღმოჩენა.

სხვა შემთხვევებში, მოპარული ან ყალბი პირადობა გამოიყენებოდა NPM ანგარიშების შესაქმნელად, რომლებიც ასევე გამოიყენებოდა როგორც სატრანზიტო ანგარიშები უკანონო შემოსავლების გათეთრების, ან ერთდროულად - დანაშაულებრივი ქმედებებისა (მაგ., თაღლითობის) და ფულის გათეთრებისთვის.¹⁹³

არაპირისპირ მყოფი მომხმარებლები (NON-FACE-to-FACE მომხმარებლები)

არაპირისპირი ტრანზაქცია არის შემთხვევა, როდესაც გარიგება ხდება ისე, რომ მომხმარებელი ფიზიკურად არ იმყოფება. ამ ტიპის საქმიანობის მაგალითებია ინტერნეტ ბანკი, სატელეფონო ბანკინგი, საკრედიტო ბარათები და ონლაინ წილი.

ზოგადად, მიღებულია შეთანხმება, რომ არაპირისპირი გარიგებები უფრო სარისკოა, ვიდრე პირისპირ გარიგებები, ვინაიდან პირველადი იდენტიფიკაციის ზომები, რომელიც უნდა განხორციელდეს, არ შეიცავს მომხმარებლის სახის დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენას. პირველ რიგში, საფინანსო ინსტიტუტი ვერასდროს შეხვდება მომხმარებელს. მათ არა მხოლოდ არ იციან, როგორ გამოიყურებოდა მომხმარებელი, არამედ ზოგადად არ იღებდნენ ოფიციალურ დოკუმენტაციას, რომელიც დაადასტურებს მომხმარებლის სურათს.¹⁹⁴

¹⁹² <https://www.merriam-webster.com/dictionary/phishing> (23.11.2022 მდგომარეობით).

¹⁹³ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010, p. 40.

¹⁹⁴ შუად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 217.

არსებობს ფაქტორები, რაც ხელს უწყობს დამატებით რისკს, რომელიც დაკავშირებულია არაპირისპირ მყოფ მომხმარებლებთან ბიზნესის წარმოებაში:

- სიმარტივე, რომლითაც მომხმარებელს ექნება წვდომის საშუალება ობიექტზე, მიუხედავად დროისა და ადგილმდებარეობისა, პლიუს ამას ოპერაციების განხორციელებისას მინიმალური კონტროლი;
- აპლიკაციების მიღების სიმარტივე მომხმარებლის მხრიდან დამატებითი ხარჯების გარეშე;
- ფიზიკური დოკუმენტების არარსებობა. ეს არ არის მხოლოდ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არარსებობა, არამედ ხელმოწერილი სახელშეკრულებო დოკუმენტაციის არარსებობა; თუმცა ზოგიერთი ფირმა ითხოვს დოკუმენტების ხელმოწერას და უკან გადმოგზავნას. ფირმას, კომპანიას რა თქმა უნდა, არ აქვს ხელმოწერის გადამოწმების არანაირი შესაძლებლობა;
- ელექტრონული გარიგების განხორციელების სიჩქარე ასევე ართულებს მონაცემთა გადამოწმებას გარიგების, ტრანზაქციის განხორციელებამდე. კონტროლი ზოგადად მხოლოდ დავალიანების შემთხვევაში მოქმედებს და მას აქვს მხოლოდ შეუსაბამო გარიგების, ტრანზაქციის დაფიქსირების ეფექტი.¹⁹⁵

დამატებითი ზომები არაპირისპირ მყოფ მომხმარებელთათვის

იმ ტიპის საკითხები, რომლებიც ფირმამ უნდა განიხილოს, მოიცავს შემდეგს:

- ფირმამ, კომპანიამ უნდა იზრუნოს იმაზე, თუ როგორ ამოიცნოს მომხმარებელს;
- შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებელი მონაცემები, რომლებიც ამ მიზანს ემსახურება, მაგალითად, საარჩევნო სიების მონაცემები ან საკრედიტო საცნობარო სააგენტოს ძეგნის ინფორმაცია;¹⁹⁶
- მომხმარებელმა შეიძლება სცადოს, თავიდან აიცილოს პირისპირ კონტაქტი, რათა თავიდან აიცილოს გამოვლენა. შესაბამისად, თუ მომხმარებელი იყენებს ავტომატურ მთვლელ მანქანას ან მანქანებს (ბანკომატები), რათა გააკეთოს რამდენიმე საბანკო დეპოზიტი ან გაიტანოს თანხა დადგენილ ზღურბლზე

¹⁹⁵ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 217-218.

¹⁹⁶ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 218.

ოდნავ ქვემოთ, მაშინ ეს იწვევს ეჭვს. ეჭვს იწვევს ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაუდგენლობა, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგალითად, მომხმარებელი, რომელიც თავს არიდებს საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწოდებას მნიშვნელოვანი თანხების მქონე ინსტრუმენტების შექმნისას, აშკარად ქმნის ეჭვის საფუძველს და იგი შესწავლის ღირსია.¹⁹⁷

15. FATF სახელმძღვანელო

2010 წლის ოქტომბერში FATF-მა გამოაქვეყნა ანგარიში იმის თაობაზე, თუ გადახდის რა ახალი მეთოდებით ხდება ფულის გათეთრება, სადაც მოყვანილია ბოლოდროინდელი რამდენიმე შემთხვევა.¹⁹⁸

ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებიდან მოპარული შემოსავლების გათეთრება¹⁹⁹

15.1. „მოჩვენებითი თანამშრომლების“ გამოყენება წინასწარ გადახდილი ბარათების მეშვეობით უკანონო თანხების გასათეთრებლად

2009 წელს აშშ-ში პირს ბრალი წაუყენეს დამსაქმებლისგან მითვისებასა და წინასწარ გადახდილი სახელფასო ბარათების მეშვეობით მოპარული თანხების გათეთრებაში. ბრალდებულმა, დასუფთავების სამსახურის მენეჯერმა, გამოკითხა სამუშაოზე მიღების განმცხადებლები მათი პერსონალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით. შემდეგ ეს მონაცემები მან გამოიყენა ყალბი სამუშაო პოზიციების შესაქმნელად,²⁰⁰ რომელსაც მოჰყვა წინასწარ გადახდილი სახელფასო ბარათები. ბრალდებული ინახავდა სახელფასო ბარათებს, იყენებდა მათ ბანკომატებიდან თანხის გასატანად და საქონლის შესაძენად. სამი წლის განმავლობაში ბრალდებულმა დაახლოებით 200 000 აშშ დოლარი გაათეთრა.²⁰¹

¹⁹⁷ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 229.

¹⁹⁸ <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/ML%20using%20New%20Payment%20Methods.pdf>

¹⁹⁹ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010, p. 41.

²⁰⁰ ე.წ. „მკვდრის სულების“ შესახებ, იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 95.

²⁰¹ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010, p. 42.

უნდა აღინიშნოს, რომ ქეისების უმეტესობა ეხება ფულის გათეთრებას და არის მხოლოდ რამდენიმე იზოლირებული შემთხვევა ტერორიზმის დაფინანსებასთან საექვო კავშირებით.²⁰²

15.2. თაღლითობა საკრედიტო ბარათების გამოყენებით და ფულის გათეთრება

2006 წელს, აშშ-ში ორი ბრალდებული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 61 მოპარული საკრედიტო ბარათის ანგარიშის ნომრის გამოყენებისათვის „ვირტუალური წინასწარ გადახდილი ბარათების“ დასაფინანსებლად, რომლებიც შეიცავს ანგარიშის ნომერს, ვადის გასვლის თარიღს და ბარათის დადასტურების ღირებულებას, მაგრამ არა ფიზიკურ ბარათს მომხმარებლისთვის - არა-პირისპირ გარიგებები. ამის შემდეგ ბრალდებულებმა გამოიყენეს ეს „ვირტუალური ბარათები“, რათა გადაეხადათ სწავლის ფასი შეერთებული შტატების უნივერსიტეტში. უნივერსიტეტმა გასცა ჩეკი 31 045 აშშ დოლარის, როგორც ვითომც ზედმეტად გადახდილი, რითაც დაეხმარა ბრალდებულებს უკანონო შემოსავლის გათეთრებაში.²⁰³ ორივეს მიესაჯა შესაბამისი სასჯელი.²⁰⁴

15.3. უკანონო შემოსავლების გათეთრება ციფრული ვალუტის პროვაიდერის მეშვეობით

იაპონიის მაგალითი: 2009 წელს პირმა უკანონოდ შეაღწია ფიზიკური პირების ინტერნეტ ბანკის ანგარიშებში და დაავალა კომპიუტერულ სისტემას, გადაერიცხა დაახლოებით 740 000 JPY (8 300 აშშ დოლარი) ციფრული ვალუტის გადამცვლელში ელექტრონული ვალუტის ერთეულების მისაღებად. შემდეგ, ამავე პირმა გაყიდა ელექტრონული ვალუტის ნაწილი სხვა ციფრული ვალუტის გადამცვლელზე რეალური ფულის მისაღებად. დაბოლოს, მან ციფრული ვალუტის გადამცვლელს დაავალა თანხის ჩარიცხვა ზოგიერთ საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც უკანონოდ იყო შექმნილი და კონტროლირდებოდა მის მიერ.²⁰⁵

²⁰² UN Counter-Terrorism Implementation Task Force (2009), p. 14; also confer World Bank (2009b).

²⁰³ ეს არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეობის, კერძოდ, მასში დახმარების ტიპური მაგალითი.

²⁰⁴ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010, p. 42.

²⁰⁵ Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010, p. 43.

15.4. Tipping off

Tipping off - ნიშნავს (განზრახ თუ უნებლიედ) პიროვნების (მაგ. კლიენტს) ინფორმირებას, რომ მისი საექვო მოქმედების შესახებ ინფორმაცია MLRO-ს ან NCA-ს ეცნობება. ამის სავარაუდო შედეგია ის, რომ ექვმიტანილი მალავს ან ანადგურებს მტკიცებულებებს, ან თავად გაქრება. ეს კანონმდებლობა ვრცელდება რეგულირებადი სექტორის ფირმებსა და ფიზიკურ პირებზე.²⁰⁶

Tipping off-ის უკანონო ქმედებად გამოცხადების მიზანი ნათელია: ეს არის იმის უზრუნველყოფა, რომ არ განხორციელდეს ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს გამოძიებას. თუ ფულის გამთეთრებელს აცნობეს, რომ მის მიმართ ხორციელდება აღნიშნული სახის გამოძიება, გამოკვლევები, მათ შეუძლიათ დამალონ კვალი და გაქრნენ-მიიმალონ შესაბამისი გამოძიების ჩატარებამდე.²⁰⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს სპეციალური მუხლი (სსკ 202¹ მ.), რომელიც არეგულირებს Tipping off-ის შემთხვევას (მასზე საუბარია ნაშრომის მე-3 თავის იმ ნაწილში, სადაც განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განსხვავება მომიჯნავე დანაშაულებისაგან).

ფულის გათეთრების პრევენცია მკაცრად დაირღვევა, თუ ფირმის თანამშრომლებმა ექვის გაჩენისთანავე გააფრთხილეს ფულის გამთეთრებლები, რადგან ასეთ შემთხვევაში, არსებული თანხები, სავარაუდოა, რომ სხვა იურისდიქციაში გაქრება. ამრიგად, ე.წ. Tipping off შეიძლება განხორციელდეს მომხმარებელთან პირველადი კონტაქტის ეტაპზე, გარიგების დამუშავების ან ინფორმაციის მიღების დროს, როდესაც ექვმიტანილის მიმართ ხორციელდება გამოძიება ან შესაბამის უწყებაში შეტყობინების შემდეგაც კი.²⁰⁸

დანაშაულია ვინმესთვის ინფორმაციის გაცემა, რაც შეიძლება ზიანს აყენებდეს გამოძიებას. საგამოძიებო და საანგარიშგებო მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა არსებითად უნდა ჩაატარონ მომხმარებელთა გამოკითხვა

²⁰⁶[²⁰⁷ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 261.](https://library.cronerico.uk/cch_uk/monlaun/2-6#:~:text='Tipping%20off'%20means%20(whether,destroy%20evidence%2C%20or%20themselves%20disappear(30.01.2021 მდგომარეობით)</p></div><div data-bbox=)

²⁰⁸ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 261.

ტაქტიკური მეთოდით ისე, რომ არ წარმოშვას საფუძველი, რათა მომხმარებელმა შეიტყოს, რომ მათ ეჭვი ეპარებათ.²⁰⁹

ეს ნიშნავს იმას, რომ ფინანსური ინსტიტუტის თანამშრომლების ყველა წევრმა უნდა იცოდეს საკუთარი პირადი ვალდებულებების შესახებ კანონით დადგენილი tipping off-ის ვალდებულებების შესაბამისად. მათ უნდა იცოდნენ, რა უნდა უპასუხონ მომხმარებელს და რა უნდა გააკეთონ, რათა თავიდან აიცილონ მათი გაფრთხილება. ისეთი საკითხებისაგან, რომლებიც მათ შეიძლება მართლაც აწუხებთ. ამისათვის საჭიროა ტრენინგები და როლების შესაბამისი გადანაწილება.²¹⁰

თუ მომხმარებელი შეუსაბამო საქმიანობას ეწევა, პირველი, ვინც ამ პირებს გაესაუბრება გახლავთ უმცროსი პერსონალი. ამ დროს პასუხისმგებლობის (ანუ დაკისრებული მოვალეობის) უჩვეულოდ გადაადგილებაც (ანუ გადანაწილება) კი, შეიძლება პოტენციურად აფრთხილებდეს მომხმარებელს საფრთხის შესახებ და პოტენციურად ჩაითვალოს tipping off-ად.²¹¹

დაკისრებული მოვალეობის ასეთ უჩვეულო გადანაწილებაში შეიძლება ვიგულისხმოთ შემთხვევა, როცა ასეთ დროს კლიენტს უკავშირდება არა უმცროსი პერსონალი (როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ შემთხვევაში), არამედ უფრო მაღალი პოზიციის მქონე პირი, რაც კლიენტში თავისთავად ბადებს აზრს, რომ იგი საექვო პირადაა მიჩნეული.

მას შემდეგ, რაც ეჭვი ეცნობება შესაბამის სააგენტოს SAR-ის წარდგენის გზით, ე.წ. tipping off სიტუაციის ქვეშ ყოფნა გრძელდება, ფირმები მომხმარებელს ვერ ეუბნებიან ტრანზაქციის შეფერხების რეალურ მიზეზს. ამის მიზეზად, მაგალითად, შეიძლება დასახელდეს IT სისტემაში შეფერხება და არა ის, რომ ელოდებიან შესაბამის სააგენტოსგან თანხმობას, რადგან ასეთი ინფორმაციის მიწოდება აშკარად წარმოშობს ე.წ. tipping off დანაშაულის ფაქტს.²¹²

უფრო რთული შემთხვევაა, როდესაც ბანკის თანამშრომლის მიერ შესაბამის უწყებაში ანგარიში გაკეთდა, მაგრამ შესაბამისი უწყების მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ჩვეულებრივ, თუ ბანკი ან სხვა საფინანსო ინსტიტუტი მოქმედებს

²⁰⁹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 261.

²¹⁰ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 262.

²¹¹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 262.

²¹² შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 263.

კეთილსინდისიერად, მაგრამ გარიგების განხორციელება ყოველთვის შესაბამისი უწყების უმოქმედობის გამო (ეს უწყება არ რეაგირებს საექვო მდგომარეობის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაზე), მაშინ წესები განსაზღვრავს, რომ ფირმამ უნდა განახორციელოს ეს გარიგება; მიუხედავად იმისა, რომ ამის შედეგი შეიძლება იყოს სახსრების სხვა იურისდიქციაში გადატანა.²¹³

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუნდაც ამ გარიგებას შედეგად მოჰყვეს უკანონო სახსრების გადაცემა, ბანკი ან სხვა ფინანსური ორგანიზაცია ამისთვის პასუხს არ აგებს, რადგან მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი არანაირ დარღვევას, მან შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება და ამდენად, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უმოქმედობისთვის მას ვერ მოვთხოვთ პასუხს.

რაც შეეხება კლიენტის ინფორმირებას მასზე ექვის გაჩენის შესახებ, თუკი ასეთი ინფორმირება მოხდა განზრახ, მაშინ გამორიცხული არაა, შესაბამისი კერძო, თუ საჯარო ორგანიზაციის ეს თანამშრომელი დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამასთან, უნდა გაირკვეს, ხომ არ იყო ეს ქმედება ჩადენილი იმ მიზნით, რომ ხელი შეშლოდა ფულის გათეთრების გამოვლენას. ამ მიზნის დადასტურების შემთხვევაში, იმის მიხედვით, მოხელემ (მაგალითად, საქმის გამომძიებელმა) ჩაიდინა ეს ქმედება, თუ კერძო ორგანიზაციის (მაგ., ბანკის) თანამშრომელმა, პირი პასუხს აგებს ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის (საქართველოს სსკ 332-ე მუხ.), ანდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის (სსკ 220-ე მ.). ამასთან, რადგან ორივე ეს მუხლი შედეგიანი (მატერიალური) დანაშაულია, სახეზე უნდა იყოს ამ მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი შედეგი. მაგალითად, ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების გამო საქმის გამოძიება შეუძლებელი გახდა, ანდა იგი დროში ისე გაიწელა, რომ ჩადენილ ქმედებაზე გავიდა სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა.²¹⁴

ზოგიერთ სახელმწიფოში (ისევე როგორც საქართველოში) სპეციალური ნორმაცაა დადგენილი ასეთი ქმედების ჩადენისათვის.²¹⁵

²¹³ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 263-264.

²¹⁴ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხზე, იხ. ბიჭია შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2010, გვ. 14-124; ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოლუა ნ., თბ. 2019, გვ. 672-674.

²¹⁵ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 263.

თუკი ამ საიდუმლოების გამჟღავნების მიზანი პირის ქმედებაში არაა დადგენილი, ანდა ქმედება ჩადენილია გაუფრთხილებლობით (ვთქვათ, ბანკის თანამშრომლის მიერ კლიენტთან კომუნიკაციის წესის უნებური დარღვევა, რის გამოც კლიენტი მიხვდა, რომ მასში ეჭვი ეპარებათ), მაშინ პირი მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას უნდა დაექვემდებაროს სამსახურებრივი მოვალეობით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

16. უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა

მოვიყვანოთ ორი შემთხვევა, რომელიც ავსტალიის პრაქტიკაში გამოვლინდა:

1. **პირველი შემთხვევა** შეეხება ავსტრალიაში მომხდარ ფაქტს, როცა გამოძიება ჩატარდა კომპანიის მიმართ, რომელიც ეჭვმიტანილი იყო მრავალმილიონიან თაღლითობაში და ფულის გათეთრებაში, რის შედეგადაც კომპანია და მისი ორი დირექტორი გაასამართლეს თაღლითობასთან დაკავშირებული ბრალდებით.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სამი წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კომპანიის დირექტორებმა გაყიდეს დიდი რაოდენობით "underbond" სიგარეტი (სიგარეტი, რომელზეც აქციზი არ ჰქონდათ გადახდილი).

დირექტორებმა გაყიდეს სიგარეტი და მიიღეს მოგება, რადგან თავიდან აიცილეს საჭირო საბაჟო და აქციზის გადასახადი. საერთო ჯამში მათ თავი აარიდეს 2.5 მილიონ AUD-ზე (ავსტრალიური დოლარი) მეტ გადასახადს.

AML/CFT (ფულის გათეთრების წინააღმდეგ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა) ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო სუბიექტებმა წარმოადგინეს მთელი რიგი ფინანსური ტრანზაქციების ანგარიშები, რომლებიც მიუთითებდა კომპანიის და მისი დირექტორების საეჭვო საქმიანობაზე, მათ შორის ვალუტის გადამცვლელი ბიზნესის და კაზინოების ჩათვლით. ამასთან, დირექტორებმა მთელი რიგი ღონისძიება გაატარეს სიგარეტის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის გათეთრებისა და დამალვის მიზნით.

ერთ-ერთი დირექტორი რეგულარულად მიემგზავრებოდა კამბოჯაში და შემდეგ სტუმრობდა ავსტრალიაში ვალუტის გადამცვლელ ბიზნესს იმისათვის, რომ თანხები აშშ დოლარზე გადაეყვანა. ყოველი მოგზაურობის წინ, 10,000 AUD-ზე მეტი ღირებულების ვალუტის თანხების კონვერტაციისას, ორივე დირექტორმა

რეგულარულად თქვა უარი ფულადი გარიგების მნიშვნელოვანი ანგარიშების (SCTR) შევსებაზე და ამის ნაცვლად ფულადი სახსრების უფრო მცირე ოდენობებზე სტრუქტურირება გადაწყვიტა, რათა თავიდან აეცილებინათ SCTR– ანგარიშების მოთხოვნა.

მათმა ამ სტრუქტურულმა საქმიანობამ შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან გამოიწვია 44 საექვო ტრანზაქციის ანგარიშის (SUSTR) წარდგენა ამ ორი დირექტორის შესახებ და ეს შეტყობინება უმეტესად განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი ბიზნესისგან.²¹⁶

AUSTRAC–მა ასევე მიიღო შესაბამისი შეტყობინებები - საექვო ტრანზაქციის ანგარიში (SUSTR–ები) კაზინოდან, რაც ხაზს უსვამს ერთი ექვმიტანილის კაზინოს ანგარიშის გამოყენებას თანხის ჩარიცხვისა და განაღდებისათვის, მიუხედავად შეზღუდული სათამაშო საქმიანობისა. გავრცელებული ინფორმაციით, ექვმიტანილი კაზინოს ჩვეულებრივი მფარველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ექვმიტანილის სათამაშო საქმიანობა შეზღუდული რჩებოდა, რვა წლის განმავლობაში სათამაშო თანხები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ექვმიტანილი თანამშრომლობდა რიგ მესამე პირებთან კაზინოში თანხების შეტანისა და გატანის დროს.

მთლიანობაში, AUSTRAC–ის ინფორმაციამ აჩვენა, რომ ორმა დირექტორმა და მისთან ასოცირებულმა პირებმა შეიტანეს ფულადი დეპოზიტები, რომელთა ღირებულებაც 20 მილიონ AUD–ზე მეტი იყო.

კომპანია და მისი დირექტორები გაასამართლეს და დააკისრეს შესაბამისი სასჯელი.²¹⁷

2. მეორე შემთხვევა - ავსტრალიაში დაფუძნებულმა სამთო მომპოვებელმა კომპანიამ დაიწყო შიდა გამოძიება ფაქტზე, რომლის მიხედვით კომპანიის თანამშრომელმა სამი წლის განმავლობაში 1,1 მილიონ AUD-ზე მეტი მოიპარა. კომპანიამ ექვმიტანილის იდენტიფიცირება შიდა აუდიტის პროცესში მოახდინა და საკითხი გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს დამატებითი გამოძიებისთვის.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ კომპანიაში დასაქმებულმა ბუღალტერმა, ბოროტად გამოიყენა რა მისდამი

²¹⁶ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 320.

²¹⁷ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 320-321.

მინიჭებული ნდობა, სამი წლის განმავლობაში სისტემატიურად ახდენდა არავტორიზებული საერთაშორისო გადარიცხვების სერიას. გადარიცხვები განხორციელდა კომპანიის ანგარიშიდან რიგ ოფშორულ ანგარიშებზე, რომლებიც ამ ბუღალტერის სახელზე და მისი ოჯახის წევრების გვარებზე ტარდებოდა.

ანალიზმა დაადგინა, რომ ექვმიტანილს უკავშირდება მთელი რიგი გარიგების ანგარიშები. შესაბამისად, მხარი დაუჭირეს ქურდობის ბრალდებას და გამოავლინეს ექვმიტანილის მიერ განხორციელებული ფინანსური საქმიანობის მნიშვნელოვანი მოცულობა.

გაირკვა, რომ თანხები იგზავნებოდა ავსტრალიაში განთავსებული ამ ბუღალტერის (ექვმიტანილის) პირადი საბანკო ანგარიშიდან ან კომპანიის ანგარიშიდან. საერთო ჯამში, დაახლოებით 300,000 AUD გადმოირიცხა, რაც, სავარაუდოდ, ქურდობის შედეგად მიღებული თანხაა.²¹⁸

სამართალდამცავი ორგანოები ექვმიტანილს უცხოეთში ყოფნის დროს დაუკავშირდნენ. ექვმიტანილი ჩაბარდა ხელისუფლებას ავსტრალიაში დაბრუნებისთანავე. ექვმიტანილს ბრალი ქურდობაში ათი მუხლით წაუყენეს და მას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.²¹⁹

²¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ბუღალტრის მიერ ჩადენილი ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება არა ქურდობით, არამედ მითვისებით, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

²¹⁹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p.321.

III თავი

სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი

1. სსკ 194-ე მუხლის წინარე ისტორია

საქართველოში სსკ 194-ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 2000 წლის 30 ივნისის კანონით.²²⁰ ამ დღიდან განსახილველმა ნორმამ არაერთი ცვლილება განიცადა როგორც მის ძირითად შემადგენლობაში, ისე დამამძიმებელ გარემოებებში. თავდაპირველად იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა.

პირველი ნაწილის რედაქცია შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა“.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით სსკ 194-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციისაგან, თავდაპირველი რედაქციით: ა) დანაშაულის საგნად არ იყო გათვალისწინებული დაუსაბუთებელი ქონება; ბ) მუხლის დისპოზიციაში არ იყო დაკონკრეტებული ლეგალიზაციის ხერხები; გ) დანაშაულის მიზანი არ იყო დაფიქსირებული მუხლის დისპოზიციაში და შესაბამისად, მას არ ჰქონდა მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.

მუხლის დამამძიმებელი გარემოებები გათვალისწინებული იყო მხოლოდ მის მე-2 ნაწილში და მოიცავდა შემდეგ გარემოებებს: იგივე ქმედება: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ამდენად, დამამძიმებელ გარემოებებში არ იყო გათვალისწინებული იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ და რასაც თან ახლავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

რაც შეეხება მუხლის შენიშვნას, მასში განმარტებული იყო მხოლოდ დიდი ოდენობით შემოსავლის ოდენობა, რომელიც მოიცავდა შემოსავალს 10 000 ლარს ზევით, რაც იმას

²²⁰ იხ. საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458 - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I, 2000 წ. №27, მუხ. 83.

ნიშნავს, რომ ამ დროისათვის დიდი ოდენობა გაგებული იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ანალოგიურად.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით დღეის მდგომარეობით არსებული რეგულაციისაგან, მუხლის შენიშვნაში არ იყო განმარტებული უკანონო შემოსავლის არსი.

2003 წლის 6 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომლითაც ამ მუხლმა გარკვეული ცვლილება განიცადა, მაგრამ სსკ 194-ე მუხლმა ძირეული ცვლილება მან განიცადა **2005 წლის 28 დეკემბრის კანონით**. კერძოდ, მუხლის ძირითად შემადგენლობაში: ა) განსხვავებით დღეს მოქმედი რეგულაციისაგან, დანაშაულის საგნად დადგინდა **მხოლოდ დანაშაულებრივი გზით** მოპოვებული ქონება; ბ) განისაზღვრა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის ხერხები (შემენა, ფლობა და სხვ.); გ) ნორმაში დაფიქსირდა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის **მიზანი** - მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი. შესაბამისად, ეს მუხლი უკვე ნაწილობრივ გამიზვნითი დელიქტი გახდა.

ცვლილება განიცადა მუხლის დამამძიმებელმა გარემოებებმა. მუხლი გახდა სამნაწილიანი, მას დაემატა ახალი დამამძიმებელი გარემოებები - ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.) და რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.), ამასთანავე ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, მუხლის მე-2 ნაწილიდან გადავიდა მუხლის მე-3 ნაწილში.

რაც შეეხება მუხლის შენიშვნას, მასში დადგინდა, თუ რა არ ჩაითვლებოდა ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო შემოსავლად: ა) საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულით მიღებული შემოსავალი, ბ) შემოსავალი ხუთი ათას ლარამდე.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ სსკ 194-ე მუხლთან მიმართებაში, უკანონო შემოსავლად არ ითვლებოდა საგადასახადო სფეროში, ანუ გადასახადებისათვის თავის არიდების გზით მიღებული უკანონო შემოსავალი. ასეთად უნდა ჩაითვალოს სსკ 214-ე და 218-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გზით მიღებული შემოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გზით მიღებული შემოსავალი არ ითვლებოდა სსკ 194-ე მუხლის საგნად, რაც შემდგომში უკვე გახდა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი.

ეს საკითხი ლიტერატურაშიც სადავოა. ბოლო პერიოდამდე აღიარებული იყო, რომ გადასახადებისგან თავის არიდება არ წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და შეკავების რეჟიმის საფუძველს.²²¹ კანონმდებლობა შეიძლება შეიცავდეს საგადასახადო დანაშაულს, როგორც ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ საგადასახადო დანაშაული არ იყოს ნახსენები, როგორც ძირითადი დანაშაული. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ საგადასახადო დანაშაულისგან მიღებული ფულით ტრანზაქციები (მაგ., გაუფორმებელი გაყიდვები) შეიძლება არ ჩაითვალოს ფულის გათეთრების დანაშაულად. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციას არ აქვს მინიჭებული სამართლებრივი როლი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.²²²

ბოლო დროს კი გადასახადისაგან თავის არიდების გზით მიღებული შემოსავლის აღიარება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად, მხარდაჭერილია არა მხოლოდ კანონმდებლობაში, არამედ იურიდიულ ლიტერატურაშიც. საამისო ერთ-ერთი არგუმენტია კი ისაა, რომ გასახადისაგან თავის არიდება აძლიერებს საიდუმლო იურისდიქციის სისტემებს, რადგან „საგადასახადო თავშესაფარები“ გადასახადისაგან თავის არიდების გზით მოპოვებული კაპიტალის მოზიდვით იღებენ საკმაოდ დიდ შემოსავლებს. საკმაოდ ბევრი იურისტი, ბანკირი და ბუღალტერი თანახმაა, დაეხმაროს გადასახადისაგან თავის არიდებას: გადასახადისაგან თავის არიდების დანაშაულის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატიულ დანაშაულად გადაქცევით, ზემოთხსენებული პირები ნაკლებად კომფორტულად იგრძნობენ თავს, როდესაც დაიწყებენ ოფშორული სტრუქტურების შექმნას, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს დანაშაულებრივი მიზნებისთვის.²²³

ამ მუხლის საგნად ასევე არ ითვლებოდა 5 000 ლარამდე (ანუ მის ჩათვლით) მიღებული უკანონო შემოსავალი მიუხედავად იმისა, თუ რა სახის დანაშაულის ჩადენით იყო მიღებული.

ამ დანაწესის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ 5 000 ლარამდე ქონება იმდენად მცირეა, რომ მისი ლეგალიზაციით საფრთხე არ ექმნება ქვეყნის სამეწარმეო და ეკონომიკური

²²¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 13.

²²² Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 12.

²²³ შეად. “Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy”, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg. გვ. 36.

საქმიანობის ინტერესს. თუმცა ეს რეგულაცია ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით დაკავებულმა პირებმა გადაინაწილონ მთლიანი შემოსავალი 5 000 – 5 000 ლარის ოდენობით და დაუბრკოლებრივ განახორციელონ მისი ლეგალიზაცია.

მუხლის შენიშვნის მიხედვით შემოსავლის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა განისაზღვრა დღეს მოქმედი რეგულაციის ანალოგიურად.

2006 წლის 28 აპრილისა და 25 ივლისის კანონით მუხლმა განიცადა ცვლილება, რაც აისახა იმაში, რომ: ა) რამდენადმე შემსუბუქდა სანქცია როგორც მუხლის ძირითადი შემადგენლობის, ისე დამამძიმებელი გარემოებისათვის, ბ) დანაშაულის სუბიექტად ფიზიკურ პირთან ერთად განისაზღვრა იურიდიული პირიც.

2007 წლის 4 ივლისის კანონით გაფართოვდა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. კერძოდ, დანაშაულის საგნად იქცა უკანონო ქონება. ამდენად, შესაძლებელი გახდა, ეს ქონება იყოს არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ სხვა სამართალდარღვევის გზით მოპოვებული. ამასთან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად უკანონო შემოსავლის გვერდით დაუსაბუთებელი ქონებაც იქნა გათვალისწინებული.

რაც შეეხება მუხლის შენიშვნას, მასში უკვე აისახა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების არსი.

2008 წლის 19 მარტის კანონით საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსს დაემატა ახალი 194¹ მუხლი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება.

2011 წლის 28 ოქტომბრის კანონით სსკ 194-ე მუხლის ძირითად შემადგენლობაში შევიდა ცვლილება იმ მიმართებით, რომ მას დაემატა **მეორე მიზანი** - სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი. ამდენად, განსახილველი მუხლის ძირითადი შემადგენლობა უკვე მოიცავს ორ მიზანს - ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანს და სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანს. ამ ახალი მიზნის დამატებით აშკარად გაესვა ხაზი იმას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც წინარე (პრედიკატული)

დანაშაულის ჩამდენი, ისე მესამე პირიც, რომელიც უკანონო ქონების ლეგალიზაციით ეხმარება სხვას (წინარე დანაშაულის ჩამდენს), თავი აარიდოს პასუხისმგებლობას.

2. დანაშაულისაგან სს დაცვის ობიექტი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის განსაზღვრა არაა ცალსახად და იოლად გადასაწყვეტი საკითხი, მით უმეტეს, რომ ამჟამად ფულის გათეთრების პრობლემის მასშტაბები ძალზე დიდია.

სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ფულის გათეთრების ამჟამინდელი მასშტაბის გაზომვა უკიდურესად რთულია. მსოფლიო ბანკმა (WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) ფულის გათეთრების მოცულობა შეაფასა გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3-დან 5 პროცენტამდე, რაც თანხებში გადაანგარიშებისას ყოველწლიურად დაახლოებით 2.2 ტრილიონ აშშ დოლარიდან 3.7 ტრილიონ აშშ დოლარამდე ოდენობის ექვივალენტურია.²²⁴

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს. კერძოდ:

ა) საფრთხე ექმნება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკაში შემოდინდება უკანონოდ მოპოვებული ფული, რითაც ხელი ემლევა ჯანსაღ კონკურენციას. საქმე ისაა, რომ როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, ფულის გათეთრება ამახინჯებს კონკურენციას იმ სექტორებში, რომლებიც ბინძურ ფულს მოიზიდავს. ბიზნესს, რომელსაც შეუძლია მიიღოს ბინძური ინვესტიცია, შეუძლია გამოაძევოს ის ბიზნესი, რომელიც კაპიტალს იღებს ლეგალური, კანონიერი გზებით.²²⁵

აქედან გამომდინარე, სწორადაა დასმული კითხვა: როგორაა შესაძლებელი, კანონმორჩილმა პიციერიის მფლობელმა, რომელსაც ესაჭიროება კონკურენტუნარიანი შემოსავლის გენერირება, კონკურენცია გაუწიოს იმ პიციერიის მფლობელს, რომელსაც

²²⁴ Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, protiviti, 2014. p. 12.

²²⁵ „Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy“, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, p. 23.

შეუძლია დარჩეს ბიზნესში ერთ-ერთ კონკურენტად იმის მიუხედავად, მას ექნება თუ არა კანონიერი შემოსავალი თავისი საქმიანობიდან?.²²⁶

ამ მსჯელობაში ნაგულისხმევია ის შემთხვევა, როცა სამეწარმეო საქმიანობის ფორმალურად წამოწყებით, პირის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ „ჭუჭყიანი“ ფულის ეკონომიკაში ბრუნვის ფაქტის დაფიქსირებით, უკანონოდ მოპოვებული ფულის წარმოშობის კვალის დაფარვა, ანუ ქონების ლეგალიზაცია.

კრიმინალები მნიშვნელოვან თანხებს აგროვებენ ისეთი დანაშაულების ჩადენით, როგორცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, ქურდობა, საინვესტიციო თაღლითობა, გამოძალვა, კორუფცია, გაფლანგვა და საგადასახადო თაღლითობა. ფულის გათეთრება სერიოზული საფრთხეა ლეგალური ეკონომიკისთვის და გავლენას ახდენს ფინანსური ინსტიტუტების მთლიანობაზე. ის ასევე ცვლის ეკონომიკურ ძალას გარკვეულ სექტორებში;²²⁷

ბ) საფრთხე ექმნება საკუთრების უფლებას, რადგან სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება „თეთრდება“, რითაც იკარგება მისი წარმოშობის კვალი და შესაბამისად, ნულამდე ეცემა იმის შესაძლებლობა, რომ ჩადენილი წინარე დანაშაულით (მაგალითად, თაღლითობით) მოპოვებული ქონება უკან დაუბრუნდეს დაზარალებულს;

გ) საფრთხე ექმნება ფულად-საკრედიტო სისტემას, რადგან ეკონომიკაში უნდა შემოდინდეს „ჭუჭყიანი ფული“, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ოფიციალური ვალუტის კურსის გაუფასურებას. გარდა ამისა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ხშირად დაკავშირებულია ისეთ პირუკუ მოვლენასთან, რასაც კაპიტალის გადინებას/გაქცევას უწოდებენ. კაპიტალის გაქცევა (**capital flight**) არის დიდი თანხების გაურკვეველი და სწრაფი მოძრაობა ქვეყნიდან, რაც ხშირად ახლავს თან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესს. კაპიტალის გაქცევამ შეიძლება შეარყიოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და შედეგად მოიტანოს გაცილებით სუსტი ვალუტა, რაც თავის მხრივ ზრდის ფასებს ძირითად იმპორტირებულ საქონელზე;²²⁸ ამ პროცესის შეჩერებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ძალისხმევაა საჭირო. კერძოდ,

²²⁶ „Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy“, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, იქვე.

²²⁷ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 11.

²²⁸ <https://www.tutor2u.net/economics/reference/what-is-capital-flight> (16.03.2020 მდგომარეობით).

კაპიტალის გაქცევის ოდენობის შეზღუდვის ერთ-ერთი გზად მიჩნეულია მთავრობის მიერ კაპიტალის კონტროლის დანერგვა, რომლითაც დგინდება და კონტროლდება, თუ რა რაოდენობის ფულის გატანა შეუძლია პირს ქვეყნიდან. თუმცა გაცილებით რთულია უკანონო კაპიტალის გადინების შეჩერება.²²⁹ უკანონო კაპიტალი კი სწორედაც რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია;

დ) საფრთხე ექმნება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესს, რადგან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ხშირად დაკავშირებულია კერძო სექტორში პასუხსაგებ პოზიციებზე მყოფ პირთა (მაგალითად, ბანკების ხელმძღვანელთა) მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან;

ე) საფრთხე ექმნება მართლმსაჯულების ინტერესს, რადგან თუკი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია „წარმატებით დასრულდა“, ეს ფაქტი შესაბამის ორგანოებს ხელს შეუშლის წინარე დანაშაულის გამოვლენაში. აღიარებულია, რომ კანონი ფულის გათეთრების შესახებ ემყარება ზოგადი და ფართო მასშტაბიანი დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის გამოყენების პრევენციასა და გამოვლენას (მაგალითად, როგორცაა ტერორიზმის დაფინანსების პრევენციასა და გამოვლენას);²³⁰

ვ) დაბოლოს, გარდა ეკონომიკური დანაკარგებისა, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, ფულის გათეთრების წარმატებული ოპერაციები ძირს უთხრის დემოკრატიული მთავრობის ლეგიტიმურობას, რადგანაც მოქალაქეები თავიანთი მთავრობისგან ელიან, რომ მათ უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოება და ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობები.²³¹ საზოგადოების მხარდაჭერა დემოკრატიისადმი კიდევ უფრო მცირდება, როდესაც ხელისუფლება ბოროტად იყენებს საკუთარ ძალაუფლებასა და თანამდებობას პირადი მოგების მისაღებად. ფულის წარმატებული გათეთრება ასევე ძირს უთხრის დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს და ამგვარად, ხელს უშლის პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების შესაძლებლობას.²³² დანაშაული

²²⁹ <https://www.tutor2u.net/economics/reference/what-is-capital-flight%20> (16.03.2020 მდგომარეობით).

²³⁰ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 8.

²³¹ „Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy“, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, p. 23.

²³² „Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy“, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, p. 24.

მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს აყენებს მესამე პირებს, ინდივიდებს და მთლიანად საზოგადოებას. ფულის გათეთრებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების ნდობის შემცირება გარკვეული პროფესიების მიმართ, როგორცაა იურისტები, ბუღალტრები და ნოტარიუსები და ეკონომიკური სექტორები, როგორცაა უძრავი ქონება, ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ინვესტირებამ ასევე შეიძლება დაამახინჯოს კონკურენცია ბიზნესებსა და მეწარმეებს შორის. ფულის გათეთრება კრიმინალს საშუალებას აძლევს, დაიწყოს, განაგრძოს და გააფართოოს საქმიანობა ეკონომიკის ლეგიტიმურ სექტორებში. ამან შეიძლება შექმნას წარმოდგენა, რომ „დანაშაული ფასიანია“ (ღირებულია) და ასევე შეიძლება ჰქონდეს მასტიმულირებელი ეფექტი ჩვენს ახალგაზრდებზე, რომლებიც იწყებენ კრიმინალურ კარიერას.²³³

სისხლისსამართლებრივი დაცვის ამ მრავალფეროვან ობიექტთა შორის თუ რომელს მიენიჭება უპირატესობა, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლის საპასუხისმგებლო არჩევანია. იგი არაა დაკავშირებული უბრალო „საკანონმდებლო გემოვნებასთან“. შესაბამის არჩევანზე დიდწილადაა დამოკიდებული იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინაა განსახილველი დანაშაულის სუბიექტი - მხოლოდ მესამე პირი, თუ ასევე წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე?²³⁴

აქედან გამომდინარე, საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, რომ იგი თავსებადი იყოს ne bis in idem პრინციპთან,²³⁵ ანუ ერთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ორჯერ დაკისრების აკრძალვის პრინციპთან.

სწორედ ამას ემსახურება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენცია (მე-6 მუხ. მე-2 პუნქტ. „ე“ ქვ.), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, თუ ამას მოითხოვს კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედებები (ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისკენ მიმართული ქმედებები) არ

²³³ Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009, p. 12.

²³⁴ სსკ 194-ე მუხლის სუბიექტის საკითხზე და მის კავშირზე ამ მუხლის სისტემურ ადგილთან, საუბარი იქნება ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში.

²³⁵ სამართლიანობის პრინციპზე იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 65-67.

ეხება პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ძირითადი სამართალდარღვევა (ანუ პრედიკატული დანაშაული).

ჩვენმა კანონმდებელმა, ზოგიერთი სხვა ქვეყნის (მაგ., გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) კანონმდებლისაგან განსხვავებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოათავსა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

ამდენად, ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის კანონით დაცული ინტერესი. ამდენად, აშკარაა, რომ კანონმდებელმა ეკონომიკური საქმიანობის სფეროდან განსაკუთრებით გამოჰყო სამეწარმეო საქმიანობა. ეს არცაა შემთხვევითი, რადგანაც, **ჯერ-ერთი**, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში წარმმართველი სფეროა სამეწარმეო საქმიანობა; **მეორეც**, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფინანსურ მიზანს, როგორც წესი, „გათეთრებული“ ქონების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენს (ასევე არაა გამორიცხული მისი ჩართვა ეკონომიკის სხვა სფეროში).

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური კვლევის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მიზნად დასახელდა ის, რომ ქვეყნებმა დაიცვან ფინანსური სისტემა კრიმინალური ზემოქმედებისაგან და, ზოგადად, დაიცვან იგი „შეფუთული“ ფულის ეკონომიკაში მოხვედრისაგან. ასევე დაიცვან ფინანსური სისტემა კრიმინალური ზემოქმედებისაგან.²³⁶ თავის მხრივ, ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას.²³⁷

ლიტერატურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგს შემდეგნაირად განიხილავენ: **შედეგები** - ეს ეხება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების გავლენასა თუ ზიანს, მათ შორის ძირითადი კრიმინალური და ტერორისტული

²³⁶ იხ. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 5.

²³⁷ იხ. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, იქვე.

მოქმედების გავლენას ფინანსურ სისტემებსა და ინსტიტუტებზე, ზოგადად ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.²³⁸

ამკარაა, რომ ხაზგასმა კეთდება იმ ზიანზე, რაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით ადგება ქვეყნის ფინანსურ სისტემასა და ეკონომიკას.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ერთად (მის გვერდით) როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე შესაბამის ნორმატიულ აქტებში ხშირად ნახსენები ტერორიზმის დაფინანსება.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რა განსხვავებაა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას შორის?

ჯერ-ერთი, განსხვავებით ფულის გათეთრებისაგან, რომელიც გულისხმობს უკანონო საქმიანობიდან მიღებული თანხების შენიღბვას (რათა მათი გამოყენება შესაძლებელი გახდეს უკანონო ქმედებების გამოვლენის გარეშე), ტერორისტული დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს კანონიერად მოპოვებული ფულის გამოყენებას უკანონო საქმიანობის განსახორციელებლად; **მეორე**, ფულის გათეთრების მიზანია ფინანსური მოგება ან უკანონო შემოსავლის დამალვა ან შენიღბვა, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების მიზანია ტერორისტული ორგანიზაციის დღის წესრიგის ან მიზნების ხელშეწყობა. მაგალითად, გავრცელებულია მოსაზრება, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული ქმედებები ნაწილობრივ დაფინანსდა კანონიერად მოპოვებული სახსრებით, რომლებიც გადაეცა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. თუმცა, ფულის გამრეცხვებსაც და ტერორისტებსაც სჭირდებათ საკუთარი თავისა და მათი დაფინანსების წყაროების კავშირის შენიღბვა.²³⁹

ამით ისაა ნათქვამი, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი ტერორისტების წინაშეც დგას, რათა შეინიღბოს მათი დაფინანსების წყარო.

საერთოდ, ორგანიზებული დანაშაულობებიდან მიღებული შემოსავლები (ნარკოტიკები, აზარტული თამაშები, რეკეტი და პროსტიტუცია) უმეტესად წარმოდგენილია ნაღდი ფულის სახით და ასევე უმეტესად წვრილი კუპიურებით, რომელიც, როგორც უნდა შეაპარონ საბანკო სისტემაში, ან ვაჭრობის რეგულარ დინებაში მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება მისი უსაფრთხოდ დახარჯვა ამ ქვეყანაში,

²³⁸Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 17.

²³⁹ Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, protiviti, 2014. p. 13.

ან სანამ ის გადაეგზავნებათ კრიმინალური იერარქის მიხედვით იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ შემოსავლებიდან მიღებულ წილს, ან მიღებულ შემოსავლებს.²⁴⁰

ამდენად, აშკარადაა ხაზგასმა გაკეთებული იმაზე, რომ უკანონო შემოსავალი ჯერ შეპარებულ უნდა იქნეს საბანკო სისტემაში ან ვაჭრობაში, რათა შემდგომი უსაფრთხოდ განხორციელდეს მისი დახარჯვა. შესაბამისად, უკანონო შემოსავლის დახარჯვა კი არაა ფულის გათეთრება, არამედ, პირიქით, ჯერ უნდა მოხდეს ფულის გათეთრება, რათა შემდგომ „უსაფრთხოდ“ დაიხარჯოს იგი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია, FATF შეიქმნა საბანკო სისტემისა და ფინანსური ინსტიტუტებისთვის ფულის გათეთრების საფრთხის აღიარებიდან გამომდინარე. კერძოდ, G-7 ქვეყნების ამ მთავრობების მეთაურებმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა მოიწვიეს სამუშაო ჯგუფი G-7 წევრი ქვეყნების, ევროკომისიისა და კიდევ რვა ქვეყნისგან.²⁴¹

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იზიარებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისეთ განმარტებას, რომლის თანახმად, უკანონოდ მოპოვებული ფულის ფლობა და ნებისმიერი სახის გამოყენებაც კი, ფულის გათეთრებად არის მიჩნეული, იმის მიუხედავად, ცდილობდა თუ არა პირი მისი წარმომავლობის, წყაროს დამალვას. არალეგალურად მოპოვებული თანხის ბანკის სეიფში ქონა ან სახლში მატრასის ქვეშ დამალვაც ასევე შეიძლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ჩაითვალოს და მნიშვნელობა არა აქვს, ხდებოდა ამ თანხის გამოყენება პირადი მოხმარებისთვის, თუ სხვა ხარჯვითი მიზნებისთვის.²⁴²

ეს მოსაზრება რომ მიუღებელია, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითაა საუბარი ნაშრომის იმ თავში, სადაც გაანალიზებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე.

3. დანაშაულის ამსრულებელი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამასთან, ისევე როგორც უკანონო შემოსავლის

²⁴⁰ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 4.

²⁴¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s. 21.

²⁴² იხ. იქვე, გვ. 2.

ლეგალიზაციისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის საკითხი, ამ დანაშაულის ამსრულებლის საკითხიც არაა ცალსახად გადასაწყვეტი.

კერძოდ, სადავოა, ჩაითვალოს თუ არა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლად წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის პრედიკატული დანაშაულის დაფარვის ფორმა (დანაშაულთან შემხებლობა). ამიტომ ძირითადი დანაშაულის ამსრულებელი არ უნდა ჩაითვალოს ფულის გათეთრების ამსრულებლად.²⁴³ ამ მოსაზრების მიხედვით, ეს მიდგომა ერთი ქმედებისათვის ორჯერ დასჯის გამორიცხვას ემსახურება (მხედველობაშია ne bis in idem პრინციპთან შესაბამისობის საკითხი).²⁴⁴

ეს მოსაზრება სავსებით დასაბუთებულ არგუმენტებს ემყარება, თუმცა საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ყურადღება სხვა ასპექტებზეც უნდა გავამახვილოთ. კერძოდ, საინტერესოა, რატომ არ მიიჩნევენ უკანონო შემოსავლის სუბიექტად წინარე დანაშაულის ჩამდენს იმ ქვეყნის კანონმდებლები, რომლებმაც ეს მუხლი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ან მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოათავსეს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დანაშაულის სუბიექტთა წრის განსაზღვრისას რა მნიშვნელობა აქვს განსახილველი ნორმის სისტემურ ადგილს სისხლის სამართლის კოდექსში?

საერთოდ, დანაშაულის სისტემური ადგილი სისხლის სამართლის კოდექსში გზამკვლევაა ამსრულებელთა წრის განსაზღვრისას. ამის მაგალითად გამოდგება უკანონო აბორტის სუბიექტთა წრის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კერძოდ, რადგან სსკ 133-ე მუხლი (უკანონო აბორტი) მოთავსებულია არა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულთა თავში, ეს იმას ნიშნავს, რომ უკანონო აბორტის სუბიექტი (როგორც

²⁴³ შეად. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 570.

²⁴⁴ იხ. მამულაშვილი გ., დასახ. ნაშრ. გვ. 570-571.

ამსრულებელი, ისე თანამონაწილე) არაა დედა, რომელიც ნებით იკეთებს უკანონო აბორტს. მისი ამსრულებელია სხვა პირი (როგორც წესი, მედიცინის მუშაკი).²⁴⁵

ხოლო იმ ქვეყნებში (მაგ., გერმანია),²⁴⁶ სადაც ეს მუხლი მოთავსებულია ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ემბრიონის სიცოცხლე გამოდის ძირითადი დაცვის ობიექტად. ამდენად, უკანონო აბორტის ამსრულებლად თუ არა, სულ მცირე თანამონაწილედ მაინც შეიძლება ჩაითვალოს ემბრიონის დედაც, რომელიც თავისი ქმედებით (ნებით იკეთებს უკანონო აბორტს) ხელს უწყობს ძირითადი დაცვის ამ ობიექტის მოსპობას (გერმანიის სსკ 218-ე მუხლის მე-2 ნაწ. მე-3 ქვ-ის მიხედვით, როცა ორსული ქალი იკეთებს აბორტს, იგი ამ დანაშაულის ერთ-ერთი ამსრულებელია).

მიუზრუნდეთ განსახილველ საკითხს. თუკი ჩვენი კანონმდებელი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას მოათავსებდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (როგორც ამას ადგილი აქვს ავსტრიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში),²⁴⁷ მის ამსრულებლად ვერ მივიჩნევდით წინარე დანაშაულის ჩამდენს. **რატომ?**

როცა ადილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის, ვთქვათ დაუფლებითი დანაშაულის (მაგ., მითვისების) ჩადენას, ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ გამოიყენებს დანაშაულის სუბიექტი უკანონო გზით მიღებულ ქონებას მომავალში. არც იმას აქვს მნიშვნელობა, გამოიყენებს თუ არა მას საერთოდ. მთავარია, სხვისი ქონების დაუფლების მომენტში დამნაშავეს ამოდრავებდეს მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.²⁴⁸ ამდენად, დაუფლებული ქონების შემდგომი განკარგვის ფაქტს (თუ იგი არ გამოვლინდა ამ უკანონო ქონების ლეგალიზაციაში) არ შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი მნიშვნელობა დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების

²⁴⁵ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი პირველი, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 29-30; ასევე მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი პირველი, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 260.

²⁴⁶ იხ. გვ სისხლის სამართლის კოდექსი, პარაგრაფი 218-ე.

²⁴⁷ იხ. ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფი.

²⁴⁸ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის შესახებ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 111-122; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მეორე, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 27-31.

კვალიფიკაციის თვალსაზრისით. ამგვარი ქონების შემდგომი განკარგვა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის პრაქტიკულ რეალიზაციას, რაც იმთავითვე იგულისხმება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულებში.

მაგალითად, გეგა ქურდობის გზით დაეუფლა სხვის ძვირფასეულობას (ოქროს ნაკეთობას). იგი ერთ ხანს სახლში ინახავდა ამ ნივთებს. შემდეგ დაიწყო მისი მოხმარება. ბოლოს კი ეს ნივთები გაყიდა.

ქმედებას უნდა მიეცეს მხოლოდ ქურდობის კვალიფიკაცია. დაუშვებელია, გეგას ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით - როგორც ქურდობად (177-ე მ.), ისე წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობად, სარგებლობად და გასაღებად (186-ე მ.).

სწორედ ამიტომაც, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობის, სარგებლობის ან გასაღების (სსკ 186-ე მ.) სუბიექტი არ შეიძლება იყო ის პირი, ვინც დანაშაულებრივი გზით თავად მოიპოვა ეს ქონება, მისი სუბიექტი აუცილებლად სხვა პირია, რომელიც არ ყოფილა წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე.²⁴⁹ არადა სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაშიც პირი სჩადის ისეთ ქმედებებს (ქონების ფლობა, სარგებლობა, შექმნა, გასაღება), რაც ობიექტური მხრივ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას (სსკ 194-ე მ.) ჩადენილი ქმედებების ანალოგიურია. მიუხედავად ამისა, რადგან ეს მუხლი მოთავსებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ეს ფაქტი გამორიცხავს იმას, რომ მის სუბიექტად ვალიაროთ წინარე დანაშაულის ჩამდენი.

იგივე უნდა ითქვას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულის შესახებ, როგორცაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით (სსკ 185-ე მ.), რომელიც არ წარმოადგენს დაუფლებით დანაშაულს, მაგრამ არაა გამორიცხული, დამნაშავემ ხელთ იგდოს უკანონო შემოსავალი (რაც მოგების სახით უნდა გადაეცა სხვა პირისთვის).²⁵⁰ მაგალითად, სამკერვალო სალონის მენეჯერმა ოფიციალურად არ გააფირმა შეკვეთა და მომსახურების თანხა ხელზე აიღო, რაც თავად მიისაკუთრა. ამ შემთხვევაშიც არა

²⁴⁹ იხ. ლეკვეიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი პირველი, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 111-112.

²⁵⁰ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 540.

აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ ან როდის განკარგავს ეს პირი უკანონო გზით მიღებულ შემოსავალს, ანდა განკარგავს თუ არა მას საერთოდ.

ამდენად, გასაგებია, თუ რატომ არ მიიჩნევენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტად წინარე დანაშაულის ჩამდენს ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებელმა ეს დანაშაული შეიტანა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, თუკი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლის მსგავსად (მაგალითად, გერმანია)²⁵¹ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შევიტანთ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა იმ თავში (დანაშაულის დაფარვის გვერდით), სადაც სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია²⁵² დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის კანონიერი ინტერესი.

დავას არ იწვევს ის, რომ სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ეს ქმედებები ფაქტობრივად ხელს უწყობს წინარე დანაშაულის დაფარვას (სსკ 375-ე მ.).²⁵³ დანაშაულის დაფარვა (აგრეთვე მისი შეუტყობინებლობა) არის დანაშაულის შემხებლობის ის სახე, სადაც სუბიექტად არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე - მისი სუბიექტი სხვა, მესამე პირია.²⁵⁴

შესაბამისად, თუკი ამ მუხლს ჩვენი კანონმდებელი შეიტანდა დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, მაშინ მის სუბიექტად ვერ ჩავთვლიდით წინარე დანაშაულის ამსრულებელსა და თანამონაწილეს.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა კანონმდებელმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით შექმნილი სხვადასხვა საფრთხიდან, ყველზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ქვეყნის

²⁵¹ იხ. გვ. სისხლის სამართლის კოდექსი, პარაგრაფი 261.

²⁵² სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტების შესახებ იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 125-126; ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 20; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბ. 2017, გვ. 110-114.

²⁵³ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 568-572.

²⁵⁴ დანაშაულის შემხებლობის შესახებ იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 441-443; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 698-701.

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის შექნილი საფრთხე. სწორედ ამიტომ მოათავსა განსახილველი ნორმა სსკ შესაბამის თავში.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ჩატარებული ერთ-ერთი საერთაშორისო კვლევების მიხედვითაც, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეკონომიკური ხასიათის შედეგებს შორის ძირითადი ადგილი უკავია: უსამართლო კონკურენციას; პრივატიზაციისთვის შექნილ საფრთხეს; ცვლილებებს ფულის გაცვლით კურსზე და საპროცენტო განაკვეთებზე; რისკზე, რაც შეიძლება წარმოიშვას ფინანსური სექტორის მიმართ; ფინანსური სექტორის რეპუტაციას; უკანონო ბიზნესის მიერ კანონიერი ბიზნესის დაბინძურებას; კაპიტალის გაქცევას/გადინებას (იგი გულისხმობს ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში კაპიტალის გადაზიდვას მისი ექსპროპრიაციის თავიდან აცილების მიზნით); ეკონომიკური სტატისტიკის დამახინჯებას და ა.შ.²⁵⁵

ფულის გათეთრება საზიანოა მთელი ეკონომიკის კეთილდღეობისთვის, რადგან ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობა ზოგადად განიხილება, როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ძირითადი მოთხოვნა... ამასთან, ფინანსური სექტორისადმი ნდობა არა მხოლოდ საშინაო აუცილებლობაა, არამედ ის აუცილებელია უცხოური კაპიტალის და ინვესტიციების მოსაზიდად.²⁵⁶

ძირითადი პრობლემა რომელიც დაკავშირებულია გაუთეთრებელი, უკანონო წარმომავლობის ფულის ცირკულაციასთან, ისაა, რომ მიმოქცევაში-ცირკულაციაში არსებობს ისეთი ფული, რომელიც ოფიციალურად არ არის ცნობილი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ანგარიშების დამახინჯება და ცვლილება, შესაბამისად, შეამციროს საგადასახადო შემოსავლები.²⁵⁷

გამომდინარე აქედან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, შესაბამისი ქმედებით თუ ვინ შეუქმნის საფრთხეს ქვეყნის ეკონომიკას - წინარე დანაშაულის ჩამდენი, თუ სხვა მესამე პირი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავში უკანონო

²⁵⁵ შეად. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 11.

²⁵⁶ შეად. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 12-13.

²⁵⁷ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, გვ. 14.

შემოსავლის ლეგალიზაციის მოთავსების თავად ფაქტი (სხვა გარემოებებთან ერთად) გვამღვეს იმის საფუძველს, რომ მისი სუბიექტების სიიდან არ გამოვრიცხოთ წინარე დანაშაულის ჩამდენი.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ასევე მეტყველებს სსკ 194-ე მუხლის ძირითად შემადგენლობაში ისეთი მიზნის არსებობა, როგორცაა სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი.

„სხვა პირი“ არის წინარე დანაშაულის ჩამდენი, რომლის მიერ უკანონოდ მოპოვებული ქონების „გათეთრებით“, მესამე პირი ეხმარება მას პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში.

მაგალითი: ბანკის წარმომადგენელი მოელაპარაკა წინარე დანაშაულის (ვთქვათ, თაღლითობის) ჩამდენს, რომ მის ბანკში ჩარიცხულ შესაბამის თანხას დაქსაქსავდა და კრედიტის სახით გასცემდა ცრუმაგიერ პირებზე. შემდეგ კი უკან დაბრუნებულ და გაერთიანებულ თანხას გადარიცხავდა სხვა ქვეყნის ბანკში და უკან დაუბრუნდებოდა წინარე დანაშაულის ჩამდენს. მართლაც, ყველაფერი შეთანხმებისამებრ განხორციელდა.

უკანონოდ მოპოვებული ქონების ბანკში ჩარიცხვით და ბანკის წარმომადგენელთან შემდგომ ქმედებებზე წინასწარი მოლაპარაკებით, წინარე დანაშაულის ჩამდენის მიზანი იყო, დაეფარა ქონების უკანონო წარმოშობა. რაც შეეხება ბანკის წარმომადგენელს, მისი მიზანი იყო ამ ქმედებებით დახმარებოდა წინარე დანაშაულის ჩამდენ პირს, თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისათვის.

POCA-ს 328-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ადამიანი ჩადის დანაშაულს, თუ იგი შედის შეთანხმებაში, როდესაც იცის ან ეჭვობს, რომ ნებისმიერი გზით ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი ქონების შეძენას, შენახვას, გამოყენებას ან კონტროლს სხვა პირის მიერ ან მისი სახელით. სათამაშო ინდუსტრიაში ამის მაგალითი იქნება კაზინოს ოპერატორის მიერ შეგნებულად იმ ფსონების მიღება, რომლებიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად არის მიღებული.²⁵⁸

როგორც ვხედავთ, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი, წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, ასევე არის მესამე პირი (მაგ., კაზინოს

²⁵⁸ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 10.

ოპერატორი), რომელიც ხელს უწყობს სხვა პირის მიერ, ან მისი სახელით დანაშაულებრივი ქონების მიმართ განხორციელებულ ქმედებას (მაგალითად, ქონების გამოყენებას). აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი ორივე მხარეა - თავად ეს პირი და ის სხვა, მესამე პირიც.

4. დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა

4.1. დანაშაულის საგანი

სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია უკანონო შემოსავალი, რომელიც **ორი სახისაა:**

1. უკანონო ქონება და 2. დაუსაბუთებელი ქონება.

უკანონო ქონებად სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილის მიხედვით ითვლება: ქონება, აგრეთვე ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

განვიხილოთ თოთოეული მათგანი.

ამ საკითხის გარკვევაში გამოგვადგება ტერმინთა ის განმარტება, რაც მოცემულია ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენციაში. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

a) „შემოსავალი“ ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილ ან მიღებულ ნებისმიერი ეკონომიკურ სარგებელს. იგი შეიძლება შედგებოდეს ამ მუხლის (b) ქვეპუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი ქონებისაგან;

b) „ქონება“ მოიცავს ნებისმიერი სახის ქონებას, ქონებრივს ან არაქონებრივს, მოძრავს ან უძრავს, ან იურიდიულ აქტებს ან დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ ქონებაზე უფლებას ან წილს;²⁵⁹

გ) „საშუალებები“ ნიშნავს ნებისმიერ ქონებას, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც გამიზნული იყო, ნებისმიერი გზით, მთლიანად ან ნაწილობრივ, სისხლის სამართლის დანაშაულის ან დანაშაულების ჩასადენად;

²⁵⁹ ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, მუხლი პირველი.

d) „კონფისკაცია“ ნიშნავს სასჯელს ან ზომას, რაც დაწესებულია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულთან ან დანაშაულებებთან დაკავშირებული სამართალწარმოების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვება ქონების საბოლოო ჩამორთმევა.²⁶⁰

კონვენციით გადმოცემული ეს განმარტება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ განმარტებას.

იურიდიულ ლიტერატურაში ფულის გათეთრების საგნად მიიჩნევენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებიდან მიღებულ ნივთს, რომელსაც გააჩნია ქონებრივი ღირებულება. მასში იგულისხმება საგნები, ასევე უფლებები და მოთხოვნები საგანზე. პირველ რიგში ნაღდი ფული, უძრავი ქონება, ხელოვნების ნიმუშები, ძვირფასი ქვები და ლითონი, ასევე ფასიანი ქაღალდი.²⁶¹ დანაშაულის საგანს წარმოადგენს ასევე დანაშაულებრივი გზით (მაგ., ნარკოდანაშაულის შედეგად) მოპოვებული ქონების მრავალგზისი გადარიცხვების შემდეგ შეძენილი ქონება. უფრო პრობლემურ შემთხვევადაა მიჩნეული ქონების შერევის გზით მიღებული ქონება. მაგალითად, როცა პირს უმუშევრობის გამო დახმარების სახით ანგარიშზე აქვს 500 ევრო, რასაც მიუმატებს უკანონოდ მოპოვებულ 5 000 ევროს. გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, რადგან უკანონო გადარიცხვებით მოპოვებული ფული აჭარბებს კანონიერად მოპოვებულს, სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი.²⁶² ვფიქრობ, ეს მოსაზრება დასახვეწია, რადგან ქონებათა შერევისას არ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა იმას, საბოლოოდ მიღებული შერეული ქონების რა წილს შეადგენს უკანონო ქონება - იგი მეტია კანონიერად მოპოვებულ ქონებაზე, თუ ნაკლები. შერეული ქონების ის წილი (მიუხედავად მისი ოდენობისა), რაც უკანონოდ იყო მოპოვებული, უნდა ჩაითვალოს დანაშაულის საგნად.

ქონება - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა

²⁶⁰ იხ. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, მუხლი პირველი. <https://www.matsne.gov.ge/document/view/2345907?publication=0>

²⁶¹ Lackner/Kühl/, & 261 Rn 3; Wessels/Hillenkamp, BT 2, Rn 892.

²⁶² შეად. Sch/Sch-Stree/Hecker, & 261 Rn 9.

შემენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობით ქონება უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს გაგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, განსახილველ ნორმასთან მიმართებაში ქონება რამდენადმე შეზღუდულად უნდა იქნეს გაგებული. კერძოდ, მასში უნდა ვიგულისხმოთ **მხოლოდ მატერიალური** ქონებრივი სიკეთე, როგორცაა მოძრავი ან უძრავი ნივთი - ფული, ძვირფასეულობა, შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვ.²⁶³

მაგალითად, დავითმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების შედეგად მიიღო როგორც ფული, ისე მიწის ნაკვეთები და ძვირფასეულობა და შეუდგა მათ ლეგალიზაციას.

ამ შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია ქონება. კერძოდ, ფული (მოძრავი ნივთი), მიწის ნაკვეთები (უძრავი ნივთი) და ძვირფასეულობა (მოძრავი ნივთი).

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში, **ქონებაში ვერ მოვიაზრებთ** არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის მიხედვით, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

ასეთ სიკეთეს წარმოადგენს მაგალითად, საავტორო უფლება. უკეთუ ვინმემ მიითვისა სხვისი საავტორო უფლება და ისიც მოახერხა, რომ საკუთარი თავი სხვის მიერ შექმნილი ნაწარმოების (მაგ., მუსიკის) ავტორად გამოცხადდა, ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, არამედ საავტორო უფლების ხელყოფად (სსკ 189-ე მ.).

შეუძლებელია, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მაგ., საავტორო უფლება) გახდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი, რადგან: ა) იგი წარმოადგენს ქონების ისეთ სახეს, რომელიც შეუძლებელია იყოს „ჭუჭყიანი“, იგი ყოველთვის „სუფთაა“, რადგან მასში იგულისხმება არა ნივთი (მაგ., შემოქმედებითი შრომის ის

²⁶³ ნივთის შესახებ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-151 მუხლები.

პროდუქტი, რომელიც ნივთს წარმოადგენს, ვთქვათ, ქანდაკება), რომელსაც მატერიალური ღირებულება აქვს, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე - საავტორო უფლება მასზე; ბ) ასეთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთის (მაგალითად, შემოქმედებითი შრომის პროდუქტზე საავტორო უფლების) გამოყენებით შეუძლებელია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება ან წარმართვა. საავტორო უფლება ვერ იქნება ჩართული ქვეყნის ეკონომიკაში. მასში შეიძლება ჩართული იყოს თავად ეს ნივთი (მაგალითად, ანტიკვარული საგანი, რომელიც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს), მაგრამ არა საავტორო უფლება მასზე.

ქონებიდან მიღებული შემოსავალი - მასში იგულისხმება უკანონოდ მოპოვებული როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი. ამ გზით მიღებული შემოსავალი თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც მოძრავი (მაგალითად, ფული), ისე უძრავი (მაგ., მიწის ნაკვეთი).

მაგალითი: დავითმა იარაღით უკანონოდ ვაჭრობის შედეგად მიწის ნაკვეთები მოიპოვა, რომელთა არენდით გაცემის გზით ფულად შემოსავალს იღებდა.

სახეზეა უკანონოდ მოპოვებული უძრავი ქონებიდან (მიწის ნაკვეთებიდან) მიღებული ფულადი შემოსავალი, რომელიც უკანონო ქონების ნაირსახეობაა.

აქციები (წილი) – მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის თანახმად, აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება).

ეს აქციებიც პირს მიღებული უნდა ჰქონდეს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. მაგალითად, სახელმწიფო მოხელემ აქციები მოიპოვა კორუფციის გზით (როგორც ქრთამის საგანი).

პირი - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის (მისი პირველი და მეორე თავის) შესაბამისად, პირებში იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ასევე უნდა გავიგოთ იგი სსკ 194-ე მუხლთან მიმართებაშიც, რადგან უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიცაა.

მისი ოჯახის წევრი - საკითხი, თუ ვინ იგულისხმება პირის ოჯახის წევრში, უნდა გადაწყდეს არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არამედ სსკ 11¹ მუხლის (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) შენიშვნის პირველი ნაწილის დანაწესის მიხედვით. მასში ოჯახის წევრობის საკითხი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის და არა მხოლოდ ოჯახური დანაშაულის მიზნებისათვის.

ოჯახის წევრთა სია განსაკუთრებით გაფართოვდა 2020 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებით. კერძოდ, ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეებისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდამჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ახლო ნათესავი - მისი არსი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ეს გადმოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნაში, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით (ანუ მთლიანად, სისხლის სამართლის კოდექსით) ახლო ნათესავად მიიჩნევა მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

როგორც ვხედავთ, ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების ჩამონათვალი ნაწილობრივ კვეთს ერთმანეთს - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, შვილიშვილი, და, ძმა, რომლებიც ახლო ნათესავებად ითვლებიან, ამავე დროს ოჯახის წევრებიც არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოჯახის წევრები სხვა პირებთან ერთად ახლო ნათესავებსაც მოიცავს.

დაკავშირებული პირი - ესაა პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტის საფუძველზე საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი

მტკიცებულებები, რომ ეს ქონება მიღებულია უკანონო გზით და ამ ქონებით სარგებლობს წინარე (ძირითადი) დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ჩამდენი პირი.

ამდენად, დაკავშირებული პირი მაშინაა სახეზე, როცა უკანონოდ მოპოვებული ქონება ფორმალურად გაფორმებულია ამ პირზე, მაგრამ ფაქტობრივად მისით სარგებლობს სხვა პირი - წინარე უკანონო ქმედების ჩამდენი, რომელმაც ამ გზით მოიპოვა ეს ქონება.

ქონება მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, განსხვავებით კონვენციისაგან, ასევე განსხვავებით 2005-2006 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოქმედი რეგულაციისაგან, აფართოებს სსკ 194-ე მუხლის საგანს. კერძოდ, უკანონო შემოსავლად მიიჩნევა არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ სხვა სახის სამართალდარღვევის (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის) გზით მოპოვებულ ქონებას.

ამასთან, საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით მნიშვნელობა არა აქვს, რა სახის დანაშაულის ჩადენით იქნება მოპოვებული ეს ქონება, ამ თვალსაზრისით არაა დადგენილი რაიმე გამონაკლისი.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არსებობს წინარე, მოგებაზე ორიენტირებული დანაშაულის **სამი მოდელი**: მტაცებლური, ბაზრის და კომერციული დანაშაულები.²⁶⁴

მტაცებლური დანაშაულები ისეთი ხასიათისაა, როცა ადგილი აქვს მსხვერპლიდან ქონების არანებაყოფლობით გადასვლას დამნაშავეზე, რომელიც, როგორც წესი, იყენებს ან ფარულ ხერხს, ან ძალას (ან მის მუქარას). ტიპიური მტაცებლური დანაშაულებად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში აღიარებენ ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, ბანდიტობას და მეკობრეობას.²⁶⁵

ამგვარ მტაცებლურ დანაშაულებს უნდა დაემატოს მითვისება, გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 182-ე მ. მე-2 ნაწ.).

საბაზრო დანაშაულები გულისხმობს საქონლის უკანონო ბრუნვასთან და უკანონო მომსახურებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, როცა ადგილი აქვს ცალკეული

²⁶⁴ Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, p. 138.

²⁶⁵ შუად. იქვე.

რეგულაციების დარღვევას, გადასახადებისაგან თავის არიდებას და ა.შ. მაგალითად, კონტრაბანდა (სადაც დანაშაულის საგანია როგორც თავისუფალ ბრუნვაში მყოფი, ისე არალეგალური საქონელი).²⁶⁶

კომერციული სამართალდარღვევები შეიძლება დაიყოს ისეთებად, რომლებიც მოიცავს თაღლითობას საქონლის მომწოდებლების, პროდუქციის მომხმარებელთა წინააღმდეგ. ეს დანაშაულები ჩადენილია ლეგიტიმური მეწარმეების, ინვესტორების და კორპორაციების მიერ.

როგორც შესაბამისი კვლევები ადასტურებს, ზოგიერთ ქვეყანაში წინარე (ძირითად) დანაშაულთა უმრავლესობად სწორედ თაღლითობაა აღიარებული.²⁶⁷

მაგალითად, გამოკვლევებიდან ჩანს, ავსტრიაში გავრცელებული STR-ების უმეტესობა დაკავშირებულია კონკრეტულ პრედიკატულ დანაშაულებთან და ძირითადად გამოიყენება ამ ძირითადი დანაშაულების გამოსაძიებლად. უფრო კონკრეტულად, FIU-ს შეფასებით, BKA-ში (ფედერალური კრიმინალური პოლიციის ოფისი) გავრცელებული ყველა STR-ის დაახლოებით 90% ეხება თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ ტრანზაქციები თავისთავად წარმოადგენს ძირითადი დანაშაულის - თაღლითობის ჩადენის საშუალებას.²⁶⁸

ამით ფაქტობრივად ისაა ნათქვამი, რომ, მართალია, საერთოდ ტრანზაქციები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ერთ-ერთი ხერხია, მაგრამ ამავე დროს იგი შესაძლოა იყოს ისეთი წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორცაა თაღლითობა.

აღნიშნავენ, რომ არსებობს ისეთი წინარე (პრედიკატული) დანაშაულები, რომლებიც მოიცავს როგორც მტაცებლური, ისე საბაზრო და კომერციული დანაშაულების მახასიათებლებს. ანუ ჩნდება დანაშაულის ჰიბრიდული ტიპი.²⁶⁹

ჰიბრიდული ტიპის წინარე დანაშაულის მაგალითად ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი შემთხვევა: ერთ-ერთ საქმეში ვინმე ლიუ ძალის გამოყენებით დომინირებდა

²⁶⁶ შეად. იქვე, გვ. 138-139.

²⁶⁷ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, p. 42-43.

²⁶⁸ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, p. 43-44.

²⁶⁹ შეად. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, p. 139.

ბაზარზე და ძალადობრივი გზით იღებდა ქონებას. შემდეგ მან თამბაქოს ბაზრის მონოპოლია მოახდინა, რითაც ბაზრის მართვის შესახებ დადგენილი სპეციალური ბრძანება დაირღვა. მან ასევე მოისყიდა კორუმპირებული ჩინოვნიკები და მოიპოვა ბიზნეს კონტრაქტები არასამართლიანი საბაზრო ღირებულებით. შემდეგ კორუმპირებულმა თანამდებობის პირებმა კომპანიების შესყიდვის ანგარიშებიდან გაიტაცეს ქონება, რაც მოხვდებოდა მტაცებლური დანაშაულის კატეგორიაში. შესყიდვა თაღლითურად დასრულდა მათ უცხოელ ბიზნეს პარტნიორებთან. კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა ფული ჩადეს ჩინეთში, როგორც ვითომც უცხოური ინვესტიცია, ხელსაყრელი საგადასახადო შეღავათების მისაღებად.²⁷⁰

მითითებულ ამ სამი სახის დანაშაულთა ჯგუფს, უნდა დაემატოს ისეთი ტიპური წინარე (პრედიკატული) დანაშაულები, რომელიც დაკავშირებულია კორუფციასთან - ქრთამის აღება (სსკ 338 მ.) და კომერციული მოსყიდვა (221-ე მ.). ასევე ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულები (სსკ 143¹, 143² მმ.).

აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: როცა ფულის გათეთრების საგნად მიჩნეულია დანაშაულებრივი გზით მოიპოვებული ქონება, აუცილებელია თუ არა სსკ 194-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, პირი უკვე იყოს ნასამართლევნი წინარე დანაშაულისათვის?

ეს პრობლემური საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: სსკ 194-ე მუხლით წინარე დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის (როცა დანაშაულის საგნად მიჩნეულია დანაშაულის გზით მოპოვებული ქონება), არაა აუცილებელი, ეს პირი ნასამართლევნი იყოს წინარე დანაშაულისათვის. საკმარისია, მის მიმართ დაწყებული იყოს სს-ვი დევნა წინარე (ძირითადი) დანაშაულისათვის.

დასმული საკითხი ამგვარადვეა გადაწყვეტილი იმ ქვეყნებშიც (მაგ., გერმანია), სადაც დანაშაულის საგანია არა ნებისმიერი უკანონო გზით მოპოვებული ქონება, არამედ დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონება.²⁷¹ საქმე ისაა, რომ თუკი აუცილებლად მივიჩნევთ წინარე დანაშაულისათვის ნასამართლობას, ეს წარმოშობს რამდენიმე პრაქტიკულ პრობლემას: ა) დროში გაჭიანურდება სს-ვი დევნის დაწყება უკანონო

²⁷⁰ შეად. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, p. 139-140.

²⁷¹ ამ საკითხზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით გადმოცემულია უცხო ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, მტკიცების თვალსაზრისით დაბრკოლებას შეუქმნის გამოძიების ორგანოს; ბ) საქმეზე გამოძიების დაწყების დაბრკოლებამ, შესაძლოა, შექმნას სს-ვი პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის საკითხის პრობლემაც.

შესაბამისად, არ არსებობს სხვაგვარი დასკვნის საფუძველი, მით უმეტეს, საქართველოს სინამდვილეში, სადაც სსკ 194-ე მუხლის საგანია არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენით მოპოვებული, არამედ სხვა სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება. უფრო მეტიც, სადაც განსახილველი მუხლის საგანია დაუსაბუთებელი ქონებაც.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა პირი გამართლდება წინარე დანაშაულთან დაკავშირებულ ბრალდებაში, ეს თავისთავად გამოიწვევს მის გამართლებას სსკ 194-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, თუკი მოცემულ საქმეში სახეზე არაა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სხვა საგანიც (მაგალითად, დაუსაბუთებელი ქონება).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევა:

სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულმა დავითმა განზრახ დამალა გადასახადი - თავი აარიდა მის გადახდას. წლის განმავლობაში დამალულმა გადასახადმა შეადგინა 99 ათასი ლარი. ვინაიდან დამალული თანხა არ წარმოადგენს დიდ ოდენობას (გადასახდელი გადასახადის თანხა არაა 100 000 ლარზე მეტი, არამედ, პირიქით, მასზე ნაკლებია), სახეზეა არა დანაშაული (სსკ 218-ე მუხლი), არამედ ადმინისტრაციული გადაცდომა. ამ თანხით დავითმა მისი სიმამრის სახელზე კომერციული ფართი შეიძინა. შეძენილი ფართის გამოყენებით იგი ახალი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას აპირებდა.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, სადაც დანაშაულის საგანია ადმინისტრაციულსამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება.

სხვა სახის სამართალდარღვევასთან დაკავშირებით უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: მასში იგულისხმება მხოლოდ ადმინისტრაციული, თუ ასევე სამოქალაქო სამართალდარღვევაც? კერძოდ, თუ შეიძლება სამოქალაქო სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონებაც გახდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი?

მაგალითად, თუ შეიძლება სსკ 194-ე მუხლის საგნად იქცეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მოპოვებული ქონება (როცა ადგილი არ ჰქონია თაღლითობას), ანდა ნაპოვარის მისაკუთრებით მოპოვებული ქონება?

მაგალითი: ქალაქის პარკში სეირნობისას კოტემ მიწაზე დაგდებული ხელჩანთა იპოვა, სადაც დიდი ოდენობით თანხა და ოქროს სამკაულები იდო. კოტემ არ განაცხადა სათანადო ორგანოში ნაპოვარის შესახებ²⁷² და იგი მისაკუთრა. შემდეგ კი ეს ძვირფასი ნივთები²⁷³ გაყიდა, დაამატა ნაპოვარ თანხას და სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო.

სახეზეა სამოქალაქო სამართალდარღვევა. შესაბამისად, კოტეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევის გამო დაეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ჩადენილ ქმედებას ვერ შევაფასებთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (სსკ 194-ე მ.). იგივე უნდა ითქვას განძის პოვნის შემთხვევაშიც.²⁷⁴

ისმის კითხვა: რატომ? თუკი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შედეგად მოპოვებული ქონება²⁷⁵ შეიძლება გახდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი, რატომ არ შეიძლება ამ დანაშაულის საგანი იყოს სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად მოპოვებული ქონება?

დასმულ კითხვას რამდენიმე ასპექტში უნდა გაეცეს პასუხი. დავიწყოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვით: ა) ქონება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად შეიძლება იყოს მოპოვებული, ყოველთვის დაკავშირებულია ქმედების განზრახ ჩადენასთან (მაგალითად, გადასახადისათვის თავის არიდება ყოველთვის განზრახი ქმედებაა); ბ) გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად, შესაძლებელია, პირმა წინასწარ განზრახულად სოლიდური თანხა მოიპოვოს მისი ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრირების მიზნით, ანდა მოპოვების შემდეგ განიზრახოს მისი ინტეგრირება ეკონომიკაში.

²⁷² ნაპოვარისა და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შესახებ იხ. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 191-ე მუხლი.

²⁷³ ნივთის შესახებ, იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-151-ე მუხ.

²⁷⁴ განძის და მასთან დაკავშირებული უფლების შესახებ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლი.

²⁷⁵ ქონების შესახებ, იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. თბ. 2011, გვ. 138-160.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართალდარღვევას, აქ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ა) სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად ქონების უკანონოდ მოპოვება, არ ხდება წინასწარგანზრახულად. კერძოდ, როცა საქმე გვაქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან (ან არაჯეროვან შესრულებასთან),²⁷⁶ რა დროსაც პირი უკანონოდ იღებს ქონებრივ სარგებელს (მაგალითად, არ უბრუნებს აღებულ ვალს კრედიტორს და სხვა), ქმედება არ უნდა იყოს ჩადენილი წინასწარი განზრახვით.

თუკი დამტკიცდება, რომ პირმა წინასწარ განზრახულად (ანუ ხელშეკრულების დადებამდე არსებული განზრახვით) არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ქონების უკანონოდ მოპოვების მიზნით, სამოქალაქო სამართალდარღვევასთან ერთად სახეზე გვექნება დანაშაული (მაგალითად, თაღლითობა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით ან მომხმარებლის მოტყუება), რის გამოც უკანონოდ მიღებული ქონება უკვე ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებულად; ბ) იგივე ითქმის ნაპოვარი ქონების მისაკუთრებაზეც - ქონების პოვნა ხდება შემთხვევით და არა წინასწარ განზრახულად. ესეც რომ არ იყოს, ქონების პოვნა არაა დამოკიდებული პირის ნებაზე და აქედან გამომდინარე, იგი ცხოვრებაში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს; გ) შესაბამისად, ის სამოქალაქო სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც უკანონოდაა მოპოვებული ქონება, ჩადენილია ან გაუფრთხილებლობით, ან საერთოდ ბრალის გარეშე (მაგ., გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბრალის გარეშეც);²⁷⁷ დ) მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად მოპოვებული ქონება, როგორც წესი, არაა იმ ოდენობის, რომელიც დღის წესრიგში დააყენებს მისი ეკონომიკაში ინტეგრირებისა და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკისათვის საფრთხის შექმნის საკითხს (ეს უკანასკნელი არგუმენტი არაა გადამწყვეტი დასმულ საკითხთან მიმართებაში).

²⁷⁶ საერთოდ, სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი ყოველთვის არაა დაკავშირებული უსაფუძვლო გამდიდრებასთან (ქონების უკანონო მოპოვებასთან). ზიანის წარმოშობის მიზეზების სახეებზე იხ. ზოიძე ბ., წიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, გვ. 452; ასევე, ზოიძე ბ., სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „საბჭოთა სამართალი“, 1978, #1, გვ. 23.

²⁷⁷ მავალდებულებელი გარიგების შესახებ, იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. თბ. 2011, გვ. 307-310.

შესაბამისად, საკითხი უფრო სწორად გადაწყდება, თუკი “სხვა სახის სამართალდარღვევაში” ვიგულისხმებთ მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გზით მოპოვებულ ქონებას.

დაუსაბუთებელი ქონება - მისი არსი გადმოცემულია 194-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილში. ასეთად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

როგორც ვხედავთ, **დაუსაბუთებელი ქონება** ორ ჯგუფად იყოფა:

1. ქონება, ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი ზემოთ მითითებულ პირს არ გააჩნია, ან
2. ქონება, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ამ შემთხვევაში, მთავარია, ფულადი სახსრები, რომლითაც შეძენილია ქონება, მოპოვებული იყოს უკანონო ქონების გასხვისების შედეგად (უფრო დეტალურად ამ საკითხზე ქვემოთ იქნება საუბარი).

პირველ შემთხვევაში, როცა პირს არ გააჩნია ქონების კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქონება უკანონო გზითაა მოპოვებული, თუ არა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დროს, მართალია, საქმის მასალებით არაა დადგენილი ქონების უკანონო გზით მოპოვების ფაქტი, მაგრამ არც საწინააღმდეგო (ანუ მისი კანონიერი გზით მოპოვების) ფაქტია დადგენილი. სწორედ ამიტომ იხსენიება ეს ქონება დაუსაბუთებელ ქონებად.

დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას:

1. რა შემთხვევაში დგება დღის წესრიგში ქონების კანონიერი საშუალებით მოპოვების დადასტურების საკითხი?
2. საქართველოს სინამდვილეში რამდენად სამართლიანია, ქონების კანონიერი საშუალებით მოპოვების დადასტურებისთვის პირს მოვთხოვოთ შესაბამისი დოკუმენტები?

პირველი საკითხი, ანუ ქონების კანონიერი გზით მოპოვების დადასტურების საკითხი პირდაპირ კავშირშია ამ ქონების ოდენობასთან. კერძოდ, საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ,²⁷⁸ ადგენს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საფუძვლებს:

1. ანგარიშვალდებული პირი (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირებისა) ვალდებულია, ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები განახორციელოს შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) საქმიანი ურთიერთობის დამყარება;

ბ) ერთჯერადი გარიგების დადება, თუ ერთჯერადი გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 15 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 15 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება;

გ) ფულადი სახსრების ერთჯერადი გადარიცხვა, თუ ერთჯერადი გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 3 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 3 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება.

2. ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია განახორციელოს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები, თუ ნაღდი ფულით შესრულებული გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 30 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 30 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება.

3. ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები განახორციელოს შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) ფულადი სახსრების მიღება, მოგების ან ფულადი სახსრების გაცემა, თუ გარიგების თანხა/ღირებულება ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა/ჯამური ღირებულება 5 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 5 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება;

ბ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობა, საქმიანი ურთიერთობის დამყარება – კლიენტის მოთამაშედ რეგისტრაცია.

²⁷⁸ იხ. ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები.

ეს საკითხი ამგვარადვე წყდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც. უფრო მეტიც, ისეთი რეგულაციაც არსებობს, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია არა მხოლოდ თანხის მინიმალურ ზღვართან, არამედ ქმედების განხორციელების დროის ხანგრძლივობასთან.

ასე მაგალითად, აშშ კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით²⁷⁹ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ტრანზაქცია ან ტრანზაქციის სერია მოიცავდა 5000 აშშ დოლარზე მეტს შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში, ან 25000 აშშ დოლარზე მეტს 30 დღის განმავლობაში.²⁸⁰

რაც შეეხება მეორე საკითხს (თუ რამდენად სამართლიანია, ქონების კანონიერი წარმომავლობის დასადასტურებლად პირს მოვთხოვოთ შესაბამისი დოკუმენტები), იგი უფრო მეტ აქტუალობას იძენს მაშინ, როცა საქმე ეხება ფიზიკურ პირს. იურიდიულ პირს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, დოკუმენტურად დაასაბუთოს მის ფონდებში შემოსული ქონების კანონიერი წარმომავლობა.

სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ პირველ შემთხვევაში (უკანონო ქონება) მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს აწევს (მან უნდა ამტკიცოს, თუ კონკრეტულად რომელი კანონის დარღვევით აქვს პირს ეს ქონება მოპოვებული). მეორე შემთხვევაში კი (დაუსაბუთებელი ქონება) მტკიცების ტვირთი თავად ბრალდებულზეა (მან უნდა ამტკიცოს ქონების კანონიერი წარმომავლობა. თანაც ეს უნდა ამტკიცოს დოკუმენტურად და არა სხვაგვარი მტკიცებულების მოხმობით.²⁸¹

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საქართველოს სინამდვილეში არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად იმის მხედველობაში მიღებით, თუ რა ფორმით ხორციელდება საქართველოში შრომასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული ანაზღაურება.

განსხვავებით განვითარებული ევროპული სახელმწიფოებისაგან, სადაც ნებისმიერი შრომითი საქმიანობა, თუ მომსახურების სფერო ხელშეკრულებითაა მოწესრიგებული (მაგ., კერძო მასწავლებლის მომსახურება ბინაზე, სარეპეტიტორო, სარემონტო თუ

²⁷⁹ იხ. კალიფორნიის შტატის კანონი ფულის გათეთრებაზე - სისხლის სამართლის კოდექსი 186.10 PC

²⁸⁰ <https://www.shouselaw.com/ca/defense/penal-code/186-10/#1> (23.12.2021 მდგომარეობით)

²⁸¹ შეად. მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამოდროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2012, გვ. 767-768.

სამშენებლო საქმიანობა კერძო პირებს შორის და სხვ.), საქართველოში ასეთი ურთიერთობისათვის არაა აუცილებელი ხელშეკრულების დადება. შესაბამისად, განსხვავებით განვითარებული ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც კერძო პირებიც ანაზღაურებას იღებენ ბანკის მეშვეობით, საქართველოში შესაძლებელია, ეს პირები შესაბამის კანონით აუკრძალავ ანაზღაურებას იღებდნენ ხელზე. ამიტომ როცა დადგება დაგროვილი თანხის კანონიერი წარმომავლობის საკითხი, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან იგი არ არსებობს.²⁸²

ამდენად, მივიღეთ ვითარება, როცა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, **ერთი მხრივ**, არ ითხოვს ყოველგვარი ლეგალური ანაზღაურების მისაღებად ხელშეკრულების დადებას და საბანკო ოპერაციის განხორციელებას, ხოლო **მეორე მხრივ**, ავალდებულებს პირს, წარმოადგინოს ქონების კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუკი თანხა (ან ქონების ღირებულება) აჭარბებს კანონით დადგენილ ზღვარს (30 000 ლარს).

საბოლოოდ კი გამოდის, რომ ფორმალურად სახეზეა დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს პირის სსკ 194-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი (თუკი იარსებებს პირადი ან პოლიტიკური მოტივი). ამდენად, საქართველოს საკანონმდებლო რეალობის მხედველობაში მიღებით, შეიძლება ითქვას, რომ დაუსაბუთებელი ქონების ასეთი გაგება ნოყიერ საფუძველს ქმნის პირთა უსამართლო მსჯავრდებისათვის.

ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაშიც, სადაც საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა პირი მომსახურების ფასს იხდის ნაღდი ანგარიშსწორებით. იგი შეიძლება მოიცავდეს წყალსადენის ოსტატებს, დურგლებს, მებაღეებს, ტაქსის მძღოლებს, მშენებლებს და მსგავს მხარეებს. დასმულია კითხვა: რამდენად მოსალოდნელია, რომ ამ პირებმა მთლიანი შემოსავლის შესახებ გააცნოს შესაბამის საგადასახადო ორგანოებს? შესაძლებელია თუ არა, მათ შეამცირონ გადასახადის ოდენობა, რომელიც უნდა იყოს გადასახდელი? ეს ამკარად სარწმუნო სცენარია, მაგრამ რამდენად საკმარისია იგი ფულის გათეთრების შეკავების რეჟიმის გამოსაყენებლად?²⁸³

²⁸² შეად. მამულაშვილი გ., იქვე, გვ. 768-769.

²⁸³ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, გვ. 12.

გარდა აღნიშნული პრობლემისა, 2011 წელს ჩატარებული, ზემოთ უკვე ხსენებული საერთაშორისო კვლევის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული ამგვარი მდგომარეობის სხვა ნაკლიც. კერძოდ, როცა ნაღდი ფული ფინანსურ მომსახურებაში ფართოდ გამოიყენება, ეს ართულებს უკანონო წარმომავლობის მქონე ფულის მიკვლევას/მიდევნებას.²⁸⁴

დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით საინტერესოა გაეროს 1988 წლის კონვენციის ერთი დებულება, რომლის მიხედვით, თითოეულ მხარეს შეუძლია განიხილოს შესაძლებლობა, უზრუნველყოს მტკიცების ტვირთის გადატანა იმ სავარაუდო შემოსავლის ან სხვა საკუთრების კანონიერ წარმომავლობასთან მიმართებაში, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც ამგვარი ქმედება შეესაბამება მისი შინასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლო და სხვა პროცედურების ხასიათს.²⁸⁵

როგორც ვხედავთ, გაეროს კონვენცია არ გამორიცხავს, უფრო მეტიც, შესაძლებლად მიიჩნევს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მტკიცების ტვირთის გადატანას სავარაუდო შემოსავლს კანონიერ წარმომავლობასთან დაკავშირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს ისეთი რეგულაცია, რაც პირს ავალდებულებს, თავად დაასაბუთოს საეჭვო ქონების კანონიერი წარმომავლობა და თუ იგი ამას ვერ შეძლებს, ქონება ჩათვალოს უკანონოდ.

ამასთან, კონვენციის ტექსტიდან გამომდინარე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ეს რეგულაცია არ უნდა იყოს უპირობო, არამედ, იგი (ანუ მტკიცების ტვირთის გადატანა თავად პირზე) უნდა შეესაბამებოდეს: ა) ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრინციპებსა და ბ) სასამართლო და სხვა პროცედურების ხასიათს.

შესაბამისად, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობით, პირი არა მარტო ვალდებულია, თავად ამტკიცოს ქონების კანონიერი წარმომავლობა, არამედ იგი უნდა ამტკიცოს დოკუმენტურად. ამდენად, სხვა სახის მტკიცებულებები

²⁸⁴ შეად. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 20.

²⁸⁵ შეად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხ. მე-5, მე-7 ნაწ.

(მაგ., მოწმეთა ჩვენება) მხედველობაში არ მიიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ დაადგინა კონვენციით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი სტანდარტი მტკიცების ტვირთთან მიმართებაში (მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულებები).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ლეგალური მომსახურებისათვის აუცილებლად დოკუმენტური სახით ანგარიშწორებას - კანონით არაა აკრძალული, მხარეებმა გამოიყენონ ნაღდი ანგარისწორების წესი (ე.წ. ანგარიშსწორება ქეშით).

ამ ვითარებაში, მით უფრო გაუგებარია, საქართველოში რატომ დაწესდა ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებისათვის აუცილებლად დოკუმენტური მტკიცების სტანდარტი.²⁸⁶

გამომდინარე ზემოთთქმულიდან, საქართველოს სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილში შეტანილ უნდა იქნას საკანონმდებლო ცვლილება და იგი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

ამ მუხლის მიზნებისათვის დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან/და დაკავშირებულ პირს არ გააჩნია, ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ამგვარი რეგულიციის შემოღების შემთხვევაში პირს მიეცემა შესაძლებლობა, არა მხოლოდ დოკუმენტურად დაასაბუთოს ქონების კანონიერი წარმომავლობა, არამედ სხვა სახის მტკიცებულებაც (მაგ., მოწმის ჩვენება) გამოიყენოს საამისოდ.

განვიხილოთ დაუსაბუთებელი ქონების თითოეული სახე:

პირველი სახეა ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია.

²⁸⁶ შესაბამის საკანონმდებლო წინადადებაზე საუბარი იქნება მოგვიანებით.

ასეთი შეიძლება იყოს, როგორც მოძრავი (მაგ., ძვირფასეულობა), ისე უძრავი (მაგ., ბინა) ქონება, ასევე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი (მაგ., ბინის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი), რომელთა კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი პირს არ გააჩნია.

მაგალითი: გიორგიმ ბანკში შეიტანა 50 000 ლარი (მოძრავი ქონება). როცა შესაბამისმა სამსახურებმა მოსთხოვეს ამ ქონების კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი, მან იგი ვერ წარმოადგინა. ამასთან განაცხადა, რომ ეს ქონება მას მოპოვებული აქვს კერძო სარემონტო სამუშაოების შესრულების შედეგად და მზადაა დაგვისახელოს შესაბამისი ობიექტები, სადაც ჩაატარა სარემონტო სამუშაო, ხოლო ანაზღაურება მიიღო ხელზე.

თუკი გიორგის მიმართ იარსებებს რაიმე კერძო ან პოლიტიკური ინტერესი, შესაბამის ორგანოებს თავისუფლად შეუძლიათ ეს 50 000 ლარი ჩათვალონ დაუსაბუთებელ ქონებად, რომლის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი პირს (გიორგის) არ გააჩნია. ამდენად, მხედველობაში არ მიიღება ის ფაქტი, შეუძლია თუ არა ამ პირს სხვა გზით (მაგალითად, სარემონტო სამუშაოების ფაქტობრივი შემკვეთების ჩვენებებით) დაადასტუროს ამ თანხის კანონიერი წარმომავლობა.

დაუსაბუთებელი ქონების მეორე სახეა ქონება, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით საინტერესოა, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, უკანონო ქონებიდან მიღებული შემოსავალი (როგორც უკანონო ქონების ნაირსახეობა) და, მეორე მხრივ, დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით?

ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არაა გამახვილებული ყურადღება.

მათი ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით უნდა ითქვას შემდეგი:

უკანონო ქონებად ითვლება არა მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დარღვევით (ვთქვათ, წინარე დანაშაულის ჩადენით) მიღებული ქონება, არამედ ასევე ამ ქონებიდან (ანუ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული ქონებიდან) მიღებული შემოსავალიც.

მაგალითად, იარაღით უკანონოდ ვაჭრობის შედეგად მიღებული თანხა პირმა შეიტანა იმ ქვეყნის ბანკში, სადაც არსებობს ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა. რამდენიმე წელიწადში მან სოლიდური პროცენტული დანამატიც მიიღო.

ამ მაგალითში უკანონო ქონებად ჩაითვლება არა მხოლოდ ის ძირითადი თანხა, რაც პირმა ბანკში შეიტანა ვადიან საპროცენტო ანაზარზე, არამედ ის საპროცენტო სარგებელიც, რომელიც ძირითად თანხას დაემატა.

რაც შეეხება **დაუსაბუთებელი ქონების** იმ სახეს, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით, ამ დროს აუცილებელია, სახეზე იყოს უკანონო ქონების გასხვისების (და არა მისი გამოყენების) ისეთი ფაქტი, რასაც შედეგად მოჰყვა ფულადი სახსრების მიღება, რისი საშუალებითაც შემდგომში შეძენილ იქნება სხვა ქონება ან აქციები (წილი). შესაბამისად, მასში იგულისხმება უკანონო ქონების გაყიდვა ან გაცვლა. შემდეგ კი, მიღებული თანხით სხვა ქონების შეძენა.

მაგალითი: დემეტრემ ნარკობიზნესის შედეგად რამდენიმე მილიონი ლარის ძვირადღირებული ქონება (ძვირფასი ლითონები) მოიპოვა. მან ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება გადაწყვიტა. ამ მიზნით, დემეტრემ გაყიდა ეს ძვირფასი ლითონები და მიღებული თანხით მიწის ნაკვეთი შეიძინა, რისი მეშვეობითაც აპირებდა სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას. მიწის ეს ნაკვეთი, რაც შეძენილია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი შემოსავლით, ჩაითვლება დაუსაბუთებელ ქონებად.

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორ ეტაპად განხორციელდა: 1. **სხვა მოქმედება**, რაც გამოიხატა უკანონო ქონების (ძვირფასი ლითონების) გაყიდვაში, 2. ქონების შეძენა, რაც გამოიხატა ამ ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით მიწის ნაკვეთის შეძენაში.

ამდენად, თავდაპირველად სახეზე იყო უკანონო ქონება (ძვირფასი ლითონები), რაც მოპოვებული იყო წინარე (პრედიკატული), ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენით. შემდეგ კი, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამ საგანმა **სახე იცვალა**. კერძოდ, იგი დაუსაბუთებელ ქონებად გადაიქცა მას შემდეგ, როცა დემეტრემ მისი გასხვისების შედეგად მიღებული თანხით სხვა ქონება (მიწის ნაკვეთი) შეიძინა .

შესაბამისად, უკვე სახეზეა დაუსაბუთებელი ქონება (მიწის ნაკვეთი), რაც მოპოვებულია უკანონო ქონების (მვირფასი ლითონების) გასხვისების (გაყიდვის) შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, გააჩნია თუ არა პირს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ რა თანხით შეიძინა ეს ქონება (ამ მაგალითში, მიწის ნაკვეთი). კერძოდ, არაა გამორიცხული დემეტრეს გააჩნდეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ საიდან მოიტანა თანხა, რითაც ეს ქონება შეიძინა. ვთქვათ, თუ მვირადღირებული ლითონები მან ოფიციალურად გაასალა ოქროს ბირჟის დაწესებულებაში, მაშინ მიღებული თანხის შესაბამისი სათანადო დოკუმენტიც სახეზე იქნება. თუმცა ეს ფაქტი ვერ შეცვლის საქმის სამართლებრივ მხარეს, რადგან **მთავრი ისაა**, რომ დემეტრემ ეს ქონება (მიწის ნაკვეთი) მიიღო უკანონო ქონების (მვირფასი ლითონების) გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. საბოლოოდ ითვლება, რომ მიწის ეს ნაკვეთი დაუსაბუთებელი ქონებაა.

როგორც ვხედავთ, ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქონება კანონიერი გზითაა მოპოვებული, საუბარი ზედმეტია ქმედების ამ დანაშაულად კვალიფიკაციაზე (თუმცა შესაძლოა, სახეზე იყოს სხვა დანაშაული).

უმეტეს შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკას ეს საკითხი სწორად ესმის (თუმცა ამ მხრივ შეცდომებსაც აქვს ხოლმე ადგილი).

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

2012 წლის 26 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, სადაც ა. ს-ე ცნობილი იყო დამნაშავედ სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვ-ით.²⁸⁷

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 აპრილის განაჩენით ა. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

²⁸⁷ იხ. სისხლის სამართლის საქმე №370აპ-12; ს-ე ა, 370აპ-12.

განაჩენით ა. ს-ს მსჯავრი დაედო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება), ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, გადაცემა ან სხვა მოქმედება), მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროსა და მასზე საკუთრების უფლების დამალვა-შენიღბვაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 8 ივნისს ა. ს-მ დააფუძნა შპს „.....“. 2010 წლის იანვარში მან კომპანიის თანადამფუძნებლად 50%-იანი წილით შეიყვანა თავისი ბიძაშვილი ე. ს-ე, თუმცა ფირმის დირექტორი იყო თვითონ და ერთპიროვნულად უძღვებოდა მის საქმიანობას.

ა. ს-მ, იყო რა შპს „.....“-ის დირექტორი, შპს-ს სახელით მონაწილეობდა მესამე პირებთან ურთიერთობაში და წარმოადგენდა ორგანიზაციის ანგარიშვალდებულ პირს, განიზრახა, უკანონოდ დაუფლებოდა შპს „.....“-ის სალაროში არსებულ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებს და მათთვის მიეცა კანონიერი სახე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2010 წელს შპს „.....“-ის სალაროდან ხელზე გაიტანა 454 889 ლარი, ხოლო წლის განმავლობაში ბუღალტერიაში თანხის ხარჯვის დოკუმენტები წარადგინა 313 091 ლარზე, 10723 ლარი ნაღდი ფული კი უკან დააბრუნა საბანკო ანგარიშზე. ა. ს-მ 2011 წლის 5 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი 147 771 ლარი, რომელიც უკანონოდ ჰქონდა მიღებული, გახარჯა პირადი მიზნების შესაბამისად, რის შემდეგაც აღნიშნული თანხისათვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით, შპს „.....“-ის ბუღალტერიაში აჩვენა, რომ ეს თანხა მას, როგორც ანგარიშვალდებულ პირს, ერიცხებოდა გატანილად.

განიხილა რა ამ საქმეზე შემოტანილი საჩივარი, საკასაციო პალატამ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა:

საქმის მასალებით არ დასტურდება ა. ს-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მან შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო და მხოლოდ შემდეგ მოახდინა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დამალვა და შენიღბვა, რადგან საწარმო შემოსავალს იღებდა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობიდან. შპს „.....“-ს საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ძირითადი წყარო იყო სახელმწიფო და, შესაბამისად, მიღებული შემოსავალიც იყო

კანონიერი. აქედან გამომდინარე კი ა. ს-ის მიერ კომპანიის კუთვნილი, კანონიერი თანხების განკარგვა ვერ შეფასდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად და მის უკანონო განზრახვად, მიესაკუთრებინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი სახსრები. ამდენად, პალატის აზრით, საუბარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაზე, ასევე დამდგარ ზიანზე და მით უფრო – განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღებაზე – უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი.²⁸⁸

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც ა. ს-ე უნდა გამართლდეს მის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის განაჩენი.

ა. ს-ე ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს.

ა. ს-ე უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

როგორც ვხედვით, უზენაესმა სასამართლომ კასატორის გამართლების მთავარ არგუმენტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ა. ს-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ პირმა შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო და მხოლოდ შემდეგ მოახდინა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დამალვა და შენიღბვა, რადგან საწარმო შემოსავალს იღებდა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობიდან. შპს „.....“-ს საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ძირითადი წყარო იყო სახელმწიფო და, შესაბამისად, მიღებული შემოსავალიც იყო კანონიერი.

აქედან გამომდინარე, რადგან ქონება იყო კანონიერი, არასწორია საუბარი იმ ქონების ლეგალიზაციაზე, რაც ისედაც ლეგალური გზითაა მოპოვებული.

²⁸⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასახ. განაჩენის სამოტივაციო ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სამართლიანია.

4.2. ქმედება

სანამ სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს განვიხილავდეთ, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, გამოყოფენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რამდენიმე ძირითად ეტაპს:²⁸⁹ 1. განთავსება (placement) - ფულადი სახსრების შემოტანა საბანკო სისტემაში, ან ლეგიტიმურ კომერციულ ურთიერთობებში; 2. განლაგება/დანაწევრება (layering) - ფულის კრიმინალური წარმოშობისგან განცალკევებით, რამდენიმე ფინანსური ტრანსაქციის განხორციელების გზით, მაგალითად, რამდენიმე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით და შემდგომ ამ ანგარიშიდან რამდენიმე სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ან მისი გადაცვლა სამოგზაურო ჩეკებად ან ჩვეულებრივ ჩეკებად; 3. ინტეგრაცია (integration) - ლეგიტიმურად მოპოვებულ თანხებთან მათი შერევა, ან მისი საკუთრებაში არსებობის დასაბუთებული ახსნა.²⁹⁰

ამდენად, ინტეგრაცია პროცესის ბოლო ეტაპია. ეს ფულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგიტიმურ ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემაში ინტეგრირებას და სისტემის სხვა აქტივებთან შერევას. "სუფთა" ფულის ინტეგრაცია ეკონომიკაში ხორციელდება ფულის გათეთრების შედეგად, როცა ისე ჩანს, თითქოს იგი ლეგალურად არის მიღებული.²⁹¹

როგორც ვხედავთ, ჯერ ადგილი აქვს ფულის გათეთრებას, რაც ემსახურება მისი ფინანსური მიზნის რეალიზაციას. ფულის გათეთრების ფინანსური მიზანი მისი კვლავ უკან დაბრუნება და ეკონომიკაში უსაფრთხოდ ინტეგრირებაა - ვათეთრებ უკანონო შემოსავალს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფლად, უშიშრად გამოყენება (უფრო დეტალურად ამ საკითხზე საუბარი იქნება დანაშაულის სუბიექტური მხარის განხილვისას).

²⁸⁹ უფრო დეტალურად ფულის გათეთრების სამ ფაზაზე (ეტაპებზე) საუბარია ნაშრომის მე-2 თავში.

²⁹⁰ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995, გვ. 3-4; Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, გვ. 7-8; Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, გვ. 15-19; Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 8-9.

²⁹¹ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 9.

სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა არის ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით.²⁹² ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენა საკმარისია სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ამასთან, თუკი ჩადენილია ამ მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა, არამედ სახეზეა განსახილველი მუხლით გათვალისწინებული ერთი დანაშაული, რომლის ჩასადენად გამოყენებული იყო რამდენიმე ქმედება (მაგ., ქონების კონვერსია და ქონების გადაცემა).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე, პირობითად შეიძლება **ორ ჯგუფად** დაიყოს.

პირველი ჯგუფი მიზნით დაფუძნებული დელიქტია. კერძოდ, მასში შემავალი ქმედებები - დანაშაულის საგნისათვის კანონიერი სახის მიცემა - გამიზვნითი დელიქტის სახითაა წარმოდგენილი.²⁹³ შესაბამისად, თითოეული მათგანი ჩადენილი უნდა იყოს ამ მუხლში სახელდებით მითითებული მიზნით, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი. ეს დელიქტი რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებაში გამოიხატება:

ა) ქონებით სარგებლობა, ბ) ქონების შექმნა, გ) ქონების ფლობა, დ) ქონების კონვერსია, ე) ქონების გადაცემა, ვ) სხვა მოქმედება.

რაც შეეხება დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ნაწილს, იგი დანაშაულის საგნის (უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების) მიმართ ასევე გულისხმობს რამდენიმე ალტერნატიული ქმედების ჩადენას. ესენია:

ა) მისი ნამდვილი ბუნების დამალვა ან შენიღბვა, ბ) მისი წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა, გ) ადგილმდებარეობის დამალვა ან შენიღბვა, დ) მისი განთავსების დამალვა ან შენიღბვა, ე) მისი მოძრაობის დამალვა ან შენიღბვა, ვ) მასზე საკუთრების

²⁹² ერთიან დანაშაულზე ალტერნატიული ქმედებებით, იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 511-516.

²⁹³ გამიზვნითი (ანუ მიზნით დაფუძნებული) დელიქტის არსზე, იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. თბ. 2007, გვ. 110-111; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 166-167; უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 19-22; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 78-85.

დამალვა ან შენიღბვა, ან/და ზ) მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

უფრო დაზუსტებით თუ ვიტყვით, ობიექტური მხარის **პირველი ჯგუფი** მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ჩადენილ ქმედებებს, რა დროსაც არა აქვს მნიშვნელობა, მოახერხა თუ არა პირმა ქონების ლეგალიზაცია - მისი მცდელობაც (თუ იგი გამოვლინდა მითითებული ქმედებებიდან რომელიმე მათგანის ჩადენაში) დამთავრებული დანაშაულია, თუ დადგენილია შესაბამისი მიზანი. ნათქვამი უფრო გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ფულის გათეთრების იმ ეტაპებს (ფაზებს), რაც აღიარებულია სპეციალულ წყაროში. კერძოდ, ლეგალიზაციის სამ ფაზას (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი).

სსკ 194-ე მუხლის პირველ ჯგუფში მითითებული ქმედებები იმიტომაცაა მიზნით დაფუძნებული დელიქტის სახით წარმოდგენილი, რომ ამ შემთხვევაში არაა განხორციელებული სამივე ფაზა. პირი შეიძლება მხილებულ იქნას პირველი (განთავსება), ან მეორე (განლაგება/დანაწევრება) ფაზის ჩადენისას და მან ვერ მოასწროს ბოლო მესამე ფაზის (ინტეგრაციის) ჩადენა.

ხოლო **მეორე ჯგუფი** მოიცავს იმ შემთხვევებს, როცა პირმა უკვე შეძლო უკანონო შემოსავლის დამალვა ან შენიღბვა. ანუ ლეგალიზაციის პროცესი ბოლომდეა მიყვანილი - სახეზეა მესამე საბოლოო ფაზა - ინტეგრაცია. შესაბამისად, ფულის გათეთრების მიზანი უკვე მიღწეულია - ქონება ინტეგრირებულია (შერეულია) ლეგალურ ეკონომიკაში.

სწორედ ამიტომ, სსკ 194-ე მუხლის ობიექტური მხარის ამ მეორე ჯგუფში მითითებული არაა ჩადენილი ქმედებების მიზანზე, რადგან იგი უკვე მიღწეულია. ასევე არაა დაკონკრეტებული ქმედებები, არამედ დაზუსტებულია, თუ კერძოდ, რისი (მაგალითად, ქონების წარმოშობის წყაროს, თუ მასზე საკუთრების უფლების) დამალვა ან შენიღბვა შეძლო პირმა ამ მესამე ფაზის განხორციელებით.

გამოდის, რომ ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის, არა აქვს მნიშვნელობა, პირი ამხილეს ფულის გათეთრების პირველ, მეორე, თუ მესამე ეტაპზე (ფაზაზე). ამასთან, თუკი იგი მხილებულ იქნა პირველ ან მეორე ეტაპზე, როცა ქონების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) პროცესი არ იყო დასრულებული, გარდა ჩადენილი ქმედებისა (მაგ., ქონების შეძენა), აუცილებლად უნდა დასაბუთდეს

ჩადენილი ქმედების ის სპეციალური მიზანი, რაც ხაზგასმითაა დაფიქსირებული სსკ 194-ე მუხლის პირველ ნაწილში. ასეთი მიზნის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 194-ე მუხლით, თუმცა, შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს სხვა მუხლით (მაგ., სსკ 186-ე მუხლით).

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა პირმა უკვე მოახერხა სამივე ეტაპის (ფაზის) გავლა და უკანონო ქონება ინტეგრირებულ იქნა ლეგალურ ეკონომიკაში, აუცილებელი არაა დასაბუთდეს მიზანი, რადგან იგი უკვე მიღწეულია. ამდენად, კანონმდებელი ამ მეორე ჯგუფის ქმედების ჩადენისას აქცენტს არ აკეთებს მიზანზე, არც ქმედებებზე. იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, კერძოდ რისი დამალვა, თუ შენიღბვა შეძლო პირმა (ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს და ა.შ.).

4.2.1. განვიხილოთ პირველი ჯგუფის ქმედებები

(გამიზნითი დელიქტები)

ჩამოთვლილი ხერხებიდან თითოეული, შესაძლოა, რამდენიმე ეტაპად განხორციელდეს. ვთქვათ, პირმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გამოიყენა კონვერსიის ხერხი, რაც რამდენიმე ეტაპად განახორციელა: თანხა, რომელიც წარმოდგენილი იყო ლარებში, ჯერ გადაიყვანა აშშ დოლარში, გარკვეული დროის შემდეგ - ევროში და მესამე ეტაპზე ინგლისურ გირვანქაში. ანდა თანხა, რაც წარმოდგენილი იყო ლარებში, ნაწილ-ნაწილ გადაიყვანა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტაში.

ასევე შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებული ხერხებიდან გამოყენებული იყოს რამდენიმე მათგანი - ვთქვათ, პირმა თავდაპირველად მოახდინოს ქონების კონვერსია, შემდეგ შეიძინოს ქონება, შემდეგ გადასცეს იგი სხვა პირს, საბოლოოდ კი ისარგებლოს ამ ქონებით და ყველაფერი ეს ჩაიდინოს მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით.

ქონებით სარგებლობა - საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი, უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას კანონიერი სახე მიეცეს ამ ქონების სარგებლობით? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქონებით სარგებლობა თუ შეიძლება გამოდგეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საშუალებად?

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ განსახილველ დანაშაულთან მიმართებაში, როცა სახეზეა ფიზიკური პირი, ქონებით სარგებლობის სუბიექტი შესაძლებელია იყოს არა წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენი, ან მასში თანამონაწილე, არამედ სხვა პირი, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან. ამიტომაც, როცა წინარე დანაშაულში მონაწილე ფიზიკური პირი დაიწყებს ამ დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონებით სარგებლობას, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად.

მაგალითად, ტრეფიკერი შეუდგა ადამიანით ვაჭრობის შედეგად მიღებული ქონებით სარგებლობას. ვთქვათ, დაიწყო ცხოვრება იმ ძვირადღირებულ ვილაში, რაც მიიღო ამ დანაშაულის ჩადენით. ანდა, დაიწყო იმ ძვირფასი სამკაულებით სარგებლობა, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად ჰქონდა მიღებული. სახეზეა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობა (სსკ 143¹ მ.).

რატომ? იმიტომ, რომ: ა) დანაშაულში მონაწილე პირის მიერ უკანონო ქონებით სარგებლობა, სუბიექტურად არაა მიმართული ამ ქონების ლეგალიზაციისკენ - პირის მიზანი არაა ქონების გათეთრება და მისი შემდგომი ინტეგრაცია ეკონომიკაში. პირის მიზანია მისი სარგებლობით პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ბ) ეს ქმედება ობიექტურადაც ვერ ჩაითვლება ქონების ლეგალიზაციის საშუალებად. კერძოდ, წინარე დანაშაულის ჩამდენის მიერ უკანონო ქონებით სარგებლობის ფაქტი არაა ე.წ. „კვალის არევის“ საშუალება, იგი ვერ გამოდგება ქონებაზე „ჭუჭყის ჩამორეცხვის“ ხერხად. საქმე ისაა, რომ თუკი დადგება ამ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების საკითხი, პირი საამისო არგუნებტად ვერ გამოიყენებს ამ ქონებით სარგებლობის ფაქტს, რადგან ქონებით ფაქტობრივი სარგებლობა სრულებით არ მიუთითებს მის კანონიერ წარმომავლობაზე.

განსხვავებული ვითარებაა იმ შემთხვევაში, როცა წინარე დანაშაულის ჩამდენი ამ ქონებით შეიძენს სხვა ქონებას. მაგალითად, გაცვლის მას სხვა ქონებაში, ან შეისყიდის ქონებას უკანონო ქონების ლეგალიზაციის მიზნით. ამ დროს ადგილი აქვს არა უკანონო ქონებით სარგებლობას, არამედ სულ სხვა ქმედებას - ქონების შეძენას, რაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სხვა ალტერნატიული ხერხია.

სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა უკანონო ქონებით სარგებლობს სხვა პირი (რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან), ამ დროს ქონებით სარგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხერხია.

მაგალითად, პავლე წინასწარ შეუთანხმდა ერთ-ერთი ბანკის პრეზიდენტს (დავითს) და იარაღით ვაჭრობის შედეგად მოპოვებული თანხა მისი ლეგალიზაციის მიზნით ამ ბანკში გადარიცხა. ბანკის წარმომადგენელმა, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია წინარე დანაშაულში, დაიწყო ამ ქონებით სარგებლობა - დაქსაქსა იგი და კრედიტის სახით გასცა ცრუმაგიერ პირებზე.

ბანკის წარმომადგენლის ქმედებაში სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც გამოიხატა ამ **ქონებით სარგებლობაში**.

რაც შეეხება პავლეს, მის ქმედებაში, გარდა იარაღით ვაჭრობისა, სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც გამოიხატა **ქონების გადაცემაში** (და არა ქონებით სარგებლობაში).

როცა სახეზეა იურიდიული პირი, მასთან მიმართებაში ქონებით სარგებლობის შემთხვევა სრულიად განსხვავებულად უნდა გადაწყდეს. ამ დროს, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა იურიდიული პირი წინარე დანაშაულის სუბიექტი. შესაბამისად, განსახილველი ქმედება (ქონებით სარგებლობა) უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად მაშინაც, როცა ჩადენილია ისეთი წინარე დანაშაული, რომლის სუბიექტი მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება იყოს იურიდიული პირიც. ასეთია მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა, ნარკოტიკული დანაშაული (სსკ 143¹, 143², 260-ე მ.) და სხვ.

ვთქვათ, როცა იურიდიული პირი სჩადის ადამიანით ვაჭრობას, ბანკის ანგარიშზე მიღებული უკანონო შემოსავლით სარგებლობა, შესაძლოა, მიმართული იყოს ამ ქონების ლეგალიზაციისკენ და ამავე დროს რეალურად გამოდგეს კიდევ საამისო ხერხად.

განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როცა ფიზიკური პირი იწყებს წინარე დანაშაულის შედეგად მიღებულ უკანონო ქონებით სარგებლობას, იურიდიული პირის მიერ ასეთი ქონების სარგებლობის ფაქტი შესაბამისი დოკუმენტით ფიქსირდება. ეს კი კვალის არევისათვის ვარგისი და „ნაცადი“ ხერხია. ამდენად, თუკი იურიდიული პირი უკანონოდ შეძენილი ქონების ლეგალიზაციის მიზნით დაიწყებს ამ ქონებით

სარგებლობას (რაც შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე ხორციელდება), ქმედება უნდა შეფასდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, რომლის ხერხი იყო უკანონოდ მიღებული ქონებით სარგებლობა, რადგანაც: ა) ამ შემთხვევაში იურიდიული პირის მიზანია არა რომელიმე ფიზიკური პირის პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ იურიდიული პირის ბიუჯეტში შემოსული უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა და მისი შემდგომი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში; ბ) გარდა ამისა, დგება შესაბამისი დოკუმენტი, რაც ამ ქონების კანონიერი გამოყენების შთაბეჭდილებას ქმნის.

მაგალითად, წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა-გასაღებით (სსკ 186-ე მ.) დაკავებულ პირთა ორგანიზებულ ჯგუფში ერთ-ერთ სტრუქტურულ რგოლს ბანკიც წარმოადგენდა. კერძოდ, მისი ფუნქცია იყო, ამ ბანკის მეშვეობით უცხოეთიდან შემოტანილი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების (მაგალითად, ავტომანქანების) შეძენა-გასაღებასთან დაკავშირებული თანხების გადარიცხვების განხორციელება შესაბამის ადრესატებზე. ამდენად, ბანკი, როგორც იურიდიული პირი, უშუალოდ იყო წინარე დანაშაულის სუბიექტი ორგანიზებულ პირთა ჯგუფში შემავალ ფიზიკურ პირებთან ერთად - სწორედ ამ ბანკის მეშვეობით ახორციელებდა ორგანიზებული ჯგუფი იმ თანხების გადარიცხვას, რაც დაკავშირებული იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით ვაჭრობასთან (შეძენა-გასაღებასთან).

შესაბამისად, ამ ბანკში თავი მოიყარა უკანონო შემოსავალმა, რაც დაკავშირებული იყო წინარე დანაშაულის (სსკ 186-ე მ.) ჩადენასთან, რაშიც ეს ბანკიც იღებდა უშუალო მონაწილეობას. ამდენად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ამ ეტაპზე ბანკის ანგარიშზე დაგროვილი თანხა წარმოადგენს იმ ქონებას, რაც მოპოვებულ იქნა წინარე დანაშაულის ჩადენით, რისი სუბიექტი ეს ბანკიცაა. შესაბამისად, ბანკის მიერ ამ თანხის მიღება მის ანგარიშზე არ შეიძლება განვიხილოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად, როგორც თითქოს ქონების ფლობა. ეს ქმედება (ნავაჭრი ფულის მიღება ბანკის ანგარიშზე) წინარე დანაშაულის (სსკ 186-ე მ.) შემადგენლობის განუყოფელი ნაწილია, იგი სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგად მიღებული „ჭუჭყიანი“ ფულია, რასაც მომავალში სჭირდება „გათეთრება“, რათა დაუბრკოლებლივ მოხდეს მისი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დგება ამ თანხების ლეგალიზაციის საკითხი. კერძოდ, ამ ქონების ლეგალიზაციის საკითხი დღის წესრიგში დგება სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრების შემდეგ და საამისო ერთ-ერთ ხერხად ბანკს შეუძლია გამოიყენოს **ქონებით სარგებლობა**. მაგალითად, მოჩვენებითად დაქსაქსოს ეს თანხა და კრედიტის სახით გასცეს ცრუმაგიერ პირებზე. როგორც ვხედავთ, განსხვავებით ფიზიკური პირის შემთხვევისაგან, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირი (ბანკი) იყო წინარე დანაშაულის სუბიექტი, ეს არ უშლის ხელს იმას, რომ ამ ბანკმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად გამოიყენოს **ქონებით სარგებლობა**.

ქონების შექმნა - ეს ქმედება ერთ-ერთ გავრცელებულ ხერხად ითვლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. იგი კვალის არევის ეფექტური ხერხია, რადგან „ჭუჭყიანი“ ქონებით სხვა ქონების შექმნა ამ ქონების სახეცვლილების საუკეთესო საშუალებაა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მისი უკანონობის დაფარვას. როგორც წესი, უკანონო ქონებით სხვა ქონების შექმნა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა.

სწორადაა აღნიშნული შესაბამის წყაროებში, რომ დანაშაულის ინტერნაციონალიზაცია და ფულის გათეთრების ინტერნაციონალიზაცია ერთი მონეტის ორი მხარეა. უკანონო წარმომავლობის თანხები ეძებენ ისეთ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მიმზიდველი საბანკო რეჟიმები (ეს არის თანამედროვე საბანკო სისტემები, დაბალი საგადასახადო პირობებით - ე.წ. “tax heavens“-ქვეყნები. ხშირ შემთხვევაში იგულისხმება ოფშორები, სადაც უცხოელ ინვესტორებს, ბიზნესს აქვს ძალიან დაბალი გადასახადები, ან საერთოდ არ აქვთ გადასახადი.²⁹⁴ იმასაც ამტკიცებენ, რომ „ჭუჭყიანი ფულის“ გადინება განვითარებადი ქვეყნებიდან მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში 10-ჯერ აღემატება უცხოეთიდან შემომავალი დახმარებების რაოდენობას.²⁹⁵

მაგალითი: დემეტრემ იარაღით უკანონო ვაჭრობის შედეგად დააგროვა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი. იმისათვის, რომ მან ეს თანხა თავისუფლად ჩართოს

²⁹⁴ იხ. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 13.

²⁹⁵ იხ. იქვე.

ეკონომიკურ ბრუნვაში, ჯერ საჭიროა მისი ლეგალიზაცია. ამ მიზნით მან ისეთ ქვეყანაში შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც მოქმედებდა ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა (არ ითხოვდნენ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებას და მოქმედებდა დაბალი საგადასახადო მოთხოვნა). შემდეგ ეს ქონება იმავე ქვეყანაში გადაცვალა მრავალსართულიან შენობაში. საბოლოოდ, ისიც გაყიდა და მიღებული თანხით უძრავი ქონება შეიძინა იმ ქვეყანაში, სადაც თავად სურდა სამეწარმეო საქმიანობის დაწყება.

როგორც ვხედავთ, პირმა, რომელსაც უკანონო გზით აქვს მოპოვებული თანხა, რამდენიმე ეტაპად განახორციელა მისი ლეგალიზაცია და საამისოდ გამოიყენა რამდენიმე ხერხი - ჯერ შეიძინა მიწის ნაკვეთი, შემდეგ გადაცვალა იგი სხვა ქონებაში (ამ ეტაპზე ქონების შეძენა განხორციელდა ორჯერ), შემდეგ კი გაყიდა ქონება (ესაა სხვა მოქმედება, რაზეც საუბარი იქნება ქვემოთ) დაბოლოს, კვლავ შეიძინა ქონება.

საბოლოოდ, გამოდის, რომ ქონების ლეგალიზაციისათვის გამოყენებულია ოთხ ეტაპიანი ხერხი, საიდანაც სამჯერ გამოყენებულ იქნა ქონების შეძენა, ხოლო ერთხელ სხვა მოქმედება, რაც ქონების გაყიდვაში გამოიხატა.

ამდენად, ქონების შეძენა შესაძლებელია მისი გაცვლის გზითაც. ეს საკითხი ასეა გაგებელი სამართალში და კერძოდ, სისხლის სამართალშიც. მაგალითად, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთების (ცეცხლსასრული იარაღი, ნარკოტიკული საშუალება და სხვ.) შეძენის ერთ-ერთი ხერხია მისი მიღება სხვა ნივთში გაცვლის გზით.²⁹⁶

ქონების შეძენა უკანონო ქონების ლეგალიზაციის მიზნით, შეიძლება უფრო დახვეწილი ფორმითაც იქნეს ჩადენილი, რომლის გამოვლენა გაცილებით მეტ სიმძნელესთანაა დაკავშირებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქონების შესაძენად გამოყენებული თანხის ძირითადი ნაწილი კანონიერი ქონებაა და მხოლოდ მცირე ნაწილია უკანონო ქონება (ე.წ. შერეული ქონება).

მაგალითი: სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირი, ფარულად უკანონო საქმიანობასაც ეწევა (ვთქვათ, ვაჭრობს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთით) რითაც დააგროვა დიდი თანხა. საკუთარი ბიზნესის გაფართოების მიზნით

²⁹⁶ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 754; ასევე სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 26.

მან არაერთხელ შეიძინა ძვირადღირებული საქონელი, რომლის ღირებულების 95 პროცენტი გადაიხადა ლეგალურად მიღებული შემოსავლით, ხოლო 5 პროცენტი - უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული თანხით.

ამ შემთხვევაში, პირს არ სჭირდება ისეთი ხერხის გამოყენება, როგორცაა უცხო ქვეყანაში ქონების განთავსება, შემდეგ მრავალჯერადი ოპერაციებით კვალის არევა და „გასუფთავებული“ თანხის უკან შემოტანა იმ ქვეყანაში, სადაც აპირებს ან უკვე ახორციელებს ლეგალურ სამეწარმეო საქმიანობას. მან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ქონებით უკვე „გაათეთრა“ უკანონო ქონების ნაწილი.

ქონების ფლობა - აქაც ისმის კითხვა: რამდენადაა შესაძლებელი, უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას კანონიერი სახე მიეცეს ამ ქონების ფლობით? ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება, რადგან სადავო არ არის, რომ სანამ დაიწყება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაკენ მიმართული ქმედებები, ასეთი შემოსავალი უკვე უნდა არსებობდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით უკანონო ქონების მომპოვებელი პირი მას უკვე ფლობს.

შესაბამისად, ამ ქონების ფლობა წინარე დანაშაულის განუყოფელი ნაწილია მიუხედავად იმისა, იგი სისხლის სამართლის კოდექსში მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულის სახითაა წარმოდგენილი, თუ ფორმალური (შედეგარეშე) დანაშაულის სახით.²⁹⁷

ასე მაგალითად, ქრთამის აღება (სსკ 338-ე მუხლი) საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით წარმოდგენილია შეკვეცილი შემადგენლობის²⁹⁸ სახით და მისი დამთავრებულად ცნობისათვის არაა აუცილებელი, მოხელემ რეალურად აიღოს ქრთამის საგანი. საკმარისია, მან მიიღოს შეთავაზება ან დაპირება ქრთამზე, ან მოითხოვოს ქრთამის საგანი.²⁹⁹ მიუხედავად ამისა, მექრთამეობის შედეგად მიღებული ქონების ლეგალიზაციის საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ქრთამის საგანს მოხელე რეალურად დაეუფლება.

²⁹⁷ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 467-469.

²⁹⁸ შეკვეცილი შემადგენლობის შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 193-198.

²⁹⁹ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 392-394.

იგივე ვითარებაა ადამიანით ვაჭრობისას, რომლის დამთავრებულად ცნობისათვის სრულებით არაა აუცილებელი, დამნაშავემ მოახერხოს მსხვერპლის ჩაბმა ექსპლუატაციაში და შესაბამისი სარგებლის მიღება. სსკ 143¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია წინარე ქმედებების (ადამიანის ყიდვა, გადაბირება, გადაყვანა და სხვ.) ჩადენისთანავე. ამდენად, მსხვერპლის ექსპლუატაციაში ჩაბმა და შედეგად უკანონო შემოსავლის მიღება აღწერილი არაა სსკ 143¹ მუხლში, მაგრამ იგი მასში იგულისხმება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შედეგის დადგომა არ მოითხოვს ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით.³⁰⁰ ამასთან, ადამიანით ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი დგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ე.წ. ტრეფიკერი რეალურად მიიღებს მას. გამომდინარე აქედან, შეუძლებელია, ქონების ფლობის, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხერხის სუბიექტი იყოს პირი, ვისაც თავად აქვს იგი მოპოვებული კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ანუ ვინც წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილეა.

მისი სუბიექტი აუცილებლად სხვა პირია, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ ფლობს დანაშაულის საგანს და ეს ქმედება ემსახურება ამ საგნისათვის კანონიერი სახის მიცემას.

მაგალითად, ერთ-ერთი ბანკის პრეზიდენტი მოელაპარაკა ნარკობიზნესით დაკავებულ დავითს იმაზე, რომ დავითი უკანონოდ მოპოვებულ რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს ამ ბანკში გადარიცხავდა მისი ლეგალიზაციის მიზნით. ისინი იმაზეც შეთანხმდნენ, თუ საბოლოოდ ამ თანხიდან, ვის რამდენი პროცენტი დარჩებოდა. დავითმა მართლაც გადარიცხა შეთანხმებული თანხა ბანკში.

ბანკის პრეზიდენტის ქმედება, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად დაკვალიფიცირდება, რომელიც **ქონების ფლობაში** გამოიხატა.

დანაშაულის ამ ხერხთან დაკავშირებით ისმის კითხვა: თუ შეიძლება უკანონო ქონების ფლობის სუბიექტი იყოს წინარე დანაშაულის ჩამდენი **იურიდიული პირი?** საკითხი

³⁰⁰ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 288.

დგას იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირიც.

ეს საკითხი დგება, რამდენადაც განსხვავებით ფიზიკური პირის შემთხვევისაგან, როცა ქონებას იურიდიული პირი ფლობს, ყოველთვის სახეზეა შესაბამისი დოკუმენტი, რაც ადასტურებს ამ ქონების ფლობის ფაქტს.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ როგორც ეს ზემოთ, ქონებით სარგებლობის საკითხის განხილვისას ითქვა, იურიდიული პირის მიერ ჩადენილი წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების ფლობა ამ წინარე დანაშაულის განუყოფელი ნაწილია. ამდენად, განსხვავებით ზემოთ განხილული სხვა შემთხვევისაგან, როცა ადგილი აქვს **ქონებით სარგებლობას**, ქონების ფლობის საკითხი უნდა გადაწყდეს განსხვავებულად. კერძოდ, იგი უნდა გადაწყდეს იმგვარადვე, როგორც ეს წყდება ფიზიკურ პირთან მიმართებაში. შესაბამისად, წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენი იურიდიული პირი არ ჩაითვლება უკანონო ქონების ფლობის, როგორც სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული ქმედების სუბიექტად.

ქონების კონვერსია - კონვერსია ლათინური სიტყვაა (“CONVERSIO”) და ნიშნავს გარდაქმნას, შეცვლას.³⁰¹ კონვერსიის ეს ცნება ამ დანაშაულთან მიმართებაში არ უნდა გავიგოთ ფართოდ. იგი არ ეხება ყველა სახის ქონებას, არამედ ეხება მხოლოდ ვალუტას. კონვერსია კვალის არევის ნაცადი ხერხია, რადგან ამ დროს ადგილი აქვს ერთი ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაზე გადაცვლას. ვალუტის შეცვლა იმდენადაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხი, რამდენადაც ამ ქმედების განხორციელების შემდეგ რთულია იმის დადგენა, თუ საიდან მიიღო დანაშაულის სუბიექტმა ეს ქონება. გარდა ამისა, იგი ქონების ლეგალიზაციისკენ მიმართული სხვა ხერხის (ტრანზსაქციის/ელექტრონული ფოსტის) გამოყენებისთვისაც ქმნის სათანადო პირობებს.

კონვერსიის, როგორც ფულის გათეთრების ერთ-ერთი ეფექტური ხერხის თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია: ქუჩაში ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობისას გამოიყენება 5 ან 20 დოლარიანი კუპიურები. მილიონი დოლარი, რომლიც

³⁰¹ იხ. უცხო სიტყვათა მოკლე ლექსიკონი, რუსულ ენაზე, შემდგენელი, ს.მ. ლოკშინა, მოსკოვი, 1986, გვ. 122; მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი, ავტ. კოლექტივი, რედ. შიშილინი ნ. ვ. და ონიკოვი ლ.ა., რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1978, გვ. 168.

შედგება 20 დოლარიანი კუპიურებისაგან, იწონის 111 ფუნტს (ეს დაახლოებით გახლავთ 50 კილოგრამი), ხოლო 5 დოლარიანი კუპირებით შემდგარი მილიონი დოლარი - 444 ფუნტს (დაახლოებით 201 კილოგრამი). როგორც მოსახერხებლობის კუთხით, მაგრამ უფრო მეტად, იმ რისკის გათვალისწინებით, რომ ეს ფინანსები აღმოჩენილი და ჩამორთმეული იქნება პოლიციის ან სხვა კრიმინალების მიერ, სასურველი ხდება, აღნიშნული კუპიურები მიიტანონ ბანკში და მოახდინონ მათი კონვერტირება ბრუნვად საკრედიტო-ფულად დოკუმენტში (მაგალითად, როგორც გახლავთ - საბანკო ქვითარი, „cashier’s check“), ან მოახდინონ მისი გადარიცხვა სხვა ლოკაციაზე.³⁰²

კრიმინალური ქონების კონვერსიის (კონვერტაციის) მაგალითად მოჰყავთ ფსონების დადება სათამაშო დაწესებულებაში და შემდეგ მოგების განაღდება.³⁰³

აღიარებულია, რომ თანხების გადარიცხვა ბანკებს შორის ელექტრონული ფოსტებით - „საკაბელო გადარიცხვები“ - გახლავთ ერთ-ერთი გზა, რათა სწრაფად მოხდეს უკანონო ქონების გადაადგილება, ისე რომ იგი არ იყოს მარტივი შესამჩნევი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამავდროულად იწყება თანხების გათეთრება, რადგან ხდება კონტროლის, ზედამხედველობის განხორციელების კვალის არევა.³⁰⁴

მაგალითი: დავითმა, რომელსაც არ გააჩნია ქონების კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეს ქონება (დიდი ოდენობით თანხა უცხო ვალუტაში) გადარიცხა საქართველოს ერთ-ერთ ბანკში მისი ლეგალიზაციის მიზნით, რაზეც წინასწარვე შეუთანხმდა ბანკის ხელმძღვანელს. ბანკის ხელმძღვანელმა ეს თანხა ქართულ ვალუტაში - ლარში გადაიტანა. **სახეზეა ქონების კონვერსია.** შემდეგ კი დაქსაქსა და გასცა იგი „კრედიტის სახით“ ცრუმაგიერ პირებზე.

როგორც ვხედავთ, ქონების (ვალუტის) კონვერსიამ შექმნა არა მხოლოდ კვალის არევის, არამედ ქონების ლეგალიზაციისკენ მიმართული სხვა ქმედებისათვის - ქონებით სარგებლობისათვის საჭირო პირობები. კერძოდ, გარდაიქმნა რა სხვა სახის

³⁰² Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 4.

³⁰³ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 10.

³⁰⁴ შეად. Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. p. 1.

ვალუტად (ქართულ ვალუტად), ამით პირობა შეიქმნა როგორც მისი წარმოშობის კვალის წაშლისთვის, ასევე ქართულ ეროვნულ ვალუტაში კრედიტის გაცემისთვის, რაც უკანონო ქონების ლეგალიზაციის სხვა ხერხია (ქონებით სარგებლობა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქონების კონვერსია არ უნდა გავიგოთ ფართოდ. ამდენად, გარდა ვალუტისა, მასში არ იგულისხმება ნებისმიერი სხვა ქონების გაცვლა. შესაბამისად, თუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ადგილი აქვს ერთი სახის ქონების (მაგალითად, უკანონოდ მიღებული შენობის) გადაცვლას სხვა სახის ქონებაში (მაგალითად, მიწის ნაკვეთში), ლეგალიზაციის ხერხად უნდა ჩაითვალოს არა კონვერსია, არამედ **ქონების შექმნა**, რომელშიც ქონების გაცვლაც იგულისხმება.

ქონების გადაცემა - ეს ქმედებაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ ხერხადაა აღიარებული. მასში იგულისხმება შემთხვევა, როცა სსკ 194-ე მუხლის საგანი („ჭუჭყიანი ქონება“) გადაეცემა სხვა პირს, რომელმაც ზომები უნდა მიიღოს მისი ლეგალიზაციისათვის, თუმცა სამსახურებრივად არ ევალება ქონების მიღებისას მისი კანონიერების შემოწმება. ასევე ისეთ პირს, რომელსაც სამსახურებრივად ევალება ამ ქონების კანონიერების გადამოწმება.

ამ შემთხვევების მაგალითად მოჰყავთ კრიმინალური ქონების გადაცემა სხვა პირისთვის ან მისი გადაცემა კაზინოს ოპერატორისთვის.³⁰⁵

ამ მაგალითში, „სხვა პირისათვის“ ქონების გადაცემა გულისხმობს შემთხვევას, როცა ამ სხვა პირს სამსახურებრივად არ ევალება მისი კანონიერების შემოწმება. ხოლო კაზინოს ოპერატორზე გადაცემის შემთხვევაში სახეზეა ის პირი, რომელსაც სამსახურებრივად ევალება მისი კანონიერების შემოწმება. შესაბამისად, ქონების გადაცემა შეიძლება მოხდეს როგორც საერთო, ისე სპეციალურ სუბიექტზე.

თავად სხვა პირზე ქონების გადამცემი, შესაძლოა, იყოს როგორც თავად წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენი, ასევე პირი, რომელსაც საერთოდ არ ჰქონია რაიმე კავშირი წინარე დანაშაულთან.

საერთოდ, მთავარია, პირი მხილებულ იყოს წინარე (ძირითადი) დანაშაულის ჩადენაში. იგი ჯერ-ჯერობით, შესაძლოა, არ იყოს გასამართლებული წინარე დანაშაულისათვის.

³⁰⁵ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 10.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მიჩნევისათვის და პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, არ არის აუცილებელი ნასამართლობა ძირითადი დანაშაულისთვის.³⁰⁶

მაგალითი (როცა ქონების გადაცემის სუბიექტია წინარე დანაშაულის ჩამდენი):

დავითმა ნარკობიზნესის წარმოებით უკანონოდ მოიპოვა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი. მან ეს თანხა, საბერძნეთიდან საქართველოში არსებულ ერთ-ერთ ბანკში გადარიცხა, რათა ამ უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახე მიეცა, რაზეც წინასწარვე იყო შეთანხმებული შესაბამისი ბანკის პრეზიდენტთან.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ყველაზე გავრცელებულ ხერხად აღიარებულია უკანონოდ მოპოვებული ფულით საბანკო გადარიცხვების განხორციელება. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 1989 ამერიკელ ბანკირთა მონიტორინგის სამსახურის ასოციაციამ მხარი დაუჭირა იმას, რომ ჭუჭყიანი ფულის ბანკებში განთავსების შეჩერება უმთავრესი პრიორიტეტია. ამასთანავე აღიარა, რომ „საბანკო ტრანზაქციები, რომლებიც არსებითად დაურეგულირებელია, გახდა პირველი მეთოდი, რომლითაც, რომლის მეშვეობითაც მაღალი დონის ფულის გამთეთრებლები ახორციელებენ შესაბამის ოპერაციებს“.³⁰⁷

რადგან ვთანხმდებით იმაზე, რომ, შესაძლოა, სსკ 194-ე მუხლის ამსრულებელი წინარე (პრედიკატული) დანაშაულის სუბიექტიც იყოს, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით - როგორც ნარკოტიკული დანაშაული (ვთქვათ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება - სსკ 260-ე მ-ის შესაბამისი ნაწ.), ისე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მუხლის შესაბამისი ნაწ.), რომელიც **ქონების გადაცემაში** გამოიხატა.

როგორც აღინიშნა, ის ფაქტი, რომ ბანკში ამ ქონების გადარიცხვამდე იგი მას ფლობდა, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 194-ე მუხლით (როგორც უკანონო შემოსავლის ფლობა). უკანონო შემოსავლის ფლობის ფაქტი იმ წინარე დანაშაულის განუყოფელი ნაწილია, რითაც დავითმა მოიპოვა იგი (მაგალითად, იგი არის ნარკოტიკებით ვაჭრობის - სსკ 260-ე მუხლის განუყოფელი ნაწილი). დავითის ქმედებაში სსკ 194-ე

³⁰⁶ Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 11.

³⁰⁷ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. p. 8-9.

მუხლის შემადგენლობა მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, როცა იგი უკანონო ქონებას ბანკში გადარიცხავს მისი შემდგომი ლეგალიზაციის მიზნით.

მეორე მაგალითი (როცა ქონების გადაცემის სუბიექტია სხვა პირი, რომელსაც არ ჰქონია კავშირი წინარე დანაშაულთან):

ერთ-ერთი ბანკის პრეზიდენტი და წინარე დანაშაულის ჩამდენი შეთანხმდნენ, რომ ამ ბანკის მეშვეობით მოხდებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. შეთანხმებისამებრ, თანხა გადმოირიცხა ბანკში. ბანკის პრეზიდენტმა ეს თანხა თავის მხრივ გადარიცხა სხვა ბანკში, ანუ მოახდინა მისი ტრანზაქცია, რათა „აერია კვალი“.

ბანკის პრეზიდენტის ქმედებაში სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც გამოიხატა რამდენიმე ქმედებაში - თავდაპირველად ეს იყო ქონების ფლობა, ხოლო შემდეგ - მისი გადაცემა სხვა ბანკზე (ტრანზაქცია).

სხვა მოქმედება - როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის ამ ბოლო ხერხში კანონმდებელი არ აკონკრეტებს ქმედების სახეს, რითაც გასაქანს აძლევს სასამართლო პრაქტიკას, თავად განსაზღვროს იგი. მართლაც, შეუძლებელია, სისხლის სამართლის ნორმაში ამომწურავად განისაზღვროს ეს ხერხები, რადგან ამ დანაშაულის ჩამდენი პირები სულ უფრო და უფრო ხვეწენ და მრავალფეროვანს ხდიან მას.

სხვა მოქმედებაში შეიძლება ვიგულისხმოთ **ქონების გასაღება, რაც** გულისხმობს მის გაყიდვას ან გასაჩუქრებას (მაგრამ არა გაცვლას, რომელიც ქონების შეძენის ხერხია).

მაგალითი: ქალაქის მერი შეუთანხმდა ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელს, რომ იმ პირობით მისცემდა მას კორპუსის მშენებლობის უფლებას ქალაქის რეკრიაციულ ზონაში, თუ ეს კომპანია ქალაქის მერთან დაკავშირებული პირის (დავითის) სახელზე გააფორმებდა 1000 კვ.მ კომერციულ ფართს ქალაქის პრესტიჟულ უბანში. სამშენებლო კომპანიამ შეასრულა ეს მოთხოვნა და მის მიერ უკვე აშენებული კორპუსიდან 1000 კვ.მ ფართი გადაუფორმა დავითს. შესაბამისად, მიიღო ნებართვა მშენებლობაზე.

ქალაქის მერმა ეს კომერციული ფართი ფიქტიურად გაყიდა ცრუმაგიერ პირზე. რამდენიმე თვის შემდეგ ფართი „კვლავ გაიყიდა“ და გადაფორმდა მერის სიმამრის სახელზე.

სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. კერძოდ, სახელმწიფო მოხელის ქმედებაში აშკარაა ქრთამის აღება, რაც გამოიხატა დიდი ოდენობით სხვა ქონების (კომერციული ფართის) არაპირდაპირ მოთხოვნასა³⁰⁸ და მიღებაში (სსკ 338-ე მ. მე-2 ნაწ. „ბ“ ქვ.). მის ქმედებაში ასევე სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მ.). კერძოდ, მან ლეგალიზაცია გაუკეთა კორუფციის (კერძოდ, ქრთამის აღების) გზით მიღებული ქონებას, რის ხერხადაც გამოიყენა **სხვა მოქმედება** - ქონების გაყიდვა, რაც მოცემულ შემთხვევაში, კვალის არევის მიზნით ორ ეტაპად განხორციელდა - პირველად იგი ფიქტიურად გაიყიდა ცრუმაგიერ პირზე, ხოლო მეორედ „გაიყიდა“ მოხელის სიმამრზე.

ისმის კითხვა: რით გავმიჯნოთ უკანონო ქონების გასაღება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხერხი და წინასწარ შეცნობით დანაშაულდებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღება (186-ე მ.)?

მათ შორის არსებობს რამდენიმე ძირითადი განსხვავება: ა) დანაშაულდებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღებისას (სსკ 186-ე მ.), პირის მიზანია ამ ქონების „თავიდან მოშორება“ (რათა მომავალში იგი არ იქნეს გამოყენებული მის საწინააღმდეგო მტკიცებულებად) და, რა თქმა უნდა, მიღებული შემოსავლით პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

განსახილველ შემთხვევაში კი პირის მიზანია, ქონების გასაღებით უკანონო ქონებას „ჩამორეცხოს ჭუჭყი“, რათა შემდგომში დაუბრკოლებლივ შეძლოს მისი გამოყენება სამეწარმეო ან სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში (შეძლოს მისი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში): ბ) სსკ 186-ე მუხლში ქონების გასაღებაში იგულისხმება მისი გაყიდვა, გაცვლა სხვა ნივთში, ასევე გასაჩუქრება. განსახილველ შემთხვევაში, გასაღებაში იგულისხმება მხოლოდ ქონების გაყიდვა ან გასაჩუქრება.

რაც შეეხება ქონების გაცვლას, იგი არ იგულისხმება სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაღებაში, იგი ქონების შეძენის ხერხია.

მაგალითი: სააქციო საზოგადოების წარმომადგენელმა კორუფციული გარიგების (კომერციული მოსყიდვის) შედეგად გასამრჯელოდ მიიღო მიწის ნაკვეთი. მან იგი

³⁰⁸ ქრთამის არაპირდაპირ გზით აღების საკითხზე იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 392-393.

კვალის არევის მიზნით სასწრაფოდ გადაცვალა კომერციულ ფართში, ხოლო რამდენიმე კვირაში - სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც ჩადენილია ქონების შეძენით (და არა სხვა მოქმედებით).

რაც შეეხება ქონების გასაჩუქრებას, იგი უსათუოდ იგულისხმება სხვა მოქმედებაში (კერძოდ, გასაღებაში). არაა გამორიცხული, კვალის არევის მიზნით ადგილი ექნეს უკანონო ქონების ფორმალურ გასაჩუქრებას „სანდო პირზე“, ან ცრუმადიერ პირზე, რათა ეს ქონება შემდგომში უკან დაუბრუნდეს მას და თავისუფლად შეძლოს ეკონომიკაში მისი ინტეგრირება.

ქონების გაყიდვა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სხვა მოქმედების ერთ-ერთი გავრცელებული გამოვლინებაა.³⁰⁹ განსხვავებით ქონების შეძენისაგან, ამ დროს არა აქვს ადგილი ერთი ქონების ხარჯზე სხვა ქონების შეძენას (ანუ ქონების გაცვლას), ასევე არა აქვს ადგილი ფულით ქონების ყიდვას, არამედ, პირიქით, უკანონოდ მოპოვებული ქონება იყიდება ფულზე.

4.2.2. მოტყუება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თანმხლები

საშუალება

საერთოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მიუხედავად მისი ხერხისა, მოტყუებაზეა დაფუძნებული, რადგან იგი ყველა შემთხვევაში სინამდვილის დამალვას ემსახურება - იმის დამალვას, რომ ქონება უკანონო გზითაა მოპოვებული, ან იმის დამალვას, რომ მისი კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებაა შეუძლებელი. ამასთან, მოტყუება განსაკუთრებულად იჩენს თავს მისი იმ ხერხის გამოყენებისას, რასაც ჰქვია **სხვა მოქმედება**. ამ ხერხებთან მიმართებაში მოტყუების გამოყენება ხშირ შემთხვევაში თაღლითობასთანაა დაკავშირებული.

გამომდინარე აქედან, როცა ფულის გათეთრებას თან ახლავს თაღლითობა, ქმედება დანაშაულა ერთობლობით უნდა დაკვალიფიცირდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოტყუების ელემენტები იყო გამოყენებული, მაგრამ არ იყო ჩადენილი თაღლითობა,

³⁰⁹ უფრო დაწვრილებით სსკ 194-ე და 186-ე მუხლებს შორის განსხვავება ცალკე საკითხად იქნება განხილული.

საჭირო არაა ქმედების კვალიფიკაცია დანაულთა ერთობლიობით - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოიცავს ასეთი სახის მოტყუებას.

ამდენად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეს ხერხი (სხვა მოქმედება) რამდენიმე ვარიანტში უნდა განვიხილოთ:

- ა) როცა არაა გამოყენებული თაღლითობა, თუმცა სახეზეა მოტყუების ელემენტები;
- ბ) როცა ფულის გათეთრებას თან ახლავს თაღლითობა;
- გ) როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ხორციელდება თავად ამ უკანონო შემოსავლის გამოყენებით.

პირველი მაგალითი (სხვა მოქმედება, რაც არაა დაკავშირებული თაღლითობასთან):

ირაკლიმ ადამიანით ვაჭრობის შედეგად მილიონობით აშშ დოლარი დააგროვა. ამ თანხით მან სამეწარმეო საქმიანობის დაწყება გადაწყვიტა, რისთვისაც ამ თანხის დაუბრკოლებლივ გამოსაყენებლად აუცილებელი გახდა მისი ფორმალური ლეგალიზაცია. საამისოდ ირაკლიმ ასეთ გზას მიმართა: იგი მოელაპარაკა ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას და უცხო ქვეყნის ერთ-ერთი პორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რის შემდეგაც დაიქირავა გემი თითქოსდა ტვირთის გადასაზიდად. გემზე, რომელიც უკვე ამორტიზების პირას იმყოფებოდა და მოკლე დროში ექვემდებარებოდა ბრუნვიდან ამოღებას, წინასწარი შეთანხმების მიხედვით მოთავსდა ცარიელი ფუთები, როგორც ვითომც ფასიანი ნივთები. ამასთან ეს „ტვირთი“ წინასწარვე ფიქტიურად იქნა დაზღვეული რამდენიმე მილიონ აშშ დოლარად. შეთანხმებისამებრ, ცურვის პროცესში გემი ჩაძირეს (ეკიპაჟი „დიდი ძალისხმევის შედეგად“ გადარჩა).

ირაკლიმ სადაზღვევო კომპანიიდან, ამ კომპანიის წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მიიღო ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ თითქოს მას გადაუხადეს დაზღვევის თანხა - რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი, რაც სინამდვილეში მისთვის არ გადაუხდიათ.

ამდენად, წარმატებით განხორციელდა ფულის გათეთრება - ირაკლის ხელთ აქვს ოფიციალური დოკუმენტი რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის კანონიერი წარმომავლობის დასადასტურებლად. სახეზეა სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობა - უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, რაც გამოიხატა **სხვა მოქმედებაში**.

როგორც კაზუსიდან ჩანს, მასში მრავლადაა გამოყენებული მოტყუება: თავდაპირველად იგი გამოიხატა სადაზღვევო კომპანიასთან ფიქტიური ხელშეკრულების დადებაში; შემდეგ გემის ფიქტიურ დატვირთვაში არარსებული ტვირთით; შემდეგ გემის მესაკუთრესთან წინასწარი შეთანხმებით მის ჩაძირვაში; დაბოლოს, სადაზღვევო კომპანიიდან დაზღვევის თანხის ფიქტიურად მიღებაში (რა თქმა უნდა, როგორც პორტის, ისე სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმა მიიღეს „კუთვნილი წილი“).

ამასთან სახეზე არაა თაღლითობის შემადგენლობა, რადგან ადგილი არ ჰქონია სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას - სადაზღვევო კომპანიამ მხოლოდ ფიქტიური დოკუმენტი გასცა შესაბამისი თანხის გადახდის შესახებ. მისი ბიუჯეტიდან არ გასულა არანაირი თანხა. ფიქტიური ქმედებები გამოყენებული იყო არა სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით,³¹⁰ არამედ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შენიღბვისათვის.

იგივე ითქმის გემის ჩაძირვის ფაქტზეც. მართალია, მისი ჩაძირვით შესაბამისმა იურიდიულმა პირმა მიიღო ქონებრივი ზიანი, მაგრამ, **ჯერ-ერთი**, ეს მოხდა თავად ამ იურიდიული პირის წარმომადგენლებთან წინასწარი შეთანხმებით; რაც მთავარია, **მეორე**, ამ ფაქტით ირაკლის ქონება არანაირად არ გაზრდილა - ჩაძირული გემი არ მიმატებია მის ქონებას.

მეორე მაგალითი (სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია თაღლითობასთან): ირაკლიმ ადამიანით ვაჭრობის შედეგად მილიონობით აშშ დოლარი დააგროვა. ამ თანხით მან სამეწარმეო საქმიანობის დაწყება გადაწყვიტა, რისთვისაც ამ თანხის დაუბრკოლებლივ გამოსაყენებლად აუცილებელი იყო მისი ფორმალური ლეგალიზაცია. საამისოდ ირაკლიმ ასეთ გზას მიმართა: იგი მოელაპარაკა უცხოეთის ერთ-ერთი პორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რის შემდეგაც დაიქირავა გემი თითქოსდა ტვირთის გადასაზიდად.

ამავე დროს მან ხელშეკრულება დადო ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიასთან გემით გადასაზიდი „ტვირთის“ დაზღვევის შესახებ და ეს „ტვირთი“ წინასწარვე დააზღვია

³¹⁰ თაღლითობაზე, როგორც დაუფლებითი დანაშაულის ერთ-ერთ ხერხზე, იხ. ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მეორე, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 63-80; ცქიტიშვილი თ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ. 2023, გვ. 14-49.

რამდენიმე მილიონ აშშ დოლარად (სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმა არაფერი იცოდნენ ირაკლის განზრახვის შესახებ).

გემზე, რომელიც უკვე ამორტიზების პირას იმყოფებოდა და მოკლე დროში ექვემდებარებოდა ბრუნვიდან ამოღებას, წინასწარი შეთანხმების მიხედვით მოთავსდა ცარიელი ფუტები, როგორც ვითომც ფასიანი ნივთები. შეთანხმებისამებრ, ცურვის პროცესში გემი ჩაძირეს (ეკიპაჟი „დიდი ძალისხმევის შედეგად“ გადარჩა).

ხელშეკრულების თანახმად ირაკლიმ სადაზღვევო კომპანიიდან მიიღო შესაბამისი თანხა (რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი) და ამის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტიც. რა თქმა უნდა, პორტის წარმომადგენელმა მიიღო წინასწარ შეპირებული „კუთვნილი წილი“.

ამდენად, წარმატებით განხორციელდა ფულის გათეთრება - ირაკლის ხელთ აქვს ოფიციალური დოკუმენტი რამდენიმე მილიონ აშშ დოლარის კანონიერი წარმომავლობის დასადასტურებლად. ამავე დროს მან დაუმსახურებლად მიიღო დიდი ოდენობით თანხა.

სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც გამოიხატა სხვა მოქმედებაში (სსკ 194-ე მ.) და თაღლითობა (180-ე მ.).

განსხვავებით პირველი მაგალითისაგან, ამ შემთხვევაში მოტყუების ხერხი გამოყენებულია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შენიღბვისთვის, არამედ სხვისი ქონების (სადაზღვევო კომპანიის ქონების) დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ირაკლიმ მოტყუების გზით მოახერხა ამ კომპანიის კუთვნილი თანხის დაუფლება უკანონოდ და უსასყიდლოდ.³¹¹

მესამე მაგალითი (სხვა მოქმედება, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განხორციელდა ამ უკანონო შემოსავლის გამოყენებით):

ირაკლიმ ადამიანით ვაჭრობის შედეგად მილიონობით აშშ დოლარი დააგროვა. ამ თანხით მან სამეწარმეო საქმიანობის დაწყება გადაწყვიტა, რისთვისაც ამ თანხის დაუბრკოლებლივ გამოსაყენებლად აუცილებელი იყო მისი ფორმალური ლეგალიზაცია. საამისოდ ირაკლიმ ასეთ გზას მიმართა: მოელაპარაკა ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას და უცხოეთის ერთ-ერთი პორტის ადმინისტრაციის

³¹¹ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 499-500.

წარმომადგენელს, რომლებსაც შეუთანხმდა „თავიანთ წილზე“. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიას შეუთანხმდა იმაზე, რომ იგი მის მიერ უკანონოდ მოპოვებულ შემოსავალს „მოხერხებულად“ გადაიტანდა ამ კომპანიის ანგარიშზე იმ პირობით, რომ „დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით დასრულების“ შემდეგ კომპანიისგან მიიღებდა მის მიერ გადარიცხული თანხის დიდ ნაწილს (ვთქვათ, 80 პროცენტს) და შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტს.

შემდეგ ირაკლიმ დაიქირავა გემი ცრუმაგიერი შპს-ს სახელით თითქოსდა ტვირთის გადასაზიდად.

გემზე, რომელიც უკვე ამორტიზების პირას იმყოფებოდა და მოკლე დროში ექვემდებარებოდა ბრუნვიდან ამოღებას, პორტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით, მოთავსდა ცარიელი ფუთები, როგორც ვითომც ფასიანი ნივთები. ამასთან ეს „ტვირთი“ წინასწარვე ფიქტიურად იქნა დაზღვეული რამდენიმე მილიონ აშშ დოლარად. შეთანხმებისამებრ, ცურვის პროცესში გემი ჩაძირეს (ეკიპაჟი „დიდი ძალისხმევის შედეგად“ გადარჩა).

ირაკლიმ სადაზღვევო კომპანიიდან, ამ კომპანიის წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მიიღო მის მიერვე ამ ორგანიზაციისათვის გადაცემული უკანონო ქონების (რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის) დიდი ნაწილი და ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ თითქოს მას გადაუხადეს დაზღვევის თანხა.

ამდენად, წარმატებით განხორციელდა ფულის გათეთრება - ირაკლის ხელთ აქვს ოფიციალური დოკუმენტი რამდენიმე მილიონ აშშ დოლარის კანონიერი წარმომავლობის დასადასტურებლად.

სახეზეა სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობა - უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, რაც გამოიხატა **სხვა მოქმედებაში**.

როგორც კაზუსიდან ჩანს, ამ ვარიანტშიც მრავლადაა გამოყენებული მოტყუების ხერხი: თავდაპირველად იგი გამოიხატა სადაზღვევო კომპანიასთან ფიქტიური ხელშეკრულების დადებაში; შემდეგ გემის ფიქტიურ დატვირთვაში არარსებული ტვირთით; შემდეგ გემის მესაკუთრესთან წინასწარი შეთანხმებით მის ჩაძირვაში; დაბოლოს, სადაზღვევო კომპანიიდან დაზღვევის თანხის ფიქტიურად მიღებაში (რაც სინამდვილეში მის მიერ გადარიცხული თანხის ნაწილი იყო).

მიუხედავად ამისა, სახეზე არაა თაღლითობის შემადგენლობა, რადგან ადგილი არ ჰქონია სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას - სადაზღვევო კომპანიის ბიუჯეტიდან არ გასულა თანხის მცირე ნაწილიც კი, რადგან თანხა, რაც ირაკლის გადაუხადეს, იყო მის მიერვე ამ კომპანიისათვის გადარიცხული „ჭუჭყიანი“ ფულის გარკვეული ნაწილი.

გარდა **სხვა მოქმედებისა**, ამ შემთხვევაში, ირაკლის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად ასევე უნდა ჩაითვალოს **ქონების გადაცემა** (სადაზღვევო კომპანიისათვის თანხის გადარიცხვის ეპიზოდში).

რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის ქმედებას, თუკი ეს თანხა კომპანიის ანგარიშზე ფორმალურად ოფიციალურად იქნა გადარიცხული, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის გამოყენებულია რამდენიმე ხერხი: **ქონების ფლობა**, რაც გამოიხატა იმ „ჭუჭყიანი“ ფულის მიღებაში და ამ კომპანიის ბიუჯეტში მის გადატანაში. ასევე **ქონების გადაცემა**, რაც გამოიხატა რამდენიმე მილიონის გადაცემაში ირაკლისთვის როგორც ვითომც დაზღვევის ფარგლებში მიღებული საზღაურისა.

ხშირად პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევას, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით **ჩადენილია ქმედებათა მთელი სერია** და გასარკვევია, რომელი მათგანი ემსახურებოდა დამნაშვის მიზანს. ასეთ შემთხვევაში იმისათვის, რომ პირს სსკ 194-ე მუხლის საფუძველზე ბრალად შეერაცხოს რომელიმე მათგანი (და არა ჩადენილი ყველა ქმედება), უნდა გაირკვეს, კერძოდ, რომელი ქმედებით ჰქონდა ადგილი უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემას. საამისოდ კი აუცილებელია, გაირკვეს, სახელდობრ, რომელი ქმედება იყო ჩადენილი უკანონო შემოსავლის მეშვეობით (გამოყენებით), ხოლო რომელი ლეგალურად მიღებული შემოსავლის გამოყენებით.

მაგალითი: უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქე (ფირუზი და იბრაგიმი) და ნარკოტიკებით მოვაჭრე პირები (ჰასანი და აზიზი), რომლებსაც სურდათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ფირუზი და იბრაგიმი, რომლებიც წარმატებული ბიზნესმენები იყვნენ, დაპირდნენ მათ, რომ უზრუნველყოფდნენ ნარკობიზნესით მოპოვებული თანხის ლეგალიზაციას საქართველოში. ისინი შესაბამის წილზეც შეთანხმდნენ.

ფირუზმა და იბრაგიმმა საქართველოში კანონის სრული დაცვით მოიპოვეს დიდი სასტუმროს აშენების უფლება და ააშენეს კიდევ ძვირადღირებული, ფემენებელური სასტუმრო. ხარჯი, რაც მათ გასწიეს სასტუმროს აშენებასა და მოწყობაზე, მთლიანად დაიფარა მათ მიერ კანონიერად მოპოვებული ფულადი სახსრებით. სასტუმრო კლიენტებს სთავაზობდა სხვადასხვა სახის (მათ შორის, იქ ცხოვრებასთან დაკავშირებულ) უძვირეს მომსახურებას.

ვინაიდან სასტუმროში ერთი დღით ცხოვრება და სხვა სახის მომსახურება მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოში სხვა ძვირადღირებული სასტუმროების მიერ დადგენილ საშუალო ფასს, ამ სასტუმროში რეალური სტუმარი იშვიათი შემთხვევა იყო. ფაქტობრივად სასტუმროს ნომრები და სხვა სახის მომსახურების სფეროები თითქმის ყოველთვის ცარიელი იყო.

ეს ფაქტი სრულებით არ ადარდებდათ მის მესაკუთრეებს (ფირუზს და იბრაგიმს), რადგან მათ სასტუმროს აშენებასა და მოწყობაში დიდძალი თანხა ჩადეს არა იმისათვის, რომ რეალურად გაწეული მომსახურებით მიეღოთ შემოსავალი, არამედ იმისათვის, რომ პირობები შეექმნათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

ისინი მოქმედებდნენ შეთანხმებული სქემის მიხედვით. კერძოდ, ფიქტიურად გააფორმეს ამ სასტუმროს პასუხისმგებელ პოზიციაზე (მაღალი ანაზღაურებით და ბონუსებით) ის პირები, რომლებსაც სურდათ მათ მიერ წინარე დანაშაულით მოპოვებული თანხის ლეგალიზაცია. ასევე ფიქტიურად აფორმებდნენ სასტუმროში უცხოელი მოქალაქეების მიერ ნომრების დაჯავშნისა და სხვა სახის (მაგ., რესტორნის, საუნის, მასაჟებისა და სხვ.) მომსახურების ფაქტს (რასაც სინამდვილეში არ ჰქონდა ადგილი). შესაბამისი თანხა ირიცხებოდა სასტუმროს ანგარიშზე. ეს ის თანხა იყო, რაც ნარკობიზნესით დაკავებულ პირებს ჰქონდათ უკანონოდ მოპოვებული და რის ლეგალიზაციასაც ემსახურებოდა ეს ქმედებები.

წლების განმავლობაში მათ მოახერხეს, შეექმნათ ოფიციალური დოკუმენტი იმის თაობაზე, თითქოს სასტუმრო (რომელსაც მუშაობა პრაქტიკულად არ ჰქონდა) შეუჩერებლივ მუშაობდა და წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ლეგალური შემოსავალი ჰქონდა. ამ გზით მათ მოახერხეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული რამდენიმე ასეული მილიონი ლარისათვის კანონიერი სახის მიცემა.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად (194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.), სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (მე-3 ნაწ. „ბ“ და „გ“ ქვ.).

საინტერესოა: ა) რა ქმედებებში გამოიხატა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია; ბ) ვინაა ჩადენილი დანაშაულის სუბიექტი და გ) რა მიზნითაა ჩადენილი ეს ქმედებები? განსახილველ მაგალითში პირთა ჯგუფის მიერ რამდენიმე ქმედებაა ჩადენილი. აქედან პირველია **ქონების შექმნა**, რაც სასტუმროს აშენებაში და მის მოწყობაში გამოიხატა. მეორე ქმედება კი **ქონებით სარგებლობაა**, რაც სასტუმროს სარგებლობაში ჰპოვებს თავის გამოხატულებას.

საინტერესოა, რომელი მათგანი გვაძლევს სსკ 194-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობას?

მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა რამდენიმე ქმედება, პირველი მათგანი (**ქონების შექმნა**) არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად.

საქმე ისაა, რომ სასტუმროს აშენებასა და მოწყობაზე არ დახარჯულა უკანონო შემოსავალი, მასზე კანონიერი შემოსავლით მიღებული ფულადი სახსრები დაიხარჯა. იმისათვის, რომ ქონების შექმნა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად, აუცილებელია, ეს ქონება შექმნილი იყოს უკანონო ან დაუსაბუთებელი შემოსავლით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება მეორე ქმედებას (**ქონებით სარგებლობა**), იგი უდავოდ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხს, რადგან სასტუმროს მიერ გაწეული ფიქტიური (არარსებული) მომსახურების გასაფორმებლად გამოყენებული იყო დანაშაულებრივი გზით (ნარკობიზნესით) მოპოვებული თანხა. კერძოდ, ნომრების ფიქტიურად დაჯავშნისა და მასში ცხოვრებისათვის, ასევე სხვა სახის მომსახურების გაწევის (რასაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი) ხარჯის დასაფარად გამოყენებული იყო დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხა. ამ თანხის გადარიცხვა სასტუმროს სათანადო ანგარიშზე ფორმდებოდა, როგორც ვითომ შესაბამისი მომხმარებლების (სასტუმროს „კლიენტების“) მიერ განხორციელებული გადარიცხვა.

ამდენად, ქონების (სასტუმროს) სარგებლობას ადგილი ჰქონდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, რა დროსაც გამოყენებული იყო პირის სამსახურებრივი

მდგომარეობა (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.) - მას სჩადიოდნენ სასტუმროს მესაკუთრეები (სამეწარმეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები).

როგორც ვხედავთ, **ქონების სარგებლობას** შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გამოყენებულია უკანონოდ შეძენილი ქონება, არამედ მაშინაც, როცა ეს ქონება შეძენილია კანონიერი გზით, მაგრამ შემდგომში მას იყენებენ ფულის გათეთრებისათვის (როგორც ამას ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში).

ქმედების კვალიფიკაცია რამდენადმე შეიცვლება, თუ დავუშვებთ, რომ მოცემულ მაგალითში თავად სასტუმროს აშენებასა და მოწყობაზე დაიხარჯა უკანონოდ მოპოვებული თანხა. ამ დროს სახეზე გვექნება სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული **ორი ქმედება** - ქონების შეძენა (სასტუმროს აშენება და მოწყობა) და ქონებით სარგებლობა (სასტუმროს გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის).

მეორე კითხვაზე, თუ ვინაა ამ ქმედების სუბიექტი, შემდეგი პასუხი უნდა გავცეთ: სუბიექტები არიან არა მხოლოდ ის პირები, რომლებმაც ააშენეს და გამოიყენეს სასტუმრო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის (ფირუზი და იბრაგირი), არამედ ისინიც, რომლებიც, როგორც ვითომც სასტუმროს კლიენტები, ამ სასტუმროში რიცხავდნენ მათ მიერ დანაშაულებრივი გზით (ნარკობიზნესით) მოპოვებულ თანხას (ჰასანი და აზიზი). ისინი წინარე დანაშაულის ამსრულებლები არიან, რომელთა მიზანია უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ეკონომიკაში მისი შემდგომი ინტეგრაციისათვის).

რაც შეეხება მათ მიერ ამ ქონების ლეგალიზაციისათვის გამოყენებულ ქმედების (ქონების გადაცემა, რაც გამოიხატა „სასტუმროს კლიენტების“ სახით შესაბამის ანგარიშზე ფულის გადარიცხვაში) მიზანს, სახეზეა უკანონო ქონებისათვის კვალის არევისა და „ჭუჭყის ჩამოშორების“ მიზანი.

4.2.3. მეორე ჯგუფის ქმედებები

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქმედების კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი არაა ამსრულებლის მიზნის დადგენა, რადგან პირმა უკვე შეძლო ქონების დამალვა ან შენიღბვა. შესაბამისად, მიზანი (ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა) უკვე მიღწეულია (სხვა საკითხია, ამხილეს თუ არა იგი):

ქონების ნამდვილი ბუნებისა თუ წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა - ეს საკითხი მაშინ დგება, როცა ქონება უკანონო წარმოშობისაა. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ შეუძლებელია მკვეთრი ზღვარის გავლება დამალვასა და შენიღბვას შორის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეს ხერხი - **დამალვა** გულისხმობს ისეთ ქმედებას, როცა ქონება ფორმდება, როგორც ლეგიტიმური წარმოშობის. ტიპური შემთხვევაა, როცა დანაშაულებრივი გზით (ვთქვათ, მექრთამეობის გზით) მიღებული თანხა გარკვეული დროის შემდეგ შემოდის ამავე პირის ანგარიშზე და იგი გაფორმდა როგორც ვითომც ლეგიტიმური გზით მიღებული ფული. მაგალითად, ფორმდება როგორც ყოფილი ან ამჟამინდელი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის კუთვნილი ჰონორარი, რაც ვითომც სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციების კითხვით, ან მისი ავტორობით დაწერილი წიგნების გასაღების გზითაა მიღებული; ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თუ როგორ განვასხვაოთ ერთმანეთისაგან **დამალვა და შენიღბვა**. კერძოდ, დამალვად მოიაზრება ქმედება, რა დროსაც პირი ქონებას განათავსებს ლეგალურ ბრუნვაში (ლეგალურ ანგარიშზე), ხოლო შენიღბვისას ამ განათავსებულ ქონებას უკან გაიტანს.

კერძოდ, კრიმინალური ქონების **დამალვა** - დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული სახსრების შეტანა სათამაშო ანგარიშზე).

კრიმინალური ქონების **შენიღბვა** - დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული სახსრების შეტანა სათამაშო ანგარიშზე და შემდეგ მოგვიანებით მათი გატანა.³¹²

ქონების წარმოშობის წყაროს შენიღბვის ხერხად თავდაპირველად იყენებდნენ ფულადი სახსრებით დაფუძნებულ ლეგალურ ბიზნესს. მაგალითად, იქმნებოდა სამრეცხაოები. იგი ფულის გათეთრებისთვის აშკარად შესაფერისი საშუალებაა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შევიდეს მონეტით მართულ სამრეცხაოში და ჩადოს მონეტები მანქანაში ან გადაუხადოს მომსახურე პირს სამრეცხაო მომსახურებისთვის. ასეთ ბიზნესზე ძალიან მცირე კონტროლი იყო დაწესებული. ამიტომ სამრეცხაო ბიზნესის გამოყენება საშუალებას აძლევდა კრიმინალს, შეენიღბა საკუთარი სახსრების წყარო ისე, რომ ისინი ფორმალურად ლეგიტიმურ წყაროებად გადაქცეულიყვნენ.³¹³

³¹² Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 10.

³¹³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 7.

ქონების წარმოშობის წყაროს შენიღბვის ხერხად შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი საბანკო სისტემა, სადაც კლიენტების მიმართ მოქმედებს პრინციპი: „კითხვების გარეშე“ და ამავე დროს მონაცემები ბანკის კლიენტთა, მათ მიერ შემოტანილი ქონების, მათსა და ბანკს შორის სხვაგვარი (მაგალითად, საკრედიტო) ურთიერთობის თაობაზე სრულიად გასაიდუმლოებულია (კონფიდენციალურია) - ე.წ. ოფშორული ზონები.

მაგალითი: დავითმა და გიორგიმ დანაშაულებრივი გზით მოიპოვეს 1 000 000 ევრო და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტეს, რათა თავისუფლად გამოეყენებინათ ბიზნეს-საქმიანობისათვის. ამ მიზნით მათ ასეთ გზას მიმართეს: დავითმა ოფშორულ ბანკში ჩარიცხა ეს თანხა (1 000 000 ევრო). შემდეგ კი გიორგიმ ამავე ბანკიდან კრედიტის სახით აიღო თანხა 800 000 ევროს ოდენობით, ხოლო ამ კრედიტის უზრუნველყოფის გარანტიად მას დაუდგა დავითი, რომელსაც უკვე შეტანილი ჰქონდა ზემოთხსენებული თანხა ამავე ბანკში. ბანკთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, თუკი გიორგი არ გადაიხდიდა კრედიტის თანხას თავისი პროცენტებით, მისი გადახდის უზრუნველყოფა მოხდებოდა დავითის ანგარიშზე შეტანილი 1 000 000 ევროს საშუალებით.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რისთვისაც გამოყენებულია უკანონო ქონების წარმოშობის წყაროს დამალვა, შემდეგ კი - შენიღბვა. ქონების დამალვას ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა დავითმა იგი განათავსა ობშორული ბანკის ანგარიშზე. ხოლო შენიღბვა განხორციელდა მაშინ, როცა გიორგიმ დავითთან შეთანხმების საფუძველზე, ბანკისაგან აიღო კრედიტი 800 000 ევროზე, რაშიც მას თავდებად დაუდგა დავითი.

ამასთან, სახეზეა ორი სახის დამამძიმებელი გარემოება: 1. ჩადენილი ჯგუფურად (დავითისა და გიორგის მიერ) და 2. რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - მათ მოახერხეს 800 000 ევროს გათეთრება. ამდენად, უკანონო ქონების (ჭუჭყიანი ფულის) ბანკში განთავსებისას ადგილი ჰქონდა მის დაფარვას, ხოლო კრედიტის სახით თანხის მიღებისას - მის შენიღბვას, რადგან ეს კრედიტი უკვე გამოიყურება, როგორც კანონიერი ქონება. მათ 1 000 000 „ჭუჭყიანი“ ფულიდან მიიღეს 800 000 სუფთა ფული. ამასთან, მათ აქვთ იმის სრული გარანტია, რომ ოფიციალური ორგანოები ბანკისაგან ვერ მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ,

თუ რა ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე გასცა ბანკმა გიორგიზე ეს კრედიტი, ვინ და რა ქონების საფუძველზე დაუდგა მას თავდებად და ა.შ.

ლიტერატურაში აღიარებულია ქონების ინტეგრაციის ყველაზე მისაღები მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ და დღესაც იყენებენ ფულის გამთეთრებლები უკანონო ქონების წარმოშობის წყაროს შენიღბვისთვის:

- თანხების ინტეგრირების ერთ-ერთი მარტივი მეთოდი იყო სამრეცხაოების მფლობელობაში მყოფი ფიქტიური ფიქტიურად შექმნილი (shell) ბანკიდან ფულის გადატანა ლეგიტიმურ ბანკში. ფულის გამთეთრებლებს შეუძლიათ გააგზავნონ გაფორმებული ინვოისები გადაფასებული საქონლით ან მომსახურებით, რაც მათ საშუალებას აძლევს თანხები გადაიტანონ ერთი ქვეყნიდან მეორეში;
- ფულის გამთეთრებლებს შეუძლიათ ანონიმური კომპანიების დაფუძნება იმ ქვეყნებში, სადაც საიდუმლოების უფლება გარანტირებულია;
- სავაჭრო ანგარიშების გამოყენება საფინანსო ინსტიტუტებში კიდევ ერთი აშკარა მაგალითია. ფულის გამრეცხავი თანხებს გადარიცხავს ღია საბროკერო ანგარიშზე, რაც საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტს, ვაჭრობა გასწიოს მათი სახელით. მოგვიანებით ეტაპზე ისინი ანგარიშიდან თანხას იღებენ, რომელიც შემდეგ გათეთრებულია;
- ფულის გამთეთრებელს შეუძლია გააუქმოს სადაზღვევო პოლისი პრემიის გადახდის შემდეგ. სადაზღვევო კომპანიის მიერ დაბრუნებული პრემია, რა თქმა უნდა, სახსრების გათეთრებაა;
- შექმნილი აქტივების გაყიდვა შესაძლებელია როგორც ღია ბაზარზე, ასევე კერძო გაყიდვაში, თანხები ელექტრონულად მიიღება ლეგიტიმურ საბანკო ანგარიშზე, რა თქმა უნდა სრულყოფილად გათეთრდება.

ეს არის მხოლოდ რამდენიმე გზა, რომლითაც აქტივები შეიძლება ინტეგრირდნენ ნორმალურ ეკონომიკაში. გამთეთრებლის მიზანი ჩვეულებრივ არის ლეგიტიმური ბანკისგან ნაღდი ანგარიშსწორების მოპოვება, რომლის გადატანა მათ შეუძლიათ სხვა ანგარიშზე, სხვა ბანკში. ამის მიღწევის შემდეგ, ჩვეულებრივ, გათეთრების ციკლი

დასრულებულია და დამნაშავე თავისუფლად იყენებს სახსრებს ნებისმიერი მიზნისთვის.³¹⁴

ქონების ადგილმდებარეობის დამალვა ან შენიღბვა - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამ ხერხის გამოყენებისას პირი მალავს უკანონოდ მოპოვებული ქონების ადგილსამყოფელს (ადგილმდებარეობას). მის ადგილსამყოფელად წარმოაჩენს სხვა ქვეყანას.

მაგალითი: ქონების ნასყიდობა ფიქტიურად ფორმდება ისეთ ქვეყანაში, სადაც ეს ქონება გაცილებით განსხვავებული ფასი (ვთქვათ, უფრო იაფი) ღირს. ანდა შემთხვევა, როცა უკანონოდ მოპოვებული თანხით ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაკეთობის შექმნა ფიქტიურად გაფორმდა იმ ქვეყანაში, სადაც ეს ლითონები გაცილებით იაფი ღირს. ამით საფუძველი იქმნება იმისათვის, რომ ადვილად დასაბუთდეს ფულის კანონიერი წარმომავლობა (რომელიც სინამდვილეში უკანონო გზითაა მოპოვებული), ასევე ადვილად დასაბუთდეს დადებული გარიგების კანონიერება. სინამდვილეში კი ნასყიდობას ადგილი ჰქონდა სულ სხვა ქვეყანაში (მაგ., საქართველოში);

ქონების განთავსების დამალვა ან შენიღბვა - წინარე დანაშაულის ჩამდენისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობად, შესაძლოა, იქცეს ამ ქონების განთავსების დამალვა ან შენიღბვა. თუ სადაა უკანონოდ (მაგალითად, კორუფციის გზით) მოპოვებული ქონება განთავსებული, ამის დამალვის ან შენიღბვის „ნაცადი“ საშუალებაა ოფშორულ ზონაში მისი განთავსება;

ქონების მოძრაობის დამალვა ან შენიღბვა - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხერხია ამ ქონების ნამდვილი (რეალური) მოძრაობის შენიღბვა. ეს ის შემთხვევაა, როცა უკანონო ქონება მოძრაობს, მაგრამ დოკუმენტურად მისი მოძრაობა შენიღბულია ლეგალური მიზნით.

მაგალითად, ქონება ფიქტიურად ფორმდება, როგორც საქველმოქმედო ფონდის კანონიერი საკუთრება. არაა გამორიცხული, ეს საქველმოქმედო ფონდი, ამ შემთხვევაში თავად ამ პირის მიერ იყოს დაფუძნებული. შემდეგ „ეს კანონიერი საკუთრება“ ფიქტიურად გადაირიცხება „სხვადასხვა ქველმოქმედებისათვის“. სინამდვილეში კი ეს გადარიცხვები კვლავ უკანონო შემოსავლის მიღებას ემსახურება.

³¹⁴ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s. 18-19.

არაკომერციული ორგანიზაციების (მათ შორის, ფონდებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების) ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის მომეტებულ საფრთხეზე ხაზგასმითაა საუბარი FATF-ის რეკომენდაციებში.³¹⁵

ქონების რეალური მოძრაობის შენიღბვისათვის დიდი ქონების მფლობელები ასევე იყენებენ ე.წ. „ვირტუალურ ბანკებს“,³¹⁶ რომელთა მეშვეობით ადვილადაა შესაძლებელი განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. „ვირტუალურია“ ისეთი ბანკი, რომელიც ფიზიკურად არ არსებობს არც იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი დოკუმენტურადაა დაფიქსირებული, არც სხვაგან. იგი რეალურად არ არსებობს, არსებობს მხოლოდ „ქაღალდზე“. ასეთ ბანკებს ქმნიან განვითარებად ქვეყნებში, სადაც ზოგადად ლიბერალური კანონმდებლობა არსებობს (მათ შორის, ფისკალური);

საკუთრების უფლების დამალვა ან შენიღბვა - უკანონო ქონებაზე საკუთრების უფლების დამალვა ან შენიღბვა ამ ქონების ლეგალიზაციის ერთ-ერთი ხერხია. ამ დროს ადგილი აქვს ნამდვილი მესაკუთრის დამალვას, იგი ინიღბება ცრუ მესაკუთრით. მაგალითად, უკანონო ქონება (ვთქვათ, კომერციული შენობა) პირმა ოფიციალურად, დიდი ფინანსური შემოსავლის ოფიციალურად მქონე, თავის „სანდო მეგობრის“ სახელზე გააფორმა. სინამდვილეში კი თავად დაიწყო მისი გამოყენება კომერციული მიზნით.

როგორც ვხედავთ, შენიღბულია ნამდვილი მესაკუთრე. ანუ საკუთრების უფლების მქონედ წარმოჩენილია სხვა პირი.

ამ მაგალითში „სანდო პირის“ ქმედება, რომელთანაც ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო, ასევე დაკვალიფიცირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, რაც ჩადენილია ქონების ფლობით;

საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლების დამალვა ან შენიღბვა - ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მხოლოდ საკუთრების უფლების, არამედ საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლების (ქონების ფლობის ან მისით სარგებლობის) დამალვას

³¹⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, s.28-30.

³¹⁶ წყნარი ოკეანის პატარა კუნძულ ნაურუზე არსებული 400-მდე ასეთი ბანკის შესახებ იხ. “Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy”, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg. p. 28.

ან შენიღბვას. მაგალითად, პირმა უკანონოდ მიღებული ქონება ფიქტიურად გააფორმა სხვის სახელზე (საკუთრების უფლების დაფარვა). ამავე დროს ამ ფართის კომერციული მიზნით გამოყენების სუბიექტადაც ფორმალურად (ანუ ფიქტიურად) სხვა პირი დააფიქსირა (ამ ფართის ფლობის და მისით სარგებლობის უფლების დაფარვა).

როგორც აღვნიშნეთ, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობის ამ მეორე ჯგუფისათვის **გადამწყვეტი არაა მიზანი, მაგრამ საინტერესოა**, მაინც რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს პირს მითითებული ქმედებების განხორციელებისას?

მიუხედავად იმისა, ამოძრავებს თუ არა პირს სსკ 194-ე მუხლში სახელდებით მითითებული რომელიმე მიზანი (ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვა, ანდა სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევა), უდავოა, მას იმიტომ სურს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომ თავისუფლად შეძლოს ამ ქონების განთავსება ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად, შეიძლება სურდეს სამეწარმეო საქმიანობაში მისი გამოყენება.

თუკი პირს ეს მიზანი არ ამოძრავებს, მაშინ ქმედება სსკ 194-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება. ამ დროს ქმედებას სხვა შეფასება მიეცემა. ვთქვათ, ეს შეიძლება იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (სსკ 186-ე მ.), ან გადასახადისათვის თავის არიდება, რაც გამოიხატა ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებაში გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით (სსკ 218-ე მ. მე-3 ნაწ.), ანდა დანაშაულის დაფარვა (სსკ 375-ე მ.), როცა სუბიექტია არა წინარე დანაშაულის ჩამდენი, არამედ სხვა, მესამე პირი და ა.შ.

თუკი ზემოთხსენებული ქმედებების ჩადენისას პირის მიზანი იყო არა ფულის გათეთრება, არამედ უკანონოდ მოპოვებული ქონებით მხოლოდ პირადი მოთხოვნელების (ფუფუნებით ცხოვრების) დაკმაყოფილება, სახეზე არაა სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობა. ამ დროს პირი პასუხს აგებს მხოლოდ წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩადენისთვის.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მეტყველებს სსკ 194-ე მუხლის სისტემური ადგილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში - იგი მოთავსებულია იმ თავში, სადაც

დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

ისმის კითხვა: თუკი ეს ასეა, მაშინ, რატომ არ დააფიქსირა კანონმდებელმა შესაბამისი მიზანი ამ ჯგუფის ქმედებისთვისაც? რით განსხვავდება ეს ქმედებები პირველი ჯგუფის ქმედებებისაგან, სადაც მიზანი სახელდებითაა დაფიქსირებული?

პირველი ჯგუფის ქმედების (მაგ., ქონების შეძენა) განხორციელებისას, არა აქვს მნიშვნელობა, მიაღწევს თუ არა პირი დასახულ მიზანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაული დამთავრებულია ამ მიზნის მიღწევის მიუხედავად, თუკი სახეზეა შესაბამისი ქმედება და მიზანიც დამტკიცებულია.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ქმედებებს, აქ პირი უკვე ახერხებს იმას, რომ დამალოს ან შენიღბოს უკანონო ქონება (დამალვა ან შენიღბვა). ამდენად, შესაბამისი მიზნის სახელდებით დაფიქსირება ზედმეტად ჩაითვალა.

საინტერესოა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა (სსკ 194-ე მ. პირვ. ნაწ.), ასევე მისი დამამძიმებელი გარემოება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (194-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.), თუ მოიცავს ყალბი დოკუმენტის დამზადებას ან მის გამოყენებას (სსკ 341-ე, ან 362-ე მ.)?

ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია ხსენებული დამამძიმებელი გარემოების მიმართ, რადგან მისი ჩადენისას ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ პირებს, როგორც წესი, დოკუმენტში შეაქვთ ყალბი (ფიქტიური) მონაცემი. შემდეგ კი ამ დოკუმენტის გამოყენებით ადვილად სჩადიან ამ დანაშაულს.

დასმული საკითხი უნდა გადაწყდეს ისევე, როგორც იგი უნდა გადაწყდეს თაღლითობის (ასევე მითვისების) ჩადენისას (სსკ 180-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ ქვ. ან სსკ 182-ე მ. მე-2 ნაწ. „დ“ ქვ.).

შესაბამისად, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრობლემას უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად:³¹⁷

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების კვალიფიკაცია განსხვავებული იქნება: 1. როცა სამსახურებრივი

³¹⁷ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 402-407.

მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის აუცილებელი იყო ყალბი დოკუმენტის შედგენა და გამოყენება, 2. როცა ამ ქმედების ჩადენა ყალბი დოკუმენტის გარეშე იყო შესაძლებელი, მაგრამ მისი შედგენა და გამოყენება ემსახურებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შენიღბვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ მიზანს, რომ მომავალში შეუძლებელი გამხდარიყო ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა.

განვიხილოთ პირველი შემთხვევა. ზემოთხსენებულ მაგალითთან მიმართებაში, როცა სასტუმრო გამოყენებული იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ყალბი დოკუმენტების შედგენას იმის თაობაზე, თითქოს სასტუმროს ჰყავდა მომხმარებლები (კლიენტები), რომლებიც შესაბამის თანხას რიცხავდნენ სასტუმროს ანგარიშზე, რასაც სინამდვილეში არ ჰქონდა ადგილი - ფიქცია იყო როგორც სასტუმროში კლიენტების ყოფნა, ასევე მათ მიერ „მომსახურების შესაბამისი“ თანხის გადახდა.

ისმის კითხვა: მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი ყალბი დოკუმენტის შედგენის გარეშე თუ შეძლებდა პირთა ეს ჯგუფი, სასტუმროს გამოყენებით, უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით გადაწყდება საკითხი, საჭიროა თუ არა მოცემულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით.

აშკარაა, რომ თუ ფიქტიურად არ გაფორმდებოდა „კლიენტების“ მომსახურება (ან თუნდაც სხვა სახის მომსახურება - მაგ., ფიქტიური რემონტი) და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯის გადახდა, სხვა გზით, ამ სასტუმროს გამოყენებით შეუძლებელი იყო უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა. შესაბამისად, ამ დანაშაულის ჩადენისას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებამ თავისი გამოხატულება სწორედ ყალბი დოკუმენტის შედგენასა და მის გამოყენებაში ჰპოვა. სწორედ ამ ქმედებით გახდა შესაძლებელი იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომ სასტუმრომ ეს შემოსავალი თითქოს ლეგალური გზით მიიღო.

რაც მთავარია, ამ პირებს (სასტუმროს მესაკუთრეებს) რომ არ ჰქონოდათ გარკვეული პასუხსაგები სამსახურებრივი მდგომარეობა, ისინი საკუთარი სახელით ვერ შეძლებდნენ ოფიციალური დოკუმენტის შედგენას და ვერც მის გამოყენებას საკუთარი სახელით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დოკუმენტს იურიდიული

ძალა ამ პირების ხელმოწერით იმიტომ მიეცა, რომ მათ ეკავათ პასუხსაგები სამსახურებრივი პოზიცია და ლეგალურად ჰქონდათ მინიჭებული დოკუმენტის შედგენისა და გამოყენების უფლება.³¹⁸

აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, ყალბი დოკუმენტის შედგენისა თუ მისი გამოყენების ფაქტს მიეცეს დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, რადგან **მოცემულ მაგალითში** (და არა საერთოდ სხვა შემთხვევაშიც) ეს ქმედებები (დოკუმენტში როგორც ყალბი მონაცემის შეტანა, ისე ამ დოკუმენტის გამოყენება) უკვე შეფასებულია სსკ 194-ე მუხლის ამ დამამძიმებელი გარემოებით. კერძოდ, როგორც დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანა, ისე ამ დოკუმენტის გამოყენება არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამ დამამძიმებელი გარემოების (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ობიექტური შემადგენლობის ნიშანი - დოკუმენტის დამზადება მისი დაუმთავრებელი სტადიაა, ხოლო მისი გამოყენება უკვე სსკ 194-ე მუხლის ამ დამამძიმებელი გარემოების დამთავრებული სტადიაა.³¹⁹

უფრო კონკრეტულად, როცა ფიქტიურად ფორმდებოდა სასტუმროში კლიენტების მომსახურება, სახეზე იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მცდელობა. რაც შეეხება ამ დოკუმენტის გამოყენებით სასტუმროს ბიუჯეტში „შავი“ ფულის შეტანას, იგი ამ დანაშაულის დამთარებულ სტადიას წარმოადგენდა (უკვე დაფარული და შენიღბული იყო ფულის წარმომავლზე). აქედან გამომდინარე, სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად ქმედების სსკ 362-ე მუხლით დამატებითი კვალიფიკაციის შემთხვევაში, დაირღვევა სამართლიანობის პრინციპი,³²⁰ რომლის მიხედვითაც დაუშვებელია, პირს ერთი ქმედებისათვის რამდენჯერმე დაეკისროს სს პასუხისმგებლობა. ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის შემთხვევაში გამოვა, რომ **სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად** (არაკეთილსინდისიერად) გამოყენების ფაქტს ორჯერ მიეცემა სისხლისსამართლებრივი შეფასდება, რაც დაუშვებელია.

სხვაგვარად გადაწყდება საკითხი მეორე შემთხვევაში, როცა ყალბი დოკუმენტის შედგენა ან გამოყენება ემსახურებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არა

³¹⁸ იხ. თოდუა ნ., იქვე, გვ. 403.

³¹⁹ შეად. თოდუა ნ., იქვე.

³²⁰ სამართლიანობის პრინციპის არსზე, იხ. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 33.

ჩადენის, არამედ მისი შენიღბვის მიზანს (იგულისხმება არა უკანონო ქონების წარმომავლობის შენიღბვის, არამედ ფულის გათეთრების დანაშაულის შენიღბვის მიზანი).

მაგალითი (როცა გამოყენებულია სამსახურებრივი მდგომარეობა): ნარკობიზნესით დაკავებულმა გეგამ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხა გადარიცხა ერთ-ერთ ბანკში, რომლის ხელმძღვანელს წინასწარ შეუთანხმდა მის ლეგალიზაციაზე. ისინი შესაბამის წილზეც შეთანხმდნენ. როცა ბანკში ეს თანხა გადაირიცხა, ბანკმა იგი დაქსაქსა და სხვადასხვა პირებზე გასცა კრედიტის სახით. შემდეგ კი უკან დაბრუნებული თანხა გააერთიანა და გადარიცხა გეგას მიერ მითითებულ უცხო ქვეყნის ერთ-ერთ ბანკში. ამასთან, ბანკში თავდაპირველად შემოსული ეს **თანხა გაფორმდა როგორც ვითომც** ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საფასური (და არა გეგას მიერ გადმორიცხული). ყოველივე ეს იმისათვის გაკეთდა, რომ დაფარულიყო, თუ ვინ გადმორიცხა სინამდვილეში აღნიშნული თანხა, რათა არ გაჩენილიყო ეჭვი მის კანონიერ წარმომავლობაზე.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ბანკის მიერ შედგენილია ყალბი დოკუმენტი, მაგრამ ეს მაგალითი მაინც განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როცა ყალბი დოკუმენტის გარეშე შეუძლებელია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ამ მაგალითში ყალბი დოკუმენტის შედგენის გარეშეც ბანკს თავისუფლად შეეძლო მის ანგარიშზე გადმორიცხული თანხის დაქსაქსვა და სხვადასხვა პირზე გაცემა კრედიტის სახით. საამისოდ სრულებით არ იყო საჭირო დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანა. თუმცა საქმე ისაა, რომ თუ დოკუმენტში გამოჩნდებოდა ამ თანხის გადმომორიცხველი ნამდვილი პირის ვინაობა, დადგებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან მოიტანა ამ პირმა ასეთი რაოდენობის თანხა? რამდენად ლეგალური გზით იყო იგი მოპოვებული? შესაბამისად, დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანა **ემსახურებოდა არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, არამედ** მის შენიღბვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება გამოვლინდა კვალის არევის მიზნით ბანკში ჩარიცხული ფულის დაქსაქსვასა და კრედიტის სახით გაცემაში, ასევე მის გადარიცხვაში დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

რაც შეეხება წინარე ქმედებას - დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანას, იგი საჭირო იყო არა ამ დანაშაულის ჩასადენად, არამედ მის შესანიღბად, ანუ დანაშაულის იმგვარად ჩასადენად, რომ მომავალში ძნელი გამხდარიყო მისი გამოვლენა. აქედან გამომდინარე, ყალბი დოკუმენტის შედგენას და მის გამოყენებას უნდა მიეცეს დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 194-ე და 362-ე მ.).

ქმედების კვალიფიკაცია შეიცვლება, როცა იცვლება სსკ 194-ე მუხლის სუბიექტი. კერძოდ, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას არაა გამოყენებული სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ ამ დანაშაულს სჩადის **კერძო პირი**.

ამ დროს ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა დამზადებული ყალბი დოკუმენტი თავად ამ დანაშაულის სუბიექტის მიერ. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, თუკი იგი მის მიერ იყო დამზადებული, ქმედების კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მოახერხებდა თუ არა კერძო პირი ამ დანაშაულის ჩადენას **ყალბი დოკუმენტის შედგენის** (ან მისი გამოყენების) გარეშე - ქმედება ყალბი დოკუმენტის შედგენისას, ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც 194-ე, ისე 362-ე მუხლით;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა ყალბი დოკუმენტი შედგენილია არა სსკ 194-ე მუხლის სუბიექტის, არამედ სხვა პირის მიერ, ამ დროს ქმედება **არ უნდა** დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, რადგან სსკ 194-ე მუხლი (ისევე როგორ თაღლითობა - 180-ე მ.) მოიცავს ყალბი დოკუმენტის გამოყენების ფაქტს.³²¹

განვიხილოთ **შემთხვევა. მაგალითი** (როცა კერძო პირი თავად ამზადებს ყალბ დოკუმენტს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის):

პეტრემ და ივანემ ნარკობიზნესით დიდძალი ფული დააგროვეს და გადაწყვიტეს მისი ინტეგრირება ეკონომიკაში, რისთვისაც საჭირო იყო „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება. საამისოდ ასეთ ხერხს მიმართეს: ცრუმაგიერი პირის სახელზე **მათ მიერ შედგენილი** დოკუმენტის გამოყენებით განახორციელეს ამ თანხის რამდენიმე ეტაპად გადარიცხვა სხვადასხვა ქვეყნის ბანკში. შემდეგ ამ თანხის გამოყენებით, იგივე ცრუმაგიერი პირის სახელით (და არა საკუთარი სახელით) დაიწყეს სამეწარმეო საქმიანობა.

³²¹ იხ. ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 500,

როგორც ვხედავთ, ეს შემთხვევა განსხვავდება იმ ვითარებისაგან, როცა ფულის გათეთრებას პირი სჩადის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რა დროსაც იგი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ამზადებს ყალბ დოკუმენტს. შესაბამისად, სამსახურებრივ მდგომარეობას იგი იყენებს არა მხოლოდ ფულის უშუალოდ გათეთრების ეტაპზე, არამედ მაშინაც, როცა საამისოდ ამზადებს ყალბ დოკუმენტს, რასაც იურიდიული ძალა ეძლევა მისი, როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის, პირადი ხელმოწერით.

ამ მაგალითში კი, პეტრე და ივანე ყალბ დოკუმენტს ამზადებენ როგორც კერძო პირები, ისინი ვერ გამოიყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, რაც არ გააჩნიათ.³²² ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ დამზადებული დოკუმენტი სამართლებრივ ძალას არ იძენს მათი პირადი ხელმოწერით - მათი ნამდვილი სახელისა და გვარის დაფიქსირებით. პირიქით, ამ დოკუმენტზე დაუშვებელია მათი ნამდვილი სახელისა და გვარის დაფიქსირება (მათი ნამდვილი ხელმოწერა), რადგან ამ შემთხვევაში აშკარა გახდება, რომ დოკუმენტი გაყალბებულია. ამ შემთხვევაში, კერძო პირები ფიქტიურად ქმნიან დოკუმენტს სხვა პირის სახელით - შესაბამისი ორგანიზაციის სახელით, რაც შედგენილია ყალბ ბლანკზე, ყალბი ბეჭდით, სადაც სხვის ნაცვლად (ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის ნაცვლად) აწერენ ხელს.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ყალბი დოკუმენტის დამზადება დგას სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობის გარეთ ისევე, როგორც თაღლითობისას იგი დგას თაღლითობის ძირითადი შემადგენლობის (სსკ 180-ე მუხლის პირველი ნაწ.) გარეთ.³²³ ამიტომაც ამ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პირთა ამ ჯგუფს (წინარე დანაშაულის ჩამდენთ) თავისუფლად შეეძლოთ თავად, საკუთარი სახელით განეხორციელებინათ ფულის გადარიცხვა ბანკებში. პრობლემა მხოლოდ იმაში იყო, რომ ამ დროს არსებობდა მათი მხილების მაღალი რისკი, რადგან, თუ ეს საკითხი დადგებოდა, ისინი ვერ შეძლებდნენ თანხის კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებას. მათ ასევე თავისუფლად შეეძლოთ თავად, საკუთარი სახელით წამოეწყოთ სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ამ დროსაც იგივე

³²² იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 405.

³²³ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 402-407.

საფრთხე არსებობდა. ამდენად, საკუთარი სახელით ამ ქმედებების განხორციელება შესაძლებელი იყო, მაგრამ იგი მათი მხილების საფრთხის მაღალ ხარისხთან იყო დაკავშირებული.

რადგანაც ამ მაგალითში ყალბ დოკუმენტს ამზადებს კერძო პირი, რომელსაც არ ძალუძს მისი დამზადება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია საკუთარი სახელით დაამზადოს ეს დოკუმენტი. შესაბამისად, ჩადენილი ქმედება სსკ 194-ე მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 362-ე მუხლის ერთობლიობით (ყალბი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით).

განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როცა კერძო პირი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის იყენებს სხვის მიერ დამზადებულ ყალბ დოკუმენტს. ვთქვათ, ზემოთხსენებულ მაგალითში, პეტრემ და ივანემ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის გამოიყენეს ცრუმაგიერი პირის სახელზე სხვა პირის მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტი.

ვინაიდან ამ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტი უშუალოდ არ დაუმზადებიათ სსკ 194-ე მუხლის ძირითადი შემადგენლობის (პირვ. ნაწ.) ამსრულებლებს (ანუ თანაამსრულებლებს), არამედ მხოლოდ გამოიყენეს იგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, სახეზე არაა დანაშაულთა ერთობლიობა და ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებით (ჩადენილი ჯგუფურად და რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - მე-2 ნაწ. „ა“ და „გ“ ქვ.).

აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია კერძო პირის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენებას და რატომ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი თაღლითობის ანალოგიურად?

აღიარებულია, რომ თაღლითობა მოიცავს ყალბი დოკუმენტის გამოყენებასაც, როგორც მოტყუებით სხვისი ქონების დაუფლების ერთ-ერთ გამოვლინებას.³²⁴ თუმცა, განსხვავებით თაღლითობისაგან, მოტყუების ხერხი პირდაპირ (სახელდებით) არაა

³²⁴ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 63-64.

დაფიქსირებული სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობაში. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ამ ხერხის გამოყენებას?

მართალია, განსხვავებით თაღლითობისაგან, მოტყუება, როგორც ამ დანაშაულის ხერხი, სახელდებით არაა დაფიქსირებული სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობაში, მაგრამ იგი მასში უთუოდ იგულისხმება.

საერთოდ, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს არა მხოლოდ ისეთ დანაშაულებს, რომელთა შემადგენლობაში ქმედების რომელიმე ნიშანი არც აღწერილია და არც იგულისხმება (მაგ., საფრთხის დელიქტები, სადაც შედეგი არც აღწერილია და არც იგულისხმება),³²⁵ არამედ ისეთებსაც, რომელთა შემადგენლობაში ქმედების რაიმე ნიშანი არაა აღწერილი, მაგრამ იგი მასში იგულისხმება. სწორედ ასეთ დანაშაულს მიეკუთვნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, სადაც მოტყუების ხერხი სახელდებით არაა აღწერილი, მაგრამ იგი მასში იგულისხმება.

ეს რომ ნამდვილად ასეა, აშკარად ჩანს ამ მუხლის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის არსიდან. კერძოდ, **ობიექტური შემადგენლობა** მოიცავს ისეთ ქმედებებს (ქონებით სარგებლობა, ქონების ფლობა და სხვ.), რაც ემსახურება უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას, ე.ი. იმ შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს ეს ქონება კანონიერადაა მოპოვებული. ამდენად, ისინი (ეს ქმედებები) მოტყუებას ემსახურება.

ასევე მოტყუებაზეა აგებული სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის **მეორე ჯგუფი**: ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების **დამალვა ან შენიღბვა**.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სუბიექტი ცდილობს რაღაცის დამალვას ან შენიღბვას, რაც მოტყუების გამოვლინებაა.

ამასთან, დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს ისეთ მიზანს (უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან სხვა პირისთვის

³²⁵ ამ საკითხზე იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. პირვ. რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 226-227.

პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი), რაც აშკარად ემსახურება მოტყუებას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური თუ სუბიექტური მხარე მოტყუებაზეა ორიენტირებული. ამიტომაც ყალბი დოკუმენტის გამოყენება (განსხვავებით მისი დამზადებისაგან, რაც მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას იგულისხმება შესაბამის დამამძიმებელ გარემოებაში), ყოველთვის გვამღევეს ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობას და შესაბამისად, არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით.

4.3. დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა (მიზანი და მოტივი)

დანაშაულის მიზანი - როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ნაწილობრივ მიზნით დაფუძნებული (გამიზვნითი) დელიქტია. თავდაპირველად მასში სახელდებით მოცემული იყო მხოლოდ ერთი მიზანი - ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზანი. შემდეგში კი (2011 წლის 28 ოქტომბრის კანონით), მას დაემატა მეორე მიზანი - სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი.

განვიხილოთ თითოეული.

ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზანი

ამ მიზნით, როგორც წესი, მოქმედებს წინარე დანაშაულის ამსრულებელი (ასევე, შესაძლოა, თანამონაწილე პირი), რომელსაც სურს ქონების დაუბრკოლებრივი ინტეგრირება ეკონომიკაში,³²⁶ რაც უნდა განახორციელოს თავად, ან სხვა პირის მეშვეობით.

მაგალითი: პირთა ჯგუფმა ადამიანებით ვაჭრობის შედეგად დიდძალი თანხა (რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი) დააგროვა და გადაწყვიტა მისი ინტეგრირება ეკონომიკაში. საამისოდ კი აუცილებელია უკანონო ქონების ლეგალიზაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა, დაიფაროს ის ფაქტი, რომ ამ ქონების წარმოშობის გზა უკანონოა. პირთა ჯგუფმა ასეთ ხერხს მიმართა: შექმნეს „საქველმოქმედო

³²⁶ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, p. 17.

ორგანიზაცია“, რომლის მიზანს ვითომც წარმოადგენდა სხვადასხვა სასარგებლო პროექტების დაფინანსება, კერძოდ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ღარიბი მოსახლეობისათვის მატერიალური დახმარების გაწევა. ისინი ამ ორგანიზაციის სახელით ფიქტიურად აფინანსებდნენ სხვადასხვა პროექტებს და ამ გზით ხდებოდა უკანონოდ მოპოვებული თანხის ოფიციალური ბრუნვა, რაც კვალის არევის გზით ემსახურებოდა ქონების უკანონო წარმომავლობის დაფარვას.

არაა გამორიცხული, ამ მიზნით მოქმედებდეს სხვა, მესამე პირი, რომელსაც არ ჰქონია კავშირი წინარე დანაშაულთან, თუმცა ქონების „გათეთრების“ შემდეგ გადაწყვეტილი აქვს, თავადაც შეუდგეს მის განთავსებას ეკონომიკაში. მაგალითად, გამოიყენოს იგი სამეწარმეო საქმიანობისთვის.

მაგალითი: კოტემ ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) მოიპოვა. მან გადაწყვიტა ამ ქონების ლეგალიზაცია და სამეწარმეო საქმიანობის დაწყება. საამისო ხერხად მან ქონების გაყიდვა აირჩია. დასახული მიზნის მისაღწევად კოტე შეუთანხმდა დიდი ფინანსური შესაძლებლობის ოფიციალურად მქონე ივანეს, შეემინა ეს ქონება. ამასთან, ივანე იყო იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც მოქმედებდა ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა და სამართლებრივად არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. ივანემ იცოდა ამ ქონების უკანონო წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ბიზნესის გაფართოების მიზნით სურდა მიწის ახალი ნაკვეთის შეძენა ხელსაყრელ ფასში. ნასყიდობის ხელშეკრულება შედგა.

კოტემ განახორციელა უკანონო შემოსავლის (მიწის ნაკვეთის) ლეგალიზაცია, რომლის ხერხად გამოიყენა **სხვა მოქმედება** (ქონების გაყიდვა), რა დროსაც მისი მიზანი იყო ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხით სამეწარმეო საქმიანობის დაწყება.

ივანემ ასევე ჩაიდინა უკანონო შემოსავლის (მიწის ნაკვეთის) ლეგალიზაცია, რომლის ხერხად გამოიყენა **ქონების შეძენა**, რა დროსაც მისი მიზანი იყო არა სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევა, არამედ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა, რის გარეშეც იგი ვერ შეძლებდა მის ჩართვას (ინტეგრირებას) ეკონომიკაში.

სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი

ამ მიზნით მოქმედებს მესამე პირი, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან. შესაბამისად, წინარე დანაშაულთან მიმართებაში იგი სხვა პირია და მოქმედებს სხვა პირის (წინარე დანაშაულის ჩამდენის) სასარგებლოდ, რათა უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციით დაეხმაროს წინარე დანაშაულის ჩამდენს პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში. ამასთან საკუთრივ მისი მიზანი არაა, გამოიყენოს ეს ქონება ეკონომიკაში ინტეგრირებისთვის.

მაგალითი: მიკრო საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენელი პეტრე და ნარკოტიკებით მოვაჭრე ვანო შეთანხმდნენ, რომ ვანო ამ ორგანიზაციაში გადარიცხავდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ თანხას. შემდეგ პეტრე განახორციელებდა მოჩვენებით საფინანსო ოპერაციებს, რათა აერია ფულის უკანონო წარმომავლობის კვალი და ამით დახმარებოდა ვანოს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში - ვანო ადვილად დაასაბუთებდა მის კანონიერ წარმომავლობას ნებისმიერ ორგანოში, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოშიც. მართლაც, ვანოს მიერ ამ ორგანიზაციაში გადარიცხული თანხა პეტრემ გამოიყენა მოჩვენებითი საფინანსო ოპერაციებისათვის, რითაც ფორმალურად შექმნა მისი კანონიერი წარმომავლობის შთაბეჭდილება.

პეტრეს მიერ ჩადენილი ქმედებების მიზანი იყო, სხვა პირისათვის (ვანოსთვის) პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევა (რა თქმა უნდა, როგორც წესი, შესაბამისი გასამრჯელოს სანაცვლოდ). პეტრეს მიზანი არ ყოფილა ამ ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვა, რათა გამოეყენებინა იგი ეკონომიკაში ინტეგრირებისთვის თავად მას, ან სხვა პირს, ვისი ბედითაც იგი დაინტერესებულია (მაგ., პეტრეს შვილს).

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზანი რამდენადმე განსხვავდება იმ მიზნისგან, რასაც ჰქვია სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანი. კერძოდ, **პირველ შემთხვევაში** პირს (რომელიც როგორც წესი, წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილეა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში მესამე პირიც) სურს უკანონო ქონების ინტეგრირება ეკონომიკაში და ამდენად ისწრაფვის მისი

ლეგალიზაციისკენ. ხოლო მეორე შემთხვევაში სახეზეა მესამე პირი, რომელსაც თავად არ სურს ამ ქონების ინტეგრირება ეკონომიკაში, არამედ სურს, უკანონო ქონების ლეგალიზაციით, სხვას დაეხმაროს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში.

როცა ვსაუბრობთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზანზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაუშვებელია ქმედების კვალიფიკაცია სსკ 194-ე მუხლით, როცა პირის მიზანია არა ქონების ლეგალიზაცია (რათა შემდგომში თავისუფლად გამოიყენოს იგი), არამედ ისე გამოიყენოს თუ მოიხმაროს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება პირადი მიზნებისთვის, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს მის კრიმინალურ წარსულში, არავის გაუჩნდეს კითხვა: საიდან მოიტანა მან ამდენი თანხა პირადი ცხოვრების ფუფუნებით მოწყობისათვის?

მაგალითი: სახელმწიფო მოხელე დიმიტრიმ სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში კორუფციის გზით დიდი ოდენობით თანხა დააგროვა.

როცა იგი უკვე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და სხვა სამსახურით დაკავდა, ამ თანხის პირადი მიზნის შესაბამისად გამოყენება, ანუ „ცხოვრების მოწყობა“ გადაწყვიტა. კერძოდ, მოისურვა პრესტიჟულ უბანში ძვირადღირებული სახლისა და აგარაკის აშენება, ასევე ძვირფასი ავტომანქანის შეძენა და ა.შ. ამასთან დიმიტრიმ კარგად იცოდა, რომ თუ შეიძენდა ამ ნივთებს, ეს საზოგადოებაში შექმნიდა მის მიმართ „ზედმეტი მითქმა-მოთქმის“ საფუძველს. ასევე, შესაძლოა, სათანადო ორგანოებშიც საფუძვლიან ეჭვს გააჩენდა მისი წარსულის მიმართ, რადგან ის ოფიციალური შემოსავალი, რასაც იგი იღებდა სამოხელეო ფუნქციის შესრულებისას და ამჟამად, არ იძლეოდა ამ ღირებულების ქონების შეძენის შესაძლებლობას.

გამომდინარე აქედან, რათა არ გაჩენილიყო ეჭვი მისი კორუფციული წარსულთან დაკავშირებით, დიმიტრიმ ასეთ ხერხს მიმართა: ბანკიდან აიღო სესხი დიდი ოდენობით თანხაზე, რისი გადახდაც გაიწერა ათეულ წლებზე. ამასთან, აღებული კრედიტი დაუკავშირდა მის ამჟამინდელ ოფიციალურ შემოსავალს. დიმიტრიმ ბანკიდან კრედიტის სახით მიღებული თანხით, მოკლე ვადაში შეიძინა მისთვის სასურველი ნივთები.

ამდენად, უკვე არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებაში გაჩნდეს ეჭვი დიმიტრის, როგორც ყოფილი მოხელის, კორუფციულ წარსულზე.

მართალია, ხელშეკრულების შესაბამისად, კრედიტის სახით მიღებულ ძირითად თანხასთან ერთად, მისი ამჟამინდელი ოფიციალური შემოსავლიდან მას პროცენტების გადახდაც მოუწევს, მაგრამ ეს დიმიტრის ამაღ უღირს - მთავარია, რომ მშვიდად იცხოვრებს და პირად მოთხოვნილებებსაც თავისუფლად დაიკმაყოფილებს. მან შეიძინა სასურველი ნივთები. რაც შეეხება სხვა ყოველდღიურ ხარჯებს, მისთვის იყენებს არა მხოლოდ ამჟამინდელი ოფიციალური შემოსავლიდან მის განკარგულებაში დარჩენილ მცირე ნაწილს, არამედ იმ „შავ ფულსაც“, რაც კორუფციის შედეგად აქვს მოპოვებული და გადამალული.

მიუხედავად ამისა, მის ქმედებაში არაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (194-ე მ.) ნიშნები. საქმე ისაა, რომ: ა) მას უკანონოდ დაგროვილი თანხით არ შეუძენია ქონება (სახლები და ავტომანქანა), მან იგი ბანკიდან ოფიციალურად, წესის დაცვით გამოტანილი თანხით შეიძინა (თუმცა ეს არაა მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი ქმედების კვალიფიკაციისას); ბ) ამ ქმედებით დიმიტრის მიზანი სრულებით არ ყოფილა ის, რომ დაეფარა ქონების უკანონო წარმოშობა; გ)) მისი მიზანი არც ის ყოფილა, რომ სხვა პირისათვის გაეწია დახმარება პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში; დ) რაც მთავარია, მისი მიზანი არ ყოფილა კანონიერი სახე მიეცა კორუფციით მოპოვებული ქონებისათვის, რათა შემდგომში თავისუფლად განეკარგა იგი. მაგალითად, მოეხდინა მისი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში (რაც ხელს უშლის სამეწარმეო საქმიანობისას ჯანსაღ კონკურენციას);³²⁷ ე) მისი მიზანი იყო, დაეკმაყოფილებინა პირადი მოთხოვნილება ფუფუნებით ცხოვრებაზე - ეცხოვრა თანამედროვე, კომფორტულ სახლში, დაესვენა ასეთსავე აგარაკზე და გადაადგილებულიყო პერსტიჟული ავტომანქანით და ეს გაეკეთებინა ისე, რომ არავის მიეტანა ეჭვი მის წარსულ საქმიანობაზე.

ამდენად, მისი ქმედებით საფრთხე არ ექმნება ქვეყნის არც სამეწარმეო და არც სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, დიმიტრის ქმედებაში სახეზეა მხოლოდ კორუფციული სახის დანაშაული (ვთქვათ, ქრთამის აღება - სსკ 338-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი), რაც მან ჩაიდინა მოხელედ ყოფნის პერიოდში. საერთოდ, წინარე დანაშაულით (მათ შორის, კორუფციის გზით) შეძენილი ქონების (თუ ის არაა

³²⁷ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, p. 17.

სპეციალური კონტროლს დაქვემდებარებული ნივთი) გამოყენება პირადი მიზნის შესაბამისად, არ გვაძლევს სხვა დანაშაულის (მათ შორის სსკ 194-ე მ.) შემადგენლობას და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

აქვე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად კვალიფიკაციისათვის იქნებ სულაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, წინარე დანაშაულის ჩამდენს ამ ქმედებით სურს ქონების შემდგომი თავისუფლად გამოყენება საკუთარი სურვილესამებრ (ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში), თუ სურს უკანონო ქონების გამოყენებით პირადი მოთხოვნელების დაკმაყოფილება? იქნებ თავისთავად უკანონო შემოსავლის გამოყენების (მისი სარგებლობის) ფაქტი უკვე საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას და ამდენად, იმსახურებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად შეფასებას? კერძოდ, უკანონო ქონების გადარიცხვის ფაქტი ბანკის ანგარიშზე, ანდა „ჭუჭყიანი ფულით“ ქონების (ვთქვათ, სახლის) შეძენა თუნდაც პირადი მიზნების შესაბამისად (ვთქვათ, საცხოვრებლად გამოყენებისათვის), იქნებ უკვე გულისხმობს ამ ქონების ინტეგრირებას ეკონომიკაში და ამდენად, უკვე უქმნის მას საფრთხეს?

დასმულ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან:

ა) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სსკ 194-ე მუხლის შემოღებით საქართველოს კანონმდებლის მიზანი სრულებით არ ყოფილა, ხელი შეეშალა უკანონოდ მოპოვებული ქონების შემდგომი გამოყენებისათვის, რომ ეს ქონება „გაყინულიყო“ ან „დაკონსერვებულიყო“ - აღმოჩენილიყო უძრავ მდგომარეობაში. ქონების (განსაკუთრებით ფულის) დიდი ხნით „გაყინვა“ პირიქით, უარყოფითი შედეგის მომტანია ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან ფულის გარკვეული ნაწილი არ ბრუნავს, იგი „ჩაწოლილია“.

ამ მუხლის შემოღებით კანონმდებლის მიზანია, ხელი შეუშალოს ამ ქონების ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრირებას, რადგან იგი საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენციას სამეწარმეო საქმიანობის სფეროში;

ბ) უკანონო შემოსავლის გამოყენება პირადი მიზნისთვის (მაგალითად, მისი მეშვეობით ქონების შეძენა) თავისთავად არ აზიანებს ეკონომიკას. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ სსკ 186-ე მუხლიც (წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება) მოთავსებული იქნებოდა არა საკუთრების, არამედ

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს უკანონოდ (დანაშაულის გზით) მოპოვებული ქონებით პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას - მისით სარგებლობას, მის გაყიდვას ან გაცვლას, მის შეძენას. თუმცა რადგან ამ ქმედების ჩადენით პირის მიზანი არაა საბოლოოდ მიღებული ქონების ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში (ვთქვათ, სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება), ჩვენმა კანონმდებელმა იგი არ მოათავსა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ შესაბამისი ქმედებით საფრთხე არ ექმნება სისხლისსამართლებრივი დაცვის ამ ობიექტს.

ამ აზრს ადასტურებს ისიც, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას დამნაშავის მიზანია ამ ქონების ეკონომიკაში ინტეგრირება. კერძოდ, აღიარებულია, რომ ინტეგრაცია ფულის გათეთრების პროცესის ბოლო ეტაპია. ეს არის ეტაპი, სადაც მიღებული შემოსავალი ხელახლა ინტეგრირდება ლეგიტიმურ ფინანსურ სისტემაში, რათა შეერწყას სისტემის სხვა აქტივებს. ფულის გამრეცხველები ჩვეულებრივ განათავსებენ "გასუფთავებულ" ფულს ნორმალურ ეკონომიკაში. ფულის გათეთრების მთავარი მიზანი არის სახსრების წარმატებით ინტეგრირება, რათა გაჭირდეს ლეგიტიმური და არალეგიტიმური (დანაშაულებრივი შემოსავლის) სახსრების გარჩევა და შემდეგ ისინი შეძლებენ, გამოიყენონ ისინი ნებისმიერი საჭიროებისათვის.³²⁸

რადგან ზემოთხსენებული მიზნები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას ნაწილობრივ ამ უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწილში იგი ქმედების ნიშანია და არა ბრალის ნიშანი.³²⁹ კერძოდ, ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ზემოთმითითებული ქმედებების მიმართ აუცილებელია ამ მიზნის დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება სსკ 194-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება.

³²⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 18.

³²⁹ ქმედებისა ნიშნის შესახებ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 481-483; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. ნ. თოდუა, მ. ტურავა, მ. ივანიძე, თბ. 2021, გვ. 621-631.

პირველი მაგალითი: გიორგიმ ბანკის საცავი გაქურდა და დიდი ოდენობით თანხას დაეუფლა. ნაქურდალი ფულით მან ძვირადღირებული სახლი აიშენა. ასევე თავისთვის და ოჯახის წევრებისთვის იყიდა ძვირადღირებული მანქანა.

როგორც ვხედავთ, სახეზეა უკანონო ქონება - წინარე დანაშაულებრივი გზით (ქურდობით) მოპოვებული ფული; ასევე სახეზეა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედება (ქონების შეძენა).

მიუხედავად ამისა, ვინაიდან ნაქურდალი ფულით ქონების შეძენისას გიორგის მიზანს არ წარმოადგენდა ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა და მისი ეკონომიკაში ინტეგრირება, არამედ მისი მიზანი იყო პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლით. ჩადენილია ქურდობა საცავში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით.

მეორე მაგალითი: გიორგიმ ბინა გაქურდა და მოქალაქის ძვირფასეულობას (ოქროს სამკაულებს) დაეუფლა. მან ეს სამკაულები მალევე გაყიდა და შესაბამისი თანხა მიიღო.

აქაც სახეზეა უკანონო ქონება - წინარე დანაშაულებრივი გზით (ქურდობით) მოპოვებული ნივთი (ოქროს სამკაულები); ასევე სახეზეა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედება - სხვა მოქმედება, რაც ქონების გაყიდვაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, ჩადენილი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლით, რადგან ნაქურდალის გაყიდვისას გიორგის მიზანი არ იყო ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვით მისი ეკონომიკაში ინტეგრირება. ამ ქონების გაყიდვით მისი მიზანი იყო, თავიდან მოეშორებინა ნაქურდალი ნივთი (როგორც სამხელი მტკიცებულება) და ამავე დროს მიეღო შესაბამისი სარგებელი.

ყოველივე ეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის (რაც ქურდობისას ქმედების ნიშანს წარმოადგენს, რადგან იგი ამ უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებაა), რეალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ვინაიდან სსკ 194-ე მუხლში სახელდებით მითითებული მიზნები ამ დანაშაულთან მიმართებაში ქმედების ნიშანია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეერაცხება არა მხოლოდ იმ ამსრულებელს, რომელიც ამ მიზნით მოქმედებდა, არამედ სხვა ამსრულებელს და თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, მაგრამ ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა (სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი).

მაგალითი: ერთ-ერთ ბანკში ჩაირიცხა განსაკუთრებით დიდი ოდენობით (რამდენიმე მილიონი ლარი) უკანონოდ მოპოვებული თანხა მისი შემდგომი ლეგალიზაციისათვის. ბანკის ხელმძღვანელი ცალ-ცალკე დაუკავშირდა მის მეგობრებს - დავითსა და გიორგის, რომლებიც ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. თითოეულს დაუფარავად აუხსნა ყველაფერი და სთხოვა ამ საქმეში დახმარება. ისინიც დათანხმდნენ. შეთანხმების საფუძველზე, ბანკმა როგორც დავითის, ისე გიორგის შპს-სთან ცალ-ცალკე გააფორმა ფიქტიური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თანხა ფორმალურად გადაირიცხა ამ შპს-ების ანგარიშზე, როგორც ვითომც ბანკისგან მიღებული კრედიტი. რამდენიმე კვირის შემდეგ, შეთანხმებისამებრ, ეს თანხა უკან დაუბრუნდა ბანკს.

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითში ქონების (ფულის) უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით მოქმედებდა ბანკის ხელმძღვანელი, რომელმაც რამდენიმე შპს-ს გადასცა უკანონო თანხა მისი ლეგალიზაციის მიზნით. ხოლო დავითსა და გიორგის (რომლებსაც უშუალოდ არ განუხორციელებიათ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა), არ ამომრავებდათ ეს მიზანი, თუმცა მათ იგი შეცნობილი ჰქონდათ. კერძოდ, იცოდნენ ბანკის ხელმძღვანელის მხარეს არსებული ამ მიზნის შესახებ. შესაბამისად, რადგანაც დასახელებული მიზანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ქმედების ნიშანია, იგი შეერაცხება სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილეებსაც (ამ შემთხვევაში დამხმარეებს), რომელთა მხარესაც იგი არ არსებობდა, მაგრამ მათ ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდათ (სსკ 25-ე მეხ. მე-4 ნაწ.). ამდენად, დავითისა და გიორგის ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეობა (დახმარება) - სსკ 25, 194-ე მ.

დანაშაულის მოტივი - დანაშაულის მოტივს ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. იგი, როგორც წესი, ანგარებითია. ანგარების მოტივით მოქმედებს როგორც წინარე დანაშაულის ჩამდენი, რომელიც ცდილობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ეკონომიკაში მისი შემდგომი ჩართვის მიზნით, ისე სხვა პირი (მაგალითად, ბანკის წარმომადგენელი), ვინც სხვადასხვა ხერხის გამოყენებით (მაგალითად, ფულის კონვერსიით) სჩადის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას და „ამ სამსახურისთვის“ იღებს თავის წილს.

ამასთან, არაა გამორიცხული სხვა პირადი მოტივიც. მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ადგილი აქვს სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ამ ქმედების ჩადენისას სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზანს არ წარმოადგენს „გათეთრებული“ ქონების ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში. შესაბამისად, არაა გამორიცხული, მას არ ამოდრავებდეს ანგარების მოტივი, არამედ ამოდრავებდეს მხოლოდ სხვა პირისათვის (წინარე დანაშაულის ჩამდენისათვის) დახმარების გაწევის მოტივი, რათა იგი არ დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას.

შესაძლოა, დანაშაულის მოტივი ასევე იყოს ქვეყნის ეკონომიკისათვის სარგებლის მოტანის ყალბად გაგებული ინტერესი. მაგალითად, პირი, რომელმაც იარაღის უკანონო ვაჭრობით დიდძალი თანხა დააგროვა, ფიქრობს, რომ მისი სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენება დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის პროცესს და პირიქით, თუკი ამ რაოდენობის თანხა დაკონსერვდა („ჩაწვა“), ამით ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდება. ასეთი მოტივით უფრო ხშირად მოქმედებენ განუვითარებელი (ან თუნდაც განვითარებადი) ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა აზრით ქვეყნის ეკონომიკას ლეგალურად განვითარების პერსპექტივა არა აქვს და ამდენად, მისი გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა „ჭუჭყიანი“ ფულის ეკონომიკაში ინტეგრირების გზაზე გადის.

5. ბრალის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას

5.1. არაპირდაპირი განზრახვის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განზრახვი დანაშაულია. სადავო არაა მისი ჩადენის შესაძლებლობა პირდაპირი განზრახვით. ამასთან, საინტერესოა, სახეზე უნდა იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა, თუ ამავე დროს შესაძლებელია, ქმედება ჩადენილი იყოს არაპირდაპირი განზრახვითაც?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა პირობითად შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად, სადაც პირველ ჯგუფში შედის ის ქმედებები (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება), რომელთა ჩადენას თან

აუცილებლად უნდა ახლდეს სპეციალური მიზანი, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ხოლო მეორე ჯგუფში შედის ის ქმედებები (მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა), რომელთა ჩადენისას აუცილებელი არაა სპეციალური მიზნის დადგენა.

როგორც აღინიშნა, განსახილველი ნორმა ნაწილობრივ გამიზვნიითი (ანუ მიზნით დაფუძნებული) დელიქტის სახითაა წარმოდგენილი.³³⁰ ამდენად, ექვს გარეშეა, რომ შესაბამისი ქმედებების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულის მიმართ გულისხმობს შემდეგს: პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურდა ამ ქმედების ჩადენა.³³¹ შეუძლებელია, პირს ამომრავებდეს სპეციალური მიზანი (მაგ., ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი) და ამავე დროს ზუსტად არ იცოდეს, რომ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და თანაც არ სურდეს ამ ქმედების ჩადენა.

შესაბამისად, მიზნით დაფუძნებული დელიქტების მიმართ (მაშინაც კი, როცა სახეზეა შედეგიანი დანაშაული), ვერ დადგება არაპირდაპირი განზრახვით მათი ჩადენის შესაძლებლობის საკითხი, ისინი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ჩაიდინება.

მაგალითი: ალექსიმ ნარკობიზნესის გზით უკანონოდ დააგროვა დიდძალი თანხა და მისი სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენება გადაწყვიტა. საამისოდ, ჯერ აუცილებელი გახდა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა (ანუ „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება). ამ მიზნის მისაღწევად, ალექსიმ მრავალჯერადი ოპერაცია განახორციელა სხვადასხვა ქვეყანაში: ჯერ განათავსა ეს ფული უცხო ქვეყნის ბანკში, შემდეგ გამოიტანა ამ ბანკიდან და ჩარიცხა სხვა ქვეყნის ბანკში. შემდეგ ამ თანხის გამოყენებით დააარსა „საქველმოქმედო ფონდი“, საიდანაც თანხის დიდი ნაწილი გარკვეული ხნის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უბრუნდებოდა მას, როგორც ამ „ფონდის“ კოორდინატორს.

³³⁰ გამიზვნიითი (ანუ მიზნით დაფუძნებული) დელიქტის არსზე, იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. თბ. 2007, გვ. 110-111; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 166-167; უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 19-22; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 78-85.

³³¹ ფორმალურ დანაშაულში პირდაპირი განზრახვის არსის შესახებ, იხ. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 12-18.

ამ მაგალითში აშკარაა, რომ ფულის გათეთრების მიზნით ჩადენილია სხვადასხვა ქმედება - ქონების გადაცემა (რაც თავის მხრივ ორ ეტაპად განხორციელდა), ქონებით სარგებლობა („ფონდის“ მიზნებისათვის გამოყენება), სხვა მოქმედება (უკან იღებდა ქონებას „ფონდის კოორდინაციისთვის“ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ).

ამასთან, არაა სადავო, რომ ყველა ეს ქმედება ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, რადგან თითოეული ქმედების ჩადენისას ალექსის გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურდა ამ ქმედების ჩადენა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა დასახულ მიზანს - ვერ გაათეთრებდა უკანონოდ მოპოვებულ თანხას. შესაბამისად, ვერ მოახდენდა მის ინტეგრირებას ქვეყნის ეკონომიკაში.

როგორც ვხედავთ, შედეგგარეშე (ფორმალურ) დანაშაულთან მიმართებაში, ჩადენილი ქმედებების მიმართ პირდაპირი განზრახვის დასაბუთებისას შეზღუდულად ვიყენებთ სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში გადმოცემული პირდაპირი განზრახვის დეფინიციას. კერძოდ, არაფერს ვამბობთ იმაზე, რა დამოკიდებულება ჰქონდა პირს (ფულის გათეთრებელს) მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო ცნება აგებული და ორიენტირებულია განზრახი დანაშაულის ყველაზე დასრულებულ ფორმაზე, როგორცაა მატერიალური (ანუ შედეგიანი) შემადგენლობა. თუ კანონმდებელმა გარკვეული შედეგი არ შეიტანა შემადგენლობაში, მაშასადამე, არც ის აინტერესებს, თუ როგორი იყო დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი.³³²

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სწორედაც ფორმალური, ანუ შედეგგარეშე დანაშაულია, სადაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას არა აქვს მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისათვის. უფრო მეტიც, არც იმას აქვს მნიშვნელობა, მიაღწია თუ არა პირმა ამ ნორმაში სახელდებულად მითითებულ მიზანს - მაგალითად, თუ მოახერხა ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა. მთავარია, დადგინდეს, რომ იგი ამ მიზნით მოქმედებდა. შესაბამისად, იგი აბსტრაქტული (და არა კონკრეტული) საფრთხის დელიქტს მიეკუთვნება.³³³

³³² შეად. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 21.

³³³ საფრთხის დელიქტების არსზე და მათ სახეებზე იხ, წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, გვ. 175-225; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი

ქმედების არაპირდაპირი განზრახვით ჩადენის საკითხი შეიძლება დაისვას სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის მეორე ჯგუფთან დაკავშირებით (სადაც აუცილებელი არაა, დადგენილი იყოს სპეციალური მიზანი). კერძოდ: შესაძლებელია თუ არა ამ ქმედებების ჩადენა არაპირდაპირი განზრახვითაც, თუ აქაც აუცილებელია პირდაპირი განზრახვის არსებობა?

დასმულ კითხვზე პასუხი პირდაპირ კავშირშია საკითხთან - საერთოდ, რამდენად შესაძლებელია შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულის ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით? იურიდიულ ლიტერატურაში მასზე არა არსებობს ერთიანი პოზიცია. მეცნიერთა ნაწილი მხარს უჭერს ფორმალური დანაშაულის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობას.

ფორმალური დანაშაულის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობას მხარს უჭერდა ვ. მაყაშვილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ განზრახვა გვექნება მაშინ, როცა ქმედობის ჩამდენი სუბიექტი ან დარწმუნებულია (იცის), რომ ეს ქმედობა ხასიათდება საზოგადოებრივად საშიში ხასიათით (პირდაპირი განზრახვა), ან კიდევ, თუმცა ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსების შესაძლებლობა (ევენტუალური განზრახვა). ამ ბოლო შემთხვევაში პირი „უშვებს“, რომ გარკვეული ხასიათის ქმედობას სჩადის“³³⁴

არაპირდაპირი განზრახვით ფორმალური დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ზოგიერთი მეცნიერი დღესაც უჭერს მხარს. ეს მოსაზრება ისეთი ფორმალური დანაშაულის მიმართ, როგორცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, შემდეგნაირადაა დასაბუთებული: „მნიშვნელოვანია პირს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედებით სხვა პირის გადაადგილების თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობა... სრულიად შესაძლებელია, რომ პირს არ სურდეს სხვა პირისათვის თავისუფლების

მე-3, თბ. 2013, გვ. 165-166; ცეტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 30-48; 56-91; 94-128; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., გვ. 136-137.

³³⁴ მაყაშვილის ამ მოსაზრების შესახებ იხ. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 16 (მე-18 სქოლიო).

აღკვეთა, მაგრამ იგი გარკვეული მიზეზით შეგნებულად უშვებდეს აღნიშნულს ან გულგრილად ეკიდებოდეს სხვა პირის თავისუფლების აღკვეთის ფაქტს...“.³³⁵

აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად მოყვანილია შემდეგი მაგალითი: ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელმა გელამ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ საწარმოს მთავარი კარი ჩაკეტა და სახლისკენ გაემართა. იგი უშვებდა იმას, რომ საწარმოში რომელიმე თანამშრომელი იქნებოდა და იქიდან მომდევნო სამუშაო დღემდე ვერ გამოაღწევდა. გელას ნამდვილად არ სურდა თანამშრომლების საწარმოში გამომწყვდევა, მაგრამ ვინაიდან სახლში ეჩქარებოდა, არ დაბრუნდა საწარმოს გადასამოწმებლად. მართლაც, საწარმოს ერთ თანამშრომელს, რომელიც კარის დაკეტვის დროს გამოსაცვლელ ოთახში იმყოფებოდა, მეორე დღემდე საწარმოში ყოფნა მოუწია. გელამ პასუხი უნდა აგოს არაპირდაპირი განზრახვით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის.³³⁶

ამგვარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, სწორად მიუთითებს პროფ. მ. უგრეხელიძე, რომ „დაშვება“ გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. განზრახვის საკანონმდებლო ფორმულირებიდან ჩანს, რომ „დაშვება“ მიზეზობრიობის პროცესს, სახელდობრ, მავნე შედეგის დადგომას შეეხება.³³⁷

პროფ. მინდია უგრეხელიძის ეს მოსაზრება რომ დასაბუთებული და გასაზიარებელია, ნათელი გახდება ზემოთ მოყვანილი მაგალითის განხილვითაც.

კაზუსში მოყვანილი არგუმენტები არ გამოდგება თავისუფლების უკანონო აღკვეთის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენის შესაძლებლობის დადასტურებისათვის, რადგან:

ა) არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

რა ხდება ამ თვალსაზრისით განსახილველ შემთხვევაში? ამ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს ის, რომ მისი ქმედება (კარის დაკეტვა), **შესაძლოა**, იყოს მართლსაწინააღმდეგო **იმ პირობით**, თუკი საწარმოს შენობაში სამუშაოს დამთავრების შემდეგ რომელიმე თანამშრომელი დარჩენილია, რაც მან არ

³³⁵ იხ. თუმანიშვილი გ., წიგნში: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რედ. დვალიძე ი., თბ. 2019, გვ. 72.

³³⁶ შეად. თუმანიშვილი გ., იქვე.

³³⁷ შეად. უგრეხელიძე მ., ზრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982, გვ. 16.

იცის, მაგრამ ეჭვობს; ბ) ამდენად, თავისთავად გელას მიერ ჩადენილი ქმედება (სამუშაოს დამთავრების შემდეგ საწარმოს მთავარი კარის დაკეტვა) არაა მართლსაწინააღმდეგო. იგი მართლსაწინააღმდეგო იქნება მაშინ, თუკი საწარმოს შენობა ყველა თანამშრომელს არ აქვს დატოვებული, ანუ ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ იქ იმყოფება და ეს იცის პირმა (ამ შემთხვევაში გელამ), თუმცა მაინც კეტავს კარებს; გ) ამგვარი დათქმის შემთხვევაში ქმედება ჩადენილი იქნება პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სურს მისი (ამ ქმედების) ჩადენა; დ) მით უმეტეს, რომ განსახილველი კაზუსის მიხედვით, ასეთი ეჭვი საწარმოს ხელმძღვანელს გაუჩნდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაკეტა კარები.

ამასთან, რომც დავუშვათ, რომ ასეთი ეჭვი მას კარების ჩაკეტვის მომენტშივე გაუჩნდა (ანუ კაზუსის ფაბულა რომც გავართულოთ), ქმედებას მაინც ვერ ჩავთვლით არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილად, რადგან ამ შემთხვევაშიც პირმა დანამდვილებით არ იცის, რომ სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, იგი მხოლოდ ეჭვობს, რომ მისი ქმედება, შესაძლოა, იყოს მართლსაწინააღმდეგო; ე) რაც შეეხება მსჯელობას იმაზე, რომ პირის ეჭვი გამართლდა (საწარმოში მართლაც აღმოჩნდა პირი, რომელიც ამ დროს გამოსაცვლელ ოთახში იმყოფებოდა), ეს ფაქტი ვერ შეცვლის იმ მოცემულობას, რომ საწარმოს ხელმძღვანელს არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა (როცა კარებს კეტავდა, არ იცოდა, რომ საწარმოში იმყოფებოდა ადამიანი), მას ამის შესახებ მხოლოდ ეჭვი ჰქონდა.

ხსენებული კაზუსი არაპირდაპირ განზრახვით ჩადენილად რომ ჩაითვალოს, ამისათვის არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო ცნება სულ სხვაგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, იგი ასე უნდა იწყებოდეს: „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შესაძლებლობა, ...“. ანუ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დასაშვები იქნება მაშინ, თუკი კანონმდებელი „შესაძლებლობა“-ს დაუკავშირებდა არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, არამედ თავად ქმედებასაც.

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის (143-ე მ.), რადგან სახეზე არაა პირდაპირი განზრახვა. ხოლო

არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ადამინის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

ეს საკითხი სამართლიანად იქნება გადაჭრილი, თუკი მსგავსი შემთხვევისათვის სს კოდექსის რომელიმე სპეციალური დანაწესით გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებლობა. ამისათვის სრულებით არაა აუცილებელი, ახალი, სპეციალური ნორმის შემოღება. საკმარისი იქნება, უკვე არსებულ სათანადო ნორმაში გარკვეული ცვლილების შეტანა. ასე მაგალითად, სსკ 170-ე მუხლში (შრომის დაცვის წესის დარღვევა) შესაძლებელია, შეტანილ იქნას გარკვეული ცვლილება, რომლის მიხედვითაც მისი პირველი ნაწილის დისპოზიცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ან ფიზიკური პირის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა.“ ეს უკანასკნელი (ფიზიკური პირის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა) მოქმედი კანონმდებლობით ამ მუხლში არაა გათვალისწინებული ალტერნატიულ შედეგად, რაც შეუძლებელს ხდის განხილულ კაზუსში მოყვანილი ვითარების კვალიფიკაციას დანაშაულად.

შესაძლოა, განხილულ იქნას პრობლემის მოწესრიგების სხვა, უფრო მრავლისმომცველი გზაც, რაც ამჟამად არაა ჩემი კვლევის საგანი.

საბოლოოდ, თუკი მხარს დავუჭერთ არაპირდაპირი განზრახვით ფორმალური დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, მაშინ განზრახვის ამ სახის საკანონმდებლო ცნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიმართ, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდა მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ არ სურდა ამ ქმედების ჩადენა, თუმცა შეგნებულად უშვებდა მის ჩადენას ან გულგრილი იყო ამ ქმედების ჩადენის მიმართ. ვთქვათ, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ როცა მალავდა ქონების წარმოშობის წყაროს, ან მასზე საკუთრების უფლებას, სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ არ სურდა ამ ქმედების ჩადენა, თუმცა შეგნებულად უშვებდა, რომ შესაძლებელია, ჩადენა ეს ქმედება, ან გულგრილი იყო ამ ქმედების ჩადენის მიმართ. როგორც ვხდავთ, მივიღეთ სრული **იურიდიული ნონსენსი**, რადგან თუკი პირს გაცნობიერებული აქვს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორ

შეიძლება მას არ სურდეს ამ ქმედების ჩადენა, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს მის ჩადენას? ანდა არ სურდეს ამ ქმედების ჩადენა, მაგრამ გულგრილი იყოს მისი ჩადენის მიმართ?

პირს შეიძლება არ სურდეს ქმედებით გამოწვეული შედეგი და შეგნებულად უშვებდეს ამ შედეგის დადგომას (და არა თავად ქმედების ჩადენას). ასევე შეიძლება არ სურდეს ქმედებით გამოწვეული შედეგი, მაგრამ გულგრილი იყოს ამ შედეგის მიმართ (და არა თავად ქმედების ჩადენის მიმართ).

ამდენად, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობის მეორე ჯგუფის მიმართაც (ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა) აუცილებელია, სახეზე იყოს პირდაპირი განზრახვა. კერძოდ, აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ სახეზეა უკანონო გზით მიღებული, ან დაუსაბუთებელი ქონება და ისწრაფვოდეს მისი ლეგალიზაციისკენ. სწორედ ამას ემსახურება ზემოთჩამოთვლილი ქმედებები.³³⁸ სწორედ ამიტომ შლის პირი ქონების კვალს (მალავს ან ნიღბავს ქონების წარმოშობას). შესაბამისად, სწორია მოსაზრება, რომ არაპირდაპირი განზრახვა დასაშვებია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის **შედეგის მიმართ**, მაგრამ ეს შედეგი (სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობაზე მიყენებული ზიანი) ფულის გათეთრების კანონისმიერი შემადგენლობის გარეთაა. დასჯადია თავისთავად შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედება მიუხედევად იმისა, მოხდება თუ არა მისი გათეთრება³³⁹ და გამოიწვევს თუ არა იგი ზიანს ქვეყნის ეკონომიკისათვის ან თუნდაც ასეთი ზიანის კონკრეტულ საფრთხეს.

შესაბამისად, არაპირდაპირი განზრახვისას, პირს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობაში ეჭვი არ ეპარება („გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა“).³⁴⁰ ქმედების ჩადენისას იგი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. თუმცა იგი არაა დარწმუნებული

³³⁸ შეად. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 145.

³³⁹ იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2012, გვ. 812.

³⁴⁰ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 678-679.

იმაში, რომ ამ ქმედებას გარდაუვლად მოჰყვება მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ამასთან, განსხვავებით პირდაპირი განზრახვისაგან, მისი დადგომა არ სურს.

ამდენად, საკანონმდებლო ჩანაწერში: „ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას“, აქცენტი გაკეთებულია შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინებაზე და არა თავად ქმედების შესაძლო მართლსაწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე - ქმედება რომ ნამდვილად მართლსაწინააღმდეგოა, ეს პირს გაცნობიერებული აქვს.

მოცემულ შემთხვევაში, როცა სახეზეა შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაული, ზედმეტია საუბარი იმაზე, რა ხარისხით ითვალისწინებდა პირი შედეგის დადგომას - ალბათობის მაღალი ხარისხით, თუ მისი გარდაუვალი დადგომის ხარისხით. განსხვავებით შედეგიანი დანაშაულისაგან, შედეგგარეშე დანაშაულში არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთება მხოლოდ ქმედების მიმართ უნდა მოხდეს და არა მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ, რადგანაც შედეგგარეშე დანაშაულში ეს შედეგი დანაშაულის შემადგენლობის გარეთაა.

საბოლოოდ, ამ დანაშაულთან მიმართებაში, განზრახვის კომპონენტები ასე გამოიყურება: შემოსავლის უკანონო წარმომავლობის ცოდნა (ინტელექტუალური ელემენტი), მისთვის კანონიერი სახის მიცემის სურვილი (ნებელობის ელემენტი), მართლსაწინააღმდეგობის შეგნება.³⁴¹

შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, კაზინოებში ფულის გამოყენებამ, რაოდენობის მიუხედავად, შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი დანაშაულის შედეგად მიღებული თანხის გათეთრება, თუ პირმა, რომელიც იყენებს ან იღებს თანხას, იცის ან ეჭვობს (გაზგასმა ჩემია, ზ.გ.), რომ იგი დანაშაულის შედეგადაა მოპოვებული. ფულის გათეთრების დანაშაულები შეიძლება ჩაიდინონ როგორც მომხმარებელმა, ისე კაზინოს თანამშრომლებმა, მათი ცოდნისა და ეჭვის დონის (ზ.გ.) შესაბამისად.³⁴²

მოცემულ მსჯელობაში დოგმატურად დაუსაბუთებელია მოსაზრების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ფულის უკანონო წარმომავლობაზე ეჭვის შემთხვევაშიც

³⁴¹ იხ. მამულაშვილი გ., დასახ. წიგნში, გვ. 811.

³⁴² Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016, p. 8.

კაზინოს თანამშრომლის მხრიდან ამ ფულის მიღების ფაქტი უნდა შეფასდეს როგორც ფულის გათეთრება.

მისაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, განსახილველ დანაშაულთან მიმართებაში არაპირდაპირი განზრახვის მოდელის გაზიარება რთულია, ვინაიდან ის უგულებელყოფს მოქმედების მიზანს და დანაშაულის დასრულების მომენტის თავისებურებებს.³⁴³

5.2. სასამართლო პრაქტიკა:

საინტერესოა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა თუ მიიჩნევს შესაძლებლად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენას არაპირდაპირი განზრახვით?

არცთუ ახლო წარსულის საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შეგხვდა ერთი მაგალითი, სადაც ქმედება დაკვალიფიცირდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, როგორც ჩადენილი არაპირდაპირი განზრახვით.

კერძოდ, 2006 წლის 18 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთი ბანკის გენერალური დირექტორი ი. თ-შვილი ბრალეულად ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეობისათვის (დახმარებისთვის), სადაც ზოგიერთი ეპიზოდი დაკვალიფიცირდა, როგორც ჩადენილი არაპირდაპირი განზრახვით.³⁴⁴

აღნიშნული განაჩენით, საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 2006 წელს ი.თ-შვილს, როგორც სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი“-ს გენერალურ დირექტორს, დაუკავშირდა ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ერთ-ერთი კომერციული ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი დ. ბ-ი და სთხოვა, დიდი ოდენობით თანხის ბრუნვაში გაშვების მიზნით, რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული სამი სხვადასხვა შპს-სთვის „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ანგარიშების გახსნა იმგვარად, რომ არ განხორციელებულიყო აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირება ბანკის მიერ.

განაჩენის მიხედვით: ი. თ-შვილმა, მიუხედავად იმისა, რომ გაუჩნდა ეჭვი, რომ ანგარიშების ბ-ს მიერ შემოთავაზებული ფორმით გახსნა მიზნად ისახავდა უკანონო

³⁴³ შეად. შაშიაშვილი გ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა (სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2015, გვ. 127-128.

³⁴⁴ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე #1/1001-08.

შემოსავლის ლეგალიზაციას, გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, იმ პერიოდში არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი“-სთვის სარგებლის მიღებისა და დ. ბ-ეს დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაავალა „გაერთიანებული ქართული ბანკი“-ს თანამშრომლებს რუსეთის ფედერაციაში ფორმალურად სხვა პირების სახელზე რეგისტრირებული, რეალურად კი დ. ბე-ეს მიერ მართული შპს-ებისათვის ანგარიშების გახსნა... მიღებული დავალების საფუძველზე, ამ ბანკის ცენტრალური ფილიალის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 20 ივლისს იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების იდენტიფიკაციის გარეშე სააქციო საზოგადოება „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ გაიხსნა შესაბამისი შპს-ების ანგარიშები.³⁴⁵

როგორც ვხედავთ, განაჩენის მიხედვით, ი. თ-შვილის ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც დახმარება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რაც ჩადენილი იყო არაპირდაპირი განზრახვით.

რამდენად დასაბუთებულია არაპირდაპირი განზრახვა ბრალდების ამ ეპიზოდში? ეტაპობრივად განვიხილოთ განაჩენში საამისოდ მოტანილი არგუმენტები:

ა) განაჩენში ნათქვამია, რომ ი. თ-შვილს გაუჩნდა ეჭვი, რომ ანგარიშების ბ-ს მიერ შემოთავაზებული ფორმით გახსნა მიზნად ისახავდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

გამოდის, ი. თ-შვილი მხოლოდ ეჭვობდა, რომ ბ-ს მიერ შემოთავაზებული ფორმით (შპს-ების ხელმძღვანელ პირთა იდენტიფიკაციის გარეშე) ანგარიშების გახსნა, მიზნად ისახავდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, თუმცა არ იყო ამაში დარწმუნებული (დაეჭვება არ ნიშნავს დარწმუნებას);

ბ) აქედან გამომდინარე, გაუგებარია განაჩენის მტკიცებითი ნაწილის შემდეგი მონაკვეთი: „გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა“. **ისმის კითხვა:** როცა პირს მხოლოდ ეჭვი გაუჩნდა იმაზე, რომ შესაძლოა, ანგარიშების გახსნის შემოთავაზებული ფორმა ემსახურებოდეს უკანონო შემოსავლის

³⁴⁵ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, განაჩენი საქმეზე #1/1001-08.

ლეგალიზაციას, როგორ შეიძლება მას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა? შესაძლოა, მას მხოლოდ ჰქონდეს ასეთი ეჭვი.

როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, არაპირდაპირი განზრახვისას არაა საკმარისი, პირი ეჭვობდეს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე - უშვებდეს, რომ მისი ქმედება, შესაძლოა, იყოს მართლსაწინააღმდეგო. მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ანუ ამაში არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი.

შესაბამისად, გამოდის, რომ ი. თ-შვილს არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და სასამართლოს განაჩენის ეს ხსენებული მონაკვეთი დაუსაბუთებელია;

გ) გაუგებარია განაჩენის ის მონაკვეთი, სადაც ვკითხულობთ: იმ პერიოდში არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. საქმე ისაა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულია, რომლის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. შესაბამისად, უადგილოა მსჯელობა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ი. თ-შვილს იმ შედეგის მიმართ, რაც ამ დანაშაულის შემადგენლობის გარეთ დგას - სურდა თუ არა იგი. მთავარია, თავად ჩადენილი ქმედების მიმართ დასაბუთდეს განზრახვის ეს სახე.³⁴⁶

გამოდის, რომ თ. შ-ვილის მიმართ ამ ეპიზოდში არაა დასაბუთებული განზრახვა, რადგან მას არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იგი მხოლოდ ეჭვობდა ამას. შესაბამისად, სასამართლოს უნდა მოეხსნა მასზე წარდგენილი ბრალდების ეს ეპიზოდი, რაც არ გაკეთებულა.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ შემდეგი: რადგან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულია, მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

³⁴⁶ დოგმატურად დაუსაბუთებელია განაჩენში მოტანილი მსჯელობა იმაზე, რომ პირი მართლსაწინააღმდეგო შედეგს შეგნებულად უშვებდა და ამავე დროს გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. საქმე ისაა, რომ არაპირდაპირი განზრახვისას პირი ან შეგნებულად უშვებს იმ შედეგს, რომლის დადგომა არ სურს, ან გულგრილია მის მიმართ.

6. სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები:
სსკ 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემულია ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებები. ამასთან, ზოგიერთი მათგანი დამამძიმებელია ობიექტური, ხოლო ზოგიერთი სუბიექტური ნიშნით.³⁴⁷

კერძოდ, ამ მუხლის მე-2 ნაწილში ობიექტური ნიშნითაა დამამძიმებელი „ა“ და „გ“ ქვე-ები (ჩადენილი ჯგუფურად და რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება). ხოლო სუბიექტური ნიშნით - ჩადენილი არაერთგზის („ბ“ ქვ. რაზეც უფრო დეტალურად საუბარი იქნება ქვემოთ).

ამდენად, სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებია, იგივე ქმედება:

- ა) ჩადენილი ჯგუფურად;
- ბ) ჩადენილი არაერთგზის;
- გ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

6.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად

ეს გარემოება დამამძიმებელია ობიექტური ნიშნით, კერძოდ, ამსრულებელთა რაოდენობით.³⁴⁸ მასში იგულისხმება როგორც წინასწარ შეუთანხმებელი, ისე წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი. რაც შეეხება ორგანიზებულ ჯგუფს, იგი დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-3 ნაწილში.

სსკ 27-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის ცნება, სადაც აშკარადაა ნათქვამი, რომ სახეზე უნდა იყოს ორი ან მეტი ამსრულებელი: „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“. შესაბამისად, წინასწარ შეუთანხმებელ ჯგუფში ამსრულებელთა რაოდენობის საკითხი დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში არაა სადავო (სხვა საკითხია, რომ

³⁴⁷ ამ ნიშნების არსის შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ. 2007, გვ. 216-226; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 477-490.

³⁴⁸ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 477; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 621, 625-627.

დოქტრინაში არსებული თეორიები განსხვავებულად წყვეტენ საკითხს, თუ საერთოდ, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ამსრულებლად).³⁴⁹

ინტერესს იწვევს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიმართ **წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის** საკითხი, რადგან სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური (შედეგარეშე) დელიქტია. შედეგარეშე დელიქტები კი ქმედების განხორციელებისთანავე დამთავრებულია. შესაბამისად, **ისმის კითხვა:** როგორ შეიძლება უკვე დაწყებულ ქმედებას წინასწარ შეუთანხმებლად შეუერთდეს სხვა ამსრულებელი, თუკი ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების ჩადენა უკვე გვაძლევს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას?

ცნობილია, რომ არსებობს რამდენიმე აქტიანი ფორმალური დანაშაული, სადაც მხოლოდ ერთი აქტის ჩადენა არაა საკმარისი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ასეთ ფორმალურ დანაშაულთა მიმართ მცდელობის სტადიის განხორციელებაც შესაძლებელია.³⁵⁰ მაგალითად, პირი შეუდგა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას და სანამ დაწყებულ პროცესს ბოლომდე მიიყვანდა, მას შეუერთდა მეორე პირი, რომლებმაც ერთად დაასრულეს მისი დამზადების პროცესი. სახეზეა წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება.³⁵¹

ასევე არსებობს ისეთი ფორმალური დანაშაული, რომელიც გამოირჩევა არა საკანონმდებლო კონსტრუქციით, არამედ თავისი პრაქტიკული განხორციელების ორიგინალური ფორმით. ასეთია **დენადი დანაშაული**, რომლის ჩადენა იწყება (ანუ იურიდიულად დამთავრებულად ჩაითვლება) მოქმედებით ან უმოქმედობით, შემდეგ

³⁴⁹ შესაბამისი თეორიების შესახებ, იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 335-340; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 142-159; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 444-454.

³⁵⁰ ამგვარ ფორმალურ დანაშაულს ასევე მიეკუთვნება გაუპატიურება (სსკ 137-ე მ.), რომლის დამთავრებულად ცნობისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ძალადობის ან ძალადობის მუქარის განხორციელება, არამედ ასევე აუცილებელია სხვის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა.

³⁵¹ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 36-37.

კი უწყვეტად ხორციელდება.³⁵² შესაბამისად, შესაძლებელია იგი ჩაიდინოს წინასწარ შეუთანხმებელმა ჯგუფმაც.³⁵³

თავისი განხორციელების ორიგინალური ფორმით ასევე გამოირჩევა **განგრძობადი დანაშაული**, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. იგი დამთავრებულია არა პირველი აქტის ჩადენისას, არამედ უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან.³⁵⁴

ამდენად, უნდა გაირკვეს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაც თუ წარმოადგენს რომელიმე ზემოთხსენებული სახის ფორმალურ დანაშაულს, ვთქვათ, რამდენიმე აქტიან ფორმალურ დანაშაულს? ანდა, თუ წარმოადგენს იგი დენად ან განგრძობად დანაშაულს? ამის გასაგებად უნდა გაირკვეს, განსახილველ ნორმაში მითითებული ალტერნატიული ქმედებებიდან რომელიმე მაინც თუ არის ორაქტიანი, დენადი ან განგრძობადი შემადგენლობის.

სსკ 194-ე მუხლში გათვალისწინებული ალტერნატიული ქმედებებიდან ზოგიერთი მათგანი ნამდვილად არის ასეთი შემადგენლობის. მაგალითად, **ქონებით სარგებლობა, ან მისი კონვერსია** შეიძლება განხორციელდეს განგრძობადად, ანუ განხორციელდეს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედებით.

მაგალითი: ბანკის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნიკოლოზი წინარე დანაშაულის სუბიექტთან წინასწარი შეთანხმებით, შეუდგა ბანკში ჩარიცხული უკანონოდ მოპოვებული თანხის ლეგალიზაციას. კერძოდ, დაიწყო ამ ქონებით სარგებლობა. მან დაქსაქსა თანხა და კრედიტის სახით გასცა ცრუმაგიერ ფიზიკურ პირებზე. როცა დაქსაქსული თანხა უკან დაუბრუნდა ბანკს, ნიკოლოზის მითითებით ამავე ბანკის სხვა წარმომადგენელმა დავითმა ეს გაერთიანებული თანხა კრედიტის სახით გასცა ცრუმაგიერ იურიდიულ პირზე. დავითმა იცოდა თანხის უკანონო წარმოშობა და ამ ოპერაციის მიზანიც (ქონების ლეგალიზაცია).

როგორც ვხედავთ, უკანონო ქონებით სარგებლობა ამ ქონების ლეგალიზაციის მიზნით განხორციელდა რამდენიმე ეტაპად, რათა კვალი უფრო კარგად ყოფილიყო

³⁵² დენადი დანაშაულის შესახებ, იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 516-519.

³⁵³ შესაბამისი მაგალითების შესახებ, იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., იქვე, გვ. 519.

³⁵⁴ განგრძობადი დანაშაულის შესახებ, იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 519-522.

არეული. ამასთან, პირველი ეტაპი განახორციელა ბანკის ერთმა წარმომადგენელმა (ნიკოლოზმა), ხოლო მეორე ეტაპი - სხვა წარმომადგენელმა (დავითმა). ისინი წინასწარ - დანაშაულის მომზადების სტადიაზე (ანუ ქონებით სარგებლობის დაწყებამდე), არ იყვნენ შეთანხმებული ამ ქმედების განხორციელებაზე. დავითი უშუალოდ ჩაერთო ამ ქმედებაში მას შემდეგ, რაც ნიკოლოზს ქონებით სარგებლობის პირველი ეტაპი უკვე განხორციელებული ჰქონდა და ამ ეტაპიდან შეუთანხმდა მას სხვა ქმედების ჩადენაზე. ამდენად, სახეზეა ორი ამსრულებელი, რომლებმაც სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად. შესაბამისად, დანაშაული ჩადენილია **წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ** - სსკ 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.

6.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ³⁵⁵

განსხვავებით წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფისაგან, ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას სადავოდ არ უნდა ჩაითვალოს. იგი შესაძლებელია ამ მუხლით გათვალისწინებული როგორც სხვადასხვა, ისე თითოეული ალტერნატიული ქმედების მიმართ. ამ შემთხვევაში ამსრულებლები უნდა **შეთანხმდნენ** არა დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, ანდა დანაშაულის იურიდიულად დამთავრების შემდეგ მის ფაქტობრივ დასრულებამდე, **არამედ** წინასწარ, ანუ დანაშაულის მომზადების სტადიაზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადება სახეზე იქნება მაშინ, როცა განზრახ შექმნილია პირობები იმისათვის, რომ უკანონო ქონებას მიეცეს კანონიერი სახე. იგი შეიძლება გამოიხატოს შემოსავლის ლეგალიზაციისათვის საჭირო ხერხების შემუშავებაში; ლეგალიზაციისათვის შესაფერისი დროისა და ადგილის განსაზღვრაში; პირთა შეთანხმებაში, თუ ვინ რა ქმედება უნდა განახორციელოს საამისოდ; ფიქტიური დოკუმენტის შექმნისათვის პირობების მომზადებაში და ა.შ.

³⁵⁵ წინასწარ შეუთანხმებული ჯგუფის არსზე იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 163-168; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 465-470; ხოლო განსხვავებული შეხედულების შესახებ, იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 289.

მაგალითი: დავითმა, გიორგიმ და ვასომ იარაღით უკანონოდ ვაჭრობის შედეგად დიდძალი შემოსავალი დააგროვეს და მისი ნაწილ-ნაწილ ლეგალიზაცია გადაწყვიტეს. შეთანხმებისამებრ, **დავითმა** მოიძია შესაბამისი ოფშორული ზონა, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა უკანონოდ მოპოვებული ფულის დიდი ნაწილის განთავსება ბანკში და განაცხადიც გააკეთა შესაბამის საბანკო ოპერაციის თაობაზე. **გიორგიმ** გამოძებნა ქვეყანა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა ძვირადღირებული ქონების დაუბრკოლებლად შეძენა და მოიძია უძრავი ქონება. **ვასო** მოელაპარაკა ერთ-ერთი სამორინეს (კაზინოს) წარმომადგენელს ამ ორგანიზაციის საშუალებით ფულის გათეთრების ხერხზე.

როგორც ვხედავთ, განხორციელებულია მომზადების სტადია. საბოლოოდ, მათ ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული საქმე - დავითმა მართლაც განათავსა უკანონოდ მოპოვებული თანხის დიდი ნაწილი ამ ბანკში, გიორგიმ მართლაც შეიძინა ძვირადღირებული უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი შენობით) უცხო ქვეყანაში, ვასომ კი სამორინეს მეშვეობით მართლაც მოიპოვა ოფიციალური დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ თითქოს ონლაინ თამაშში მოიგო მილიონი ევრო.

როგორც ვხედავთ, სამივე პირი წინასწარ (ანუ მომზადების სტადიიდან) შეთანხმებული იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, რაც იქიდან ჩანს, რომ მათ შეთანხმებულად, ჯერ პირობები შექმნეს ამ დანაშაულის ჩასადენად, შემდეგ კი ბოლომდე მიიყვანეს იგი.

საკითხზე, აუცილებელია თუ არა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურ დანაშაულში სულ მცირე ორი ამსრულებლის არსებობა, უფრო დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის მიხედვით, ეს აუცილებელია.³⁵⁶

შესაბამისად, არ უნდა ჩაითვალოს მისაღებად მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სულ მცირე ორი ამსრულებლის ყოფნა მხოლოდ წინასწარ შეუთანხმებელ ჯგუფშია სავალდებულო, ხოლო წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფში საკმარისია საქმეში ფიგურირებდეს ერთი ამსრულებელი და ერთი თანამონაწილე.³⁵⁷ იმ შემთხვევაში,

³⁵⁶ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 134-140; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 251-253; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 345-346; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 464-468.

³⁵⁷ იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ. 2013, გვ. 289.

როცა ერთი პირი უშუალოდ ასრულებს სსკ 194-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო მეორე სხვაგვარად უწყობს მას ხელს, სახეზეა თანამონაწილეობა და არა თანამსრულებლობა. ამდენად, სახეზე არაა ეს დამამძიმებელი გარემოება.

მაგალითი: ალექსანდრემ დიდძალი ქონება დააგროვა ნარკოტიკით ვაჭრობის შედეგად და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. მან ეს ჩანაფიქრი გაანდო მის მეგობარ დავითს და სთხოვა, მოემბნა ისეთი ქვეყანა, სადაც ძვირადღირებული უძრავი ქონების შეძენა არ იქნებოდა დაკავშირებული კანონით დადგენილი ფორმლობების გავლასთან, ასევე გამოემბნა მისთვის შესასყიდად გამოტანილი უძრავი ნივთი. დავითმა გამოუნახა ალექსანდრეს შესაბამისი ქვეყანაც და უძრავი ნივთიც. ალექსანდრემ ნარკოტიკით ვაჭრობის შედეგად დაგროვილი თანხით, უცხო ქვეყანაში, მოკლე დროში შეიძინა რამდენიმე მილიონ ევროდ ღირებული ქონება.

ამ მაგალითში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განხორციელდა ქონების შეძენით და მისი ამსრულებელია წინარე დანაშაულის სუბიექტი ალექსანდრე. რაც შეეხება დავითს, იგი თანამონაწილეა ამ დანაშაულში, კერძოდ, დამხმარე, რომელმაც გაცნობიერებულად შეუწყო ხელი ამსრულებელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში შესაბამისი ნივთის გამოძენით, რითაც გაუადვილა მას სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (ქონების შეძენის) ჩადენა (25, 194-ე მ.).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ „სხვა მოქმედებაში“ არ იგულისხმება ხელის შეწყობა იმ ქმედებებში (ქონების სარგებლობა, ქონების შეძენა და ა.შ.), რომელიც სახელდებითაა ჩამოთვლილი მუხლის პირველ ნაწილში. სხვა მოქმედებაში იგულისხმება ის ქმედებები, რაც არაა სახელდებით ჩამოთვლილი ამ ნორმაში (მაგალითად, ქონების გაყიდვა და სხვა), რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ამიტომ, უკეთეს პირი ხელს უწყობს ამსრულებელს მუხლში მითითებული რომელიმე ალტერნატიული ქმედების განხორციელებაში (ვთქვათ, ქონების შეძენაში), იგი ჩაითვლება არა ამ დანაშაულის ამსრულებლად, არამედ თანამონაწილედ.

რადგანაც ამ საქმეში ფიგურირებს მხოლოდ ერთი ამსრულებელი, სახეზე არაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის

მიერ. შესაბამისად, სახეზე არაა სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვ-ით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება (ჩადენილი ჯგუფურად).³⁵⁸

სწორედ იმიტომ, რომ დავითის, როგორც თანამონაწილის, ქმედება არ იგულისხმება სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის (ამ შემთხვევაში, 194-ე მ.) შემადგენლობაში, მისი ქმედების კვალიფიკაციისას, გარდა 194-ე მუხლისა, სსკ 25-ე მუხლიც აუცილებლად უნდა მიეთითოს (სსკ 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი).

კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში თანამონაწილის ქმედებაც რომ იგულისხმებოდეს, მაშინ მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის საკმარისი იქნებოდა სსკ 194-ე მუხლზე (ასევე მის ნაწილზე) მითითება (როგორც ამას ადგილი აქვს ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციისას).³⁵⁹

საბოლოოდ, ალექსანდრეს ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ქონების შეძენით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.). ხოლო დავითის ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც დახმარება ამ დანაშაულში. ამასთან, სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მას შეერაცხება სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვ-ით გათვალისწინებული ეს დამამძიმებელი გარემოება (25, 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.), რადგან იგი დამძიმებულია ობიექტური ნიშნით (ოდენობით) და ეს ნიშანი თანამონაწილე დავითს შეცნობილი ჰქონდა.³⁶⁰

ამდენად, მოცემულ საქმეში ეს დამამძიმებელი გარემოება (შემოსავლის განსაკუთრებით დიდი ოდენობა) რომ არ იყოს სახეზე, ალექსანდრეს ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით და დამხმარე დავითიც პასუხს აგებდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის (სსკ 25, 194-ე მ. პირვ. ნაწ.).

³⁵⁸ წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემის საკითხზე, საუბარია დისერტაციის იმ თავში, სადაც გადმოცემულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

³⁵⁹ იხ. თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015, გვ. 48-50, თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 466-468.

³⁶⁰ ქონების ოდენობაზე, როგორც ობიექტური ნიშნით დამძიმებულ (კვალიფიცირებულ) გარემოებაზე, იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 480.

6.3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არაერთგზის ჩადენილად რომ ჩაითვალოს, საჭიროა: ა) პირი ნასამართლევი უნდა იყოს ამავე დანაშაულისათვის (სსკ 194-ე მ.); ბ) იგი არ უნდა იყოს გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან წინათ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის, ანდა არ უნდა ჰქონდეს ეს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული.³⁶¹

სსკ 194-ე მუხლის შენიშვნა არ ითვალისწინებს არაერთგზისობის ფართო გაგებას (როგორც ეს დადგენილია სსკ 177-ე მუხლის შენიშვნით). ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი პირი ნასამართლევი არა სსკ 194-ე, არამედ 194¹ მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება), ქმედება არ დაკვალიფიცირდება ამ დამამძიმებელი გარემოებით (ჩადენილი არაერთგზის). ასეთ შემთხვევაში ქმედება (თუ სახეზე არაა სხვა დამამძიმებელი გარემოება) დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით.

არაერთგზისობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, პირი ნასამართლევი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დამთავრებული, თუ დაუმთავრებელი სტადიისათვის (მაგ., მისი მომზადებისთვის). არც იმას აქვს მნიშვნელობა, პირი წინათ ჩადენილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ამსრულებელი იყო, თუ თანამონაწილე (მაგ., ორგანიზატორი).³⁶²

მთავარია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსხვავებით ზემოთხსენებული სხვა შემთხვევისაგან, პირი იყოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი. თუკი იგი ამჟამადაც სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილეა, მისი ქმედება ამ დამამძიმებელი გარემოებით ვერ დაკვალიფიცირდება.

რატომ ვერ დაკვალიფიცირდება?

როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში: ა) სსკ კერძო ნაწილის მუხლები და მისი ნაწილები (თავისი ქვეპუნქტებით) იწერება არა

³⁶¹ არაერთგზისობის სამართლებრივ არსზე, იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 524-526.

³⁶² იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 77.

თანამონაწილეზე, არამედ ამსრულებელზე, მასში არ იგულისხმება თანამონაწილე;³⁶³ ბ) შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაციისას შესაბამისი დამამძიმებელი გარემოების (ამ შემთხვევაში, სსკ 194-ე მუხლის მე-4 ნაწილის ამ ქვეპუნქტის) გამოყენებისათვის აუცილებელია, ამსრულებლის ქმედება იყოს დაკვალიფიცირებული ამ დამამძიმებელი გარემოებით. საამისოდ კი ამსრულებელს უნდა ახასიათებდეს ეს პიროვნული ნიშანი. ამდენად, დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს ამ დამამძიმებელ გარემოებაში; გ) ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დამტკიცება ამ დამამძიმებელი გარემოების გრამატიკული განმარტებითაც შეიძლება: „იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის“. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი აშკარად უსვამს ხაზს იმას, რომ ეს ქმედება (ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) ჩადენილი უნდა იყოს სწორედ ასეთი პერსონალური ნიშნის მქონე პირის მიერ, ანუ ეს პერსონალური ნიშანი ამსრულებლის პიროვნებას უნდა ახასიათებდეს და არა თანამონაწილის პიროვნებას.³⁶⁴ მართლაც, ამ მუხლით ნასამართლობა უნდა იყოს ამსრულებლის პიროვნების ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი.

მაგალითი: პეტრემ ვანოს ხელშეწყობით (რომელმაც პეტრეს გამოუძებნა უძრავი ქონება, რაც უკანონო შემოსავლის მეშვეობით უნდა შეეძინა) ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. კერძოდ, უკანონოდ მოპოვებული თანხით შეიძინა ეს ქონება. ვანო ნასამართლევი იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, პეტრე კი არა.

პეტრეს არ შეერაცხება განსახილველი დამამძიმებელი გარემოება, რადგან არ ყოფილა ნასამართლევი სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით (თუ სახეზე არაა სხვა დამამძიმებელი გარემოება).

რაც შეეხება თანამონაწილე (დამხმარე) ვანოს, მიუხედავად იმისა, რომ ნასამართლევი ამ დანაშაულისათვის, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც თანამონაწილეობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რაც ჩადენილია არაერთგზის. იგი თანამონაწილეა ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობაში - 25, 194-

³⁶³ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 463-464.

³⁶⁴ შეად. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 642-646.

ე მ. პირვ. ნაწილი (თუ სახეზე არაა ობიექტური ნიშნით დამძიმებული რომელიმე გარემოება, რაც შეერაცხა ამსრულებელს).

საინტერესოა, როგორ დაკვალიფიცირდება ქმედება მაშინ, როცა ორივე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის როგორც ამსრულებელი, ისე თანამონაწილე ნასამართლევი არიან ამავე მუხლით? ამ შემთხვევაში მაინც თუ შეიძლება თანამონაწილეს შეერაცხოს ეს დამამძიმებელი გარემოება? კერძოდ, თუ შეიძლება ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ამ დამამძიმებელ გარემოებაში თანამონაწილეობა?

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც კი **დაუშვებელია**, თანამონაწილის ქმედება დაკვალიფიცირდეს ამ დამამძიმებელ გარემოებაში თანამონაწილეობად. განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როცა როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის მხარეს სახეზეა ბრალისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი (დანაშაულის მაკვალიფიცირებელი მოტივი ან მიზანი), განსახილველ შემთხვევაში, თანამონაწილის ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც თანამონაწილეობა ამ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულში (25, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ბ“ ქვ.). იგი უნდა დაკვალიფიცირდეს ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობაში თანამონაწილეობად (25, 194-ე მ. პირვ. ნაწ.).

საქმე ისაა, რომ როცა სახეზეა **ბრალისათვის დამახასიათებელი** პერსონალური ნიშანი (მაგ., ისეთი, რომელიც ამალღებს ბრალის ხარისხს), თუკი იგი ახასიათებდა როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს, ეს იმას ნიშნავს, რომ **ისინი თანაბრალეულნი არიან არა მხოლოდ** მოცემული უმართლობის ძირითადი შემადგენლობის ჩადენაში, **არამედ ასევე** ამ დამამძიმებელი გარემოების ჩადენაშიც.³⁶⁵

მართლაც, შესაძლებელია, როგორც თანაამსრულებლები, ისე ამსრულებელი და თანამონაწილე შეთანხმდეს გარკვეულ მიზანზე და გაერთიანდნენ მის გარშემო (ასევე დანაშაულის ჩადენისას ორივესთვის შინაგანი მასტიმულირებელი ძალა იყოს ერთი და იგივე მოტივი). მართალია, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ მოტივთან ან მიზანთან მიმართებაში **შეუძლებელია ძალების გაერთიანება** (ძალების გაერთიანება თავად დანაშაულთან მიმართებაშია შესაძლებელი და არა მის მოტივთან ან მიზანთან

³⁶⁵ შეად. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 637-641.

მიმართებაში), მაგრამ მასთან მიმართებაში შესაძლებელია **ერთობლივი**, მომეტებული ხარისხის უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება - სწორედ ამ მიზნით ან მოტივით უარყონ ნორმატიულად დადგენილი ვალდებულება. სწორედ ამაში გამოიხატება თანაბრალეულობა როგორც დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის, ისე ამ დამამძიმებელი გარემოების მიმართაც.

შესაბამისად, ორივეს (როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილესაც) უნდა შეეცადოს ბრალის ეს ნიშანი, რაც ქმნის მოცემულ დამამძიმებელ გარემოებას.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა სახეზეა **პიროვნებისათვის დამახასიათებელი** პერსონალური ნიშანი - ნასამართლობა (პირის ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ნიშანი). ამ დროს შეუძლებელია პირები ჩაითვალოს „თანანასამართლევ“ პირებად, რადგან: ა) ნასამართლობა მკაცრად პერსონალურია. არ შეიძლება ამ მდგომარეობის გადანაწილება სხვა პირზე; ბ) ამასთან, ნასამართლობა არაა ბრალის ნიშანი (იგი არ ამაღლებს ბრალის ხარისხს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დამამძიმებელი გარემოების შემოღების **საფუძველია არა** ბრალთან დაკავშირებული პრობლემა (მისი მომეტებული ხარისხი), **არამედ** ამსრულებლის პიროვნებასთან დაკავშირებული პრობლემა (ნასამართლევი პირი „ვერ სწავლობს ჭკუას“); გ) ამდენად, **შეუძლებელია**, პირები შეთანხმდნენ მასზე (ნასამართლობაზე) და გაერთიანდნენ მის გარშემო - ნასამართლობის ფაქტი მათ შეთანხმებაზე არაა დამოკიდებული, იგი მათი ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე უკვე არსებობს, როგორც მოცემულობა; დ) შესაბამისად, შეუძლებელია საუბარი თანაბრალეულობაზე დანაშაულის ამ კონკრეტული დამამძიმებელი გარემოების მიმართ. ამიტომაც, ასეთი დამამძიმებელი გარემოება (მაგ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზისი) იწერება მხოლოდ ერთ ამსრულებელზე. მასში არ იგულისხმება **არა თუ** თანამონაწილე, **არამედ** თანამსრულებელიც კი.³⁶⁶

ამდენად, ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოება, როგორცაა არაერთგზისობა, დამძიმებელია ისეთი პერსონალური ნიშნით,³⁶⁷ რომელიც ახასიათებს პიროვნებას (და

³⁶⁶ შეად. ნ. თოდუა, დასახ. კომენტარში, გვ. 645.

³⁶⁷ პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშნის შესახებ, იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 489-490.; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 641-651.

არა ბრალს). კერძოდ, იგი პიროვნების ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ გადანაწილდება არც თანამსრულებელზე და არც თანამონაწილეზე. იგი ისეთი გარემოებაა, რომელიც არ ექვემდებარება გაზიარებას.

მაგალითი: პეტრემ დავითი შეაგულიანა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენაში. დავითმა ჩაიდინა ეს დანაშაული. პეტრეც და დავითიც ნასამართლევი იყვნენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის და ეს ფაქტი იცოდა ორივემ.

როგორც ვხედავთ, ორივეს (როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის) მხარეს სახეზეა პიროვნებისათვის დამახასიათებელი ეს პერსონალური ნიშანი - ნასამართლობა. დანაშაულის ამსრულებელ დავითის ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის (სსკ 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.).

რაც შეეხება წამქეზებელ პეტრეს, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის ძირითად შემადგენლობაში თანამონაწილეობად (სსკ 25, 194-ე მ. პირვ. ნაწ.).

აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში³⁶⁸ ლოგიკურადაა დასმული კითხვა:

ა) თუკი ეს ასეა, მაშინ, როგორ გავიგოთ სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც **თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი შეერაცხება იმ თანამონაწილეს,** რომელსაც იგი ახასიათებს? ბ) მოცემულ შემთხვევაში თუ თანამონაწილის ქმედებას დავაკვალიფიცირებთ თანამონაწილეობად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მარტივ შემადგენლობაში, ხომ არ გამოვა, რომ მას არ ვრაცხავთ მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელ ამ ნიშანს (ნასამართლობას)?

ხსენებული დანაწესი უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ეს პერსონალური ნიშანი დაამძიმებს სწორედ იმ თანამონაწილის პასუხისმგებლობას, რომელსაც იგი ახასიათებდა (რომელიც იყო ნასამართლევი) და არა სხვა თანამონაწილის ან ამსრულებლის პასუხისმგებლობას.

ამდენად, „შეერაცხება“ აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ ეს ნიშანი უსათუოდ ქმედების კვალიფიკაციაში აისახება, არამედ მასში პასუხისმგებლობის დამძიმებაც იგულისხმება. პასუხისმგებლობის დამძიმება კი, თავის მხრივ, **ყოველთვის არ გულისხმობს კვალიფიკაციის დამძიმებას,** იგი სასჯელის დამძიმებასაც გულისხმობს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეზე სასჯელის დანიშვნისას,

³⁶⁸ იხ. თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 643-644.

სასამართლო სსკ 58-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღებს რეციდივს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.³⁶⁹

არაერთგზისობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს კიდევ ერთი საკითხი, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქმედების კვალიფიკაციისას, არამედ ასევე სასჯელის დანიშვნისას. კერძოდ, როგორ დაკვალიფიცირდება ქმედება და რა წესით დაინიშნება სასჯელი, როცა სახეზეა რამდენიმე სახის რეციდივი და მათგან ერთი წარმოადგენს ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას (ქმნის არაერთგზისობას), ხოლო მეორე არ მოქმედებს ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგრამ წარმოადგენს რეციდივს?

განვიხილოთ ეს საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. მაგალითი: დავითმა, რომელიც ნასამართლევია იყო ფალსიფიკაციისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, კვლავ ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. სადავო არაა, რომ მისი ქმედება ამჯერად დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვ-ით - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის.

ისმის კითხვა: თუ შეიძლება სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვ-ით სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში მიიღოს სსკ 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, ანუ სასჯელი დანიშნოს რეციდივის წესით იმის გამო, რომ დავითი ასევე ნასამართლევია სხვა განზრახი დანაშაულისათვის (ფალსიფიკაციისათვის)? შესაბამისად, თუ შეიძლება დავითის მიმართ თავისუფლების აღკვეთის ვადად დაადგინდეს 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ვადის სულ მცირე, ერთი წლით მეტი ვადა (არანაკლებ 7 წლისა)? საბოლოოდ, რამდენადაა შესაძლებელი, რამდენიმე სახის ნასამართლობამ სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის, მოგვცეს არაერთგზისობაც (როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება), ისე რეციდივიც, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ

³⁶⁹ იხ. თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 644.

ნიშანზე,³⁷⁰ დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ უკეთეს რეციდივი არის მაკვალიფიცირებელი (დამამძიმებელი) გარემოება, ამ შემთხვევაში შეუძლებელია, სასჯელის დანიშვნისას იგი გათვალისწინებულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებად, რადგან რეციდივი კანონმდებელმა უკვე გაითვალისწინა დამამძიმებელ გარემოებად, როცა მან დააფუძნა არაერთგზისობა, როგორც მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.³⁷¹

ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს რაიმე განსხვავებულ რეგულაციას განზრახი დანაშაულისათვის რამდენიმე ნასამართლობის არსებობის შემთხვევისათვის, სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ეს დანაწესი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ერთი ნასამართლობა განზრახი დანაშაულისათვის (რაც მოცემული შემთხვევისათვის დამამძიმებელ გარემოებას ქმნის არაერთგზისობის სახით), არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზეა ორი ან მეტი ნასამართლობა სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის, სადაც მხოლოდ ერთი მათგანი ქმნის არაერთგზისობას.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, დავითის მიმართ შეუძლებელია გამოყენებულ იქნას რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესი. ანუ სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებისათვის (არაერთგზისობა) სასჯელის დანიშვნისას, სასამართლოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს სსკ 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი სასჯელის აუცილებელი გაზრდის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სწორედ ასეა გაგებული ბოლო დროის სასამართლო პრაქტიკაში.

³⁷⁰ სსკ 58-ე მუხლის მ-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა ამჟამად არაა ჩვენთვის საინტერესო.

³⁷¹ ეს დანაწესი სრულ თანხვედრაშია სსკ 53-ე მუხლის მე-4 ნაწილთან, რომლის მიხედვითაც თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2022 წელს განიხილა სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ თ.კ-ს საკასაციო საჩირვის საფუძველზე.³⁷²

თ. კ-ს ბრალად ედებოდა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის (სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ბ“ ქვ. და მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).

იგი თაღლითობის ჩადენამდე სხვადასხვა დროს (2019 წლის იანვარში და 2019 წლის მაისში) ნასამართლევი იყო სსკ სსკ 273¹ მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ 177-ე მუხლით (ქურდობისათვის). ამასთან, არც ერთი მათგანისთვის ნასამართლობა არ იყო მოხსნილი ან გაქარწყლებული (უფრო მეტიც, ერთ-ერთი მათგანისთვის მას დანიშნული სასჯელი ჩათვლილი ჰქონდა პირობით და არ იყო გასული გამოსაცდელი ვადა).

როგორც ვხედავთ, სახეზეა ორი ნასამართლობა განზრახი დანაშაულისათვის, საიდანაც ერთ-ერთი (ქურდობა) ქმნის თაღლითობის დამამძიმებელ გარემოებას (არაერთგზისობას), ხოლო მეორე (სსკ 273¹ მ.) კი - არა. ამდენად, ეს მეორე ნასამართლობა ქმნის მხოლოდ რეციდივს.

შესაბამისად, როგორც ქურდობაზე ნასამართლევი პირის მიმართ, თ. კ-ს ქმედება გამოძიების ეტაპზე სწორად დაკვალიფიცირდა, თაღლითობად, რაც ჩადენილია არაერთგზის.

რაც შეეხება მის მიმართ დანიშნულ სასჯელს, პირველი და მე-2 ინსტანციის სასამართლომ³⁷³ სსკ 58-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელი დაუნიშნა იმ წესით, რაც დადგენილია დანაშაულის რეციდივის დროს - მას დაუნიშნა სსკ 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე (თ. ა. 6 წლიდან) სულ მცირე, ერთი წლით მეტი სასჯელი (თ. ა. 7 წლით).

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესზე აპელირებით, განმარტა, რომ განზრახი დანაშაულის შემთხვევაში, არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის ცნებები არსობრივად მსგავსია, სწორედ ამ მიზეზით, სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენებას, თუ კერძო ნაწილის მუხლში მითითებულია

³⁷² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განაჩენი, საქმე #330100120003582576

³⁷³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე #659აპ-21.

ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე... ამასთან, „რამდენიმე რეციდივის“ ერთდროულად არსებობის შემთხვევაში არ ითვალისწინებს 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის ერთ განაჩენში, ერთ დანაშაულთან მიმართებაში ორჯერ გამოყენების შესაძლებლობას.³⁷⁴

ამდენად, სავსებით სამართლიანადაა ხაზგასმული, რომ უზენაესი სამართლოს ეს განმარტება ეხება იმ შემთხვევას, როცა სახეზეა ერთი განაჩენი და ამავე დროს, რეციდივის საკითხი დგას ერთი დანაშაულის მიმართ.

უზენაესი სასამართლოს ამ განაჩენში ეს საკითხი კიდევ უფრო გაშლილია: რეციდივისა და არაერთგზისობის ცნებების არსებითი მსგავსების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, პირები, რომლებმაც რამდენიმე ნასამართლობის პერიოდში ერთი ახალი დანაშაული ჩაიდინეს და ამ უკანასკნელთან მიმართებით თითოეულმა ნასამართლობამ შექმნა რეციდივი, ხოლო მეორე მხრივ, პირები, რომლებმაც რამდენიმე ნასამართლობის პერიოდში ასევე ერთი ახალი დანაშაული ჩაიდინეს და ამ უკანასკნელთაგან მიმართებით თითოეულმა ნასამართლობამ შექმნა რეციდივიც და არაერთგზისობას, მოცემულ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა მიმართ სასჯელის დანიშვნის არსებული პრაქტიკა³⁷⁵ არათანაბარ, დიფერენცირებულ მიდგომას ემყარება. კერძოდ, რამდენიმე რეციდივის არსებობის შემთხვევაში სსკ 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი გამოიყენება მხოლოდ ერთხელ, მაშინ, როდესაც რეციდივისა და არაერთგზისობის კუმულაციურად არსებობისას - ორივე მათგანი მიიღება მხედველობაში. აღნიშნული მიდგომა მოკლებულია გონივრულ, ობიექტურ საფუძველს და არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმურ მიზანს.³⁷⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არა მხოლოდ კანონიერია (ემყარება სსკ 58-ე მუხლის არსს), არამედ სამართლიანიცაა, რადგან გზას უკეტავს ანალოგიის გამოყენებას პირის საზიანოდ.

³⁷⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთხსენებული განაჩენის მტკიცებითი ნაწილის მე-20 ქვ.პუნქ.

³⁷⁵ უზენაეს სასამართლოს მხედველობაში აქვს ის პრაქტიკა, რის საფუძველზეც იყო დანიშნული სასჯელი ამ ბრალდებულის მიმართ და რაზეც იქნა შეტანილი საკასაციო საჩივარი.

³⁷⁶ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთხსენებული განაჩენის მტკიცებითი ნაწილის 24-ე ქვ.პუნქ.

ვფიქრობ, მომავალში ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებისათვის, რათა დასმული საკითხის გადაწყვეტა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სამართალშემფარდებლის მიერ ნორმის სწორად განმარტებაზე, საჭიროა, სსკ 58-ე მუხლში საკანონმდებლო ცვლილების შეტანა.

კერძოდ, სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, ან როცა სახეზეა რამდენიმე ნასამართლობა, საიდანაც თუნდაც ერთი ქმნის მუხლის ან მუხლის ნაწილის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი“.

6.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება

ეს გარემოება ობიექტური ნიშნითაა დამძიმებული, რადგან იგი დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მომეტებულ ოდენობას გულისხმობს, რაც ობიექტურად ამაღლებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ამ შემთხვევაში გამოიხატება საერთო შემოსავლის იმ ოდენობაში, რაც საბოლოოდ მიიღო პირმა უკანონო ქონების ლეგალიზაციის შედეგად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს შედეგი ამაღლებს უმართლობის ხარისხს (და არა მხოლოდ ბრალის ხარისხს).³⁷⁷ შესაბამისად, თანამსრულებლისა თუ თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას უნდა გამოვიყენოთ სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი (რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი).

სსკ 194-ე მუხლის შენიშვნაში (მე-3 ნაწ.) დადგენილია დიდი ოდენობით შემოსავლის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი - შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან

³⁷⁷ უმართლობის ხარისხის შესახებ, იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 192-193; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 171-172.

ორმოცდაათ ათას ლარამდე. როგორც ვხედავთ, ეს საკითხი არაა მინდობილი მოსამართლეზე, იგი საკანონმდებლო დონეზეა გადაწყვეტილი.

როცა დანაშაულის საგანია არა ნივთი, არამედ შესაბამისი თანხა, მაშინ ადვილი დასადგენია, ახლდა თუ არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რადგან იგი ლეგალიზებული თანხის ოდენობით განისაზღვრება. საკითხი უფრო რთულდება, როცა დანაშაულის საგანი იყო ნივთი. ვთქვათ, მიწის ნაკვეთი. ასეთ შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს ამ ნივთის ღირებულება, რა დროსაც არაა გამორიცხული შეცდომა. მაგალითად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულია არა ფული, არამედ უძრავი ნივთი, რომლის ლეგალიზაციის მიზნით პირმა იგი სხვა ნივთში გადაცვალა.

მიიღო თუ არა ამ ქმედებით პირმა დიდი ოდენობით შემოსავალი, უნდა დადგინდეს გადაცვლის შედეგად მიღებული ნივთის (და არა გაცვლილი ნივთის) ღირებულებით. საქმე ისაა, რომ შემოსავლის ოდენობას განსაზღვრავს არა ის, თუ რა ღირდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი მის ლეგალიზაციამდე, არამედ ის, თუ რა ღირს ის ნივთი, რაც ლეგალიზაციის შემდეგაა მოპოვებული. ლეგალიზაციამდე უკანონოდ მოპოვებული შემოსავალი, შესაძლოა, იყოს დიდი ოდენობის (30-დან 50 000 ლარამდე ღირებულების), მაგრამ ლეგალიზაციის შემდეგ მიღებული ნივთისა - არა.

მაგალითი: იარაღით ვაჭრობის შედეგად დავითმა მიიღო უძრავი ნივთი - 40 000 ლარად ღირებული მიწის ნაკვეთი. მისი ლეგალიზაციის მიზნით, მან იგი სასწრაფოდ გადაცვალა სხვა უძრავ ქონებაზე (ბინაზე), რომლის ღირებულება შეადგენდა არა 40 000 ლარს, არამედ 28 000 ლარს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლეგალიზაციის შედეგად მან ვერ მოახერხა 40 000 ლარად ღირებული ქონების მიღება და რადგან ჩქარობდა, დათანხმდა, გადაეცვალა იგი ნაკლებად ღირებულ ქონებაზე. მართალია, დავითმა ამით მატერიალურად იზარალა, მაგრამ მას იგი ამაღ უღირდა, რადგან უკანონო მოპოვებული შემოსავლი (40 000 ლარის ქონება), მართალია, არა მთლიანად, მაგრამ დიდწილად მაინც გაათეთრა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას თან არ ახლავს დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რადგან მიღებულია 30 000 ლარზე ნაკლები ღირებულების (28 000 ლარის) შემოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ

მაგალითში დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება **თან ახლდა არა** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, **არამედ** წინარე (პრედიკატულ) დანაშაულის ჩადენას.

ამდენად, ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციას **განსაზღვრავს არა** წინარე (პრედიკატული) უკანონო ქმედებით მიღებული შემოსავლის ოდენობა, **არამედ** ის შემოსავალი, რაც **თან ახლდა** ამ ქონების ლეგალიზაციას.

გამომდინარე აქედან, მიღებული შემოსავლის ოდენობა უნდა განისაზღვროს ლეგალიზაციის შემდეგ მიღებული შემოსავლის ოდენობით. ასეთი დასკვნის საფუძველს, გარდა ზემოთთქმულისა, იძლევა შემდეგი გარემოება: ის შემოსავალი, რაც პირმა მიიღო წინარე უკანონო (როგორც წესი, დანაშაულებრივი) ქმედებით, როგორც ფორმით, ისე შინაარსით უკანონო ქონებაა (შემთხვევითი არაა ის, რომ კანონმდებელი მას უწოდებს არა „შემოსავალს“, არამედ „უკანონო შემოსავალს“). ამდენად, იგი ფორმალურადაც კი ვერ ჩაითვლება იმ შემოსავლად, რაც პირს შეუძლია თავისუფლად განკარგოს, რადგან არ არსებობს მისი თავისუფალი განკარგვის (მაგ., სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების) ფორმალურ-იურიდიული საფუძველი.

დასმული საკითხი რამდენადმე **სხვაგვარად გადაწყდება მაშინ**, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილია ჯგუფურად, ანუ როცა საქმეში ფიგურირებს ორი ან მეტი ამსრულებელი (ანუ თანაამსრულებლები). ამ დროს, მთავარია, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თანმხლები შემოსავლის **საერთო ოდენობა** იყოს დიდი (30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე). შესაბამისად, მნიშვნელობა არა აქვს, მიღებული შემოსავლის რა წილი შეხვდა თითოეულ ამსრულებელს. შესაძლოა, არაც ერთ მათგანს არ შეხვდეს დიდი ოდენობით შემოსავალი.

მაგალითი: დავითმა მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული თანხა 40 000 ლარის ოდენობით და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. იგი მოელაპარაკა ერთ-ერთ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის მფლობელ გურამს. შეთანხმებისამებრ, დავითმა ამ ორგანიზაციაში ჩარიცხა ეს თანხა, ხოლო გურამმა ჯერ გადაიყვანა იგი სხვა ვალუტაში (ქონების კონვერსია), შემდეგ განახორციელა ფიქტიური ტრანზაქცია უცხო ქვეყანაში (ქონების გადაცემა), შემდეგ უკან დაბრუნებული თანხა ისევ ლარში გადაიყვანა (ქონების კონვერსია), დაქსაქსა და გასცა კრედიტის სახით ცრუმაგიერ პირებზე (ქონებით სარგებლობა). ბოლოს კი, უკან მიღებული თანხა გააერთიანა და გადარიცხა დავითთან დაკავშირებული პირის ანგარიშზე (ქონების გადაცემა).

შეთანხმებისამებრ, ამ ოპერაციების დასრულების შემდეგ, საერთო თანხა უკვე გაიზარდა და გახდა 50 000 ლარი, საიდანაც ნახევარი (25 000 ლარი) ერგო გურამს გაწეული სამსახურისთვის, ხოლო მეორე ნახევარი - დავითს.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ორი ამსრულებელი - დავითი, რომელმაც ჩაიდინა ქონების გადაცემა (გადარიცხა იგი ამ ორგანიზაციაში), ასევე მასთან დაკავშირებული პირის სახელით უკან მიიღო „გათეთრებული“ თანხა. ამსრულებელია ასევე გურამი, რომელმაც სხვადასხვა ოპერაციების გზით მოახდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ამასთან, მიღებული შემოსავლის საერთო ოდენობა როგორც დასაწყისში, ისე საბოლოოდ, არის დიდი (დასაწყისში იყო 40 000, ხოლო საბოლოოდ, 50 000 ლარი).

ამდენად, **მიუხედავად იმისა**, რომ თანაამსრულებელთაგან არც ერთს არ მიუღია დიდი ოდენობით შემოსავალი, ორივეს ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ა“ და „გ“ ქვ.).

ანალოგიურად წყდება ეს საკითხი სხვა დანაშაულთან მიმართებაშიც, სადაც იგი ჩადენილია ჯგუფურად. მაგალითად, როცა ქრთამს იღებს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფი, ქრთამის საგანი ჩაითვლება დიდ ოდენობად, თუკი იგი აღემატება 10 000 ლარს (30 000 ლარამდე). ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ქრთამის საგნის მთლიანი ოდენობის რა ნაწილი შეხვდა თითოეულ მოხელეს.³⁷⁸

უფრო მეტიც, შესაძლოა, შეთანხმების მიხედვით, რომელიმე თანაამსრულებელს საერთოდ არ შეხვდეს უკანონო ქონების ლეგალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან რაიმე წილი. მიუხედავად ამისა, თუ მას შეცნობილი ჰქონდა, რომ უშუალოდ მონაწილეობდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, მისი ქმედებაც ამ დამამძიმებელი გარემოებით დაკვალიფიცირდება. **რატომ?**

როგორც უკვე აღინიშნა, სახეზეა ობიექტური ნიშნით დამამძიმებელი გარემოება. ამდენად, იგი ქმედების ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როგორც თანამონაწილის, ისე თანაამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციისას უნდა გამოვიყენოთ სსკ 25-ე მუხლის

³⁷⁸ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 400-402.

მე-4 ნაწილის დანაწესი. კერძოდ, მართალია, ერთ-ერთი თანაამსრულებლის მხარეს არ იყო ქმედებისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანი (შემოსავლის დიდი ოდენობა), მაგრამ რადგან მეორე ამსრულებლის მხარეს არსებული ეს ნიშანი მას შეცნობილი ჰქონდა, პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულისათვის, როგორც თანაამსრულებელს.³⁷⁹

როგორც ვხედავთ, ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციისას გადამწყვეტი არაა წინარე უკანონო ქმედებით მოპოვებული ქონების ოდენობა. კერძოდ, მთავარი არაა წინარე უკანონო ქმედებით მოპოვებული შემოსავალი იყოს დიდი ოდენობის. მთავარია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ახლდეს თან დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ანალოგიურად გადაწყდება ეს საკითხი, როცა სახეზეა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).

განსახილველ დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გაეცეს ერთ კითხვას: მაინც როგორ გავიგოთ „რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“? (იგივე კითხვა დაისმის განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიმართაც - სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.). კერძოდ, მასში იგულისხმება ლეგალიზაციის შედეგად მიღებული ქონების საერთო ღირებულება, თუ ის წმინდა შემოსავალი, რაც ლეგალიზაციის შემდეგ დაემატა წინარე უკანონო გზით მოპოვებული ქონების ღირებულებას?

დასმული კითხვა უფრო ნათელი რომ გახდეს მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: იარაღით უკანონო ვაჭრობის გზით პეტრემ მოიპოვა 100 000 ლარი და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. იგი მოელაპარაკა ერთ-ერთი ბანკის მფლობელს და ეს თანხა გადარიცხა ამ ბანკში. ბანკის მფლობელმა მრავალჯერადი საბანკო ოპერაცია განახორციელა ამ თანხის გამოყენებით და საბოლოოდ თანხა გაიზარდა 40 000 ლარით (ანდა 20 000 ლარით). ამდენად, საბოლოოდ მიღებული თანხა - 140 000 ლარი (ან 120 000 ლარი) პეტრემ და ბანკის მფლობელმა შეთანხმებისამებრ გაინაწილეს.

³⁷⁹ განსხვავებულად წყდება ეს საკითხი, როცა საქმე ეხება ქრთამის აღებას წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ. იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნი: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 402-403.

ისმის კითხვა: როგორ დავიანგარიშოთ მიღებული შემოსავლის ოდენობა - მასში იგულისხმება მხოლოდ ის წმინდა მოგება - 40 000 ლარი (ან 20 000 ლარი), რაც დაემატა თავდაპირველ თანხას, თუ მთლიანი თანხა - 140 000 ლარი (ან 120 000 ლარი)?

თუ მიღებულ შემოსავალში ვიანგარიშებთ მხოლოდ წმინდა მოგებას, მაშინ სახეზეა სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება - რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით (30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე) შემოსავლის მიღება (ანდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რადგან 20 000 ლარი არაა დიდი ოდენობის).

თუ მიღებულ შემოსავალში ვიგულისხმებთ საბოლოოდ მიღებულ მთლიან თანხას (ან საბოლოოდ მიღებული ქონების ღირებულებას), მაშინ სახეზეა სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვ-ით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება (შემოსავალი 50 000 ლარის ზევით). ამდენად, ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკითხი სამართლიანად რომ გადაწყდეს, ამისათვის იმ შემოსავალში, რაც თან ახლდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ლეგალიზაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალი, არამედ ასევე წინარე უკანონო ქმედებით მიღებული ქონების ის ნაწილიც, რისი გათეთრებაც მოახერხა პირმა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით.

საქმე ისაა, რომ ამ ქონების ლეგალიზაციამდე ფორმალურად შეუძლებელი იყო წინარე უკანონო გზით მიღებული ქონების ოფიციალურ ბრუნვაში ჩართვა, რადგან შეუძლებელი იყო მისი კანონიერი წარმომავლობის დასაბუთება. ლეგალიზაციის შემდეგ კი ეს უკვე შესაძლებელია - ქონება ფორმალურად გამოიყურება, როგორც კანონიერი, მისი დაბანდება უკვე თავისუფლად შეიძლება ქვეყნის ეკონომიკაში (ვთქვათ, სამეწარმეო საქმიანობაში), უკვე არსებობს საამისო ფორმალურ - იურიდიული საფუძველი.

ამდენად, ეს ქონებაც ფორმალურ-იურიდიულად შემოსავალში უნდა ჩაითვალოს, მას უკვე შეიძლება ვუწოდოთ „შემოსავალი“ (სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო). სწორედ ამიტომ, რომ ლეგალიზაციამდე არსებული შემოსავალი სსკ 194-ე მუხლში (როგორც მის სათაურში, ისე დისპოზიციაში) მოხსენიებულია, როგორც „უკანონო შემოსავალი“, ხოლო ლეგალიზაციის შემდეგ მიღებული - როგორც „შემოსავალი“.

საინტერესოა, როგორ წყდება ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში?

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ ეს საკითხი სწორედ ასეა გაგებული. კერძოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თანხები შემოსავლის ოდენობაში იგულისხმება მთლიანი თანხა - წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებულისა და მისი ლეგალიზაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლის ჯამი, ანუ ის საბოლოო თანხა, რაც სახეზეა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემდეგ.

მაგალითად, 2018 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ს. კ-ინის მიმართ და ბრალეულად ცნო იგი თაღლითობასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.³⁸⁰ ამასთან, ლეგალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის ოდენობა განისაზღვრა იმ თანხის ოდენობით, რაც მოპოვებულ იქნა წინარე დანაშაულით (ამ შემთხვევაში თაღლითობით) და რომლის დანაწევრება და გადარიცხვა მოხდა ჰონ-კონგში მდებარე ბანკში ერთ-ერთ კომპანიის სახელზე გახსნილ ანგარიშზე, თითქოს საკონტრაქტო დანიშნულებით.

აქვე ისმის კითხვა: როგორ გავიგოთ საკანონმდებლო ჩანაწერი „ოცდაათი ათასი ლარიდან“? მასში 30 000 ლარიც შედის, თუ თანხა უნდა აჭარბებდეს მას თუნდაც ერთი ლარით?

განსხვავებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებიდან (მაგ., ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით), სადაც დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10 000 ლარს ზევით (სსკ 177-ე მუხლის შენიშვნის პირვ. ნაწ.), განსახილველ შემთხვევაში დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი 30 000 ლარიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ 30 000 ლარის შემოსავალი უკვე დიდი ოდენობაა.

რაც შეეხება განსაკუთრებით დიდ ოდენობას, ასეთად ითვლება 50 000 ლარზე მეტი (ანუ 50 000 ლარს + 1 ლარი) ოდენობის შემოსავალი.

³⁸⁰ აღნიშნული განაჩენი მოგვეწოდა დამიფრული სახით და ამდენად, საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ.

6.5. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია, როცა უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციას თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას საქმეში შეიძლება ფიგურირებდეს თანამონაწილედ - როგორც ორგანიზატორი, ისე წამქეზებელი ან დამხმარე, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ სხვაგვარად უწყობენ ხელს მის ჩადენას.³⁸¹ უმეტეს შემთხვევაში, ისინი დაინტერესებულნი არიან იმ შემოსავლის (ამ შემთხვევაში, დიდი ოდენობით შემოსავლის) გარკვეული წილის მიღებით, რაც თან ახლავს ამ დანაშაულის ჩადენას.

ამასთან, არაა გამორიცხული, ამსრულებლისა და თანამონაწილის შეთანხმების მიხედვით, თანამონაწილეს არ მიეკუთვნოს მიღებული შემოსავლის რაიმე წილი. ეს გარემოება ხელს არ შეუშლის მასზე ამ დამამძიმებელ გარემოებაში თანამონაწილეობის შერაცხვას, რადგან სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი დამძიმებულია ობიექტური ნიშნით. შესაბამისად, იგი ქმედების ნიშანია (და არა რაიმე პერსონალური ნიშანი - სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას გამოიყენება სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი - თანამონაწილეს შეერაცხება ეს დამამძიმებელი გარემოება, თუკი მას იგი შეცნობილი ჰქონდა.

მაგალითი: ალექსანდრემ პორნობიზნესით სოლიდური თანხა (50 000 ლარი) დააგროვა და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. მან სთხოვა მის მეგობარ ბექას, მოეძებნა ვინმე სანდო პირი (მაგალითად, რომელიმე ბანკის ხელმძღვანელი), რომელიც ამ თანხის ლეგალიზაციას უზრუნველყოფდა.

რამდენიმე დღეში ბექამ ალექსანდრეს გადასცა ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელის ვაჟას კოორდინატები და უთხრა, რომ თუ მისი (ბექას) სახელით დაუკავშირდებოდა ვაჟას, იგი უკვე „საქმის კურსში“ იყო და ისინი ყველაფერზე შეთანხმდებოდნენ. ამასთან ბექას ამ სამსახურის სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია ალექსანდრესთვის და არც იგი დაპირებია ბექას რაიმე საფასურს ან წილს უკანონო ქონების ლეგალიზაციით მიღებული შემოსავლიდან.

³⁸¹ თანამონაწილეობის საკითხზე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას, საუბარი იქნება ცალკე პარაგრაფში.

ალექსანდრე დაუკავშირდა ბანკის ხელმძღვანელს და მისი მეშვეობით მართლაც განხორციელდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა 50 000 ლარის შემოსავლის მიღება.

ამ საქმეში დანაშაულის ამსრულებლები არიან ალექსანდრე, რომელმაც გადარიცხა ბანკში უკანონო შემოსავალი (ქონების გადაცემა) და ბანკის ხელმძღვანელი, რომელმაც შესაბამისი საბანკო ოპერაციის მეშვეობით გაათეთრა უკანონოდ მოპოვებული ფული. ორივე მათგანს შეერაცხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

რაც შეეხება ბექას, იგი არის ამ დანაშაულის თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე, რომელმაც დაინტერესებულ პირს (ალექსანდრეს) ხელი შეუწყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხელის შეწყობა გამოიხატა იმაში, რომ მან ალექსანდრე და შესაბამისი ბანკის ხელმძღვანელი დააკავშირა ერთმანეთს, რითაც შექმნა პირობა ამ ბანკის მეშვეობით ფულის გათეთრებისათვის.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე ბექას არ მიუღია შემოსავლის რაიმე წილი (და არც ელოდებოდა მას), იგი მაინც ჩაითვლება თანამონაწილედ ამ დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ 25, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვ.), რადგან ეს გარემოება მას შეცნობილი ჰქონდა.

7. სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები

სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია ამ დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. ამასთან, ზოგიერთი მათგანი დამძიმებულია ობიექტური, ხოლო ზოგიერთი - სუბიექტური ნიშნით. კერძოდ, ობიექტური ნიშნითაა დამძიმებული ისეთი გარემოება, როგორცაა: იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ („ა“ ქვ.) და რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება („გ“ ქვ.). ხოლო სუბიექტური ნიშნით დამძიმებულია

ისეთი გარემოება, როგორცაა: იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით („ბ“ ქვ.).³⁸²
განვიხილოთ თითოეული.

7.1. იგივე ქმედება: ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ („ა“ ქვ.):

ორგანიზებული ჯგუფის არსი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ეს მოცემულია სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება“.

მოქმედი კანონმდებლობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად რომ ჩაითვალოს, საჭიროა:

ა) იგი ჩადენილი იყოს **დროის განსაზღვრულ პერიოდში** არსებული ჯგუფის მიერ. ამდენად, შეუძლებელია, ორგანიზებული ჯგუფი უეცრად (სპონტანურად) წარმოიქმნას, დაუყონებლივ ჩაიდინოს დანაშაული და უეცრადვე დაიშალოს;

ბ) ეს ჯგუფი უნდა მოქმედებდეს **შეთანხმებულად**.

მასში უნდა ვიგულისხმოთ წინასწარ (ანუ მომზადების სტადიაზე) არსებული შეთანხმება, რადგან თუ ჯგუფი **წინასწარ შეუთანხმებლად** მოქმედებს, ამისთვის არაა საჭირო დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მათი არსებობა (რომ არაფერი ვთქვათ სტრუქტურების შექმნაზე).

სსკ 27-ე მუხლის ზემოთხსენებული შენიშვნის შინაარსიდან გამომდინარე, ორგანიზებული ჯგუფისათვის არაა **აუცილებელი**, ჯგუფში წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი (ანუ **შესაძლებელია**, ადგილი ჰქონდეს წევრების გადინებას). ასევე არაა **აუცილებელი**, წევრებს შორის ფორმალურად ადგილი ჰქონდეს როლების განაწილებას.

³⁸² სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების, როგორც სუბიექტური (პერსონალური) ნიშნით დამძიმებული გარემოების შესახებ, იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 489-490; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 646-647.

როცა ამ მუხლის შენიშვნაში საუბარია როლების ფორმალურ განაწილებაზე, მასში არ იგულისხმება სტრუქტურებს შორის განაწილებული როლები - იგი აუცილებლად უნდა იყოს განაწილებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრუქტურებს ვერ გავმიჯნავთ ერთმანეთისაგან, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით მათ „გაქრობამდე“ მიგვიყვანს. ამდენად, ეს საკანონმდებლო დათქმა ეხება ჯგუფის შიგნით, წევრებს შორის როლების განაწილებას - არაა აუცილებელი, სტრუქტურაში შემავალ წევრთა შორის როლები ფორმალურად იყოს განაწილებული (თუმცა, როგორც წესი, პრაქტიკაში იგი განაწილებულია). რაც შეეხება სტრუქტურებს, მათ შორის როლები (ფუნქციები) აუცილებლად უნდა იყოს განაწილებული;³⁸³

გ) **ჯგუფს უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ფორმა.** სტრუქტურა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართებას - აგებულებას, წყობას, აღნაგობას (მაგ., დაწესებულების, ნიადაგის, ენის სტრუქტურა). აქედან გამომდინარე, სტრუქტურულ ფორმაში იგულისხმება სტრუქტურასთან (ანუ რისიმე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართებასთან) დაკავშირებული თავისებურებანი.³⁸⁴ ჩვენს შემთხვევაში იგი გამოხატავს ჯგუფის აგებულებას, მის წყობასა თუ აღნაგობას და მასთან დაკავშირებულ თავისებურებას.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ის, რომ მას უნდა ჰქონდეს რთული აგებულება, უნდა შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისგან, სადაც თითოეულს თავისი ფუნქცია აქვს დაკისრებული. შესაბამისად, აუცილებელია, სახეზე იყოს რამდენიმე სტრუქტურა (თუნდაც განუვითარებელი), სადაც თითოეულს თავისი ფუნქცია აკისრია. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში, სტრუქტურებს შორის ფუნქციების განაწილება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთი სტრუქტურა მუშაობს უკანონოდ მოპოვებული ქონების ლეგალიზაციის მსურველთა მოძიებაზე, მეორე-მათთან აწარმოებს მოლაპარაკებას, მესამე-იგონებს ლეგალიზაციისათვის საჭირო ახალ-ახალ ხერხს, რათა შეინიღოს

³⁸³ შეად. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 671-674.

³⁸⁴ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე (მ-ჰ), მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, თბ. 1990, გვ. 901.

მათი ჯგუფის საქმიანობა, მეოთხე-უშუალოდ იყენებს შესაბამის ხერხებს და ახდენს ქონების ლეგალიზაციას.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კრიმინალური ორგანიზაციების და კერძო ინვენსტორები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას საგულდაგულოდ ქმნიან სტრუქტურებს, რომელებიც იძლევიან გარანტიას, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ან გარემოში ხელს შეუშლიან და თავიდან აიცილებენ ეფექტურ გამოძიებასა და საქმის წარმოებას (Investigation and Prosecution).³⁸⁵

მისაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თუ საქმის მასალებით ვერ დადგინდა ჯგუფში სტრუქტურების არსებობა, ასეთ შემთხვევაში, რაც არ უნდა ზედმიწევნით ორგანიზებული იყოს ეს ჯგუფი, რამდენი დანაშაულის ჩადენაც არ უნდა იყოს მისი მიზანი, სახეზე არ იქნება ორგანიზებული ჯგუფი, არამედ სახეზე იქნება წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი;³⁸⁶

დ) ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა იყვნენ შეკავშირებული ერთი ან რამდენიმე დანაშაულის (ამ შემთხვევაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის) ჩასადენად.

ორგანიზებული ჯგუფის ეს ნიშანი სუბიექტური ხასიათისაა, რადგან იგი გადმოგვცემს მის მიზანს - ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანს. აქვე, აშკარად ხაზგასმულია, რომ წევრები წინასწარ (ანუ მომზადების სტადიაზე) უნდა იყვნენ შეკავშირებული ამ მიზნის გარშემო. ამასთან, განსხვავებით ადრე მოქმედი რეგულაციისაგან (2006 წლის 25 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებამდე), არაა აუცილებელი, ორგანიზებული ჯგუფი შექმნილი იყოს რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. შესაძლოა, მათი მიზანი იყოს ერთი, იმდენად რთული დანაშაულის (ჩვენს შემთხვევაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის) ჩადენა, რომელიც არათუ შეუძლებელია განხორციელდეს სპონტანურად, არამედ, უფრო მეტიც, ამისათვის საჭიროა სხვადასხვა სტრუქტურის შექმნა და მზადება დროის განსაზღვრულ პერიოდში;³⁸⁷

³⁸⁵ “Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy”, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg. p. 36.

³⁸⁶ შეად. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 674.

³⁸⁷ შეად. ნ. თოდუა, დასახ. კომენტარში, გვ. 671-673.

ამასთან, როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, უფრო ხშირია შემთხვევა, როცა ორგანიზებული ჯგუფი შექმნილია რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

ე) ორგანიზებული ჯგუფისათვის აუცილებელი კიდევ ერთი ნიშანია ორგანიზატორის არსებობა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სტრუქტურის შექმნისა და მასზე გარკვეული ფუნქციის დაკისრების შესახებ. იგი ხელმძღვანელობს, ან აკონტროლებს ამ სტრუქტურის საქმიანობას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფსა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია სტრუქტურული ფორმის ქონა, რაც ახასიათებს მხოლოდ ორგანიზებულ ჯგუფს. ამდენად, ამის დადგენა გადამწყვეტია წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფის გამიჯვნის საქმეში.³⁸⁸

საინტერესოა, რამდენადაა დასაბუთებული საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სტრუქტურული ფორმისა და ორგანიზატორის არსებობა, როცა ქმედება კვალიფიცირდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად?

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

2017 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული ზა-მი დამნაშავედ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რაც ჩადენილი იყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ და რასაც თან ახლა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (ასევე თაღლითობის ორ ეპიზოდში, რაც ჩადენილია სხვადასხვა დამამძიმებელ გარემოებაში).³⁸⁹

განაჩენის მიხედვით, თურქეთის ოთხმა მოქალაქემ (იდენტიფიცირებულ პირთა შორის ასევე იყო ამ საქმეში ბრალდებული ზა-მა) ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით ჩამოაყალიბეს სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფი, რომელშიც ჩართეს კიდევ ოთხი მოქალაქე (მათი ვინაობაც საქმის მასალებით დადგენილია).

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზა-მ, ილ-ს, ჯე-ისა და ილ-ს მითითებით (რომლებთანაც ერთად ჩამოაყალიბდა ზემოთხსენებული ჯგუფი), დაარეგისტრირა შპს „ზა-ი“. ამ შპს-ს „თი ბი სი ბანკ“-თან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის

³⁸⁸ წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფსა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ უფრო ვრცლად იხ. თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 674.

³⁸⁹ განაჩენის ასლი გადმოგვეცა დაშიფრული ფორმით. შესაბამისად, ვერ ვუთითებთ საქმის ნომერს.

თანახმადაც იგი წარმოადგენდა ბანკის „სუბ აგენტს“ და შესაძლებლობა ჰქონდა, განეხორციელებინა სწრაფი ფულადი გზავნილები ფიზიკური პირების სურვილის შესაბამისად. ამასთან ვალდებული იყო, მოეხდინა კლიენტების იდენტიფიკაცია.

გამომიებით დაუდგენელ ვითარებაში მან მოიპოვა ყალბი ოფიციალური დოკუმენტების - პასპორტების ასლები და შპს-ს მეშვეობით ამ ყალბი პასპორტების მონაცემების საფუძველზე თურქეთიდან სისტემატურად ახდენდა დაუსაბუთებელი თანხების გადმორიცხვას საქართველოში ამავე პირების ანგარიშზე. შემდეგ კი ანაწევრებდა მათ და ასევე ყალბი პასპორტების მონაცემების გამოყენებით გადარიცხავდა თურქეთში მათთვის სასურველ ანგარიშზე. პასპორტების მონაცემები გაცემული იყო ფიქტიურ პირებზე და ამ შპს-ს მეშვეობით, რეალურად ამ დაუსაბუთებელი თანხების მიღებას, დანაწევრებას და გადარიცხვას ახდენდნენ ილ--
-ი, ილ----, ზა--- და ჯე---ი.

აღნიშნულმა პირებმა 2016 წლის მარტში 244 ყალბი პასპორტის გამოყენებით, შპს „ზა-მი“-ის მეშვეობით განახორციელეს მილიონობით აშშ დოლარის ჩარიცხვა, დანაწევრება და კვლავ თურქეთში გადარიცხვა.

2016 წლის ოქტომბერში ამ პირთა ჯგუფმა თაღლითობის გზით შეძლეს აშშ მოქალაქისაგან 90 397 აშშ დოლარის ჩარიცხვა მათ მიერ თი ბი სი ბანკში წინასწარ გახსნილ ანგარიშზე, რაც ჩარიცხვის დღესვე სრულად გაიტანეს ბანკიდან. შემდეგ, თაღლითობის გზით მოპოვებული ამ თანხის ლეგალიზაციის მიზნით, მათ ორად გაყვეს ეს თანხა და შეიტანეს ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირ #140-ში მდებარე „იმ ბანკი საქართველო“-ში ერთ-ერთი მათგანის (ილ-ს) ანგარიშზე. შემდეგ კი თანხა გამოიტანეს ბანკიდან, მისი ნაწილი გადაეცა ილ-ს, ხოლო ნაწილი გადარიცხა ჯე-ს საბანკო ანგარიშზე თურქეთში.

ანალოგიური სქემით დანაშაულებრივ საქმიანობას ისინი აგრძელებდნენ 2017 წელსაც და ახერხებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებას.³⁹⁰

როგორც ვხედავთ, განაჩენის მიხედვით პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით ჩადენილი ეს ქმედებები შეფასებულია, როგორც ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობა. ამასთან, განაჩენში დასაბუთებულია მხოლოდ ის, რომ პირები წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ დროის გარკვეულ მონაკვეთში და ჩაიდინეს უკანონო

³⁹⁰ განაჩენის მტკიცებითი ნაწილი.

შემოსავლის ლეგალიზაციის არაერთი ფაქტი. თუმცა განაჩენში არაა დასაბუთებული, თუ საიდან გაკეთდა დასკვნა სტრუქტურის არსებობის შესახებ? კერძოდ, რა სახის სტრუქტურა იყო შექმნილი მოცემულ შემთხვევაში და რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა თითოეულ მათგანს? არადა ამის დასაბუთების შესაძლებლობა მოცემულ საქმეში ნამდვილად არსებობს. კერძოდ, შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, ხსენებულ პირთაგან, რომელს ჰქონდა დაკისრებული ფუნქცია, ჩაედინა წინარე (პრედიკატული) დანაშაული უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით? რომელ მათგანს - გამოეყენებინა ყალბი პასპორტები უკანონოდ მოპოვებული, ან დაუსაბუთებელი თანხის თი ბი სი ბანკში გადარიცხვისათვის? რომელ მათგანს - გამოეყენებინა ყალბი პასპორტები საქართველოს ბანკებში შეტანილი თანხის თურქეთში გადასარიცხად? განაჩენში მხოლოდ აღწერილია, თუ რა მოხდა სინამდვილეში და ვინ რა ქმედებას სჩადიოდა, მაგრამ არაა ეს ქმედებები შეფასებული იმ თვალსაზრისით, ჰქონდა თუ არა წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფს სტრუქტურული ფორმა.

განაჩენში ასევე არაფერია ნათქვამი იმაზე, ჰყავდა თუ არა ამ ჯგუფს ორგანიზატორი და კერძოდ, ვინ იყო იგი?

ვ) ორგანიზებული ჯგუფის მიზანი უნდა იყოს პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან ორგანიზებული ჯგუფი იქმნება არა სხვა სახის სამართალდარღვევის, არამედ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად,³⁹¹ ამდენად, სარგებლის უკანონო მიღების მიზანში იგულისხმება არა სხვა სახის სამართალდარღვევის, არამედ დანაშაულის ჩადენის გზით სარგებლის მიღების მიზანი.³⁹² ჩვენს შემთხვევაში, მასში იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით სარგებლის მიღების მიზანი.

როგორც ვხედავთ, სსკ 27-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, არსებობს ორი სახის მატერიალური სარგებელი: ფინანსური და სხვა სახის მატერიალური.

რას ნიშნავს ფინანსური სარგებელი?

³⁹¹ იხ. ნ. თოდუა, დასახ. კომენტარში, გვ. 673-674.

³⁹² საკითხზე, თუ რა საკანონმდებლო ცვლილება უნდა განხორციელდეს სსკ 27-ე მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებაში, იხ. თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 674.

მასში იგულისხმება ფულადი სარგებელი, რომელიც მატერიალური სარგებლის ერთ-ერთი სახეა. საერთოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას დამნაშავე უფრო მეტად, მოქმედებს ფულადი სარგებლის მიღების მიზნით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან: ა) უკანონო შემოსავალი, რომლის ლეგალიზაციის საკითხიც დგება დღის წესრიგში, როგორც წესი, უკანონოდ მიღებულ ფულად შემოსავალს უკავშირდება; ბ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით პირები იმიტომ არიან დაინტერესებულნი, რომ მოახდინონ ამ შემოსავლის ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკაში, რისთვისაც, როგორც წესი, საჭიროა ფული. მართალია, ეკონომიკაში სხვა სახის საქონლის ინტეგრაციაცაა შესაძლებელი, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის სახეობის არჩევაში პირი მეტად თავისუფალია მაშინ, როცა იგი ამ საქმიანობას იწყებს ფულით. სწორედ ამიტომაც, რომ ამ დანაშაულის სუბიექტები უკანონო მოპოვებულ ფულად სახსრებს მისი ლეგალიზაციის მიზნით მრავალჯერადი ოპერაციის მეშვეობით გარდაქმნიან ხოლმე სხვადასხვა ფორმაში - ჯერ შეიძენენ რაიმე ქონებას, მერე გაცვლიან მას სხვა ქონებაში, შემდეგ ეს ქონება გაიყიდება და თანხა დაჯდება დამნაშავეისათვის სასურველ ანგარიშზე. ამდენად, როგორც წესი, საბოლოო ეტაპი ქონების ისევ ფულად სახსრებში (და არა სხვა სახის ქონებაში) გადატანით მთავრდება. ვინაიდან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას, ფინანსური სარგებლის მიღება ამ დანაშაულის ტიპური მიზანია, მით უმეტეს, იგი უფრო მეტად იჩენს თავს ორგანიზებული ჯგუფის მიერ მისი ჩადენის შემთხვევაში.

რას ნიშნავს სხვა მატერიალური სარგებელი?

არაა გამორიცხული, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას პირის მიზანი იყოს არა ფინანსური, არამედ სხვა სახის მატერიალური სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება უძრავი ან მოძრავი ქონების მიღების მიზანში. არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფინალურ ეტაპზე პირი იღებს არა ფულს, არამედ რაიმე ქონებას, რომელიც ფორმალურად გამოიყურება, როგორც კანონიერი გზით მიღებული ნივთი (მაგ., მიწის ნაკვეთი).

მაგალითი: ადამიანით ვაჭრობით დაკავებულმა პირთა ჯგუფმა უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია და მისი ეკონომიკაში ჩართვა გადაწყვიტა. ამ მიზნის მისაღწევად მათ ჩამოაყალიბეს შესაბამისი სტრუქტურა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ფუნქცია დაეკისრა. კერძოდ, ერთ-ერთს დაევალა მოემია შესაძენი ობიექტები

(უძრავი ქონება) იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებდა ლიბერალური ფისკალური კანონები. მეორე სტრუქტურას კი მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა ამ ობიექტების მფლობელებთან ნასყიდობის ხელშეკრულების მოსამზადებლად და მათთან დაედო სარფიანი ხელშეკრულება, რომლითაც პირთა ეს ჯგუფი კანონით დადგენილი წესის დაცვით შეიძენდა უძრავ ქონებას. ამ გზით ისინი შეძლებდნენ უკანონოდ მოპოვებული ქონების (ფულის) ლეგალიზაციას, რითაც მიიღებდნენ **სხვა მატერიალურ** სარგებელს (უძრავ ქონებას). მართლაც, პირთა ამ ორგანიზებულმა ჯგუფმა შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება და უძრავი ქონების სახით მიიღო სხვა მატერიალური სარგებელი.

საინტერესოა, სხვა მატერიალურ სარგებლის მიღების მიზანში ასევე თუ იგულისხმება კანონიერ მფლობელობაში არსებული სახსრების დაზოგვის მიზანიც?

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას ასეთი მიზანი შეიძლება ამომრავებდეს როგორც წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენს, ისე სხვა პირსაც, რომელიც ლეგალიზაციას უკეთებს უკანონო შემოსავალს.

პირველი მაგალითი (როცა სუბიექტი წინარე დანაშაულის ჩამდენი პირია): ლეგალური სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული გიორგი და დემეტრე არალეგალურად იყვნენ ჩაბმული იარაღით ვაჭრობაში, საიდანაც სოლიდური შემოსავალი მიიღეს ფულის სახით და გადაწყვიტეს მისი ლეგალიზაცია. ამ მიზნით შემდეგი სქემა მოიფიქრეს: შექმნეს შესაბამისი რამდენიმე სტრუქტურა, საიდანაც ერთ-ერთს დაეკისრა გასაყიდად გამოტანილი, მათთვის საინტერესო უძრავი ქონების მოძიების ფუნქცია. მეორე სტრუქტურას კი ამ ქონების მესაკუთრეებთან მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების ფუნქცია. ხოლო მესამეს - ქონების უშუალოდ შეძენის ფუნქცია.

შესაბამისად, ისინი, როგორც მეწარმეები, იძენდნენ უძრავ ქონებას, რა დროსაც ქონების გამყიდველზე თანხის გადარიცხვისას აფიქსირებდნენ სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ლეგალურად მოპოვებულ თანხას. სინამდვილეში კი, მთლიანად გადარიცხულ თანხაში შეურევდნენ მათ მიერ უკანონოდ მოპოვებული თანხის ნაწილს. ვთქვათ, როცა ქონების შესაძენად უნდა გადაერიცხათ 1 000 000 ლარი, ამ თანხის 10 პროცენტს წარმოადგენდა მათ მიერ უკანონოდ მოპოვებული თანხა. ხოლო 90 პროცენტი იყო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული ლეგალური შემოსავალი.

როგორც ვხედავთ, წინარე დანაშაულის ჩამდენი პირები ამ ქმედებით ერთდროულად „ორ კურდღელს იჭერდნენ“ - ეტაპობრივად ათეთრებდნენ უკანონო შემოსავალს და ამავე დროს, ზოგავდნენ მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ სახსრებს.

მეორე მაგალითი (როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი არაა წინარე დანაშაულის ჩამდენი): კონსტანტინემ კანონის მოთხოვნათა დაცვით გახსნა სამორინე (კაზინო). ამავე დროს გადაწყვიტა, გამოეყენებინა ეს დაწესებულება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის და ამ გზითაც მიეღო სარგებელი. საამისოდ, მან ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრუქტურები, რომელთაც დაეკისრა თავ-თავიანთი ფუნქცია. ერთ-ერთის ფუნქცია იყო, მოეძებნა სანდო პირები, რომლებსაც სურდათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. მეორე სტრუქტურას მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა ამ პირებთან. ხოლო მესამე სტრუქტურას უშუალოდ უნდა მოეხდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საამისოდ ვარგისი რომელიმე ხერხით.

ამ ორგანიზებულმა ჯგუფმა დაიწყო საქმიანობა და გამოძებნა შესაბამისი პირები (გიორგი და დემეტრე). ისინი შეთანხმდნენ, რომ სამორინე გასცემდა ოფიციალურ დასტურს იმაზე, თითქოს გიორგიმ და დემეტრემ ონლაინ თამაშში მოიგეს რამდენიმე მილიონი ლარი. სანაცვლოდ, მათ (გიორგის და დემეტრეს) უნდა უზრუნველყო ამ კაზინოს რეკლამისთვის საჭირო თანხის გადახდა ერთი კვირის განმავლობაში. ყველაფერი შეთანხმებისამებრ განხორციელდა.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სამორინეს ხელმძღვანელმა ფიქტიური ცნობის გაცემით (თითქოს ამ პირებმა ონლაინ-თამაშში მოიგეს თანხა) განახორციელა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სხვა მოქმედება). ამ ცნობის საფუძველზე გიორგის და დემეტრეს შეუძლიათ დაასაბუთონ, თუ რა გზით მოიპოვეს ეს თანხა.

კაზინოს ხელმძღვანელმა, რომელმაც შექმნა ეს ორგანიზებული ჯგუფი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, მატერიალური სარგებელი მიიღო იმით, რომ დაზოგა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული თანხა, რაც მას რეკლამისათვის უნდა დაეხარჯა.

7.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით („ბ“ ქვ.)

სახეზეა პერსონალური (სუბიექტური) ნიშნით დამძიმებული გარემოება. კერძოდ, ამსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ისეთი პერსონალური ნიშანი, რაც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ პოზიციასთან.³⁹³ შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ასეთი პირი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ყველანაირი კანონიერი ბერკეტით ცდილობდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ხელის შეშლას, პირიქით, იგი ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და ამით იადვილებს ამ დანაშაულის ჩადენას.

ამ დამამძიმებელი გარემოების სუბიექტი, შესაძლოა, იყოს არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელე (ან მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი), არამედ კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელიც, რომელიც ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას.

მაგალითი (როცა სუბიექტი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია):³⁹⁴

პირთა ჯგუფმა (დავითმა, გიორგიმ და ვაჟამ) პორნო-ბიზნესით დააგროვეს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი და ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრაციის მიზნით მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტეს. ისინი მოელაპარაკნენ საქართველოს რამდენიმე სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს, რომლებთანაც ერთად შეიმუშავეს ფულის გათეთრების სქემა. სქემის მიხედვით, დავითი, გიორგი და ვაჟა, რომელიმე ლიბერალური ფისკალური სამართლებრივი რეჟიმის ქვეყანაში თავს დაირეგისტრირებდნენ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებად. შემდეგ დაირეგისტრირებული კომპანიის სახელით მონაწილეობას მიიღებდნენ იმ ტენდერში, რაც მალე უნდა გამოცხადებულიყო საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი ობიექტის (კერძოდ, ერთ-ერთი პორტის) შესყიდვისა და მისი შემდგომი რეაბილიტაციისათვის.

³⁹³ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. რედ. ნაჭყებია გ. თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 489-490; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 641-647.

³⁹⁴ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის შესახებ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 357-358.

შეთანხმებისამებრ, ეს თანამდებობის პირები უზრუნველყოფდნენ იმას, რომ გამოცხადებულ ტენდერში სწორედ მათი კომპანია გაიმარჯვებდა და შეიძენდა რამდენიმე ათეულ მილიონად ღირებულ ობიექტს მისი რეაბილიტაციის პირობით. რამდენიმე თვეში კი, ეს „გამარჯვებული“ კომპანია უარს იტყოდა ტენდერის პირობების შესრულებაზე რაიმე „საპატიო“ მიზეზით და უკან გამოითხოვდა პორტის შესაძენად გადარიცხულ თანხას. შესაბამისად, მას ფორმალურად უკან დაუბრუნდებოდა გადახდილი თანხა. სინამდვილეში კი მთლიანი თანხის დიდ ნაწილს მიიღებდნენ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, ხოლო დანარჩენი ნაწილი (რომელიც უკვე გამოიყურებოდა როგორც კანონიერი შემოსავალი), დაუბრუნდებოდა წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენთ. ყველაფერი შეთანხმებისამებრ განხორციელდა.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომლის სუბიექტები არიან: ა) **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის** პირები, რომლებმაც დანაშაულის ჩადენისას ბოროტად გამოიყენეს თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა - წინასწარ შეთანხმებით, ტენდერში უზრუნველყვეს იმ პირთა გამარჯვება, რომლებმაც „შავი ფულით“ მიიღეს მასში მონაწილეობა. ასევე რამდენიმე თვეში უზრუნველყვეს წინასწარ შეთანხმებული „საპატიო“ მიზეზით ტენდერის შედეგის გაბათილება და თანხის უკან დაბრუნება, რითაც შეძლეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ეს თანხა უკვე გამოიყურება, როგორც კანონიერი, პირებს შეუძლიათ დოკუმენტალურად დაასაბუთონ მისი კანონიერი წარმომავლობა;

ბ) ამ დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან ის **კერძო პირები**, რომლებმაც უკანონო შემოსავალი მოიპოვეს წინარე დანაშაულის ჩადენით. ამ პირებმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გამოიყენეს შემდეგი ხერხი: ქონების შექმნა (როცა ფული ჩარიცხეს იმ ქონების შესაძენად, რაც მოიპოვეს „ტენდერში გამარჯვებით“); შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში „შექმნილი“ **ქონების ფლობით**; ბოლოს კი „საპატიო მიზეზის“ გამო, ქონების უკან დაბრუნებით (**სხვა მოქმედება**).

საბოლოოდ, **სახელმწიფო-პოლიტიკურ პირთა** ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად (კერძოდ, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ), სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით (50 000 ლარს ზევით) შემოსავლის

მიღება. ხოლო კერძო პირთა (წინარე დანაშაულის სუბიექტების) ქმედება - როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად (კერძოდ, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

სახეზე არაა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან ჯგუფში არ ყოფილა ჩამოყალიბებული სტრუქტურა (თუნდაც განუვითარებელი).

ვინაიდან სახეზეა ამსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი, იგი შეერაცხება მხოლოდ იმას, ვინც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა. შესაბამისად, ეს დამამძიმებელი გარემოება არ შეერაცხება სხვა ამსრულებელს, ანუ თანაამსრულებელს (თუ მასაც არ ეკავა შესაბამისი სამსახურბრივი პოზიცია). ეს პერსონალური ნიშანი არც ერთ შემთხვევაში არ შეერაცხება ამ დანაშაულის თანამონაწილეს, თუნდაც მას იგი შეცნობილი ჰქონდეს (სსკ 25-ე ნ. მე-5 ნაწილის დანაწესი).

განხილული მაგალითი ისე შეცვალათ, რომ მასში თანამონაწილეს ფიგურირებდეს: ერთ-ერთი საზღვაო პორტის მიმართ ხელისუფლებამ მისი გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო იმ პირობით, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას განეხორციელებინა პორტის ძვირადღირებული რეკონსტრუქცია. ამ პროცესში ჩართულმა სახელმწიფო-პოლიტიკურმა თანამდებობის რამდენიმე პირმა (პავლემ და ნიკოლოზმა) გადაწყვიტა, გამოეყენებინა ეს ფაქტი მათი გამდიდრების წყაროდ. კერძოდ, პორტის ფიქტიურად გაყიდვის გზით განეხორციელებინათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და მიეღოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი. საამისოდ საჭირო იყო შესაბამის პირთა გამოძებნა, რომელთაც დაგროვილი ჰქონდათ უკანონოდ მიღებული შემოსავალი და სურდათ მისი ლეგალიზაცია.

პავლემ და ნიკოლოზმა ამ საქმეში დახმარება სთხოვეს მათ ახლო მეგობარ კოტეს, რომელსაც არ ეკავა არანაირი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურაში, მაგრამ „კარგად იყო გათვითცნობიერებული“ ამგვარ საქმეში. მართლაც, კოტემ გამოძებნა „სანდო“ პირები (ზემოთხსენებული დავითი, გიორგი და ვაჟა), რომლებიც დააკავშირა ამ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, რის შემდეგაც ისინი თავად შეთანხმდნენ ფულის გათეთრების გეგმაზე და ბოლომდე მიიყვანეს ჩანაფიქრი ზემოთხსენებულ მაგალითში ნახსენები სქემის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში თანამსრულებლებთან ერთად სახეზეა თანამონაწილეს (კოტე). კერძოდ, იგი ფიზიკური დამხმარეა, რადგან ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას იმ პირთა გამოძებნით, რომლებსაც დაგროვილი ჰქონდათ უკანონო შემოსავალი და სურდათ მისი ლეგალიზაცია.

საინტერესოა, როგორ დაკვალიფიცირდება თანამონაწილე კოტეს ქმედება? კერძოდ, სსკ 194-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებათაგან (რაც სახეზეა მოცემულ შემთხვევაში), რომელი შეერაცხება მას, როგორც დამხმარეს, ხოლო რომელი - არა?

კოტეს, როგორც დანაშაულის თანამონაწილეს, სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, შეერაცხება ის დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დამძიმებულია ობიექტური ნიშნით. ამ შემთხვევაში ასეთია დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად (სსკ 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.) და რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).

რაც შეეხება ისეთ პერსონალურ ნიშანს (ანუ სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებულ გარემოებას), რაც ახასიათებს ამსრულებლის პიროვნებას (მის სამსახურებრივ პოზიციას), სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ეს დამამძიმებელი გარემოება კოტეს არ შეერაცხება მიუხედავად იმისა, რომ იგი მას შეცნობილი ჰქონდა.

საბოლოოდ, კოტეს ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თანამონაწილეობა ჯგუფურად ჩადენილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 25, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ. და მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.). შესაბამისად, მას შეერაცხება მხოლოდ ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოებები, რაც ქმედების ნიშანს წარმოადგენს (სსკ 25-ე მ. მე-4 ნაწ.). ეს იმას ნიშნავს, რომ განზრახ დანაშაულში ასეთი გარემოებები ამაღლებს არა მხოლოდ ბრალის, არამედ უმართლობის ხარისხსაც, ანუ ამაღლებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს.³⁹⁵

³⁹⁵ საკითხზე, თუ რით განსხვავდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (182-ე მ. მე-2 ნაწ.), საუბარია ნაშრომის იმ თავში, სადაც განხილულია სასამართლო პრაქტიკა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე.

7.3. რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება („გ“ ქვ.)

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თანმხლები შემოსავლის ოდენობა, რაც გვაძლევს დამამძიმებელ გარემოებას, განსაზღვრულია სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვით, განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი 50 000 ლარის ზევით.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით დიდი ოდენობით შემოსავლისაგან (რომლისთვისაც დადგენილია როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვარი), განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალს არა აქვს ზედა ზღვარი, მთავარია, იგი გასცდეს 50 000 ლარს.

საერთოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას უფრო მეტად ადგილი აქვს განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებას. ამას ის ფაქტი განაპირობებს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი პრაქტიკაში უფრო მეტად დგება მაშინ, როცა ეს შემოსავალი მოპოვებულია ისეთი წინარე დანაშაულით (და არა სხვა სახის სამართალდარღვევით), როგორცაა იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი, ადამიანით ვაჭრობა ან ორგანიზებული დანაშაულის რომელიმე სხვა სახე (მაგალითად, თაღლითობა). ეს ის დანაშაულებია, როცა დამნაშავეთა ხელში აღმოჩნდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით (ასი ათასობით და მილიონობით) უკანონო შემოსავალი, რომელთა ლეგალიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ეს თანხა დაბანდებულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში.

მაგალითი: ავთანდილმა მის მიერ დაფუძნებული შპს-ს გამოყენებით, მის მიერვე შემუშავებული თაღლითური სქემის მიხედვით, მოახერხა რამდენიმე პირის მოტყუება. კერძოდ, დაპირდა მათ, რომ გაუწევდა სათანადო მომსახურებას შპს-ს მემწეობით. მოტყუებულმა პირებმა შპს-ს ანგარიშზე გადარიცხეს 7 000 000 ლარი. ავთანდილმა ეს თანხა დაუყონებლივ გადარიცხა მისი სიმამრის პირად ანგარიშზე. მეორე დღესვე სიმამრმა, ავთანდილის მოთხოვნით ეს თანხა გადარიცხა თურქეთის ბანკში ავთანდილთან დაკავშირებული პირის ანგარიშზე. საბოლოოდ, ამ თანხის გამოყენებით თურქეთშივე შეძენილ იქნა უძრავი ქონება.

ავთანდილის ქმედებაში სახეზეა როგორც თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით (10 000 ლარს ზევით), ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით (50 000 ლარზე მეტი) შემოსავლის მიღება.

რაც შეეხება ავთანდილის სიმამრს, იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ მან იცოდა ამ თანხის უკანონო წარმომავლობა და მის ანგარიშზე ჩარიცხვის მიზანი, ქმედება დაკვალიფიცირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეობად. კერძოდ, როგორც დახმარება ამ დანაშაულში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - 25, 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა სხვა ეკონომიკური დანაშაულისა და მექრთამეობისაგან

8.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) გამიჯვნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობის, ქონების შეძენის, ფლობისა და გასაღებისაგან (სსკ 194¹ მ.)

2008 წლის 19 მარტის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება. მისი შემოღებით კანონმდებლის მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა. კერძოდ, ქვეყნის კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის დაცვა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემდგომ ეტაპზეც, რათა შეუძლებელი გახდეს უკანონოდ ლეგალიზებული ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმა იმ პირთა მხრიდანაც კი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში.

ამდენად, დღის წესრიგში დგება სსკ 194-ე და 194¹ მუხლების გამიჯვნის საკითხი. საქმე ისაა, რომ ორივე მუხლი მოთავსებულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში; დანაშაულის ობიექტური მხარე (ნივთით სარგებლობა, შეძენა და სხვა ქმედება) თითქმის ემსგავსება ერთმანეთს; ამ დანაშაულთა საგანიც, ერთი შეხედვით, ემსგავსება ერთმანეთს.

ამ მუხლების ძირითადი შემადგენლობების შეპირისპირებით ნათელი ხდება მათ შორის არსებული რამდენიმე განსხვავება:

1. **დანაშაულის საგანი** - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას დანაშაულის საგანია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება (რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი). **რაც შეეხება სსკ 194¹ მუხლის საგანს**, აქ სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთი, ანუ ნივთი, რომელიც „უკვე გაირეცხა“ და ისე გამოიყურება, როგორც თითქოს ლეგალური გზით მოპოვებული.

მაგალითი: პეტრემ დავითისგან შეიძინა მიწის ნაკვეთი მასზე აღმართული შენობით. მან ამ ნივთის შეძენამდე დავითის ახლობლებისაგან დანამდვილებით იცოდა, რომ ეს ქონება დავითს მოპოვებული ჰქონდა უკანონო შემოსავლის (თაღლითობის) ლეგალიზაციის გზით, მაგრამ ამას არ მიაქცია ყურადღება, რადგან მისთვის მისაღები იყო როგორც ნივთის ხარისხი, ისე ფასი. სახეზეა სსკ 194¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ, უკანონო შემოსავლის (კერძოდ, თაღლითობის) ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონების შეძენა (ქონების ღირებულების მიხედვით, შესაძლოა, სახეზე იყოს ამ მუხლის რომელიმე დამამძიმებელი გარემოება).

თუკი პეტრე დავითისგან შეიძენდა თაღლითობის გზით მოპოვებულ ქონებას, რაც არ იყო ლეგალიზებული, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 194¹ მუხლით, არამედ სსკ 186-ე მუხლით - წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით (ამ შემთხვევაში, თაღლითობის გზით) მოპოვებული ქონების შეძენა.

2. **დანაშაულის მიზანი** - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას პირის მიზანია, კანონიერი სახე მისცეს უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას (რათა დაუბრკოლებლად ჩართოს იგი ქვეყნის ეკონომიკაში). რაც შეეხება სსკ 194¹ მუხლს, მის სუბიექტს ეს მიზანი არ ამოძრავებს, რადგან ქონება უკვე ლეგალიზებულია („სუფთაა“). ამასთან, ამ ქონების ინტეგრირებას ქვეყნის ეკონომიკაში, ამგვარი მიზნის დადგენას ქმედების სსკ 194¹ მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. პირის მიზანი შესაძლოა, იყოს ლეგალიზებული ნივთით მხოლოდ სარგებლობა, მისი შეძენა პირადი სარგებლობისათვის და სხვა პირადი მიზნის მიღწევა ამ ქონების ეკონომიკაში ინტეგრირების გარეშე. ვთქვათ, ზემოთხსენებულ მაგალითში, პეტრემ

დავითისგან შეიძინა მიწის ნაკვეთი მასზე აღმართული შენობით, რათა გამოეყენებინა იგი არა სამეწარმეო საქმიანობისთვის, არამედ საცხოვრებლად და დაიწყო მასში ცხოვრება.

რადგან მან ქონების შეძენამდე ზუსტად (და არა სავარაუდოდ) იცოდა, რომ ეს ქონება მოპოვებული იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით, ქმედების კვალიფიკაციისთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ იგი მან პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეიძინა.

3. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, განსხვავებულია სუბიექტთა წრეც. კერძოდ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტია როგორც წინარე (ძირითადი) დანაშაულის ამსრულებელი, ისე სხვა პირიც, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან, მაგრამ ამჟამად უშუალოდაა ჩართული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში.

რაც შეეხება სსკ 194¹ მუხლის სუბიექტს, იგი არაა არც წინარე დანაშაულის ჩამდენი და არც ის პირი, რომელიც ამსრულებლის ან თანამონაწილის სახით იყო ჩართული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში. იგი სულ სხვა პირია, რომელსაც კავშირი არ ჰქონია არც წინარე დანაშაულთან და არც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან, მაგრამ იცის, რომ ქონება, რომელსაც ფლობს, რომლითაც სარგებლობს, რომელიც შეიძინა ან რომელსაც ასაღებს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზითაა მოპოვებული.

სწორედ ამიტომაა ხაზგასმით ნათქვამი სსკ 194¹ მუხლში: „წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა“. წინასწარი შეცნობით ნიშნავს იმას, რომ პირს ამ მუხლის ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი ალტერნატიული ქმედების ჩადენამდე უნდა ჰქონდეს შეცნობილი ეს ფაქტი. კერძოდ, ის, რომ სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონება.

თუკი ეს ფაქტი მან შეიტყო ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ალტერნატიული ქმედების ჩადენის შემდეგ (ანუ, ქონების შეძენის, მისით სარგებლობის, მისი ფლობის ან მისი გასაღების შემდეგ), ქმედებას ამ მუხლით ვერ დავაკვალიფიცირებთ.

აღსანიშნავია, რომ ამ ქმედებათაგან ზოგიერთი (მაგ., სარგებლობა და ფლობა) წარმოადგენს დენად (ფლობა) ან განგრძობად (სარგებლობა) ქმედებას.³⁹⁶ მიუხედავად ამისა, თუკი ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედება უკვე დაწყებულია და პირმა მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო, რომ ქონება, რომელსაც ფლობს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით ყოფილა შეძენილი, ეს ფაქტი გამორიცხავს ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას სსკ 194¹ მუხლით. საქმე ისაა, რომ უკვე სახეზე არაა „წინასწარი შეცნობა“, რადგან მასში იგულისხმება არა მცდელობის (ან მით უმეტეს, დამთავრებული დანაშაულის) სტადიაზე არსებული შეცნობა, არამედ მომზადების სტადიაზე არსებული შეცნობა. ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე არსებული შეცნობა.

მაგალითი: პეტრემ გოგასგან არენდით აიღო მიწის ნაკვეთი და სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო. რამდენიმე თვის შემდეგ მან შეიტყო, რომ მიწის ეს ნაკვეთი გოგას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგად ჰქონია მოპოვებული. მიუხედავად ამისა, მან გააგრძელა ამ ქონებით სარგებლობა.

ჩადენილ ქმედებას ვერ დავაკვალიფიცირებთ სსკ 194¹ მუხლით, ვინაიდან, სანამ პეტრე შეიტყობდა შესაბამის ინფორმაციას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით მოპოვებული ქონებით სარგებლობა მას უკვე დაწყებული ჰქონდა.

8.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა წინასწარი შეცნობით

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენის და გასაღებისაგან (სსკ 186-ე მ.)

ამ ორ დანაშაულს ბევრი რამ აკავშირებთ, რის გამოც დღის წესრიგში დგება მათი გამიჯვნის საკითხი. კერძოდ, მათ აკავშირებთ დანაშაულის საგანი, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. ასევე აკავშირებთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (ქონების შეძენა, ფლობა, სარგებლობა). მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებობს რამდენიმე განსხვავება, საიდანაც ზოგიერთი არსებითი ხასიათისაა:

³⁹⁶ დენადი და განგრძობადი დანაშაულის შესახებ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 516-522.

1. **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი** - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არის ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა, ხოლო სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია საკუთრების უფლება. საქმე ისაა, რომ როცა **მესამე პირი** ფლობს, სარგებლობს, იძენს ან ასაღებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, ამით კიდევ ერთხელ ილახება ამ ქონების ნამდვილი (კანონიერი) მესაკუთრის უფლება - დამატებით იქმნება იმის საფრთხე, რომ ეს ქონება საერთოდ დაიკარგება „სამართლებრივი სივრციდან“ და მესაკუთრე მას ვერასოდეს დაიბრუნებს;
2. **დანაშაულის სუბიექტი** - სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტია როგორც წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ამსრულებელი, ისე სხვა მესამე პირი, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან ამსრულებლობის ან თანამონაწილეობის სახით. **რაც შეეხება სსკ 186-ე მუხლს**, მისი სუბიექტი არ შეიძლება იყოს იმ წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე, რომლის ჩადენის გზითაა მოპოვებული ქონება. მისი სუბიექტია სხვა, მესამე პირი, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან ამსრულებლობის ან თანამონაწილეობის სახით;
3. **დანაშაულის საგანი** - სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება. უკანონო ქონებაში შედის როგორც დანაშაულებრივი, ისე სხვა სახის სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება. **რაც შეეხება სსკ 186-ე მუხლს**, აქ დანაშაულის საგანია მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება;
4. **ობიექტური შემადგენლობა** - სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს მრავალფეროვან ქმედებებს (ქონებით სარგებლობა, შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება), ასევე მრავალფეროვან ხერხს (ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების უფლების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლების დამალვა ან შენიღბვა).

რაც შეეხება სსკ 186-ე მუხლს, მისი ობიექტური მხარე უფრო შეზღუდულია. იგი მოიცავს მხოლოდ ქონებით სარგებლობას, ქონების შეძენას, ფლობას ან გასაღებას.

სსკ 194-ე მუხლის მიხედვით, **სხვა მოქმედებაში** იგულისხმება მხოლოდ ქონების გაყიდვა ან გასაჩუქრება (მაგრამ არა გაცვლა). ხოლო სსკ 186-ე მუხლის მიხედვით, ქონების გასაღებაში იგულისხმება მისი გაყიდვა, გასაჩუქრება და ასევე გაცვლა სხვა ნივთში;

4. **სუბიექტური შემადგენლობა** - ამ დანაშაულთა შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სუბიექტურ შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ. კერძოდ, ფულის გამრეცხველები ჩვეულებრივ განათავსებენ "გასუფთავებულ" ფულს ნორმალურ ეკონომიკაში. ფულის გათეთრების მთავარი მიზანი არის სახსრების წარმატებით ინტეგრირება, რათა გაჭირდეს ლეგიტიმური და არალეგიტიმური (დანაშაულებრივი) სახსრების გარჩევა. შემდეგ კი ისინი შეძლებენ, გამოიყენონ ისინი ნებისმიერი საჭიროებისათვის.³⁹⁷ აქედან გამომდინარე, მისაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება რომლის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას (194-ე მ.) დამნაშავე უკანონო ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმით მის ლეგალიზაციას ისახავს მიზნად, რაც უნდა გამოვრიცხოთ 186-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას. ამ დროს დამნაშავეს ანგარება ამოძრავებს.³⁹⁸ ამდენად, უნდა გაირკვეს, რას ემსახურებოდა ჩადენილი ქმედება - ფულის გათეთრებაში დახმარებას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვაში დახმარებას, თუ პირადი სარგებლის მიღებას... თუ პირს არც შემოსავლის გათეთრების და არც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილის დახმარების მიზანი არ ამოძრავებს, მაგრამ წინასწარი შეპირების გარეშე წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას შეიძენს, ფლობს, სარგებლობს ან ასაღებს პირადი მოტივით, მაშინ ეს სსკ 186-ე მუხლით აღწერილ ქმედებას ახორციელებს.³⁹⁹

³⁹⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 18.

³⁹⁸ შეად. ლეკვეიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, რედ. თოდუა ნ., წიგნი პირგ. ნაწ. მე-2. თბ. 2023, გვ. 114-115.

³⁹⁹ შეად. ლეკვეიშვილი მ., იქვე.

ამდენად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას პირის მიზანია „გათეთროს“ უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, რათა თავისუფლად შეძლოს მისი შემდგომი გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ - ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში. ხოლო სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირის მიზანია პირადი სარგებელი ნახოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით; ამდენად, მიუხედავად ამ ორ მუხლს შორის მთელი რიგი მსგავსებისა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (სსკ 186-ე მ.) არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომწესრიგებელ ერთ-ერთ ნორმას.

შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ფულის გათეთრების ინსტიტუტი წარმოდგენილია სამი ნორმით, საიდანაც ერთ-ერთი არის სსკ 186-ე მუხლი.⁴⁰⁰ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფულის გათეთრების ინსტიტუტის სახედ რომ იყოს მიჩნეული, მაშინ საქართველოს კანონმდებელი მასაც მოათავსებდა არა საკუთრების, არამედ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკა რამდენად სწორად მიჯნავს ამ დანაშაულებს ერთმანეთისაგან.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ გ - ის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა დიდი ოდენობით (სსკ 186-ე მ. მე-2 ნაწ. „დ“ ქვ.).⁴⁰¹

ბრალდების არსი შემდეგში მდგომარეობდა: ბრალდებული გ-ი იყო ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი, რომელიც ეწეოდა სილიკომანგანუმის წარმოება-რეალიზაციასთან დაკავშირებულ კომერციულ საქმიანობას. ერთ-ერთი შპს „ჭ-ს“ (რომელიც ასევე ეწეოდა სილიკომანგანუმის წარმოებას) საამქროს უფროსმა მ-მ და მისმა ნათესავმა მ-იმ შესთავაზეს ბრალდებულ გ-ის, შეეძინა შპს „ჭ-სდან“ ნაქურდალი

⁴⁰⁰ შეად. შაშიაშვილი გ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა (სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2015, გვ. 69-70.

⁴⁰¹ 2017 წლის 7 აგვისტოს განხილული სისხლის სამართლის ამ საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ, რადგან განაჩენი მოგვეწოდა დაშიფრული სახით.

სილიკომანგანუმი, რაზეც გ-ი დათანხმდა ოღონდ ამ ნივთის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.

მართლაც, 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის იანვრამდე შპს „ჭ-ს“ საამქროს უფროსმა და მისმა ნათესავმა, ამ შპს-დან მოპარული სილიკომანგანუმი (რომლის საერთო ღირებულება 100 000 ლარს შეადგენდა) არაერთხელ მიყიდეს გ-ის.

სასამართლომ გ-ი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში არასაკმარისი მტკიცებულებების გამო,⁴⁰² მაგრამ ჩვენთვის ეს განაჩენი საინტერესოა არა საქმეში არსებული მტკიცებულების არასაკმარისობის, არამედ სსკ 186-ე მუხლის 194-ე მუხლთან (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან) შეპირისპირების თვალსაზრისით. კერძოდ:

ა) როგორც ვხედავთ. ამ საქმეში სსკ 186-ე მუხლი შერაცხული ჰქონდა მხოლოდ გ-ის, რომელსაც დაბრალდა ნაქურდალი სილიკომანგანუმის შეძენა, რა დროსაც იცოდა, რომ ეს ნივთი დანაშაულებრივი გზით (ქურდობით) იყო მოპოვებული. შესაბამისად, იმ პირთა (მ-სა და მ-ის) ქმედება, რომელთაც ქურდობის გზით მოიპოვეს სილიკომანგანუმი, არ დაკვალიფიცირებულა სსკ 186-ე მუხლით, რაც სწორია.

საქმე ისაა, რომ განსხვავებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან (194-ე მ.), რომლის სუბიექტი ასევე არის წინარე (პრედიკატული) დანაშაულიც ჩამდენიც, სსკ 186-ე მუხლის სუბიექტი არ შეიძლება იყოს წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე;

ბ) როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მიხედვით, შპს-ს ხელმძღვანელმა გ-იმ შეიძინა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, ჩადენილი ქმედება გამოძიების ეტაპზე არ დაკვალიფიცირებულა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (ქონების შეძენა-194-ე მ.), რადგან საქმეში მონაწილე პირების მიზანი არ ყოფილა ამ ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა. მათი მიზანი იყო მატერიალური სარგებლის მიღება. კერძოდ, ქურდობის ჩამდენთა მიზანი იყო, სარგებელი ენახა ნაქურდალის გაყიდვით. ხოლო შპს-ს ხელმძღვანელ გ-ის მიზანი იყო, სარგებელი ენახა ნივთის საბაზრო ფასთან შედარებით იაფად შეძენით.

⁴⁰² იხ. განაჩენის დადგენილებითი და სარეზოლუციო ნაწილი.

8.3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მ) და ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით (სსკ 205¹ მ.)

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სპეციალური დელიქტი, რომლის შემადგენლობა ნაწილობრივ ემთხვევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტურ შემადგენლობას. ეს დელიქტია სსკ 205¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ამსრულებელია სპეციალური სუბიექტი - საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი.⁴⁰³

რაც შეეხება ქმედებას, იგი გამოიხატება ხსენებულ პირთა მიერ ქონების გადამალვაში მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგებით, რაც ჩადენილია მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით.⁴⁰⁴

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სსკ 218-ე მუხლისაგან, ამ შემთხვევაში ქონებრივ ვალდებულებაში არ იგულისხმება საგადასახადო ვალდებულება. მასში სხვაგვარი ქონებრივი ვალდებულება იგულისხმება, როგორცაა ვალდებულება, რაც წარმოსდგება სესხისგან, იჯარისგან, ქირავნობიდან, ასევე საბიუჯეტო ვალდებულება და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სსკ 205¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ემთხვევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობას ნაწილს - ქონებაზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. საქმე ისაა, რომ სსკ 205¹ მუხლის სუბიექტი დებს მოჩვენებით ან თვალთმაქცურ გარიგებას,⁴⁰⁵ რითიც ქმნის იმის იმიტაციას, თითქოს ეს ქონება უკვე არ იმყოფება მის საკუთრებაში. ამდენად, მალავს ქონებაზე საკუთრების უფლებას.

ამდენად, აუცილებელია მათი გამიჯვნა:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საერთო დელიქტია, სადაც მუხლის პირველი ნაწილის სუბიექტია სს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული,

⁴⁰³ იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 660.

⁴⁰⁴ უფრო დეტალურად იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 622-623.

⁴⁰⁵ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების შესახებ, იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 56-ე.

ბრალუნარიანი პირი. სპეციალური სუბიექტი მხოლოდ სსკ 194-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებაშია გათვალისწინებული. რაც შეეხება სსკ 205¹ მუხლს, როგორც აღინიშნა, მისი სუბიექტი სპეციალურია;

2. სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი აუცილებლად უკანონო ან/და დაუსაბუთებელი შემოსავალია, ხოლო სსკ 205¹ მუხლით გათვალისწინებული ქონება კანონიერი, ლეგალური შემოსავალია, რომელსაც მაღავენ;

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას უკანონო ქონებაზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული უფლების დამალვა ან შენიღბვა ემსახურება ამ ქონების ლეგალიზაციას, რათა შესაძლებელი გახდეს შემდგომში მისი დაუბრკოლებრივი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში.

რაც შეეხება სსკ 205¹ მუხლს, აქ კანონიერი ქონების დამალვა ემსახურება იმას, რომ თავი აარიდონ მოსალოდნელ ან/და უკვე არსებულ ქონებრივ ვალდებულებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონების დამალვა ემსახურება იმას, რომ ეს ქონება არ იქნეს გამოყენებული ქონებრივი ვალდებულების დასაფარად. შესაბამისად, მატერიალურად ვალდებული პირის მიზანია, როგორმე შეინარჩუნოს ეს ქონება.

როგორც ვხედავთ, ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან ქმედების მიზნითაც განსხვავდება.

მაგალითი: ერთ-ერთ შპს-ს სახელმწიფოსგან აღებული ჰქონდა მიზნობრივი კრედიტი, რომლის მთლიანად დაფარვის დროც ახლოვდებოდა. შპს-ს კრედიტის მხოლოდ ნაწილი ჰქონდა დაფარული. შპს-ს ხელმძღვანელმა (გიორგიმ) გადაწყვიტა, არ გადაეხადა დარჩენილი თანხა, თუმცა იცოდა, რომ კრედიტორის ვალის დასაფარად გამოყენებული იქნებოდა ამ შპს-ს ფონდებში არსებული ქონება. იმისათვის, რომ თავი აერიდებინა მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის, შპს-ს ხელმძღვანელმა მის მეგობარ მეწარმესთან დადო გარიგება, რომლის ძალითაც შპს-ს მთელი უძრავი ქონება ვითომც გაიყიდა, ხოლო მიღებული თანხით გიორგიმ ვითომც შპს-ს სხვა ვალები გადაიხადა.

სახეზეა სსკ 205¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

8.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით (სსკ 218-ე მ. მე-3 ნაწ.)

ფინანსური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდებისათვის (218-ე მ.), რომლის შემადგენლობა ნაწილობრივ ემთხვევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტურ შემადგენლობას. კერძოდ, სსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებისათვის გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით.⁴⁰⁶

რაც შეეხება თავად გადასახადისათვის თავის არიდების ძირითად შემადგენლობას (სსკ 218-ე მ. პირველი ნაწ.), ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ქონების გასხვისებას, არამედ კანონიერად მოპოვებული შემოსავლის (მაგ., ფულის) დამალვას, რათა ამ გზით პირმა თავი აარიდოს კანონით დადგენილი გადასახადის გადახდას.

ამდენად, საქართველოს საკანონმდებლო რეალობაში მიუღებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კანონიერად მოპოვებული ფულის დამალვა, რათა თავიდან იქნას აცილებული დაბეგვრა, ასევე ფულის გათეთრებაა.⁴⁰⁷

ამასთან, სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ გადასახადებისგან თავის არიდება არ წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და შეკავების რეჟიმის საფუძველს, მაგრამ ის სულ უფრო მეტად არის ერთ – ერთი მთავარი სფერო, სადაც ასეთი კანონმდებლობა გამოიყენება. ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების სათანადო გულდასმით გააზრება, მონიტორინგი და ანგარიშგება, პერსონალის ტრენინგი შესაბამისი პროცედურების გამოყენებით, ყოველთვის საუკეთესო დაცვაა ნებისმიერი იურისდიქციისათვის.⁴⁰⁸

⁴⁰⁶ სსკ 218-ე მუხლის არსზე იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სსხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 238-242.

⁴⁰⁷ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. p. 2.

⁴⁰⁸ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 13.

რაც შეეხება სსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილთან დაკავშირებულ საკითხს, მისაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, თუ გადასახადის გადამხდელს აქვს ბიუჯეტის დავალიანება და სავარაუდოდ შემოსავლების სამსახური მისი ქონებიდან განახორციელებს ამოღებას, შესაძლებელია, მან ეს ქონება გაასხვისოს, რათა თავი აარიდოს გადასახადის გადახდას. გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით, არ არის გამორიცხული ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება ცრუმაგიერ პირებზე.⁴⁰⁹ როგორც ვხედავთ, ცრუმაგიერ პირზე ქონების გასხვისების ნაწილში სსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილი ემსგავსება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური მხარის იმ ნაწილს, როგორცაა ქონების გადაცემა ან სხვა მოქმედება (მაგ., გაყიდვა).

მხედველობაშია მისაღები ის შემთხვევა, როცა გადამხდელი ჯერ არაა გადახდისუუნარო და სწორედ იმიტომ ასხვისებს ქონებას ან მის ნაწილს, რომ გადახდისუუნარო გახდეს და შეუძლებელი შეიქმნას მისგან დავალიანების ამოღება.⁴¹⁰ ამდენად, ადგილი აქვს ქონების გასხვისებას, რაც შეიძლება იყოს როგორც ნამდვილი, ისე მოჩვენებითი (ფიქტიური). ეს უკანასკნელი შემთხვევა ემთხვევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტურ შემადგენლობის იმ ნაწილს, რასაც ჰქვია ქონებაზე საკუთრების უფლების დაფარვა ან შენიღბვა. ამდენად, საჭიროა მათი ურთიერთგამიჯვნა:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საერთო დელიქტია, რომლის სუბიექტია სს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, ბრალუწარიანი პირი. რაც შეეხება სსკ 218-ე მუხლს, იგი ვალდებულებითი დელიქტია,⁴¹¹ რომლის სუბიექტია პირი, ვისაც ევალება კანონით დადგენილი გადასახადების გადახდა;
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება. რაც შეეხება სსკ 218-ე მუხლს, აქ დანაშაულის საგანია ის კანონიერი ქონება, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს გადასახადების გადახდისათვის;
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას უკანონო ქონებაზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული უფლების დამალვა ან შენიღბვა, ქონების გადაცემა ან

⁴⁰⁹ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. მაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 242.

⁴¹⁰ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

⁴¹¹ ვალდებულებითი დელიქტის შესახებ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 156- 157.

სხვა მოქმედება (მაგ., ქონების გაყიდვა) ემსახურება ამ (ანუ „ჭუჭყიანი“) ქონების ლეგალიზაციას, რათა შესაძლებელი გახდეს მისი დაუბრკოლებრივი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში.

რაც შეეხება სსკ 218-ე მუხლს, აქ კანონიერი ქონების დამალვა (რაც მის გასხვისებაში გამოიხატა) ემსახურება გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონების დამალვა ემსახურება იმას, რომ ეს ქონება არ იქნეს გამოყენებული გადასახადების გადახდისას. შესაბამისად, მატერიალურად ვალდებული პირის მიზანია, როგორმე არ გაიხარჯოს ეს ქონება გადასახადების გადახდაში.

მაგალითი: სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა (დავითმა) გადაწყვიტა, თავი აერიდებინა ქონების გადასახადის გადახდისაგან. ამასთან მან იცოდა, რომ ქონების გადასახადი გამოიანგარიშებოდა ამ სააქციო საზოგადოების ფონდებში არსებული ქონების ღირებულებიდან. იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც აერიდებინა თავი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისთვის, დავითმა „თადარიგი დაიჭირა“. კერძოდ, მის მეგობარ მეწარმესთან დადო გარიგება, რომლის ძალითაც მისი (დავითის) საზოგადოების უძრავი ქონების დიდი ნაწილი ვითომც გაიყიდა, ხოლო მიღებული თანხით დავითმა ვითომც სააქციო საზოგადოების სხვა ვალეები გადაიხადა.

სახეზეა სსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

8.5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა არაპირდაპირ ჩადენილი მექრთამეობისაგან

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ნებისმიერ ისეთ განზარბ დანაშაულთან, რომლითაც დამნაშავის ქონება უკანონო ზრდას ექვემდებარება. მათ შორისაა მექრთამეობაც (ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა).⁴¹²

⁴¹² ქრთამის აღების საკითხზე იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 388-406.

ცნობილია, რომ კორუფციის გზით მიღებული ქონების ლეგალიზაციისათვის ხშირად ადგილი აქვს ფინანსური სისტემის ბოროტად გამოყენებას.

კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტები შეიძლება გამოყენებულ იქნას კორუფციის შედეგად მიღებული თანხების გათეთრებისთვის. მაგალითად:

- მომხმარებელი, რომელიც აგროვებს სახსრებს ქრთამის გადახდის მიზნით და ამისათვის იყენებს ფინანსურ ინსტიტუტს (როგორც წესი, კერძო სექტორს);
- ქრთამის ამღები ქრთამის სახით მიღებული თანხის ფინანსურ სისტემაში განთავსებას.⁴¹³

ჩვენი განხილვის საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა ქრთამის საგნის (როგორც უკანონო შემოსავლის) ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი, არამედ საკითხი, თუ როგორ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან არაპირდაპირ ჩადენილი მექრთამეობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

საერთოდ, აღიარებულია, რომ კორუფცია და ფულის გათეთრება ერთორულად წარმოიშვება, მაგრამ, რაც მთავარია, ერთის (კორუფციის) არსებობა ქმნის და შესაბამისად აძლიერებს მეორეს (ფულის გათეთრების) არსებობის შესაძლებლობას. კორუფცია წარმოქმნის შემოსავალს, რომელიც უნდა იყოს გათეთრებული.⁴¹⁴

ქრთამის აღება (ისევე როგორც ქრთამის მიცემა) შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ, ანუ შენიღბულად.⁴¹⁵ როცა ქრთამის აღებას ადგილი აქვს არაპირდაპირ, ამ დროს არსებობს საფრთხე, ჩადენილი ქმედება სამართალშემფარდებლის მიერ დაკვალიფიცირდეს არა ქრთამის აღებად, არამედ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად.⁴¹⁶

⁴¹³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 120.

⁴¹⁴ შეად. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011, p. 14.

⁴¹⁵ პირდაპირ და არაპირდაპირ ჩადენილი ქრთამის აღების საკითხზე იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020, გვ. 392-393.

⁴¹⁶ სასამართლო პრაქტიკაში არის არაერთი შემთხვევა, როცა შენიღბულად ჩადენილი ქონებრივი ხასიათის დანაშაული (მაგ., მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დაკვალიფიცირებულა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (ამ საკითხზე დატალურადაა საუბარი წინამდებარე ნაშრომის ცალკე თავში - სასამართლო პრაქტიკის ანალიზი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე).

განვიხილოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე: პროკურორმა გაგნიძის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა პასიური კომერციული მოსყიდვისა (სსკ 221-ე მ. მე-3 ნაწ.) და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მითვისების ბრალდებით (სსკ 182-ე მ. მე-2 ნაწ. „დ“ ქვ. და მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.).⁴¹⁷

გაგნიძემ სთხოვა პროკურორს, დაედო მასთან საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში ეშუამდგომლა დანიშნული სასჯელის მთლიანად პირობით ჩათვლაზე.

პროკურორი იმ პირობით დაპირდა გაგნიძეს ამგვარი შინაარსის საპროცესო შეთანხმების დადებას, თუკი გაგნიძე 1 000 000 ლარს გადარიცხავდა მის მიერ მითითებული შპს-ს ანგარიშზე. ამასთან, ყველაფერი ეს გაფორმდებოდა, როგორც ვითომც ამ შპს-ს მიერ გაგნიძისათვის გაწეული მომსახურების საფასური.

გაგნიძე დათანხმდა. მან მართლაც გადარიცხა 1 000 000 ლარი პროკურორის მიერ მითითებული შპს-ს ანგარიშზე, როგორც ვითომც გაწეული სამსახურის საფასური. აღნიშნული შპს დაფუძნდა პროკურორის სანდო პირის სახელზე და იმავე დღეს მოხდა თანხის გადარიცხვა მის ანგარიშზე. ამასთან თანხის გადარიცხვისთანავე აღნიშნული შპს ლიკვიდირებულ იქნა.

პროკურორმა შეასრულა დანაპირები და დადო ბრალდებულთან შესაბამისი საპროცესო შეთანხმება.

როგორც ვხედავთ, პროკურორსა და ბრალდებულს შორის შედგა შემდეგი გარიგება: პროკურორმა ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო კიდევ ფული - 1 000 000 ლარი იმის სანაცვლოდ, რომ მან თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის (ბრალდებულის) სასარგებლოდ განახორციელოს ქმედება. კერძოდ, დაუდოს ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება და იშუამდგომლოს სასამართლოში დანიშნული სასჯელის მთლიანად პირობით ჩათვლაზე.

ამასთან მან ქრთამის საგანი პირდაპირ კი არ აიღო, არამედ აიღო იგი არაპირდაპირ - შენიღბულად. ფორმალურად არ ჩანს, რომ ეს თანხა პროკურორმა მიიღო, რადგან იგი ჩარიცხულია რომელიღაც შპს-ს ანგარიშზე, როგორც გაწეული მომსახურების საფასური. ამასთან, შპს-ს დამფუძნებელი არაა თავად პროკურორი ან მისი ნათესავი,

⁴¹⁷ კომერციული მოსყიდვის (სსკ 221-ე მ.) საკითხზე იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 252-256.

თუ ოჯახის წევრი. მართალია, შპს-ს დამფუძნებელი პროკურორისთვის სანდო პირია, მაგრამ ამის დადასტურება ძალზე ძნელია. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს ქრთამის აღებას შენიღბული ფორმით და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რადგან:

ა) როდესაც ბრალდებულს მოსთხოვა თანხის გადარიცხვა მის მიერ მითითებულ შპს-ს ანგარიშზე, პროკურორის მიზანი იყო ქრთამის აღება და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - მას ჯერ არანაირი შემოსავალი (არც კანონიერი და არც უკანონო) არ ჰქონდა;

ბ) ამასთან, მას სურდა, ეს თანხა ქრთამის სახით ისეთი ფორმით (შენიღბულად) აეღო, რომ მისი იმწუთიერი თუ სამომავლო მხილება შეუძლებელი ყოფილიყო (მას ფაქტზე ვერ გამოიჭერდნენ);

გ) შესაბამისად, შპს-ს ანგარიშზე ფულის, როგორც თითქოს მომსახურების საფასურის გადარიცხვა ემსახურებოდა პროკურორის მოქრთამვას და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას (ეს ფული არაა მოპოვებული წინარე უკანონო ქმედებით);

დ) დაბოლოს, თანხა, რაც პროკურორის მოთხოვნით ბრალდებულმა გადარიცხა შპს-ს ანგარიშზე, არ ყოფილა „ჭუჭყიანი“ (არაა მოპოვებული კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან არაა დაუსაბუთებელი), რომლის გათეთრებასაც ესწრაფვოდა პროკურორი ან თავად ბრალდებული. ეს თანხა მხოლოდ ქრთამის სახით აღების შემდეგ ხდება „ჭუჭყიანი“.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს საფრთხე, ამგვარი შემთხვევა დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. საამისოდ კი გამოყენებულ იქნეს შემდეგი „არგუმენტი“:

„პროკურორმა მის მიერ სახელდახელოდ შექმნილ შპს-ში ბრალდებულის ხელით ფულის ჩარიცხვის გზით დამალა და შენიღბა ამ ქონების ნამდვილი ბუნება, მისი წარმოშობის წყარო და მასზე საკუთრების უფლება, რითაც მოახდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“.

სინამდვილეში კი, პროკურორის ქმედებაში სახეზეა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის არაპირდაპირ აღება (სსკ 338-ე მ. მე-3 ნაწ. „ე“ ქვ.).⁴¹⁸ შესაბამისად,

⁴¹⁸ პროკურორის ქმედებაში ქრთამის აღებასთან ერთად თუ არის სახეზე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაც (332-ე მ.), ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კანონიერი იყო ის საპროცესო შეთანხმება, რაც დადებულ იქნა ბრალდებულთან,

ბრალდებულის ქმედებაში სახეზეა არაპირდაპირი სახით ქრთამის მიცემა (სსკ 339-ე მ.).

8.6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (სსკ 194-ე მ.) კავშირი სისხლის სამართლის კოდექსის 202¹ მუხლთან

მართალია, საქართველოს სსკ 202¹ მუხლი არაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლინების შემთხვევა, ამასთან იგი თავისი შემადგენლობითაც არ ემსგავსება მას, მაგრამ პირდაპირ კავშირშია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებთან.

შესაბამისად, აღნიშვნის ღირსია ბოლოდროინდელი (2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი) საკანონმდებლო ცვლილება, რაც გატარდა სსკ 202¹ მუხლთან დაკავშირებით, რითაც დაწესებულია სს-ვი პასუხისმგებლობა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით.

გაეროს 2000 წლის კონვენციის, ასევე სხვა საერთაშორისო კონვენციების არსიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეა მიღებული საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაადგინოს ქვეყნის შიდა რეგულაციისა და ზედამხედველობის ეფექტური რეჟიმი იმ ორგანოების (მაგ., ბანკი ან სხვა საფინანსო დაწესებულება) მიმართ, რომლებიც ფულის გათეთრების თვალსაზრისით შედარებით დაუცველნი არიან. კერძოდ, ანგარიშვალდებულ პირს, მის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს ეკრძალებათ, აცნობონ კლიენტს ან სხვა პირს, რომ ამ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად განხორციელდება ან ხორციელდება ღონისძიებები უჩვეულო გარიგების შესწავლის ან/და საექვო გარიგების გამოვლენის მიზნით ან ამავე კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე სამსახურს წარედგინება ან წარედგინა ანგარიშგება ან სხვა ინფორმაცია (დოკუმენტი) ან განხორციელდება ან ხორციელდება ამავე კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრული ღონისძიებები.⁴¹⁹

⁴¹⁹ იხ. საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, 28-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სსკ 2021¹ მუხლით განსაზღვრულია სს-ვი პასუხისმგებლობა რამდენიმე ალტერნატიული ქმედებისათვის, რაც საფრთხეს უქმნის ფულის გათეთრებასთან სამართლებრივი ბრძოლის ეფექტურობას. მუხლი წარმოდგენილია ფორმალური დანაშაულის სახით - იგი დამთავრებულია მასში მითითებული ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე და შედეგის დადგომას არა აქვს მნიშვნელობა. თუ ქმედებამ გამოიწვია მძიმე შედეგი, იგი გვაძლევს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელი გარემოების შემადგენლობას.

დანაშაულის ამსრულებელი - სახეზეა სპეციალური სუბიექტი, კერძოდ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ან ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელი ან თანამშრომელი.

ქმედება - ზემოთხსენებულ პირთა მიერ: ა) საეჭვო გარიგების მომზადების, დადების შესრულების, დადების მცდელობის ან შესრულების მცდელობის შესახებ ინფორმაციის გახმაურება; ბ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოსათვის მიწოდების ფაქტის გახმაურება; გ) გარიგების ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის) მითითების გახმაურება.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლით იკრძალება ისეთი მონაცემების და ინფორმაციის გახმაურება, რამაც შესაძლოა, დიდი ალბათობით, ხელი შეუშალოს ფულის გათეთრების პროცესის გამომჟღავნებას ან/და მის აღკვეთას.

გახმაურებაში იგულისხმება ამ ინფორმაციის შეტყობინება როგორც იმ პირზე, ვისზეც უკვე ეჭვია გაჩენილი, ასევე ნებისმიერ სხვა პირზე, ვისგანაც ინფორმაცია, შესაძლოა, სწრაფად გავრცელდეს. ამდენად, სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.

საქმე ისაა, რომ თუკი საეჭვო გარიგების მონაწილე შეიტყობს, რომ მასზე უკვე ეჭვია მიტანილი, იგი შეიძლება „გაქრეს თვალთახედვის არედან“ ისე, რომ შეუძლებელი გახდეს მისი გამოვლენა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა (ან დიდი ძალისხმევა დასჭირდეს ამას). ამიტომაც, რომ შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს შიდა

რეგულაციით ევალებათ, არა თუ არ აცნობონ საექვო გარიგების მონაწილეს, რომ მასზე უკვე ექვია მიტანილი, არამედ მოიქცნენ ისე, რომ არ აგრძნობინონ ეს მას.⁴²⁰

სუბიექტური მხრივ მოტივსა და მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. იგი შეიძლება იყოს საკუთარი თავის წარმოჩენა, სხვა პირთან ნდობის მოპოვების ყალბად გაგებული ინტერესი და სხვ.

დანაშაული განზრახბა. კერძოდ, სახეზეა პირდაპირი განზრახბა - სპეციალურ სუბიექტს გაცნობიერებული აქვს, რომ მან გარეშე პირს აცნობა ინფორმაცია, რაც კონფიდენციალურია და სურს ეს. ვინაიდან სახეზეა ფორმალური შემადგენლობის დელიქტი, მნიშვნელობა არა აქვს, რა დამოკიდებულება ჰქონდა ქმედების ამსრულებელს იმ შედეგისადმი, რაც შესაძლოა, მოჰყოლოდა ამ ინფორმაციის გახმაურებას - სურდა თუ არა ამ შედეგის (მნიშვნელოვანი ზიანის) დადგომა.

თუკი ზემოთმითითებული სპეციალური სუბიექტი წინასწარაა შეთანხმებული საექვო გარიგების მონაწილესთან, რომ შეატყობინებს მის მიმართ გაჩენილი ექვის შესახებ ინფორმაციას, მაშინ ამ ქმედების ჩადენით იგი უკვე ხდება თანამონაწილე იმ დანაშაულისა, რაც ჩადენილია ან რის ჩადენასაც ცდილობდა საექვო გარიგების მონაწილე პირი. მაგალითად, სახეზე იქნება თანამონაწილეობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში - 25, 194-ე მ. (განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში - სსკ 23-ე მ.).

განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილით ქმედება დაკვალიფიცირდება მაშინ, თუკი ამ ინფორმაციის გახმაურებამ შეუძლებელი გახადა საქმეზე სიმართლის დადგენა და პირთა გამოვლენა. ანდა საამისოდ დაიხარჯა დიდი დრო და რესურსი.

9. თანამონაწილეობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავი მოიცავს როგორც დანაშაულის ამსრულებლობას, ისე დანაშაულში თანამონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კანონმდებელი ერთმანეთისგან მიჯნავს ამსრულებელსა და თანამონაწილეს. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა არ იზიარებს ერთამსრულებლობის თეორიას, რომლის მიხედვით, ვინც კი რამენაირად დაკავშირებულია დანაშაულთან და ხელს უწყობს მის

⁴²⁰ ამ საკითხზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გენეზისი, ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები.

ჩადენას, ამსრულებელია, მიუხედავად იმისა, თუ რა ქმედება განახორციელა მან – მიიღო თუ არა უშუალო მონაწილეობა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში.⁴²¹ ჩვენი კანონმდებლობა იზიარებს თანამონაწილეობის დუალისტურ თეორიას.

დოქტრინაში განასხვავებენ თანამონაწილეობის ორ გაგებას: თანამონაწილეობას **ვიწრო გაგებით** და თანამონაწილეობას **ფართო გაგებით**.⁴²²

ფართო გაგებით თანამონაწილეობაში თანამონაწილესთან ერთად ამსრულებელიც იგულისხმება. შესაბამისად, საუბარია ისეთ დანაშაულზე, სადაც ამსრულებელთან ერთად თანამონაწილეს ფიგურირებს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, ფართო გაგებით თანამონაწილეობაში იგულისხმება როგორც თანამონაწილენი (მაგ., ორგანიზატორი), ისე ამსრულებელიც.⁴²³

ვიწრო გაგებით თანამონაწილეობაში იგულისხმება მხოლოდ თანამონაწილეები (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე), მასში ამსრულებელი არ იგულისხმება. შესაბამისად, **ვიწრო გაგებით** თანამონაწილეობისას, თანამონაწილე არ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ სხვაგვარად განაპირობებს დანაშაულის ჩადენას. ამდენად, მასში არ შედის ამსრულებელი, ანუ პირი, რომელიც საკუთარი ხელითა და გონებით ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ამჟამად ჩვენ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გვინტერესებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეობის საკითხი ვიწრო გაგებით - ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას არ შეგვხვედრია საქმე, სადაც სსკ 194-ე მუხლთან მიმართებაში ამსრულებელთან ერთად თანამონაწილეს ფიგურირებდეს. ამდენად, ამ საკითხის განხილვისას უნდა დავეყრდნოთ ლიტერატურულ მაგალითებს.

⁴²¹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 136-137; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 324.

⁴²² იხ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 397; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 138-140.

⁴²³ იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., შესავალი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, დანაშაული, (ლექციების კურსი), <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/mchedlishvili-samartali.pdf>, 2020-2021, გვ. 228.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში თანამონაწილეობის საკითხი დგება მაშინ, როცა საქმეში მონაწილე პირი საკუთარი ხელითა და გონებით არ ასრულებს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნაწილს, მაგრამ სხვაგვარად უწყობს ხელს ამსრულებელს ამ დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობა შეიძლება გამოვლინდეს მისი სამივე სახით.

ორგანიზატორი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ორგანიზატორი შეიძლება იყოს პირი, რომელმაც ან მოაწყო ეს დანაშაული, ან ხელმძღვანელობდა მას, ან შექმნა ორგანიზებული ჯგუფი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განსახორციელებლად, ან ხელმძღვანელობდა ასეთ ჯგუფს.⁴²⁴

მაგალითი: პირთა ჯგუფმა (დავითმა, გიორგიმ და ვაჟამ) გადაწყვიტა, ლეგალიზაცია გაუკეთონ მათ მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სოლიდურ თანხას, რათა დაიწყონ სამეწარმეო საქმიანობა. მათ მიმართეს ირაკლის და სთხოვეს, მოეფიქრებინა და მიეწოდებინა მათთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისეთი სქემა, რომლის ანალოგი პრაქტიკაში ჯერ არ იყო გამოვლენილი.

ირაკლიმ მართლაც მოიფიქრა სრულიად ახალი, პრაქტიკისათვის უცნობი სქემა, რომლის გამოყენებისას ეს პირები არ მიიქცევდნენ სამართალდამცველთა ყურადღებას. კერძოდ, სქემაში დეტალურად იყო გაწერილი, ვის, როდის, რა მოქმედება უნდა შეესრულებინა. ასევე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში. ირაკლის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით დავითმა, გიორგიმ და ვაჟამ „წარმატებით გაართვეს თავი“ მათ მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციას და დიდი ოდენობით შემოსავალიც მიიღეს (რა თქმა უნდა, ირაკლიმ სქემის შემუშავებისთანავე მიიღო შეპირებული ანაზღაურება).

ამ საქმეში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის უშუალო ამსრულებლები (თანამსრულებლები) არიან ის პირები (დავითი, გიორგი და ვაჟა), რომლებმაც

⁴²⁴ ორგანიზატორის არსზე იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 146-155; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 275-276; ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 419-422; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2013, გვ. 213-218; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 331-332; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლექტივი, რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 561-571.

უმუშალოდ, საკუთარი ხელითა და გონებით შეასრულეს⁴²⁵ სსკ 194-ე მუხლის ობიექტური მხარით გათვალისწინებული შემადგენლობა (მაგ., ქონების გადაცემა, შეძენა და ა.შ.).

რაც შეეხება ირაკლის, მას არ შეუსრულებლია ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი საკუთარი ხელითა და გონებით, მან მხოლოდ მოაწყო ამ დანაშაულის ჩადენა შესაბამისი სქემის მოფიქრებით და როლების განაწილებით. ამდენად, იგი არის თანამონაწილე (კერძოდ, ორგანიზატორი) ჯგუფურად ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (25, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ და მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).

ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილეს შეერაცხება ჩადენილი დანაშაულის ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოებები. მოცემულ მაგალითში ასეთია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად და რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ჯგუფურობაც და დანაშაულის გზით მიღებული სარგებლის ოდენობაც არის ის გარემოება, რაც ამაღლებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ანუ უმართლობის ხარისხს (და არა მხოლოდ ბრალის ხარისხს).⁴²⁶ შესაბამისად, სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესის მიხედვით, ამსრულებლის მხარეს არსებული ქმედებისთვის დამახასიათებელი ნიშანი შეერაცხება თანამონაწილესაც, თუკი იგი მას შეცნობილი ჰქონდა. ირაკლის შეცნობილი ჰქონდა ჯგუფის არსებობაც და ისიც, რომ მათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი უნდა მიეღოთ.

წამქეზებელი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას საქმეში თანამონაწილის სახით წამქეზებლის არსებობა პრაქტიკულად ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა გამორიცხული არაა.⁴²⁷ შესაძლებელია შემთხვევა, როცა აუცილებელი გახდა,

⁴²⁵ ამსრულებლობის არსზე იხ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 413; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 260-272; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლექტივი, რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 467-478.

⁴²⁶ ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების შესახებ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 477-480; ასევე თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 621-631.

⁴²⁷ წამქეზებლის არსზე იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 156-173; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 276-280; ნაჭყებია გ.,

დაიყოლიონ პირი ქონების ლეგალიზაციაში, რომელსაც არ სურდა ამ პროცესში მონაწილეობის მიღება.

მაგალითი: დავითმა ადამიანებით ვაჭრობით დიდძალი ქონება დააგროვა და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. მან მიმართა ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელს კოტეს, მისი ბანკის მეშვეობით მოეხდინა ქონების ლეგალიზაცია, მაგრამ უარი მიიღო. დავითმა ბანკის ხელმძღვანელ კოტესთან მისი მეგობარი ვანო მიაგზავნა, რომელმაც შეძლო კოტეს დარწმუნება, რომ „ღირდა ამ საქმეზე ხელის მოკიდება“. მართლაც, დავითმა ამ ბანკში გადარიცხა დანაშაულებრივი გზით დაგროვილი თანხა, ხოლო ბანკის ხელმძღვანელმა კოტემ მრავალჯერადი საბანკო ოპერაციის გზით შეძლო მისი ლეგალიზაცია.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებლები არიან როგორც წინარე დანაშაულის ჩამდენი დავითი (ქონების გადაცემა), ისე კოტე, რომელმაც განახორციელა სხვადასხვა საბანკო ოპერაცია (მაგ., ქონების კონვერსია, მისი გადაცემა სხვადასხვა ანგარიშებზე, გადაცემა ცრუმაგიერ პირებზე და ა.შ.).

რაც შეეხება ვანოს, იგი არაა ამ დანაშაულის ამსრულებელი, არამედ თანამონაწილეა. მას არ შეუსრულებია სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნაწილი უშუალოდ საკუთარი ხელითა და გონებით. მან სხვაგვარად შეუწყო ხელი ამ დანაშაულის ჩადენას. კერძოდ, შეასრულა წამქეზებლის ფუნქცია - დანაშაულის ჩადენაში დაიყოლია ბანკის ხელმძღვანელი, რომელსაც თავიდან არ სურდა მისი ჩადენა.

აქვე ისმის კითხვა: თუ შეერაცხება თანამონაწილე ვანოს მის მიერ დაყოლიებული პირის (კოტეს) მიერ ჩადენილი დანაშაულის ის დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა „ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“? საქმე ისაა, რომ ბანკის ხელმძღვანელის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სწორედაც რომ განხორციელდა მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.).

თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 422-424; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2013, გვ. 218-232; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 332; თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 571-574.

ვინაიდან სახეზეა სუბიექტური ნიშნით (ამსრულებლის სამსახურებრივი პოზიციით) დამძიმებული გარემოება,⁴²⁸ იგი წარმოადგენს სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პერსონალურ ნიშანს, რაც ამ შემთხვევაში ამსრულებლის პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი. შესაბამისად, იგი შეერაცხება მხოლოდ იმას, რომელსაც იგი ახასიათებს. ანუ შეერაცხება მხოლოდ ბანკის ხელმძღვანელ კოტეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ნიშანი არ შეერაცხება თანამონაწილე (წამქეზებელ) ვანოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანამდებობრივი მდგომარეობა მას შეცნობილი ჰქონდა (იცოდა, რომ ბანკის ხელმძღვანელი დაიყოლია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში).

დამხმარე - დამხმარის არსებობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას არაა უჩვეულო მოვლენა. იგი შეიძლება გამოვლინდეს როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური დახმარების სახით. ნაკლებად მოსალოდნელია ამ კატეგორიის საქმეში ფსიქიკური დამხმარის არსებობა, რომელიც მხოლოდ ამხნევეს ამსრულებელს.⁴²⁹ ინტელექტუალური დახმარება ამ დანაშაულთან მიმართებაში შეიძლება გამოვლინდეს ამსრულებლისათვის რჩევა-დარიგების მიცემაში, თუ რა საშუალების გამოყენებით სჯობს „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრება. ფიზიკური დახმარება შეიძლება გამოვლინდეს ამსრულებლისათვის რაიმე დაბრკოლების თავიდან აცილებაში და ა.შ.

მაგალითი: ვასომ და გოგამ იარაღის უკანონო ვაჭრობით დიდძალი ფული დააგროვეს და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტეს. მათ რჩევა ჰკითხეს მათ მეგობარ ნოდარს, რომელსაც „დიდი გამოცდილება ჰქონდა“ მსგავს საქმეებში. ნოდარმა ურჩია მათ, რომ ფულის „გათეთრებისათვის“ საუკეთესო საშუალება იყო კაზინოს (სამორინეს) გამოყენება და ისიც უთხრა, თუ რომელი კაზინოს წარმომადგენლისთვის უნდა მიემართათ (ინტელექტუალური დახმარება). ვასომ და გოგამ სთხოვეს, დაეკავშირებინა

⁴²⁸ სუბიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების შესახებ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 483-490; ასევე თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტ. კოლექტივი, რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 631-651.

⁴²⁹ დამხმარის სახეების შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 174-201; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 280-281; ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 424-426; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2013, გვ. 232-246; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 332.

ისინი ამ კაზინოს წარმომადგენელთან, რადგან თავად არ იცნობდნენ ამ პიროვნებას. ნოდარმა კაზინოს წარმომადგენელი ირაკლი გააცნო ვასოს და გოგას, როგორც „სანდო პირები“.

მათი გაცნობიდან დაახლოებით ერთ კვირაში, ვასო და გოგა შეთანხმდნენ ირაკლისთან და მისი კაზინოს მეშვეობით მოახერხეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის ლეგალიზაცია.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებლები არიან როგორც წინარე დანაშაულის ჩამდენი ვასო და გოგა, ისე კაზინოს წარმომადგენელი ირაკლი (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჯგუფურად). ამასთან, ირაკლი ამ დანაშაულს სჩადის კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებაში - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ქმედების კვალიფიკაციაში ასევე აისახება მიღებული შემოსავლის ოდენობა (ვთქვათ, განსაკუთრებით დიდი ოდენობა).

რაც შეეხება ნოდარს, იგი არაა ამ დანაშაულის თანამსრულებელი, რადგან საკუთარი ხელითა და გონებით არ შეუსრულებია სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი. მან მხოლოდ რჩევა მისცა ამსრულებლებს, ასევე ერთმანეთთან დააკავშირა თანამსრულებლები, რომლებმაც უშუალოდ ჩაიდინეს ეს დანაშაული შესაბამისი ქმედებებით - მაგალითად, ვასომ და გოგამ კაზინოში ფულის გადარიცხვით (ქონების გადაცემა), კაზინოს წარმომადგენელმა ამ ქონებით სარგებლობით და ა.შ.

ამდენად, ნოდარი არის დამხმარე (ინტელექტუალური და ფიზიკური). მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც თანამონაწილეობა ჯგუფურად ჩადენილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში - სსკ 25, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.

მას ასევე შეეხება მიღებული შემოსავლის ოდენობა, როგორც ასევე ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება (მაგ., რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.). რაც შეეხება ამსრულებლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, როგორც ამ დანაშაულის სუბიექტური (პერსონალური) ნიშნით დამძიმებულ გარემოებას, სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, თანამონაწილეს იგი არ შეეხება.

10. დანაშაულის სტადიები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას

საინტერესოა, როგორ ვლინდება დანაშაულის სტადიები (მომზადება და მცდელობა) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას? ეს საკითხი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური (შედეგარეშე) შემადგენლობის დელიქტია.⁴³⁰ ფორმალურ შემადგენლობებში პრობლემური არაა მომზადების საკითხი, არამედ მცდელობის საკითხია პრობლემური. ვინაიდან მომზადების დროს ადგილი აქვს პირობების განზრახ შექმნას დანაშაულის ჩასადენად, რაც დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის გარეთ დგას,⁴³¹ ამდენად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მატერიალური დანაშაულისათვის იქმნება პირობები, თუ ფორმალური დანაშაულისათვის (როგორცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია).

მაგალითი: ვასომ ნარკობიზნესის გზით დიდი შემოსავალი დააგროვა და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა. საამისოდ მან გამოძებნა „სანდო პარტნიორი“. კერძოდ, მოელაპარაკა ერთ-ერთი ბანკის წარმომადგენელს და შეუთანხმდა უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრების გზებზე. სანამ ვასო გადარიცხავდა ამ თანხას შესაბამის ბანკში, იგი მხილებულ იქნა.

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადება - ვასომ გამოძებნა შესაბამისი ბანკი, ასევე მისი წარმომადგენელი, მოელაპარაკა მას და ლეგალიზაციისათვის საჭირო ხერხებზეც შეთანხმდნენ. ყველა ეს ქმედება სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის გარეთ დგას. იგი მხოლოდ პირობებს ქმნის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. ამ დანაშაულის მომზადებისათვის (18, 194-ე მ.) პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ ვასომ (წინარე დანაშაულის ამრულებელმა), არამედ ასევე ბანკის წარმომადგენელმაც.

მეორე მაგალითი: ვასომ, გეგამ და თორნიკემ იარაღის უკანონო ვაჭრობით დიდძალი ფული დააგროვეს და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტეს. საამისოდ მათ გამოძებნეს ქვეყანა, სადაც მოქმედებდა ლიბერალური ფისკალური პოლიტიკა. ამ ქვეყანაში

⁴³⁰ ფორმალური დელიქტების არსზე იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. თბ. 2007, გვ. 171-176; ტყეშელიძე გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2007, გვ. 120-122; მჭედლიძევილი-ჰედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 136-137.

⁴³¹ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 454-456.

გამომეზნეს ძვირადღირებული უძრავი ნივთებიც, მოელაპარაკნენ ამ ნივთების მესაკუთრეს და თანხაზეც შეთანხმდნენ. ასევე დასახეს გეგმა, თუ შეძენიდან რა ვადაში უნდა გაეყიდათ ეს ნივთები, რომელი ქვეყნის ბანკში შეეტანათ აღებული ფული და ვის ანგარიშზე შეეტანათ იგი. შეთანხმებისამებრ, თითოეულ მათგანს უშუალოდ უნდა განეხორციელებინა ეს ქმედებები (ქონების შეძენა, მისი ფლობა, გაყიდვა, ქონების გადაცემა და ა.შ.).

სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადება, რომელშიც ჩართულია სამივე პირი.⁴³²

ისმის კითხვა: თუ შეიძლება ამ პირთა ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადება, ჩადენილი ჯგუფურად (სსსკ 18, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.)?

დოქტრინაში თითქმის დაუმუშავებელია საკითხი, შესაძლებელია თუ არა მომზადების სტადიაზე ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად?

ამდენად, დგას საკითხი თანამონაწილეობის (როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით) შესაძლებლობის შესახებ დანაშაულის მომზადების სტადიაზე.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ან მისი მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილე არ არსებობს.⁴³³ ამ მოსაზრების სასარგებლოდ უდავოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მომზადების სტადიაზე მხოლოდ სავარაუდოა, ამ სტადიაში მონაწილე პირთაგან, რამდენი მათგანი (მხოლოდ ერთი, თუ რამდენიმე) მიიღებს უშუალო მონაწილეობას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში.⁴³⁴

გამომდინარე აქედან, ჩვენს მიერ განსახილველ მაგალითში ვასოს, გეგას და თორნიკეს ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადება, ჩადენილი ჯგუფურად (18, 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ.), რადგან არავინ უწყის, სინამდვილეში სამივე მათგანი მიიღებდა უშუალო მონაწილეობას მის ჩადენაში, თუ მხოლოდ ერთი - წინასწარი შეთანხმება იმაზე, რომ სამივემ უშუალოდ განახორციელოს

⁴³² დეტალურად დანაშაულის მომზადების შესახებ, იხ. ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, კომენტარი (დანაშაული), რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 402-416;

⁴³³ იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 408.

⁴³⁴ უფრო დეტალურად იხ. თოდუა ნ., დასახ. კომენტარში, გვ. 470-471.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, არაა ჯგუფურად მისი ჩადენის უტყუარი მტკიცებულება, იგი საამისო დასკვნისათვის მხოლოდ ვარაუდის საფუძველია.

როგორც აღინიშნა, ფორმალურ დანაშაულში **პრობლემურია მცდელობის საკითხი**. საქმე ისაა, რომ ფორმალურ შემადგენლობებში ქმედების ჩადენისთანავე დანაშაული იურიდიულად დამთავრებულია, ხოლო სანამ ქმედება არ იქნება ჩადენილი, მანამდე მხოლოდ დანაშაულის მომზადებაზე შეიძლება საუბარი. მიუხედავად ამისა, დოქტრინაში აღიარებულია, რომ ზოგჯერ ფორმალურ შემადგენლობის დანაშაულში შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მცდელობას. ესაა ისეთი ფორმალური დანაშაული, რომელიც რამდენიმე აქტიანია.⁴³⁵

ამდენად, უნდა გაირკვეს, თუ მიეკუთვნება სსკ 194-ე მუხლი რამდენიმე აქტიან ფორმალურ დანაშაულთა რიცხვს. ამისათვის უნდა გავარკვიოთ, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული თუნდაც ერთ-ერთი ქმედება (ანუ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილი მაინც) თუ წარმოადგენს ორაქტიანს. თუკი ეს ასეა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ახასიათებს მცდელობის სტადია. ყურადღებით თუ შევისწავლით ამ მუხლის ობიექტური მხარით გათვალისწინებულ ალტერნატიულ ქმედებებს, ვნახავთ, რომ ზოგიერთი მათგანი ორაქტიანი ქმედებაა. ასეთია მაგალითად, ქონების შეძენა, გადაცემა, ასევე სხვა მოქმედება (რომელშიც ქონების გაყიდვაც იგულისხმება). საქმე ისაა, რომ როგორც ქონების შეძენისას, ისე მისი გადაცემისას, ან გაყიდვისას მინიმუმ ორი აქტი უნდა შესრულდეს - ქონება რომ შეიძინო, იგი ვიღაცამ უნდა გადმოგცეს; ქონება რომ გადასცე სხვა პირს, მან იგი უნდა მიიღოს; ქონება რომ გაყიდო, იგი ვიღაცამ უნდა იყიდოს.

მაგალითი: კოტემ თაღლითობის გზით დიდი ოდენობით თანხა დააგროვა და მისი ლეგალიზაცია გადაწყვიტა სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მიზნით. ამ მიზნით, მან უძრავი ქონება გამოძებნა ისეთ ქვეყანაში, სადაც მოქმედებდა ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა. კოტე მოელაპარაკა უძრავი ქონების მესაკუთრეს და ფასზეც შეუთანხმდა. შეთანხმებისამებრ, ქონების შეძენამდე კოტემ მისი ღირებულების ნაწილი გადაურიცხა მესაკუთრეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი უნდა გადაერიცხა მას

⁴³⁵ ფორმალურ დანაშაულში მცდელობის საკითხზე იქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 92; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 378-379.

შემდეგ, რაც ქონების მესაკუთრე მას ამ ქონებას გადაუფორმებდა. საბოლოოდ, მან ვერ შეძლო ქონების შექმნა, რადგან ამ ეტაპზე ამხილეს.

როგორც ვხედავთ, კოტეს ქმედება უკვე გასცდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადების სტადიას მაშინ, როცა მან შესაძენი ქონების ღირებულების თუნდაც ნაწილი უკვე გადაურიცხა ქონების მესაკუთრეს. ეს ქმედება ქონების შექმნის მცდელობაა. იგი ქონების შექმნად ვერ შეფასდება, რადგან ქონება იურიდიულად ჯერ არაა გადასული კოტეს საკუთრებაში, იგი ჯერ კიდევ პირვანდელ მესაკუთრეს ეკუთვნის. ქონების შექმნა სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევაში, როცა კოტე (შემძენი) სრულად გადაუხდიდა ქონების ღირებულებას მეორე მხარეს (გამყიდველს) და ქონებას თავის სახელზე გადაიფორმებდა.

ვინაიდან სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობა ნაწილობრივ ორაქტიანი ქმედებებისაგანაც შედგება, სავსებით შესაძლებელია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას ადგილი ჰქონდეს დანაშაულის მცდელობას.

11. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას

ისმის კითხვა: როგორ გადაწყდება სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხი სსკ 194-ე მუხლის მიმართ მაშინ, როცა ამ მუხლით სს-ვი დევნის დაწყებისას ძირითადი (წინარე) დანაშაულისთვის უკვე გასული იყო სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა?

ამდენად, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: თუ მოახდენს ზეგავლენას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ის ფაქტი, რომ პრედიკატული დანაშაულისათვის უკვე გასულია ხანდაზმულობის ვადა?

ეს საკითხი დღის წესრიგში დგება იმდენად, რამდენადაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არაა ძირითადი დანაშაული, იგი დამოკიდებულია წინარე ქმედებაზე, რასაც პრედიკატულ (ძირითად) დანაშაულად მოიხსენებენ. ამდენად, რომ არ არსებობდეს პრედიკატული ქმედება, არ იარსებებდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

შესაბამისად, თუკი ძირითადი ქმედება უკვე ხანდაზმულია, ეს ფაქტი წარმოადგენს სს-ვი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს,⁴³⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი - სს-ვი დევნის დამაბრკოლებელ გარემოებას.⁴³⁷ ასეთ ვითარებაში **ისმის კითხვა**: რამდენად იქნება გამართლებული, სს-ვი პასუხისმგებლობა დავაკისროთ პირს არაძირითადი დანაშაულისათვის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის) თუნდაც მაშინაც, როცა ფორმალურად მის მიმართ არაა გასული ხანდაზმულობის ვადა?

დასმული კითხვის პასუხად უნდა ითქვას, რომ ძირითადი დანაშაულის ხანდაზმულობა არაა დაკავშირებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხანდაზმულობასთან, რადგან:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის არაა აუცილებელი, ჩადენილი იყოს პრედიკატული (ძირითადი) დანაშაული. შესაძლოა, ჩადენილი იყოს სხვა სახის სამართალდარღვევა (ადმინისტრაციული გადაცდომა);
2. უფრო მეტიც, შეიძლება საერთოდ ვერ დამტკიცდეს ვერანაირი წინარე სამართალდარღვევა. შეიძლება სახეზე იყოს დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც არავინ უწყის, კანონიერი გზითაა მოპოვებული, თუ უკანონოდ - პირი დოკუმენტურად ვერ ასაბუთებს მის კანონიერ წარმომავლობას. ამდენად, გამოდის, რომ სახეზეა საექვო წინარე ქმედება და საექვო ქონება;
3. წინარე ქმედებისა და უკანონო შემოსავლის სიბიექტები, შესაძლოა, სხვადასხვა პირები იყვნენ;
4. წინარე დანაშაული და ფულის გათეთრება სხვადასხვა ქმედებებში გამოიხატება, რომლებიც ჩადენილია სხვადასხვა დროს (წინარე ქმედება ყოვეთვის წინ უსწრებს ფულის გათეთრებას);
5. უფრო მეტიც, ეს ქმედებები, შესაძლოა, ჩადენილი იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც განსხვავებულად წყდება ხანდაზმულობის საკითხი;
6. შესაძლოა, წინარე დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიის იყოს, ვიდრე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (მაგალითად, თაღლითობისა და მითვისების ძირითადი შემადგენლობა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულია, ხოლო სსკ 194-ე მუხლის

⁴³⁶ სსკ 71-ე მუხლის არსზე იხ. ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თბ. 2019, გვ. 672-674; დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 159-166.

⁴³⁷ სსკ 105-ე მუხლის „ე“ ქვ-ისა და ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვ-ის არსზე იხ. აქუბარდია ი., წიგნში: საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწ. რედ. ფაფიაშვილი ლ., თბ. 2017, გვ. 43-44; 689.

ძირითადი შემადგენლობა მძიმე კატეგორიას ეკუთვნის); 7. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, როგორც წესი, ერთმანეთისგან განსხვავდება წინარე დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი. შესაბამისად, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნისაგან. სადაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოთავსებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ანდა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ (კერძოდ, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ) მიმართულ დანაშაულთა თავში დანაშაულის დაფარვის გვერდით, საქართველოს კანონმდებელმა ეს დანაშაული მოათავსა საქართველოს სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ კანონმდებელმა პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა სს-ვი დაცვის სწორედ ამ ობიექტს.

ფულის გათეთრება მოთავსებული რომ იყოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ან სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, მაშინ ლოგიკურად დადგებოდა საკითხი: რადგან ძირითადი (პრედიკატული) დანაშაულისთვის უკვე გასულია ხანდაზმულობის ვადა და პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სსკ 71-ე მუხლის საფუძველზე, რატომ არ გათავისუფლდეს იგი პასუხისმგებლობისაგან არაძირითადი დანაშაულისთვისაც (ფულის გათეთრებისთვის) მაშინაც კი, როცა ფორმალურად ამ დანაშაულისთვის არ გასულა ხანდაზმულობის ვადა?

ამდენად, შესაძლოა, წინარე დანაშაულმა დაკარგოს სამართლებრივი მნიშვნელობა სს-ვი დევნისა და სს-ვი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, რადგან გასულია ხანდაზმულობის ვადა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამაც დაკარგა სამართლებრივი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით, თუკი ამ ქმედებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე არაა გასული ხანდაზმულობის ვადა.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სოციალური საშიშროება არაა მიზნული პრედიკატული დანაშაულის სოციალურ საშიშროებაზე. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას „საკუთარი ავტონომია“ აქვს. შესაბამისად, მას არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ ფაქტობრივადაც აქვს საკუთარი ხანდაზმულობის ვადა.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში დასმულია საკითხი: როდესაც პირს ბრალი წარედგინება ფულის გათეთრების პრედიკატიული დანაშაულისთვის, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყოველთვის ასევე სახეზე უნდა იყოს ფულის გათეთრების ბრალდება?

არა. ფულის გათეთრება ცალკე, ავტონომიური დანაშაულია, ამიტომ ბრალდებას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად დანაშაულთან, აუცილებელი არაა, თან ახლდეს ფულის გათეთრების ბრალდება. გარდა ამისა, ფულის გათეთრების ბრალდება შეიძლება წარდგენილ იყოს მაშინაც, ეოცა ვინმე განზრახ ეხმარება ფულის გამთეთრებელს ან ტერორისტს, მიუხედავად იმისა, პირს, რომელიც ეხმარება ან ხელს უწყობს ფულის გამთეთრებელს, აქვს თუ არა ჩადენილი ძირითადი დანაშაული.⁴³⁸

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ასევეა გადაწყვეტილი უცხო ქვეყნების კანონმდებლობაშიც, მაგალითად, საფრანგეთის კანონმდებლობით, ქმედების ფულის გათეთრებით კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი, ძირითადი დანაშაულისათვის დაწყებული იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ საფრანგეთში ძირითადი დანაშაულის დევნა შეუძლებელია, მაგალითად, იმიტომ, რომ ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა.⁴³⁹

სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც შემოღებულ იქნას მსგავსი რეგულაცია. მაგალითად, შესაძლებელია, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნას დაემატოს მე-5 ნაწილი, რომელიც შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული:

„ამ მუხლის მიზნებისათვის, წინარე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ აბრკოლებს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას“.

⁴³⁸ Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, protiviti, 2014. p. 14.

⁴³⁹ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 76.

IV თავი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით

1.1. საკანონმდებლო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი

გერმანიამ წარმატებით შეასრულა 2008 წლის 13 აგვისტოს ევროკავშირის ფულის გათეთრების მესამე დირექტივა (Gesetz zur Ergänzung der Bekämpfung der Geldwäsche und der Terrorismusfinanzierung Geldwäschebekämpfungsergänzungsgesetz - GwBek-ErgG). ეს კანონი ამოქმედდა 2008 წლის 21 აგვისტოდან. ამასთან, გერმანიის კანონმდებლობაში 2011 წლის დეკემბერში გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური დანაშაულის რეგულირებაში, GwG (AML აქტი) შემოღებით.⁴⁴⁰ ევროკავშირის მიერ მიღებული ფულის ტრანსფერის შესახებ დადგენილებისა და ფულის გათეთრების შესახებ მეოთხე დირექტივის (დადგენილების) საფუძველზე, გერმანიის ბუნდესტაგმა 2017 წლის 23 ივნისის კანონით ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანა მთელი რიგი ცვლილება. მანამდე, 2016 წლის 19 დეკემბერს ბუნდესტაგმა მიიღო თანხმობის კანონი ევროპის საბჭოს 2005 წლის შეთანხმების საფუძველზე ფულის გათეთრების, დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ქონების გაყინვის, კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ.⁴⁴¹

Geldwäschereigesetz, ანუ ფულის გათეთრების აქტი, წარმოადგენს AML-ს შესაბამისობის მთავარ კანონმდებლობას. ფულის გათეთრების დანაშაულს მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსი.⁴⁴²

მოქმედი კანონმდებლობა

გერმანიის სსკ-ის 261-ე პარაგრაფით, პასუხისმგებლობა დაწესდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, კანონმდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს

⁴⁴⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 436.

⁴⁴¹ Vgl. Etwa die Abgabenordnung (AO), das Geldwäschegesetz (GWG) und das Kreditwesengesetz (KWG).

⁴⁴² Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 436.

წარმოადგენს კრიმინალების მიერ დანაშაულისგან მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის სამართლებრივი საშუალებების გაუმჯობესება.⁴⁴³

მას შემდეგ, სსკ 261-ე პარაგრაფი დაექვემდებარა რამდენიმე ცვლილებას, რომელთა უმეტესობა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა ფულის გათეთრების (ML) ძირითადი დანაშაულების ჩამონათვალის გაფართოებას, განსაკუთრებით ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულებზე. 2009 წლის აგვისტოში არსებითი ცვლილება განხორციელდა ახალი კანონის მიღებით სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველი სერიოზული ძალადობრივი ქმედებების მომზადებისათვის სს-ვი დევნის შესახებ (Gesetz zur Verfolgung der Vorbereitung von schweren staatsgefährdenden Gewalttaten, GVVG), ტერორიზმის დაფინანსების (TF) შემთხვევების წინასწარი დადგენის მიზნით. ეს ცვლილება ძალაში შევიდა 2009 წლის 5 აგვისტოს (ანუ FATF-ის მიერ დადგენილ ორთვიან ვადაში). წინა ცვლილება განხორციელდა 2008 წელს „ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის აქტით“ (GwBekErgG - Geldwäschebekämpfungsergänzungsgesetz), რომელიც მიზნად ისახავდა ევროპარლამენტის დირექტივის 2005/60/EC განხორციელებას. ცვლილება ძალაში შევიდა 2008 წლის 21 აგვისტოს.⁴⁴⁴

ამდენად, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ფულის გათეთრებისასთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სსკ 261-ე პარაგრაფში, რომელიც მოთავსებულია კოდექსის იმ თავში, რასაც ჰქვია დამნაშავის დამალვა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვა. ეს პარაგრაფი 10 ნაწილისა და შესაბამისი აზნაცებისაგან შედგება.⁴⁴⁵ 261-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით: ის, ვინც შენიღბავს ან დაფარავს საგანს, რაც მოპოვებულია ამ პარაგრაფის მე-2 შენიღვნაში მითითებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით, ანდა მალავს მის წარმოშობას, ხელს უშლის მისი წარმოშობის, ადგილმდებარეობის დადგენას, ან კონფისკაციას, ან ამოღებული ქონების შენახვას - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 თვიდან 5 წლამდე.

⁴⁴³ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.53.

⁴⁴⁴ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.53.

⁴⁴⁵ იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე თავი.

სუბიექტი - გერმანიაში მხოლოდ ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა არსებობს, თუ ასევე კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც?

მართალია, გერმანული სისხლის სამართალი ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. თუმცა, არსებობს დებულებები ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა აქტში (OWiG), რომლებიც კომპანიებს აკისრებენ ჯარიმებს, თუ დანაშაული ჩადენილია აღმასრულებელი თანამშრომლის მიერ და/ან თუ აღმასრულებელი თანამშრომელი არ ასრულებენ თავის საზედამხედველო ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულების პრევენციასთან (განყოფილება 30, 130 OWiG).⁴⁴⁶

261-ე პარაგრაფის შენიშვნის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის საფუძველზეც მოპოვებულია საგანი, წარმოადგენს როგორც დანაშაულები, ასევე შენიშვნაში მითითებული ის გადაცდომები, რისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია გერმანიის სს კოდექსით.

ამდენად, 261-ე პარაგრაფის მეორე აზრად განსაზღვრავს ფულის გათეთრების (ML-ის) პრედიკატულ დანაშაულებს, რომლებიც მოიცავს ნებისმიერ მძიმე დანაშაულს (Verbrechen) და ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ჩამოთვლილ რაოდენობას (Vergehen).⁴⁴⁷

შესაბამისად, იგი მოიცავს ყველას, გარდა FATF-ის მიერ განსაზღვრული ორი სახის დანაშაულისა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ „შიდა ვაჭრობა და ბაზრის მანიპულირება“ კრიმინალიზებულია, ამ კატეგორიის დანაშაულები არ წარმოადგენს ფულის გათეთრების (ML-ის) პრედიკატულ დანაშაულს.

ამასთან ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი შეეცდებიან, ამგვარი ქმედების ჩადენისას პირი თაღლითობაში დაადანაშაულონ (იმ პირობით, თუ ჩადენილ ქმედებაში თაღლითური ელემენტი არსებობდა).⁴⁴⁸

სსკ-ის 261 (1) პარაგრაფის მეორე წინადადების შესაბამისად, გადასახადებისაგან თავის არიდება ფისკალური კოდექსის (Abgabenordnung, AO) 370-ე პარაგრაფის მიხედვით, წარმოადგენს წინარე დანაშაულს ფულის გათეთრებისათვის, თუ იგი ჩადენილი იყო

⁴⁴⁶ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 84.

⁴⁴⁷ გერმანული ტერმინი „ვერგეჰენი“ აღნიშნავს დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით დადგენილი მინიმალური სასჯელი არის ჯარიმა ან ერთ წელზე ნაკლები თავისუფლების აღკვეთა.

⁴⁴⁸ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.55.

მოგების მიღების მიზნით ან ასეთი დანაშაულის უწყვეტივ ჩადენისათვის შექმნილი ბანდის წევრის მიერ.⁴⁴⁹

ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები კვალიფიცირდება როგორც პრედიკატიული დანაშაული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია უწყვეტად, როგორც კომერციული საქმიანობის ნაწილი:

გადასახადებისგან თავის არიდება; საკრედიტო ბარათების და ჩეკის ბარათების გაყალბება; სუტენიორობა; ადამიანებით ვაჭრობა; ადამიანის ექსპლუატაცია შრომით (მაგ. მონობა); ქურდობა, გამოძალვა; მოპარული საქონლის მიღება; თაღლითობა და მისი კონკრეტული სახეები; მითვისება; დოკუმენტების გაყალბება და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები, თამაშების არასანქცირებული ორგანიზება; ტოქსიკურ ნარჩენებთან, ან რადიოაქტიურ ან სხვა საშიშ ნივთიერებებთან არასანქცირებული ურთიერთობა; კომერციული აქტიური და პასიური მექრთამეობა, უცხოელთა უკანონო კონტრაბანდა; შიდა ვაჭრობის; ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულები, მაგ., საავტორო უფლებების დარღვევა.⁴⁵⁰

იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია ცხრილი წინარე დანაშაულებზე.⁴⁵¹

როგორც ვხედავთ, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, გერმანიის კანონმდებლობით დაუსაბუთებელი ქონება არაა ამ დანაშაულის საგანი. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს გადასახადის დამალვით მიღებული შემოსავალიც (261-ე პარაგრაფის მე-5 აბზ.).

გერმანიის სსკ-ის 261-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის საგანთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მასში არაა გამოყენებული ტერმინი „ქონება“. ამის ნაცვლად, გამოყენებულია ტერმინი „საგანი“ (Gegenstand), რომელიც არ არის განსაზღვრული გერმანიის კანონმდებლობით. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს ტერმინი კანონმდებელმა აირჩია ზუსტად იმიტომ, რომ ის არაა იურიდიულად განსაზღვრული და იმიტომაც, რომ ის გამიზნული იყო

⁴⁴⁹ საგულისხმოა, რომ გადასახადებისგან თავის არიდება ML-ის ძირითად დანაშაულად, სცილდება FATF-ის რეკომენდაციების მოთხოვნებს.

⁴⁵⁰ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 84.

⁴⁵¹ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.55-56.

ფართო განმარტებისთვის (აღნიშნავს „რაც ეკონომიკურ ღირებულებას“). აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ტერმინი მოიცავს „ნებისმიერი სახის ქონებას, განურჩევლად კონკრეტული ღირებულებისა. მათ შორის, მაგალითად, მოძრავ და უძრავ ქონებას, ფულს, ფასიან ქაღალდებს და დებიტორულ დავალიანებებს“. ხელისუფლებამ ასევე დაადასტურა, რომ გამოთქმის - „არაკანონიერი ქმედებიდან გამომდინარე“ - გამოყენება შეიძლება ფართოდ იქნას განმარტებული, რათა მოიცავდეს ნებისმიერ ობიექტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად წარმოადგენს დანაშაულის შედეგად მიღებულ შემოსავლებს.⁴⁵²

გერმანულ დოქტრინაში ყურადღებას იქცევს და პრობლემურადაა მიჩნეული განზრახვის საკითხი ისეთ ნივთებთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებასთან. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ამ დროს დეტალურად უნდა აიწონ-დაიწონოს, დაექვემდებაროს თუ არა ფულის მიმღები პასუხისმგებლობას. საქმე ეხება სურსათის ყიდვას, ავტომობილში საწვავის ჩასხმას თუ გართობის საშუალების ყიდვას, ან ექიმთან ვიზიტის ხარჯსა და სხვ.⁴⁵³ რა თქმა უნდა, ეს პრობლემა ძალაშია მხოლოდ მაშინ, როცა პირს არ გააჩნია ლეგალურად მოპოვებული სახსრები ზემოთმითითებული ხარჯების დასაფარად.⁴⁵⁴

როგორც ვხედავთ, სწორადაა დანახული პრობლემა, ჩაითვალოს თუ არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ქმედება, როცა პირი უბრალოდ ხარჯავს უკანონოდ მოპოვებულ ქონებას ყოველდღიურ საჭიროებაში და არ იკვეთება მიზანი, გაათეთროს იგი, რათა შემდგომში თავისუფლად გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

თუ შევადარებთ საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობას, აშკარაა, რომ გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის შემადგენლობა რამდენადმე განსხვავდება საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისაგან. კერძოდ, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები მოიცავს ორ ჯგუფს, სადაც პირველი ჯგუფი მიზნით დაფუძნებული დელიქტებია, რა დროსაც არა აქვს მნიშვნელობა, მოახერხებს თუ არა პირი ქონების ლეგალიზაციას. მთავარია, პირმა ჩაიდინოს მუხლში მითითებული რომელიმე ქმედება (მაგალითად,

⁴⁵² Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 54.

⁴⁵³ შეად. Zustimmung für „neutrale Alltagschandlungen“, Kargl, NJW 2001, 63; Lackner/Kühl/, & 261 Rn 5.

⁴⁵⁴ შეად. Strafrecht – Besonderer Teil II, Straftaten gegen das Vermögen von Prof. Dr. jur. Rolf Schmidt, Hochschule für Angewandete Wissenschaften Hamburg, 19. Auflage 2018, s. 376.

ქონების შექმნა) შესაბამისი მიზნით. ანუ მთავარია, დადგინდეს შესაბამისი მიზანი. ხოლო მეორე ჯგუფი ქმედებებისა, უკვე ფულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ მოახერხა ქონების შენიღბვა.⁴⁵⁵

ასეთი შემადგენლობა (გამიზვნითი დელიქტის სახით) არაა გათვალისწინებული გერმანიის 261-ე პარაგრაფით - ქმედების მიზანზე აქ არაფერია ნათქვამი. არადა, ქონების წარმომავლობისა თუ ადგილმდებარეობის დამალვით შეიძლება ჩადენილი იყოს არა მხოლოდ ფულის გათეთრება, არამედ ისეთი დანაშაული, როგორცაა დანაშაულის დაფარვა (საქართველოს სსკ 375-ე მუხლი), რაც დანაშაულთან შემხებლობის გამოვლინებაა.⁴⁵⁶ ამდენად, დღის წესრიგში დგება მათი გამიჯვნის საკითხი, რაც ადვილად იქნება შესაძლებელი, თუკი ფულის გათეთრების შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნება დანაშაულის მიზანი.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ დანაშაულის ობიექტური მხარეც შეზღუდულადაა წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, სსკ-ის 261-ე პარაგრაფის ტექსტი ვიწროა დამალვასთან დაკავშირებულ ქმედებასთან მიმართებაში - მითითება ხდება მხოლოდ ქონების „წარმოშობის დამალვაზე“. აქედან გამომდინარე, დოქტრინაში აღნიშნულია, რომ ტექსტი ფართოდ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული. როგორც ვენის და პალერმოს კონვენციებით მოთხოვნილი დამალვის ყველა ფორმა.⁴⁵⁷

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღებაა გამახვილებული ფულის გათეთრების ობიექტური მხარის სხვა ნიშნებზეც და ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ 261-ე პარაგრაფით არაა ხაზგასმითა იხსენიებული ქმედებებზე, როგორცაა „ქონების გარდაქმნა ან გადაცემა“, გერმანიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ისინი გადაფარულია სხვა ისეთი ქმედებით, რაც აშკარად კრიმინალიზებულია. ამასთან მაგალითის სახით მოყვანილ იქნა შემთხვევები, რომელიც ამას ადასტურებს.⁴⁵⁸

⁴⁵⁵ იხ. დისერტაციის თავში, სადაც გადმოცემულია სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი.

⁴⁵⁶ დანაშაულის შემხებლობის საკითხზე, იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თბ. 2019, გვ. 441-443.

⁴⁵⁷ Commentary on criminal law by Thomas Fischer, Marginals 19, 29, and 30.

⁴⁵⁸ Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated February 18, 2009, reference no: 1 StR 4/09; Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated June 24, 2008, reference no: 5 StR 89/08; Ruling from the court of justice (LG) of Ellwangen dated March 30 2007, reference no: 1 S 184/06); Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated June 21, 1995, reference no: 2 StR 157/95.

გერმანიის კანონმდებლობით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით, რაც საქართველოში არაა გათვალისწინებული ასეთად. საქართველოში პასუხისმგებლობას ამძიმებს მიღებული შემოსავლის ოდენობა.

ცალკეულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება ხელობის სახით ან ბანდის მიერ, რომელიც ორგანიზებულია მძიმე დანაშაულის ჩასადენად.

გერმანიის 261-ე პარაგრაფის ცალკე (მე-2) აბზაცი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თავისთვის ან მესამე პირისათვის (ანუ სხვისთვის) ქონების შეძენის, შენახვისა და გამოყენებისთვის, თუკი ქონების შეძენამდე პირისთვის ცნობილი იყო ამ ქონების წარმომავლობა.

განსხვავებით საქართველოს სსკ 194-ე მუხლისაგან, არც ამ ქმედებებთან მიმართებაში არაა მითითება ქმედების მიზანზე.

ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა უფრო სრულყოფლიად უნდა ჩაითვალოს, რადგან როგორც ეს წინამდებარე ნაშრომის მესამე თავშია აღნიშნული, მიზანზე მითითებით ადვილია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა სხვა მსგავსი დანაშაულისაგან, სადაც ობიექტური შემადგენლობა ზემოთ მითითებულ ქმედებებს მოიცავს (მაგ., სსკ 186-ე მუხლისაგან).

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სსკ 259-ე პარაგრაფით ცალკეა დაწესებული პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვისთვის, რაც გულისხმობს ამ ქონების შეძენას თავისთვის ან მესამე პირისთვის, ასევე ამავე ქონების გასაღებას ან გასაღებაში ხელშეწყობას საკუთარი ან მესამე პირის გამდიდრების მიზნით.

ამ დანაწესით თოთქოსდა ადვილი გასამიჯნია ერთმანეთისაგან გერმანიის სსკ 261-ე და 259-ე პარაგრაფები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მათი გამიჯვნა მაინც პრობლემურად რჩება, რადგან: **ჯერ-ერთი**, ორივე პარაგრაფი მოთავსებულია გერმანიის სსკ ერთსა და იმავე თავში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გამიჯვნა სს-ვი დაცვის ობიექტის მიხედვით შეუძლებელია; **მეორე**, თუ 259-ე პარაგრაფში დანაშაულის საგანია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, რაც ასევე სსკ 261-ე პარაგრაფის საგანიც შეიძლება იყოს; **მესამე**, მართალია, ფულის გათეთრების (სსკ 261-ე მ.) შემადგენლობაში სახელდებულად არაა ნახსენები დანაშაულის მიზანი

(როგორც ამას ადგილი აქვს სსკ 259-ე პარაგრაფში - გამდიდრების მიზანი), მაგრამ სადავო არაა, რომ ფულის გათეთრების დროსაც, როგორც წესი, დამნაშავეს საბოლოო მიზანია გამორჩენა, სარგებელი.

გერმანიის სსკ იმავე 21-ე თავის 257-ე პარაგრაფით დაწესებულია პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვისათვის, როდესაც ერთი პირი ეხმარება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირს ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით.

როგორც ვხედავთ, დანაშაულის დაფარვის დროსაც სახეზეა ქონებრივი გამორჩენის მიზანი, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ფულის გათეთრებას.

შესაბამისად, უფრო გამართლებულად უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ნორმაში შესაბამის მიზანზე მითითება, რაც გააადვილებდა ამ დანაშაულის განსხვავებას მსგავსი შემადგენლობებისაგან.

განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად (რომლის ჩადენისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 10 წლამდე ვადით), ითვლება ფულის გათეთრება, ჩადენილი ხელობის სახით, ან ბანდის წევრის მიერ, რომელიც ორგანიზებულია ფულის გათეთრების განუწყვეტლივ ჩასადენად.⁴⁵⁹

ეს დამამძიმებელი გარემოება რამდენადმე ემსგავსება საქართველოს სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-ით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. მათ შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული გულისხმობს რამდენიმე პირის არსებობას, რომლებმაც ჩაიდინეს ფულის გათეთრება და ამავე დროს ისინი ორგანიზებული ჯგუფის წევრები არიან.⁴⁶⁰ ხოლო ქმედების გერმანიის სსკ-ით გათვალისწინებული ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციისათვის საკმარისია, სახეზე იყოს ერთი ამსრულებელი, რომელიც ამ ბანდის წევრია.

გერმანიის სსკ-ის 261-ე პარაგრაფი სხვისი წაქეზებისთვის ფულის გათეთრების (ML-ის) ჩასადენად ისეთივე სანქციას ითვალისწინებს, როგორც დანაშაულის ამსრულებლის მიმართ. ამასთან, ML-ის მცდელობა შეიძლება ისევე დაისაჯოს, როგორც დასრულებული ქმედებები, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დააწესოს

⁴⁵⁹ იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი.

⁴⁶⁰ ამ დამამძიმებელი გარემოების არსზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც გადმოცემულია სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი.

კანონით დადგენილი მაქსიმალური ვადის არაუმეტეს სამი მეოთხედი სსკ-ის 49-ე პარაგრაფის შესაბამისად.⁴⁶¹

გერმანიის სს კანონმდებლობით, ფულის გათეთრების როგორც ძირითადი, ასევე დამამძიმებელი გარემოება, წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს (Vergehen). აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ფაქტობრივად, ზოგიერთ სერიოზულ დანაშაულთან (Verbrechen) შედარებით, ML-ის სანქციების დონე არ ჩანს პროპორციული და დამაბრკოლებელი.⁴⁶²

თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ სხვა ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევებთან (Vergehen) შედარებით, სანქციების დონე უფრო პროპორციულია (მაგ., ძარცვა, თაღლითობა, ნდობის ბოროტად გამოყენება, დოკუმენტების გაყალბება და რეკეტი, ეს ყველაფერი ოსჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთი წლით).⁴⁶³

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრალის საკითხი ფულის გათეთრებასთან მიმართებაში გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მართალია, სსკ 261-ე (1) და (2) პარაგრაფი მოითხოვს ქმედების განზრახ ჩადენას, მაგრამ ამავე დროს იგი ძალზე მცირე მოთხოვნას აყენებს ამ თვალსაზრისით. კერძოდ, არაა აუცილებელი, პირს დეტალური და კონკრეტიზებული წარმოდგენა ჰქონდეს ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე. საკმარისია, იცოდეს, რომ ქონება არაა შემენილი ლეგალური გზით.⁴⁶⁴

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამავე დროს შესაძლებლად მიიჩნევს სს-ივი პასუხისმგებლობის დაწესებას **გაუფრთხილებლობით ჩადენილი ფულის გათეთრებისათვის**. კერძოდ, სსკ 261-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის მიხედვით, სს-ივი პასუხისმგებლობას ექვემდებარება პირი, რომელსაც თავისი დაუფიქრებლობის გამო არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეს საგანი მოპოვებული იყო მართლსაწინააღმდეგო გზით, ანუ მომდინარეობდა ძირითადი დანაშაულის ჩადენიდან (სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე, ან ფულადი ჯარიმა).⁴⁶⁵

⁴⁶¹ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 62.

⁴⁶² Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 61-62.

⁴⁶³ იხ. იქვე, გვ. 62-63.

⁴⁶⁴ შეად. Strafrecht – Besonderer Teil II, Straftaten gegen das Vermögen von Prof. Dr. jur. Rolf Schmidt, Hochschule für Angewandete Wissenschaften Hamburg, 19. Auflage 2018, s. 373.

⁴⁶⁵ იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-5 პუნქტის მე-5 აბზაცი.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი დანაწესი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს პროკურატურაზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთს და სცილდება FATF 40+9 რეკომენდაციების მოთხოვნებს.⁴⁶⁶

ბოლო წლების განმავლობაში, გაუფრთხილებლობით ფულის გათეთრებისთვის მსჯავრდებულთა რაოდენობა (261 (5) პარაგრაფი) მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიაში, რაც შეადგენს წელიწადში ML-ზე მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს.⁴⁶⁷

ვფიქრობ, საკითხის ამგვარი საკანონმდებლო გადაწყვეტა უჩვეულოა, რადგან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თავისი ბუნებით აუცილებლად მოითხოვს მის ჩადენას განზრახ, რა დროსაც პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დანაშაულის საგნის - უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების (თუკი ეს უკანასკნელიც წარმოადგენს დანაშაულის საგანს) არსებობა. მით უმეტეს, რომ ეს დანაშაული გერმანიაშიც ფორმალური შემადგენლობისაა. დასჯადია თავად ქმედების ჩადენა (მაგ., ქონების წარმომავლობის შენიღბვა) და არაა საჭირო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ამასთან, სამართლებრივ სახელმწიფოში არ შეიძლება კანონმდებლობის „ავ-კარგიანობა“ იზომებოდეს იმით, თუ რამდენად უმსუბუქებს იგი ტვირთს სამართალშემფარდებელს (მაგ., პროკურატურას). კანონმდებლობა უპირველესად უნდა იყოს სამართლიანი. სწორედ ამიტომაც, რომ FATF-ის რეკომენდაცია არ ითვალისწინებს ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის დასჯადობის მოთხოვნას.

როგორც ჩანს, გერმანულმა კანონმდებლობამ გადაწყვიტა, შექმნას ისეთი ნორმა, რითაც პირი ვერ დაუსხლტება პასუხისმგებლობას მაშინაც, როცა შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდა ქონების უკანონო წარმომავლობა. მთავარია, მას ჰქონდეს ამის გაცნობიერების სუბიექტური შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ არ ჰქონდა გაცნობიერებული ქონების უკანონო წარმომავლობა, მისი ქარაფშუტობის შედეგი იყოს.

⁴⁶⁶ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.59.

⁴⁶⁷ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 61.

საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად, რომც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამგვარი საკანონმდებლო დანაწესი სამართალშემფარდებელს თვითნებობის ფართო გასაქანს აძლევს.

საბოლოოდ, სასჯელთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ფულის გათეთრება გერმანიაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ თვიდან ხუთ წლამდე. სასჯელი იზრდება ექვსი თვიდან 10 წლამდე, თუ დანაშაული ჩადენილია კომერციულ ან ორგანიზებულ საფუძველზე უწყვეტი წესით. სასჯელის შემცირება ვრცელდება უხეში დაუდევრობით ჩადენის შემთხვევაში.⁴⁶⁸

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მიხედვით, სასჯელს არ დაექვემდებარება ქმედება, როცა სახეზეა გადაცდომებთან დაკავშირებული საგანი, თუ ეს საგანი ადრე, უკვე იყო შეძენილი მესამე პირის მიერ, რომელსაც ამით არ ჩაუდენია დანაშაული.⁴⁶⁹

ამდენად, საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული კეთილსინდისიერი შემძენის საკითხი. კერძოდ, აუცილებელია, საგნის მოპოვების წყარო დაკავშირებული იყოს გადაცდომასთან. ასევე ნივთები მესამე (კეთილსინდისიერი) შემძენის მიერ სამართალდარღვევის გარეშე უნდა იყოს შეძენილი. ამ დროს 261-ე პარაგრაფის მიხედვით სასჯელი გამოირიცხება.⁴⁷⁰

როგორც ვხედავთ, თუ პირმა ნივთი შეიძინა კეთილსინდისიერი შემძენისგან, სახეზე არაა დასჯადი ქმედება.

ცალკეული პროფესიების საკითხი - ადვოკატების საკითხი გერმანულ დოქტრინაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფულის გათეთრებასთან მიმართებაში.

კერძოდ, ისმის კითხვა: რამდენადაა უფლებამოსილი ადვოკატი, აიღოს დაცვის ჰონორარი, რაც მის კლიენტს მოპოვებული აქვს არალეგალურად? მეცნიერთა ნაწილში მუსირებს აზრი, რომ ასეთ შემთხვევაში ადვოკატი არ უნდა დაექვემდებაროს სს-ივ პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლის მიღებისთვის, რადგან არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული წესი ადვოკატებისათვის ჰონორარის მიღების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად ვალდებულია ადვოკატი საექვო ქონების მქონე

⁴⁶⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 85.

⁴⁶⁹ იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-5 პუნქტის მე-6 აბზაცი.

⁴⁷⁰ Rengier, BT I, &23 Rn 13 ff.; Lackner/Kühl, &261 Rn 6.

კლიენტს ჰონორარის აღებამდე ჰკითხოს: საიდან ამდენი ფული? ხოლო პასუხი ფიცით განამტკიცოს? ადვოკატი თვითონ არ „დააზიანებდა საქმეს“, თუ ის კლიენტისაგან დადებითი პასუხის (ანუ აღიარების) შემთხვევაში უარს ეტყოდა მას დაცვაზე? მოსამართლეები სკეპტიკურად არ შეხედავდნენ იმ საქმეს, სადაც შემღებელი ბრალდებული პროცესზე გამოცხადდებოდა სავალდებულო (სახაზინო) ადვოკატთან ერთად? არ შეფასდებოდა ეს როგორც გარკვეული ნიშანი ბრალდებულის წინააღმდეგ?⁴⁷¹ ვფიქრობ, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს კლიენტის ინტერესის დაცვაზე, არ უნდა დავავალდებულოთ, გაარკვიოს აღებული ჰონორარის კანონიერი წარმომავლობა.

განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან, გერმანიის სსკ განსახილველი პარაგრაფი⁴⁷² ადგენს შემთხვევებს, როცა პირი არ დაექვემდებარება სასჯელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

ეს შემთხვევებია: 1. პირი ნებაყოფლობით განაცხადებს კომპეტენტურ ორგანოში ჩადენილი ქმედების შესახებ, ან ნებაყოფლობით ქმნის ასეთი შეტყობინების საფუძველს, თუკი საქმე ამ მომენტისთვის არაა გახსნილი და ნაწილობრივად გახსნილი და ქმედების ამსრულებელმა ეს იცის, ან საქმის ფაქტობრივი გარემოების გონივრული შეფასების საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას; 2 ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ამოღებული ნივთების შენახვა/შენარჩუნებას.

აქვე გერმანიის კანონმდებელი ადგენს: არ დაისჯება ის, ვისაც უკვე დაენიშნა სასჯელი წინარე დანაშაულისათვის.⁴⁷³

ამდენად, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, გერმანიის სს კოდექსით დადგენილია, რომ არ დაისჯება ის პირი, ვის მიმართ უკვე გამოტანილია სასჯელი წინარე (ძირითადი, ანუ პრედიკატული) დანაშაულისათვის.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფულის გათეთრების სუბიექტი პრინციპულად არაა ის, ვინც მონაწილეობდა წინარე დანაშაულში ამსრულებლისა თუ თანამონაწილის სახით.

⁴⁷¹ შეად. Strafrecht – Besonderer Teil II, Straftaten gegen das Vermögen von Prof. Dr. jur. Rolf Schmidt, Hochschule für Angewandete Wissenschaften Hamburg, 19. Auflage 2018, s. 377.

⁴⁷² იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-9 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცი.

⁴⁷³ იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-9 პუნქტი.

სსკ 261-ე მუხლის მე-9 პუნქტის ეს დანაწესი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ წინარე დანაშაულისათვის პირს უკვე დაენიშნა სასჯელი. ამ დროს ფულის გათეთრებისათვის ბრალდებულ პირს არ დაენიშნება სასჯელი ფულის გათეთრებისათვის. მანამდე (ანუ წინარე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნამდე), პირის მიმართ შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება როგორც წინარე დანაშაულისათვის, ისე ფულის გათეთრებისათვის.

ამკარაა, რომ ამით გერმანიის კანონმდებელი აღიარებს წინარე (ძირითადი) დანაშაულის სამართლებრივ უპირატესობას ფულის გათეთრებასთან შედარებით, რადგან წინარე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნა ათავისუფლებს პირს ფულის გათეთრებისათვის სასჯელის დანიშვნისაგან და არა პირიქით.

ამგვარი საკანონმდებლო რეგულაცია დოგმატურად სრულებით დასაბუთებულია და გამართლებულია მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის კანონმდებლობით ფულის გათეთრება მოთავსებულია სსკ იგივე თავში, სადაც მოთავსებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა, გასაღება (259-ე პარაგრაფი). ასევე დანაშაულის დაფარვა (257-ე პარაგრაფი).

როგორც ვხედავთ, გერმანიის სსკ-ის 261-ე პარაგრაფი არ განასხვავებს თვითგათეთრებას და მესამე პირის მიერ ჩადენილ გათეთრებას. აქედან გამომდინარე, ML დებულება თეორიულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირებზე, რომლებიც ჩადიან ძირითად დანაშაულს. თუმცა, ამავე ნაწილის მე-9 პუნქტი ასევე ითვალისწინებს, რომ პირი, რომელიც დაისაჯა ძირითადი დანაშაულის ჩადენისთვის, არ შეიძლება დაისაჯოს ML-ისთვისაც. შესაბამისად, არ შეიძლება ადამიანი ერთდროულად დაისაჯოს როგორც პრედიკატის, ისე ML დანაშაულისთვის. ეს დაადასტურეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომელმაც განაცხადეს, რომ არ შეიძლება პირი მსჯავრდებული იყოს ML-სთვის, თუ სავარაუდო დამნაშავე მსჯავრდებულია, როგორც ძირითადი დანაშაულის ჩამდენი ან დამხმარე.⁴⁷⁴

კერძოდ, უთითებენ: ის ფაქტი, რომ პირის მსჯავრდების შეუძლებლობა ძირითადი დანაშაულისთვის და ამავდროულად ML-ისთვის, გამომდინარეობს გერმანიის შიდა სამართლის ფუნდამენტური პრინციპებიდან, როგორცაა სისხლის სამართლის

⁴⁷⁴ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 57.

პროცესისგან გამოხატული იმუნიტეტის ზოგადი პრინციპი: ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავეები ეხმარებიან საკუთარ თავს მას შემდეგ, რაც ფაქტი (Selbstbegünstigungsprinzip)), რომელიც კრიმინალიზებულია სსკ-ის 257-ე და 258-ე პარაგრაფებით, უკვე განხორციელდა. ამ პრინციპის მიხედვით, დამნაშავე (ანუ ის, ვინც ჩაიდინა ძირითადი დანაშაული) არ შეიძლება დამატებით და ცალ-ცალკე დაისაჯოს „დანაშაულის შემდგომი ქცევისთვის“, რომელიც დაკავშირებულია მისივე დანაშაულის შემოსავალთან. ეს გულისხმობს, რომ ერთი დასჯადი ქმედება (ძირითადი დანაშაული) მოიცავს მეორე თანმხლებ ქმედებას (ქონებრივი ნივთების დამალვა ან შენიღბვა, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი დანაშაულის ჩადენისაგან) და ითვლება, რომ დასჯადი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელი ფარავს დანაშაულის მთელ უკანონობას, დამნაშავეების მთელ ქმედებას.⁴⁷⁵ ამდენად, ფულის გამთეთრებელი იღებს უფლებამოსილებას ნივთზე/ქონებაზე წინარე ქმედების ჩამდენის თანხმობით, ანდა წინარე ქმედების ჩამდენის თანხმობითვე საქმეს გადასცემს ვიღაც სხვა მესამეს.⁴⁷⁶

აქედან გამომდინარე, **ისმის კითხვა:** საქართველოში რატომაა შესაძლებელი ორივე (როგორც ძირითადი, ისე ფულის გათეთრების) ქმედებისათვის პირის დასჯა?

დასმული საკითხი პირდაპირ კავშირშია ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის განსაზღვრასთან, ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისტემურ ადგილთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რაზეც საუბარი იყო ამ ნაშრომის მე-3 თავში სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზისას.

სსკ 261-ე პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს სასჯელი, ან უარი თქვას მის დანიშვნაზე იმ შემთხვევაში, თუკი პირი თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით არსებითად შეუწყობს ხელს საქმის გახსნას.⁴⁷⁷

ამდენად, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებელი, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან ითვალისწინებს უკანონო შემოსავლის

⁴⁷⁵ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 57.

⁴⁷⁶ BGH NJW 2010, 3730, 3732 ff.; Lackner/Kühl, &261 Rn 8 mit Verweis auf &259 Rn 9-12; Jahn, JuS 2010, 650, 651.

⁴⁷⁷ იხ. გერმანიის სსკ 261-ე პარაგრაფის მე-10 პუნქტი.

ლეგალიზაციის ჩამდენთათვის პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ზომის სხვადასხვა სახეს იმის მიხედვით, თუ რა ფორმაში გამოვლინდება ქმედითი მონაწილეობა და რამდენად მნიშვნელოვანია იგი საქმის წარმოებისას - ზოგი მათგანი საერთოდ ათავისუფლებს პირს სასჯელისაგან, ხოლო ზოგ შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქება, თუ მისი გამოუყენებლობა სასამართლოს შეხედულებაზეა მინდობილი.

ამგვარი რეგულაციით შექმნილია სამართლებრივი პირობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საქმეების სწრაფი გახსნისთვის. საფიქრებელია, რომ მსგავსი ნორმების შემოღება გამართლებული იქნება საქართველოს სინამდვილეშიც.

რადგანაც გერმანიის კანონმდებლობით ფულის გათეთრების საგანს წარმოადგენს მხოლოდ წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებული ნივთი, საინტერესოა როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ ქონება დანაშაულებრივი შემოსავლების შედეგია?

სსკ-ის 261-ე პარაგრაფი ცალსახად არ აკონკრეტებს, აუცილებელია თუ არა შემოსავლის უკანონო წარმოშობის დასამტკიცებლად, პირი იყოს მსჯავრდებული წინარე დანაშაულისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 261-ე პარაგრაფი არ მიუთითებს იმაზე, რომ წინასწარი მსჯავრდება წინარე დანაშაულისთვის აუცილებელია, შემფასებლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც გამოთქვეს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები. ზოგიერთმა პროკურორმა განმარტა: პრაქტიკაში უფრო ადვილია პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და გასამართლება სსკ-ის 261-ე პარაგრაფის შესაბამისად მაშინ, როდესაც არსებობს წინასწარი ნასამართლობა ძირითადი დანაშაულისთვის, რადგან პროკურორებს ყოველთვის სჭირდებათ დაამყარონ „კავშირი“ ML ქცევასა და ძირითად დანაშაულს შორის (ანუ სასამართლო უნდა დარწმუნდეს ძირითადი დანაშაულის არსებობაში). ეს ნიშნავს, რომ პროკურორს მოუწევს დაამტკიცოს ძირითადი დანაშაულის სპეციფიკა, მაგალითად, რომ სახეზეა აქტივები, რომლებიც წარმოიშვა წინარე დანაშაულიდან, რაც საკმაოდ მაღალი მტკიცების სტანდარტია.⁴⁷⁸

პროკურორებისა და მოსამართლეების უმეტესობამ, რომლებსაც შემფასებლები შეხვდნენ, მიუთითა, რომ მტკიცებულების სტანდარტი, რომელიც საჭიროა ML-ის

⁴⁷⁸ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.54.

ძირითად დანაშაულთან დასაკავშირებლად, გერმანიაში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ დაბრკოლებას ფულის გათეთრებაზე მსჯავრდებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემფასებლები ასკვნია, რომ აუცილებელი არაა ნასამართლობის ქონა წინარე დანაშაულზე, მაგრამ არსებობს გარკვეული პრაქტიკული უპირატესობა, თუ იგი სახეზეა. გარდა ამისა, მტკიცების მაღალმა ტვირთმა იმის დასადასტურებლად, რომ საკუთრება არის დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლები, შესაძლოა, პრაქტიკულად შეაფერხოს დევნა ფულის გათეთრების დანაშაულისათვის.⁴⁷⁹

შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გათვალისწინებამ, შესაძლოა, გარკვეული დაბრკოლება შექმნას ამ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ პრობლემის თავიდან აცილების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს დანაშაულის საგნად დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინებაც, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. შეიძლება ითქვას, საქართველოს სსკ 194-ე მუხლში დანაშაულის საგნად მისი გათვალისწინება მისაღებად უნდა ჩაითვალოს, **მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მის არსს კანონმდებელი იმგვარად განმარტავს, რომ არ შეიქმნება პირის კანონიერი უფლების შელახვის საფრთხე** (შესაბამისი საკანონმდებლო წინადადების შესახებ საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც განხილულია სსკ 194-ე მუხლის საგანი).

საზღვარგარეთ ჩადენილი პრედიკატული დანაშაულები - არსებობს თუ არა ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის? გერმანიაში თუ ისჯება უცხოური დანაშაულებრივი შემოსავლის (ფულის) გათეთრება?

ზოგადად, გერმანიის სისხლის სამართალი გამოიყენება, თუ დანაშაული ჩადენილია გერმანიაში (სექციები 3, 9 StGB) ან გერმანიის დროშის ქვეშ მომუშავე თვითმფრინავზე/გემზე (ნაწილი 4, 9 StGB). ეს მოიცავს ყველა ადგილს, სადაც დამნაშავე მოქმედებდა ან სადაც დგება შედეგი, თუ იგი არის დანაშაულის ელემენტი. საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაული გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: (1) მსხვერპლი არის გერმანიის მოქალაქე (სექცია 7 (1) StGB) და დანაშაული ასევე ისჯება

⁴⁷⁹ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.55.

უცხო ქვეყანაში, ან თუ დანაშაული ჩადენილია ნებისმიერი იურისდიქციის გარეთ (მაგ. ზღვაზე); (2) დამნაშავე არის გერმანიის მოქალაქე (მე-7 (2) No 1StGB); (3) დამნაშავე დატყვევებულია გერმანიაში და არ შეიძლება მისი ექსტრადირება (სექცია 7 (2) No 2 StGB); ან (4) დანაშაული ეხება საერთაშორისოდ დაცულ ინტერესებს, რომლებიც ჩამოთვლილია მე-6 StGB-ში, როგორცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა.⁴⁸⁰

სსკ-ის 261-ე პარაგრაფის მე-8 პუნქტი ადგენს, რომ საგნები, რომლებიც მიღებული იქნა წინარე დანაშაულის საზღვარგარეთ ჩადენით, უტოლდება გერმანიაში წინარე დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ ნივთებს, თუ ქმედება წარმოადგენს დანაშაულს იმ ქვეყანაში, სადაც ის მოხდა. როგორც ვხედავთ, გერმანიის კანონმდებლობით ML-ის ყველა ძირითადი დანაშაული ვრცელდება საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებებზე, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია ე.წ. ორმაგი დანაშაულის სტანდარტი.⁴⁸¹

სხვა პირის მიერ მოპოვებული უკანონო სახსრების გათეთრებასთან დაკავშირებით, სსკ-ის 261(9) პარაგრაფზე დაყრდნობით, იუსტიციის ფედერალურმა სასამართლომ (BGH) დაადგინა,⁴⁸² რომ ML დანაშაული არ იყო გამიზნული დამნაშავეების ორჯერ დასჯისკენ - ერთხელ ძირითადი დანაშაულისთვის და ერთხელ ML-ის ქმედებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ სსკ-ის 261-ე პარაგრაფის მე-9 პუნქტის მეორე წინადადების დებულება, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც უკანონო ქმედებისთვის სასჯელისაგან გათავისუფლების პირადი საფუძველი, ფაქტობრივად კანონის თანმხლები დებულებაა, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ML-ისთვის ყველა შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე კანონით უკვე დაისაჯა წინარედაქტირებულ დანაშაულში მონაწილეობის გამო.⁴⁸³

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს გადაწყვეტილებები ცალსახად არ მიუთითებს იმაზე, რომ თვითგათეთრება ეწინააღმდეგება გერმანული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს. ზოგიერთ პრაქტიკოსს, რომელსაც შეხვდნენ შემფასებლები, არ ჰქონდათ

⁴⁸⁰ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 84.

⁴⁸¹ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.56-57.

⁴⁸² Judgment published in New Journal for Penal Law (Neue Zeitschrift für Strafrecht, NStZ) 2003, p. 499 (500).

⁴⁸³ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.57.

ერთიანი შეხედულება იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ამ საკითხზე ფუნდამენტური პრინციპი.

ზემოაღნიშნული განმარტებები სერიოზულ ეჭვს აჩენს ML დანაშაულის ავტონომიასთან დაკავშირებით გერმანიის კანონმდებლობით. საქმე ისაა, რომ ML ყოველთვის არ მოიცავს შემთხვევას, როდესაც დამნაშავეები ეხმარებიან საკუთარ თავს მომხდარი ფაქტის შემდეგ. კერძოდ, როდესაც გათეთრების აქტივობა არ ნიშნავს მხოლოდ ფლობას ან გამოყენებას, არამედ მოიცავს ამ ქონების ფინანსურ სისტემაში გადაცემას ან დამალვასა და შენიღბვას, რაც დამატებით ზიანს აყენებს შემდგომ უფლებებს და არა მხოლოდ იმას, რაც უკვე გამოწვეულია ძირითადი დანაშაულით. ასევე დამატებითი სოციალური საფრთხე (საფინანსო სისტემის სიჯანსაღისა და მთლიანობისთვის) შეიძლება დამოუკიდებლად იყოს შეფასებებული და, შესაბამისად, ცალკე დასჯა დაიმსახუროს.⁴⁸⁴

როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრება სრულ თანხვედრაშია ჩვენს მიერ წინამდებარე ნაშრომის მე-3 თავში განვითარებულ შეხედულებასთან, რომლის მიხედვით, საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა პირი საკუთარი შეხედულებისამებრ, პირადი მიზნით ხარჯავს უკანონო შემოსავალს (მაგალითად, ნაქურდალი ფულით შეიძენს ავტომანქანას პირადი მოხმარებისთვის).

ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, პირის მიზანი იყოს ჯერ გაათეთროს წინარე უკანონო ქმედებით მოპოვებული ქონება, რათა შემდეგ თავისუფლად ჩართოს იგი ქვეყნის ეკონომიკაში. სწორედ ამ შემთხვევაში ექმნება საფრთხე ქვეყნის ეკონომიკას (მის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას). პირის ქმედება უკანონო შემოსავლის ქვეყნის ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრირების მიზნით უნდა ხორციელდებოდეს. სწორედ ამიტომაც შესაძლებელი საქართველოში ამ დანაშაულის სუბიექტი იყოს არა მხოლოდ სხვა მესამე პირი, არამედ წინარე (ძირითადი) დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილეც.⁴⁸⁵

⁴⁸⁴ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.57-58.

⁴⁸⁵ დეტალურად ამ საკითხზე საუბარია წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც გადმოცემულია სსკ 194-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი.

გერმანიის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ თვითგათეთრების შემთხვევაში, ML ქცევა, როგორც წესი, დამამძიმებელ გარემოებად განიხილება ძირითადი დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის დანიშვნისას და იგი გამოიწვევს დამნაშავისათვის უფრო მძიმე სასჯელს. თუმცა, შემფასებლების დასკვნით, არაა დადგენილი, რომ ML დანაშაულის გამოყენების შეუძლებლობა იმ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ და მსჯავრდებულნი არიან წინარედაქტირებულ დანაშაულში, თანხვედრაშია FATF-ის სტანდარტების ფუნდამენტურ პრინციპებთან.⁴⁸⁶

ML-ის ჩადენაზე შეთანხმება, ანუ შეთანხმება ფულის გათეთრების მიზნით, როგორც ეს აღიარებულია საერთო სამართლის სისტემებში საყოველთაოდ ცნობილი გაგებით, არ გვხვდება გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. გერმანიას აქვს სამოქალაქო კანონმდებლობაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის სისტემა და ასეთი სისტემის ძირითადი კონცეფციები არ ითვალისწინებს, რომ ასეთი ქცევა წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას. ამის ნაცვლად, სსკ-ის 129-ე პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ დანაშაულია „ჯგუფის შექმნა, რომლის მიზანი ან საქმიანობა მიმართულია დანაშაულის ჩადენისკენ“.⁴⁸⁷

ჯგუფი, 129-ე პარაგრაფისა და შემდგომი ნაწილების მეხედვით, ითვლება მინიმუმ სამი ადამიანის ორგანიზაციულ საქმიანობად, რომელიც შექმნილია გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობისთვის, სადაც - ინდივიდის ნების დაქვემდებარებაში მთელი ჯგუფის ნებაზე - წევრები ატარებენ საერთო მიზნებს, ამასთან ისეთ ურთიერთობაში დგანან ერთმანეთთან, რომ თავს ერთგვაროვან კლასტერად მიიჩნევენ.⁴⁸⁸

გერმანიის კანონმდებლობით, ფულის გათეთრების საქმეზე განზრახვის დადგენას ადგილი აქვს დანაშაულის ობიექტურ, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის მიხედვით. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ საქმის წარმოების მიზანთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებები შეიძლება დაშვებული იყოს ნებისმიერი მტკიცებულების საშუალებით,

⁴⁸⁶ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p.58.

⁴⁸⁷ იხ. იქვე. გვ. 58-59.

⁴⁸⁸ Munich Commentary on the Criminal Code (CC) (“Müncher Kommentar zum StGB”), Vol. 2/2, 1st. edition 2005 CC; Author: Miebach/Schäfer, Section 129 a of the Criminal Code: formation of terrorist groups; margin ref. 22-34

გარდა კანონებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მტკიცებულება დასაშვებია, თუ იგი პირდაპირ ან ირიბად ეხება გამოძიების მიზანს და სასარგებლოა სიმართლის დასადგენად.⁴⁸⁹

1.2. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი

გერმანიის კანონმდებლობით იურიდიული პირები არ ექვემდებარებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. გერმანული სამართლებრივი სისტემა მიჰყვება პრინციპს „societas delinquere non potest“ (იურიდიული პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე), რომელიც ემყარება სისხლის სამართლის პრინციპს „nulla poena sine culpa“ (ანუ არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე) და იგი ახასიათებს სისხლის სამართლის ბრალეული პასუხისმგებლობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპს.⁴⁹⁰

ეს საკითხი განხილულია გერმანიის ფედერაციული სასამართლოს მიერ⁴⁹¹ და, შესაბამისად, განხილვება შიდა სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებად.

ფულის გათეთრებაში ჩართულ იურიდიულ პირებს გერმანიაში შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული ჯარიმები.⁴⁹²

ამასთან დაკავშირებით, პროკურორებმა დაადასტურეს, რომ საქმეების უმეტესობა, რომლებიც წარმატებით სრულდება წინასწარი გამოძიებისას, ჩვეულებრივ, არის საქმეები, რომლებიც მოიცავს „თვითგათეთრებას“.⁴⁹³ თუმცა, ასეთ შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ თვითგამრეცხავი პირები არ შეიძლება დაისაჯონ ძირითადი დანაშაულისთვის და ML დანაშაულისთვის, ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომ გამოძიება გაგრძელდეს ძირითად დანაშაულზე (ნუ წინარე დანაშაულზე).⁴⁹⁴ რომლებიც

⁴⁸⁹ Rulings of the Federal Court of Justice in Criminal Law Matters (Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen, BGHSt) 36, p. 9 et seq. (HIV Infection).

⁴⁹⁰ სისხლის სამართლის ამ პრინციპის შესახებ იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 46; ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 59-61.

⁴⁹¹ Ruling handed down by the Federal Constitutional Court on October 25, 1966; reference no: 2 BvR 506/63 and Ruling most recently handed down by the Federal Constitutional Court (BVerfG) on the Treaty of Lisbon (ruling dated June 30, 2009 (2 BvE 2/08), paragraph no. 364.

⁴⁹² Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 61.

⁴⁹³ იგულისხმება შემთხვევა, როცა გათეთრებას სჩადის წინარე დანაშაულის ჩამდენი.

⁴⁹⁴ „ფიშინგი“ გაგებულია, როგორც კრიმინალური თაღლითური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ისეთი მგრძობიარე ინფორმაციის მოპოვების მცდელობა, როგორცაა მომხმარებლის სახელი, პაროლი

პროკურორების აზრით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში და რომლებიც, როგორც წესი, იწვევს დევნას ML დანაშაულისთვის.⁴⁹⁵

პროკურორებმა ასევე განმარტეს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ML დანაშაულის ჩამდენი არის სხვა პირი და არა წინარე, პრედიკატიული დანაშაულის ჩამდენი, გამოძიების აქცენტი ასევე კეთდება ძირითად (წინარე) დანაშაულზე. ამ შემთხვევებში, ML ქცევა, როგორც წესი, ფასდება როგორც ძირითადი დანაშაულის ჩადენაში „მონაწილეობა“, რომელიც გარდა იმისა, რომ უფრო ადვილია დასამტკიცებლად, ვიდრე ML ქცევა, ჩვეულებრივ ითვალისწინებს უფრო მაღალ სასჯელს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ML-ისთვის.⁴⁹⁶

როგორც ვხედავთ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფულის გათეთრების უშუალოდ ჩამდენი არის არა წინარე დანაშაულის სუბიექტი, არამედ სხვა, მესამე პირი, გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აქცენტი მაინც კეთდება ძირითად (წინარე) დანაშაულზე, ამასთან ამ მესამე პირის ქმედება ფაქტობრივად ითვლება თანამონაწილეობად ძირითად დანაშაულში და არა ფულის გათეთრებად (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად). ასეთი პრაქტიკის არგუმენტად სახელდება ის, რომ: ა) ძირითადი დანაშაულის დამტკიცება უფრო ადვილია და ბ) იგი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ფულის გათეთრება.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად. **ჯერ-ერთი**, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის (ამ შემთხვევაში, წინარე დანაშაულში დახმარებისთვის) აუცილებელია დადგინდეს, რომ თანამონაწილე ხელს უწყობდა ამსრულებელს დანაშაულის დამთავრებამდე. დანაშაულის დამთავრების შემდეგ ჩადენილი ქმედება, რაც წინასწარ არ იყო შეთანხმებული ამსრულებელთან, გვაძლევს არა თანამონაწილეობას, არამედ დანაშაულთან შემხებლობას (მაგალითად, დანაშაულის დაფარვას).⁴⁹⁷ **მეორეც**, როცა სს კოდექსით ცალკე ნორმად გათვალისწინებულია მუხლი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე (ფულის

და საკრედიტო ბარათის დეტალები ელექტრონულ კომუნიკაციაში სანდო სუბიექტად მასკარადირების (თავის წარმოჩენის) გზით.

⁴⁹⁵ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 71.

⁴⁹⁶ იხ. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 71.

⁴⁹⁷ დანაშაულთან შემხებლობის საკითხზე იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 441-443.

გათეთრებაზე), მისი გამოყენების დამაბრკოლებლად არ უნდა ჩაითვალოს ის, თუ რამდენად მკაცრია ამ მუხლისთვის დაწესებული სასჯელი წინარე დანაშაულის სასჯელთან შედარებით. სხვა საკითხია, რომ ამ მუხლის გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევა, როცა წინარე დანაშაულის სუბიექტი ლეგალიზაციას უკეთებს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად მოპოვებულ შემოსავლს. ამ საკითხის გადაწყვეტა ნამდვილად წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლის პრეროგატივას (საქართველოს კანონმდებელმა ეს საკითხი გადაწყვიტა იმგვარად, რომ სსკ 194-ე მუხლის ამსრულებლად ასევე მოიაზრა წინარე დანაშაულის ჩამდენიც).

1.3. სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში იყო ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, როცა ხანდაზმულობის ვადის გამო უშედეგოდ დამთავრდა ექვსწლიან გამოძიება 150 მილიონი დოლარის ფულის გათეთრების საქმეზე. საქმეში ფიგურირებდა გერმანიის ოთხი საბანკო აღმასრულებელი დირექტორი და დანიელი ადვოკატი, რომლებიც ეხმარებოდნენ რუსეთის მთავრობის ყოფილ მინისტრს აქტივების გაყიდვაში, რომელსაც, სავარაუდოდ, კონტროლი ჰქონდა ოფშორული კომპანიების მეშვეობით და ამით მალავდა ნამდვილი მესაკუთრის ვინაობას. გამოძიების მონაცემების მიხედვით აქტივების ნამდვილი მფლობელი იყო რუსეთის ყოფილი მინისტრი, რომელიც რთული კორპორატიული სტრუქტურის მეშვეობით მიზნად ისახავდა აქტივების სახელმწიფოსაგან პირად საკუთრებაში გადაცემას.

პროკურორებმა შესთავაზეს საქმის მოგვარება ოთხი ბრალდებულისგან 5000-დან 40 000 ევრომდე ანაზღაურების მიღებით, რადგან გამოძიება ხანდაზმულობის გამო წყდებოდა.

გამოძიების შედეგის მიუხედავად, ეს საქმე უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა AML-ის წარმატებული გამოძიებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანხები გადადის საზღვარგარეთ. სავარაუდოა, რომ შესაძლოა, გერმანიისა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობამ გამოიწვია შეფერხებები, რაც საბოლოოდ ხელს უშლიდა ამ გამოძიებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, ფინანსურმა ინსტიტუტებმა გაითვალისწინონ მათი

ურთიერთობა სხვა მონაწილე ქვეყნებთან, რომლის წარმომადგენელიც არის მათი კლიენტი.⁴⁹⁸

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით

2.1. საკანონმდებლო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი

საფრანგეთი არის ევროკავშირის ქვეყანა და ვალდებულია, შეასრულოს ევროკავშირის ფულის გათეთრების სამივე დირექტივა. ევროკავშირის ფულის გათეთრების პირველი დირექტივა (91/308/EEC) საფრანგეთის კანონმდებლობაში შეტანილ იქნა 2004 წელს, ხოლო მეორე დირექტივა (2001/97/EC) - 2006 წელს, No 2006-736 ბრძანებულებით. საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის მიერ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ფორუმის თანახმად, ევროკავშირის ფულის გათეთრების მესამე დირექტივა საფრანგეთის კანონმდებლობაში შეტანილია 2009 წლის 30 იანვარს გამოცემული No 2009-104 განკარგულების საფუძველზე. No2009-874 ბრძანებულება ამოქმედდა 2009 წლის 16 ივლისს.⁴⁹⁹

ძირითადი კანონმდებლობა

ფულის გათეთრებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით. გარდა ამისა, ფინანსური კოდექსი (CMF, "კოდექსი") აღწერს მოვალეობებს რეგულირებადი პირების მიმართ AML პროცედურებთან დაკავშირებით.⁵⁰⁰

საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გარეცხვის) შესახებ ნორმა შემოღებულ იქნა 1996 წლის 13 მაისის № 96-392 კანონის საფუძველზე. შესაბამისი ნორმა გათვალისწინებულია

⁴⁹⁸ Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C. p. 75.

⁴⁹⁹ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 428.

⁵⁰⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 428.

საფრანგეთის სსკ მე-4 თავის (ქონების გადარეცხვა) პირველი განყოფილებით (მარტივი გარეცხვა და გარეცხვა დამამძიმებელ გარემოებაში).⁵⁰¹

კერძოდ, საფრანგეთის სსკ 324-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ფულის გარეცხვა წარმოადგენს ქმედებას, რაც გამოიხატება ნებისმიერი საშუალებით რაიმე დანაშაულის ან გადაცდომის გზით მოპოვებული ქონების ან შემოსავლის წარმოშობის წყაროს ყალბი დასაბუთების გაადვილებაში, რაც ამ დანაშაულისა თუ გადაცდომის ჩამდენისთვის უზრუნველყოფს პირდაპირ, თუ არაპირდაპირ გამორჩენის მიღებას. ქონების გარეცხვას ასევე წარმოადგენს ქმედება, რაც გამოიხატება იმ ქონების განთავსების, შენიღვის, კონვერსიის ოპერაციაში ხელის შეწყობით, რომელი ქონებაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებულია დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის შედეგად - ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით.

როგორც ვხედავთ, დანაშაულის საგანი არის არა მხოლოდ წინარე დანაშაულის, არამედ ასევე გადაცდომის ჩადენის გზით მიღებული ქონება, რაშიც საფრანგეთის და საქართველოს კანონმდებლობა ანალოგიურია.

ამასთან, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, საფრანგეთის კანონმდებლობით, ამ დანაშაულის საგნად არაა მითითება დაუსაბუთებელ ქონებაზე. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის რეალობაში მოქალაქისთვის უფრო ადვილია მიღებული ქონებისა თუ სხვა შემოსავლის დოკუმენტური დასაბუთება, კანონმდებელმა მაინც შეიკავა თავი ამ დანაშაულის საგნად დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინებისაგან.

თუმცა, ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ამ საკითხის პროცესუალური მხარე. საფრანგეთის კანონმდებლობით, ფულის გათეთრებით ქმედების კვალიფიკაციისას არაა აუცილებელი, ძირითადი დანაშაულისათვის დაწყებული იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ საფრანგეთში ძირითადი დანაშაულის დევნა შეუძლებელია, მაგალითად, იმიტომ, რომ ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა.⁵⁰²

⁵⁰¹ იხ. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, თავი მე-4, <http://yurist-online.org/> (23.12.2021 მდგომარეობით)

⁵⁰² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 76.

პროკურატურაზე მტკიცების ტვირთი კიდეც უფრო შემცირდა 2013 წლის 6 დეკემბრის №2013-1117 აქტის შემდეგ, რომლითაც შეიქმნა სისხლის სამართლის კოდექსის 324-1-1 მუხლი. ამ დებულების თანახმად, სანამ სხვა რამ არ დამტკიცდება, ქონება ან შემოსავალი განიხილება, როგორც დანაშაულის პირდაპირი ან არაპირდაპირი შემოსავალი, თუ ინვესტიციის, დამალვის ან კონვერტაციის ოპერაციის მატერიალურ, სამართლებრივ ან ფინანსურ პირობებს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა დასაბუთება, გარდა წარმოშობის დამალვისა, ან ასეთი ქონების ან შემოსავლის ბენეფიციარი მფლობელის დაფარვისა. მოპასუხის პასუხისმგებლობაა, წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ თანხები ან ქონება კანონიერად იქნა მოპოვებული.⁵⁰³

ამდენად, საფრანგეთში შესაძლებელია ფულის გათეთრების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა და მსჯავრდება, კონკრეტული ძირითადი დანაშაულის მითითების გარეშე.⁵⁰⁴

საბოლოოდ გამოდის, რომ ამ ნაწილში საფრანგეთის კანონმდებლობა ფაქტობრივად საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციას ანალოგიურია, რომლის მიხედვით, სსკ 194-ე მუხლის საგნად ითვლება დაუსაბუთებელი ქონება, სადაც მტკიცების ტვირთი თავად ბრალდებულზეა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი შედგება ორი დამამძიმებელი ქვეპუნქტისაგან:

პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ქმედება, თუ იგი ჩადენილია სისტემატურად ან იმ შესაძლებლობის გამოყენებით, რაც დაკავშირებულია პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან;

მეორე ქვეპუნქტის მიხედვით, დამამძიმებელი გარემოებაა, თუ ეს ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ბანდის მიერ.

ამ შემთხვევებში სასჯელის სახით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით, ან ჯარიმა (რა თქმა უნდა, გაზრდილი ოდენობით).

ამ დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას ორმაგდება როგორც ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ვადა, ისე ჯარიმის ოდენობა.

⁵⁰³ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 76.

⁵⁰⁴ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 76.

დასახელებულ დამამძიმებელ გარემოებათა ნაწილი ანალოგიურია საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოებისა, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (194-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.) და ორგანიზებული ჯგუფის მიერ (194-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.).

რაც შეეხება ქმედებას, რაც ჩადენილია სისტემატურად, ამგვარ დამამძიმებელ გარემოებას, არ იცნობს საქართველოს სსკ 194-ე მუხლი.

საერთოდ, საქართველოში სისტემატურობა იშვიათად არის დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება (მაგ., ძალადობისას - სსკ 126-ე მ. 1² ნაწ.).⁵⁰⁵ ამასთან, ხშირ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ნორმის დამაფუძნებელ გარემოებას (მაგ., ადევნებისას - სსკ 151¹ მუხ.).⁵⁰⁶

რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის ოდენობას (ვთქვათ, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობა), განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, საფრანგეთის კანონმდებლობით იგი არ წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.

საფრანგეთის სსკ 324-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილით დადგენილი ჯარიმის ოდენობა შეიძლება გაიზარდოს იმ ქონების ან ფულადი სახსრების ოდენობის ნახევრამდე, რომელ ქონებათა მიმართეაშიც ხორციელდებოდა გარეცხვის ოპერაცია.

ეს დანაწესი ჯარიმის ოდენობის ნაწილში განსხვავდება გერმანიის კანონმდებლობით დადგენილი დანაწესისაგან. გერმანიის კანონმდებლობით, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, დანიშნული ჯარიმა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე იმ ქონების ღირებულება, რის გათეთრებასაც აპირებდა პირი.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის სსკ 324-ე მუხლის მე-3 ნაწილით არაა გათვალისწინებული რაიმე ახალი დამამძიმებელი გარემოება, არამედ იგი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისას, თუკი სასჯელის სახით დანიშნულ იქნა ჯარიმა, გაზარდოს მისი ოდენობა იმ ქონების ოდენობის ნახევრამდე, რომელთანაც

⁵⁰⁵ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. პირვ. რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 211-213.

⁵⁰⁶ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. პირვ. რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ. 445-452; 457-458.

მიმართებაში ხორციელდებოდა ფულის გარეცხვის ოპერაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლოს ამ დროს შეუძლია იხელმძღვანელოს არა ჯარიმის იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სსკ 324-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით, არამედ ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ისეთი ნაწილის არსებობა, რომელიც არ ითვალისწინებს რაიმე დამამძიმებელ გარემოებას, არამედ მხოლოდ სასჯელის საკითხს აგვარებდეს, უცხოა საქართველოს კანონმდებლობისთვის. საჯელის ზომასთან დაკავშირებული ნებისმერი საკითხი კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციაშივეა გადაწყვეტილი. ამ თვალსაზრისით საფრანგეთის საკანონმდებლო ტექნიკა არსებითად განსხვავდება საქართველოს საკანონმდებლო ტექნიკისაგან.

ინტერესს იწვევს სსკ 324-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი, რომელიც აწესრიგებს რეციდივის შემთხვევას.

კერძოდ, რეციდივის დროს, ფულის გათეთრებისკენ მიმართული ქმედება გათანაბრებულია იმ დანაშაულთან, რომელთანაც დაკავშირებით ჩადენილ იქნა ქონების გათეთრებისკენ მიმართული ოპერაცია.

ეს ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთის კანონმდებელმა, რეციდივის შემთხვევაში ფულის გათეთრებისკენ მიმართული ოპერაცია თავისი სიმძიმით (ანუ სოციალური საშიშროებით) გაუთანაბრა წინარე (ძირითად) დანაშაულს.

ამდენად, რეციდივის შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უთანაბრდება არა წინარე გადაცდომას (რომლის მეშვეობითაც იქნა მოპოვებული უკანონო შემოსავალი), არამედ წინარე (ძირითად) დანაშაულს.

ეს რეგულაცია სრულებით განსხვავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესისაგან, რომლის მიხედვით, არც ერთი სახის რეციდივი არ ითვლება წინარე დანაშაულის ტოლფასოვან ქმედებად. რეციდივი შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის დამამძიმებელ (მაკვალიფიცირებელ) გარემოებად (იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის), ან იმ გარემოებად, რაც ამძიმებს სასჯელს (სსკ 58-ე მ.).⁵⁰⁷

⁵⁰⁷ სსკ 58-ე მუხლის შესახებ იხ. ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 605-607; დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 105-111.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა პირი ნასამართლევია იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ქმედების ხელმეორედ ჩადენის შემთხვევაში, პასუხს აგებს სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-ით (ჩადენილი არაერთგზის). ანუ რეციდივი მხოლოდ სსკ 194-ე მუხლის ფარგლებში ამძიმებს პასუხისმგებლობას, რაც საკითხის უფრო სამართლიანი გადაწყვეტაა.

საფრანგეთის სსკ 324-ე მუხლის მე-6 ნაწილით მოწესრიგებულია სასჯელის საკითხი ამ დანაშაულის მცდელობისას. კერძოდ, დაწესებულია, რომ მცდელობის შემთხვევაში ქმედება ისჯება იგივე სასჯელით, რაც დაწესებულია ამ მუხლით.

საქართველოს კანონმდებლობით, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხი გადაწყვეტილია არა სსკ კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლში, არამედ იგი ერთიანადაა მოწესრიგებული სსკ ზოგადი ნაწილის 56-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისას სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობაში - მისი დანიშვნა დაუშვებელია (56-ე მ-ის მე-4 ნაწ.). სხვა სასჯელთან მიმართებაში კი სასამართლო მხედველობაში იღებს გარემოებებს, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი (56-ე მ. პირველი ნაწ.). ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სახის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო არაა შეზღუდული იმ ფაქტით, რომ სახეზეა დაუმთავრებელი დანაშაული (მაგ., მცდელობა).⁵⁰⁸

გაუსამართლებიათ თუ არა საფრანგეთში ბანკები ან სხვა რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტები ან მათი დირექტორები, ოფიცრები ან თანამშრომლები ფულის გათეთრებისთვის?⁵⁰⁹

როგორია ხანდაზმულობის ვადა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის?

საფრანგეთში ფულის გათეთრების ფაქტზე დევნის ხანდაზმულობის ვადა ადრე სამი წელი იყო. ახალი კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 მარტს, ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის დღიდან ექვსი წლის ხანდაზმულობის ვადას. როდესაც დანაშაულის არსებობა დამალულია (ანუ სახეზეა ლატენტური დანაშაული),

⁵⁰⁸ სსკ 56-ე მუხლის შესახებ იხ. ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 600-603; დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 116-117.

⁵⁰⁹ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 78.

ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა გადის იმ დღიდან, როცა დანაშაულებრივი ფაქტი ამკარა გახდა და ამდენად, მისი ჩამდენის მიმართ შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა შეუძლებელია 12 წლის შემდეგ.⁵¹⁰

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის კანონმდებლობა სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხს ორ ჯგუფად ყოფს: 1. იმ ქმედებისასთვის სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა, რომელია ლატენტურია (ანუ შესაბამისი ქმედების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ორგანოსთვის უცნობია); და 2. როცა ქმედება გამჟღავნდა, მაგრამ მისი ჩამდენის ვინაობა დასადგენი.

ამგვარი რეგულაცია უცხოა საქართველოს კანონმდებლობისათვის, რომელიც ითვალისწინებს სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ერთიან ვადას, რაც მოიცავს იმ პერიოდს, რომელიც გავიდა დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის სს-ივ პასუხისგებაში მიცემამდე.⁵¹¹

თუ არსებობს ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის? თუ ისჯება უცხოეთში ჩადენილი დანაშაულით მოპოვებული ფულის გათეთრება?

საფრანგეთის სასამართლოებს აქვთ იურისდიქცია საფრანგეთში ჩადენილ ყველა დანაშაულზე, ისევე როგორც საფრანგეთის მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებზე, თუმცა, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისა, არსებობს პირობა, რომ ქმედება დასჯადი იყოს იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც იგი ჩადენილია.

არსებობს, ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულზე.

საფრანგეთის სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილების თანახმად, ფულის გათეთრებაზე ასევე იქნება ექსტერიტორიული იურისდიქცია, თუკი ეს დანაშაული არ

⁵¹⁰ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 77.

⁵¹¹ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხზე, იხ. ბიჭია შ, ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2010, გვ. 14-124; ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ, 2019, გვ. 672-674.

არის განცალკევებული საფრანგეთში ჩადენილი ძირითადი დანაშაულისგან. ანუ თუ ძირითადი დანაშაული ჩადენილი იყო საფრანგეთში.⁵¹²

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით

3.1. კანონმდებლობის ანალიზი

ავსტრიაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავში, რომელიც ეხება სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.⁵¹³

კერძოდ, სსკ 165-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, ის ვინც დაფარავს იმ ქონების შემადგენელ ნაწილებს, რომელიც მოპოვებულია დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად, რაც გათვალისწინებულია სსკ 304-308 პარაგრაფებით, ან ფინანსური სამართალდარღვევით, რაც მიეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას და დაკავშირებულია კონტრაბანდასთან ან გადასახადის გადახდასთან, ან როცა პირი ფარავს ამ ქონების წარმოშობას, განსაკუთრებით თუ იგი უფლებამოსილ პირს წარუდგენს ყალბ მონაცემს ამ ქონების წარმომავლობაზე, მისი შემადგენელი ნაწილების ნამდვილ თვისებაზე, ამ ქონების მიმართ საკუთრების ან სხვა სახის უფლებაზე, ქონებასთან დაკავშირებულ უფლებებზე ან მის განკარგვაზე, გადაცემაზე ან ადგილმდებარეობაზე - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე ან ფულადი ჯარიმით 360 დღიური ანაზღაურების ოდენობით.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის (StGB) 165-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ფულის გათეთრებას შემდეგი ელემენტებით განსაზღვრავს: (1) ფული ან სხვა აქტივები არის ძირითადი დანაშაულის შემოსავლები; (2) შემოსავლები განზრახ დამალულია ან წარმომავლობა შენიღბულია; და (3) დამნაშავემ იცის, რომ ფული ან სხვა აქტივები არის შემოსავლები,

⁵¹² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 77.

⁵¹³ იხ. ავსტრიის სსკ მე-6 განყოფილების 165-ე პარაგრაფი.

რომლებიც გამომდინარეობს ძირითადი დანაშაულიდან და ამ კუთხით მოქმედებს განზრახ.⁵¹⁴

165-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის მიხედვით, ასევე დაისჯება ის, ვინც შეგნებულად შეიძენს ასეთი ქონების ნაწილს, ინახავს მას, სარგებლობს მისით, გაცვლის, გაასაღებს ან გადასცემს მას სხვა პირს.

როგორც ვხედავთ, 165-ე მუხლის მე-2 ნაწილი StGB ფულის გათეთრებად მიიჩნევს თანხის მიღებას, შენახვას, ინვესტიციას, ადმინისტრირებას, კონვერტაციას, რელიზაციას ან გადაცემას, თუ დამნაშავემ იცის, რომ შემოსავლები მიღებულია ძირითადი დანაშაულიდან.⁵¹⁵

ამდენად, მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, ავსტრიაშიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ სხვა სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ 165-ე პარაგრაფში დაკონკრეტებულია ამ სამართალდარღვევათა სახეები.

ამავე დროს დანაშაულის საგნად აღიარებულია არა ქონება, არამედ მისი შემადგენელი ნაწილი, რითაც ხაზგასმულია, რომ მთლიანობაში ქონება, შეიძლება, არ იყოს მოპოვებული სამართალდარღვევით, არამედ იყოს კანონიერი გზით შეძენილი. საკმარისია, ამ ქონების რაღაც ნაწილი იყოს მოპოვებული სამართალდარღვევის გზით. შესაბამისად, ლეგალიზებული ქონების ოდენობაც ან ნაწილის მიხედვით იანგარიშება.

რაც შეეხება დაუსაბუთებელ ქონებას, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, იგი ავსტრიის სს კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული 165-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად.

ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედებები თითქმის ემთხვევა საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ობიექტური მხარის ნიშნებს (ქონების დაფარვა, მისი წარმოშობის, საკუთრების უფლების დაფარვა და სხვ.).

ამასთან, განსხვავებით საქართველოს სს კოდექსის 194-ე მუხლისაგან, ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს, ანუ

⁵¹⁴ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 45.

⁵¹⁵ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 45.

ალტერნატიულ ქმედებას წარმოადგენს ქონების შენიღბვის ისეთი სახე, როცა დამნაშავე ქონების წარმომავლობაზე ყალბ მონაცემს წარუდგენს უფლებამოსილ პირს. ამდენად, ადგილი აქვს უფლებამოსილი პირის შეცდომაში შეყვანის შემთხვევას, თუნდაც ამის მცდელობას.

თვალში საცემია სსკ 165-ე პარაგრაფის საკანონმდებლო ტექნიკის თავისებურება, რომლის მიხედვითაც ამ პარაგრაფის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულია ფულის გათეთრებისათვის გამოყენებული სხვა ქმედებები (ქონების შეძენა, სარგებლობა და ა.შ.), რისთვისაც იგივე სასჯელია დაწესებული, რაც დადგენილია ამ პარაგრაფის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედებებისთვის.

ამასთან, განსახილველი პარაგრაფის მეორე ნაწილი არ წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას, რადგან იგი მხოლოდ დისპოზიციისაგან შედგება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ ქმედებებისათვის პირი ისჯება ისევე, როგორც პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედებისათვის.

165-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი ფულის გათეთრებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავე შეგნებულად იღებს, აკავებს, ინვესტირებას ახორციელებს, მართავს, გარდაქმნის, ახორციელებს ან გადასცემს მესამე პირს ფულს ან სხვა აქტივებს, რომლებიც კონტროლდება კრიმინალური ორგანიზაციის, ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან ტერორისტული ორგანიზაციის დავალებით ან მისი ინტერესებიდან გამომდინარე.⁵¹⁶

ეს დამამძიმებელი გარემოებები რამდენადმე განსხვავდება საქართველოს სსკ 194-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებისაგან. კერძოდ, განსხვავებით საქართველოს სსკ 194-ე მუხლისაგან, ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფით დამამძიმებელ გარემოებად არაა გათვალისწინებული ამ დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, ამ დანაშაულისათვის ნასამართლევის მიერ (არაერთგზის), რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით (მე-2 ნაწ.), ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (მე-3 ნაწ.), ასევე ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.⁵¹⁷

⁵¹⁶ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 45.

⁵¹⁷ ამ დამამძიმებელი გარემოების არსზე იხ. წინამდებარე ნაშრომის შესაბამისი თავი, სადაც განხილულია სსკ 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები.

ამ უკანასკნელი დამამძიმებელი გარემოების გაუთვალისწინებლობა მით უფრო გაუგებარია იმის მხედველობაში მიღებით, რომ ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფის პირველში გაზგასმითაა აღნიშნული ისეთი ქმედება, როცა პირი ყალბ მონაცემს წარუდგენს იფიციალურ ორგანოს ფულის წარმომავლობაზე. ამ ვითარებაში, ლოგიკური იქნებოდა, დამამძიმებელ გარემოებად ყოფილიყო გათვალისწინებული ფულის გათეთრება იმ პირის მიერ, ვინც ამ დანაშაულის ჩასადენად იყენებს მის სამსახურებრივ მდგომარეობას.

რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ.), იგი ემსგავსება ავსტრიის სსკ 165-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას - ჩადენილი კრიმინალური ორგანიზაციის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, ან მათი დავალებით ან მათი ინტერესებოდან გამომდინარე.

ფულის გათეთრების მიზნებისთვის, ძირითადი დანაშაულებებია (§ 165 პუნქტი 1 StGB):

- ყველა დანაშაული, რომელსაც პოტენციური სასჯელი აქვს ერთ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთით; და
- ცალსახად ნახსენები უფრო დაბალი პოტენციური სასჯელის მქონე ზოგიერთი კონკრეტული დანაშაული (მაგალითად, დოკუმენტის გაყალბება და სხვ.).

გადასახადებისგან თავის არიდება შეიძლება, გარემოებებიდან და თანხებიდან გამომდინარე, დასჯადი იყოს ავსტრიის ფინანსური დანაშაულის კოდექსით და ასევე შეიძლება ჩაითვალოს წინარე დანაშაულად, იმ პირობით, რომ კონკრეტული შემთხვევა ისჯება მაქსიმუმ ერთ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთით.⁵¹⁸

სსკ 165-ე პარაგრაფის მეოთხე ნაწილში განსაზღვრულია, თუ რას ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედებიდან წარმომდგარი ქონების ნაწილი.

კერძოდ, ქონების შემადგენელი ნაწილები ჩაითვლება დანაშაულებრივი ქმედებიდან წარმომდგარ ქონებად, თუ:

ა) ისინი მიღებული იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად.

⁵¹⁸ ob. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 45.

იგულისხმება შემთხვევა, როცა პირმა წინარე (ძირითადი) დანაშაულის (მაგალითად, ადამიანთ ვაჭრობის) ჩადენით მოიპოვა ქონება;

ბ) ან გამიზნული იყო მათ ჩასადენად.

იგულისხმება შემთხვევა, როცა ქონება გამიზნულია რაიმე დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გადარიცხული ქონება, რაც გამიზნულია ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად;

გ) ასევე თუ ამ ქონების ღირებულება ტოლფასოვანია იმ ფასეულობის ღირებულებისა, რომელიც თავიდან იყო მოპოვებული ან მიღებული.

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის საგანი მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა საქართველოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს, რომელიც მოპოვებული უნდა იყოს დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევისაგან. საქართველოს კანონმდებლობით სსკ 194-ე მუხლის საგანს არ წარმოადგენს ქონება, რაც გამიზნული იყო დანაშაულის ჩასადენად.

საქართველოს კანონმდებლის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, რადგან დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, ტერორიზმის დასაფინანსებლად) გამიზნული ფულის გადარიცხვა ტერორისტული ორგანიზაციისათვის (სსკ 331¹ მ.), არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლინებად.⁵¹⁹ ასევე, ვთქვათ, უკანონო ფორმირების დასაფინანსებლად თანხის მიწოდება შესაბამისი ფორმირებისთვის (სსკ 223-ე მ. მე-4 ნაწ.)⁵²⁰ არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლინებად. ამ ქმედებების ჩადენით პირი ვერ შენიღბავს უკანონო შემოსავალს, ვერ წარმოაჩენს მათ როგორც ვითომც ლეგალურ ქონებას. პირიქით, ეს ფული, მიუხედავად იმისა, ამ ქმედებების ჩადენამდე მოპოვებული იყო სამართალდარღვევის გზით, თუ მართლზომიერად, უკვე გადაიქცევა დანაშაულის საგნად (მაგ., ტერორისტული დანაშაულის საგნად).

⁵¹⁹ ამ დანაშაულის არსზე იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, რედ. მამულაშვილი, თოდუა, თბ. 2020, გვ. 350-354.

⁵²⁰ ამ დანაშაულის არსზე იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 266-273.

ამგვარი ქმედებები საქართველოში წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ დანაშაულს (მაგ., სსკ 331¹ მ. ან სსკ 223-ე მ. მე-4 ნაწ.), ანდა იგი დაკვალიფიცირდება, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში (მაგ., თანამონაწილეობა ნარკოტიკული მცენარის მოყვანაში - 25, 265-ე მ.).

ფულის გათეთრებისთვის არსებობს მხოლოდ ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა, თუ ასევე კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი (StGB) შეიცავს დებულებებს ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გარდა ამისა, ავსტრიამ 2005 წელს შემოიღო აქტი კორპორაციული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ (Verbandsverantwortlichkeitsgesetz) და კორპორაციები და ფინანსური ინსტიტუტებიც შესაძლოა, დაექვემდებარონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ფულის გათეთრებისთვის.⁵²¹

რა მაქსიმალური სასჯელებია (მათ შორის, ჯარიმები) დაწესებული ავსტრიაში ფულის გათეთრებისთვის მსჯავრდებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე?

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი დანაშაულიდან მიღებული შემოსავალი აღემატება 50 000 ევროს ღირებულებას ან თუკი ფულის გათეთრება ჩადენილია ფულის გათეთრებისთვის შექმნილი დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრის მიერ, მაქსიმალური სასჯელი არის 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სხვა შემთხვევაში, მაქსიმალური სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.

მაქსიმალური სასჯელი კორპორაციებისთვის არის 1 300 000 ევრო იმ შემთხვევებში, როდესაც ფიზიკური პირების მაქსიმალური სასჯელი 10 წლამდეა, ხოლო 850 000 ევრო იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური პირების მაქსიმალური სასჯელი სამი წელია.⁵²²

თუ არსებობს ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის? ისჯება თუ არა უცხო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრება?

⁵²¹ იხ. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 46.

⁵²² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 46.

ზოგადად, ავსტრიის სისხლის სამართლის კანონი გამოიყენება, თუ დანაშაული ჩადენილია ავსტრიაში (62-ე მუხლის StGB) ან ავსტრიის დროშის ქვეშ მომუშავე თვითმფრინავზე/გემზე (სგბ 63-ე მუხლი).

უცხოეთში ჩადენილი დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები კვალიფიცირდება როგორც ძირითადი დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები STGB 165-ე მუხლის მიხედვით, თუ დანაშაული დასჯადი იყო მისი ჩადენის ადგილზე და იგი (ძირითადი დანაშაული) ავსტრიაში წარმოადგენს წინარე დანაშაულს.⁵²³

3.2. ავსტრიის სსკ 165^a პარაგრაფი

ავსტრიის სსკ 165^a პარაგრაფი აწესრიგებს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ქმედითი მონაწილების საკითხს.

ამ პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, ფულის გათეთრებისათვის არ დაისჯება ის, ვინც ნებაყოფლობით და მანამ, სანამ სათანადო ორგანოსთვის ცნობილი გახდება მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, შესაბამის ორგანოზე უშუალო შეტყობინებით, ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს იმ ქონებრივი ფასეულობის მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნებას, რაც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან.

როგორც ვხედავთ, სსკ 165^a პარაგრაფით გათვალისწინებული სასჯელით არ დაისჯება პირი, თუკი სახეზეა შემდეგი წინაპირობა: ა) პირმა ნებაყოფლობით და უშუალოდ უნდა შეატყობინოს სათანადო ორგანოებს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ;⁵²⁴ ბ) ეს შეტყობინება უნდა მოხდეს მანამ, სადან სათანადო ორგანოსთვის ცნობილი გახდება ამ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ; გ) ან ჩაიდინოს სხვაგვარი ქმედება, რომლითაც ხელი უნდა შეუწყოს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ქონებრივი ფასეულობის მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნებას.

⁵²³ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 45.

⁵²⁴ საკითხზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ნებაყოფლობითობა, იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 252-259; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 316-323; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 94-102.

როგორც ვხედავთ, პირმა ან უშუალოდ უნდა შეატყობინოს შესაბამის ორგანოს მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, ან შესაძლოა, არ შეატყობინოს, მაგრამ სხვა ქმედებით უნდა შეუწყოს ხელი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნებას.

ამ დანაწესით ავსტრიის კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ საფრთხეს, რაც დაკავშირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან - ქონებრივი ფასეულობის ქვეყნიდან გადინების (გაფრენის) და შესაბამისად, მისი დაკარგვის საფრთხეს.

სსკ 165^ა პარაგრაფის მეორე ნაწილის მიხედვით, თუკი ქონებრივი ფასეულობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც დაკავშირებული იყო ფულის გათეთრებასთან, შენარჩუნებულ იქნა დანაშაულის ჩამდენის მონაწილეობის გარეშე, მაშინ ეს პირი არ დაისჯება იმ შემთხვევაში, თუკი მან არ იცოდა ამის შესახებ და ნებაყოფლობით და სერიოზულად შეეცადა ამ ქონების შენარჩუნებას.

იგულისხმება შემთხვევა, როცა დანაშაულში მონაწილე პირი სერიოზულად შეეცადა ქონების შენარჩუნებას და ამავე დროს არ იცოდა, რომ ეს ქონება უკვე შენარჩუნებული იყო სხვა პირთა (მაგ., სამართალდამცავთა) ძალისხმევით.

შეიძლება პარალელი გავავლოთ ამ დანაწესსა და იმ ვითარებას შორის, როცა პირი სერიოზულად ცდილობს ნებაყოფლობით აიღოს ხელი დანაშაულზე (ვთქვათ, მკვლელობაზე), თუმცა მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მაგალითად, სიკვდილი) სხვა პირთა ქმედებით იქნა აცილებული, რაც ამ პირმა არ იცოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, პირს, რომელსაც ჰქონდა სერიოზული მცდელობა, ხელი აეღო დანაშაულზე, არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი დაუმთავრებელი დანაშაულისათვის (ვთქვათ, მკვლელობის მცდელობისათვის).⁵²⁵ მას ასეთი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუკი მის მიერ ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს (საქართველოს სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწ.).⁵²⁶

⁵²⁵ იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 119-123.

⁵²⁶ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსზე იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 252-259; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 316-323; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 94-102.

როგორც ვხედავთ, ავსტრიის კანონმდებელმა საკანონმდებლო დონეზე ანალოგიურად გადაწყვიტა ფულის გათეთრებისას ქონების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, პირის სერიოზული მცდელობის საკითხი, შენარჩუნებულ იქნეს ის ქონებრივი ფასეულობა, რაც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან - ასეთი პირი არ დაექვემდებარება ავსტრიის სსკ 165^ა პარაგრაფით გათვალისწინებულ სასჯელს.

ბრძოლა ფულის გათეთრებასთან

ავსტრიის კანონმდებლობით, ფულის გათეთრების (ML) დანაშაული ზოგადად ყოვლისმომცველია და შეესაბამება ვენისა და პალერმოს კონვენციებს. მაგრამ ავსტრიისათვის, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის ქვეყნისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა არ წარმოადგენს პრიორიტეტს. პრაქტიკაში იმის აუცილებლობა, რომ პრედიკატული დანაშაული დამტკიცებული იქნეს გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით, რათა დამტკიცდეს სახსრების უკანონო წარმომავლობა, ზღუდავს ML-ის სხვადასხვა ტიპის გამოვლენის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების შესაძლებლობას (განსაკუთრებით უცხო ქვეყანაში ჩადენილ წინარე დანაშაულებთან მიმართებაში).⁵²⁷ სასამართლოს მიერ ფულის გათეთრების მიმართ გამოყენებული სანქციები არ არის დამაბრკოლებელი, რადგან რეალურად გამოყენებული ჯარიმები ძალიან დაბალია (ჩვეულებრივ, პირობითი მსჯავრდება პირველად ჩადენის შემთხვევაში). ამის გამო, პროკურორები, როგორც წესი, აქცენტს არ აკეთებენ ML-ის ბრალდებაზე. სამაგიეროდ ფოკუსირებულნი არიან ძირითად დანაშაულზე.⁵²⁸

ავსტრიაში მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი ხარვეზია საბანკო ანგარიშების გაყინვის საფეხურზე არსებული პრობლემა („დაყადაღება“). კერძოდ, საბანკო ანგარიშის დაყადაღების უფლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი შეძლებს სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ ასეთი ბრძანების გარეშე არსებობს აქტივების დაშლის კონკრეტული რისკი. ეს ძალიან დიდი იურიდიული ტვირთია, განსაკუთრებით ვენის რეგიონში. ამის შედეგად და ძირითად

⁵²⁷ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 37-38.

⁵²⁸ იხ. იქვე, გვ. 38.

(პრედიკატულ) დანაშაულზე ფოკუსირების აუცილებლობის გამო, პროკურორები თავს იკავებენ ასეთი აქტივების დაყადაღებისაგან.⁵²⁹

აქედან გამომდინარე, ავსტრიას მიეცა რეკომენდაცია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ პრაქტიკაში ძირითადი დანაშაულის დამტკიცება საჭირო არ გახდეს გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად, ML-ის დევნისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.⁵³⁰

ასევე მიეცა რეკომენდაცია, საჭიროებისამებრ შეცვალონ კანონი ან პროცედურები, რათა შემცირდეს ტვირთი, რომელსაც პროკურორები აწყდებიან ასეთი ანგარიშების დაყადაღებისას.⁵³¹

ავსტრიაში STR-ების (რეპორტი/ანგარიში) დაყოფა საეჭვო ძირითადი აქტივობის ტიპებად მოიცავს სხვადასხვა დანაშაულს (მაგ., ტერორიზმის დაფინანსება, კორუფცია, თაღლითობა საგადასახადო დარღვევები), მაგრამ ანგარიშების რეჟიმი ზედმეტად ორიენტირებულია ერთ-ერთ ძირითად დანაშაულზე, კერძოდ, თაღლითობაზე.⁵³²

ავსტრიაში FIU-ს (ფინანსური მონიტორინგის სამსახური) შეფასებით, BKA-ში (ფედერალური კრიმინალური პოლიციის ოფისი) გავრცელებული ყველა STR-ის (რეპორტი/ანგარიში) დაახლოებით 90% ეხება თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს (ანუ ტრანზაქციები თავისთავად წარმოადგენს ძირითადი დანაშაულის ჩადენას).⁵³³

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს შემდეგი საკითხი: იყო არაერთი შემთხვევა (სხვადასხვა ტიპის მოხსენებებში), როდესაც მომხმარებლებმა გაიგეს, რომ STR (ანუ რეპორტი/ანგარიში) წარდგენილი იყო მათ მიმართ და წამოაყენეს საჩივრები. ეს დაკავშირებულია FIU-ს (ფინანსური მონიტორინგის სამსახური) მიერ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებასთან, როდესაც საქმეში არსებობს მტკიცებულება, ვინაიდან მოცემული პირი უნდა იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ ეჭვის

⁵²⁹ შეად. იქვე.

⁵³⁰ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 39.

⁵³¹ იქვე.

⁵³² FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 42-43.

⁵³³ FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 44.

საგანზე. ეს კი საფრთხეში აყენებს ანგარიშგების მთელ სისტემას და სერიოზულ შემოფოთებას იწვევს მის ეფექტურობასთან დაკავშირებით. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ვალდებულ სუბიექტებს შორის ანგარიშგების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზიც.⁵³⁴ ავსტრიაში ადამიანებით ვაჭრობა/მიგრანტების კონტრაბანდა აღიქმება მაღალი რისკის მქონე დანაშაულად, მაგრამ ML-თან დაკავშირებული ცოდნა ძალზე შეზღუდულია, რადგან აქამდე არავინ ყოფილა ნასამართლევია ფულის გათეთრებისთვის ამ ძირითად დანაშაულებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ორგანიზებული დანაშაული (იტალიური, აღმოსავლეთ ევროპული) ML-ის თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველია, მაგრამ ამ რისკებთან დაკავშირებული ML საქმეები არ განიხილება. საგამომიებო და პროკურატურის უწყებები ავსტრიაში კონცენტრირებულნი არიან წინარე დანაშაულებებზე და არა ML-ის დანაშაულებებზე. როგორც უკვე აღინიშნა, ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია ML-ის დასამტკიცებლად პრაქტიკაში არსებული სირთულეებით - გონივრული ეჭვის მიღმა მტკიცებულებების გარეშე ძირითადი დანაშაულის დამტკიცებულების გარეშე სახსრების უკანონო წარმომავლობის დამტკიცების შეუძლებლობით.⁵³⁵

არსებობს მოსაზრება, რომ ავსტრიაში არ არსებობს ეროვნული ძალისხმევა ML დანაშაულის გამოვლენის თაობაზე.⁵³⁶

ძირითადი (ანუ პრედიკატული) დანაშაულების ორი მესამედი, რომელიც იწვევს მსჯავრდებას ML-ისთვის, დაკავშირებულია თაღლითობის ან ნარკოდანაშაულის სხვადასხვა ფორმებთან. ერთი მესამედი მოიცავს ფინანსურ დანაშაულს, ქურდობის დანაშაულს, ნდობის ბოროტად გამოყენებას ან მითვისებას. ქურდობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და თაღლითობა ავსტრიაში მსჯავრდებულებისა და გამომიების სტატისტიკის მიხედვით მთავარი პრედიკატული დანაშაულია.⁵³⁷

⁵³⁴ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 44-45.

⁵³⁵ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 46-47.

⁵³⁶ შეად. იქვე. გვ. 47.

⁵³⁷ იქვე, გვ. 47.

3.3. სანქციების ეფექტურობა, პროპორციულობა და დამაბრკოლებელი ძალა

კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ავსტრიაში არის სხვა სერიოზულ სამართალდარღვევებთან შედარებით რეალურად დაწესებული დაბალი სანქციები. მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, რეალურად გამოყენებული ჯარიმები ძალიან დაბალია. პირობითი მსჯავრდება არის ჩვეულებრივი პრაქტიკა პირველად ჩადენილი დარღვევისთვის.⁵³⁸

როგორც ირკვევა, ავსტრიაში სასჯელის სახით დანიშნულია ან ჯარიმა, ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა. ამდენად, ეს სასჯელები აშკარად უფრო ლმობიერია, ვიდრე ის სასჯელი, რაც საქართველოშია გათვალისწინებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ პროკურორები ხშირად არ აკისრებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ML) დანაშაულებებზე, რადგან ეს უბრალოდ არ ღირს ძალისხმევად.⁵³⁹

ავსტრიაში, დანაშაულთა ერთობლიობისას დანიშნული სასჯელები იკრიბება. ანდა, ისევე როგორც საქართველოში, აქაც დანიშნული სასჯელები საბოლოოდ შთანთქმევა უფრო მკაცრი სასჯელით. ამიტომაც საბოლოოდ დანიშნული სასჯელიდან შეუძლებელია წინარე (პრედიკატული) დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის გამოყოფა.

ავსტრიაში არ არსებობს სტატისტიკა ქვეყნიდან წასული კრიმინალური აქტივების შესახებ ან ასეთი აქტივების უზრუნველსაყოფად გამოყენებული დროებითი ზომების შესახებ. არც რეპატრირებულ (ანუ უკან დაბრუნებულ) თანხებზე არსებობს სტატისტიკა. ამასთან, 2011-2014 წლების მოწოდებულ სტატისტიკაში შეუძლებელია დროებით ზომებს დაქვემდებარებული მთლიანი თანხის (დაყადაღებული) და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (კონფისკირებული ან ჩამორთმეული) მთლიანი თანხის შედარება. არ არსებობს სტატისტიკა 2015 წლამდე ჩამორთმეული თანხებისა და ავსტრიის ფედერალურ ხაზინაში შემოტანილი თანხების შესახებ. პოზიტიური ტენდენციაა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაიზარდა კონფისკაციების

⁵³⁸ შეად. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 48.

⁵³⁹ FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris, s. 49-50.

რაოდენობა და 2014 წელს 25 მილიონ ევროზე მეტი შეიტანეს ფედერალურ ხაზინაში.⁵⁴⁰

ბოლო წლებში ავსტრიის LE ხელისუფლება საკმაოდ ერიდებოდა ისეთი საგნების ჩამორთმევას, როგორცაა ნახატები, ტანსაცმელი, ფაიფურის ფიგურები და სხვა. ამ სიტუაციიდან მომდინარე იქნა შემდეგი გამოსავალი: მიღწეული იქნა ლომბარდულ კომპანიასთან შეთანხმება, რომ აუქციონის სახლი დაეხმარება ავსტრიის სამართალდამცავ ორგანოებს აქტივების ღირებულების დადგენაში და დაყადაღებული აქტივების შენახვასა და გაყიდვაში (PPC მუხლი 115). ეს გაკეთდა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ დაყადაღებული აქტივების ღირებულების დაკარგვა და მაღალი დეპოზიტის ხარჯები. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ ხელოვნების ნიმუშების, სამკაულების ან ანტიკვარული ნივთების, ასევე მანქანის ან სამრეწველო აღჭურვილობის ჩამორთმევის შემთხვევებზე აუქციონის სახლი უზრუნველყოფს არა მხოლოდ საჯარო აუქციონზე გაყიდვას, არამედ მანამდე ღირებულებების ლოგისტიკას, შენახვას და შეფასებას.⁵⁴¹

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით

4.1. კანონმდებლობის ანალიზი

შვეიცარიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 თავით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქვეყნის იუსტიციის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.⁵⁴²

მუხლი 305^{bis} 346

ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ქმედებას, რაც მიზნად ისახავს იმ აქტივების წარმოშობის იდენტიფიკაციის

⁵⁴⁰ იხ. იქვე, გვ. 52-53.

⁵⁴¹ იხ. იქვე, გვ. 53-54.

⁵⁴² იხ. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 თავი - დანაშაულები და მისდამინორები, მუხლი 305^{bis} 346

შეფერხებას, მიკვლევას ან ჩამორთმევას, რომელზეც მან იცის, ან უნდა იცოდეს, რომ წარმოშობილია მძიმე ან დამამძიმებელი საგადასახადო გადაცდომიდან, დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა, ან ფულადი ჯარიმა.⁵⁴³

როგორც ვხედავთ, **დანაშაულის საგანი** არის ის ქონება, რაც მოპოვებულია საგადასახადო სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევისაგან. ამდენად, განსხვავებით საქართველოს სსკ 194-ე მუხლის დანაწესისაგან, დანაშაულის საგანს შვეიცარიის კანონმდებლობით არ წარმოადგენს დაუსაბუთებელი ქონება.

დანაშაულის **ამსრულებელია** ნებისმიერი პირი, მიუხედავად იმისა, იგი წინარე (ძირითადი ანუ პრედიკატული) დანაშაულის სუბიექტია თუ არა. ამდენად, ძირითადი დანაშაულის ჩამდენი ასევე შეიძლება დაისაჯოს ფულის გათეთრებისთვის.⁵⁴⁴

სუბიექტური მხრივ, სახეზეა **მიზნით დაფუძნებული** (გამიზვნითი) დელიქტი. დამნაშავე მიზნად უნდა ისახავდეს სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონების წარმოშობის იდენტიფიკაციის, მისი მიკვლევის ან ჩამორთმევის შეფერხებას. ამასთან, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, შვეიცარიის სისხლის სამართლი კანონმდებლობით დაკონკრეტებული არაა ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნები, კერძოდ, ქმედებები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ქმედებით (მთავარია, დადგინდეს მუხლში მითითებული მიზანი). ამ თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობა უფრო დახვეწილად უნდა ჩაითვალოს.

განსახილველი ნორმის შემდეგ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს დამამძიმებელი საგადასახადო გადაცდომა. ასეთად ჩაითვლება ნებისმიერი დანაშაული, რომელიც ჩამოყალიბებულია 1990⁵⁴⁵ წლის 14 დეკემბრის ფედერალური აქტის 186-ე მუხლით პირდაპირი ფედერალური გადასახადის შესახებ და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1990⁵⁴⁶ წლის 14 დეკემბრის ფედერალური აქტის პირველი

⁵⁴³ შესწორებულია FA-ს 2014 წლის 12 დეკემბრის No I 4-ით ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების 2012 წლის რევიზიის განხორციელების შესახებ, რომელიც ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან (AS 2015 1389; BBl 2014 605).

⁵⁴⁴ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 220.

⁵⁴⁵ SR 642.11

⁵⁴⁶ SR 642.14

პუნქტით, კანტონებში პირდაპირი ფედერალური გადასახადის ჰარმონიზაციის შესახებ. ასევე კომუნალური გადასახადის დონეები, თუ რომელიმე საგადასახადო პერიოდში გადაუხდელი გადასახადი აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას.⁵⁴⁷

რა უნდა დამტკიცდეს იმისათვის, რომ ქმედება ფულის გათეთრებად დაკვალიფიცირდეს? რა ძირითად დანაშაულებს გულისხმობს ფულის გათეთრება? არის თუ არა გადასახადებისგან თავის არიდება ფულის გათეთრების ძირითადი, პრედიკატიული დანაშაული?

შვეიცარიის კანონმდებლობით, ფულის გათეთრების დადგენის მიზნით, სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს:

- I. რომ ჩადენილია ძირითადი, პრედიკატიული დანაშაული (დანაშაული ან კვალიფიციური საგადასახადო სამართალდარღვევა);
- II. რომ ასეთი ძირითადი დანაშაულის შედეგად წარმოშობილი აქტივები შეიძლება იყოს კონფისკაციული;
- III. რომ დამნაშავემ განზრახ ჩაიდინა ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა ასეთი აქტივების ჩამორთმევისათვის ხელის შეშლას; და
- IV. რომ დამნაშავემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ აქტივები წარმოიშვა ძირითადი, პრედიკატიული დანაშაულიდან.

ზოგადად, ფულის გათეთრება ეხება დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგალითად, დანაშაულებს, რომლებიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით და შესაბამის საგადასახადო სამართალდარღვევებზე.⁵⁴⁸

როგორც ვხედავთ, დანაშაულის საგანთან მიმართებაში არაა აუცილებელი, პირმა ზუსტად იცოდეს, რომ ქონება წარმოსდგება ძირითადი (პრედიკატიული) დანაშაულისაგან. საკმარისია ამის შესახებ ცოდნის ვალდებულება („უნდა იცოდეს“).

ამ საკითხში შვეიცარიის კანონმდებლობა არსებითად განსხვავდება ქართული კანონმდებლობისაგან, სადაც პირმა უნდა იცოდეს ფულის გათეთრების საგნის უკანონო წარმომავლობა (ანდა ის, რომ იგი დაუსაბუთებელია). საქართველოს

⁵⁴⁷ ჩასმულია FA-ს 2014 წლის 12 დეკემბრის No I 4-ით ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების 2012 წლის გადასინჯვის განხორციელების შესახებ, რომელიც ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან (AS 2015 1389; BBI 2014 605).

⁵⁴⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 220.

კანონმდებლის პოზიცია ამ მიმართებით უფრო სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, როდგან, თუკი პირმა არ იცის ქონების უკანონო წარმომავლობის შესახებ, იგი არ მოქმედებს განზრახ (განზრახ არ ათეთრებს ფულს), რადგან არა აქვს შეცნობილი, რომ სახეზეა უკანონო შემოსავალი.⁵⁴⁹

შვეიცარიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ძირითადი დანაშაულებები მოიცავს, *inter alia*, საკუთრების წინააღმდეგ ყველაზე მნიშვნელოვან დანაშაულს (მაგ. მითვისება), ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, არასწორი მენეჯმენტი, მოპარული საქონლის მართვა, გაკოტრების დანაშაულები, ნარკოტიკებით ვაჭრობის გარკვეული ფორმები, მექრთამეობა, მათ შორის უცხოელი საჯარო მოხელეების მოსყიდვა.⁵⁵⁰

თუ სახეზეა დამამძიმებელი გარემოება, სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რომელიც არ აღემატება ხუთ წელს ან ფულად ჯარიმას.⁵⁵¹

დამამძიმებელი გარემოება იქმნება მაშინ, როცა დამნაშავე:

- ა) მოქმედებს როგორც კრიმინალური ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრი;
- ბ) მოქმედებს როგორც ჯგუფის წევრი, რომელიც შექმნილია ფულის გათეთრების საქმიანობის განგრძობითი წარმართვის მიზნით; ან
- გ) აღწევს დიდ ბრუნვას ან მნიშვნელოვან მოგებას კომერციული ფულის გათეთრების გზით.⁵⁵²

ამ დამამძიმებელი გარემოებებიდან, ყურადღებას იპყრობს პირველი გარემოება, სადაც ქმედების ამსრულებელია კრიმინალური ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრი. კრიმინალური ორგანიზაციის (და არა ტერორისტული ორგანიზაციის) წევრის მიერ განსახილველი დანაშაულის ჩადენა საქართველოს სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვ-ით (ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ) გათვალისწინებული

⁵⁴⁹ განზრახვის არსზე გამოთქმული მოსაზრებების შესახებ იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 264-275; ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 256-264; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 347-349.

⁵⁵⁰ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 220.

⁵⁵¹ № II 1 პუნქტით შესწორებული ჯარიმები. 2002 წლის 13 დეკემბრის FA-ს 16, ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან (AS 2006 3459 3535; BBI 1999 1979).

⁵⁵² შესწორებულია FedD-ის 2020 წლის 25 სექტემბრის დანართი No II 2 ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ და მისი დამატებითი ოქმის და ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლის ინსტრუმენტების გაძლიერების შესახებ, ძალაში. 2021 წლის 1 ივლისიდან (AS 2021 360; BBI 2018 6427).

დამამძიმებელი გარემოების იდენტიფიკაცია, რადგან ორგანიზებული ჯგუფი კრიმინალური ჯგუფის ნაირსახეობაა.

რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც ჩადენილია ტერორისტული ორგანიზაციის წევრის მიერ, ასეთ დამამძიმებელ გარემოებას არ ითვალისწინებს საქართველოს სსკ 194-ე მუხლი. საქართველოში ამგვარი ქმედება საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (194-ე მ.) და ასევე ტერორისტული ორგანიზაციის წევრობად (სსკ 327-ე მ. პირველი ნაწ.), ანდა ასევე ტერორისტული ორგანიზაციის წევრის მიერ ამ ორგანიზაციის საქმიანობის ხელშეწყობის ან წახალისების მიზნით ოპერაციების განხორციელებად (სსკ 327-ე მ. მე-2 ნაწ.).

ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის. სს-ვი პასუხისმგებლობა უცხო ქვეყანაში მოპოვებული დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრებისთვის

შვეიცარიის სსკ-ის განსახილველი ნორმით ცალკეა განსაზღვრული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დასჯადობის საკითხი ისეთ შემთხვევაში, როცა ძირითადი (წინარე) დანაშაული ჩადენილია საზღვარგარეთ.

კერძოდ, დამნაშავე ასევე ექვემდებარება ჯარიმებს, როდესაც ძირითადი დანაშაული ჩადენილია საზღვარგარეთ, იმ პირობით, რომ ასეთი დანაშაული ასევე ექვემდებარება დევნას ჩადენის ადგილზე.⁵⁵³

ამგვარი რეგულაციით, შვეიცარიის კანონმდებელმა შეზღუდა ფულის გათეთრების ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

საფიქრებელია, რომ ამ რეგულაციაში გარკვეული სამართლებრივი აზრი დევს: თუკი ის ქვეყანა, სადაც ჩადენილია წინარე ქმედება, ამ ქმედებას არ მიიჩნევს დანაშაულად, რატომ უნდა შეუშალოს ხელი შვეიცარიის კანონმდებელმა ამ გზით მოპოვებული ქონების შემოდინებას მის ქვეყანაში და დაბანდებს საკუთარ ეკონომიკურ სივრცეში? თუკი წინარე (ძირითადი) ქმედების ჩადენის ადგილის ქვეყანა არ მიიჩნევს ამ

⁵⁵³ Corrected by the Drafting Committee of the Federal Assembly (Art. 33 ParIPA; AS 1974 1051).

ქმედებას დანაშაულად, რატომ ჩათვალოს ეს ქონება შვეიცარიამ უკანონო გზით მოპოვებულ ქონებად?

4.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ხელშეწყობა გაუფრთხილებლობით

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, რომლის მიხედვითაც ცალკეულ შემთხვევაში პირს ეკისრება პასუხისმგებლობა მაშინაც, როცა იგი თავისი გაუფრთხილებლობით ხელს უწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

კერძოდ, შვეიცარიის **სსკ 305^{ter.} 354** მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც, მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, იღებს ან ინახავს დეპოზიტს, ანდა ეხმარება პირს გარე აქტივების ინვესტირებაში ან გადაცემაში და საჭირო სიფრთხილით არ ამოწმებს აქტივების ბენეფიციარი მფლობელის ვინაობას მოცემულ გარემოებებში, დაეკისრება პასუხისმგებლობა - თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლით ან ფულადი სახდელი.⁵⁵⁴

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის ამსრულებელი არის **სპეციალური სუბიექტი**, რომელიც ქმედებას (დეპოზიტის მიღება, შენახვა და ა.შ.) ახორციელებს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.⁵⁵⁵

ამასთან, იგი არღვევს სპეციალურ წინდახედულობის ნორმას,⁵⁵⁶ როცა საჭირო სიფრთხილით არ ამოწმებს აქტივების მფლობელის ვინაობას. ანუ მოქმედებს გაუფრთხილებლობით.

როგორც ცხედავთ, სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი.⁵⁵⁷ მისი დამთავრებულად ცნობისათვის არაა აუცილებელი, გაუფრთხილებლობით ჩადენილ

⁵⁵⁴ Penalties revised by No II 1 para. 16 of the FA of 13 Dec. 2002, in force since 1 Jan. 2007 (AS **2006** 3459 3535; BBl **1999** 1979).

⁵⁵⁵ პროფესიული წესის მიმართ განხორციელებული გაუფრთხილებლობის საკითხზე დეტალურად იხ. M. Г. Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Т. 1976, стр. 29.

⁵⁵⁶ სპეციალური წინდახედულობის ნორმის შესახებ იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 561-567; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 263-264.

⁵⁵⁷ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შესახებ, იხ. წერეთელი თ, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, გვ. 185-208; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 165-166; ციციტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 27-93; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, გვ. 136-137.

ამ ქმედებას მოჰყვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მთავარია, სახეზე იყოს სპეციალური სუბიექტის უმოქმედობა - ბენეფიციარი მფლობელის ვინაობის სათანადო სიფხიზლით შეუმოწმებლობა.

ვფიქრობთ, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი გაუფრთხილებელი ქმედებისათვის, რომელსაც არ მოჰყოლია მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ან კონკრეტული საფრთხეც კი არ შეუქმნია.⁵⁵⁸ ამდენად, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა სს კოდექსში არ ითვალისწინებს ანალოგიურ ნორმას. შვეიცარიის სსკ 305^{ter.} 354 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს (ანუ პირებს, ვინც ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას) უფლება აქვთ, ფულის გათეთრების ანგარიშგების ოფისს პოლიციის ფედერალურ ოფისში შეატყობინონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ აქტივები მომდინარეობს მძიმე დანაშაულისგან ან დამამძიმებელი საგადასახადო გადაცდომისგან 305^{bis} 1^{bis} მუხლის მიხედვით.⁵⁵⁹

თუ არსებობს კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ მხოლოდ ფიზიკური პირების პასუხისმგებლობაა დაწესებული?

ხანდაზმულობის ვადა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის

სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი ფულის გათეთრების ძირითადი დანაშაულისთვის და 15 წელი კვალიფიცირებული დანაშაულისთვის. ვინაიდან ფულის გათეთრება არის ერთიანი დანაშაული, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა იწყება დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის დღიდან. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა წყვეტს მოქმედებას, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.⁵⁶⁰

⁵⁵⁸ კონკრეტული საფრთხის დელიქტის შესახებ, იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, გვ. 209-220; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 165-166; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 94-128; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, გვ. 136-137.

⁵⁵⁹ Inserted by No I of the FA of 18 March 1994 (AS 1994 1614; BBl 1993 III 277). Amended by No I 4 of the FA of 12 Dec. 2014 on the Implementation of the 2012 Revision of the Recommendations of the Financial Action Task Force, in force since 1 Jan. 2016 (AS 2015 1389; BBl 2014 605).

⁵⁶⁰ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 221.

როგორც ვხედავთ, განხვავებით საქართველოს სს კოდექსით დადგენილი წესისაგან (71-ე მ. მე-2 ნაწ.), შვეიცარიის სს კოდექსით სს-ვი დევნის ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება არა დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე,⁵⁶¹ არამედ დანაშაულის ჩადენის დღიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. მართალია, ეს რეგულაცია უფრო მეტადაა მორგებული პირის ინტერესზე, მაგრამ მეორე მხრივ, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, შესაძლებელია, დამაბრკოლებელ გარემოებად იქცეს მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში.⁵⁶²

5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით

5.1. კანონმდებლობის ანალიზი

ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია რუსეთში პირველად განხორციელდა 1997 წელს.⁵⁶³

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სსკ მე-8 კარის (ეკონომიკური დანაშაული) 21-ე თავით (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ). კერძოდ, მას ეხება სსკ 174-ე და 174¹ მუხლები.⁵⁶⁴

როგორც ვხედავთ, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, რუსეთის კანონმდებლობა ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ძირითად ობიექტად მიიჩნევს არა ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ საკუთრების უფლებას.

⁵⁶¹ სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხზე, იხ. ბიჭია შ, ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2010, გვ. 14-124; ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ, 2019, გვ. 672-674.

⁵⁶² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 221.

⁵⁶³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 604.

⁵⁶⁴ იხ. რუსეთის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2019 წლის 17 ივნისის მდგომარეობით (Уголовный кодекс Российской Федерации - Принят Государственной Думой 24 мая 1996 года Одобрен Советом Федерации 5 июня 1996 года).

ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არაა გამიჯნული წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძება-გასაღებისაგან. ეს ქმედებები გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ამავე თავის შემდგომი 175-ე მუხლი ცალკე ითვალისწინებს სს-ივ პასუხისმგებლობას ამ ქმედებისათვის.

სუბიექტი - დაწესებულია კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თუ მხოლოდ ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა?

რუსეთის ფედერაციაში სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. ამდენად, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან, რუსეთში იურიდიული პირი არაა სს სუბიექტი.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: პრაქტიკაში თუ გაუსამართლებიათ ბანკების ან სხვა რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების დირექტორები, ოფიცრები ან თანამშრომლები ფულის გათეთრებისთვის?

დიახ, ასეთი მაგალითები არსებობს. მაგალითად, ჩელიაბინსკის ლენინის რაიონულმა სასამართლომ ჩელიაბინსკის ლენინის რაიონში VTB-24-ის ფილიალის „ნა გაგარინას“ ყოფილი დირექტორი ა. კისელევი და ადგილობრივი მეწარმე ო. ბასკილდინი (შესაბამისად მათი როლების პროპორციულად) დამნაშავედ ცნო 24 პუნქტში. დანაშაულის შესახებ 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით (დიდმასშტაბიანი თაღლითობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 174.1 მუხლის მე-2 პუნქტით (პირის მიერ შემენილი დიდი ოდენობით თანხის გათეთრება. დანაშაულის ჩადენის შესახებ).⁵⁶⁵

განსხვავებით საქართველოს (ასევე მთელი რიგი სხვა ქვეყნის) სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან, რუსეთის სს კოდექსით, პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ცალ-ცალკე მუხლებითაა დიფერენცირებული იმის მიხედვით, თუ ვინაა ამ დანაშაულის სუბიექტი.

კერძოდ, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტია არა წინარე დანაშაულის ჩამდენი, არამედ სხვა მესამე პირი, ამ შემთხვევისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია რფ სსკ 174-ე მუხლით - ლეგალიზაცია

⁵⁶⁵ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208-209.

(გარეცხვა) ფულადი სახსრების ან იმ სხვა ქონებისა, რომელიც სხვა პირის მიერ დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

იმ შემთხვევაში კი, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტია თავად წინარე დანაშაულის ჩამდენი, სს-ვი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია რფ სსკ 174¹ მუხლით - ლეგალიზაცია (გარეცხვა) ფულადი სახსრების ან სხვა ქონებისა, რომელიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგადაა მოპოვებული.

ამასთან, ამ ორი მუხლის შედარებით ის უტყუარი დასკვნა კეთდება, რომ ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სუბიექტებით განსხვავდებიან. როგორც ამ მუხლების პირველი ნაწილი (ძირითადი შემადგენლობა), ისე დამამძიმებელი გარემოებები - ჩადენილი დიდი ოდენობით (მე-2 ნაწ.), წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მე-3 ნაწ.), ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით (მე-4 ნაწ.), ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. უფრო მეტიც, ზუსტად იდენტურია ამ მუხლების როგორც ძირითადი, ისე კვალიფიციური შემადგენლობით გათვალისწინებული სანქციებიც.

ასეთ ვითარებაში, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ორი მუხლის შემოღება? ამით მხოლოდ შეიძლება გართულდეს ქმედების კვალიფილაცია, რადგან რფ სსკ 174¹ მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელია, დადასტურებული იყოს, რომ მის სუბიექტს ჩადენილი აქვს წინარე (ძირითადი) დანაშაული.

კვალიფიკაცია მით უმეტეს რთულდება იმის მხედველობაში მიღებით, რომ რფ კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად ალტერნატივის სახით გათვალისწინებული არაა დაუსაბუთებელი ქონება.

საერთოდ, დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინებას ამ დანაშაულის საგნად, აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები. დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი რამდენადმე აადვილებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ქმედების კვალიფიკაციას. ამ დროს სსკ 194-ე მუხლით სს-ვი პასუხისმგებლობაში მიცემისთვის არაა სავალდებულო იმის მტკიცება, კერძოდ რომელი დანაშაულის ჩადენის გზითაა მოპოვებული ეს ქონება. ასევე, არ დგება საკითხი: უკვე გამოტანილი უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენი წინარე (ძირითადი) დანაშაულისათვის, თუ საკმარისია, პირის მიმართ დაწყებული იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა?

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, როგორც უკვე აღინიშნა, ისეთ ქვეყანასთან მიმართებაში, სადაც ყველანაირი სამოქალაქო გარიგება არაა დაკავშირებული ხელშეკრულების დადებასთან, პრობლემას ქმნის ქონების კანონიერი წარმომავლობის დოკუმენტურად დასაბუთება. შესაბამისად, დანაშაულის საგნად დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინება საქართველოს სინამდვილეში არ უნდა ჩაითვალოს გამართლებლად იმ დათქმით, როცა პირი ვალდებულია, დოკუმენტურად დაასაბუთოს ქონების კანონიერი წარმომავლობა.

როგორც ჩანს, რუსეთიც ისეთ ქვეყანად ითვლება, სადაც ანგარიშწორება (მათ შორის დიდ თანხაზე) ხშირ შემთხვევაში დაშვებულია ნაღდი ფულის პირდაპირი გადახდით (ხელიდან ხელში), რის გამოც კანონმდებელმა ფულის გათეთრების საგნად არ გაითვალისწინა დაუსაბუთებელი ქონება.

განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, რუსეთის კანონმდებლობით ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის საგანია მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და არა უკანონო (ანუ ნებისმიერი სხვა სამართალდარღვევის გზით მიღებული) შემოსავალი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით პრიორიტეტული მნიშვნელობა სწორედ წინარე ქმედებას უნდა მიენიჭოს და არა შემდგომ ქმედებას - წინარე ქმედებით მოპოვებული შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემას. ამიტომაც ჰქვია წინარე (პრედიკატულ) დანაშაულს ძირითადი დანაშაული.

ამით ფაქტობრივად ისაა ნათქვამი, რომ დანაშაულებრივი ქონების ლეგალიზაცია არამძირითადი დანაშაულია. შესაბამისად, არ იქნება გამართლებელი, ძირითად ქმედებად ჩავთვალოთ ისეთი სამართალდარღვევა, რაც არ წარმოადგენს დანაშაულს. მართლაც, სისხლის სამართლის კანონმდებობაში ფულის გათეთრების შესახებ ნორმის შემოღების საკითხი დღის წესრიგში არც კი დადგებოდა, წინარე დანაშაულის ჩამდენ პირებს ამ დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების ლეგალიზაცია ასე ფართო მასშტაბით რომ არ წამოეწყოთ და ამით ქვეყნის კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის საფრთხე არ შეექმნათ. სხვა სახის სამართალდარღვევის (რომელიც არაა დანაშაული) შედეგად მოპოვებული თანხა, როგორც წესი, ვერასოდეს მიაღწევს

იმ ოდენობას, რომ დღის წესრიგში დადგეს მისი ლეგალიზაცია, ანდა მისი ლეგალიზაციით სერიოზული საფრთხე შეექმნას ქვეყნის ეკონომიკას.

განსახილველი დანაშაულის საგანთან დაკავშირებით საინტერესოა, რომელი ქონება ექვემდებარება კონფისკაციას? რა ვითარებაში შეიძლება მოხდეს სახსრების ან ქონების კონფისკაცია, თუ არ ყოფილა ნასამართლობა, ანუ თუ არის შესაძლებელი არასამართლებრივი კონფისკაცია ან ქონების სამოქალაქო ჩამორთმევა?

ქონების კონფისკაცია არ შედის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით ფულის გათეთრებისთვის დაწესებულ სანქციებს შორის. თუმცა, დანაშაულებრივი შემოსავლები შეიძლება ჩამოერთვას და დაუბრუნდეს დაზარალებულს. სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დანაშაულის მსხვერპლს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოთხოვოს დამნაშავეს.

ზოგიერთ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის პროკურატურას შეუძლია დაიწყოს მოქმედება მთავრობის თანამშრომლების მიერ მოპოვებული ქონების დაკავების (დაყადაღების) მიზნით იმ სახსრებით, რომლების კანონიერი წარმომავლობა არაა დადასტურებული შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტით.⁵⁶⁶

როგორც ვხედავთ, მართალია, რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი არაა დაუსაბუთებელი ქონება, მაგრამ როცა ქმედების სუბიექტია სახელმწიფო მოხელე (მთავრობის თანამშრომელი), უკანონოდ მოპოვებული ქონების დაყადაღების მიზნით, დაყადაღებას შეიძლება დაექვემდებაროს დაუსაბუთებელი ქონებაც.

ქმედება - რაც შეეხება ზემოთ მითითებული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტურ მხარეს**, ქმედებები შედარებით შეზღუდულადაა წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სსკ 194-ე მუხლში. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებად გათვალისწინებულია შემდეგი ალტერნატიული ქმედებები: ფართომასშტაბიანი ფინანსური ოპერაციის ან სხვაგვარი გარიგების განხორციელება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით ან სხვა ქონებით.

⁵⁶⁶ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208-209.

როგორც ვხედავთ, ხაზგასმა ფართომასშტაბიან ფინანსურ ოპერაციებსა თუ სხვაგვარ გარიგებებზე მიუთითებს, რომ რუსეთის (ისევე როგორც უმრავლესი სხვა ქვეყნის) კანონმდებლობა, არ იზიარებს საკითხის იმგვარ გადაწყვეტას, როცა ფულის გათეთრებად უნდა შეფასდეს უკანონოდ მოპოვებული ქონების თუნდაც შენახვა-გადამალვა, არამედ აუცილებელია, ამ ქონების მიმართ განხორციელდეს რაიმე სახის გარიგება. ეს სწორიცაა, რადგან ამ შემოსავლის შენახვის ფაქტით საფრთხე არ ექმნება ქვეყნის ეკონომიკას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამგვარი ქმედება ობიექტურადაც ვერ გამოდგება უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის საშუალებად.

წინამდებარე მუხლში მასშტაბური (ფართომასშტაბიანი) ფინანსური ოპერაციები და სხვა გარიგებები ფულის ან სხვა ქონების ოდენობებთან მიმართებაში ნიშნავს, ფინანსურ ოპერაციებს და სხვა გარიგებებს, რომლებიც შესრულებულია მინიმალური ხელფასის განაკვეთზე 2000-ჯერ მეტი ოდენობით.⁵⁶⁷

რფ სსკ 174-ე და 174¹ მუხლები **მიზნით დაფუძნებული დელიქტებია** - მათში ქმედების ნიშნად გათვალისწინებულია ამ ქონების ფლობის, გამოყენების თუ განკარგვისათვის მართლზომიერი სახის მიცემის მიზანი. სწორედ ეს მიზანი განასხვავებს მას რფ სსკ 175-ე მუხლისაგან (წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და გასაღება).

ამდენად, რფ სსკ 174-ე და 174¹ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების (ფინანსური ოპერაცია ან სხვაგვარი გარიგება) ჩადენა უნდა ემსახურებოდეს არა ამ ქონების გახარჯვას პირადი მიზნის შესაბამისად, არამედ ქონებასთან დაკავშირებული **შემდგომი ქმედებებისათვის** (ვთქვათ, მისი შემდგომი გამოყენებისათვის) მართლზომიერი სახის მიცემას.

ამდენად, იმისათვის, რომ დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს, უნდა დადასტურდეს, რომ (1) დადებულია გარიგება ფულადი სახსრებით ან ფინანსური ინსტრუმენტებით, (2) იყო განზრახვა, შეექმნათ კანონიერი ფლობის შთაბეჭდილება, (3) ფულადი სახსრები შეძენილია უკანონო გზით და (4) სავარაუდო დამნაშავემ იცის, რომ აღნიშნული ნაღდი ფულის წარმოშობა უკანონოა. ძირითადი დანაშაული არის

⁵⁶⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 606.

ნებისმიერი დანაშაული, რომლის შედეგადაც პირი უკანონოდ იძენს ფულს ან ქონებას.⁵⁶⁸

აღსანიშნავია, რომ რუსეთის კანონმდებლობით, ზემოთ მითითებული ნორმები ნაკლებად მძიმე დანაშაულთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის ძირითადი შემადგენლობა (მუხლის პირველი ნაწილი) სასჯელის სახით არ ითვალისწინებს ვადიან თავისუფლების აღკვეთას. იგი ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას (120 000 რუბლის, ან მსჯავრდებულის ერთი წლის შემოსავლის ოდენობით). საქართველოს სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ექვს წლამდე. შესაბამისად, იგი მძიმე კატეგორიის დანაშაულია.

მართალია, რე სსკ 174-ე და 174¹ მუხლების დამამძიმებელი გარემოებები სასჯელის სხვა სახეებთან ერთად, ითვალისწინებს ვადიან თავისუფლების აღკვეთასაც, მაგრამ მისი ვადა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოს სსკ 194-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოების სანქციით გათვალისწინებული ვადა.

არსებობს თუ არა ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის? თუ ისჯება რუსეთის კანონმდებლობით უცხოეთში ჩადენილი დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრება?

ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, რომელიც ჩადენილია რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მიმართულია რუსეთის ფედერაციის ან მისი მოქალაქეების ინტერესების წინააღმდეგ, ისჯება რუსეთის სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად, თუ პირი, ვინც ეს ქმედებები ჩაიდინა, არ არის ნასამართლავი უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ. თუ ნაღდი ფულის ოპერაციები გულისხმობს საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის შედეგად შეძენილ შემოსავლებს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს ჩვეულებრივი წესით.⁵⁶⁹

განსხვავებით საქართველოს სსკ მე-5 მუხლით დადგენილი რეგულაციისაგან, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს უცხო ქვეყანაში ნასამართლავი პირის ხელმოწერა დასჯას (რადგან საქართველოს სსკ მე-5 მუხლი არ ითვალისწინებს საწინააღმდეგო

⁵⁶⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208.

⁵⁶⁹ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208.

დათქმას), რუსეთის სს კანონით პირის დასჯა საზღვარგარეთ ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ეს პირი არაა ნასამართლევ უცხო ქვეყანაში.⁵⁷⁰

ხანდაზმულობის ვადა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის - უმეტეს შემთხვევაში ასეთი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი დანაშაულის ჩადენის დღიდან.⁵⁷¹

სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ ფედერალურ დონეზე მიმდინარეობს, თუ პარალელურად შესაძლებელია ადგილობრივ (ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების) დონეზეც?

სისხლისსამართლებრივი დევნა შედის ფედერალური უწყებების ექსკლუზიურ იურისდიქციაში. რეგიონულ დონეზე არანაირი დანაშაულის სს-ვი დევნა არ მიმდინარეობს.⁵⁷²

5.2. სასამართლო პრაქტიკა

ნავთობის ყოფილი ბიზნესმენი, რომელიც ერთ დროს რუსეთის უმდიდრესი ადამიანი იყო (15 მილიარდი დოლარის ქონებით), 2005 წელს გაასამართლეს ფულის გათეთრებისთვის და ჯამში 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯეს თავის ყოფილ პარტნიორთან ერთად. 2009 წელს ბიზნესმენს კვლავ წაუყენეს ბრალი 20 მილიარდ დოლარზე მეტის გათეთრებისა და 200 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობის მოპარვისთვის, როდესაც მას პირველი სასჯელის ნახევარი ჰქონდა მოხდილი.

ბიზნესმენი დააპატიმრეს მისი კომპანიის საშუალებით თანხების გათეთრებისთვის, აგრეთვე გადასახადებისგან თავის არიდების ბრალდებით.⁵⁷³

როგორც ვხედავთ, რუსი ბიზნესმენის ქმედება შეფასდა დანაშაულთა ერთობლიობით: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციითა და გადასახადებისაგან თავის არიდებით (ნავთობის ქურდობის ეპიზოდში).

⁵⁷⁰ ერთი ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპის (ne bis in idem) არსის შესახებ, იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 46-47.

⁵⁷¹ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208.

⁵⁷² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 208.

⁵⁷³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 614.

საინტერესოა, რატომ შეფასდა ამ ბიზნესმენის ქმედება ნავთობის მისაკუთრების ეპიზოდში გადასახადებისაგან თავის არიდებით? თუკი იგი დაეუფლა ნავთობის იმ პარტიას, რომელზეც ჰქონდა სამსახურებრივი წვდომა (იმყოფებოდა მის მართლზომიერ გამგებლობაში), მაშინ ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინათ მითვისებით, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით (საქართველოს სსკ 182-ე მ. შესაბამისი ნაწილის ქვეპუნქტები). ხოლო თუკი მას ნავთობის ამ პარტიასთან არ ჰქონდა სამსახურებრივი (იურიდიული) წვდომა, მაგრამ მოახერხა მისი დაუფლება მოტყუების გზით, მაშინ სახეზეა თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით (სსკ 180ე მ. შესაბამისი ნაწილის ქვეპუნქტები).⁵⁷⁴ ხოლო უკეთუ ჩადენილი იყო ქურდობა (როგორც ეს აღნიშნულია ამ შემთხვევის განხილვისას), ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია ქმედების კვალიფიკაცია გადასახადებისაგან თავის არიდებით, არამედ იგი უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობის შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებით (დიდი ოდენობით). აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით (მხედველობაში გვაქვს შესაბამისი ნორმის არსებობა სსკ-ში) ქართული და რუსული კანონმდებლობა თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან - მითითებული ნორმები არსებობს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსშიც და მათი შინაარსიც ისევე განიმარტება, როგორც ჩვენთან.

6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩინეთის კანონმდებლობის მიხედვით

6.1. კანონმდებლობის ისტორია და ანალიზი

საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყანაში რეალური ვითარების მხედველობაში მიღებით, ჩინეთმა თანდათან შეიმუშავა თავისი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) კანონმდებლობა. ფულის გათეთრება ჩინეთის სისხლის სამართლის

⁵⁷⁴ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისებისა და თაღლითობის გამიჯვნის საკითხზე იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2. რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 78-80.

კანონმდებლობაში პირველად კრიმინალიზებულ და მიღებულ იქნა მერვე ეროვნული სახალხო კონგრესის მეხუთე სესიაზე, 1997 წლის 14 მარტს.

ფულის გათეთრება არის დანაშაული PRC სისხლის სამართლის კანონის 191-ე მუხლით („სისხლის სამართლის კანონი“).⁵⁷⁵

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ, განსხვავებით საქართველოსაგან, ჩინური კაპიტალი (მათ შორის „ჭუჭყიანი“ ფულის სახით) მთელი მსოფლიოს ეკონომიკაშია ინტეგრირებული, მე-20 საუკუნის ბოლომდე ჩინეთში არ არსებობდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა. ამ თვალსაზრისით, იგი საქართველოს მხოლოდ 3 წლით უსწრებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ახლახანს სცადა AML-ის დებულებები შეუსაბამოს აზიის სხვა იურისდიქციებს ფინანსური დანაშაულის აღკვეთის მკაცრი კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად. მაგალითად, როგორცაა სინგაპურში.

ჩინეთმა როგორც გეოგრაფიულად, ასევე ეკონომიკურად გამოკვეთა თავისი პოზიცია ფულის გათეთრებაზე. უფრო მეტიც, ფულის გათეთრებისა და შეკავების რეჟიმების სიძლიერემ მის მეზობელ იურისდიქციებში, ჩინეთის მხრიდან სასწრაფო რეაგირება გამოიწვია. ჩინეთში ფულის გათეთრება ყველაზე ხშირად ხდება შემდეგი არხებით:

- ფულადი სახსრების კონტრაბანდა;
- ლეგიტიმური საბანკო სისტემების გამოყენება - სხვადასხვა ანაბრის ანგარიში;
- რეალურზე ნაკლებ ფასად ექსპორტი / ყალბი საქონელი;
- იატაკქვეშა საბანკო სისტემები.

ბოლო წლებში შეიმჩნევა უფრო მეტად ტექნოლოგიურად ჩადენილი დანაშაული, რაც გამოწვეულია ელექტრონული საბანკო და ელექტრონული ვალუტით.⁵⁷⁶

ჩინეთში AML-ის შესაბამისი კანონებია:

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 2006 წლის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონი.

⁵⁷⁵ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 70.

⁵⁷⁶ შუად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p.396.

- ჩინეთის სახალხო ბანკის ბრძანება No1 [2006] - ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის წესები.⁵⁷⁷

რომელ სამართლებრივ ორგანოს აქვს კანონიერი უფლებამოსილება, ეროვნულ დონეზე განახორციელოს სს დევნა ფულის გათეთრებაზე?

პრედიკატიული დანაშაულები ჩინეთში

ფულის გათეთრების ძირითადი დანაშაულები ეხება დანაშაულებრივ ქმედებებს: (i) ნარკოტიკებთან დაკავშირებით; (ii) ორგანიზებული დანაშაული; (iii) ტერორიზმი; (iv) კონტრაბანდა; (v) კორუფცია და მექრთამეობა; (vi) ფინანსური მარეგულირებელი წესრიგის დარღვევა; და (vii) ფინანსური თაღლითობა.

გადასახადებისგან თავის არიდება არ არის ფულის გათეთრების დანაშაულის ძირითადი დანაშაული. მიუხედავად ამისა, გადასახადებისგან თავის არიდების დანაშაულით გამომუშავებული შემოსავლის გაფანტვის ან დამალვისათვის პირს ცალკე დაეკისრება პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება დანაშაულებრივი შემოსავლის გაფანტვასა ან დამალვაში.⁵⁷⁸

11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ტერორისტების მიერ კონტროლირებადმა და გამოყენებულმა სახსრებმა შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ბევრმა ქვეყანამ გააფართოვა ფულის გათეთრების კანონმდებლობა და ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულებებში ტერორიზმიც დაამატა. ჩინეთში 2001 წლის დეკემბერში ტერორიზმი დაემატა ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულთა კატეგორიას. ფულის გათეთრების ძირითადი დანაშაულები საბოლოოდ განისაზღვრება ოთხი დანაშაულიდან: ნარკოტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული (ძირითადად ძალადობრივი დანაშაულები ჩადენილი კრიმინალური სინდიკატების მიერ), კონტრაბანდა და ტერორიზმი.⁵⁷⁹

როგორც ვხედავთ, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, ჩინეთში მოქმედი კანონით განსაზღვრულია არა იმ დანაშაულთა წრე, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს წინარე (ძირითად, პრედიკატულ) დანაშაულად, არამედ ისინი, რაც

⁵⁷⁷ შეად. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p.396.

⁵⁷⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 70.

⁵⁷⁹ ib. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, გვ. 59-60.

ითვლება წინარე დანაშაულად, რაც სამართალშემფარდებელს ფაქტობრივად უზღუდავს ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

ამასთან, კანონში ნათლადაა მითითებული, რომ ფულის გათეთრებელმა ზუსტად უნდა იცოდეს (და არა სავარაუდოდ), რომ თანხები წარმოადგენს უკანონო შემოსავალს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად არ დაკვალიფიცირდება. შესაბამისად, სადავო არ ხდება, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

2007 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული კანონით ჩინეთში გაფართოვდა ფულის გათეთრების განმარტება და იგი მოიცავს ყველა სახის მძიმე დანაშაულს, განსაკუთრებით გაფლანგვასა და მოსყიდვას, სოციალისტური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის დარღვევას და ფინანსურ თაღლითობას. სოციალისტური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის დარღვევა არის უნიკალური ჩინური ტერმინი მთელი რიგი საგადასახადო სამართალდარღვევებისთვის. იგი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ქვითრების უკანონო გაყიდვას, გადასახადის გადახდაზე უარს, გადასახადის ამოღებისაგან თავის არიდებას, ექსპორტის შემდეგ გადასახადის უკანონოდ დაბრუნებას და დღგ-ს ქვითარზე თანხის ოდენობის გაყალბებას.⁵⁸⁰

ჩინეთის კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გააფართოვა ძირითადი დანაშაულების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, მაინც თვლიან, რომ იგი არაა ისეთი ფართო, როგორც ეს სხვა ქვეყნების კანონმდებლობით,⁵⁸¹ რადგან ჩინეთის კანონმდებლობა აუცილებელ წინაპირობად მოითხოვს იმის ზუსტ ცოდნას, რომ თანხა დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული („დანაშაულებრივი თანხების ამკარად ცოდნა“).⁵⁸² შესაბამისად, ის ვიწროა სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ფულის გათეთრების ძირითადი (წინარე) დანაშაულის წრის გაფართოების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იურიდიულ ლიტერატურაში დასახელებულია ის ფაქტი, რომ ჩინეთს აქვს საკმარისი შიდა კაპიტალი, რომელიც წარმოიქმნება კანონიერი

⁵⁸⁰ Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, s. 60.

⁵⁸¹ შეად. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, გვ. 61.

⁵⁸² შეად. დასახ. ნაშრ. იქვე.

საქმიანობიდან, რათა ჩინურ საზოგადოებას მიეცეს საშუალება, გააფართოვოს AML კრიმინალური კაპიტალის გარეშე.⁵⁸³

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს დაინტერესების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეულია მოცემულ სახელმწიფოში ოფიციალური (ანუ კანონიერი გზით მიღებული) შიდა კაპიტალის დონე. რაც უფრო მეტად საკმარისია იგი ქვეყნის განვითარებისათვის, მით უფრო მეტია სახელმწიფოს დაინტერესება, ქვეყნის შიგნით ებრძოლოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. ასევეა პირიქით შემთხვევაში - რაც ნაკლებია ოფიციალური შიდა კაპიტალის დონე, მით მეტადაა „მიბმული“ ქვეყნის ეკონომიკა კრიმინალურ კაპიტალზე („შავ ფულზე“) და შესაბამისად, ნაკლებია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციათან ბრძოლის ინტერესი.

ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის. თუ ისჯება უცხო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრება?

სისხლის სამართლის კანონი PRC-ის ხელისუფლებას ანიჭებს ექსტერიტორიულ იურისდიქციას ფულის გათეთრების დანაშაულზე, თუ:

- ჩადენილია PRC-ის მოქალაქეების მიერ PRC-ის ტერიტორიის გარეთ;
- ჩადენილია უცხოელების მიერ PRC ან PRC მოქალაქეების წინააღმდეგ PRC-ის ტერიტორიის გარეთ; და
- საერთაშორისო ხელშეკრულებების/კონვენციების შესაბამისად.

უცხოური დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების გათეთრება ისჯება სისხლის სამართლის კანონით ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად.⁵⁸⁴

როგორც ვხედავთ, ეს დანაწესი სრულ თანხვედრაშია საქართველოს სსკ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ რეგულაციასთან.⁵⁸⁵

პრობლემის მასშტაბი და ფარგლები

⁵⁸³ Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, s. 62.

⁵⁸⁴ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 70.

⁵⁸⁵ საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 45-52; ნაჭყებია გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 103-107.

ჩინეთში, ფულის გათეთრების ფაქტები არ იყო აღიარებული და თითქმის არ იყო მოხსენებული მე-20 ან თუნდაც 21-ე საუკუნემდეც კი. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამ საუკუნის დასაწყისში დაიწყო კონტროლი ფულის გათეთრებაზე, ვალუტის სახელმწიფო ადმინისტრაციამ (SAFE) გამოაცხადა, რომ მატერიკზე ჩინეთმა სამი წლის განმავლობაში განიცადა უკანონო კაპიტალის გაქცევა (illegal capital flight).⁵⁸⁶

როგორც ვხედავთ, ისეთ დიდ სახელმწიფოშიც კი, როგორცაა ჩინეთი, ფულის გათეთრება არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ რეალურად აზიანებს მას, რადგან ხელს უწყობს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას, რითაც ქვეყანა კარგავს შიდა კაპიტალს.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ როგორც საქართველოში, ისევე ჩინეთშიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სამართალდარღვევა, უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკაზე მის უარყოფით ზეგავლენას და არა უკანონო შემოსავლის ხარჯვას პირადი მიზნის შესაბამისად.

სუბიექტები - არსებობს კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თუ მხოლოდ ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა?

ფულის გათეთრების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას შეიძლება დაექვემდებაროს როგორც ინსტიტუტები (ანუ კორპორატივი) ასევე ფიზიკური პირები.⁵⁸⁷

ხანდაზმულობის ვადა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის

ფულის გათეთრების დანაშაულისთვის ხანდაზმულობის ვადა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტიდან 15 წელია.⁵⁸⁸

რეგულირება და ზედამხედველობა

საერთაშორისო ინიციატივებმა შთააგონა ჩინეთის მთავრობა, შექმნას საკუთარი მარეგულირებელი ჩარჩო, რათა განავითაროს და გააძლიეროს თავისი ფინანსური ინსტიტუტები.⁵⁸⁹

⁵⁸⁶ შეად. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, s. 62.

⁵⁸⁷ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 71.

⁵⁸⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 71.

⁵⁸⁹ იბ. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, გვ. 67-68.

ფულის გათეთრებას სამართლებრივი ყურადღება მიექცა, როდესაც 1996 წელს ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო იქნა ჩინეთის სახალხო ბანკის (PBC-ის) კანონშემოქმედებითი დეპარტამენტის მიერ. ამ პერიოდში სპეციალური ჯგუფიც შეიქმნა, რომელიც აკონტროლებდა კანონშემოქმედების პროცესს. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პირველადი აქტი "ჩინეთის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო აქტი" კიდევ შემუშავდა. თუმცა მისი არასრულყოფილების გამო, ზემდგომ სამინისტროს არ გადაეცა, ამასთან მანამდე ჩატარებული უზარმაზარი კვლევების საფუძველზე იგი არაერთხელ შეიცვალა და შესწორდა. როგორც ჩანს, აქტის პროექტი პოლიტიკურად მიუღებელია, თუმცა მიზეზი უცნობია.⁵⁹⁰

AML-ის ყოვლისმომცველი და ფორმალიზებული რეგულაცია - ჩინეთის ფინანსური ინსტიტუტების ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაცია (CFIAML) გამოქვეყნდა 2006 წლის 14 ნოემბერს და ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვრიდან.⁵⁹¹

2006 წლის 25 დეკემბერს AML დეპარტამენტების მე-3 ეროვნულ ერთობლივ კონფერენციაზე განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელთაგან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაფართოვდა საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს (MFR), სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროს (MSS), იუსტიციის სამინისტროს (MI), ფინანსთა სამინისტროს (MF), სამშენებლო სამინისტროს (MC), ვაჭრობის სამინისტროს (MT) AML პასუხისმგებლობა. კერძოდ, ფულის გათეთრების თავიდან ასაცილებლად, ზემოაღნიშნული უწყებების ყოველდღიურ საქმიანობას დაემატა ექსტრადიციის უფლება, საიდენტიფიკაციო შემოწმება, საწარმოების შესახებ საბაზისო ინფორმაციის შემოწმება, ფულადი სახსრების საზღვრის მიღმა ნაკადი, არაფინანსური ინსტიტუტების რეგულირება.⁵⁹²

მომხმარებელთა სათანადო სამართლებრივი შემოწმება

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო ინიციატივების გავლენით CDD-ის გაძლიერებით, ჩინეთის მომხმარებელთა იდენტიფიკაციისა და ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის შესახებ (CDD) პროცედურები მკვეთრად შეიცვალა, რითაც იგი დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს.

⁵⁹⁰ შეად. იქვე, გვ. 68

⁵⁹¹ იხ. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, გვ. 74.

⁵⁹² იხ. იქვე, გვ. 75.

მაგალითად, რეალური სახელების გამოყენების რეგულაციების შემოღება ამცირებს ჩინეთის ფინანსური ინსტიტუტების ბოროტად გამოყენების რისკს.⁵⁹³

2000 წლის აპრილში, ჩინეთის სახალხო ბანკმა (PRC-მ) გამოაქვეყნა წესები პირადი შემნახველი ანგარიშის რეალური სახელით გახსნის შესახებ, რომელიც ავალდებულებდა ნებისმიერს, ვინც გახსნა ახალი საბანკო ანგარიში, გაეკეთებინა ეს მისი ნამდვილი სახელით. წესები შედგენილია პირადი შემნახველი ანგარიშების ავთენტურობის უზრუნველსაყოფად. „ნამდვილი სახელი“, როგორც აღნიშნულია ამ წესებში, გულისხმობს პირადობის მოწმობაში გამოყენებულ სახელს, რომელიც შეესაბამება კანონს, ადმინისტრაციულ რეგლამენტს და სახელმწიფოს შესაბამის დებულებებს. როდესაც კლიენტები ხსნიან ან ჩარიცხავენ ფულს ახალ ანგარიშზე, უნდა იყოს წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი ბარათი მისი ვინაობის დასადასტურებლად. არსებული ანონიმური ანგარიშები შეიძლება დარჩეს ღია ხუთი წლის განმავლობაში ანგარიშის შექმნის დღიდან. ხუთი წლის შემდეგ, ანგარიშის მფლობელმა ხელახლა უნდა დაარეგისტრიროს ანგარიში მხოლოდ მისი ნამდვილი სახელით. ანონიმური ანგარიშები ეტაპობრივად გაუქმდა 2005 წელს FATF-ის მანდატების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა არ უნდა შეინახონ ანონიმური ანგარიშები, ან ანგარიშები აშკარად ფიქტიური სახელებით.⁵⁹⁴

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წესის მიღების პარალელურად უცხოელებისთვის ექვივალენტური წესები რატომღაც არ იყო გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, 2000 წელს ჩინეთში გატარებული ეს საკანონმდებლო სიახლე რეალურად უწყობს ხელს ფულის გათეთრებასთან ბრძოლას, ხელს უშლის რა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესს, რადგან ქმნის ამ პროცესში მონაწილე პირთა ლუსტრაციის პირობებს - ისინი ვერ ამოეფარებიან მოგონილი (ცრუმაგიერი) პირების სახელს. ასევე ბანკში ვერ გახსნიან ანგარიშს ანონიმურად.⁵⁹⁵

ყველა პერსონალური RMB საბანკო შემნახველი ანგარიში (მათ შორის პირადი საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშები, პირადი მიმდინარე შემნახველი ანგარიშები,

⁵⁹³ შეად. იქვე, გვ. 84-85.

⁵⁹⁴ Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, s. 85.

⁵⁹⁵ შეად. იქვე, გვ. 85-86.

პირადი ფიქსირებული სადეპოზიტო ანგარიშები და პირადი შეტყობინების შემნახველი ანგარიშები, რომლებიც შემდგომში ზოგადად მოიხსენიება, როგორც „პირადი საბანკო ანგარიშები“) უნდა გაიხსნას ნამდვილი სახელით. ეს ნიშნავს, რომ მენაბრებმა უნდა წარმოადგინონ ავთენტური, ლეგალური და ინტეგრირებული მოქმედი სერთიფიკატები პირადი საბანკო ანგარიშების გასახსნელად და ანგარიშის სახელი უნდა იყოს იდენტური, რაც მითითებულია სერთიფიკატებში. საბანკო ანგარიშის გახსნა დაუშვებელია, თუ პირადობის მოწმობა არ არის წარმოდგენილი. ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევა ექვემდებარება ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სანქციას.⁵⁹⁶

6.3. სასამართლო პრაქტიკა

მაგალითი: 2012 წლის სექტემბერში ჰონგ კონგში ქალი გაასამართლეს ფულის გათეთრებისთვის. იგი იყო კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მენეჯერი, რომელმაც 2002 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე გააყალბა გაყიდვების მაჩვენებლები 300 მილიონი აშშ დოლარით, უცხოური გაყიდვების ფაქტურების წარდგენის ხერხის გამოყენებით. სამისოდ მან გამოიყენა ტირაჟის ფონდი 68 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც საკუთარ ანგარიშზე ჰქონდა გადარიცხული ყალბი გაყიდვების წარმოების მიზნით. ეს ანგარიშები მან გამოიყენა ყალბი გაყიდვებისათვის.

აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს ფინანსური ინსტიტუტების საჭიროებას, საფუძვლიანად გამოიკვლიონ თავიანთი კლიენტების სახსრების წყარო, ასევე განახორციელონ მუდმივი მონიტორინგი თანხების წყაროს წარმოშობის დასადგენად.⁵⁹⁷

საინტერესოა, როგორ დაკვალიფიცირდება აღნიშნული მაგალითი საქართველოს სინამდვილეში? საქართველოში იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით: 1. მითვისებით, რაც ჩადენლია სამსახურებრივი მდგომარეობის

⁵⁹⁶ იხ. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009, გვ. 87.

⁵⁹⁷ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 472.

გამოყენებით და დიდი ოდენობით (სსკ 182-ე მ. მე-2 ნაწ. „დ“ ქვ. და მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.); 2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით.

მითვისება სახეზე იყო იმ ეპიზოდში, როცა ბუღალტრული აღრიცხვის მენეჯერმა ორგანიზაციის ტირაჟის ფონდში არსებული თანხა გადარიცხა თავის ანგარიშზე. შემდგომ ეპიზოდში კი, როცა მან ეს თანხა გამოიყენა ყალბი გაყიდვებისთვის, სახეზეა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ქონების შექმნა), რადგან აშკარაა უკანონო გზით (მითვისებით) მოპოვებული ქონების გათეთრების (მისთვის კანონიერი სახის მიცემის) მიზანი.

7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით

7.1. საკანონმდებლობო ისტორია და კანონმდებლობის ანალიზი

რა სამართლებრივ საფუძვლებზე ხდება აშშ-ში ფულის გათეთრების საქმის ეროვნულ დონეზე გამოძიების წარმოება?

ფულის გათეთრება შეერთებულ შტატებში დანაშაულად ითვლება 1986 წლიდან, რითაც შეერთებული შტატები გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია მოახდინა. არსებობს ფულის გათეთრებაზე სისხლის სამართლის ორი დებულება, 18 შტატის კოდექსი, 1956 და 1957 სექციები (18 U.S.C. §§ 1956 და 1957).⁵⁹⁸

აშშ-ს პატრიოტ აქტი

342 გვერდიან აშშ-ს პატრიოტ აქტი წარმოადგენს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის ამჟამინდელ ქვაკუთხედს. იგი მიღებულია 2001 წელს, კანონმდებლობის ნამდვილი სათაურია:

„ამერიკის გაერთიანება და გაძლიერება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა ხელი შევუშალოთ და დავამარცხოთ ტერორიზმი (აშშ პატრიოტ აქტი) 2001 წლის აქტი.“

⁵⁹⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 243. (ეს თავი შესრულებულია კომპანია Gibson, Dunn & Crutcher LLP წევრების - Joel M. Cohen, Linda Noonan მიერ).

როგორც სათაურიდან ჩანს, პატრიოტის აქტი ფაქტობრივად არ წარმოადგენს "ყველა დანაშაულის" კანონმდებლობას და მხოლოდ ტერორიზმის დაფინანსების აღმოჩენისა და აღკვეთის მიზნით შემოიფარგლება. ალბათ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს კანონი მიიღო წარმომადგენელთა პალატამ (2001 წლის 24 ოქტომბერი) და ხელი მოაწერა იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (2001 წლის 26 ოქტომბერი), ეს გასაკვირი არ არის.

ეს აქტი ემატება აშშ-ს არსებულ კანონმდებლობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ბანკის საიდუმლოების შესახებ კანონთან ერთად მოქმედებს მთლიანი ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში.⁵⁹⁹

პატრიოტის კანონის ამოქმედებამდე აშშ-ს ბანკები უკვე ექვემდებარებოდნენ ფულის გათეთრების რეგულაციებს, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 9.1.

ცხრილი 9.1 აშშ-ს ძირითადი რეგულაციები ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოქმედებდნენ პატრიოტის აქტამდე:

- საბანკო საიდუმლოების აქტი - 1970 წელი;
- ფულის გათეთრების მაკონტროლებელი აქტი - 1986 წელი;
- ანუნციო ვაილი/Annunzio Wiley – 1992 წელი;
- ფულის გათეთრების აღკვეთის აქტი - 1994 წელი;
- სახსრების, ფონდების გადარიცხვის წესები - 1996 წელი.⁶⁰⁰

რა შედის ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულებში? არის თუ არა გადასახადებისაგან თავის არიდება ფულის გათეთრების ძირითადი/პრედიკატიული დანაშაული?

ზოგადად, დანაშაულია ნებისმიერი სახის ფინანსური ტრანზაქციის განხორციელება, თუ პირი ახორციელებდა რა ტრანზაქციას, წინასწარ იცოდა, რომ ეს თანხები მოდის „კრიმინალური საქმიანობიდან“ და ამასთან, თუ შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ შემოსავლები მიღებული იყო „განსაკუთრებული უკანონო საქმიანობიდან“. კრიმინალური აქტივობა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი სისხლის სამართლის კანონის დარღვევაში – ფედერალური, სახელმწიფო, ადგილობრივი თუ უცხო კანონის. განსაზღვრული უკანონო ქმედებები ჩამოყალიბებულია წესდებაში და

⁵⁹⁹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 127.

⁶⁰⁰ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 127-128.

მოიცავს აშშ-ს 200-ზე მეტ დანაშაულს, დაწყებული ნარკომანიით, ტერორიზმით და თაღლითობით, დამთავრებული ორგანიზებულ დანაშაულამდე.⁶⁰¹

ამასთან სამართალშემფარდებელი არაა ვალდებული, ამტკიცოს, რომ ფულის გათეთრების გარიგების განმახორციელებელმა პირმა იცოდა, კერძოდ, რა სახის სამართალდარღვევის გზით იყო მოპოვებული უკანონო შემოსავალი. მთავარია, პირმა იცოდეს, რომ ეს იყო უკანონო გზით მიღებული შემოსავალი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანია არა მხოლოდ პრაქტიკული (პრაგმატისტული) თვალსაზრისით, არამედ საკითხის დოგმატური გადაწყვეტის თვალსაზრისითაც. ამგვარი საკითხები ანალოგიურად წყდება საქართველოშიც. მაგალითად, საქართველოს სსკ 186-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის არაა სავალდებულო, პირმა იცოდეს, კერძოდ რომელი დანაშაულის გზითაა მოპოვებული ის ქონება, რომელიც მან შეიძინა. მთავარია, იცოდეს, რომ მის მიერ შეძენილი ქონება მოპოვებულია რომელიმე დანაშაულის გზით.⁶⁰²

აშშ პატრიოტ აქტის 1956-ე მუხლის მიხედვით, გარიგება შეიძლება დადებულ იყოს: (1) განსაზღვრული უკანონო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით; (2) აშშ-ს გადასახადებისგან თავის არიდებაში ჩართვის ან ყალბი საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის მიზნით; (3) გარიგების ცოდნა მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს განსაზღვრული უკანონო საქმიანობის შემოსავლების ბუნების, ადგილმდებარეობის, წყაროს, საკუთრების ან კონტროლის დამალვას; ან (4) ფედერალური ან სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, ტრანზაქციის შესახებ სათანადო ორგანისათვის შეტყობინების მოთხოვნის თავიდან აცილების მიზნით.⁶⁰³

1956-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სახსრების ან ფულადი ინსტრუმენტების (ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების სახით) ტრანსპორტირებას ან გადაცემას: (1) კონკრეტული უკანონო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით; ან (2) იმის ცოდნით, რომ სახსრები ან ფულადი ინსტრუმენტები წარმოადგენს განსაზღვრული უკანონო საქმიანობის შემოსავალს და გადაცემა ან ტრანსპორტირება

⁶⁰¹ *ib.* The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 243.

⁶⁰² საქართველოს სსკ 186-ე მუხლის არსის შესახებ იხ. ლეკვეიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 111-115.

⁶⁰³ შუად. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 243.

მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია იმისთვის, რომ დამალოს ან შენიღბოს მითითებული შემოსავლების ბუნება, მდებარეობა, წყარო, საკუთრება ან კონტროლი. უკანონო საქმიანობა.⁶⁰⁴

როგორც ვხედავთ, აშშ მოქმედი ეს კანონი ძირითადად ემთხვევა იმ კანონს, რაც საქართველოში მოქმედებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე - თითქმის ანალოგიურია ქმედებები, ასევე სახეზეა მიზნით დაფუძნებული დელიქტი.

ამავე კანონის 1957-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია შეგნებულად ჩართვა იმ ქონების ფინანსურ ტრანზაქციაში, რომელიც მიიღება განსაზღვრული უკანონო საქმიანობიდან აშშ-ს ბანკის ან სხვა „ფინანსური ინსტიტუტის“ ან უცხოური ბანკის მეშვეობით (10,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით). ფინანსური ინსტიტუტი ფართოდ არის განსაზღვრული საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონის ("BSA") საფინანსო ინსტიტუტის ნორმატიული განმარტებით (31 U.S.C. § 5312(a)(2)) და მოიცავს არა მხოლოდ ბანკებს, არამედ სხვა ფინანსური ბიზნესების ფართო სპექტრს, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბროკერ-დილერები, სადაზღვევო კომპანიები, არასაბანკო ფინანსური კომპანიები და კაზინოები.⁶⁰⁵

ისმის კითხვა: ითვლება თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადებისგან თავის არიდება ლეგიტიმური წყაროებიდან მიღებული შემოსავლის დამალვით ფულის გათეთრების მთავარ (პრედიკატიულ) დანაშაულად?

ლეგიტიმური წყაროებიდან მიღებული შემოსავლით გადასახადებისგან თავის არიდება შეერთებულ შტატებში განიხილება ფულის გათეთრების ძირითად დანაშაულად, თუკი შეიძლება დადასტურდეს ფედერალური კანონის დარღვევის განზრახვა.⁶⁰⁶

ამასთან ყურადღებას იპყრობს შედეგი ფაქტი: გადასახადებისგან თავის არიდება აშშ კანონმდებლობით თავისთავად არაა ძირითადი დანაშაული, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედების განხორციელება სხვა უკანონო საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით, ფედერალური გადასახადის თავიდან არიდების ან ყალბი საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის მიზნით, ექვემდებარება დევნას 1956 წლის

⁶⁰⁴ იხ. იქვე.

⁶⁰⁵ იხ. იქვე.

⁶⁰⁶ Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, protiviti, 2014. p. 14.

მუხლით. თაღლითობა (18 U.S.C. § 1343) წინარე უკანონო საქმიანობაა. საბანკო თაღლითობა გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობისთვის, თუნდაც უცხოური გადასახადებისგან თავის არიდება, შეიძლება იყოს ფულის გათეთრების ძირითადი დანაშაული.⁶⁰⁷

წინარე დანაშაულებთან მიმართებაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 170-ზე მეტი დანაშაული ფიქსირდება ფულის გათეთრების ფედერალურ წესდებებში. მათ შორისაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა, პირის დაქირავება მკვლელობის ჩასადენად, თაღლითობა, ტერორისტული აქტები და ჭარბტენიანი ტერიტორიების უკანონო გამოყენება.⁶⁰⁸

ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრების დანაშაულისთვის; უცხო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავლის გათეთრებისთვის დაწესებული სასჯელები

ფულის გათეთრების შესახებ სისხლის სამართლის დებულებებით განსაზღვრულია ფართო ექსტერიტორიული იურისდიქცია. არსებობს ექსტერიტორიული იურისდიქცია ფულის გათეთრებაზე.

აშშ კანონმდებლობა ვრცელდება იმ დანაშაულებზეც, რომლებიც ხდება შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ აშშ-ს მოქალაქეების, რეზიდენტების და იურიდიული პირების, ასევე არაამერიკელი პირების მიერ, თუკი გარიგება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.⁶⁰⁹

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული აშშ-ს კანონის მოქმედების საკითხი ძირითადად წყდება არა მხოლოდ მოქალაქეობის პრინციპის, არამედ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით.⁶¹⁰ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სრულიად ემთხვევა საქართველოს ზოგად საკანონმდებლო რეგულაციას, თუმცა საქართველოში სსკ 194-ე მუხლის მიმართ, როგორც საერთაშორისო

⁶⁰⁷ შეად. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 243.

⁶⁰⁸ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 133.

⁶⁰⁹ იხ. იქვე.

⁶¹⁰ ტერიტორიულობისა და მოქალაქეობის პრინციპის შესახებ იხ. ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 136-142; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 43-47.

კონვენციიდან გამომდინარე ნორმის მიმართ, ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია.⁶¹¹

აშშ კანონმდებლობით ძირითად (წინარე) დანაშაულად მიჩნეულია უცხო ქვეყანაში ჩადენილი ცალკეული დანაშაული. მათ შორის: ნარკოდანაშაული, დაქირავებული მკვლელობა, ცეცხლის გაჩენა, უცხოეთში ჩადენილი საჯარო კორუფცია, უცხოური ბანკის მიმართ ან მათ მიერ ჩადენილი თაღლითობა, იარაღის კონტრაბანდა, ადამიანებით ვაჭრობა და ნებისმიერი დანაშაული, თუკი მისი ჩამდენი ექვემდებარება შერეულ შტატებთან ექსტრადიციის მრავალმხრივ ხელშეკრულებას.⁶¹²

ფულის გათეთრების დანაშაულების გამოძიებასა და დევნაზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანო

ფულის გათეთრების დანაშაულის დევნა აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა. იუსტიციის დეპარტამენტის კრიმინალურ განყოფილებაში არის სპეციალური განყოფილება ფულის გათეთრებისა და აქტივების აღდგენის განყოფილებაში („MLARS“), რომელიც პასუხისმგებელია ფულის გათეთრების საქმეზე და მასთან დაკავშირებულ ქმედებებზე. ამასთან, აშშ-ს ცალკეული შტატების 94 პროკურატურას მისი ტერიტორიის მასშტაბით, ასევე შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა ფულის გათეთრების დანაშაულზე მართო ან ფულის გათეთრებისა და აქტივების აღდგენის განყოფილებასთან (MLARS) ერთად. MLARS-მა უნდა დაამტკიცოს აშშ პროკურატურის მიერ განხორციელებული ფინანსური ინსტიტუტის მიმართ წარმოებული ნებისმიერი დევნა.⁶¹³

ქმედების სუბიექტი - თუ არსებობს კორპორაციული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თუ მხოლოდ ფიზიკური პირები აგებენ პასუხს?

აშშ-ში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

ხანდაზმულობის ვადის საკითხი ფულის გათეთრების დანაშაულისთვის

⁶¹¹ უნივერსალური იურისდიქციის საკითხზე იხ. ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 144-149; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 48-52.

⁶¹² შეად. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 243.

⁶¹³ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 244.

ხანდაზმულობის ვადა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ხუთი წელია.⁶¹⁴ ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აშშ კანონმდებლობით ფულის გათეთრების თითოეული შემთხვევისთვის ფიზიკური პირის სასჯელია 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (რაც აშკარად მკაცრია საქართველოს სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელთან შედარებით), ხანდაზმულობის ვადა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოში. კერძოდ, საქართველოს სსკ 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვ-ის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (როგორც მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის) ხანდაზმულობის ვადას წარმოადგენს 10 წელი.

კონტროლირებადი ნივთიერებების შესახებ კანონის 1978 წლის, ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ 1986 წლისა და 1988 წლის ანტისამთავრობო ნარკომანიის შესახებ კანონის დებულებების თანახმად, უძრავი ან პირადი ქონება, რომელიც ნარკოტიკების უკანონო გაყიდვამდე მიჰყვება ან გათეთრებულია ფულის საშუალებით, ექვემდებარება ჩამორთმევას. ზოგჯერ, ჩამორთმეული ქონება წარმოადგენს საბანკო სესხების უზრუნველყოფას.⁶¹⁵

როგორც ვხედავთ, აშშ კანონმდებლობა, მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა (სსკ 52-ე მ. მე-2 ნაწ.), ითვალისწინებს ჩამორთმეული ქონების გამოყენებას ცალკეულ პირთა (ამ შემთხვევაში ბანკის, როგორც იურიდიული პირის) უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

შემოწმების კრიტერიუმები

ყველაზე სასარგებლო საჯარო სახელმძღვანელო არის ფედერალური ფინანსური ინსტიტუტების ექსპერტიზის საბჭო, საბანკო საიდუმლოების აქტი/ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ექსპერტიზის სახელმძღვანელო ბანკებისთვის („FFIEC სახელმძღვანელო“).⁶¹⁶

ხანდაზმულობის ვადა კომპეტენტური ორგანოებისთვის სააღსრულებო მოქმედებების განსახორციელებლად

⁶¹⁴ იხ. იქვე.

⁶¹⁵ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 133.

⁶¹⁶ ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.ffiec.gov/bsa_aml_infobase/pages_manual/manual_online.htm (20.11.2021 მდგომარეობით)

ფედერალურ ფუნქციონალურ მარეგულირებლებს აქვთ ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა საბანკო საიდუმლოების კანონთან („BSA“) დაკავშირებული აღსრულების ქმედებებისთვის. სამოქალაქო სარჩელზე მოქმედებს ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო BSA-ს სისხლის სამართლის დარღვევისთვის - ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁶¹⁷

მაქსიმალური ჯარიმები ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მარეგულირებელი/ადმინისტრაციული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის

საბანკო საიდუმლოების კანონით („BSA“) სამოქალაქო და/ან სისხლის სამართლის სასჯელი შეიძლება დაწესდეს ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვა ბიზნესის მიმართ, რომლებიც ექვემდებარება BSA-ს და/ან მათ ოფიცრებს, დირექტორებს და თანამშრომლებს. ჯარიმები განსხვავებულია სხვადასხვა სახის დარღვევებისთვის. ერთიდაიგივე დარღვევაზე შეიძლება დაწესდეს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის სასჯელი, ან უბრალოდ სამოქალაქო სახდელი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელი.⁶¹⁸

მაგალითად, თუ განზრახ იქნა ჩადენილი წარუმატებელი ტრანზაქცია, BSA-ს სამოქალაქო ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა ჩვეულებრივ არის \$25,000, ან ტრანზაქციაში ჩართული თანხების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს \$100,000-ს, რაც უფრო დიდია, თითოეული ჩართული ტრანზაქციისთვის. ამასთან, AML პროგრამის მოთხოვნის საბანკო საიდუმლოების კანონის (BSA) დარღვევა ისჯება ცალ-ცალკე დარღვევის ჩადენის ყოველი დღისთვის.⁶¹⁹

როგორც ვხედავთ, 25 000 აშშ დოლარი ჯარიმის ოდენობა დაწესებულია იმ შემთხვევისათვის, როცა უკანონო ტრანზაქცია, მართალია, ჩადენილია განზრახ, მაგრამ იგი წარუმატებელი იყო. იმ შემთხვევაში კი, როცა ტრანზაქცია წარმატებით დამთავდა, ჯარიმის ოდენობა შეადგენს იმ მთლიან თანხას, რაც ჩართული იყო ტრანზაქციაში, თუკი იგი არ აღემატება 100 000 აშშ დოლარს.⁶²⁰

⁶¹⁷ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 247.

⁶¹⁸ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 247.

⁶¹⁹ იქვე.

⁶²⁰ იხ. იქვე.

საერთოდ, სასჯელები აშშ-ში ფულის გათეთრებისთვის შეიძლება მკაცრი იყოს. ფიზიკური პირებს, ბანკის თანამშრომლების ჩათვლით, ფულის გათეთრების ბრალდებით გასამართლებისას 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება ფულის გათეთრების თითოეული ოპერაციისთვის. ბიზნესი, მათ შორის ბანკები და ფიზიკური პირები, ჯარიმდება 500,000 აშშ დოლარის ოდენობით ან გარიგების ღირებულების ორჯერ მეტი ოდენობით. ნებისმიერი ქონება, რომელიც გარიგებაში ფიგურირებს, ან დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული თანხის ანაზღაურებაა, მათ შორის, სესხის გირაო, პირადი ქონება და გარკვეულ პირობებში, მთლიანი საბანკო ანგარიში (მაშინაც კი, თუ ანგარიშზე თანხის ნაწილი ლეგიტიმურია), შეიძლება დაექვემდებაროს ყადაღას.⁶²¹

სხვა რა სახის სანქცია შეიძლება დაეკისროს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ფულადი ჯარიმების გარდა?

ფედერალურმა ფუნქციონალურმა მარეგულირებლებმა შეიძლება დააწესონ ვალდებულებების ფართო სპექტრი, გარდა სამოქალაქო ფულის ჯარიმების დაწესებისა. მაგალითად, ფინანსურ ინსტიტუტს შეიძლება მოეთხოვოს, დაიქირავოს კომპეტენტური ოფიცერი, ან დაიქირაოს კვალიფიციური დამოუკიდებელი მესამე მხარეები, რომლებიც გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად მისაღებია მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ჩაატაროს „უკან გახედვა“ ტრანზაქციების (ანუ ადრინდელი ტრანზაქციების) განსახილველად, ადრინდელი საექვო აქტივობის გამოსავლენად, ან კლიენტის/მომხმარებელთა ფაილების განსახილველად.

ყველაზე საგანგაშო შემთხვევებში, პირებს შეიძლება შეუჩერონ, შეუზღუდონ ან აუკრძალონ სამომავლო დასაქმება სექტორში, ან დასაქმება ნებისმიერ საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონის ("BSA") ფინანსურ ინსტიტუტში.⁶²²

როგორც ვხედავთ, გარდა ამისა, ბანკები რისკავს იმას, რომ კარგავენ წესდებას, ბანკის თანამშრომელი რისკავს გაძევებას და ინდუსტრიაში ჩართვის აკრძალვას.⁶²³

აშშ-ში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნები 2013 წლის მარტიდან ასევე გამოყენებულია კრიპტოვალუტის ინდუსტრიაში.

⁶²¹ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 133.

⁶²² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 247.

⁶²³ Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014, p. 133.

2013 წელს FinCEN-მა გამოსცა მითითება, რომ ვირტუალური ვალუტის ადმინისტრატორები და გადამცვლელები არიან ფულის გადამცემები საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონის (BSA-ს) ქვეშ და, შესაბამისად, ექვემდებარებიან BSA MSB-ის მოთხოვნებს AML პროგრამებისთვის, საეჭვო აქტივობების მოხსენებისთვის და FinCEN რეგისტრაციისთვის.⁶²⁴

სპეციალური ან გაძლიერებული მოთხოვნები გარკვეული ტიპის მომხმარებლებისთვის?

მომხმარებელთა სათანადო სამართლებრივი შემოწმება:

მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 11 მაისს, როგორც მათი AML პროგრამების ნაწილი, გარკვეულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა (ბანკები, ბროკერ-დილერები, ურთიერთდახმარების ფონდები, FCM და IB-Cs) უნდა განახორციელონ ოფიციალურ რისკზე დაფუძნებული CDD პროგრამები, რომლებშიც შეტანილია გარკვეულ მინიმალური ელემენტები, მათ შორის მომხმარებლის იდენტიფიკაცია და დადასტურება (მომხმარებლის იდენტიფიკაციის პროგრამის ფარგლებში), მომხმარებლის ანგარიშის ხასიათისა და მიზნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კლიენტების ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი, ბენეფიციარის საკუთრების შესახებ ინფორმაციის მიღება იურიდიული პირის კლიენტებისთვის, იურიდიული პირის მომხმარებელთა იდენტიფიცირება (გარკვეული გამონაკლისის გარდა).⁶²⁵

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის მიზნით, აშშ კანონმდებლობით განსაკუთრებული მოთხოვნებია დადგენილი ფინანსური ინსტიტუტებისათვის, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

7.2. მომხმარებელთა იდენტიფიკაციის პროგრამა:

იგივე ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ექვემდებარება ოფიციალურ რისკზე დაფუძნებული CDD მოთხოვნებს (ბანკები, ბროკერ-დილერები, ურთიერთდახმარების ფონდები ვალდებულნი არიან, შეინარჩუნონ მომხმარებელთა იდენტიფიკაციის პროგრამა (CIP), სადაც მითითებულია, თუ როგორ შეასრულებენ

⁶²⁴ <https://www.fincen.gov/sites/default/files/shared/FIN-2013-G001.pdf>

⁶²⁵ იხ. იქვე, გვ. 249.

ისინი ამ პროგრამის მარეგულირებელ მოთხოვნებს. CIP-ის რეგულაციები ფინანსურ ინსტიტუტებს ავალდებულებს, მოიპოვონ და ჩაწერონ ძირითადი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია (სახელი, ქუჩის მისამართი, დაბადების თარიღი და პიროვნების საიდენტიფიკაციო ნომერი) და დაადასტურონ მომხმარებლის ვინაობა სანდო დოკუმენტური ან არადოკუმენტური საშუალებებით.⁶²⁶

აკრძალულია თუ არა საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშები იმ უცხოური „შელი“ ბანკებისთვის, რომლებიც ფიზიკურად არ იმყოფებიან იმ ქვეყნებში, სადაც არიან ლიცენზირებულნი და არ აქვთ ეფექტური ზედამხედველობა? რომელი ტიპის ფინანსური ინსტიტუტი ექვემდებარება აკრძალვას?

ბანკებს, ბროკერ-დილერებს, ურთიერთდახმარების ფონდებს, აშშ კანონმდებლობით ეკრძალებათ უცხოური „შელი“ ბანკების ანგარიშების შექმნა, შენარჩუნება, ადმინისტრირება ან მართვა, რომლებიც ფაქტობრივად არ რეგულირდება რომელიმე გონივრული ზედამხედველის მიერ. Shell ბანკი არის ბანკი, რომელსაც აქვს ოფშორული ლიცენზია და ფიზიკურად არ იმყოფება ქვეყანაში, სადაც ის ლიცენზირებულია (არ აქვს ოფისები, არ ჰყავს თანამშრომლები). Shell ბანკი არ მოიცავს ოფშორული ლიცენზიით რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების ფილიალს (ბანკები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ლოკაცია და რეგულირდება ზედამხედველის მიერ ლიცენზირების იურისდიქციაში).⁶²⁷

საქართველო

არ იქნება ინტერესს მოკლებული, კვლევის ეს მონაცემები შევადაროთ საქართველოს მიმართ ჩატარებულ კვლევის მონაცემებს.

საქართველოში უკანონო შემოსავლის დიდი ნაწილი მომდინარეობს თაღლითობის, დოკუმენტების გაყალბების, ქონების მითვისებისა და უკანონო მეწარმეობისგან. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოში გათეთრებული დანაშაულებრივი შემოსავლის ძირითადი ნაწილი ოჯახური დანაშაულებრივი ქმედებებიდან მოდის. მთავრობის განცხადებით, ფულის გათეთრების მხოლოდ მცირე ნაწილია დაკავშირებული ნარკოტიკებით ვაჭრობასთან,

⁶²⁶ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group. P. 250.

⁶²⁷ იხ. იქვე, გვ. 250.

თუმცა არსებობს ნარკოტიკების უკანონო შიდა ბაზარი და ნარკოტიკების ტრანზიტი საქართველოში. უფრო მეტიც, ხელისუფლება ახლახან იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის პრობლემა იმაზე დიდია, ვიდრე მათ ეგონათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ კონტექსტში ფულის გათეთრების თავიდან აცილების მცდელობები ყველაზე ადრეულ ეტაპზეა. რუსეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები საქართველოს სამთავრობო ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება და მონიტორინგს არ ექვემდებარება.⁶²⁸

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში კონტრაბანდული საქონლის მცირე შავი ბაზარია. საგადასახადო და საბაჟო გადასახადების თავიდან ასაცილებლად კონტრაბანდული საქონელი იყიდება შავ ან ნაცრისფერ ბაზრებზე. შავ ბაზარზე ვაჭრობის მასშტაბები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უცნობია. შემაშფოთებელია სათამაშო ინდუსტრიის სწრაფი ზრდა საქართველოში და AML-ის მარეგულირებელი ზედამხედველობის ნაკლებობა.⁶²⁹

ახალი მომხმარებლებისადმი სამართლებრივი შემოწმება (KYC) მოიცავს სუბიექტებს: ბანკები, ვალუტის გადამცვლელი ბიუროები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ფულის გამგზავნი; კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები; ფასიანი ქაღალდების ბროკერები და რეგისტრატორები; სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები; ლატარიებისა და სხვა კომერციული თამაშების ორგანიზატორები; სიმკვლეების, ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და მათი ნაწარმის დილერები; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური; გრანტების გაფართოებითა და საქველმოქმედო დახმარებებით დაკავებული სუბიექტები; ნოტარიუსები; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ბუღალტერები და აუდიტორები; სალიზინგო კომპანიები; და ადვოკატები.⁶³⁰

⁶²⁸ United States Department of State, *Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs Money Laundering and Financial Crimes Country Database*, June 2015, p. 171-172.

⁶²⁹ United States Department of State, *Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs Money Laundering and Financial Crimes Country Database*, June 2015, p. 172. საქართველოში ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით, იხ. <http://www.state.gov/j/ct/rls/crt/> (20.11.2021 მდგომარეობით)

⁶³⁰ United States Department of State, *Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs Money Laundering and Financial Crimes Country Database*, June 2015, p. 172.

STR მოიცავს სუბიექტებს: ბანკები, ვალუტის გადამცვლელი ბიუროები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ფულის გამგზავნი; კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები; ფასიანი ქაღალდების ბროკერები და რეგისტრატორები; სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები; ლატარიებისა და სხვა კომერციული თამაშების ორგანიზატორები; სიმველეების, ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და მათი ნაწარმის დილერები; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური; გრანტების გაფართოებითა და საქველმოქმედო დახმარებებით დაკავებული სუბიექტები; ნოტარიუსები; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ბუღალტერები და აუდიტორები; სალიზინგო კომპანიები; ადვოკატები.⁶³¹

⁶³¹ United States Department of State, *Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs Money Laundering and Financial Crimes Country Database*, June 2015, p. 172. (რეპორტინგის მოთხოვნები მიღებულია 2013 წლის 1 იანვარი - 30 სექტემბრის პერიოდში).

V თავი

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციაზე

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, რათა გაგვეჩვენა, თუ რა პრობლემური საკითხები დგას მის წინაშე როგორც ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით და რამდენად სწორადაა ისინი გადაწყვეტილი.

პრაქტიკის ანალიზით გამოვლინდა რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როცა როგორც გამოძიების ორგანოს, ისე სასამართლოს, არასწორად ესმის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივი არსი. კერძოდ, ჩადენილია ერთი დანაშაული (მაგ., დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ), თუმცა ქმედება ამ დანაშაულთან ერთად ასევე დაკვალიფიცირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით.

ამდენად, უნდა განვიხილოთ პრაქტიკაში გამოვლენილი ეს ხარვეზები.

რამდენად სწორადაა გაგებული შემთხვევა, როცა პირი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სჩადის თაღლითობას, ხოლო შემდეგ კი პირადი საჭიროებისამებრ გამოყენების მიზნით გაიტანს ორგანიზაციის ანგარიშზე მოტყუებით (ან სხვა უკანონო გზით) დარიცხულ თანხას.

1. მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან

2014 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ბრალდებულ კ-ს მონაწილეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე (არსებითი განხილვის გარეშე), დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და დამნაშავედ ცნო იგი **თაღლითობაში**, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით, (სსკ 180-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ და „ბ“ ქვ.); **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში**, რაც ჩადენილია ჯგუფურად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-2 ნაწ. „ა“ ქვ, ამავე მუხ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.) და **მოხელის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობაში** (სსკ 337-ე მ.).⁶³²

⁶³² იხ. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის არქივი სისხლის სამართლის საქმეებზე (ვინაიდან საქმის მასალები დაშიფრული სახით მოგვეწოდა, ვერ ვუთითებთ საქმის ნომერს).

რითაა დასაბუთებული კ-ს მიერ თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენა?

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 2007 წლის 8 იანვარს კ-ს დაინიშნა ქ. თბილისის ძველი თბილისის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე. 2009 წლის 15 თებერვალს კი გათავისუფლებულ იქნა ამ თანამდებობიდან. ამდენად, 2007 წლის 8 იანვრიდან 2009 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში იგი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. შესაბამისად, ეკრძალებოდა სამეწარმეო საქმიანობა, სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავების უფლება.

ბრალდების მიხედვით, მიუხედავად აკრძალვისა, კ-მ და ძველი თბილისის გამგებელმა განიზრახეს, დამატებით უკანონო შემოსავლის მიღებისა და შემდგომში მისი ლეგალიზაციის მიზნით გამოეყენებინათ სამსახურებრივი მდგომარეობა. კერძოდ, მათ ახლობლებს 25-25 %-იანი წილობრივი მონაწილეობით 2007 წლის 1 მაისს დააფუძნებინეს შპს. 2010 წლის 16 ნოემბერს კი სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებით თავად გახდნენ საზოგადოების პარტნიორები და ამ საზოგადოების დირექტორად დაინიშნა კ (რომელიც უკვე გათავისუფლებული იყო გამგებლის მოადგილის თანამდებობიდან).

აღნიშნული შპს სისტემატურად ახორციელებდა სახელმწიფო პროექტებს. 2007-2012 წლებში იგი მონაწილეობდა ძველი თბილისის რ-ნის გამგეობის მიერ ქ. თბილისის მერიის და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ მწვანე ნარგაობათა მოვლასა და განახლებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერებში, სადაც სისტემატურად იმარჯვებდა ეს შპს. ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული შესყიდვები ცხადდებოდა კ-ს და ძველი თბილისის გამგებლის მიერ, მათ თანამდებობრივად ევალებოდათ სახელმწიფო შესყიდვების პირობების განსაზღვრა, სატენდერო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრობა, ასევე ხელშეკრულებების გაფორმება და სამუშაოთა შესრულებაზე კონტროლი. ისინი დანაშაულებრივი განზრახვიდან გამომდინარე, ამ მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებდნენ და ძველი თბილისის გამგეობაზე საქონლის მიწოდებას ახორციელებდნენ ბევრად უფრო მაღალი ფასნამატით, ვიდრე სხვა პირებზე, რითაც მათ მიიღეს უკანონო შემოსავალი.

ბრალდების ეს მონაკვეთი ეხება სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობასა და თაღლითობას, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. რატომ?

ეს საკითხი განაჩენში დეტალურად არაა დასაბუთებული, თუმცა მისი დასაბუთება შესაძლებელია.

როგორ უნდა დასაბუთდეს შერაცხული ბრალდება?

ამისათვის ჩადენილი ქმედება შეიძლება დავეყთ ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი მოიცავს 2007 წლიდან 2009 წლამდე პერიოდს, როცა კ-ს, როგორც საჯარო მოხელეს, ევალებოდა ტენდერების გამოცხადება, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის განსაზღვრა, სატენდერო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრობა, ხელშეკრულების გაფორმება და სამუშაოს შესრულებაზე კონტროლი.

ამ პერიოდში იგი იყენებდა სწორედ ამ სამსახურებრივ მდგომარეობას და გამოცხადებულ ტენდერში სისტემატურად გამარჯვებულად აცხადებდა მისი ახლობლების სახელით დაფუძნებულ შპს-ს, რომელი შპს-ც თავის მხრივ მათთან წინასწარი შეთანხმებით, ძველი თბილისის გამგეობაზე საქონლის მიწოდებას ახორციელებდა ბევრად მაღალი ფასნამატი. ამდენად, ადგილი ჰქონდა სხვისი ნივთის (სახელმწიფო საკუთრების) დაუფლებას მოტყუებით, რა დროსაც გამოყენებული იყო სამსახურებრივი (კერძოდ, საჯარო მოხელის) მდგომარეობა. ამდენად, სახეზეა თაღლითობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

რაც შეეხება მეორე ეტაპს, იგი მოიცავს 2009 წლიდან 2012 წლამდე პერიოდს, როცა კ უკვე არ იყო საჯარო მოხელე, მაგრამ იყო შპს-ს ოფიციალური დირექტორი. ამ დროს იგი, როგორც კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარ შეცნობით, ბევრად მაღალი ფასნამატი აწვდიდა საქონელს ძველი თბილისის გამგეობას. ანუ თანხის დასაუფლებლად იყენებდა მოტყუების ხერხს.

როგორც ვხედავთ, სახეზეა თაღლითობის გზით მიღებული უკანონო შემოსავალი, რაც ირიცხება შპს-ს ანგარიშზე (რომლის დირექტორიცაა თავად ბრალდებული კ)

რითაა დასაბუთებული კ-ს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია? განაჩენის მიხედვით იგი შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

„ამ უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, მათ არ განახორციელეს შპს-ს მიერ წარმოქმნილი წმინდა მოგების განაწილება და თითქოსდა რეინვენსტირების მიზნით განახორციელეს უკანონო მოგების საწარმოს ბრუნვაში ჩართვა. განხორციელებული

არამართლზომიერი ქმედების შენიღბვის მიზნით კი მოგვიანებით საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლის სახელით შეადგინეს შპს- პარტნიორთა კრების ყალბი ოქმი მოგების რეინვენსტირებაზე...

შპს-ს წმინდა მოგებიდან დარიცხული დივიდენდის გამოყენებისა და სამეწარმეო საქმიანობის მართვაში უკანონო მონაწილეობის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის საბოლოო ლეგალიზაციის მიზნით 2011 წლის 10 თებერვალს, ამავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს კ-მ და ძველი მისმა პარტნიორმა სამ ეტაპად განახორციელეს 1 927 237 ლარის გატანა, რითაც შექმნეს აღნიშნული უკანონო შემოსავლის პირადი საჭიროებისამებრ გამოყენების სამართლებრივი საფუძველი“.

ეტაპობრივად მივყვეთ განაჩენის ამ ორ მონაკვეთს.

როგორც ვხედავთ, განაჩენის მიხედვით, უკანონო (თაღლითობის გზით მიღებული) შემოსავლის ლეგალიზაციის პირველი ეტაპი იმაში გამოიხატა, რომ კ-მ არ განახორციელა შპს-ს მიერ წარმოქმნილი წმინდა მოგების განაწილება, არამედ განახორციელა ამ უკანონო მოგების ჩართვა საწარმოს ბრუნვაში თითქოსდა მისი რეინვენსტირების მიზნით, რაზეც მოგვიანებით შეადგინა პარტნიორთა კრების ყალბი ოქმი.

თუ სადავოდ არ გავხდით იმას, რომ შპს-ს მიერ მიღებული უკანონო შემოსავალი მართლაც ფიქტიურად იქნა ჩართული საწარმოს ბრუნვაში, დღის წესრიგში დგება რამდენიმე საკითხი:

ა) მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული ქმედება სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური მხარის (უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის) კერძოდ რა სახის პრაქტიკული გამოვლინებაა (სახეზეა ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა თუ სხვა ქმედება)?

უნდა ითქვას, რომ განაჩენში ამ საკითხზე გაკვრითაც კი არაა პასუხი გაცემული. მასში უბრალოდ ნათქვამია, რომ სახეზეა უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა და აღწერილია კ-ს მიერ ჩადენილი ქმედება. შესაბამისად, არა აქვს ადგილი ქმედების სუბსუმციას, რაც ამ განაჩენის ნაკლად უნდა ჩაითვალოს;⁶³³

⁶³³ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას სუბსუმციის საკითხზე იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 11-22; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 379-383; გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის

ბ) საერთოდ, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს განსახილველი ქმედება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად?

მართლაცდა, რას შეიძლება ემსახურებოდეს შპს-ს მიერ თაღლითობის გზით მიღებული უკანონო შემოსავლის მოჩვენებითი ჩართვა საწარმოს ბრუნვაში - თაღლითობის ფაქტის შენიღბვას, თუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად მიიღებს კანონიერ სახეს თაღლითობის გზით მიღებული შემოსავალი საწარმო ბრუნვაში მისი მოჩვენებითი ჩართვით (მოჩვენებითი რეინვენსტირებით)?

ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: ამ ქმედებით უკანონო შემოსავალი კანონიერ სახეს ვერ მიიღებს, რადგან ორგანიზაციის შემოსავლის რეინვენსტირება, ამ ორგანიზაციისთვის წარმოშობს საწარმო ბრუნვაში მისი შემდგომი ჩართვის ვალდებულებას. შესაბამისად, თუკი აღნიშნული შპს არ გამოიყენებს ამ თანხას შემდგომი საწარმო ბრუნვისთვის, არამედ, პირიქით, მოახდენს მის გატანას კერძო პირთა (თუნდაც შპს-ს ხელმძღვანელ პირთა) მიერ პირადი მიზნით გამოყენებისათვის, თავისთავად ეს ქმედება გააჩენს ლეგიტიმურ ეჭვს და დამატებით კითხვას - ხომ არ იყო რეინვენსტირების ფაქტი ფიქტიური? თუკი იგი არ იყო ასეთი, მაშ, რით უნდა აიხსნას ის, რომ რეინვენსტირების მიზნით ჩადებული თანხა არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ და იგი კერძო პირებმა გაიტანეს შპს-ს ანგარიშიდან პირადი მიზნით გამოსაყენებლად?

აქედან გამომდინარე, წინარე დანაშაულის (ამ შემთხვევაში თაღლითობის) ამსრულებლის მიერ მისი ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხული უკანონო შემოსავლის ფიქტიური (მოჩვენებითი) გადატანა ამავე ორგანიზაციის რეინვენსტირების ფონდში, არ გამოდგება ამ შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად. პირიქით, იგი დიდი ალბათობით გააჩენს დამატებით კითხვას და შესაძლოა, დანაშაულის (თაღლითობის) მხილების მტკიცებულებად გამოდგეს.

სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში: იმისათვის, რომ ტრანზაქციები/გადარიცხვები არეულ-დარეული და ბუნდოვანი იყოს, ფულის გამთეთრებლები უამრავ ფართო სპექტრის მქონე ხერხებსა და მეთოდებს

სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2005, გვ. 108-109; დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, თანდართული კაზუსის ნიმუშებით, თბ. 2015, გვ. 61-75.

უპირველესად იყენებენ იმისათვის, რომ მოხდეს ჭუჭყიანი ფულის შენიღბვა, უკანონო წარმომავლობის დაფარვა, რათა შემდეგ მოხდეს მათი კონვერტირება, სხვა ფორმით გადატანა აქტივებში - სხვა სახის აქტივებში და საბოლოოდ კი უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია ლეგალურ ეკონომიკაში.⁶³⁴

არალეგალური საქმიანობის შედეგად დიდი მოცულობით წარმოქმნილი ფული უნდა იყოს „გათეთრებული“, ანუ უნდა მიეცეს ისეთი სახე, რომ კანონიერად გამოიყურებოდეს, ეს უნდა მოხდეს მანამ, სანამ მისი თავისუფლად დახარჯვა ან ინვესტირება განხორციელდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიძლება იქნას ჩამორთმეული სამართალდამცავი ორგანოების მიერ და გადაეცეს სახელმწიფოს.⁶³⁵

როგორც ვხედავთ, ხაზგასმა აშკარადაა გაკეთებული იმაზე, რომ ჯერ ადგილი უნდა ჰქონდეს ფულის გათეთრებას, შემდეგ კი შეიძლება მოხდეს მისი დახარჯვა ან ინვენსტიციის განხორციელება (იგულისხმება არ მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი, რეალური ინვენსტიცია), ანუ ფულის გათეთრება წინ უნდა უსწრებდეს ამ ფულის ინვენსტიცირებას ან თუნდაც მის სხვაგვარ თავისუფლად დახარჯვას.

FATF-ის განმარტების მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია აღწერილია როგორც "დანაშაულებრივი შემოსავლის დამუშავება მათი უკანონო წარმოშობის შენიღბვის მიზნით", რათა მოხდეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების „ლეგიტიმაცია“.⁶³⁶

გამომდინარე აქედან, ასეთი ქმედება **მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოდგეს** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად, თუკი შემდგომში ფორმალურად ფიქსირდება ამ შემოსავლის რეალური ბრუნვა საწარმო პროცესში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შედგენილია ფიქტიური დოკუმენტი, რითაც დასტურდება ამ შემოსავლის ბრუნვა საწარმო პროცესში. ასეთი ფიქტიური დოკუმენტი ხელს შეუწყობს „კვალის არევას“ და ფორმალურად „ჭუჭყს აცლის“ თაღლითობის გზით მიღებულ თანხას.

⁶³⁴ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, Editor - Regine Schöenberg, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. P. 17.

⁶³⁵ Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995. P. 1.

⁶³⁶ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States 2011, Page 2.

თუმცა საქმეც ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს-ს პარტნიორებს (ან მის დირექტორს) ასეთი ქმედება არ განუხორციელებიათ (არ შეუდგენიათ ფიქტიური დოკუმენტი შემოსავლის საწარმო საქმიანობაში შემდგომი ბრუნვის შესახებ).

რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მეორე და საბოლოო ეტაპს, განაჩენის მიხედვით იგი გამოიხატა იმაში, რომ კ-მ და მისმა პარტნიორმა, შპს-ს ანგარიშიდან სამ ეტაპად გამოიტანეს მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავალი, რითაც შექმნეს აღნიშნული უკანონო შემოსავლის პირადი საჭიროებისამებრ გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა ჩნდება:

ა) საერთოდ, რამდენადაა შესაძლებელი, ორგანიზაციის ბალანსზე არსებული უკანონო შემოსავლის ამ ორგანიზაციიდან გატანა, ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად? რამდენადაა შესაძლებელი ამგვარი ქმედებით „ჭუჭყიან“ ფულს „ჩამოერეცხოს ჭუჭყი“?

ბ) თუკი უკანონო შემოსავლის გატანა ორგანიზაციის ანგარიშიდან, ზოგადად შეიძლება ჩაითვალოს ფულის გათეთრების ხერხად, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა ამ პირებს ეს შემოსავალი ორგანიზაციის ანგარიშიდან გაეტანათ მანამ, სანამ არ მოხდებოდა მისი ფიქტიური გადატანა საწარმო ბრუნვაში თითქოსდა რეინვენსტირების მიზნით? რაში დასჭირდათ პარტნიორებს ამ შემოსავლის მოჩვენებითი რეინვენსტირება?

დასმულ კითხვებს შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს:

ა) შპს-ს ანგარიშზე შემოსული შემოსავლის (რა თქმა უნდა, კანონიერისაც) გატანა პარტნიორთა მიერ ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, ეს საკითხი მათი გადასაწყვეტია. უფრო მეტიც, მათი გადასაწყვეტია ამ შპს-ს ლიკვიდაციის საკითხიც კი;

ბ) შპს-ს პარტნიორებმა რა დროსაც არ უნდა გაიტანონ უკანონო შემოსავალი - მისი ჩარიცხვისთანავე, თუ შემდგომი ფიქტიური რეინვენსტირების შემდეგ, ამით ისინი ვერ შექმნიან მისი საჭიროებისამებრ გამოყენების სამართლებრივ საფუძველს. ამით იქმნება მისი გამოყენების მხოლოდ ფაქტობრივი საფუძველი.

მართლაცდა, შპს-ს ანგარიშიდან (მით უმეტეს, მისი რეინვენსტიციის ფონდიდან) თანხის გატანის ფაქტი სრულებით ვერ გამოდგება იმის დასაბუთებისთვის, რომ ეს

თანხა კანონიერი გზითაა მოპოვებული („იგი სუფთაა“), ეს ფაქტი ვერ შენიღბავს მის უკანონო წარმომავლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შპს-ს ანგარიშიდან გატანილი თანხის მიმართ (როცა დადგება მისი შემდგომი გამოყენების დრო), პირი არ თავისუფლდება აღნიშნული თანხის წარმომავლობის დასაბუთების ვალდებულებისაგან - არ არსებობს რეგულაცია, რომელიც ორგანიზაციის ანგარიშიდან აღებული თანხის კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების ვალდებულებას მოხსნის.

გ) რაც შეეხება ორგანიზაციის რეინვენსტირებისათვის ჩარიცხული ფულს, მისი გატანა პირადი მიზნით დაუშვებელია, რადგან იგი კონკრეტულ დანიშნულებას (შემდგომ საწარმო ბრუნვას) უნდა მოემსახუროს და არა ვინმეს პირად მიზანს;

დ) შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, რეინვენსტიციის ფონდიდან თანხის გატანა ვერაფრით ვერ მოემსახურებოდა ამ შემოსავლის ლეგალიზაციას, ვერ შექმნიდა მისი პირადი საჭიროებისამებრ გამოყენების **სამართლებრივ საფუძველს**. პირიქით, იგი აშკარას გახდიდა იმას, რომ ეს თანხა არ იქნა გამოყენებული რეინვენსტიციის მიზნით. შესაბამისად, ასეთი ქმედება **სამართლებრივ საფუძველს შექმნის მხოლოდ** ამ პირთა მხილებისათვის;

ე) აქედან გამომდინარე, თაღლითობის გზით მოპოვებული უკანონო შემოსავალი ვერ „გათეთრდება“ ვერც შპს-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ მისი იქიდან გატანით და **მით უმეტეს, ვერც** მისი რეინტეგრაციის ფონდში ჩარიცხვით და შემდგომ იქიდან გატანით. უდავოა, რომ რეინტეგრაციის ფონდიდან თანხის გატანა პირადი მიზნისათვის, თავისთავად აღძრავს ლეგიტიმურ ეჭვს და გამოძიების დაწყების საფუძველს ქმნის.

სამართლიანადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ისტორიის მანძილზე, ადამიანებმა განავითარეს სხვადასხვაგვარი ტაქტიკა, რათა უზრუნველყოთ მათ მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით მშვიდად სარგებლობა და პლიუს ამას, ეს არ გამოიწვევდა მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და არც ამ ქონების კონფისკაციას.⁶³⁷

ისმის კითხვა: ხომ არ გვაძლევს განსახილველი ქმედება სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის **რომელიმე ნიშანს?**

⁶³⁷ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, Editor - Regine Schöenberg, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. Page 18.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია, განაჩენში ამ საკითხზე არაა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ იქნებ, მსჯავრდებულის მიერ რეალურად განხორციელებული ქმედება, მართლაც გვამლევს სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს? კერძოდ, იქნებ სახეზეა უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა ამ ქონების ფლობით?

ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება, რადგან, როცა კ-მ შპს-ს რეინტეგრაციის ფონდიდან გამოიტანა უკანონოდ ჩარიცხული თანხა, ამით ფაქტობრივად განხორციელდა მისი ფლობა, რაც სსკ 194-ე მუხლისპირველი ნაწილის მიხედვით უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის ერთ-ერთი ხერხია.

როგორც ეს სამართლიანადაა აღიარებული იურიდიულ ლიტერატურაში, ქონების ფლობა მაშინაა უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის ერთ-ერთი ხერხი, თუ მას ახორციელებს არა წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე, არამედ მე-3 პირი, რომელსაც არ ყოფილა დაკავშირებული წინარე დანაშაულთან (მოცემულ მაგალითში, თაღლითობასთან). იგი შემდეგ ჩაერთო დანაშაულებრივ სქემაში - ფულის გათეთრების პროცესში.

ფულის გათეთრების ლეგალური განსაზღვრება, ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან ფართოა. თუ უკანონო წყაროდან მიღებული ფულის ფლობასაც კი უწოდებენ "ფულის გათეთრებას", მაშინ ფულის გათეთრება აღარ წარმოადგენს ქმედებას, არამედ უბრალოდ იარლიყს იმ ფულისთვის, რომელიც არალეგალური წარმოშობისაა.⁶³⁸

ამით ისაა ნათქვამი, რომ უკანონო წყაროდან მიღებული ფულის ფლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს „ფულის გათეთრებად“, თუ მას ფლობს არა ის, ვინც ჩაიდინა წინარე ქმედება (უკანონო ქმედებით მიიღო ეს ფული), არამედ სულ სხვა პირი.

მაგალითად, ბანკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით წინარე დანაშაულის ჩამდენმა ამ ბანკში გადარიცხა უკანონოდ მოპოვებული ფული, რათა შემდგომი საბანკო ოპერაციის განხორციელებით მოხდეს ამ ფულის გათეთრება. ბანკის თანამშრომლის ქმედებაში ამ ეტაპზე სახეზეა უკანონო ქონების ფლობა.⁶³⁹

⁶³⁸ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-gotten Money and the Economy (Experiences from Malawi and Namibia), The World Bank, Washington, DC, 2011, 3.

⁶³⁹ უფრო დეტალურად ამ საკითხზე საუბარია სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილის სისხლისსამართლებრივი დახასიათებისას.

განსახილველ მაგალითში კ არის პიროვნება, რომელსაც ჩადენილი აქვს წინარე დანაშაული (თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), რომელიც დამთავრებულია მოტყუების გზით სხვისი ქონების დაუფლების მომენტიდან (რაც თავისთავში ამ ქონების ფლობასაც გულისხმობს). ამდენად, იგი არაა მესამე პირი. ეს ფაქტი კი თავისთავად გამორიცხავს ქონების ფლობით კ-ს ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

რაც შეეხება სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ „სხვა ქმედებას“, როგორც უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის ერთ-ერთ ხერხს, კ-ს მიერ განხორციელებული ქმედება (რეინტეგრაციის ფონდიდან თანხის გამოტანა), ვერც ამის დასასაბუთებლად გამოდგება (რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი).

სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის სხვა ხერხიცაა გათვალისწინებული (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, კონვერსია, გადაცემა), მაგრამ აშკარა და უდავოა, რომ განსახილველ შემთხვევაში არც ერთ მათგანს ადგილი არ ჰქონია. ამდენად, მასზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

საბოლოოდ, ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: კ-ს ზედმეტად აქვს შერაცხული სსკ 194-ე მუხლი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მის ქმედებაში არაა ამ დანაშაულის ნიშნები.

2. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ისეთი შემთხვევაც გამოვლინდა, როცა პირის ქმედებაში სახეზეა სხვა დანაშაულის ნიშნები, მაგრამ იგი შეცდომით დაკვალიფიცირებულია სსკ 194-ე მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია).

2013 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით მოქალაქე ქ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (ოთხი ეპიზოდი) და ყალბი საანგარისწორებო დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით და გამოყენება (ოთხი ეპიზოდი) - სსკ 194-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ა“ ქვ-ით, ამავე მუხლის მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ-თ და სსკ 210-ე მუხ. პირველი ნაწილით.⁶⁴⁰

⁶⁴⁰ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის არქივი სისხლის სამართლის საქმეებზე. საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ, რადგან საქმის მასალები გადმოგვეცა დაშიფრულად.

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 2007 წლის 2 თებერვალს, ქ-ს მიერ, მოქალაქე ბ-სთან წინასწარი შეთანხმებით დაფუძნებულ იქნა შპს, რომლის დირექტორად დანიშნულ იქნა ქ. კ. თუმცა კომპანიის ფაქტობრივი მფლობელი და მმართველი იყო ბ. ამავე წელს აღნიშნულმა შპს-მ ქ. თბილისის მერიასთან გააფორმა ორი ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულებამ მთლიანობაში (დღგ-ს ჩათვლით) შეადგინა 5 405 577 ლარი, რაც სრულად იქნა ანაზღაურებული მერიის მიერ. აღნიშნული თანხიდან ქ. კ-ს მიერ ბ-სთან შეთანხმებით უკანონოდ იქნა დაუფლებული დაახლ. 1 800 000 ლარი.

კერძოდ:

ბრალდების მიხედვით, უკანონოდ დაუფლებული თანხისათვის კანონიერი სახის მიცემის ანუ წარმოშობის წყაროს შენიღბვის და მასზე საკუთრების უფლების დამალვის მიზნით, ქ-მ ბ-სთან შეთანხმებით შეადგინა სალაროს ფიქტიური გასავლის ორდერები, რომლის თანახმადაც 2007-2008 წლებში შედგა ყალბი სახელფასო უწყისები, სადაც ცალკეულ მუშა-მოსამსახურეებზე რეალურად გაცემული ხელფასები ხელოვნურად იქნა გაზრდილი, რის შემდეგადაც ხსენებული სახელფასო უწყისები მოთავსენილ იქნა შპს-ს ბუღალტერიაში;

ბრალდების მიხედვით, ასევე ქ. კ-მ ბ-სთან შეთანხმებით, საკუთარ თავზე, როგორც ორგანიზაციის დირექტორზე, შეადგინა ყალბი სალაროს გასავლის ორდერები, რომლის თანახმად, მასზე ფიქტიური სესხის სახით გაწერილ იქნა 981 900 ლარი;

ბრალდების მიხედვით, ქ.კ-მ, ასევე ბ-სთან წინასწარი შეთანხმებით, 2007-2008 წლებში, უკანონო შემოსავლისათვის კანონიერ სახის მიცემის მიზნით შეადგინა ყალბი სასაქონლო ზედნადებები, სალაროს გასავლის ორდერები და ფიქტიური შესყიდვის ორდერები, რომელთა თანახმადაც მათ სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან თითქოსდა შეიძინეს სხვადასხვა დასახელების საქონელი. ისინი ამზადებდნენ ზედნადებებს, რითაც თითქოს ხდებოდა სხვადასხვა პირებისაგან ამა თუ იმ საქონლის შეძენა, რასაც სინამდვილეში არ ჰქონდა ადგილი. შეძენის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია კი აღრიცხულ იქნა კომპანიის ბუღალტერიაში.

ეს ქმედებები როგორც გამომძიების, ისე საქალაქო სასამართლოს მიერ შეფასდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად.⁶⁴¹

⁶⁴¹ იხ. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი.

რამდენად სწორია ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება?

თუ შეიძლება ორგანიზაციის მუშაკებზე გაცემული ხელფასების ხელოვნურად გაზრდა (გაბერვა) ჩაითვალოს უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის (მისი ლეგალიზაციის) ხერხად?

ვინაიდან განსახილველ განაჩენში ნათლად არაა გამოკვეთილი საკითხი: ეს მთლიანი თანხა (5 407 577 ლარი) შპს-ს ანგარიშზე გადარიცხული იყო სამუშაოების დაწყებამდე, თუ მის შემდეგ, დასმულ კითხვას პასუხი **ორ ვარიანტად უნდა გავცეთ** იმ დათქმით, რომ ორივე ვარიანტში შპს-ს დირექტორი ქ. კ. ნამდვილად ადგენდა ზემოთ მითითებულ ფიქტიურ დოკუმენტს:

1. ქალაქის მერიამ მთლიანი თანხა აღნიშნულ შპს-ს თავიდანვე (2007 წლის ნოემბერში გაფორმებული ორი ხელშეკრულების დადებისთანავე) გადაურიცხა;
2. ქალაქის მერია ხელშეკრულებებით განსაზღვრულ თანხას ეტაპობრივად რიცხავდა შპს-ს ანგარიშზე, მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ მერიისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

პირველ ვარიანტში, ანუ როცა მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მერიის მიერ თავიდანვე იყო გადარიცხული შპს-ს ანგარიშზე, აღნიშნული თანხა უკვე გადასული იყო შპს-ს დირექტორის (როგორც მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის) მართლზომიერ გამგებლობაში. ამდენად, ქ. კ. სამსახურებრივად ვალდებული იყო, უზრუნველყო მისი მიზნობრივი ხარჯვა.

შესაბამისად, პირველ ვარიანტში სახეზეა შპს-ს ანგარიშზე მართლზომიერად დარიცხული ფული.⁶⁴²

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახეზეა „სუფთა“ ფული, რასაც არ სჭირდება „გათეთრება“. ამასთან, ეს ფული იმყოფება ქ. კ-ს მართლზომიერ გამგებლობაში, თუმცა, რა თქმა უნდა, არა მის საკუთრებაში. ქ.კ-მ კი გადაწყვიტა, დაეუფლოს მას მართლსაწინააღმდეგოდ, გადაიტანოს იგი მის უკანონო საკუთრებაში.⁶⁴³

რაც შეეხება ფულის გათეთრებას, მისი განხორციელება გამოწვეულია იმ მოთხოვნიდან, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყალბი კანონიერი

⁶⁴² საკითხზე, თუ როგორ დაკვალიფიცირდება ქმედება, როცა ორგანიზაციის ხელმძღვანელი მის მიერ წინასწარ შედგენილი, გაბერილი ხარჯების წარდგენის საფუძველზე მიისაკუთრებს ამ ორგანიზაციის კუთვნილ ქონებას, ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁶⁴³ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწ. წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 534.

წარმომავლობის შექმნა იმ ფონდებისათვის/ სახსრებისთვის, რომლებიც შელახულია მათი უკანონო წარმოშობით ან სხვა ინდივიდუალური გზებით. ყველა სახის იატაკქვეშა სამყაროს წარმომადგენლები გრძნობენ იმ შიშს, რომ ის უკანონო ბილიკი, რომელიც მათ ეხმარება უკანონო შემოსავლის მიღებაში შეიძლება იქნეს გამოვლენილი, რაც გამოიწვევს დანაშაულის გამოვლინებას და მიღებული სახსრების ჩამორთმევას/კონფისკაციას.⁶⁴⁴

ამდენად, ქ.კ-ს წინაშე **დგას ამოცანა**, როგორ დაეუფლოს ამ თანხას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და თანაც ისე, რომ კარგად შენიღბოს ეს ქმედება და ფორმალურად ყველაფერი გამოიყურებოდეს კანონიერად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქ. კ-ს წინაშე **დგას ამოცანა**:

- ა) როგორ მიითვისოს შპს-ს ანგარიშზე გადარიცხული ფულის გარკვეული ნაწილი;
- ბ) როგორ შენიღბოს ჩადენილი მითვისება.

საქმე ისაა, რომ ერთია (და შედარებით ადვილია) მიითვისო შენს მართლზომიერ გამგებლობაში (თუ მფლობელობაში) არსებული ქონება, **მაგრამ სულ სხვაა** (და უფრო რთულია) ეს გააკეთო ისე, რომ ფორმალურად ყველაფერს ჰქონდეს მიცემული ლეგიტიმური სახე.

მართლაც, ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩამდენი (განსაკუთრებით მაშინ, როცა სახეზეა წინასწარ მოფიქრებული განზრახვა) შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს, ისე ჩაიდინოს იგი, რომ არ დატოვოს სამხელი მტკიცებულება. **მით უმეტეს**, რა გასაკვირია, თუ პირი, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და აქვს სამართლებრივი ბერკეტი იმისათვის, რომ ყველაფერი კანონიერად გამოიყურებოდეს, გამოიყენებს ასეთ ბერკეტს.

სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ადგილი აქვს მითვისებას, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 182-ე მ. მე-2 ნაწ. „გ“ ქვ.). როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრება ხორციელდება არა იმ ქონების დაუფლებისათვის, რაც იმყოფება პირის მართლზომიერ მფლობელობაში, არამედ იმისთვის, რომ პირი არ ამხილონ უკვე ჩადენილ დანაშაულში და ამასთან, არ

⁶⁴⁴ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, Editor - Regine Schöenberg, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. P. 17.

ჩამოართვან უკანონო გზით მიღებული ქონება, რითაც შეუძლებელი გახდება დამნაშავეს მიერ მისი ეკონომიკაში ინტეგრირება.

აღიარებულია, რომ „უკანონოდ მოპოვებული ფული“ მოიცავს დანაშაულის, თაღლიღობის, კორუფციისა და გადასახადისაგან თავის არიდების შედეგად მიღებულ შემოსავლებს - იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ქმედებები კრიმინალიზებული მოცემულ იურისდიქციაში. დანაშაული მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელიც კანონით არის განსაზღვრული, როგორც „დანაშაული“.⁶⁴⁵

ამასთან, სსკ 182-ე მუხლი სპეციალური დელიქტია. მისი ამსრულებელი არაა სისხლის სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, არამედ მხოლოდ ის პირი, ვის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშიცაა სხვისი ქონება.

კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მითვისებისა და გაფლანგვის სუბიექტია პირი, რომელსაც მართლზომიერი ფიზიკური წვდომა აქვს სხვის ნივთთან (სავაჭრო ობიექტის გამყიდველი, დისტრიბუტორი და სხვ.).

რაც შეეხება სსკ 182-ე მუხლის მე-2 ნაწ. „გ“ ქვ-ს, მის ამსრულებელს ამ ნივთის მიმართ კანონიერ საფუძველზე გააჩნია არა მხოლოდ ფიზიკური (ფიზიკური წვდომა არაა გადამწყვეტი), არამედ იურიდიული წვდომა, რაც არ ახასიათებს სსკ 182-ე მუხლის პირველი ნაწილის ამსრულებელს.⁶⁴⁶ ეს კი, ნიშნავს იმას, რომ პირს სხვისი ნივთის მიმართ აქვს უფლება, გადაწყვიტოს სხვადასხვა სამართლებრივი საკითხები. მაგალითად, განსაზღვროს ნივთის ფასი, არეგულიროს იგი, გაასხვისოს ეს ნივთი, გამოაცხადოს ტენდერი ან აუქციონი, დააბანდოს ქონება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და სხვა. იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელე, მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, არამედ კერძო სექტორის პასუხსაგებ პოზიციაზე მყოფი პირი (კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი).⁶⁴⁷

⁶⁴⁵ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States 2011, P. 3.

⁶⁴⁶ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწ. წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, თბ. 2023, გვ. 93-94.

⁶⁴⁷ კერძო სექტორში დასაქმებულ ამ პირთა შესახებ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, თბ. 2023, გვ. 246-248.

სწორედ ერთ-ერთი მათგანია შპს-ს დირექტორი.

განსხვავებით მითვისება/გაფლანგვის საგნისაგან, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება. ამდენად, მისი ობიექტური მხარის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ უკვე **სახეზე უნდა იყოს დანაშაულის სპეციალური საგანი** - უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მისი ლეგალიზაციისკენ მიმართული ქმედებების (ქონებით სარგებლობა, შექმნა, ფლობა და სხვ.) განხორციელება, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე მიზნით.⁶⁴⁸

ამდენად, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას წინ უნდა უძღოდეს პრედიკატული (წინარე, ძირითადი) ქმედება (დანაშაული, ან სხვა სახის სამართალდარღვევა), რის შედეგადაც და რის გამოც დგება დღის წესრიგში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი. მითვისების ჩადენას კი წინ არ უძღვის პრედიკატული (წინარე, ძირითადი) ქმედება. მითვისება თავად არის ერთ-ერთი პრედიკატული (წინარე) ქმედება (კერძოდ, წინარე დანაშაული), რომლის შედეგადაც მოპოვებული ქონება (როგორც უკანონო შემოსავალი), შესაძლოა, მომავალში გახდეს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი.

ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ფულის გათეთრება სამი ტიპის აქტიურ ქმედებაში (Actus reus) გამოიხატება. ვენის კონვენციის მე-3 მუხლის 1 ნაწილი მოუწოდებს ქვეყნებს, მოახდინონ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის 3 ტიპის ქმედების ინკრიმინაცია:

(i) საკუთრების კონვერსია ან გადარიცხვა, **იმის გაცნობიერებით,** რომ ასეთი ქონება წარმოშობილია/მიღებულია სამართალდარღვევით ან სამართალდარღვევებით, რომელიც დაკავშირებულია ამ პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტთან, ან აფუძნებს მონაწილის ქმედებას ასეთი სახის სამართალდარღვევაში ან სამართალდარღვევებში, **იმ მიზნით,** რომ დამალოს ან შენიღბოს უკანონო წარმომავლობა საკუთრების/ქონების, ან დახმარება გაუწიოს ნებისმიერ პირს, რომელიც ჩართულია ასეთი სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების ჩადენაში, რათა თავი აარიდოს სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის.

⁶⁴⁸ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 397.

(ii) შენიღბვა ან დამალვა ნამდვილი ბუნების, წყაროს, ლოკაციის, განლაგების, მოძრაობის, უფლებების, რომელიც პირდაპირ კავშირშია საკუთრებასთან/ქონებასთან, ან ქონების საკუთრებაში ქონა, იმის **გაცნობიერებით, ცოდნით**, რომ ეს ქონება წარმოშობილია/მიღებულია სამართალდარღვევის გზით ან სამართალდარღვევებით, რომელიც დადგენილია ამ პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტში, ან ასეთ სამართალდარღვევაში ან სამართალდარღვევებში მონაწილეობით.

(i) მიღება, ფლობა ანდა ქონების გამოყენება, მიღების დროს იმის **გაცნობიერებით**, რომ ასეთი ქონება მიღებულია/მიღებული იქნა სამართალდარღვევით ან სამართალდარღვევებით, რომელიც დადგენილია ამ პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტთან შესაბამისობაში, ან ასეთ სამართალდარღვევაში ან სამართალდარღვევებში მონაწილეობის გზით.⁶⁴⁹

როგორც ვხედავთ, ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად კვალიფიკაციისათვის **საკმარისი არაა**, რომ სახეზე იყოს უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, არამედ ასევე აუცილებელია, ეს ფაქტი პირს წინასწარ ჰქონდეს გაცნობიერებული.

განსახილველ საქმეში კი **სახეზე არაა** სწორედ ეს თავდაპირველი წინაპირობა, რადგან შპს-ს ხელმძღვანელს თანხა მერიიდან კანონიერად ჰქონდა გადარიცხული ამ შპს-ს ანგარიშზე. ამდენად, ეს ქონება არც უკანონო იყო და არც დაუსაბუთებელი. შესაბამისად, ვერ დადგებოდა საკითხი მის „გათეთრებაზე“.⁶⁵⁰

ეტაპობრივად განვიხილოთ ის ქმედებები, რაც ბრალდების მიხედვით ხორციელდებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მათგანია ის, რომ შედგენილ იქნა სალაროს ფიქტიური გასავლის ორდერები, რომლის თანახმადაც 2007-2008 წლებში შედგა ყალბი სახელფასო უწყისები, სადაც ცალკეულ მუშა-მოსამსახურეებზე რეალურად გაცემული ხელფასები ხელოვნურად იქნა გაზრდილი, რის შემდეგაც ხსენებული სახელფასო უწყისები მოთავსებულ იქნა შპს-ს ბუღალტერიაში.

ისმის კითხვა: რა სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს შპს-ს დირექტორის ქმედებას, როცა იგი მუშა-მოსამსახურეებზე რეალურად გაცემულ ხელფასს

⁶⁴⁹ Stessens Guy, Money Laundering, A New International Law Enforcement Model, Cambridge University Press, 2000. P. 113.

⁶⁵⁰ იხ. თოდუა ნ., იქვე, გვ. 397.

ხელოვნურად ბერავს, რათა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული თანხა (კერძოდ, მერიის მიერ გადარიცხული თანხის ის ნაწილი, რაც სახელფასო უწყისში იყო ნაჩვენები) თითქოს ლეგიტიმულ მიზანს (თანამშრომელთა ხელფასს) მოხმარდა, ხოლო სინამდვილეში კი თანხათა შორის სხვაობა მის მიერ იქნა მისაკუთრებული?

როცა ამა თუ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეგნებულად ბერავს მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი ანაზღაურების ოდენობას, რათა თანხებს შორის სხვაობა თავად მისაკუთროს (და ახერხებს კიდევ ამას), **სახეზეა** პირის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონების (სახელფასო ფონდის) მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. აღიარებულია და სადავო არაა, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების ერთ-ერთი ხერხია რეალური დანახარჯების (მათ შორის სახელფასო დანახარჯის) შეგნებული გაბერვა (ე.წ. „მიწერები“), რაც დამნაშავეს აძლევს ფაქტობრივ შესაძლებლობას, მიითვისოს (ანუ უკანონოდ მისაკუთროს) მის გამგებლობაში (თუმცა არა საკუთრებაში) არსებული ქონების ნაწილი.⁶⁵¹

მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია თანდათან ფართოვდება და ფეხს იკიდებს უფრო მეტ სექტორში. ამ პროცესში კრიმინალებმა და მათმა შუამავლებმა გამოიგონეს, შექმნეს აურაცხელი რაოდენობა ფულის გათეთრების სქემებისა. ყველა ამ სქემას აქვს საერთო, რომ ისინი ცდილობენ არსებული ფონდების ბინძური წარმომავლობის დაფარვას და ცრუ ლეგიტიმური წარმოდგენის შექმნას მთელი რიგი გარიგებების/ტრანზაქციების მეშვეობით.⁶⁵²

ამდენად, შპს-ს დირექტორის მიერ ყალბი სახელფასო უწყისების შედგენა, რომლითაც ხელოვნურად გაბერილიქნა მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი თანხის ოდენობა, ემსახურებოდა არა უკანონოდ დაუფლებული თანხისათვის კანონიერი სახის მიცემას, მისი წარმოშობის წყაროს შენიღბვას და მასზე საკუთრების უფლების დამალვას (როგორც ეს ამ განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილშია მითითებული),⁶⁵³

⁶⁵¹ ე.წ. „მიწერების“ შესახებ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწ. წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, თბ. 2023, გვ. 96-97.

⁶⁵² Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, Editor - Regine Schöenberg, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. P. 21.

⁶⁵³ იხ. დასახელებული განაჩენი, გვ. მე-3.

არამედ იმას, რომ მოეხერხებინა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონების (ფულის) მითვისება. ეს მითვისება კი ისე უნდა მომხდარიყო, რომ გარეგნულად ყველაფერს კანონიერი სახე მისცემოდა.

მართლაცდა, საკითხავია:

რომ არა ფიქტიური მონაცემების შეტანა ოფიციალურ დოკუმენტში (ამ შემთხვევაში სახელფასო უწყისში), როგორ მიითვისებდა შპს-ს დირექტორი მერიიდან შპს-ს ანგარიშზე გადარიცხული თანხის ნაწილს? მას ამ თანხასთან ხომ არ ჰქონდა ფიზიკური წვდომა (არ ფლობდა მას ფიზიკურად), არამედ მხოლოდ იურიდიული წვდომა ჰქონდა.

შესაბამისად, უდავოა, რომ შპს-ს დირექტორი ფიქტიური დოკუმენტის შედგენის გარეშე მოცემულ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა ამას.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოთთქმული არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მითვისების სხვა შემთხვევაში, როცა მითვისების ჩადენა შესაძლებელია ფიქტიური დოკუმენტის შედგენის გარეშეც, დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანის ფაქტი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად უნდა შეფასდეს.

მართალია, დოკუმენტში ყალბი მონაცემის შეტანა ხშირად ემსახურება არა ქონების მითვისების განხორციელებას (მითვისების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში ამგვარი დოკუმენტის გარეშეცაა შესაძლებელი), არამედ მითვისების დაფარვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მითვისების ფაქტის დაფარვისკენ მიმართული ქმედება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაა;⁶⁵⁴

მაინც რატომ არაა იგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია? კერძოდ, ხომ არაა ეს ქმედება უკანონო ქონების წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა, რაც სსკ 194-ე მუხლის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია?

⁶⁵⁴ ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. მამულაშვილი გ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ. 2012, გვ. 147-163; მამულაშვილი გ., კიდევ ერთხელ ფულის გათეთრების შესახებ, პროფ. მ. ლეკვეიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 2014, გვ. 147-163; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 396-402; თოდუა ნ., ფულის გათეთრება და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულები, წიგნში: ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, კონფერენციის მასალები, თბ. 2017, გვ. 43-56.

თუ რატომ უნდა გაეცეს ამ კითხვას უარყოფითი პასუხი, ამის გასარკვევად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება, როცა ფიქტიური დოკუმენტი შედგენილია მითვისების ფაქტის შესანიღბად (და არა მითვისების განსახორციელებლად);

ბ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც განხორციელდა უკანონო ქონების წარმოშობის წყაროს დამალვით ან შენიღბვით.

პირველ შემთხვევაში, პასუხისაგებ პოზიციაზე მყოფი პირი ჯერ არაა დაუფლებული უკანონო შემოსავალს, არამედ სახეზეა სხვისი ქონება, რომელიც მის მართლზომიერ გამგებლობაშია (ანუ სახეზეა „სუფთა“ ფული). მას კი განზრახული აქვს, დაეუფლოს ამ ქონებას და ამასთანავე, დაეუფლოს ისე, რომ გარეგნულად ყველაფერი ლეგიტიმურად გამოიყურებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაეუფლოს ისე, რომ დოკუმენტებში არ ფიქსირდებოდეს უკანონო და უსასყიდლო დაუფლების ფაქტი. **ამ ქმედების მიზანია ის**, რომ გაიზარდოს დამნაშავეს ქონებრივი ფონდები სხვისი ქონების ხარჯზე.⁶⁵⁵

რაც შეეხება მითვისებული ფულის შემდგომ გამოყენებას, იგი შესაძლოა, არც კი იყოს დაკავშირებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან, ანუ ამ მითვისებული ფულის გათეთრებასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მითვისების ამსრულებელმა, შემდგომში შესაძლოა, იგი ნაწილ-ნაწილ ისე დახარჯოს, რომ არც კი დადგეს ამ თანხის კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების საკითხი. ყოველ შემთხვევაში, დადგება თუ არა ეს საკითხი მომავალში, ამას არა აქვს მნიშვნელობა ქმედების მითვისებად კვალიფიკაციისათვის.

მეორე შემთხვევაში (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას), პირის წინაშე დგას არა სხვისი ქონების დაუფლების პრობლემა (იგი უკვე დაუფლებულია უკანონო შემოსავალს), არამედ მის წინაშე **სულ პრობლემა დგას, რომელიც სულ სხვა მიზანს ემსახურება**. კერძოდ, დგას პრობლემა, როგორმე „ჩამორეცხოს ჭუჭყი“ იმ ქონებას, რომელიც უკვე გადასულია მის უკანონო საკუთრებაში. **ამ ქმედების მიზანია არა ის**, რომ სხვის ხარჯზე გაიზარდოს თავისი ქონება, **არამედ ის**, რომ დაუბრკოლებლივ

⁶⁵⁵ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულის ნიშნებზე დეტალურად იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, თბ. 2023, გვ. 17-31.

მოახდინოს მისი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად, ამ ქონების გამოყენებით დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობა, ანდა შეიძინოს ისეთი ღირებულების ქონება, რომლის შემენისათვის ფულის წარმომავლობის დასაბუთებაა აუცილებელი და სხვ. ასეთი მიზანი კი არ ახასიათებს მითვისებას, თუნდაც იგი ჩადენილი იყოს მითვისების შესანიღბად შედგენილი ფიქტიური დუკუმენტების გამოყენებით.

მართებულადაა აღნიშნული დოქტრინაში, რომ ვინაიდან „დამნაშავეებს“ აქვთ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავების და ქონების ჩამორთმევის შიში, მიმართავენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. რაც უფრო გაფართოებულია კრიმინალიზაციის თვალსაწიერი და რაც უფრო ძლიერია სამართალდამცავი ორგანოები, მით უფრო გაუჭირდებათ/უფრო მეტად ეცდებიან ბოროტმოქმედები თავიანთი აქტივებისთვის კანონიერი სახის მიცემას (შემოსავლის ლეგალიზაცია).⁶⁵⁶

ასევე მართებულადაა აღნიშნული ლიტერატურაში, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი, რაც მან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკაში, ესაა კაპიტალის გადინება (Capital flight).⁶⁵⁷

კაპიტალის გადინება/გაფრენა არის დიდი თანხების გაურკვეველი და აქტიური მოძრაობა ქვეყნის გარეთ. დიდი ბრიტანეთის საზღვარგარეთის განვითარების ინსტიტუტი (ODI) კაპიტალის გადინებას განსაზღვრავს, როგორც "რეზიდენტი/ადგილობრივი კაპიტალის გადინებას, რაც მოტივირებულია ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვეველობით-არამდგრადობით".

რა არის კაპიტალის გადინების ძირითადი გამომწვევი მიზეზი?

ამ საკითხთან შეიძლება რამდენიმე მიზეზი იყოს დაკავშირებული, კერძოდ ინვესტორების ნდობის ნაკლებობა - ეს ფაქტორები ასევე მოიცავს:

- 1) პოლიტიკური არეულობა / არეულობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების მხრიდან დემონსტრაციები / სამოქალაქო კონფლიქტის რისკი;
- 2) შიში, რომ მთავრობა გეგმავს ქონების/აქტივების აღებას სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

⁶⁵⁶ Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy, Editor - Regine Schöenberg, 2013, Publisher: Transcript Verlag, Bielefeld, Germany. P. 20.

⁶⁵⁷ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States 2011, P. 12-15.

3) გაცვლითი კურსის არამდგრადობა, მაგ. შესაძლო დევალვაციის მოლოდინი;

4) შიშები ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობის გამო.⁶⁵⁸

უფრო მეტიც, როგორც ბეიკერი (2005) ამტკიცებს, „ჭუჭყიანი ფულის“ გადინება განვითარებადი ქვეყნებიდან მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში, 10-ჯერ აღემატება უცხოეთიდან შემომავალი დახმარებების რაოდენობას.⁶⁵⁹

როგორც ვხედავთ, აქაც ხაზი გაესმის იმას, რომ ფულის გათეთრებით ქვეყნის ეკონომიკა ამ თვალსაზრისითაც ზარალდება, რომ კაპიტალის გადინება სჭარბობს მის შემოდინებას. შესაბამისად, ამაშიც გამოიხატება ამ ქმედების სოციალური საშიშროება ქვეყნის ეკონომიკისათვის.

სწორედ ამიტომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ ბიზნეს ურთიერთობებს და პირად ტრანსაქციებს, რომელიც მოიცავს კომპანიებს და ფინანსურ ინსტიტუტებს ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ, ან სრულყოფილად არ იყენებენ FATF-ის რეკომენდაციებს. ამასთან როდესაც ამ გარიგებებს არ გააჩნიათ აშკარა ეკონომიკური ან თვალსაჩინო კანონიერი მიზანი. ასეთ შემთხვევაში მათი წარმომავლობა და მიზანი, შეძლებისდაგვარად, უნდა იქნას გადამოწმებული.⁶⁶⁰

გამომდინარე აქედან, უდავოა, რომ ფულის გათეთრებისას დამნაშავეს მიზანია არა ის, თუ როგორ გახარჯოს უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, არამედ ის, თუ როგორ „ჩამორეცხოს მას ჭუჭყი“, რათა მოახდინოს მისი ინტეგრირება ეკონომიკაში.

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტისას შემდეგ სურათს მივიღებთ:

სსკ 177-ე მუხლთან (ქურდობა) ერთად სსკ 194-ე მუხლით უნდა დავაკვალიფიციროთ ქურდის ქმედება, რომელმაც ნაქურდალი ფულით სხვადასხვა ნივთი (ვთქვათ, ა/მანქანა, ტანსაცმელი ან სამკაულები) შეიძინა თავისთვის, მეუღლისა, თუ ოჯახის სხვა წევრისათვის.

ასევე, ანგარებით ჩადენილ მკვლელობასთან ერთად (სსკ 109-ე მ.) სსკ 194-ე მუხლით უნდა დავაკვალიფიციროთ იმ შვილიშვილის ქმედება, რომელმაც მოკლა ბაბუა, რათა

⁶⁵⁸ <https://www.tutor2u.net/economics/reference/what-is-capital-flight> (16.03.2020 მდგომარეობით)

⁶⁵⁹ Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States 2011, P. 13.

⁶⁶⁰ Combating Money laundering and the Financing of Terrorism: A Comprehensive Training Guide, The international Bank for Reconstruction and development/The World Bank, Washington DC, 2009. P. 63.

მიელო მემკვიდრეობა. ხოლო მისი მიღების შემდეგ მიღებული თანხით ბინა (ან მაგ., ა/მანქანა) შეიძინა.

შესაბამისად, გამოვა, რომ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ, დამნაშავეს მიერ დანაშაულის საგნის შემდგომი განკარგვა საკუთარი შეხედულებისამებრ, ყველა შემთხვევაში სსკ 194-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს.

უფრო მეტიც, ამ ლოგიკით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობის (ან ქრთამის აღების) ჩამდენის ქმედება, როცა მან ნაქურდალი (ან ქრთამის საგანი) აჩუქა მის ახლობელს, ანდა ვალი გაისტუმრა მისი გამოყენებით.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წინააღმდეგებაში მოვა არა მხოლოდ სსკ 194-ე მუხლის არსთან, არამედ იმ კონვენციასთან,⁶⁶¹ რომლის რატიფიკაციის საფუძველზეც შემოვიდა ჩვენს სს კოდექსში ეს მუხლი, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგად პრიციპებთან.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის შემოღების **მიზანი სრულებით არაა** ის, რომ უკანონო გზით მიღებული ქონების შემდგომი გამოყენების ყველა შემთხვევა (მათ შორის გახარჯვა) სსკ 194-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. ამ ნორმის შემოღების **მიზანი სულ სხვა რამაა** და იგი ადვილი გამოსაცნობია ამ მუხლის სისტემური ადგილის მხედველობაში მიღებით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოთავსებულია სს კოდექსის იმ თავში, სადაც ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია⁶⁶² სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

⁶⁶¹ იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, ვარშავა, 16 მაისი, 2005, მე-6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწ.

⁶⁶² სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის და მისი სახეების შესახებ იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2007, 110-114; ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, 83-84; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, 125-126.

ამდენად, ამ თავში მოთავსებულია მუხლები, რომელთაგან ზოგიერთი ხელყოფს, ხოლო ზოგი საფრთხეს უქმნის⁶⁶³ ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას. ქვეყნის ეკონომიკაში ადგილი აქვს „ჭუჭყუიანი“ ფულის შემოდინებას, რაც ხელს უშლის ჯანსაღ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას.

ფულის გათეთრება უკანონოდ მოპოვებული ქონების გახარჯვაში რომ არ გამოიხატება, ამაზე სხვადასხვა საბანკო სერვისების საფრთხის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებაც მეტყველებს.

კერძოდ, მიჩნეულია, რომ კონკრეტული საბანკო სერვისები ისეთი საშუალებაა, რომელიც ფულის გათეთრების მაღალ რისკს შეიცავს და ასევე, ამარტივებს ფულის გათეთრების პროცედურას. ასეთი სერვისები შეიძლება მოიცავდეს მაგალითად: ელექტრონული გადახდების სერვისებს, ელექტრონულ ბანკინგს, მობაილ ბანკინგს და სხვა.⁶⁶⁴

საქმე ისაა, რომ აღნიშნული სერვისები აიოლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესს, რადგან ფიზიკურ პირს ამ სერვისის გამოყენებით შესაძლებლობა ეძლევა, თვითონ განახორციელოს საბანკო გადარიცხვები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც ისე, რომ არ ისარგებლოს ბანკის უშუალო მომსახურებით, რომელმაც შესაძლოა, დააბრკოლოს საეჭვო გადარიცხვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ქმედება უფრო მეტად დაფარულია მონიტორინგის სამსახურისგან. იგი ასევე უფრო სწრაფი და მარტივია და რამდენადმე შენიღბულ ხასიათსაც ატარებს.

საბოლოოდ, **ისმის კითხვა:** შესაძლებელია კი უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის ხერხად ჩაითვალოს მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით? კერძოდ, ფიქტიური დოკუმენტის საშუალებით მითვისებული ქონება

⁶⁶³ ხელყოფისა და საფრთხის დელიქტების შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, 175-225; ცეციტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2013, გვ. 22-110; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, 367-371.

⁶⁶⁴ Pierre-Laurent Chatain, John McDowell, Cédric Mousset, Paul Allan Schott, Emile van der Does de Willebois, Preventing Money Laundering and Terrorist Financing, A Practical Guide for Bank Supervisors, The World Bank, Washington DC, 2009, P. 223-225.

თუ შეიძლება გარეგნულად გამოიყურებოდეს, როგორც კანონიერი გზით მოპოვებული?

განვიხილოთ ეს საკითხი მოცემული შემთხვევისათვის.

შპს-ს დირექტორმა მიითვისა მერიიდან მართლზომიერად გადარიცხული ფულის ნაწილი, სახელფასო უწყისებში გაბერილი მონაცემის შეტანით. კერძოდ, მან მიისაკუთრა რეალურად გასაცემ ხელფასსა და ფაქტობრივად გამოწერილ ხელფასებს შორის სხვაობა. ამდენად, მის ხელთ უკვე აღმოჩნდა უკანონო შემოსავალი - მითვისებული ფული.

საინტერესოა, რამდენად გამოიყურება ფიქტიური დოკუმენტის საშუალებით მითვისებული ფული, როგორც თითქოს კანონიერი გზით მოპოვებული შემოსავალი? კერძოდ, თუკი შპს-ს დირექტორის წინაშე დადგება ამ მითვისებული თანხის ლეგალურ ბრუნვაში დაბანდების საკითხი, რით დაასაბუთებს იგი მის კანონიერ წარმომავლობას? გამოადგება კი მას საამისოდ ის დოკუმენტი (სახელფასო უწყისი), რითაც მუშაკებზე გამოიწერა ხელფასი?

რა თქმა უნდა - არა. ამ დოკუმენტს იგი ვერ გამოიყენებს მის უკანონო მფლობელობაში არსებული ფულის კანონიერების დასაბუთებისათვის. **პირიქით**, თუკი შპს-ს დირექტორი მუშა-მოსამსახურეებზე გამოწერილ სახელფასო უწყისებს სათანადო ორგანოს წინაშე წარადგენს მის ხელთ არსებული ფულის კანონიერების დასაბუთებისათვის, ამით მოახდენს „თვით-ინკრიმინაციას“, რადგან დაისმევა ლეგიტიმური კითხვა: როგორ აღმოჩნდა მის ხელში იმ თანხის ნაწილი, რაც სხვა პირებზე იყო გამოწერილი?

შესაბამისად, უდავოა, რომ ოფიციალურ დოკუმენტში (სახელფასო უწყისში) ფიქტიური მონაცემის შეტანა **მიმართული იყო არა** უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემისკენ, **არამედ** ფულის მითვისებისკენ და ამასთან, იმგვარად მითვისებისკენ, რომ დაფარული ყოფილიყო მითვისების ფაქტი (და არა მითვისებულ ქონებას „ჩამორეცხოდა ჭუჭყი“).

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ მითვისების ფაქტით შეუძლებელია ფულის გათეთრება“, ანუ მითვისება არ უდრის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

მეორე ქმედება, რაც განაჩენის მიხედვით ასევე შეფასებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, არის ის, რომ ქ. კ-მ ბ-სთან შეთანხმებით, საკუთარ თავზე, როგორც

ორგანიზაციის დირექტორზე, შეადგინა ყალბი სალაროს გასავლის ორდერები, რომლის თანახმად, მასზე ფიქტიური სესხის სახით გაწერილ იქნა 981 900 ლარი.

რა სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ამ ფაქტს? ფიქტიურად აღებული სესხი თუ გამოდგება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად?

ამის გასარკვევად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ის თანხა, რომლის ნაწილიც ფიქტიური სესხის სახით გადავიდა შპს-ს დირექტორის მფლობელობაში, იყო უკანონო შემოსავალი (ანუ იყო „ჭუჭყიანი“ ფული), თუ შპს-ს კანონიერ მფლობელობაში არსებული თანხა?

უდავოა, რომ თანხა შპს-ს ანგარიშზე გადაირიცხა ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად მერისათან დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, იგი კანონიერი გზით იყო გადასული შპს-ს ანგარიშზე. შესაბამისად, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ შპს-ს დირექტორის წინაშე არ იდგა ამ თანხის „გათეთრების“ საკითხი. მის წინაშე იდგა მისი ნაწილის მითვისების საკითხი და თანაც იმგვარად, რომ მითვისებას გარეგნულად ლეგიტიმური ელფერი ჰქონოდა მიცემული.

მხოლოდ ამ ქმედების განხორციელების შემდეგ (ანუ როცა შპს-ს დირექტორმა მოახერხა მისი მითვისება). იგი უკვე გადაიქცა უკანონო შემოსავლად. ანუ ჩადენილი მითვისება არის პრედიკატული დანაშაული, როს გამოც უკვე სახეზეა „ჭუჭყიანი“ ქონება. შესაბამისად, მომავალში შესაძლებელია, იგი გადაქცეულიყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (194-ე მ.) საგნად, თუმცა შემდგომში ასეთი ქმედების ჩადენა შპს-ს დირექტორის მხრიდან საქმის მასალებით არ ჩანს.

აღიარებულია, რომ ფულის გათეთრების იდეა საკმაოდ მარტივი გახლავთ. პიროვნება, რომელსაც გააჩნია უკანონო წარმომავლობის შენაძენი, მიისწრაფვის, ცდილობს, შეძლოს ამ ფონდების იმგვარად გამოყენება, რომ საზოგადოებამ ვერ გაიაზროს მათი წარმომავლობის არაწესიერი გზები.⁶⁶⁵

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრებისკენ მიმართული ქმედების შეფასებისას ხაზგასმა გაკეთებულია დამნაშავის არა იმ მიზანზე, თუ როგორ დაეუფლოს სხვის საკუთრებაში არსებული ქონებას, არამედ მიზანზე, როგორ გამოიყენოს უკანონო

⁶⁶⁵ Dennis Cox, Handbook of Anti-Money Laundering, John Wiley&Sons, LTD, West Sussex, United Kingdom, 2014. P. 6-7.

გზით უკვე დაუფლებული ქონება ისე, რომ ვერავინ გაიგოს მისი უკანონო წარმომავლობა.

მესამე ქმედება: ბრალდების მიხედვით, ქ.კ-მ, ასევე ბ-სთან წინასწარი შეთანხმებით, 2007-2008 წლებში, უკანონო შემოსავლისათვის კანონიერ სახის მიცემის მიზნით შეადგინა ყალბი სასაქონლო ზედნადებები, სალაროს გასავლის ორდერები და ფიქტიური შესყიდვის ორდერები, რომელთა თანახმადაც მათ სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან თითქოსდა შეიძინეს სხვადასხვა დასახელების საქონელი. ისინი ამზადებდნენ ზედნადებებს, რითაც თითქოს ხდებოდა სხვადასხვა პირებისაგან ამა თუ იმ საქონლის შეძენა, რასაც სინამდვილეში არ ჰქონდა ადგილი. შეძენის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია კი აღრიცხულ იქნა კომპანიის ბუღალტერიაში.

გასარკვევია: რა სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს იმ ფაქტს, როცა რომელიმე ორგანიზაციის (მაგ., შპს-ს) ხელმძღვანელი ახორციელებს ფიქტიურ შესყიდვებს, რათა მიისაკუთროს მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონების (მაგ., ფულის) ნაწილი?

ამ დროს პირი იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ისაკუთრებს იმ ქონების ნაწილს, რაც მის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშია. შესაბამისად, ეს ქონება არაა უკანონო შემოსავალი. იგი უკანონო შემოსავლად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა განხორციელდება მისი დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ანუ როცა განხორციელდება მითვისება.

ხელმძღვანელი პირის მიერ მითვისების განხორციელების ერთ-ერთი აღიარებული ხერხია ე.წ. „უსაქონლო ოპერაციები“.⁶⁶⁶

განსხვავებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან, როცა პირი „ჭუჭყიანი“ ფულით ახდენს ქონების შეძენას, ანდა ასევე „ჭუჭყიანი“ ფულით ქმნის მისი შეძენის იმიტაციას (ანუ ადგილი აქვს საქონლის ფიქტიურ შეძენას), მითვისებისას ფიქტიური შეძენა ხდება „სუფთა“ ფულით, რომელიც იმყოფება ამ პირის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. შესაბამისად, დგას არა მისი „გათეთრების“, არამედ მისი მითვისების საკითხი, რასაც ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

⁶⁶⁶ ე.წ. „უსაქონლო ოპერაციის“ არსის შესახებ იხ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 94-95.

ამჟამად, უნდა განვიხილოთ ამ შემთხვევის მეორე ვარიანტი, როცა ქალაქის მერია შპს-ს ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას რიცხავდა არა მთლიანად, არამედ ეტაპობრივად, შპს-ს მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ მერიისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

შპს-ს დირექტორი კი (მეორე პირთან შეთანხმებით), ახორციელებდა ზემოთ განხილულ სხვადასხვა სახის უკანონო ოპერაციებს. ამ გზით იგი ბერავდა რეალურად საჭირო თანხის ოდენობას და შესაბამის დოკუმენტებს წარუდგენდა მერიას, რითაც შეცდომაში შეჰყავდა იგი. შესაბამისად, მერია შპს-ს ანგარიშზე რიცხავდა იმაზე მეტ თანხას, რაც სინამდვილეში საჭირო იყო შეთანხმებული სამუშაოს შესრულებისათვის. თანხათა შორის სხვაობას შპს-ს დირექტორი (ასევე მეორე პირი) ისაკუთრებდა.

რით განსხვავდება ეს ვარიანტი ზემოთ განხილული პირველი ვარიანტისაგან? კერძოდ, ამ მეორე ვარიანტში თუ არის შესაძლებელი, ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია?

საქმე ისაა, რომ დასმული კითხვა უფრო მეტად რელევანტურია მეორე ვარიანტთან მიმართებაში, რადგანაც, განახვავებით პირველისაგან, ფიქტიური დოკუმენტების საფუძველზე (ანუ მოტყუების საფუძველზე) შპს-ს ანგარიშზე გადმორიცხული თანხა არ იმყოფება მის (შპს-ს) მართლზომიერ მფლობელობასა თუ გამგებლობაში.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით პირველი ვარიანტისაგან, ამ ვარიანტში სახეზეა უკანონოდ მიღებული თანხა - „ჭუჭყიანი“ ფული.

მიუხედავად ამისა, არც ამ ვარიანტშია ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. საქმე ისაა, რომ ყველა შემთხვევაში, როცა სახეზეა უკანონო შემოსავალი, მის მიმართ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება როდი გვაძლევს სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობას.⁶⁶⁷

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (რა თქმა უნდა, ასევე დიდი ოდენობით და წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად).

კერძოდ, შპს-ს დირექტორი (მის თანამზრახველთან ერთად) იყენებს მოტყუების ხერხს. მოტყუება წინ უძღვის შპს-ს ანგარიშზე თანხის გადარიცხვას და განაპირობებს

⁶⁶⁷ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 402-407.

გადარიცხული თანხის ოდენობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოტყუებასა და შპს-ს ანგარიშზე გაბერილი ოდენობით თანხის გადარიცხვას შორის სახეზეა მიზეზობრივი კავშირი.⁶⁶⁸

ამასთან, მოტყუებისას გამოყენებულია სამსახურებრივი მდგომარეობა - პირს უკავია ისეთი სამსახურებრივი პოზიცია, რომელიც მას აძლევს უფლებას, შეადგინოს და მისი ხელმოწერით დაადასტუროს იმ დოკუმენტის ნამდვილობა, რასაც შემდგომში შესაბამის ორგანოში წარადგენს (სსკ 180-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.).

ამ დოკუმენტების მერიაზე წარდგენის გზით, შპს-ს დირექტორი ატყუებდა მერიის შესაბამის სამსახურს, რომელთანაც ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. გამომდინარე ამ ყალბი მონაცემებიდან, რომელიც გარეგნულად გამოიყურებოდა, როგორც რეალური, მერია შპს-ს ურიცხავდა შესაბამის გაზრდილ თანხას. თანხათა შორის სხვაობას კი ისაკუთრებდა შპს-ს დირექტორი.⁶⁶⁹

ამდენად, მოტყუების ხერხის გამოყენება უდავოა, რადგან, შპს-ს დირექტორს შესაბამის დოკუმენტებში სწორი მონაცემები რომ აესახა, მაშინ მერია მას გადაურიცხავდა გაცილებით ნაკლებ (შესრულებულ სამუშაოზე რეალურად დახარჯულის შესაბამის) თანხას.⁶⁷⁰

და მაინც, რატომ არაა ამ დროს სახეზე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია?

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საქმე ისაა, რომ ისეთი ფიქტიური დოკუმენტის შედგენით და მისი გამოყენებით, რითაც ფორმალურად კანონიერად დასტურდება სხვა პირებზე (და არა თავად ამ პირზე) თანხის გადაცემის ფაქტი, შპს-ს დირექტორი ვერ შექმნის უკანონო გზით მიღებული შემოსავლის კანონიერების დასაბუთებისათვის საჭირო სამართლებრივ საფუძველს. ეს დოკუმენტები არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ შპს-ს დირექტორის ხელში ეს თანხა კანონიერი გზით მოხვდა. ეს დოკუმენტი შესაძლოა, გამოდგეს მხოლოდ იმის სამტკიცებლად, რომ თანხა კანონიერი გზით მოხვდა არა შპს-ს დირექტორის, არამედ **სხვა პირთა** (მაგ., მუშა-მოსამსახურეთა) ხელში.

⁶⁶⁸ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 506.

⁶⁶⁹ შეად. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ. 401.

⁶⁷⁰ შეად. იქვე, გვ. 401-402.

შესაბამისად, ასეთი დოკუმენტი ქმნის არა უკანონო გზით მიღებული შემოსავლის კანონიერებისათვის საჭირო სამართლებრივ საფუძველს, არამედ, პირიქით, დიდი ალბათობით, იგი ქმნის შპს-ს დირექტორის მხილების სამართლებრივ საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში, ფიქტიური დოკუმენტის შექმნა და გამოყენება ემსახურება მხოლოდ მოტყუების გზით შპს-ს ანგარიშზე გაზრდილი თანხის ჩარიცხვას, იგი ასევე ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ შპს-მ (და არა მისმა დირექტორმა) ეს თანხა თითქოს კანონიერ საფუძველზე მიიღო და ასევე კანონიერი მიზნის შესაბამისად გახარჯა. ამდენად, სახეზეა თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

3. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით ნივთის შეძენის ფაქტი ყოველთვის არ გვაძლევს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობას. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, როცა ქმედება არასწორადაა შეფასებული არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან, არამედ წინარე (პრედიკატულ) დანაშაულთან მიმართებაშიც.

2018 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სს საქმე ბრალდებულ ა. ბ-ს მიმართ. იგი ცნობილ იქნა ბრალეულად მასში, რომ ჩაიდინა:

1. საანგარიშწორებო ბარათის ჯგუფურად და არაერთგზის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება და გამოყენება, რომელიც არაა ფასიანი ქაღალდი,
2. ორგანიზებული ჯგუფის მიერ მის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება,
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ე.ი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (შექმნა, ფლობა, სარგებლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

საქმის მასალებით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა შემდეგი:

- ა. ბ. მისი ფაქტობრივი მმართველობის ქვეშ მყოფი ფირმების (სხვადასხვა შპს-ების და ერთ-ერთი კომპანიის) სახელით აწარმოებდა მომენტალური ლატარიის გათამაშებას. იგი ნამდვილ და სათანადოდ ბეჭედდასმულ ლატარიებთან ერთად რეალიზაციაში

უშვებდა მისი შეკვეთით უკანონოდ დამზადებულ, ფიქტიურ ლატარიის ბილეთებს (რომლებზეც არ უსვამდნენ ბეჭედს). რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ნაწილს კი ისაკუთრებდა. კერძოდ, 2007 წლის ივნის-აგვისტოში მან მიითვისა რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ნაწილი - 524 472 ლარი.

ამ თანხიდან 133 000 დოლარად და 11 000 ევროდ, მან შეიძინა რამდენიმე ა/მანქანა (სულ ექვსი). აქედან ზოგი შეიძინა თავისთვის. ზოგი კი მეუღლისათვის და ძმისთვის. ზოგი კი მამისთვის. მათ შორის ზოგი ა/მანქანა სხვის სახელზე იყო გაფორმებული. შექმნილი ა/მანქანის ნაწილი მან ჩაუყვანა მის ოჯახის წევრებს ქ. ერევანში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

როგორც გამოძიებამ, ისე სასამართლომ ა. ვ-ს მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილით ა/მანქანების შექმნის ფაქტი დააკვალიფიცირა, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. კერძოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერ სახის მიცემა.

განსახილველი განაჩენი ყურადღებას იპყრობს სსკ 182-ე (მითვისება) და 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) მუხლებთან მიმართებაში.

რამდენადაა დასაბუთებული ა. ბ-ს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენა?

პირველ რიგში განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: თუ შეიძლება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით (მაგ., ფულით) ნივთის შექმნის ფაქტი უპირობოდ (ანუ ყველა შემთხვევაში) დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია?

რა თქმა უნდა, არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ნებისმიერი წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებული თანხის გამოყენება პირადი (საყოფაცხოვრებო) მიზნებისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად შეფასდება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ იქნება მართებული, რადგან წინარე დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების შემდგომი განკარგვა, წარმოადგენს წინარე დანაშაულის ჩადენისას არსებული მიზნის (ქონების მართლსაწინააღმდეგი მისაკუთრების მიზნის) შემდგომ პრაქტიკულ რეალიზაციას, რაც დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტისას მივიღებთ შემდეგ სურათს:

სსკ 177-ე მუხლთან (ქურდობა) ერთად სსკ 194-ე მუხლით უნდა დააკვალიფიციროთ ქურდის ქმედება, რომელმაც ნაქურდალი ფულით სხვადასხვა ნივთი (ვთქვათ, ა/მანქანა, ტანსაცმელი ან სამკაულები) შეიძინა თავისთვის, მეუღლისა, თუ ოჯახის სხვა წევრისათვის.

ასევე, ანგარებით ჩადენილ მკვლელობასთან ერთად (სსკ 109-ე მ.) სსკ 194-ე მუხლით უნდა დააკვალიფიციროთ იმ შვილიშვილის ქმედება, რომელმაც მოკლა ბაბუა, რათა მიეღო მემკვიდრეობა. ხოლო მისი მიღების შემდეგ მიღებული თანხით ბინა (ან მაგ., ა/მანქანა) შეიძინა.

შესაბამისად, გამოვა, რომ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ, დამნაშავეს მიერ დანაშაულის საგნის შემდგომი განკარგვა საკუთარი შეხედულებისამებრ, ყველა შემთხვევაში სსკ 194-ე მუხლითაც უნდა დააკვალიფიცირდეს.

უფრო მეტიც, ამ ლოგიკით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემად) უნდა დააკვალიფიცირდეს ქურდობის (ან ქრთამის აღების) ჩამდენის ქმედება, როცა მან ნაქურდალი (ან ქრთამის საგანი) აჩუქა მის ახლობელს, ანდა ვალი გაისტუმრა მისი გამოყენებით.

ნათქვამი უფრო გასაგები რომ გახდეს, **მოვიყვანოთ მაგალითი**:

პეტრე არის კრიმინალური ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ეწევა ორგანიზებულ გამოძალვას სხვადასხვა პირებიდან, თუ დაწესებულებიდან. ამ გზით მან ხელთ იგდო დიდი ოდენობით ფული. პეტრემ ამ ფულის ნაწილით ცოლს უყიდა მვირადღირებული წავის ქურქი, ოქროს სამკაულები და ავტომანქანა, რაც დაბადების დღეს, საჩუქრად მიართვა მას.

ყოველგვარ აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ თითქოს პეტრემ ორგანიზებულ გამოძალვასთან ერთად (181-ე მ. მე-3 ნაწ.) ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (194-ე მ.), კერძოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წინააღმდეგებაში მოვა არა მხოლოდ სსკ 194-ე მუხლის არსთან, არამედ ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგად პრიციპებთან.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის შემოღების მიზანი სრულებით არაა ის, რომ უკანონო გზით მიღებული ქონების შემდგომი გამოყენების (მათ შორის, გახარჯვის) ყველა შემთხვევა სსკ 194-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. ამ ნორმის შემოღების მიზანი სულ სხვა რამაა და იგი ადვილი გამოსაცნობია ამ მუხლის სისტემური ადგილის მხედველობაში მიღებით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოთავსებულია სს კოდექსის იმ თავში, სადაც ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია⁶⁷¹ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

ამდენად, ამ თავში მოთავსებულია მუხლები, რომელთაგან ზოგიერთი ხელყოფს, ხოლო ზოგი საფრთხეს უქმნის⁶⁷² ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას. ქვეყნის ეკონომიკაში ადვილი აქვს „ჭუჭყიანი“ ფულის შემოდინებას, რაც ხელს უშლის ჯანსაღ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას.

ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განზრახი დანაშაულია, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ქმედება ქვეყანაში სწორედ რომ ამ ლეგიტიმურ საქმიანობას უქმნის საფრთხეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მისი მიზანია არაა უკანონოდ მოპოვებული ფულით პირადი, საყოფაცხოვრებო მიზნის დაკმაყოფილება ბინისა თუ ა/მანქანის შეძენით (სხვა საკითხია, რომ ამგვარი ქმედება ობიექტურადაც ვერ დააზიანებს ქვეყნის სამეწარმეო საქმიანობას), არამედ მისი მიზანია, ჯერ გაათეთროს „ჭუჭყიანი“ ქონება, რათა შემდგომ თავისუფლად გამოიყენოს იგი. ვთქვათ, დააბანდოს ეს გათეთრებული ქონება ქვეყნის ეკონომიკაში შემდგომი მოგების მისაღებად.

სწორედ ამიტომ, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მორგებულია იმ ადგილებზე,

⁶⁷¹ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის და მისი სახეების შესახებ იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2007, გვ. 110-114; ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 83-84; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 125-126.

⁶⁷² ხელყოფისა და საფრთხის დელიქტების შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010, გვ. 175-225; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2013, გვ. 22-110; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 367-371.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ნაკლებია ზეწოლა (იგულისხმება რეგულაციები ამ დანაშაულთან მიმართებაში). ამიტომ როდესაც დაიწყო საბანკო სისტემაზე ზედამხედველობის გამკაცრება, როდესაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის (AML) მეთოდები და ხერხები გაფართოვდა, მან მოიცვა სადაზღვევო სექტორი.⁶⁷³

სწორედ ამ საბოლოო მიზანს ემსახურება უკანონოდ მოპოვებული ქონებით ძვირადღირებული საქონლის შეძენა იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა.⁶⁷⁴ პირს ამ დროს გადაწყვეტილი აქვს, გარკვეული დროის შემდეგ გაყიდოს ეს ქონება (შესაძლოა, გაყიდვამდე მისაგნ სარგებელიც მიიღოს) და შემდეგ აღებული თანხა გადარიცხოს რომელიმე ბანკში (რომელშიც ადვილად მოახერხებს ამას). შემდეგომში კი მრავალჯერადი გადარიცხვებით არიოს კვალი, რათა საბოლოოდ მიღებული ქონება გამოიყურებოდეს, როგორც კანონიერი (ნებისმიერ ქვეყანაში ადვილი გახდეს მისი კანონიერი წარმომავლობის დასაბუთება), რათა საბოლოოდ უკვე მისთვის სასურველი ფორმით და მისთვის სასურველ ქვეყანაში მოახდინოს მისი ინტეგრირება ეკონომიკაში.

შესაბამისად, ყველა ეს წინარე ოპერაციები, რაც ემსახურება „კვალის არევას“, იძულებითი ხასიათისაა. პირი იძულებულია, განახორციელოს ეს ქმედებები, რათა ქონებას „ჩამორეცხოს ჭუჭყი“ მომავალში მისთვის სასურველ ადგილას და სასურველი ფორმით ეკონომიკაში ენტეგრირებისათვის.

უდავოა, რომ როცა წინარე დანაშაულის (მაგ., მითვისების) ჩამდენმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით პირადი, საყოფაცხოვრებო მიზნისათვის შეიძინა ნივთი (მით უმეტეს ისეთი მოძრავი ნივთი, როგორცაა ა/მანქანა, რომლის ღირებულება დღითიდღე, მის გამოყენებასთან ერთად ეცემა), ამ პირის მიზანი სრულებით არაა ამ ნივთის ღირებულების გამოყენებით მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული ქონების ინტეგრირება ეკონომიკაში და ამით ნახოს მოგება (ასეთი ქმედება ობიექტურადაც არავითარ საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობას). მისი მიზანია პირადი, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების (რაც

⁶⁷³ შეად. FROM THE BOOK “Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy”, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg, გვ. 20.

⁶⁷⁴ იხ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, თბ. 2023, გვ. 141.

დაკავშირებულია კომფორტული ცხოვრების პირობების შექმნასთან, კომფორტულად გადაადგილებასთან და სხვ.) დაკმაყოფილებასთან.

ამდენად, ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისას სხვა დანაშაულებისაგან მისი გამიჯვნის თვალსაზრისით **გადამწყვეტია დამნაშავეს მიზანი.**

გამომდინარე აქედან, **იმის მიუხედავად, სახეზეა ის პირველი ალტერნატიული ქმედება** (უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა შესაბამისი ხერხის გამოყენებით), სადაც აუცილებლად უნდა დადგინდეს ამ ნორმაში დაფიქსირებული მიზანი (მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით), **თუ სხვა ალტერნატიული ქმედება** (მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლების დამალვა ან შენიღბვა), **ასევე იმის მიუხედავად,** ვინაა მისი ამსრულებელი (წინარე დანაშაულის ამსრულებელი, მასში თანამონაწილე, თუ მესამე პირი), **ყველა შემთხვევაში,** ამ ქმედებათა **საბოლოო (ფინალური) დანიშნულებაა,** შესაძლებელი გახდეს „გასუფთავებული“ ფულის ჩართვა ეკონომიკაში, შემდგომი სარგებლის მისაღებად.

რომ არა ეს მიზანი, შეუძლებელი გახდებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამიჯვნა ისეთი დანაშაულებისაგან როგორცაა:

1. წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (სსკ 186-ე მუხლი), სადაც მთელი რიგი ქმედებები (ამ ქონების შეძენა, ფლობა ან სარგებლობა) იდენტურია სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა;⁶⁷⁵
2. დანაშაულის დაფარვა (სსკ 375-ე მ.), სადაც ასევე მესამე პირის მიერ განხორციელებული მთელი რიგი ქმედება მიმართულია იქითკენ, რომ დაიფაროს ჩადენილი დანაშაული;
3. ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით (სსკ 218-ე მ. მე-3 ნაწ.);

⁶⁷⁵ სსკ 186-ე მუხლის სხვა დანაშაულებისაგან გამიჯვნის საკითხზე იხ. ლეკვეიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირვ. ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023, გვ.114-115.

4. ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით (სსკ 205¹ მ.) და სხვ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას დამნაშავეს **საბოლოო მიზანი რომ „გათეთრებული“ ქონების ეკონომიკაში დაბანდება** (და არა ყოველდღიური პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება), ამის დასაბუთებისათვის შემდეგი არგუმენტიც გამოდგება:

ცნობილია, რომ უკანონო შემოსავლის მფლობელები მისი ლეგალიზაციისას, მზად არიან „შეელიონ“ ამ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს (10-დან 80 პროცენტამდეც კი). კერძოდ, დაუთმონ ეს ნაწილი იმათ, ვინც ახორციელებს ამ ქონების ლეგალიზაციისკენ მიმართულ ქმედებას. **მაგალითად**, როცა „ჭუჭყიან“ ფულს რიცხავენ ბანკში მისი შემდგომი „გათეთრებისათვის“, წინასწარი შეთანხმებით, ბანკის წარმომადგენელს რჩება ამ თანხის გარკვეული ნაწილი, რადგან მან დიდი რისკი გასწია ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებისას. პირის მიზანი ამ „ჭუჭყიანი“ ქონების ეკონომიკაში დაუბრკოლებრივი ჩართვა რომ არ იყოს (შემდგომი მოგების მისაღებად), იგი მის დიდ ნაწილს სხვა პირს არ დაუთმობდა. იგი (ასევე მისი შთამომავალიც) მოხერხებულ ადგილას გადამალავდა და ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში დაუბრკოლებლივ გახარჯავდა მას საყოფაცხოვრებო მოთხოვნის შესაბამისად.

ამდენად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის **ფინალური მიზანია** ამ ქონების „გათეთრება“ რათა მომავალში დაუბრკოლებრივ (უშიშრად) გამოიყენოს იგი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში ინტეგრაციით (შემდგომი სარგებლის მისაღებად). შესაბამისად, პირის მიერ უკანონოდ მოპოვებული ქონების ხარჯვა - ყოველდღიური პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება (ბინის, ავეჯის, ტანსაცმლის, კვების პროდუქტის შეძენით), არ მოგვცემს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან ამ ქმედების ჩადენით პირის მიზანი არაა ქონებისთვის „ჭუჭყის“ ჩამორეცხვა მისი შემდგომი თავისუფლად გამოყენების მიზნით. ამ ქმედების ჩადენით მისი მიზანია პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საბოლოოდ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: მაშ, რით განსხვავდება ზემოთ განხილული შემთხვევები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან? სხვაგვარად რომ ვთქვათ: რა შემთხვევაში შეიძლება, ხოლო რა შემთხვევაში არ შეიძლება, ეს ქმედებები შეფასდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია?

დასმულ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს ორ ვარიანტში:

ა) წინარე დანაშაულის (თუ სხვა სამართალდარღვევის) ჩამდენს სურს უკანონო გზით მოპოვებული ქონების გახარჯვით დაიკმაყოფილოს სხვადასხვა პირადი მოთხოვნილება (მაგ., საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება, გადაიხადოს ვალი, ან გამოხატოს პატივისცემა ახლობლისადმი ძვირფასი საჩუქრის მირთმევით და სხვ.). ვთქვათ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხით პირმა შეიძინა ავტომანქანა პირადი მოხმარებისათვის.

ამ დროს სახეზეა არაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და პირი პასუხის აგებს მხოლოდ წინარე ქმედებისათვის (სისხლისსამართლებრივი, თუ ადმინისტრაციული წესით).

მაგალითად, „ქილერმა“ დანაშაულებრივი გზით (შეკვეთილი მკვლევლობებით) მოპოვებული ფულით პირადი მიზნის შესაბამისად, საცხოვრებელი ბინა შეიძინა, სადაც დაიწყო ცხოვრება. იგი პასუხს აგებს მხოლოდ შეკვეთით ჩადენილი მკვლევლობებისათვის;

ბ) წინარე დანაშაულის ჩამდენს სურს ამ ქონებაზე „ჭუჭყის ჩამორეცხვა“, რათა შემდგომში მოახდინოს მისი ინტეგრირება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ მიზნით მან „ჭუჭყიანი“ ფულით უძრავი ქონება შეიძინა ისეთ სახელმწიფოში, სადაც მოქმედებს ლიბერალური ფისკალური კანონმდებლობა (ანდა მან ქონების შექმნა გააფორმა ცრუმადგიერ პირზე). ამ ეტაპზე მისი მიზანი არაა ამ ქონებით სარგებლობა, ან ამ ქონების გახარჯვა. მისი მიზანია ამ ქონების შემდგომი გასხვისებით (ასევე შესაძლოა, სხვადასხვა მრავალჯერადი ოპერაციების განხორციელებით) „კვალის არევა“, რათა საბოლოოდ მასთან დაბრუნებულ ქონებას (ან თუნდაც მის ნაწილს) მიეცეს კანონიერი წარმომავლობის ელფერი.

ამ დროს სახეზეა 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (წინარე დანაშაულთან ერთად).

ამ განაჩენში ასევე სადავო და დაუსაბუთებელია ა. ბ-ს მიერ მითვისების ჩადენა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ა. ბ. მისი ფაქტობრივი მმართველობის ქვეშ მყოფი ფირმების სახელით აწარმოებდა მომენტალური ლატარიის გათამაშებას. მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი პირები, მისი შეკვეთით უკანონოდ ამზადებდნენ ფიქტიურ, ბეჭედდაუსმელ ლატარიის ბელეთებს, რასაც ნამდვილ და სათანადოდ ბეჭედდასმულ ბილეთებთან ერთად უშვებდნენ სარეალიზაციოდ. რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ნაწილს კი ა. ბ. ისაკუთრებდა. კერძოდ, 2007 წლის ივნის-აგვისტოში მან მიითვისა რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ნაწილი - 524 472 ლარი.

ეს ფაქტი შეფასებულია, როგორც მითვისება, ჩადენილი დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაცია განაჩენში დაუსაბუთებელია. კერძოდ, საქმის მასალებით არ ჩანს, ამონაგები თანხის რომელი ნაწილი მიისაკუთრა ა. ბ-მ? ის, რაც მიიღო ფიქტიური ბელეთების გაყიდვით, თუ ის, რაც ნამდვილი ლატარიის ბილეთების გაყიდვის შედეგად შემოვიდა მათ ორგანიზაციაში?

ამ საკითხის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების მითვისებით ან თაღლითობის კვალიფიკაციისათვის.

ჩადენილი ქმედების მითვისებით კვალიფიკაცია სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ ა. ბ-მ მიისაკუთრა ნამდვილი ლატარიის ბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის ნაწილი, ანუ იმ თანხის ნაწილი, რაც ა. ბ-ს, როგორც ფირმის ხელმძღვანელის, მართლზომიერ გამგებლობაში მოექცა.

ხოლო უკეთეს მან მიისაკუთრა ფიქტიური ბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა, **სახეზეა თაღლითობა** და არა მითვისება, რადგან ეს თანხა ამ ორგანიზაციაში არ შემოსულა მართლზომიერად (სამართლებრივ საფუძველზე), იგი მოტყუების გზით შემოვიდა. მოტყუებულები იყვნენ ის მოქალაქეები, რომელთაც ეგონათ, რომ მოგების შესაძლებლობა მოიპოვეს ნამდვილი ლატარიის ბილეთების შეძენით. სინამდვილეში კი მათ არ ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა, რადგან შეძენილი ბელეთები ფიქტიური იყო და იგი არ იყო ჩართული გათამაშებაში.

განსახილველ განაჩენში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ა. ბ-მ მიისაკუთრა ამონაგები ფულის ნაწილი. თუმცა საერთოდ არაა გამახვილებული ყურადღება იმ ფაქტზე,

რომელი ბილეთების (ნამდვილის, თუ ფიქტიურის) რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მისაკუთრა ა. ბ-მ?

რადგან ეს საკითხი საქმის მასალებით ყურადღების მიღმაა დარჩენილი, სასამართლოს ჩადენილი ქმედება მითვისებიდან, უნდა გადაეკვალიფიცირებინა თაღლითობაზე.

ჯერ-ერთი, რომ ასეთი კვალიფიკაცია იქნებოდა საექვო და დაუზუსტებელი საკითხის გადაწყვეტა პირის სასარგებლოდ (ანუ ყოველგვარი ექვის გადაწყვეტა პირის სასარგებლოდ), რადგან თაღლითობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი უფრო მსუბუქია, ვიდრე ის, რაც გათვალისწინებულია მითვისებისათვის;

მეორე, უდავოა, ა. ბ-ს მიერ ფიქტიური ბილეთების დამზადება იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მიესაკუთრებინა არა ნამდვილი, არამედ სწორედამ ამ ფიქტიური ბილეთების რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხა;

მესამე, საერთოდ, უფრო ადვილი და ნაკლებად სარისკოა იმ ბილეთის (ფიქტიურის) რეალიზაციის შედეგად მოღებული თანხის მისაკუთრება, რომელიც არსად არაა რეგისტრირებული. ხოლო გაცილებით რთული და სარისკოა, იმ ბილეთის (ნამდვილის) რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის მისაკუთრება, რომელიც სათანადო წესითაა რეგისტრირებული.

4. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან

რა შემთხვევაში ჩაითვლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ქმედება, როცა ადგილი აქვს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ (ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ) დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხის გადანაწილებას ჯგუფის წევრებს შორის?

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად კვალიფიცირდება ჯგუფის წევრთა ქმედება, როცა ისინი წინარე დანაშაულის შედეგად დაუფლებული თანხას გადანაწილებენ ერთმანეთის ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

წინარე დანაშაულის შედეგად დაუფლებული თანხის შემდგომი გადარიცხვა სხვადასხვა პირის ანგარიშზე, მართლაც შესაძლოა, ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად, მაგრამ არა ყოველთვის.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენით თურქეთის მოქალაქე ზა დამნაშავედ ცნო თაღლითობის მცდელობაში (სსკ 19, 180-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ და მე-4 ნაწ. „ა“ ქვ.), ასევე დიდი ოდენობით თაღლითობაში, რაც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ (180-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ და მე-4 ნაწ. „ა“ ქვ), ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნაში გამოყენების მიზნით (362-ე მ.) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ე.ი. დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში მისი დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ და „ა“ ქვ.).⁶⁷⁶

სასამართლომ დადასტურებულად ცნო შემდეგი:

თურქეთის მოქალაქეებმა (მათ შორის ზა-მ) ფინანსური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით, განიზრახეს ჩამოეყალიბებინათ სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფი, რომელშიც ჩართეს თურქეთის სხვა მოქალაქეებიც (რომელთა ვინაობაც საქმეში იდენტიფიცირებულია).

თურქეთის მოქალაქეების ილ-ს, ჯე-ისა და ილ-ს მითითებით, ზა-ს მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იქნა შპს „ზა-ი“. ამ შპს-ს „თი ბი სი ბანკ“-თან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენდა ბანკის „სუბ აგენტს“, რომელსაც ბანკის სპეციალური პროგრამის გამოყენებითა და ეროვნული ბანკისგან მიღებული ლიცენზიით, შესაძლებლობა ჰქონდა, განეხორციელებინა სწრაფი ფულადი გზავნილები, მიეღო და გადაერიცხა თანხები ფიზიკური პირების სურვილის შესაბამისად. ამასთან, შპს ვალდებული იყო, სწრაფი ფულად გზავნილების განსახორციელებლად მოეხდინა კლიენტის იდენტიფიკაცია და მისგან მიეღო მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ასლები.

განსახილველი განაჩენით დადგენილი სხვადასხვა გარემოებიდან, ჩვენთვის **საინტერესოა რამდენიმე ეპიზოდი:**

შპს „ზა-ის“ მეშვეობით, ზა თურქეთის მოქალაქეების ჯე-ის, ილ-ის და ილ-ს დახმარებით, გამოძიებისათვის დაუდგენელ ვითარებაში ახდენდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტების, პასპორტის ასლების მოპოვებას.

⁶⁷⁶ 2017 წლის 22 დეკემბრის ეს განაჩენი მოგვეწოდა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომრის მითითება შეუძლებელია.

აგრძელებდნენ რა დანაშაულებრივ საქმიანობას, პირთა ჯგუფის (მათ შორის, ზა-ს) ორგანიზებით, „თი ბი სი“ ბანკში ყალბი პასპორტის გამოყენებით მათ გახსნეს საბანკო ანგარიშები აშშ დოლარში, ლარში და ევროში. საბანკო ანგარიშების გახსნა მიზნად ისახავდა დიდი ოდენობით სხვისი ფულადი თანხის დაუფლებას.

ყალბი პასპორტის საფუძველზე გახსნილი ანგარიშის გამოყენებით ისინი ცრუ დაპირებით (ე.წ. „სასიყვარულო თაღლითობის“ სქემით) ატყუებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ, შვეიცარია) მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, რომლებიც რიცხავდნენ დიდი ოდენობით თანხას მათ მიერ ყალბი პასპორტით გახსნილ ანგარიშზე.

ეს ქმედება შეფასებულია, როგორც ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა დიდი ოდენობით.

კვალიფიკაცია თაღლითობის ნაწილში არაა სადავო.

სხვადასხვა წყაროდან გადმორიცხული თანხის ნაწილი (რაც მოასწრეს), ბანკში ჩარიცხვის დღესვე გატანილ იქნა ბანკიდან და მათ შორის გადანაწილდა. კერძოდ, ნაწილი რჩებოდათ იმ პირებს, ვინც ახდენდნენ მის გამოტანას ბანკიდან, ხოლო ნაწილი გადაეცემოდათ ჯგუფის სხვა წევრებს (მათ შორის, ზა-ს).

ეს ქმედება განაჩენით შეფასებულია, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.⁶⁷⁷

ასეთი კვალიფიკაცია შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხების წარმოშობის წყაროს, მისი ნამდვილი ბუნების, განთავსებისა და რეალური მესაკუთრის შენიღბვის მიზნით აბ-ს მიერ ზა-ს (ასევე ჯგუფის სხვა წევრთა) მითითებით, 45 700 აშშ დოლარი და 43 600 აშშ დოლარი შეტანილ იქნა თბილისის ერთ-ერთ ბანკში ზა-ს საბანკო ანგარიშზე.

ზა-მა შეტანილი თანხიდან ნაღდი ანგარიშსწორებით ბანკიდან გამოიტანა 8 000 აშშ დოლარი, საიდანაც დაახლოებით 7450 აშშ დოლარი გადარიცხა ილ-ის, ხოლო დარჩენილი ნაწილი ჯე-ოს საბანკო ანგარიშზე თურქეთში, რითაც ერთის მხრივ, კანონიერი სახე მიეცა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ დიდი ოდენობით ფულად თანხებს, ხოლო მეორეს მხრივ, შეინიღბა მისი ნამდვილი ბუნება, წარმოშობის წყარო, განთავსება და რეალური მესაკუთრე.

⁶⁷⁷ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 დეკემბრის ეს განაჩენი (აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი)

აღნიშნული ქმედებით ზა-მა ჩაიდინა 89 300 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.⁶⁷⁸

რამდენადაა დასაბუთებული ზა-ს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენა?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, უნდა გაირკვეს, რა შემთხვევაში ჩაითვლება და პირიქით, რა შემთხვევაში არ ჩაითვლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად ქმედება, როცა ადგილი აქვს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხის გადანაწილებას ჯგუფის წევრებს შორის?

ეტაპობრივად მივყვეთ განაჩენის სამოტივაციო ნაწილს.

როგორც განაჩენიდან ირკვევა, თაღლითური გზით ყალბი პასპორტებით გახსნილ ანგარიშზე თანხის გადმორიცხვის შემდეგ, თავდაპირველად განხორციელდა შემდეგი ქმედება: გადმორიცხული თანხის ნაწილი, დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრის (აბ-ს) მიერ ზა-ს (ასევე ჯგუფის სხვა წევრთა) მითითებით, ჩარიცხულ იქნა ზა-ს ანგარიშზე.

რა მიზანს ემსახურებოდა ეს ქმედება?

ამისათვის უნდა გაირკვეს, თუ რატომ მაინცდამაინც ზა-ს ანგარიშზე გადაირიცხა ეს თანხა და არა ჯგუფის სხვა რომელიმე წევრის ანგარიშზე?

საქმე ისაა, რომ სწორედ ზა-ს მიერ იქნა ჩამოყალიბებული შპს „ზა-სი“. შესაბამისად, დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხის ჯგუფის წევრთა შორის გადანაწილებაც მასზე იყო მინდობილი. ამდენად, მის ანგარიშზე ფულის გადარიცხვა ვერ მოემსახურებოდა ფულის „გათეთრებას“. პირიქით, შპს „ზა-სი“ -დან შპს-სა და კერძო პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადარიცხული თანხის გამოტანა და მისი გადარიცხვა ამავე შპს-ს დირექტორის პირად ანგარიშზე, ლეგიტიმურ ეჭვს აჩენს ამ თანხის კანონიერ წარმომავლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად არ გამოდგება.

გამომდინარე აქედან, ეს ქმედება ემსახურებოდა არა ფულის „გათრებას“, არამედ უკანონო შემოსავლის შემდგომ გადანაწილებას ჯგუფის წევრებს შორის, რაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის (როგორც თაღლითობის უმართლობის დამაფუძნებელი მიზნის)⁶⁷⁹ პრაქტიკული რეალიზაციისკენ იყო მიმართული.

⁶⁷⁸ იხ. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი.

⁶⁷⁹ საკითხზე: თუ რა შემთხვევაშია მიზანი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება, იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირვ. თბ. 2007, გვ. 110-111; გამყრელიძე თ., სისხლის

მართლაც, თუ არა ასეთი ქმედება, სხვაგვარად შეეძლოთ კი ამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგათ თაღლითური გზით შპს-ში ჩარიცხული ფული?

რა თქმა უნდა არა. ასეთი შესაძლებლობა ჰქონდა თავად შპს-ს და არა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, რომელთა ნაწილს ფორმალურადაც კი არ ჰქონდათ შეხება ამ შპს-თან (რომ არაფერ ვთქვათ იმაზე, რომ ზოგი მათგანი ფიზიკურადაც კი არ იმყოფებოდა საქართველოში).

ამდენად, შპს-ში გადარიცხული თანხის სურვილისამებრ გამოსაყენებლად, საჭირო იყო მისი იქიდან დაუყონებლივ გატანა და შემდგომი გადარიცხვა ჯგუფის წევრთა პირად ანგარიშზე. თანხის გატანა მართლაც ხორციელდებოდა დაუყონებლივ, რადგან, ჯგუფის წევრებმა იცოდნენ, რომ დიდი ალბათობით, მოტყუებული პირი მალე გაერკვეოდა სიტუაციაში და უკან მოითხოვდა გადარიცხული თანხის უკან დაბრუნებას (განაჩენით ირკვევა, რომ ამ შპს-ს მიმართ მართლაც ადგილი ჰქონდა ასეთ არაერთ შემთხვევას).

ამიტომაც, ისინი **ჩქარობდნენ არა იმიტომ**, რომ მოეხდინათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, **არამედ იმიტომ**, რომ სწრაფად მისცემოდათ თაღლითური გზით მოპოვებული ფულის განკარგვის შესაძლებლობა.

რაც ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედების მეორე ეტაპს, კერძოდ იმას, ზა-მა შეტანილი თანხიდან ნაღდი ანგარიშსწორებით ბანკიდან გამოიტანა 8 000 აშშ დოლარი, საიდანაც დაახლოებით 7450 აშშ დოლარი გადარიცხა ილ-ის, ხოლო დარჩენილი ნაწილი ჯე-ოს საბანკო ანგარიშზე თურქეთში, ვერც იგი ჩაითვლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად. ეს ქმედება უშუალოდ ემსახურებოდა თაღლითობით მოპოვებული თანხის დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებზე გადანაწილებას, ანუ იმას, რომ ჯგუფის ყველა წევრს მიეღო „კუთვნილი წილი“.

საერთოდაც უნდა ითქვას შემდეგი: დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების (მაგ., ფულის) ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილება, ჩვეულებრივი მოვლენაა და

სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 166-167; გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ. 1974, გვ. 84-85; უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1980, გვ. 19-23; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015, გვ. 78-85; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. ავტ. კოლექტ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 481-483.

იგი, როგორც წესი, არ გვადლევს სხვა დანაშაულის (მაგ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის) შემადგენლობას. თანამსრულებლებსა თუ თანამონაწილეებს შორის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შემდგომი გადანაწილება (ისევე როგორც სხვა პირებზე მისი გადაცემა საჩუქრად, ნივთის შექმნა, ვალის გადახდა, სხვა ნივთში გაცვლა და ა.შ.) წინარე დანაშაულით დასახული მიზნის (მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის) პრაქტიკული რეალიზაციაა და ამდენად, არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით.

ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ ქურდის მიერ ნაქურდალისათვის ადგილის მიჩენა (შენახვა), ქურდობასთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად (როგორც უკანონო შემოსავლის ფლობა), ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობად (186-ე მ.).

ასევე დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 186-ე ან 194-ე მ.) უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდის მიერ ნაქურდალი ფულით რაიმე ნივთის შექმნა, რაც დაუშვებელია.

ამდენად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის პრაქტიკული რეალიზაციაა ის ფაქტიც, როცა თანამონაწილეები ერთმანეთში ინაწილებენ დანაშაულის (მაგ., თაღლითობის) ჩადენით მოპოვებულ ქონებას. როგორც წესი, მათი მიზანი სწორედ ისაა, რომ წინარე დანაშაულის ჩადენით თითოეულმა ნახოს გამორჩენა (მხოლოდ იშვიათ, გამონაკლის და არატიპურ შემთხვევაში შეიძლება, რომელიმე თანამონაწილეს არ ჰქონდეს ასეთი მიზანი და უანგაროდ ეხმარებოდეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის განხორციელებაში).

მაშინ, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის დანაშაულის საგნის გადანაწილება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად?

ასეთი ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მაშინ, როცა იგი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს ქონების დაქსაქსვა მცირე ნაწილებად, რათა შემდგომში მისი კვლავ გაერთიანებით „წაიშალოს კვალი“ და განხორციელდეს მისი დაუბრკოლებრივი ინტეგრაცია სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში.

მსგავს შემთხვევას მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია. პირთა ჯგუფის მიზანი იყო თაღლითობით მოპოვებული თანხების განკარგვა საკუთარი შეხედულებისამებრ და არა „კვალის წაშლა“ მისი დაქსაქსვით და შემდგომ კვლავ გაერთიანებით.

5. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან (იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას)

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის (იმ სხვა ეპიზოდების მიმართ, რაზეც ზემოთ არ იყო ყურადღება გამახვილებული) იურიდიულ პირსაც ასევე დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, 2018 წლის 24 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს „ზა-ი“ დამნაშავეს ცნო ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა, შენახვაში გამოყენების მიზნით და გამოყენებაში (362-ე მ. პირვ. ნაწ.), ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში,⁶⁸⁰ რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).⁶⁸¹

რაც შეეხება თაღლითობას, რადგან მისი სუბიექტი არაა იურიდიული პირი, რა თქმა უნდა, ბრალდების ამ ნაწილში იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით (სსკ 107¹ მ. მე-2 ნაწ.), იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ.

სსკ მე-6 კარის XVIII¹ თავის შესაბამისად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის უნდა არსებობდეს რამდენიმე აუცილებელი წინაპირობა: **ჯერ-ერთი**, ჩადენილი უნდა იყოს ის დანაშაული, რომელშიც სუბიექტად ფიზიკურ პირთან ერთად, გათვალისწინებულია სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიც; **მეორე**, დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს

⁶⁸⁰ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი არაა იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად სწორადაა დასაბუთებული შპს „ზა-ის“ პასუხისმგებელი პირის მიერ დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენა.

⁶⁸¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 სექტემბრის ეს განაჩენი მოგვეწოდა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომრის მითითება შეუძლებელია.

იურიდიული პირის პასუხისმგებელი პირის მიერ; **მესამე**, დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს: ა) იურიდიული პირის სახელით; ან ბ) იურიდიული პირის მეშვეობით (გამოყენებით); ან/და გ) მის სასარგებლოდ.⁶⁸²

შესაბამისად, მოცემულ საქმესთან მიმართებით გამოტანილ განაჩენში საინტერესოა:

ა) რითაა დასაბუთებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ამ ქმედებებში?

ბ) რა წესით და რა სახის სასჯელი დაენიშნა შპს „ზა-ის“?

განაჩენში ვკითხულობთ: „... უტყუარადაა დადგენილი, რომ საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს შპს „ზა-ის“ მეშვეობით ხდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული დაუსაბუთებელი ფულად თანხების ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებზე აკუმულირება, ხოლო შემდგომში ასევე შპს „ზა-ის“ მეშვეობით მათთვის კანონიერი სახის მიცემის, წარმოშობის წყაროა, განთავსების, რეალური მესაკუთრის თუ მისი ნამდვილი ბუნების შნიღვის მიზნით თანხების დანაწევრება და სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემით, მრავალჯერადი ტრანზაქციებით მათ შპს „ზა-ის“ მეშვეობით კონტროლირებად ანგარიშებზე გადატანა...“.

როგორც ვხედავთ, ბრალდების მიხედვით, დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაცია მოხდა იურიდიული პირის გამოყენებით.

ასეთი დასკვნა სწორია, რადგან საქმის მასალებით დადასტურებულად იქნა ცნობილი, რომ სწორედ ამ შპს-ში ხდებოდა დაუსაბუთებელი ფულად თანხების შედინება, შემდგომში კი ამავე შპს-ს მიერ ხორციელდებოდა მათი დანაწევრება და გადატანა კონტროლირებად ანგარიშებზე. თუ სადავოდ არ გავხდით ამ ფაქტობრივ გარემოებებს, გამოდის, რომ დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციისათვის გამოყენებული იყო იურიდიული პირი, რომლის ხელმძღვანელი იყო ზა.

საკითხავია, ეს დანაშაულები ხომ არ იყო ასევე ჩადენილი იურიდიული პირის სახელით ან მის სასარგებლოდ?

როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ საქმეში გაერთიანებულ პირთა ჯგუფის მიერ შპს-ს გამოყენებით ასევე ჩადენილი იყო სხვა დანაშაული - თაღლითობა (რამდენიმე

⁶⁸² იურიდიული პირის სს პასუხისმგებლობის საკითხზე იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2019, გვ. 760-767.

ეპიზოდი), სადაც შპს-მ აშკარად მიიღო სარგებელი მოტყუებულ ფიზიკურ პირთა მიერ უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების ჩარიცხვით. ამასთანავე თაღლითობის ყველა ეპიზოდში გამოყენებული იყო შპს „ზა-ის“ სახელი. ამის მიუხედავად, შპს-ს მიმართ სს პასუხისმგებლობის დაკისრებისას შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაული ჩადენილია როგორც იურიდიული პირის სახელით, ისე მის სასარგებლოდ. საქმე ისაა, რომ თაღლითობის სუბიექტი არაა იურიდიული პირი. ამდენად, ის ფაქტი, რომ თაღლითობის ჩადენა მოხდა იურიდიული პირის არა მხოლოდ გამოყენებით, არამედ ასევე მისი სახელით და მის სასარგებლოდ, არ გადავა შპს-ს მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე (194-ე და 362-ე მუხლებზე).

სასჯელის ინდივიდუალიზაციის დასაბუთება იურიდიული პირის მიმართ.

ამ მხრივ განაჩენში ხარვეზები შეინიშნება. კერძოდ, მასში ვკითხულობთ:

„სასამართლო სასჯელის დანიშვნისას შპს „ზა-ის“ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვალისწინებს იმას, რომ ბრალდებულის წარმომადგენელმა ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას (მტკიცებულებები გახადა უდავო), ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ გამოვლენილა.“⁶⁸³

აქედან ჩანს, რომ სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიეღო მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოება.

თუმცა ამის მიუხედავად, შემდეგ, განაჩენის ამავე მონაკვეთში ვკითხულობთ:

„სასამართლო ასევე ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, ხასიათს (ჩადენილია ეკონომიკური ხასიათის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც მისი ჩადენის ხერხებისა და შინაარსის გათვალისწინებით მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (შპს „ზა-ის“ მეშვეობით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებით ფულადი თანხების მიღებას, დანაწევრებას და მათთვის სასურველ ანგარიშზე გადარიცხვას ახდენდა ოლ-უ, ზა-ი და ჯე-ი), დამდაგრ შედეგს (მიღებულ იქნა განსაკუთრებით

⁶⁸³ იხ. დასახ. განაჩენი, სასჯელისა და სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება (4.5.)

დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი), დანაშაულის ჩადენის მოტივს/მიზანს (ანგარება/შემოსავლის მიღება).“

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად განაჩენში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ არ არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, მაგრამ შემდეგში მითითებულია დამამძიმებელ გარემოებებზე, რაც თავისთავად გაუგებარი და წინააღმდეგობრივია.

თუმცა სასჯელის საკითხი უფრო დეტალურ განხილავს მოითხოვს. კერძოდ, საინტერესოა, რამდენად კანონიერია მითითება ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებლებზე?

ერთ-ერთი მათგანია შემდეგი: სასამართლო ასევე ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, ხასიათს (ჩადენილია ეკონომიკური ხასიათის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რაც მისი ჩადენის ხერხებისა და შინაარსის გათვალისწინებით მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია).

უდავოა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ეკონომიკური ხასიათის დანაშაულია, რადგან იგი მიმართულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (ამას სს კოდექსში მისი სისტემური ადგილი განსაზღვრავს). **თუმცა საკითხავია,** შეუძლია კი სასამართლოს დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ჩათვალოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ (ან თუნდაც შემამსუბუქებელ) გარემოებად?

რა თქმა უნდა, არა, რადგან სს დაცვის ობიექტის გარეშე არა არსებობს არც ერთი დანაშაული. სხვა საკითხია, რომ ამ ობიექტთა სამართლებრივი ღირებულება განსხვავებულია, მაგრამ ეს კანონმდებლის მიერ უკვე შეფასებულია მისი სისტემური ადგილითა და შესაბამისად დაწესებული სასჯელით. ამდენად, მას სასამართლო მეორედ ვერ მიიღებს მხედველობაში.

რაც შეეხება **დანაშაულის ჩადენის ხერხს,** იგი მთელ რიგ შემთხვევაში მართლაც, შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. მაგალითად, თუ მკვლელობა ჩადენილია მოწამლვით (ან სხვა ვერაგული ხერხით), სასამართლოს ეს ხერხი შეუძლია გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. თუმცა საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუსაბუთებელი ფულადი

სახსრებისათვის კანონიერ სახის მიცემისათვის არ იყო გამოყენებული რაიმე უჩვეულო და მომეტებული საშიშროების მატარებელი ხერხი. პირიქით, გამოყენებული იყო მეტად აპრობირებული და შეიძლება ითქვას, „გაცვეთილი“ ხერხი - შპს-ს ანგარიშზე ფულის გადარიცხვა და შემდგომი ტრანზაქციები. ამიტომაც მოცემული შემთხვევისათვის დანაშაულის ხერხზე და მის შინაარსზე მითითება სრულიად არარელევანტურია.

დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაა ასევე მიჩნეულია ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რადგან:

ჯერ-ერთი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება ჩვეულებრივი ხერხია და იგი სრულებით არაა განსაკუთრებული; **გარდა ამისა**, სხვა დანაშაულებთან ერთად, გამოყენების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნის, შენახვისა და მისი გამოყენებისათვის სს პასუხისმგებლობა დაეკისრა როგორც იურიდიულ პირს, ისე მის პასუხისმგებელ პირს (ზა-ს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ქმედება, გარდა სსკ 194-ე მუხლისა, ცალკე დაკვალიფიცირდა სსკ 362-ე მუხლით. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ამავე ქმედების (რაც აისახა კვალიფიკაციაში) გათვალისწინება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

შემდეგი სახის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს დამდგარ შედეგს (მიღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი).

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღების მიჩნევა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ამ განაჩენის **სერიოზული ხარვეზია**. საქმე ისაა, რომ ეს შედეგი სსკ 194-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი (დამამძიმებელი) გარემოებაა, რაც მოცემულ საქმეში ასახულია როგორც ფიზიკური პირის (ზა-ის), ისე იურიდიული პირის (შპს „ზა-ის“) ქმედების კვალიფიკაციისას.

საქართველოს სსკ 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.

რადგანაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვ-ით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებაა, მისი გათვალისწინება სასჯელის დანიშვნისას დაუშვებელია.

შემდეგი სახის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლო ასევე მიიჩნევს დანაშაულის ჩადენის მოტივს/მიზანს (ანგარება/შემოსავლის მიღება).“

მოცემულ საქმეში არც ამ გარემოების მხედველობაში მიღებაა კანონიერი. საქმე ისაა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (ძირითად შემადგებლობაშიც კი) ანგარების მოტივი და შემოსავლის მიღების მიზანი ისედაც ნაგულისხმევია.

ეს ასე რომ არ იყოს (ანუ მიზანი ან მოტივი მუხლის პირველ ნაწილში რომ არ იგულისხმებოდეს), მაშინ ამ მუხლის დამამძიმებელ გარემოებაში არ იქნებოდა გათვალისწინებული უკანონოდ მიღებული შემოსავლის ოდენობა (დიდი ოდენობა - მე-2 ნაწილით, განსაკუთრებით დიდი ოდენობა მე-3 ნაწილით). მასში დამამძიმებელ გარემოებად, შესაძლოა, გათვალისწინებული ყოფილიყო მხოლოდ შემოსავლის მიღება (ოდენობაზე მითითების გარეშე).

თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი, თუ ქმედება სწორედ ამ დამამძიმებელი გარემოებითაა დაკვალიფიცირებული, ანგარების მოტივისა და შემოსავლის მიღების მიზნის გათვალისწინება სასჯელის დანიშვნისას მაინც დაუშვებელია, გამომდინარე სსკ 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან.

იურიდიული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის სახე.

განსახილველი განაჩენით სასამართლომ შპს „ზა-ი“ მიმართ განსაზღვრა შემდეგი სახის სასჯელი:

სსკ 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ჯარიმა;

სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ ქვ-ით - უვადოდ ჩამოართვა საქმიანობის - ფულად გზავნილების განხორციელების (მიღება/გადარიცხვის) უფლება. ხოლო სსკ 107⁶ მუხლის თანახმად შპს „ზა-ს“ დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა.

საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა (საქმიანობის უფლების ჩამორთმევამ) შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი (ჯარიმა)

და იურიდიულ პირს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადოდ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა.⁶⁸⁴

ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტი ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიცაა, გარკვეული დოზით უნდა შევხვით ამ უკანასკნელთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის საკითხსაც. იგი რამდენადმე განსხვავდება ფიზიკური პირისათვის დაწესებული სასჯელებისაგან.

კერძოდ, იურიდიული პირისთვის კანონმდებლობით დაწესებული სასჯელები ფიზიკური პირისთვის დაწესებული სასჯელებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ სასჯელთა სახეებით, არამედ ასევე იერარქიულად მათი სისტემური დალაგების მიხედვით.

თუკი სსკ მე-40 მუხლში სასჯელის სახეები დალაგებულია ნაკლებად მკაცრიდან (ჯარიმა) უფრო მკაცრისკენ (უვადო თავისუფლების აღკვეთა), სსკ 107³ მუხლში - პირიქით, იურიდიული პირისათვის დაწესებული სასჯელი იწყება ყველაზე მკაცრიდან (ლიკვიდაცია) ნაკლებად მკაცრისკენ (ჯარიმა). მთელ რიგ შემთხვევაში ეს საკითხი ასევეა გადაწყვეტილი სსკ კერძო ნაწილის იმ მუხლებით, სადაც განსაზღვრულია იურიდიული პირისთვის დასანიშნი სასჯელები. მაგალითად, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით (მე-4 ნაწ.), იურიდიული პირისათვის გათვალისწინებული სასჯელები დალაგებულია შემდეგნაირად: ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა.

სასჯელთა იერარქიულ დალაგებას მხოლოდ მორალური დანიშნულება როდი აქვს, იგი სამართლებრივ დატვირთვასაც ატარებს. იგი მიანიშნებს მოსამართლეს, თუ საიტკენ აიღოს თავდაპირველი ორიენტირი სასჯელის დანიშვნისას - ნაკლებად მკაცრისკენ (როცა მისი დანიშვნით შესაძლებელია სასჯელის მიზნის მიღწევა), თუ უფრო მკაცრისკენ.

ამდენად, გამოდის, რომ განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, იურიდიული პირის მიმართ კანონმდებელი უფრო მკაცრ პოლიტიკას ატარებს, რადგან მიანიშნებს მოსამართლეს, რომ თავდაპირველი ორიენტირი უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნისკენ უნდა აიღოს. შესაბამისად, თუ არ იყენებს სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ უფრო მკაცრ სასჯელს, ამის მიზეზი უნდა

⁶⁸⁴ იხ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

დაასაბუთოს განაჩენში (და არა პირიქით, როგორც ამას ადგილი აქვს ფიზიკური პირის მიმართ სასჯელის დანიშვნისას - სსკ სსკ 53-ე ნ, პირგ. ნაწ.).

რაც შეეხება ქონების ჩამორთმევას, იგი ორივე შემთხვევაში (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის მიმართ) მხოლოდ დამატებითი სასჯელია და ამდენად, მისი ადგილი სასჯელთა იერარქიული დალაგების საკითხის გადასაწყვეტაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს - მას ყველა შემთხვევაში ბოლო ადგილი უკავია.

ამ სასჯელთა სახეებიდან ჯარიმა, ისევე როგორც სსკ 40-ე მუხლში, სსკ 107^ბ მუხლშიც გათვალისწინებულია როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

სწორედ აქედან გამომდინარე, სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლებში იურიდიული პირისათვის გათვალისწინებული ჯარიმის საკითხი, გარკვეულწილად ბუნდოვანია.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: სსკ კერძო ნაწილის იმ მუხლებში, სადაც გათვალისწინებულია იურიდიული პირის სს პასუხისმგებლობა, ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, ჯარიმა ძირითად სასჯელადაა დადგენილი, თუ დამატებითად.

ასე მაგალითად, ჩვენს მიერ განსახილველ 194-ე მუხლში, იურიდიული პირი ისჯება: ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

ისმის კითხვა: ჯარიმა აქ ძირითადი სასჯელია, თუ დამატებითი?

რამდენადაა შესაძლებელი, იგი იყოს ძირითადი სასჯელი?

თუკი მას ძირითად სასჯელად ჩავთვლით, მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამდენად გამართლებულია ის, რომ იგი კუმულაციურად (კავშირით „და“ და არა კავშირით „ან“) დაკავშირებულია ისეთ ძირითად სასჯელთან როგორცაა საქმიანობის უფლების ჩამორთმევა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ჯარიმას ამ მუხლში ძირითად სასჯელად ჩავთვლით, გამოვა, რომ იურიდიული პირის მიმართ შესაძლებელი ყოფილა ერთი დანაშაულისთვის, ერთდროულად ერთზე მეტი ძირითადი სასჯელის დანიშვნა - როგორც საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, ისე ჯარიმის სახით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ სსკ 107^ბ მუხლში (ისევე როგორც სსკ ზოგადი ნაწილის შესაბამისი თავის სხვა მუხლებში, რომლებიც ეხება იურიდიული პირის სასჯელის საკითხს), პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არაფერია ნათქვამი იმაზე, შესაძლებელია თუ არა იურიდიულ პირს დაენიშნოს ერთზე მეტი ძირითადი სასჯელი.

ეს საკითხი არაპირდაპირ დაფიქსირებულია მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ სასჯელის მომწესრიგებელ ნორმებში.

კერძოდ, იქ ნათქვამია: ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.⁶⁸⁵ ამით არაპირდაპირ ნათქვამია, რომ **ერთდროულად შეუძლებელია** რამდენიმე ძირითადი სასჯელის დანიშვნა. შესაბამისად, კანონმდებელს არა აქვს უფლება, სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ფიზიკური პირის მიმართ გათვალისწინებული ორი ძირითადი სასჯელი კუმულაციურად (კავშირით „და“) დააკავშიროს ერთმანეთს და ამით დაავალდებულოს მოსამართლე, ერთდროულად დანიშნოს ორივე მათგანი.

მაგრამ როგორ გადავწყვიტოთ ეს საკითხი იურიდიული პირის მიმართ?

ვინაიდან საქართველოს სს კოდექსი ერთიან სამართლებრივ პრინციპებზეა დაფუძნებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იურიდიული პირის მიმართაც დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ძირითადი სასჯელის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, სსკ 194-ე მუხლის სანქციაში დაფიქსირებული ჯარიმა დამატებითი სასჯელია და არა ძირითადი.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მეტყველებს სსკ კერძო ნაწილის სხვა მუხლებში იურიდიული პირისათვის დაწესებული სანქციებიც. კერძოდ, სსკ 362-ე მუხლით (რომლისთვისაც განსახილველი განაჩენით სს პასუხისმგებლობა დაეკისრა შპს-ს), იურიდიული პირისათვის გათვალისწინებული სასჯელებია: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა.⁶⁸⁶

როგორც ვხედავთ, სასჯელის სახე ჯარიმა აქ ორჯერაა დაფიქსირებული, რითაც ხაზგასმულია, რომ იგი იურიდიულ პირთან მიმართებაში წარმოადგენს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელს (სხვა საკითხია, თუ რამდენად იყო აუცილებელი ამისათვის ჯარიმის ორჯერ დაფიქსირება).

შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, სადაც ძირითად სასჯელად არაა მითითებული ჯარიმა, შეუძლებელია, იგი ძირითად სასჯელად იქნეს

⁶⁸⁵ იხ. სსკ 41¹ მუხლის მე-2¹ ნაწილი

⁶⁸⁶ იხ. სსკ 362-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი.

დანიშნულ (თუ არ არსებობს სსკ 55-ე მუხლის გამოყენების საფუძველი),⁶⁸⁷ იგი უნდა დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

აქვე სხვა პრობლემაც იჩენს თავს. კერძოდ, გასარკვევია:

ა) როცა იურიდიულ პირს ძირითად სასჯელად დაენიშნება არა ჯარიმა, არამედ სხვა სახის სასჯელი (მაგ., საქმიანობის უფლების ჩამორთმევა), რომელთანაც ჯარიმა დაკავშირებულია კავშირით „და“, დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნა სასამართლოს უფლებაა, თუ ვალდებულება?

ბ) ჯარიმა დამატებით სასჯელად ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია ის სასჯელი, რომელთანაც ჯარიმა დაკავშირებულია კავშირით „და“, თუ იმ შემთხვევაშიც, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია სხვა სახის სასჯელი (რომელთანაც ჯარიმა არაა დაკავშირებული კავშირით „და“)?

განვიხილოთ პირველი საკითხი.

საერთოდ, საკითხი: დანიშნოს თუ არა სასამართლომ ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელიც, სასამართლოს გადასაწყვეტია. თუმცა როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება ფიზიკური პირის მიმართ დასანიშნ სასჯელს. კერძოდ, სსკ კერძო ნაწილის მუხლებში, სადაც გათვალისწინებულია ფიზიკური პირის მიმართ გამოსაყენებელი სხვადასხვა სასჯელი, მუხლის სანქციაში ისინი უბრალოდ ჩამოთვლია მსუბუქიდან უფრო მძიმისკენ დალაგებული ირერარქიის მიხედვით. ამასთან, არც ერთი მათგანი არასოდეს არაა დაკავშირებული კავშირით „და“. მათ შორის შეიძლება იყოს ისეთიც, რაც მიეკუთვნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელს (მაგალითად, ჯარიმა). **უფრო მეტიც,** მათ შორის შეიძლება იყოს ისეთიც, რაც მიეკუთვნება მხოლოდ დამატებით სასჯელს (ქონების ჩამორთმევა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა).

ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკურ პირთან მიმართებაში კანონმდებელი არ ავალდებულებს მოსამართლეს, ძირითად სასჯელთან ერთად აუცილებლად დანიშნოს დამატებითი სასჯელიც - აღნიშნული საკითხი მოსამართლის გადასაწყვეტია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მუხლში ჩამოთვლილ იმ სასჯელთაგან, რომელიც მიეკუთვნება სასჯელის როგორც ძირითად, ისე დამატებით სახეს (მაგ.,

⁶⁸⁷ სსკ 55-ე მუხლის არსზე და მისი გამოყენების საფუძველზე იხ. ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2019, გვ. 599-600.

ჯარიმა), მოსამართლის გადასაწყვეტია, როდის გამოიყენებს იგი მას ძირითად სასჯელად და როდის დამატებითად (სხვა საკითხია, რომ დამატებით სასჯელად ჯარიმის გამოყენება იმ შემთხვევაშიც შეიძლება, როცა იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის, გარდა ამ კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა).⁶⁸⁸

სხვაგვარადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი იურიდიული პირის მიმართ. კერძოდ, მის მიმართ ჯარიმის სახით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის დანიშვნა მოსამართლის გადასაწყვეტი არაა - იგი ვალდებულია ძირითად სასჯელთან ერთად აუცილებლად დანიშნოს ეს დამატებითი სასჯელი (ჯარიმა).

ასეთი დასკვნის საფუძველია ის ფაქტი, რომ სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, იურიდიული პირისათვის დაწესებულ ძირითად სასჯელთან დაკავშირებულია არა სასვენი ნიშნით (მძიმით), ანდა კავშირით „ან“ (როგორც ამას ადგილი აქვს ფიზიკურ პირთან მიმართებაში), არამედ კავშირით „და“.

გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით იურიდიული პირისათვის ჯარიმა გათვალისწინებულია როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამ დროს, თუკი სასამართლო ჯარიმას გამოიყენებს ძირითად სასჯელად, მას არა აქვს უფლება, იგი ასევე დამატებით სასჯელადაც გამოიყენოს (სსკ 107⁶ მ. მე-4 ნაწ.).

კანონმდებლის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა (როცა ძირითად სასჯელთან ერთად აუცილებლად უნდა დანიშნოს ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით) მრავალ კითხვას ბადებს და სამართლიანობის თვალსაზრისით ერთობ საეჭვოა.

ამდენად, საინტერესოა, განსახილველ განაჩენში თუ როგორ მიუდგა სასამართლო იურიდიული პირის მიმართ დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნის საკითხს?

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ შპს „ზა-ი“ მიმართ განსაზღვრა შემდეგი სახის სასჯელი:

სსკ 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ჯარიმა;

⁶⁸⁸ იხ. სსკ 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწ. “გ“ ქვ-ით - მას უვადოდ ჩამოართვა საქმიანობის - ფულად გზავნილების განხორციელების (მიღება/გადარიცხვის) უფლება. ამასთან, სსკ 107⁶ მუხლის თანახმად, შპს „ზა-ს“ დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა.

საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა (საქმიანობის უფლების ჩამორთმევამ) შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი (ჯარიმა) და იურიდიულ პირს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საქმიანობის უფლების ჩამორთმევა უვადოდ, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა.

დასაწყისში განვიხილოთ სსკ 362-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

ამ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი ისჯება: ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

როგორც ვხედავთ, ჯარიმა აქ ორჯერაა ნახსენები. აქედან თავდაპირველად ნახსენები ჯარიმა ერთ-ერთი ალტერნატიული ძირითადი სასჯელია, ხოლო ბოლოს გათვალისწინებული ჯარიმა - დამატებითი სასჯელია.

შესაბამისად, რადგანაც სასამართლომ ძირითად სასჯელად იურიდიულ პირს განუსაზღვრა არა სხვა სახის სასჯელი (მაგ., საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ამ ლიკვიდაცია), არამედ ჯარიმა, სსკ 107⁶ მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, იგი იმავე სახის სასჯელს (ჯარიმას) დამატებით სასჯელად ვერ დანიშნავდა.

სულ სხვაგვარად გადაწყდებოდა საკითხი, სასამართლოს იურიდიული პირისათვის სსკ 362-ე მუხლით ძირითად სასჯელად სხვა სახის სასჯელი (მაგ., ლიკვიდაცია) რომ განესაზღვრა. მას ამ დროს დამატებითი სასჯელის სახით აუცილებლად უნდა დაენიშნა ჯარიმა, რადგან იგი ამ ძირითად სასჯელთან (ლიკვიდაციასთან) დაკავშირებულია კავშირით „და“.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებელი არა მხოლოდ მაშინ ავალდებულებს სასამართლოს დამატებით სასჯელად დანიშნოს ჯარიმა, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, არამედ, რიგ შემთხვევაში, მაშინაც, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია ლიკვიდაცია. გამოდის, რომ როცა სასამართლო გამოიყენებს ამ სახის სასჯელს, იურიდიული პირის ლიკვიდაციაც უნდა მოხდეს და ამავე დროს, მან ჯარიმაც უნდა გადაიხადოს.

ეს ის შემთხვევაა, როცა მუხლის სანქციაში იურიდიული პირის მიმართ ერთ-ერთ ძირითად სასჯელად გათვალისწინებულია ლიკვიდაცია და სწორედ ეს სასჯელია დაკავშირებული ჯარიმასთან კავშირით „და“.

ეს საკითხი ასევეა გადაწყვეტილი სსკ სხვა მუხლებთან მიმართებაშიც (მაგ., სსკ 195¹ მუხლით-სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევა).

ამჯერად განვიხილოთ სსკ 194-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით, იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

სასამართლომ იურიდიულ პირს ძირითად სასჯელად უვადოდ ჩამოართვა საქმიანობის - ფულად გზავნილების განხორციელების (მიღება/გადარიცხვის) უფლება. ხოლო სსკ 107⁶ მუხლის თანახმად შპს „ზა-ს“ დამატებით სასჯელად განუსაზღვრა ჯარიმა.

როგორც ვხედავთ, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დანიშნა ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით, რადგან კანონმდებელი მის დანიშვნას აუცილებლად (იმპერატიულად) მოითხოვს ძირითად სასჯელთან ერთად.

ამჟამად პასუხი უნდა გაეცეს ზემოთ დასმულ მეორე კითხვას: ჯარიმა დამატებით სასჯელად ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია ის სასჯელი, რომელთანაც ჯარიმა დაკავშირებულია კავშირით „და“, თუ იმ შემთხვევაშიც, როცა დანიშნულია სხვა სახის ძირითადი სასჯელი, რომელთანაც ჯარიმა არაა დაკავშირებული კავშირით „და“?

განვიხილოთ ეს საკითხი სსკ 194-ე მუხლით იურიდიული პირის მიმართ დაწესებულ სანქციასთან დაკავშირებით.

როგორც აღინიშნა, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

ამკარაა, რომ ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, „და“ კავშირითაა მიბმული საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან და არა ლიკვიდაციასთან. **ამდენად, ისმის კითხვა:** თუ სასამართლო იურიდიული პირის მიმართ სსკ 194-ე მუხლის საფუძველზე ძირითად სასჯელად დანიშნავს ლიკვიდაციას, დამატებით სასჯელად უნდა დაინიშნოს თუ არა ჯარიმა? (იგივე კითხვა ისმის სხვა შემთხვევაშიც, როცა ჯარიმა

„და“ კავშირით მიბმულია არა საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან, არამედ ლიკვიდაციასთან. მაგ., სსკ 195¹ მ. შენიშვნა).

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. შესაბამისად, იგი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, პასუხგაუცემელია კითხვა: თუკი სსკ 194-ე მუხლთან მიმართებაში, იურიდიული პირის მიმართ ჯარიმა აუცილებლად უნდა დაინიშნოს, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რატომ არ უნდა დაინიშნოს იგი იმ შემთხვევაში, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია ლიკვიდაცია?

იგივე კითხვა უფრო დიდი სიმძაფრით დაისმევა სსკ 195¹ მუხლთან მიმართებაში: თუკი ძირითადი სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნისას დამატებით სასჯელად აუცილებლად უნდა დაინიშნოს ჯარიმა, რატომ არ უნდა დაინიშნოს იგი დამატებით სასჯელად მაშინ, როცა ძირითად სასჯელად დანიშნულია საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?

როგორც ვხედავთ, იურიდიულ პირებთან დაკავშირებით დაწესებული სასჯელები ისეა რედაქტირებული, რომ იგი სასამართლო პრაქტიკას აძლევს დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნის საკითხის არაერთგვაროვნად გაგების შესაძლებლობას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სსკ შესაბამისი მუხლის სანქციები იურიდიულ პირთან მიმართებაში რედაქციულად უნდა დაიხვეწოს.

კერძოდ, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით, ჯარიმით ან უამისოდ, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ჯარიმით ან უამისად.

ამგვარი რედაქციით ნათელი გახდება, რომ დამატებით სასჯელად ჯარიმის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ალტერნატიულ ძირითად სასჯელთან ერთად. ამასთან, მისი გამოყენება არაა სავალდებულო, იგი სასამართლოს გადასაწყვეტია.

6. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან

რა შეფასება უნდა მიეცეს ქმედებას, როცა ადგილი აქვს უკანონო (ან დაუსაბუთებელი) შემოსავლის გასაღებას კეთილსინდისიერ შემძენზე? თუ შეიძლება იგი დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია?

განვიხილოთ ეს საკითხი შემდეგ მაგალითზე:

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, როცა დაუსაბუთებელი ქონების (ნივთის) რეალიზაცია კეთილსინდისიერ პირზე ჩაითვალა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ გზად (ხერხად).

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 13 ივლისის განაჩენით რ. ფ. ბრალეულად ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ე.ი. დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში მისი დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ. (ორი ეპიზოდი).⁶⁸⁹

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი:

რ. ფ-მ დააფუძნა რამდენიმე შპს, ზოგი საკუთარი სახელით, ერთი მათგანი მამის სახელით, ხოლო რამდენიმე სხვადასხვა პირის სახელით, რომელთა ფაქტობრივ მართვას თავად ახორციელებდა.

მის მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, იგი შპს „ო“-ს, შპს „გ“-ს სახელით, გამოყენების მიზნით ამზადებდა და იყენებდა ყალბ სასაქონლო ზედნადეგებს დაუსაბუთებელი ხის მასალის თითქოსდა მის მიერვე შექმნილ შპს-ებზე მიყიდვის თაობაზე.

იგი ასევე შპს-ს სახელით ყალბი დოკუმენტის საფუძველზე სხვადასხვა საწარმოზე რეალურად ყიდდა დაუსაბუთებელ ხის მასალას, რითაც ნიღბავდა დაუსაბუთებელი ქონების წარმოშობას.⁶⁹⁰

განაჩენში მითითებულია იმ სასაქონლო ზედნადეგების ნომრები, რაც მიჩნეულია, როგორც ყალბად დამზადებული.

განაჩენის გაცნობით იზადება რამდენიმე საკვანძო კითხვა:

1. რით დასტურდება, რომ განაჩენში ჩამოთვლილი შპს-ები თავად ბრალდებულ რ. ფ-ს მიერ იყო დაფუძნებული სხვადასხვა პირის სახელით?
2. რით დასტურდება, რომ შედგენილი ზედნადეგები იყო ყალბი?
3. რით დასტურდება, რომ გაყიდული ხის მასალის კანონიერი წარმომავლობა იყო დაუსაბუთებელი?

⁶⁸⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის ეს განაჩენი მოგვეწოდა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომრის მითითება შეუძლებელია.

⁶⁹⁰ შეად. აღნიშნული განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილს.

4. რით დასტურდება, რომ რიგ შემთხვევაში შპს-ებზე ხის მასალის მიყიდვა ხორციელდებოდა ფიქტიურად, სინამდვილეში კი ისინი კვლავ რ. ფ-ს უკანონო საკუთრებაში რჩებოდა?

5. როცა ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციაზე ხის მასალის არა ფიქტიურ, არამედ რეალურ მიყიდვას, რამდენად შესაძლებელია, ასეთი ქმედება შეფასება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად?

ზემოთ დასმულ კითხვებთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანზე (მე-5 კითხვაზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ) განაჩენში საერთოდ არაა რაიმე სახის დასაბუთება. იქ უბრალოდ ნათქვამია, რომ რ. ფ-მ თავად შექმნა ყველა შპს და ახორციელებდა მათ ფაქტობრივ მართვას; ასევე ნათქვამია, რომ მას ზედნადებებში შეჰქონდა ყალბი მონაცემები და იყენებდა მას დაუსაბუთებელი ხის მასალის გასაყიდად; აგრეთვე ნათქვამია, რომ რიგ შემთხვევაში ეს გაყიდვა ხორციელდებოდა მოჩვენებითად („თითქოსდა მიყიდვა“), რიგ შემთხვევაში კი იგი რეალურად ხორციელდებოდა კეთილსინდისიერ შემძენზე.

ერთადერთი მტკიცებულება, რაც განაჩენში ფიქსირდება ბრალდების სასარგებლოდ, არის ის, რომ შპს-ებს - „გ“-ს, „მ“-ს და „რ“-ს, რომლებსაც თავად არ უფიქსირდებათ ხის მასალის შეძენა, სხვადასხვა ორგანიზაციებზე მიწოდებულად აქვთ ნაჩვენები გარკვეული ოდენობის ხის მასალა.

ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა: საიდან მოიტანეს მათ ეს ხის მასალა, რისი შეძენაც თავად არ უფიქსირდებათ? რატომ არა აქვთ დაფიქსირებული ამ მასალის შეძენა? ამდენად, ეს ფაქტი მართლაც მეტყველებს იმაზე, რომ ხის მასალის კანონიერი წარმომავლობა დაუსაბუთებელია.

თუმცა პრობლემის მთელი არსი იმაშია, რომ ყოველგვარი დაუსაბუთებელი ქონების რეალიზაცია (გაყიდვა) როდი უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად. იგი ასეთად რომ ჩაითვალოს, საქმის მასალებით დამტკიცებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რ. ფ. ახდენდა ამ დაუსაბუთებელი ქონების ფიქტიურ მიყიდვას ცრუმაგიერ პირებზე (ამ შემთხვევაში ფორმალურად სხვისი სახელით შექმნილ შპს-ებზე, რომლებსაც ფაქტობრივად თავად მართავდა). ეს კი განაჩენით საერთოდ არაა დასაბუთებული. მასში მხოლოდ ისაა დასაბუთებული, რომ რ. ფ-მ მოახდინა ხის მასალების გაყიდვა იურიდიულ პირებზე.

შესაბამისად, არაა დასაბუთებული, რომ ეს მასალა კვლავ მის (რ. ფ-ს) ფაქტობრივ საკუთრებაში რჩებოდა და გაყიდვა მხოლოდ მისი კანონიერი წარმომავლობის დაუსაბუთებლობის შენიღბვას ემსახურებოდა. ამის დასაბუთება კი აუცილებელია ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საქმე ისაა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სწორედ რომ მიზნით განსხვავდება ისეთი მომიჯნავე დანაშაულებისაგან, როგორცაა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (186-ე მ.), ასევე დანაშაულის დაფარვა (375-ე მ.).

ამჯერად პასუხი უნდა გაეცეს მე-5 კითხვას:

როცა ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციაზე ხის მასალის არა ფიქტიურ, არამედ რეალურ მიყიდვას, რამდენად შესაძლებელია, ასეთი ქმედება შეფასება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად?

ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება, რადგან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სახეზეა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი - დაუსაბუთებელი ქონება. შესაბამისად, დასმული კითხვა უფრო მეტად უნდა დაკონკრეტდეს:

როცა ადგილი აქვს დაუსაბუთებელი ქონების მიყიდვას კეთილსინდისიერ მფლობელზე, თუ ჩაითვლება ეს ქმედება უკანონო (კერძოდ, დაუსაბუთებელი) ქონების ლეგალიზაციად?

დასმულ კითხვას შეიძლება პასუხი გაეცეს ორ ვარიანტში:

1. ასეთი კვალიფიკაცია შესაძლებელია;
2. ასეთი კვალიფიკაცია შეუძლებელია.

როდისაა იგი შესაძლებელი?

საერთოდ, დაუსაბუთებელი ქონების რეალური მიყიდვა სხვა პირზე შესაძლებელია, მიმართული იყოს ამ ქონების ლეგალიზაციისაკენ იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება გაყიდული ქონებისათვის „ჭუჭყის ჩამორეცხვა“. მაგალითად, დაუსაბუთებელი ქონება იყიდება სხვა პირზე, რომელმაც თავის მხრივ, იგი უნდა გაასხვისოს სხვაზე (ან გაცვალოს სხვა ნივთში). შემდეგ მრავალგზის განხორციელებული ქმედებებით (მაგ., მისი გადატანით ლიბერალური ფისკალური პოლიტიკის მქონე ქვეყანაში, ან მისი დაქსაქსვით) „არიოს კვალი“, რათა საბოლოოდ „გათეთრებული“ ქონება უკან დაუბრუნდეს თავდაპირველ მფლობელს (ამ შემთხვევაში რ. ფ-ს). მან კი ეს

„გათეთრებული“ ქონება თავისუფლად გამოიყენოს სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობათვის (ან სხვა მიზნით).

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ქმედების კვალიფიკაცია სსკ 194-ე მუხლით მაშინაა შესაძლებელი, თუ პირის მიზანია, ქონების რეალიზაციით „გათეთროს“ დაუსაბუთებელი ქონება.

თუმცა საქმეც ისაა, რომ მოცემულ მაგალითში რ. ფ-ს მიერ ჩადენილ ამ ქმედებას (ხის მასალის მიყიდვას კეთილსინდისიერ პირებზე) ვერ მივცემთ ამგვარ შეფასებას, რადგან:

ა) საქმის მასალებით არაა დადასტურებული, რომ როცა კეთილსინდისიერ პირებზე მოახდინა ხის მასალების რეალიზაცია, რ. ფ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, ქმედებათა „სერილების“ გაგრძელება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით სხვა პირების დახმარებით. უფრო მეტიც, განაჩენში ეს საკითხი გაჟღერებულიც კი არაა;

ბ) ასეთი რამ საქმეში დადგენილი რომ იყოს, მაშინ ის პირები, რომელმაც რეალურად შეიძინეს ხის მასალა, არ ჩაითვლებოდნენ კეთილსინდისიერ შემძენებად, რადგან ისინი გამოვიდოდნენ დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციის პროცესში ჩართულ პირებად.

როდისაა ასეთი კვალიფიკაცია შეუძლებელი?

ასეთი კვალიფიკაცია შეუძლებელია მაშინ, როცა დაუსაბუთებელი (ან უკანონო) ქონების გაყიდვით, პირის მიზანია არა ქონების „გათეთრება“ (შემდგომში მისი ეკონომიკაში თავისუფლად ინტეგრირებისთვის), არამედ მისი მიზანია ამ ნივთის რეალიზაციით სარგებლის მიღება.

განსახილველ შემთხვევაში, რ. ფ-მ გაასხვისა რა დაუსაბუთებელი ხის მასალა კეთილსინდისიერ პირებზე, ამით მან მიიღო ფულადი სარგებელი.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია კეთილსინდისიერ პირებზე დაუსაბუთებელი ქონების მიყიდვა ჩაითვალოს უკანონო (დაუსაბუთებელი) შემოსავლის ლეგალიზაციად. საქმე ისაა, რომ ასეთი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ასევე ექვემდებარება სამართლებრივ დასაბუთებას, რისთვისაც არ გამოდგება დაუსაბუთებელი ქონების მიმართ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

განსახილველ განაჩენში სხვა სახის უზუსტობასაც აქვს ადგილი. კერძოდ, გაკეთებულია დასკვნა, რომ რ. ფ-მ დაუსაბუთებელი ქონების კეთილსინდისიერ პირებზე რეალიზაციით, განახორციელა ხის მასალაზე საკუთრების უფლების დამალვა-შენიღბვა.⁶⁹¹

ისმის კითხვა: სხვა პირზე დაუსაბუთებელი ქონების მიყიდვით თუ არის შესაძლებელი მასზე საკუთრების უფლების დამალვა-შენიღბვა?

ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ქონების გასხვისება ატარებს ფიქტიურ ხასიათს. მაგალითად, როცა ქონების რეალიზაცია ხდება ცრუმაგიერ პირზე, ან სანდო პირზე (დამნაშავესთან დაკავშირებულ პირზე), რომელმაც იცის, რომ ნასყიდობის (ან ჩუქების) ხელშეკრულება მოჩვენებითია და ნივთის ფაქტობრივ მესაკუთრედ კვლავ რეალიზატორი რჩება. შესაბამისად, ქონების რეალიზაციით მხოლოდ ინიღბება ნივთის ფაქტობრივი მესაკუთრე - მესაკუთრედ ფორმალურად სხვა პირი ფიქსირდება.

თუმცა ასეთი რამ შეუძლებელია მაშინ, როცა ადგილი აქვს დაუსაბუთებელი (ან უკანონო) ქონების რეალურ გასხვისებას კეთილსინდისიერ პირზე. ამ დროს პირი ვერ დამალავს ქონებაზე საკუთრების უფლებას (ამისი სურვილიც რომ ჰქონდეს).

საქმე ისაა, რომ რეალურად გასხვისებული ქონება უკვე არაა მის საკუთრებაში არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც. ქონების მესაკუთრე სხვა პირი ხდება როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით.

ამდენად, ადგილი არა აქვს ქონებაზე საკუთრების უფლების დამალვა-შენიღბვას, არამედ ადგილი აქვს ახალ მესაკუთრეზე ნივთის გადასვლას. შესაბამისად, იცვლება ნივთის მესაკუთრე, მაგრამ არ იმალება და არ ინიღბება არც ნივთის მესაკუთრე და არც საკუთრების უფლება ამ ნივთზე.

7. მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან

როგორ უნდა შეფასდეს ქმედება, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას წინ უძღვის საწარმოს ფიქტიურად შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე?

ზოგჯერ პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევას, როცა პირი ფიქტიურად ქმნის საწარმოს იმ მიზნით, რათა უკანონოდ დაეუფლოს სხვის ქონებას

⁶⁹¹ იხ. განაჩენის მტკიცებულებათა ერთობლიობა და სამართლებრივი შეფასების ნაწილი.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შემდეგ კი მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული ქონების ლეგალიზაცია.

საინტერესოა, მოიცავს თუ არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ანდა თუნდაც წინარე, ძირითადი დანაშაული) თავისთავში ცრუ მეწარმეობას (სსკ 193-ე მ.), თუ საჭიროა ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით?

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, სადაც ბრალდებულის სახით ფიგურირებდა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კერძოდ, ფიზიკურ პირს ბრალად ედებოდა თაღლითობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ხოლო იურიდიულ პირს (შპს-ს) - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.⁶⁹²

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: რუსეთის მოქალაქე ს. კ-მ განიზრახა საქართველოში დაფუძნებული შპს-ს საბანკო ანგარიშების გამოყენებით არარეზიდენტი პირების ფულადი სახსრების დიდი ოდენობით მოტყუებით დაუფლება და შემდგომში მათთვის კანონიერი სახის მიცემა. ამ მიზნით მან 2017 წლის 5 სექტემბერს დაარსა შპს, რომლის დირექტორს და 100 პროცენტის წილის მფლობელს წარმოადგენდა თავად. რეალურად საწარმოს შექმნა ატარებდა ფიქტიურ ხასიათს და მიმართული იყო დიდი ოდენობით სხვისი ფულადი სახსრების თაღლითურად დაუფლებისკენ და შემდგომში მისთვის კანონიერი სახის მიცემისკენ.⁶⁹³

როგორც ვხედავთ, შპს-ს გახსნა ემსახურებოდა როგორც წინარე (ძირითადი) დანაშაულის (თაღლითობის) ჩადენას, ისე ამ გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციას (ანუ აკრძალული საქმიანობის დაფარვას).

წინასწარ შემუშავებული საქმის თანახმად, ს. კ-მ ერთ - ერთ ბანკში სხვადასხვა ვალუტაში გახსნა მის მიერ დაარსებული შპს-ს საბანკო ანგარიშები და მისი კომპანია დაარეგისტრირა ამ ბანკის მომხმარებლად. 2017 წლის 30 ოქტომბერს ამ შპს-ს ანგარიშზე არარეზიდენტი მოქალაქის ს.დ-ს მიერ აშშ ბანკიდან ჩაერიცხა 999 940 აშშ დოლარი თითქოს საკონტრაქტო დანიშნულებით. თანხის ჩარიცხვას წინ უძღოდა ამ

⁶⁹² 2019 წლის 30 აგვისტოს გამოტანილი განაჩენის საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ, რადგან განაჩენის ასლი გადმოგვეზავნა დაშიფრული სახით.

⁶⁹³ იხ. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი.

არარეზიდენტი მოქალაქის (ს. დ-ს) მიმართ ბრალდებულ ს. კ-სა და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირების მიერ ჰაკერული გზით განხორციელებული თაღლითობა. აღნიშნული თანხა, ს. კ-მ მის იერ დაფუძნებული შპს-ს მეშვეობით, უმოკლეს დროში დაანაწევრა 3 ტრანზაქციად და გადარიცხა ჰონ-კონგში მდებარე ერთ-ერთ ბანკში კომპანია W-ს სახელზე გახსნილ ანგარიშზე, თითქოს საკონტრაქტო დანიშნულებით. 2018 წლის 26 იანვარს, ამავე სქემის გამოყენებით აღნიშნულმა პირმა და შპს-მ, ამჟამად სხვა მოქალაქისგან (ლ. ზ-სგან) მოტყუებით (თითქოს საკონტრაქტო დანიშნულებით) მიიღო 242 300 აშშ დოლარი, რომელიც უმოკლეს დროში ასევე დაანაწევრა და გადარიცხა ჰონ-კონგში მდებარე იგივე ფირმის სახელზე გახსნილ ანგარიშზე, როგორც თითქოს საკონტრაქტო დანიშნულების თანხა.

ჩადენილი ქმედება იურიდიული პირის მიმართ დაკვალიფიცირდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.), ხოლო ფიზიკური პირის (ვ. მ-ს) მიმართ დაკვალიფიცირდა დიდი ოდენობით ჩადენილ თაღლითობად (სსკ 180-ე მ. მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 194-ე მ. მე-3 ნაწ. „გ“ ქვ.).⁶⁹⁴ სასამართლომ ცალსახად დადგენილად ჩათვალა, რომ ს. კ-ს მის მიერ დაფუძნებული კომპანია შპს „კ-ს“ მეშვეობით ახდენდა თაღლითურად მოპოვებული და დაუსაბუთებელი ფულადი თანხების საქართველოში გადმორიცხვას, დანაწევრებას და სასურველ ანგარიშზე ჩინეთში გადარიცხვას.⁶⁹⁵

რაც შეეხება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის ჩადენას, საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია ის ფაქტი, რომ ბრალდებული წინასწარ შეკავშირდა კონკრეტულ პირებთან და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო თანმიმდევრული მოქმედებები, ცხადია, მათთვის ცნობილი იყო ქმედების მიზანი - მოტყუებით თანხების მიღება.⁶⁹⁶

⁶⁹⁴ იხ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

⁶⁹⁵ იხ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

⁶⁹⁶ იხ. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მოქალაქე ს. კ-მ იმ პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან იდენტიფიცირებულნი, დაიწყო მოქმედება თაღლითობის ჩასადენად და შეძლო არარეზიდენტ პირთა ქონების მოტყუებით დაუფლება.

ამდენად, სხვა პირები, გარდა ერთისა, არ იყო იდენტიფიცირებული. ასეთ შემთხვევაში, ისმის კითხვა: რამდენადაა შესაძლებელი ეს ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად (ამ შემთხვევაში წინასწარ შთანხმებით ჯგუფურად)?

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, არ შეიძლება ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად, რადგან მხოლოდ ერთი ამსრულებლის პიროვნებაა იდენტიფიცირებული და ამდენად, არავინ უწყის, იყვნენ თუ არა სხვა პირებიც ბრალუნარიანნი და შესაბამის ასაკს მიღწეულნი.⁶⁹⁷

ამასთან, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთაგან ერთ-ერთს შეიძლება მივაკუთვნოთ განსახილველი შემთხვევა. კერძოდ, თუ საქმის მასალებით დადგენილია ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რაც უდავოდ ადასტურებს პირის შესაბამის ასაკს და მის ნორმალურ ფსიქიკურ მდგომარეობას.⁶⁹⁸

თუკი სადავოდ არ გავხდით იმას, რომ მოცემულ საქმეში გარდა ს. კ-ისა, თაღლითობის ეპიზოდებში უშუალოდ მონაწილეობდა რამდენიმე დაუდგენელი პირი, რომლებიც ერთობლივად ახორციელებდნენ თანმიმდევრულ ქმედებებს, აშკარაა, რომ ისინი იქნებოდნენ შესაბამის ასაკს მიღწეულნიც და ბრალუნარიანნიც, რადგან: ა) 14 წელს მიუღწეველი პირი საწარმოს (შპს-ს) სახელითა და მეშვეობით ვერ ჩაიდენდა თაღლითობას, იგი მიღწეული უნდა ყოფილიყო სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის ასაკს; ბ) რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ ისინი შპს-ს დამფუძნებელთან ერთად ახორციელებდნენ თანმიმდევრულ ქმედებას არარეზიდენტი პირების მოტყუების მიზნით, მიუთითებს იმაზე, რომ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ საქმეში, რაც თავისთავად მოითხოვს

⁶⁹⁷ იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., თბ. 2019, გვ. 470-474; თოდუა ნ., წიგნში: ი. აქუბარდიას საიუბილეო კრებული - 60, რედ. ივანიძე მ., თბ. 2020, გვ. 24-52; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კომენტარი (დანაშაული), რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 695-697.

⁶⁹⁸ ამ გამონაკლისების შესახებ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 476-477; თოდუა ნ., წიგნში: ი. აქუბარდიას საიუბილეო კრებული - 60, რედ. მ. ივანიძე, თბ. 2020, გვ. 51-52; თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართალი, კომენტარი (დანაშაული), რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021, გვ. 697.

გარკვეულ ასაკს და ნორმალურ ფსიქიკურ მდგომარეობას. სამწუხაროდ, განსახილველ განაჩენში არაა ამ მიმართებით რაიმე სახის მსჯელობა.

ყურადღებას იპყრობს იურიდიული პირის მიმართ დანიშნული სასჯელი იმ თვალსაზრისით, რომ მას დაენიშნა ლიკვიდაცია, რაც საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევაა. ასეთი სასჯელი განაჩენით სამართლიანადაა დასაბუთებული შემდეგი არგუმენტით: გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილი იქნა არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენა, არამედ ის ფაქტი, რომ სწორედ დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენდა აღნიშნული იურიდიული პირის შექმნის და საქმიანობის მიზანს.

როგორც ვხედავთ, ეს მაგალითი იმითაცაა განსაკუთრებული, რომ ამ იურიდიული პირის საქმიანობაში გარდა დანაშაულებრივისა, ადგილი არ ჰქონია კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას, რის გამოც მისი ლიკვიდაცია სამართლიან სასჯელად უნდა ჩაითვალოს.⁶⁹⁹

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ ფიზიკური პირის ქმედება თაღლითობის ნაწილში დაკვალიფიცირებულია მხოლოდ ერთი დამამძიმებელი გარემოებით (დიდი ოდენობით), ამასთან, განაჩენში არაა მითითება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობაზე მაშინ, როცა განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ამ თაღლითობას წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად მიიჩნევს. შესაბამისად, ეს განაჩენი ამ ნაწილში ურთიერეთგამომრიცხველია.

მივუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ კითხვას: თუ მოიცავს თაღლითობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სსკ 193-ე მუხლს - ცრუ მეწარმეობას, როგორც გამიზვნით დელიქტს, სადაც ერთ-ერთ მიზანს სწორედ აკრძალული საქმიანობის დაფარვა წარმოადგენს?⁷⁰⁰ განსახილველ განაჩენში ქმედება დამატებით არაა დაკვალიფიცირებული სსკ 193-ე მუხლით.

ამგვარი სასამართლო პრაქტიკა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან: ა) მოცემულ შემთხვევასთან მიმართებაში ცრუ მეწარმეობა წარმოადგენს თაღლითობისა

⁶⁹⁹ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე უფრო დეტალურად, იხ. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. ნაჭყებია, თოდუა, თბ. 2019, გვ. 760-767.

⁷⁰⁰ სსკ 193-ე მუხლის სამართლებრივი არსის შესახებ, იხ. მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2023, გვ. 137-139.

და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადების სტადიას (შპს-ს ფიქტიურად შექმნისას პირის მიზანი იყო, გამოეყენებინა იგი ჯერ თაღლითობის, შემდეგ კი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არა მხოლოდ ჩასადენად, არამედ მისი დაფარვისთვის); ბ) თაღლითობაც და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაც, ისევე როგორც ცრუ მეწარმეობა, წარმოადგენს ეკონომიკურ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთოა სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტი; გ) უფრო მეტიც, საერთოა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ცრუ მეწარმეობისაგან სს-ვი დაცვის სახეობითი ობიექტიც - ესაა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

გამომდინარე აქედან, სსკ 193-ე მუხლით ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაში, თუკი: ა) პირმა ფიქტიურად შექმნა საწარმო, მაგრამ ჯერ არ მიუღია სასურველი ქონებრივი სარგებელი, ან ჯერ არ დაუფარავს აკრძალული საქმიანობა; ბ) როცა რეალურად ჩაიდინა სხვა დანაშაულიც, რომლის დაფარვაც სურდა, მაგრამ რომლისაგან სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტი განსხვავდება სსკ 193-ე მუხლისაგან სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტისაგან. მაგალითად, საწარმოს ფიქტიურად დაარსების შემდეგ პირმა უკანონოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღების დიდი პარტია ამ ფიქტიური საწარმოს გამოყენებით.

ეს შემთხვევა სსკ 236-ე მუხლის შესაბამის ნაწილთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 193-ე მუხლის ერთობლიობით, რადგან სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია არა ქვეყნის ეკონომიკა, არამედ საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი.⁷⁰¹

⁷⁰¹ სსკ 236-ე მუხლის არსზე იხ. თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწ. მე-2, რედ. თოდუა ნ., 2023, გვ. 350-363.

დასკვნა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე მუშაობის შედეგად გაკეთდა არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე არაერთი დასკვნა:

1. ნაშრომში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან სს-ვი დაცვის ობიექტზე მსჯელობისას დასაბუთებულია, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა საქართველოს კანონმდებელმა ფულის გათეთრებისაგან სს-ვი დაცვის მრავალფეროვანი ობიექტებიდან სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობის ინტერესის სს-ივ დაცვას;
2. დანაშაულის ამსრულებლის საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ვინაიდან საქართველოს კანონმდებელმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოათავსა არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ასევე არა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, არამედ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ეს ფაქტი ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტია იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ამ დანაშაულის სუბიექტია არა მხოლოდ მესამე პირი, არამედ ასევე წინარე (პრედიკატული) დანაშაულის სუბიექტიც;
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ შეუძლებელია, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მაგ., საავტორო უფლება) გახდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგანი. საავტორო უფლება ვერ იქნება ჩართული ქვეყნის ეკონომიკაში. ქვეყნის ეკონომიკაში შეიძლება ჩართული იყოს თავად ეს ნივთი (მაგალითად, ანტიკვარული საგანი, რომელიც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს), მაგრამ არა საავტორო უფლება მასზე;
4. დანაშაულის საგნის განხილვისას დასმული და პასუხია გაცემული პრობლემურ კითხვაზე: როცა ფულის გათეთრების საგნად მიჩნეულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, აუცილებელია თუ არა სსკ 194-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, პირი უკვე ნასამართლევია იყოს წინარე დანაშაულისათვის? ნაშრომში დასაბუთებულია, რომ არაა აუცილებელი, ეს პირი ნასამართლევია იყოს წინარე დანაშაულისათვის. საკმარისია, მის მიმართ დაწყებული იყოს სს-ვი დევნა წინარე (ძირითადი) დანაშაულთან დაკავშირებით;

5. სხვა სახის სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ მასში უნდა ვიგულისხმოდ მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გზით მოპოვებული ქონება და არა სამოქალაქო სამართალდარღვევის გზით მოპოვებული. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად ქონების უკანონოდ მოპოვება, არ ხდება წინასწარგანზრახულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება არა სხვა სახის სამართალდარღვევა, არამედ თაღლითობა, ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული;

6. დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ვინაიდან საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ლეგალური მომსახურებისას აუცილებელ მოთხოვნად არ ითვალისწინებს დოკუმენტური სახით ანგარიშწორებას, ამ ვითარებაში, არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად ის დანაწესი, რომლის მიხედვითაც ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებისათვის აუცილებლად დოკუმენტური მტკიცების სტანდარტია დადგენილი;

7. დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით ნაშრომში შემოთავაზებულია წინადადება სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში საკანონმდებლო ცვლილების შესახებ იმ თვალსაზრისით, რომ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთებისთვის, გარდა დოკუმენტებისა, შესაძლებელი გახდეს სხვა სახის მტკიცებულების წარმოდგენაც. კერძოდ, საქართველოს სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

ამ მუხლის მიზნებისათვის, დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან/და დაკავშირებულ პირს არ გააჩნია, ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით;

8. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით ნაშრომში დასმული და პასუხია გაცემული კითხვაზე: რით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, უკანონო ქონებიდან მიღებული შემოსავალი (როგორც უკანონო ქონების ნაირსახეობა) და, **მეორე მხრივ**, დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც

მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით? გაკეთებულია დასკვნა, რომ უკანონო ქონებად ითვლება არა მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დარღვევით (ვთქვათ, წინარე დანაშაულის ჩადენით) მიღებული ქონება, არამედ ასევე ამ ქონებიდან (ანუ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული ქონებიდან) მიღებული შემოსავალიც. რაც შეეხება დაუსაბუთებელი ქონების იმ სახეს, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით, მასში იგულისხმება უკანონო ქონების გაყიდვა ან გაცვლა. შემდეგ კი, მიღებული თანხით სხვა ქონების შეძენა;

9. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ როცა ქმედება გამოხატულია ქონებით სარგებლობაში და მისი ჩამდენია ფიზიკური პირი, ქონებით სარგებლობის სუბიექტი შეუძლებელია იყოს წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩამდენი, ან მასში თანამონაწილე. იგი უნდა იყოს სხვა პირი, რომელსაც კავშირი არ ჰქონია წინარე დანაშაულთან. ხოლო როცა სახეზეა იურიდიული პირი, მის მიერ ქონებით სარგებლობისას მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა ეს იურიდიული პირი წინარე დანაშაულის სუბიექტი;

10. ქონების ფლობასთან (როგორც განსახილველი დანაშაულის ერთ-ერთ ალტერნატიულ ქმედებასთან) დაკავშირებით, ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ მისი სუბიექტი ვერ იქნება წინარე დანაშაულის ჩამდენი ვერც ფიზიკური და ვერც იურიდიული პირი, რადგანაც ქონების ფლობა (განსხვავებით ქონებით სარგებლობისაგან) წინარე დანაშაულის განუყოფელი ნაწილია მიუხედავად იმისა, იგი ფორმალური შემადგენლობითაა წარმოდგენილი, თუ მატერიალური შემადგენლობის სახით. მისი სუბიექტი აუცილებლად სხვა პირია, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ ფლობს დანაშაულის საგანს და ეს ქმედება ემსახურება ამ საგნისათვის კანონიერი სახის მიცემას;

11. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ქონების კონვერსია არ უნდა გავიგოთ ფართოდ. მასში არ იგულისხმება ნებისმიერი ქონების გაცვლა, არამედ მხოლოდ ვალუტის გაცვლა იგულისხმება. თუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ადგილი აქვს არა ვალუტის, არამედ ერთი სახის ქონების გადაცვლას სხვა სახის ქონებაში, ლეგალიზაციის ხერხად უნდა ჩაითვალოს არა კონვერსია, არამედ ქონების შეძენა, რომელშიც ქონების გაცვლაც იგულისხმება;

12. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული „სხვა მოქმედება“-ში იგულისხმება ქონების გასაღება ან მისი გასაჩუქრება. მასში არ იგულისხმება ქონების გაცვლა, რადგან ეს უკანასკნელი ქონების შეძენის ხერხია. ამასთან, გაკეთებულია დასკვნა, რომ სხვა მოქმედების განხორციელებისას, შესაძლოა, გამოყენებული იყოს მოტყუების ელემენტები, მაგრამ ჩადენილი არ იყოს თაღლითობა. თუმცა უკეთუ „სხვა მოქმედებას“ თან ახლავს თაღლითობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით;

13. ნაშრომში შესაბამის არგუმენტებზე და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა, რომ როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ჩადენილია რამდენიმე ქმედება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანი ფულის გათეთრებად უნდა შეფასდეს. საჭიროა გაირკვეს, რომელი ქმედება იყო ჩადენილი უკანონო ქონების გამოყენებით, ხოლო რომელი - კანონიერი ქონების გამოყენებით;

14. დანაშაულის ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებით ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ ობიექტური მხარის **პირველი ჯგუფი** მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ჩადენილ ქმედებებს (გამიზვნითი დელიქტი), რა დროსაც არა აქვს მნიშვნელობა, მოახერხა თუ არა პირმა ქონების ლეგალიზაცია - მისი მცდელობაც (თუ იგი გამოვლინდა მითითებული ქმედებებიდან რომელიმე მათგანის ჩადენაში) დამთავრებული დანაშაულია.

ხოლო შემადგენლობის **მეორე ჯგუფი** მოიცავს იმ შემთხვევებს, როცა პირმა უკვე შეძლო უკანონო შემოსავლის დამალვა ან შენიღბვა. ანუ ლეგალიზაციის პროცესი (სამსაფეხურიანი ფაზა) ბოლომდეა მიყვანილი (სხვა საკითხია, მხილებულ იქნა თუ არა პირი). ამდენად, სსკ 194-ე მუხლის ობიექტური მხარის ამ მეორე ჯგუფში დაკონკრეტებული არაა მიზანი, რადგან იგი უკვე მიღწეულია. ასევე არაა დაკონკრეტებული ქმედებები, არამედ დაკონკრეტებულია ის, თუ კერძოდ რისი (მაგალითად, ქონების წარმოშობის წყაროს, თუ მასზე საკუთრების უფლების) დამალვა ან შენიღბვა შეძლო პირმა;

15. საკუთრების უფლების დამალვის ან შენიღბვისას უკანონო ქონების მიმართ ადგილი აქვს ნამდვილი მესაკუთრის დამალვას - იგი ინიღბება ცრუ მესაკუთრით. ხოლო საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლების დამალვის ან შენიღბვისას ადგილი აქვს არა მხოლოდ საკუთრების უფლების, არამედ საკუთრებასთან

დაკავშირებული სხვა უფლების (ქონების ფლობის ან მისით სარგებლობის) დამალვას ან შენიღბვას (მაგ., ფართის კომერციული მიზნით გამოყენების სუბიექტად ფიქტიურად ფიქსირდება სხვა პირი);

16. მართალია, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური შემადგენლობის მეორე ჯგუფისათვის გადამწყვეტი არაა მიზანი, მაგრამ პირს სწორედ იმიტომ სურს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომ თავისუფლად შეძლოს ამ ქონების განთავსება ქვეყნის ეკონომიკაში. თუკი პირს ეს მიზანი არ ამოდრავებს, მაშინ ქმედება სსკ 194-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება. ქმედებას სხვა შეფასება მიეცემა (ვთქვათ, შესაბამისი სუბიექტის არსებობისას, ეს შეიძლება იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა ან გასაღება - სსკ 186-ე მ.);

17. თუკი სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების (მაგ., ქონების შექმნის) ჩადენისას პირის მიზანი იყო არა ქონების გათეთრება შემდგომში მისი თავისუფლად გამოყენებისათვის, არამედ უკანონოდ მოპოვებული ქონებით მხოლოდ პირადი მოთხოვნელების (მაგ., ფუფუნებით ცხოვრების) დაკმაყოფილება, სახეზე არაა სსკ 194-ე მუხლის შემადგენლობა. ამ დროს პირი პასუხს აგებს მხოლოდ წინარე (პრედიკატული) დანაშაულის ჩადენისთვის. ამდენად, ჯერ ადგილი უნდა ჰქონდეს ფულის გათეთრებას ლეგალურ ეკონომიკაში მისი ინტეგრირებით, რათა წაიშალოს კვალი და პირმა **მომავალში დაუბრკოლებლივ შეძლოს** მისი გამოყენება სურვილისამებრ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჭუჭყიანი“ ქონება ჯერ უნდა „გათეთრდეს“, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფლად გამოყენება. რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ხარჯვას პირადი მიზნით (მაგ., ვალის გადახდით), ამ დროს პირის მიზანი არაა მისი ლეგალიზაცია, რათა შემდგომში თავისუფლად შეძლოს ამ ქონების გამოყენება;

18. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მიუხედავად მისი ხერხისა, მოტყუებაზეა დაფუძნებული, რადგან იგი ყველა შემთხვევაში სინამდვილის დამალვას ემსახურება. მიუხედავად ამისა, როცა ფულის გათეთრებას თან ახლავს თაღლითობა, ქმედება დანაშაულა ერთობლობით უნდა დაკვალიფიცირდეს. იმ შემთხვევაში კი, როცა მოტყუების ელემენტები იყო გამოყენებული, მაგრამ არ იყო ჩადენილი თაღლითობა, საჭირო არაა ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოიცავს ასეთი სახის მოტყუებას;

19. საკითხზე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა (სსკ 194-ე მ. პირვ. ნაწ.), ასევე მისი დამამძიმებელი გარემოება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (194-ე მ. მე-3 ნაწ. „ა“ ქვ.) თუ მოიცავს ყალბი დოკუმენტის დამზადებას ან მის გამოყენებას (სსკ 341-ე, ან 362-ე მ.) - ნაშრომში იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ პრობლემას უნდა მიუძღვეთ დიფერენცირებულად: 1. როცა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის აუცილებელი იყო ყალბი დოკუმენტის შედგენა და გამოყენება, 2. როცა ამ ქმედების ჩადენა ყალბი დოკუმენტის გარეშე იყო შესაძლებელი, მაგრამ მისი შედგენა და გამოყენება ემსახურებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შენიღბვას. პირველ შემთხვევაში არაა საჭირო კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, ხოლო მეორე შემთხვევაში - ეს აუცილებელია;

20. ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური თუ სუბიექტური მხარე მოტყუებაზეა დაფუძნებული, ამიტომაც ყალბი დოკუმენტის გამოყენება (განსხვავებით მისი დამზადებისაგან, რაც მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას იგულისხმება შესაბამის დამამძიმებელ გარემოებაში), ყოველთვის გვამღვებს ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობას და შესაბამისად, არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით;

21. ქონების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზანი რამდენადმე განსხვავდება სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზანისაგან.

კერძოდ, პირველ შემთხვევაში პირს (რომელიც როგორც წესი, წინარე დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილეა) სურს უკანონო ქონების ინტეგრირება ეკონომიკაში და ამდენად ისწრაფვის მისი ლეგალიზაციისკენ. ხოლო მეორე შემთხვევაში სახეზეა მესამე პირი, რომელსაც თავად არ სურს ამ ქონების ინტეგრირება ეკონომიკაში, არამედ სურს, უკანონო ქონების ლეგალიზაციით, სხვას დაეხმაროს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში;

22. დაუშვებელია ქმედების კვალიფიკაცია სსკ 194-ე მუხლით, როცა პირის მიზანია არა ქონების ლეგალიზაცია (რათა შემდგომში თავისუფლად გამოიყენოს იგი), არამედ ის, რომ ისე გამოიყენოს თუ მოიხმაროს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება

პირადი მიზნებისთვის, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს მის კრიმინალურ წარსულში, არავის გაუჩნდეს კითხვა: საიდან მოიტანა მან ამდენი თანხა პირადი ცხოვრების ფუფუნებით მოწყობისათვის?

23. საერთოდ, წინარე დანაშაულით (ვთქვათ, კორუფციის გზით) შეძენილი ქონების (თუ ის არაა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთი) გამოყენება პირადი მიზნის შესაბამისად, არ გვაძლევს რომელიმე სხვა დანაშაულის (მათ შორის სსკ 194-ე მ.) შემადგენლობას და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. ფულის გათეთრება არ ნიშნავს მხოლოდ მის ფლობას ან გამოყენებას, არამედ ფულისხმობს ამ ქონების ფინანსურ სისტემაში გადაცემას ან დამალვასა თუ შენიღბვას, რაც დამატებით უქმნის საფრთხეს სხვა სამართლებრივ სიკეთეს (საქართველოს სინამდვილეში ქვეყნის სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას) და არა მხოლოდ იმ სამართლებრივ სიკეთეს (მაგ., საკუთრების უფლებას), რასაც უკვე შეექმნა საფრთხე ძირითადი დანაშაულის ჩადენით;

24. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სსკ 194-ე მუხლის შემოღებით საქართველოს კანონმდებლის მიზანი არ ყოფილა, ხელი შეეშალა უკანონოდ მოპოვებული ქონების შემდგომი გამოყენებისათვის, რომ ეს ქონება „გაყინულიყო“ ან „დაკონსერვებულიყო“ - აღმოჩენილიყო უძრავ მდგომარეობაში. ამ მუხლის შემოღებით კანონმდებლის მიზანია, ხელი შეუშალოს ამ ქონების ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრირებას, რადგან იგი საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენციას სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას დამნაშავის მიზანია ამ ქონების ეკონომიკაში ინტეგრირება. კერძოდ, ინტეგრაცია ფულის გათეთრების პროცესის ბოლო ეტაპია, რა დროსაც მიღებული შემოსავალი ხელახლა ინტეგრირდება ლეგიტიმურ ფინანსურ სისტემაში, რათა შეერწყას სისტემის სხვა აქტივებს;

25. რადგან ზემოთხსენებული მიზნები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას ნაწილობრივ ამ უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწილში იგი ქმედების ნიშანია და არა ბრალის ნიშანი. რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, მას ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. იგი, როგორც წესი, ანგარებითია;

26. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, შეუძლებელია იგი ჩადენილი იყოს არაპირდაპირი განზრახვით.

შეუძლებელია, პირს ამოძრავებდეს სპეციალური მიზანი (მაგ., ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი), ანდა ნიღბავდეს ქონების წარმოშობას და ამავე დროს ზუსტად არ იცოდეს, რომ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ანუ ეჭვი ეპარებოდა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობაში. თანაც არ სურდეს ამ ქმედების ჩადენა. ნაშრომში იგივე დასკვნაა გაკეთებული სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული მეორე ჯგუფის ქმედებების მიმართ;

27. არაპირდაპირი განზრახვა დასაშვებია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის **შედეგის მიმართ**, მაგრამ ეს შედეგი (სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობოსთვის მიყენებული ზიანი) ფულის გათეთრების კანონისმიერი შემადგენლობის გარეთაა. დასჯადია თავისთავად შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედება მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მისი გათეთრება და გამოიწვევს თუ არა იგი ზიანს ქვეყნის ეკონომიკისათვის ან თუნდაც ასეთი ზიანის კონკრეტულ საფრთხეს;

28. საბოლოოდ, განსახილველ დანაშაულთან მიმართებაში, განზრახვის კომპონენტები ასე გამოიყურება: შემოსავლის უკანონო წარმომავლობის ცოდნა (ინტელექტუალური ელემენტი), მისთვის კანონიერი სახის მიცემის სურვილი (ნებელობითი ელემენტი), მართლწინააღმდეგობის შეგნება;

29. მიუხედავად იმისა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფორმალური დანაშაულია, იგი შეიძლება ჩადენილი იყოს წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერაც. ეს ის ქმედებებია, რომელიც ჩადენა ხორციელდება რამდენიმე აქტით, დენადი, ან განგრძობადი ქმედებით (მაგალითად, ქონებით სარგებლობა ან მისი კონვერსია);

30. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ახასიათებს როგორც მცდელობის, ისე მომზადების სტადია. **მომზადება** სახეზე იქნება მაშინ, როცა განზრახ შექმნილია პირობები იმისათვის, რომ უკანონო ქონებას მიეცეს კანონიერი სახე. იგი შეიძლება გამოიხატოს შემოსავლის ლეგალიზაციისათვის საჭირო ხერხების შემუშავებაში; ლეგალიზაციისათვის შესაფერისი დროისა და ადგილის განსაზღვრაში; პირთა შეთანხმებაში, თუ ვინ რა ქმედება უნდა განახორციელოს საამისოდ; ფიქტიური დოკუმენტის შექმნისათვის პირობების მომზადებაში და ა.შ.

31. სსკ 194-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ „სხვა მოქმედებაში“ არ იგულისხმება ხელის შეწყობა იმ ქმედებებში (ქონების სარგებლობა, ქონების შეძენა და ა.შ.), რომელიც სახელდებითაა ჩამოთვლილი მუხლის პირველ ნაწილში. სხვა მოქმედებაში იგულისხმება ის ქმედებები, რაც არაა სახელდებით ჩამოთვლილი ამ ნორმაში (მაგალითად, ქონების გაყიდვა და სხვა). ამიტომ, უკეთეს პირი ხელს უწყობს ამსრულებელს ამ მუხლში მითითებული რომელიმე ალტერნატიული ქმედების განხორციელებაში (ვთქვათ, ქონების შეძენაში), იგი ჩაითვლება არა ამ დანაშაულის ამსრულებლად, არამედ თანამონაწილედ;

32. თუ პირი ნასამართლევა არა სსკ 194-ე, არამედ 194¹ მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება), ქმედება არ დაკვალიფიცირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით, რაც ჩადენილია არაერთგზის. ასეთ შემთხვევაში ქმედება (თუ სახეზე არაა სხვა დამამძიმებელი გარემოება) დაკვალიფიცირდება სსკ 194-ე მუხლის პირველი ნაწილით;

33. არაერთგზისობით ქმედების კვალიფიკაციისათვის, პირი უნდა იყოს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი. თუკი იგი ამჟამად სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილეა, მისი ქმედება ამ დამამძიმებელი გარემოებით ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან სსკ კერძო ნაწილის მუხლები და მისი ნაწილები (თავისი ქვეპუნქტებით) იწერება არა თანამონაწილეზე, არამედ ამსრულებელზე, მასში არ იგულისხმება თანამონაწილე. შესაბამისად, ეს ქმედება (ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) **ჩადენილი უნდა იყოს სწორედ** ასეთი პერსონალური ნიშნის მქონე პირის მიერ (ამ მუხლით ნასამართლევის მიერ), ანუ ეს პერსონალური ნიშანი ამსრულებლის პიროვნებას უნდა ახასიათებდეს და არა თანამონაწილის პიროვნებას;

34. ვინაიდან ნასამართლობის ფაქტი პირთა შეთანხმებაზე არაა დამოკიდებული, იგი მათი ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე უკვე არსებობს, როგორც მოცემულობა, შესაბამისად, შეუძლებელია საუბარი თანაბრალეულობაზე დანაშაულის ამ კონკრეტული დამამძიმებელი გარემოების მიმართ. ამიტომაც, ასეთი დამამძიმებელი გარემოება (მაგ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის) იწერება

მხოლოდ ერთ ამსრულებელზე. მასში არ იგულისხმება არა თუ თანამონაწილე, არამედ თანამსრულებელიც კი;

35. შესაბამისად, როცა თანამონაწილე ნასამართლევია სსკ 194-ე მუხლით, მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, სასამართლო სსკ 58-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში მიიღებს რეციდივს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას;

36. საკითხზე, როცა სახეზეა რამდენიმე სახის ნასამართლობა სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის, მოგვცეს თუ არა ეს ფაქტი როგორც არაერთგზისობას, ისე რეციდივსაც, როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას, ნაშრომში შემდეგი დასკვნაა გაკეთებული: ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს რაიმე განსხვავებულ რეგულაციას განზრახი დანაშაულისათვის რამდენიმე ნასამართლობის არსებობის შემთხვევაში, სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი (თუ ნასამართლობა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება სსკ 58-ე მ. პირველი ნაწილით რეციდივის შემთხვევისათვის დადგენილი წესი) უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა ერთი ნასამართლობა განზრახი დანაშაულისათვის (რაც მოცემული შემთხვევისათვის დამამძიმებელ გარემოებას ქმნის არაერთგზისობის სახით), არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზეა ორი ან მეტი ნასამართლობა სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის, საიდანაც მხოლოდ ერთი მათგანი ქმნის არაერთგზისობას. ნაშრომში მხარდაჭერილია ბოლო დროის სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით;

37. ნაშრომში მოცემულია შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება, რაც მიმართულია რამდენიმე ნასამართლობის შემთხვევაში საკითხის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტისკენ. კერძოდ, სსკ 58-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, ან როცა სახეზეა რამდენიმე ნასამართლობა, საიდანაც თუნდაც ერთი ქმნის მუხლის ან მუხლის ნაწილის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი“;

38. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას შემოსავლის ოდენობას განსაზღვრავს არა ის, თუ რა ღირდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი მის ლეგალიზაციამდე, არამედ ის, თუ რა ღირს ნივთი მისი ლეგალიზაციის შემდეგ. ლეგალიზაციამდე უკანონოდ მოპოვებული შემოსავალი, შესაძლოა, იყოს დიდი ოდენობის (30-დან 50 000 ლარამდე ღირებულების), მაგრამ ლეგალიზაციის შემდეგ მიღებული ნივთი - არა;

39. ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით (რასაც თან ახლდა დიდი ან განსაკუთრებით ოდენობით შემოსავლის მიღება) კვალიფიკაციას განსაზღვრავს არა წინარე (პრედიკატული) უკანონო ქმედებით მიღებული შემოსავლის ოდენობა, არამედ ის შემოსავალი, რაც თან ახლდა ამ ქონების ლეგალიზაციას;

40. როცა საქმეში ფიგურირებს ორი ან მეტი ამსრულებელი (ანუ თანამსრულებლები), მთავარია, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით მიღებული შემოსავლის საერთო ოდენობა იყოს დიდი (ან განსაკუთრებით დიდი). შესაბამისად, მნიშვნელობა არა აქვს, მიღებული შემოსავლის რა წილი შეხვდა თითოეულ ამსრულებელს. შესაძლოა, არაც ერთ მათგანს არ შეხვდეს დიდი ოდენობით შემოსავალი;

41. იმ შემოსავალში, რაც თან ახლდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ლეგალიზაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალი, არამედ ასევე წინარე უკანონო ქმედებით მიღებული ქონების ის ნაწილიც, რისი გათეთრებაც მოახერხა პირმა. ამდენად, ეს ქონებაც ფორმალური იურიდიულად შემოსავალში უნდა ჩაითვალოს, მას უკვე შეიძლება ვუწოდოთ „შემოსავალი“ (სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო). სწორედ ამიტომაც, რომ ლეგალიზაციამდე არსებული შემოსავალი სსკ 194-ე მუხლში (როგორც მის სათაურში, ისე დისპოზიციაში) მოხსენიებულია, როგორც „უკანონო შემოსავალი“, ხოლო ლეგალიზაციის შემდეგ მიღებული - როგორც „შემოსავალი“.

42. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება (194¹ მ.) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან (194-ე მ.) განსხვავდება დანაშაულის საგნით (იგი უკვე გათეთრებულია), სუბიექტით (იგი არაა წინარე დანაშაულის არც ამსრულებელი და არც თანამონაწილე) და

დანაშაულის მიზნით (პირის მიზანი არაა ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვა ან სხვა პირისათვის დახმარების გაწევა სს-ვი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში);

43. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (სსკ 186-ე მ.) არ წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომწესრიგებელ ერთ-ერთ ნორმას. ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება სს-ვი დაცვის ობიექტით, სუბიექტებით, დანაშაულის საგნით, ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობით;

44. სსკ 194-ე მუხლისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების (182-ე მ. მე-2 ნაწ.) ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით გაკეთებულია შემდეგი დასკვნა: ა) ქმედების სსკ 194-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ჩადენამდე (და არა მისი ჩადენის შემდეგ) სახეზე იყოს უკანონო ან დაუსაბუთებელი შემოსავალი (ანუ „ჭუჭყიანი ქონება“), რომელსაც ლეგალიზაცია („გათეთრება“) სჭირდება. ხოლო ქმედების სსკ 182-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის სახეზე უნდა იყოს პირის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული ქონება (ანუ „სუფთა“ ქონება); ბ) სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას პირის წინაშე უნდა იდგეს ამოცანა: როგორ ჩამოაშოროს „ჭუჭყი“ უკანონო ქონებას, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფლად განკარგვა. ხოლო სსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას პირის წინაშე უნდა იდგეს ამოცანა: როგორ მიისაკუთროს ის ქონება, რაც უკვე იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში (თუმცა არა საკუთრებაში) და თანაც როგორ გააკეთოს ეს ისე, რომ შენიღბოს მითვისების ფაქტი; გ) ამდენად, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას ქონება (დანაშაულის საგანი) უკვე „ჭუჭყიანია“ და მას უნდა მიეცეს ლეგალური სახე („უნდა „გაირეცხოს“). მითვისების ჩადენისას კი, პირიქით, ქონება (დანაშაულის საგანი) ლეგალურია („სუფთაა“) და იგი მართლსაწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მისაკუთრებული (ანუ ეს ქონება მითვისების შემდეგ ხდება „ჭუჭყიანი“); დ) ამდენად, სსკ 182-ე მუხლის საგანი მითვისების შემდეგ შეიძლება გახდეს სსკ 194-ე მუხლის საგანი, თუკი მიმთვისებელი დაისახავს მისი „გარეცხვის“ მიზანს და ჩაიდენს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე ალტერნატიულ ქმედებას; ე) მოთვისების სუბიექტი სპეციალურია, ხოლო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას სპეციალური სუბიექტი მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაშია გათვალისწინებული

((მე-3 ნაწ.); ვ) ყოველივე ეს რომ შევაჯამოთ, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას წინ უნდა უძღოდეს პრედიკატული (წინარე, ძირითადი) ქმედება (დანაშაული, ან სხვა სახის სამართალდარღვევა), რის შედეგადაც და რის გამოც დგება დღის წესრიგში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხი. მითვისების ჩადენას კი წინ არ უძღვის პრედიკატული (წინარე, ძირითადი) ქმედება. მითვისება თავად არის ერთ-ერთი პრედიკატული (წინარე) დანაშაული, რომლის შედეგადაც მოპოვებული ქონება (როგორც უკანონო შემოსავალი), შესაძლოა, მომავალში გახდეს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი.

45. სსკ 194-ე და სსკ 205¹ მუხლის ურთიერთგამიჯვნოს თვალსაზრისით უნდა ითქვას შემდეგი: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელია საერთო სუბიექტი, სპეციალური სუბიექტი მხოლოდ სსკ 194-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებაშია გათვალისწინებული. რაც შეეხება სსკ 205¹ მუხლს, მისი სუბიექტი სპეციალურია; სსკ 194-ე მუხლის საგანი აუცილებლად უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებაა, ხოლო სსკ 205¹ მუხლის საგანი კანონიერი, ლეგალური შემოსავალია (რომელსაც მალავენ); უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას ჩადენილი ქმედებები ემსახურება ამ ქონების ლეგალიზაციას, რათა შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი დაუბრკოლებრივი ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკაში. რაც შეეხება სსკ 205¹ მუხლს, აქ ქონების დამალვა ემსახურება იმას, რომ ეს ქონება არ იქნეს გამოყენებული ქონებრივი ვალდებულების დასაფარად. შესაბამისად, მატერიალურად ვალდებული პირის მიზანია, როგორმე შეინარჩუნოს ეს ქონება;

46. სსკ 194-ე მუხლი და 218-ე მუხლის მე-3 ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავდება: სუბიექტებით (სსკ 194-ე მუხლის ამსრულებელია საერთო სუბიექტი, ხოლო 218-ე მუხლისა პირი, ვისაც ევალება გადასახადების გადახდა); დანაშაულის საგნით (სსკ 194-ე მუხლის საგანია უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება, ხოლო სსკ 218-ე მუხლისა - კანონიერი ქონება); დანაშაულის მიზნით - სსკ 194-ე მუხლში ქონების დამალვა თუ შენიღბვა ემსახურება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რათა შემდგომში შესაძლებელი იყო მისი დაუბრკოლებრივი გამოყენება. ხოლო სსკ 218-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ქონების დამალვა ემსახურება იმას, რომ ეს ქონება არ იქნეს გამოყენებული გადასახადების გადახდისას;

47. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და არაპირდაპირ ჩადენილი ქრთამის აღება (სსკ 338-ე მ.) ერთმანეთისაგან შემდეგი ნიშნით განსხვავდება: არაპირდაპირ ქრთამის აღებისას მოხელის მიზანი არაა უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა, რადგან მას ჯერ არავითარი შემოსავალი (არც კანონიერი და არც უკანონო) არა აქვს მიღებული - შემოსავალი ქრთამის სახით მომავალში უნდა აიღოს. მისი მიზანია ქრთამის აღება; მოხელე ქრთამს არაპირდაპირ (ანუ შენიღბულად) იღებს არა იმიტომ, რომ მოახდინოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ჩადენილი არაა წინარე დანაშაული), არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელი გახდეს მისი მხილება დანაშაულში; საგანი, რომელიც არაპირდაპირ გადაეცემა მოხელეს, არაა „ჭუჭყიანი“ (მაგ., წინარე დანაშაულის გზით მოპოვებული), რომელსაც სჭირდება გათეთრება. იგი მხოლოდ ქრთამის აღების შემდეგ ხდება „ჭუჭყიანი“;

48. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა (სსკ 194-ე მ.) და სსკ 202¹ მუხლის ურთიერთკავშირზე უნდა ითქვას შემდეგი: სსკ 202¹ მუხლი პირდაპირ კავშირშია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებთან. ამ ორ მუხლს შორის არსებობს შემდეგი განსხვავება: განსხვავებით სსკ 194-ე მუხლის ამსრულებლისაგან, სსკ 202¹ მუხლის ამსრულებელია სპეციალური სუბიექტი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ან ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელი ან თანამშრომელი, რომელსაც ევალება კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოების გაუმჟღავნებლობა; განსხვავებით სსკ 194-ე მუხლისაგან, ამ მუხლით იკრძალება ისეთი მონაცემების და ინფორმაციის გახმაურება, რამაც შესაძლოა, დიდი ალბათობით, ხელი შეუშალოს ფულის გათეთრების პროცესის გამომჟღავნებას ან/და მის აღკვეთას; განსხვავებით სსკ 194-ე მუხლისაგან, სსკ 202¹ მუხლში მნიშვნელობა არა აქვს ქმედების მიზანს (და არც მოტივს); განსხვავებით სსკ 194-ე მუხლის ამსრულებლებისაგან, რომლებიც შეიძლება იყო როგორც წინარე დანაშაულის სუბიექტი, ისე მესამე პირიც და რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ, შეუძლებელია, სსკ 202¹ მუხლის სუბიექტი ქმედებას (ინფორმაციის გახმაურებას) სჩადიოდეს საეჭვო გარიგების მონაწილე პირთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება თანამონაწილეობასთან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (25, 194-ე მ.);

49. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში თანამონაწილეს (მაგ., წამქეზებელს) შეერაცხება თანამონაწილეობა მხოლოდ ობიექტური ნიშნით დამძიმებულ გარემოებაში. მაგალითად, ჩადენილი ჯგუფურად, ან რასაც თან ახლდა დიდი, ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ 25-ე მ. მე-4 ნაწ.). მას არ შეერაცხება სუბიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება. მაგალითად, არ შეერაცხება ისეთი პერსონალური ნიშანი, რაც ახასიათებს ამსრულებლის პიროვნებას - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი არაერთგზის, ან ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 25-ე მ. მე-5 ნაწ.);

50. როცა პირთა ჯგუფი ემზადება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს ჯგუფურად ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადებად (სსკ 18, 194-ე მ. ,ე-2 ნაწ. „ა“ ქვ.). იგი უნდა დაკვალიფიცირდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პირველი ნაწილის მომზადებად - 18, 194-ე მ. პირვ. ნაწ. (თუ სახეზე არაა სხვა დამამძიმებელი გარემოება), ვინაიდან წინასწარი შეთანხმება იმაზე, რომ პირთა ჯგუფმა უშუალოდ განახორციელოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, არაა ჯგუფურად მისი ჩადენის უტყუარი მტკიცებულება, იგი საამისო დასკვნისათვის მხოლოდ ვარაუდის საფუძველია. არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი პირი მიიღებს უშუალო მონაწილეობას ამ დანაშაულში;

51. მიუხედავად იმისა, რომ კანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფორმალური დანაშაულია, ვინაიდან მისი ობიექტური მხარით გათვალისწინებული ზოგიერთი ქმედება ორაქტიანია (მაგალითად, ქონების შექმნა, გადაცემა, ასევე სხვა მოქმედება, რომელშიც ქონების გაყიდვაც იგულისხმება), სავსებით შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ამ დანაშაულის მცდელობას;

52. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ძირითადი (პრედიკატული) დანაშაულის ხანდაზმულობა არაა დაკავშირებული ფულის გათეთრების ხანდაზმულობასთან. ფულის გათეთრებას საკუთარი ხანდაზმულობის ვადა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არაა ძირითადი დანაშაული (მისი არსებობა წინარე, ძირითადი ქმედებით მიღებული შემოსავლის არსებობაზეა დამოკიდებული), სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული

დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტის სახის გათვალისწინებით (ასევე სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით), შეუძლებელია, მისი ხანდაზმულობის ვადა დავუკავშიროთ (მივაბათ) წინარე დანაშაულის ხანდაზმულობის ვადას. შესაძლოა, ძირითადი დანაშაულისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყოს, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ვადა ასევე გასულად ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიმართაც;

53. სსკ 194-ე მუხლის შენიშვნას უნდა დაემატოს მე-5 ნაწილი, რომელიც შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული:

„ამ მუხლის მიზნებისათვის, წინარე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ აბრკოლებს სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას“.

54. იურიდიული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას, ნაშრომში სსკ 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ დაუშვებელია სასჯელის დანიშვნისას დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან სს-ვი დაცვის ობიექტი, რაც ისედაც განაპირობებს ნებისმიერი მუხლის (მათ შორის, სსკ 194-ე მუხლის) სისტემურ ადგილს სისხლის სამართლის კოდექსში; ასევე დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა მიენიჭოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხს (რაც ისედაც შედის ამ მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში); ყალბი დოკუმენტის გამოყენების ფაქტს (რაც ისედაც დაკვალიფიცირდა დანაშაულთა ერთობლიობით); მიღებული შემოსავლის ოდენობას (რაც ისედაც გვადლევს ამ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას; დანაშაულის მოტივსა და მიზანს (ანგარება/შემოსავლის მიღება), რაც ისედაც იგულისხმება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში;

55. ნაშრომში სსკ 41¹ მუხლის 2¹ ნაწილზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირის მიმართაც დაუშვებელია ერთზე მეტი ძირითადი სასჯელის გამოყენება. აქედან გამომდინარე, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე იურიდიული პირის მიმართ დაწესებულ სანქციაში ჯარიმა წარმოადგენს არა ძირითად, არამედ დამატებით სასჯელს. შესაბამისად, უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, სადაც ძირითად სასჯელად არაა მითითებული ჯარიმა, შეუძლებელია, იგი ძირითად სასჯელად იქნეს დანიშნულ (თუ არ არსებობს სსკ 55-ე მუხლის გამოყენების საფუძველი), იგი მხოლოდ დამატებით სასჯელად უნდა დაინიშნოს;

56. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ განსხვავებით ფიზიკური პირის მიმართ დადგენილი რეგულაციისა, იურიდიული პირის მიმართ ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის დანიშვნის საკითხი არაა მოსამართლის გადასაწყვეტი - იგი ვალდებულია, დანიშნოს დამატებითი სასჯელის ეს სახე. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველია ის ფაქტი, რომ სსკ კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, იურიდიული პირისათვის დაწესებულ ძირითად სასჯელთან დაკავშირებულია არა სასვენი ნიშნით (მძიმით), ანდა კავშირით „ან“ (როგორც ამას ადგილი აქვს ფიზიკურ პირთან მიმართებაში), არამედ -კავშირით „და“;

57. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სსკ შესაბამისი მუხლის სანქციები იურიდიულ პირთან მიმართებაში რედაქციულად უნდა დაიხვეწოს. კერძოდ, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით, ჯარიმით ან უამისოდ, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ჯარიმით ან უამისად.

ამგვარი რედაქციით ნათელი გახდება, რომ დამატებით სასჯელად ჯარიმის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ძირითად ალტერნატიულ სასჯელთან ერთად. ამასთან, მისი გამოყენება არაა სავალდებულო, იგი სასამართლოს გადასაწყვეტია, რადგან ჯარიმა ნებისმიერ ძირითად სასჯელთან არაა დაკავშირებული კავშირით „და“. იგი დაკავშირებულია კავშირით „ან“;

58. ნაშრომში პასუხი გაცემულია კითხვაზე, თუ რა შეფასება უნდა მიეცეს ქმედებას, როცა ადგილი აქვს უკანონო (ან დაუსაბუთებელი) შემოსავლის გასაღებას კეთილსინდისიერ შემძენზე?

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ყოველგვარი დაუსაბუთებელი ქონების რეალიზაცია (გაყიდვა) როდი უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად. იგი ასეთად რომ ჩაითვალოს, საქმის მასალებით დამტკიცებული უნდა იყოს, რომ პირი ახდენს ამ დაუსაბუთებელი

ქონების ფიქტიურ მიყიდვას ცრუმაგიერ პირზე (მაგალითად, ფორმალურად სხვისი სახელით შექმნილ შპს-ზე, რომლებსაც ფაქტობრივად თავად მართავს). ანდა ყიდის ქონებას სანდო პირზე, რომელის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ქონების გათეთრებისკენ მიმართული სხვა ქმედებები. ამასთან, უდავოა, რომ ცრუმაგიერი პირის შემთხვევაში, ადგილი არა აქვს ქონების გასაღებას კეთილსინდისიერ პირზე, რადგან ცრუმაგიერი პირი ვერ ჩაითვლება ასეთად და ქონების გასაღება მხოლოდ ფიქტიურ ხასიათს ატარებს. ხოლო მეორე შემთხვევაში, ქონების მიმღებ პირს გაცნობიერებული აქვს მისი უკანონო წარმომავლობა, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად;

59. ნაშრომში კითხვაზე: როგორ უნდა შეფასდეს ქმედება, როცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას წინ უძღვის საწარმოს ფიქტიურად შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, გაკეთებულია დასკვნა: როგორც წინარე (პრედიკატული) დანაშაული, ისე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოიცავს ცრუ მეწარმეობას, როცა: ა) ცრუ მეწარმეობა წარმოადგენს როგორც წინარე დანაშაულის, ისე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მომზადების სტადიას (მაგ., შპს-ს ფიქტიურად შექმნისას პირის მიზანი იყო, გამოეყენებინა იგი ჯერ თაღლითობის, შემდეგ კი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არა მხოლოდ ჩასადენად, არამედ მისი დაფარვისთვის); ბ) თუკი წინარე დანაშაულიც და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაც, ისევე როგორც ცრუ მეწარმეობა, წარმოადგენს ეკონომიკურ დანაშაულს. რაც იმას ნიშნავს, რომ საერთოა სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტი; გ) მით უმეტეს, საერთოა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ცრუ მეწარმეობისაგან სს-ვი დაცვის სახეობითი ობიექტიც - ესაა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა;

60. გამომდინარე აქედან, ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ სსკ 193-ე მუხლით ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაში, თუკი: ა) პირმა ფიქტიურად შექმნა საწარმო, მაგრამ ჯერ არ მიუღია სასურველი ქონებრივი სარგებელი, ან ჯერ არ დაუფარავს აკრძალული საქმიანობა; ბ) როცა რეალურად ჩაიდინა სხვა დანაშაულიც, რომლის დაფარვაც სურდა, მაგრამ რომლისაგან სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტი განსხვავდება სსკ 193-ე მუხლისაგან სს-ვი დაცვის გვარეობითი ობიექტისაგან.

მაგალითად, საწარმოს ფიქტიურად დაარსების შემდეგ პირმა უკანონოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღების დიდი პარტია ამ ფიქტიური საწარმოს გამოყენებით;

61. წინარე დანაშაულის (ვთქვათ, თაღლითობის) ამსრულებლის მიერ მისი ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხული უკანონო შემოსავლის ფიქტიური (მოჩვენებითი) გადატანა ამავე ორგანიზაციის რეინვენსტირების ფონდში, არ გამოდგება ამ შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად. პირიქით, იგი დიდი ალბათობით გააჩენს დამატებით კითხვას და შესაძლოა, წინარე დანაშაულის მხილების მტკიცებულებად გამოდგეს. ასეთი ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოდგეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხად, თუკი შემდგომში ფორმალურად ფიქსირდება ამ შემოსავლის რეალური ბრუნვა საწარმო პროცესში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შედგენილია ფიქტიური დოკუმენტი, რითაც დასტურდება ამ შემოსავლის ბრუნვა საწარმო პროცესში. ასეთი ფიქტიური დოკუმენტი ხელს შეუწყობს „კვალის არევას“ და ფორმალურად „ჭუჭყის აცლის“ უკანონო გზით მიღებულ თანხას;

62. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ უფრო სამართლიანად უნდა ჩაითვალოს იმ ქვეყნებში (მაგ., რუსეთში) არსებული რეგულაცია, რომლებიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნად მიიჩნევენ არა სხვა სამართალდარღვევის, არამედ დანაშაულის გზით მოპოვებულ საგანს. სისხლის სამართლის კანონმდებობაში ფულის გათეთრების შესახებ ნორმის შემოღების საკითხი დღის წესრიგში არც კი დადგებოდა, წინარე დანაშაულის ჩამდენ პირებს დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების ლეგალიზაცია ასე ფართო მასშტაბით რომ არ წამოეწყობოთ და ამით ქვეყნის კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის საფრთხე არ შეექმნათ. სხვა სახის სამართალდარღვევის (რომელიც არაა დანაშაული) შედეგად მოპოვებული თანხა, როგორც წესი, ვერასოდეს მიაღწევს იმ ოდენობას, რომ დღის წესრიგში დადგეს მისი ლეგალიზაცია, ანდა მისი ლეგალიზაციით სერიოზული საფრთხე შეექმნას ქვეყნის ეკონომიკას;

63. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს დაინტერესების დონის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეულია მოცემულ სახელმწიფოში ოფიციალური (ანუ კანონიერი გზით მიღებული) შიდა კაპიტალის დონე - რაც უფრო მეტად საკმარისია იგი ქვეყნის განვითარებისათვის, მით უფრო მეტია სახელმწიფოს დაინტერესება, ქვეყნის შიგნით ებრძოლოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას.

ასევეა პირიქით შემთხვევაში - რაც ნაკლებია ოფიციალური შიდა კაპიტალის დონე, მით მეტადაა „მიზმული“ ქვეყნის ეკონომიკა კრიმინალურ კაპიტალზე („შავ ფულზე“) და შესაბამისად, ნაკლებია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციათან ბრძოლის ინტერესი.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. მამულაშვილი გ., თოდუა ნ., თბ. 2020.
2. ორგანიზებული დამნაშავეობის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2012.
3. ბიჭია შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2010.
4. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო), რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019.
5. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013.
6. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბ. 2007.
7. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013.
8. ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011.
9. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი. რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019.
10. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მე-2, რედ. თოდუა ნ., თბ. 2023.
11. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. თოდუა ნ., თბ. 2016, გვ. 111-122;
12. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021.
13. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. თბ. 2011.
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001.
15. ზოიძე ბ., სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „საბჭოთა სამართალი“, 1978, N1.
16. წერეთელი თ, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი. თბ. 2007.
17. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ. 1982.

18. ცეტიშვილი თ, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015.
19. წერეთელი თ, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007.
20. უცხო სიტყვათა მოკლე ლექსიკონი, რუსულ ენაზე, შემდგენელი, ს.მ. ლოკშინა, მოსკოვი, 1986.
21. მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი, ავტ. კოლექტივი, რედ. ნ. ვ. შიშილინი და ლ. ა. ონიკოვი, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1978.
22. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., თბ. 2016.
23. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4, თბ. 2010.
24. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რედ. ი. დვალაძე, თბ. 2019.
25. შამიაშვილი გ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა (სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ. 2015.
26. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011.
27. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ. 2013.
28. თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015.
29. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე (მ-ჰ), მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, თბ. 1990.
30. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2007.
31. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013.
32. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწ. რედ. ფაფიაშვილი ლ., თბ. 2017.

33. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011.
34. ბიჭია შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, რედ. გ. ნაჭყებია, თბ. 2010.
35. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, რედ. ლ. ფაფიაშვილი, ავტ. კოლ. თბ. 2017.
36. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მთავარი რედაქტორი გიორგაძე გ., ავტ. კოლ. თბ. 2015.
37. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ე., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, თბ. 2010.
38. გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბ. 2005.
39. დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, თანდართული კაზუსის ნიმუშებით, თბ. 2015.
40. პროფ. მ. ლეკვეიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 2014.
41. ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, კონფერენციის მასალები, თბ. 2017.
42. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. რედ. ნაჭყებია გ., თბ. 2007.
43. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013.
44. გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ. 1974.
45. ი. აქუბარდიას საიუბილეო კრებული - 60, რედ. მ. ივანიძე, თბ. 2020.
46. სისხლის სამართალი, კომენტარი (დანაშაული), ავტ. კოლ. რედ. თოდუა ნ., ტურავა მ., ივანიძე მ., თბ. 2021.
47. ცქიტიშვილი თ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ. 2023.

უცხოენოვანი ლიტერატურა

48. FATF Guidance, Politically exposed persons (recommendations 12 and 22), June 2013.
49. Money Laundering Awareness Handbook for Tax Examiners and Tax Auditors, OECD 2009.
50. INTERNATIONAL STANDARDS ON COMBATING MONEY LAUNDERING AND THE FINANCING OF TERRORISM & PROLIFERATION The FATF Recommendations, ADOPTED BY THE FATF PLENARY IN FEBRUARY, 2012, Updated October 2020.
51. Information Technologies for the Control of money laundering, Vary Coates, Project Director, U.S. Government Printing Office, Washington, DC, 1995.
52. Gambling Commission, The prevention of money laundering and combating the financing of terrorism, Guidance for remote and non-remote casinos, Third edition, July 2016.
53. Strafrecht – Besonderer Teil II, Straftaten gegen das Vermögen von Prof. Dr. Jur. Rolf Schmidt, Hochschule für Angewandete Wissenschaften Hamburg, 19. Auflage 2018.
54. Money Laundering and Its Regulation in China, Xue Bin Li, Cardiff University, Cardiff School of Social Sciences, December 2009.
55. UN Counter-Terrorism Implementation Task Force (2009); also confer World Bank (2009b).
56. Money Laundering Using New Payment Methods, FATF Report, October 2010.
57. Handbook of Anti Money Laundering, Dennis Cox, John Wiley & Sons, Ltd, 2014.
58. FROM THE BOOK “Transnational Organized Crime Analyses of a Global Challenge to Democracy”, 2013, Publisher: Transcript Verlag. Bielefeld, Germany. Editor - Regine Schönenberg.
59. Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri, Ill-Gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia, World Bank Study, Washington, DC, United States, 2011.
60. FATF (2016), Anti-money laundering and counter-terrorist financing measures - Austria, Fourth Round Mutual Evaluation Report, FATF, Paris.

61. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019, 2nd Edition, A practical cross-border insight into anti-money laundering law. Published by Global Legal Group.
62. Vgl. Etwa die Abgabenordnung (AO), das Geldwäschegesetz (GWG) und das Kreditwesengesetz (KWG).
63. Germany: Detailed Assessment Report on Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism, 2010, International Monetary Fund, Washington, D.C.
64. Zustimmend für "neutrale Alltagschandlungen", Kargl, NJW 2001, 63; Lackner/Kühl/, & 261 Rn 5.
65. Commentary on criminal law by Thomas Fischer.
66. Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated February 18, 2009, reference no: 1 StR 4/09.
67. Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated June 24, 2008, reference no: 5 StR 89/08.
68. Ruling from the court of justice (LG) of Ellwangen dated March 30 2007, reference no: 1 S 184/06).
69. Ruling from the Federal Court of Justice (BGH), dated June 21, 1995, reference no: 2 StR 157/95.
70. Judgment published in New Journal for Penal Law (Neue Zeitschrift für Strafrecht, NStZ) 2003.
71. Munich Commentary on the Criminal Code (CC) ("Müncher Kommentar zum StGB"), Vol. 2/2, 1st. edition 2005 CC; Author: Miebach/Schäfer, Section 129 a of the Criminal Code: formation of terrorist groups;
72. Rulings of the Federal Court of Justice in Criminal Law Matters (Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen, BGHSt) 36, (HIV Infection).
73. Ruling handed down by the Federal Constitutional Court on October 25, 1966; reference no: 2 BvR 506/63
74. Ruling most recently handed down by the Federal Constitutional Court (BVerfG) on the Treaty of Lisbon (ruling dated June 30, 2009 (2 BvE 2/08).

75. Corrected by the Drafting Committee of the Federal Assembly (Art. 33 ParlPA; AS 1974 1051).
76. М. Г. Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Т. 1976.
77. Inserted by No I of the FA of 18 March 1994 (AS 1994 1614; BBl 1993 III 277). Amended by No I 4 of the FA of 12 Dec. 2014 on the Implementation of the 2012 Revision of the Recommendations of the Financial Action Task Force, in force since 1 Jan. 2016 (AS 2015 1389; BBl 2014 605).
78. United States Department of State, Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs Money Laundering and Financial Crimes Country Database, June 2015.
79. Stessens Guy, Money Laundering, A New International Law Enforcement Model, Cambridge University Press, 2000.
80. Combating Money laundering and the Financing of Terrorism: A Comprehensive Training Guide, The international Bank for Reconstruction and development/The World Bank, Washington DC, 2009.
81. Pierre-Laurent Chatain, John McDowell, Cédric Mousset, Paul Allan Schott, Emile van der Does de Willebois, Preventing Money Laundering and Terrorist Financing, A Practical Guide for Bank Supervisors, The World Bank, Washington DC, 2009.
82. Guide to U.S. Anti-Money Laundering Requirements, Sixth edition, protiviti, 2014.

ინტერნეტრესურსი

83. <https://www.fatfgafi.org/glossary/st/#:~:text=Shell%20bank%20means%20a%20bank,management%20located%20within%20a%20country> (31.10.2020წ.)
84. http://www.charity-commission.gov.uk/About_us/pogs/g410a001.aspx (20.11.2021წ.)
85. <https://www.merriam-webster.com/dictionary/phishing> (23.11.2022წ.)
86. <http://www.fatfgafi.org/media/fatf/documents/reports/ML%20using%20New%20Payment%20Methods.pdf> (20.11.2021წ.)

87. [https://library.croneri.co.uk/cch_uk/monlaun/2-6#:~:text='Tipping%20off'%20means%20\(whether,destroy%20evidence%2C%20or%20themselves%20disappear](https://library.croneri.co.uk/cch_uk/monlaun/2-6#:~:text='Tipping%20off'%20means%20(whether,destroy%20evidence%2C%20or%20themselves%20disappear) (30.01.2021წ.)
88. <https://www.tutor2u.net/economics/reference/what-is-capital-flight> (16.03.2020წ.).
89. <http://www.fedpol.admin.ch/content/fedpol/en/home/themen/kriminalitaet/geldwaescherei/jahresberichte.html> (20.11.2021წ.)
90. https://www.ffiec.gov/bsa_aml_infobase/pages_manual/manual_online.htm (20.11.2021წ.)
91. https://www.fincen.gov/sites/default/files/shared/MSB_Exam_Manual.pdf (20.11.2021წ.)
92. <https://www.fincen.gov/sites/default/files/shared/FIN-2013-G001.pdf> ??????????
93. <http://www.fatf.gafi.org/media/fatf/documents/reports/mer4/MER-United-States-2016.pdf> (20.11.2021წ.)
94. www.ecfr.gov (20.11.2021წ.)
95. www.FINCEN.gov (20.11.2021წ.)
96. <http://www.state.gov/j/ct/rls/crt/> (20.11.2021წ.)
97. <https://www.tutor2u.net/economics/reference/what-is-capital-flight> (16.03.2020წ.)
98. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შესავალი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, დანაშაული, (ლექციების კურსი), <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/mchedlishvili-samartali.pdf>, 2020-2021.

ნორმატიული მასალა (მათ შორის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები)

99. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
100. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ.

101. 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.
102. საქართველოს 2000 წლის 30 ივნისის კანონი №458 - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I, 2000 წ. №27.
103. გერმანიის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი.
104. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი.
105. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
106. კალიფორნიის შტატის კანონი ფულის გათეთრებაზე - სისხლის სამართლის კოდექსი, <https://www.shouselaw.com/ca/defense/penal-code/186-10/#1> (23.12.2021წ.)
107. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი.
108. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, <http://yurist-online.org/> (23.12.2021წ.)
109. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი.
110. რუსეთის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 2019 წლის 17 ივნისის მდგომარეობით (Уголовный кодекс Российской Федерации - Принят Государственной Думой 24 мая 1996 года. Одобрен Советом Федерации 5 июня 1996 года).
111. ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, ვარშავა, 16 მაისი, 2005.
112. შესწორება FA-ს 2014 წლის 12 დეკემბრის No I 4-ით ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების 2012 წლის რევიზიის განხორციელების შესახებ, რომელიც ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან (AS 2015 1389; BBI 2014 605).
113. № II 1 პუნქტით შესწორებული ჯარიმები. 2002 წლის 13 დეკემბრის FA-ს 16, ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან (AS 2006 3459 3535; BBI 1999 1979). Penalties revised by No II 1 para. 16 of the FA of 13 Dec. 2002, in force since 1 Jan. 2007 (AS 2006 3459 3535; BBI 1999 1979).

114. შესწორება FedD-ის 2020 წლის 25 სექტემბრის დანართი No II 2 ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ და მისი დამატებითი ოქმის და ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლის ინსტრუმენტების გაძლიერების შესახებ, ძალაში. 2021 წლის 1 ივლისიდან (AS 2021 360; BBI 2018 6427).

სასამართლო პრაქტიკა

115. სისხლის სამართლის საქმე №370აპ-12; ს-ე ა, 370აპ-12.

116. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, განაჩენი საქმეზე #1/1001-08.

117. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განაჩენი, საქმე N330100120003582576.

118. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე N 659აპ-21.

119. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 აგვისტოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე. საქმის ნომერი არაა მითითებული, რადგან განაჩენი მოგვეწოდა დაშიფრული სახით.

120. ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის არქივი სისხლის სამართლის საქმეებზე (ვინაიდან საქმის მასალები დაშიფრული სახით მოგვეწოდა, ვერ ვუთითებთ საქმის ნომერს).

121. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის არქივი სისხლის სამართლის საქმეებზე. საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ, რადგან საქმის მასალები გადმოგვეცა დაშიფრულად.

122. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 დეკემბრის განაჩენი (მოგვეწოდა დაშიფრული სახით. შესაბამისად, საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ)

123. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 სექტემბრის განაჩენი (მოგვეწოდა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომრის მითითება შეუძლებელია).

124. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის განაჩენი (მოგვეწოდა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომრის მითითება შეუძლებელია).
125. 2019 წლის 30 აგვისტოს გამოტანილი განაჩენი (საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ, რადგან განაჩენის ასლი გადმოგვეგზავნა დაშიფრული სახით).